

979/2

ప్రపంచం



1979

జనవరి-20
2024-01-20

5

43
780/2

ISSN 0184-9848





კეთე კოლვიდი. „დედა გავუყვებითურთ“. 1935 წ.

•
ნომერი შეადგინეს: ნოდარ კაკაბაძემ,
ვიქტორ კახნიაშვილმა, რეზო ყარაღაშვილმა
•

სურნავუ



მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია

შინაარსი

შემდგენელისაგან	5
ნოდარ კაკაბაძე. XX საუკუნის გერმანული ლიტერატურა 1945 წლამდე	6
შტაფან გეორგე, კლაუსენი, გეორგ ჰაიმი, კურტ ტუხოლსკი, ჰერმან კესტენი, კლაუს მანი	11—24
ნოდარ კაკაბაძე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიტერატურა	26
არნოლდ ცვანიგი, გერტოლტ ბრეჰტი, ერვინ შტრიტმატერი, გეორგ მაუკერი, იურგ ბეკერი, კლაუს შლეინგერი, ელკე ეკგი, ულრიხ კლენდორფი	30—117
ნოდარ კაკაბაძე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ლიტერატურა	118
ვოლფგანგ ბოკვირტი, კეტერ ჰუხელი, ვოლფ დიტრიხ შნურე, ნელლი ზაჰსი, კარლ კროლო, თეოდორ ვ. ადორნო	120—147
რეზო შარალაშვილი. რამდენიმე სიტყვა თანამედროვე ავსტრიულ ლიტერატურაზე	148



მთავარი რედაქტორი: შოთა ნიჟნიანიძე.

სარედაქციო კოლეგია: მზიმ ბაქრაძე, ბანანო ბრეზვაცკე, გურამ გოგიუაშვილი,
ნანა ღარნია (პ. მგ. შლივანი), ვაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, მიხეილ
კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, როზან მიმიწოვილი,
ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თაყაი ჩხინკელი, დავით წარედიანი,

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

შინაარსი

ჰუმო უონ ჰუმანსტალი. რ. მ. რილაკე, გეორგ თრაკლი, ალექსანდარ რიდა რიდა, ალფრედ კოლგარი, როგორც მუზილი, ედონ უონ ჰორვათი, კაულ ცელანი, ჰანს ლეგერტი, ინგოგორგ ბახმანი, კრისტინე ლავანტი, ჰანს კარლ არტმანი, კეტერ ჰანდკე, ბარბარა ფრიშმუტი, შიხაელ შარანგი	150—195
რეზო შაკალაშვილი, შვეიცარიული მიწიანობა მსოფლიოს ლიტერატურულ რუკაზე	196
ვალტარ ფოგტი, როგორც ვალჯარი, მას ფრიში, იურგ ფელერსვილი, ვალტარ მათიას დიგელმანი, კეტერ ვიქსელი, ფრიდრიხ დიურხენმატი	198—231
ვიქტორ კახნიაშვილი, ბარტოლუმი თემატიკა ბარმანულმენოვან მწერალთა შემოქმედებაში	232
რადნარ კირში, ზარა კირში, აქსელ შულცე, ჰანს-იურგ რითერი	238—240

* *

გარეკანზე: დიურხერი, ავტოკოორტრები
ჩანართი: ლ. ცუცქერიძე, გომთვს „ფაუსტის“ ილუსტრაციები



«САУНДЖЕ»

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬМАНАХ
НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ № 5 1979

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА И ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ
ТВИЛИСИ, УЛИЦА ШАЛВЫ ДАДИАНИ, 2

ქართული საბ. სოც. მხრ.
საზოგადოებრივი სპეციალ.
ბიბლიოთეკა

17897

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს



ინგა ულივი — ილუსტრაცია ემა ზონტაგის საბავშვო წიგნისათვის

შემდგენლებისათვის

„საუნჯის“ წინამდებარე ნომერი მოლიანად XX საუკუნის გერმანულენოვან ლიტერატურას ეძღვნება. მასში მოთავსებულია გერმანული ლიტერატურის (1945 წლამდე), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ავსტრიისა და შვეიცარიის თანამედროვე მწერლობის რამდენიმე ტიპიურ ნიმუში (გერმანულენოვანი ლიტერატურა ლიტერატურისა და ლექსმწერების არის, მაგრამ მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც გაუთანაბრებდნენ გერმანულენოვანი ქვეყნების საერთო ლიტერატურულ დონეს, ჩვენი აზრით, ვერჯერობით იქ არ შექმნილა).

აღმანახის ამ ნომერს საფუძვლად არ დასდებია ქრესტომათიის, ანდა ქართული მკითხველისათვის „საკითხავი წიგნის“ მიწოდების პრინციპი. „საუნჯის“ შედარებით მცირე მოცულობის გამო ჩვენ არ შეგვიძლია თუნდაც მიახლოებით სრულად აგვეხაზო ამ ვიწრო-თელა ლიტერატურის ყველა მხარე და წახსადი. იმის გამო, რომ ნომერში ყველა ძირითადი გერმანულენოვანი ქვეყნის მწერლობას უნდა დათმობოდა გარკვეული ადგილი, ბუნებრივია, აქ ადგალს ვერ მხოლოდ რეალური ქანობი — რომანი და დრამა. ჩვენ შევეცადეთ ქართული მკითხველი მეოცე საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურის სამყაროში მხოლოდ მცირე პროზის, ლირიკისა და ესეს „კარიდან“ შეგვეჩვენა. მასხადამე „საუნჯის“ წინამდებარე ნომრის შედგენის პირველი პრინციპი დადმა მასხადამ და აღმანახის შედარებით მცირე მოცულობამ გვეკარნახა.

მეორე პრინციპი ჩვენ შეგნებულად ავირჩიეთ, გვხურდა ქართული მკითხველისათვის მეტნაკლებად უცნობი მასხადამ (უცნობი ავტორების ანდა ნაცნობი ავტორების უცნობი ნაწარმოებები) მიგვეჩვენა.

მესამე პრინციპი თვით ნაწარმოებთა რაობას ეყრდნობა: ნომერში შემთავებით და უმნიშვნელო არავინ მოხვედრილა, აქ არც ერთი ნაწარმოები არ არის დახტამბული, რომელიც რამდენადმე მაინც არ ასახავდეს ამა თუ იმ ლიტერატურული მიმდინარეობის რომელიმე ანგარაშვასხაწე ტენდენციას, თუმცა დაუსრულებლად შეიძლება დავა იმის თაობაზე, რატომ მაინცდამაინც ეს მწერალი ანდა ეს ნაწარმოები ავირჩიეთ და არა სხვა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მკითხველი ამაოდ დაუწყებს ძებნას მკაცრ კანონზომიერებასა და სისტემურობას. აღმანახში, როგორც მკითხველი თვითვე შეამჩნევს, საკმაოდ ჭრელი, პეტეროგენული, არაერთგვაროვანი მასხადამ მოთავსებული. ყოველი განყოფილება ზუსტად ერთნაირად არ არის აგებული, რადგან ამას ერთი მხრივ თვით შესაბამისი ქვეყნის ლიტერატურის თავისებურება და მეორეც, აღმანახის განკარგულებაში რეალურად არსებული მასხადამ განაპირობებდა.

რაც შეეხება პოეზიას, რა დახამალია და, გერმანულენოვანი ლირიკის თარგმნას საქართველოში თითო-ორილა გამონაკლისის გარდა ბედი არ წყალიბს. თუ დღესდღეობით ინგლისური და ფრანგული ლირიკის რიგიანი თარგმანები მოგვეპოვება, ხამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვიტ გერმანული პოეზიის ქართულ თარგმანებზე. ამიტომ შევეცადეთ მხოლოდ მეტნაკლებად ღირებული თარგმანები დაგვეჩვენა.

მასხადამე, აღმანახის წინამდებარე ნომერში დახტამბული მასხადამ ასე თუ ისე ქმნის XX საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურის მცირე პანორამას (თანაც აქცენტი უპირატესად მეოცე საუკუნის მეორე ნახევარზეა გადატანილი), ანუ ჩვენ შევეცადეთ ქართველი მკითხველისათვის მეოცე საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურა მოთხრობებს, ნოველებს, ესეს რამდენიმე ნიმუშითა და ლირიკით გვეჩვენებინა.



ნოდარ კაკაბაძე

3 ხრავასიან წლებში ნატურალიზმის აღმავლობა და განვითარება შეწყდა, მაგრამ ნატურალისტურა მეთოდი და წერის მანერა ჯერ კიდევ საკმაოდ ხანს იყო გავრცელებული გერმანულ ლიტერატურაში.

გერმანული ნატურალისტებიც თავიანთ ხელოვნებას განისხილადნენ როგორც „ლიტერატურის რევოლუციას“ და მოუღ ადრინდელ ლიტერატურას „იდეალისტურ ეპიგონობად“ მიიჩნევენ.

ნატურალიზმის მთავარი თემა იყო სოციალური საკითხი. ნატურალიზმის ფილოსოფიურ საფუძველს ქმნიდა პოზიტივიზმი, რომლის თანახმადაც გამოცდილება არის ადამიანის ცოდნის ბაზისი, მეცნიერებათა შორის ღირებულაა მხოლოდ ბუნებისმეტყველება, ადამიანის ფსიქიკური პროცესებიც სხეულებრივი მექანიზმის მხოლოდ ფუნქციაა. სულიერი სამყაროც ისევე ფუნქციონირებს, როგორც ბუნების კანონებს დაქვემდებარებული ფიზიკური სამყარო.

ტრანსცენდენტური და მეტაფიზიკური — როგორც ფიქცია — განდევნილ იქნა ხელოვნებიდან. მხოლოდ ეს ქვეყანა და ხანმოკლე სიცოცხლე ამქვეყნად არის რეალური, უტყუარი და ნაღდი. ადამიანს მართავენ შეგრძნებანი და ინსტინქტები, ხოლო ინტელექტი საბოლოოდ სარგებლიანობის მიხედვით მოქმედებს. ადამიანი შებმულია ბუნების კანონების „უღელში“, არ არსებობს ნების თავისუფლება.

გერმანულმა ნატურალისტმა, არნო ჰოლცმა წამოაყენა ნატურალისტური „ფორმულები“: „ხელოვნება = ბუნება - x“ ანდა „ხელოვნებას აქვს ტენდენცია კვლავ იქცეს ბუნებად“.

ადამიანი განისილება როგორც გარემოა, წრის პროდუქტა (გერმანულ ნატურალიზმზეც ძლიერ გავლენას ახდენდა ფრანგი იპოლიტ ტენი, რომელმაც პოზიტივიზმი ხელოვნების სფეროშიც გადაიტანა და ამტკიცებდა ლიტერატურაშიც გარემოს, დროსა და რასის გადამწყვეტ მნიშვნელობას). ნატურალისტურ ნაწარმოებთა პერსონაჟი იყო პასიური „ნახევარგმირი“, შერყევი ბუნების ადამიანი, რომელსაც თავის ნებაზე ათამაშებდა გარემო, წრე, გარემომცველი საზოგადოება, რამაც ნატურალისტურ ლიტერატურაში შეცვალა აბტიკური ლიტერატურის შედისწერა. ნატურალისტების მიხედვით ქვეშაირიტება და სიმარტლე მოითხოვდა, რომ მწერლებს შეუღამაშებლად და შეუფერადებლად ეჩვენებინათ მდაბალიც, მახინჯიც, ფეღმყოფურბათოლოგიურიც, პერვერსიულიც — ნატურალისტური ლიტერატურა ააღსებს ალკოჰოლიკებმა და ლოთებმა, მეძაფებმა და ათაშინგათ სნეულებმა, დატაკებმა, და მაწანწალებმა; ნატურალისტები მწერლებისაგან მოითხოვდნენ, რომ შეფასებისა და ახსნისაგან თავი შეეკავებინათ. საეჭვო შეიქნა ინტუიცია და ინსპირაცია, ასევე გენიოსის ცნებაც.

ბუნებრიობა, სინამდვილე, ემპირიულობა, ხელშესახებობა იყო ნატურალიზმის ლოზუნგები. ბუნებრიობის მისაღწევად წინა პლანზე წამოწვეულ იქნა საღაპარაკო, სამეტყველო ენა, დიალექტი, ფარგონი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები, გრამატიკული შეცდომები.

ნატურალიზმმა უარყო ტიპური, ტიპიზაცია, არსებითის, მთავარის გამოყოფა მეორეხარისხოვანისაგან და არაარსებითისაგან. ნატურალისტური ესთეტიკის მიხედვით ხელოვნებამ უნდა ასახოს ყოველი წვრილმანი და შემთხვევითი, უმნიშვნელო და არაარსებითი, რადგან ყველაფერი თანაბრად მნიშვნელოვანი და არსებითია.

ზოგიერთმა მწერალმა გაიარა ნატურალიზმის სკოლა, შემდეგ თავი დააღწია მის გავლენას, მაგრამ ნატურალიზმის ცალკეული ელემენტები მაინც თითქმის ბოლომდე შეინარჩუნა (მაგალითად, გერჰარტ ჰაუპტმანი). ნატურალიზმის დაღმასვლის პარალელურად ლიტერა-

ტურულ ასპარეზზე გამოდიან: ნეორომანტიკოსები (შტეფან გეორგე და მისი წრე), ნეოკლასიკოსები (პაულ ერნსტი, ვილჰელმ ფონ შოლცი, ზამუფელ ლუბლინსკი და სხვები), იმპრესიონისტები (დეტლევ ფონ ლილიენკრონი, რიპარდ დემელი, მაქს დაუტენდაი და სხვები), რეალისტები (თომას მანი, ჰაინრიხ მანი, ჰერმან ჰესე, იაკობ ვასერმანი და სხვები).

ნეორომანტიზმი გერმანული ლიტერატურის ისტორიაში ფრანგული სიმბოლიზმის დაახლოებით ანალოგიური, ტოლფარდი მიმდინარეობაა. რეალიზმის გარდა, უფრო მეტი წილიწარეობა საგანგებოდ, ზაზგასხით უპირისპირდებოდა ნატურალიზმს, განსაკუთრებით ნატურალიზმის ფილოსოფიურ საფუძვლებს.

ლიტერატურა კვლავ მიუბრუნდა ირაციონალურს, მეტაფიზიკურს, მითიურს. ნატურალიზმის უსაფუძვლო და მოჩვენებითი ოპტიმიზმი შეცვალა სიცოცხლით მოყარვების გრძნობამ, სიკვდილის განდიდებამ, რწმენის შიმშილმა.

ამ დროს ლიტერატურაზე დიდ გავლენას ახდენდა ფრანგული სიმბოლიზმი (ბოდლერი, ვერლენი, მალარმე, რემბო), არტურ შოპენჰაუერის პესიმიზმი და ფრიდრიხ ნიცშეს „დიონისური ჯანყი“. ნიცშე ილაშქრებდა მატერიალიზმს, პოზიტივიზმსა და სოციალიზმის წინააღმდეგ და ამით ახდენდა ზემოქმედებას გერმანულ ნეორომანტიკოსებზე. შტეფან გეორგეს „ალგებალში“, მაგალითად, გამოყვანილია ნიცშეანური „ზეაკაი“, „ქერა ბესტია“. ნეორომანტიკოსებს ჰქონდათ ნიცშესეული დიონისურისა და ორგიასტულის კულტი, მისწრაფება მითიზირებისაკენ. მეორე მხრივ, ნიცშე რეალისტებზეც ზემოქმედებდა თავისი ვიტალიზტური პათოსით, დეკადანსის გონებამახვილი, ნატიფი ანალიზით, გერმანული ფელისტერის, ბურჟუაზიული დემოკრატიის, „ფურნალიზმის“, „სპეციალიზაციის“, გაყიდული პრესის და ა. შ. სარკაზმითა და სატირით დანადრული კრიტიკით. ზემოთნდ ფროიდის ფსიქოანალიზი ის-ისა იწყებს გერმანულ მწერალთა გონებისა და გულის დაპყრობას. რეალისტები (განსაკუთრებით ალფრედ დიობლინი — ბერლინი — ალექსანდერპლაცი, თომას მანი. — „ჯადოსნური მთა“, ჰერმან ჰესე — „ტრამალის მგელი“) აფართოებენ ტრადიციული, უკეთ, მე-19 საუკუნის რეალიზმის ცნებას. ისინი რეალისტურ-ეპიკურ ტრადიციას ამდიდრებენ ექსპერიმენტული რომანისა და პროზის ახალი გამომსახველი საშუალებებითა და ფორმებით, იძლევიან კლასიკური რეალიზმისა და ექსპერიმენტულ მიმდინარეობათა თავისებურ სანთებს. ამ დროის ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დრამატურგს, ლირიკოსსა და პროზაიკოსს ფრანკ ვედდენდს (დრამები: „გაზაფხულის გამოდგიძება“, „მონის სული“, „პანდორას კოლოფი“, „მარკიზი ფონ კაიტი“ და სხვ. ნოველა „ფელისვილის ხანძარი“), რომელიც ერთმანეთთან აერთებს რეალიზმსა და წინარე ექსპრესიონიზმს (ვედდენდი ექსპრესიონიზმის ერთ-ერთ წინამორბედადაა მიჩნეული).

ექსპრესიონიზმმა (1910—1925) განიცადა განვითარება ესთეტიკურ-ფილოსოფიურ მოძრაობიდან პოლიტიკურად აქცენტირებულ მიმდინარეობამდე. გარდატეხის მიჯნა იყო I მსოფლიო ომი. ექსპრესიონისტები უარყოფდნენ მე-19 საუკუნის მონაპოვრებს: ბუნებისმეტყველებას, პოზიტივისტურ მსოფლმხედველობას, ლოგიკას, კაუზალობას; სახელმწიფოს, ბიურგერს, ტექნიკას, უფროს თაობას მოწინააღმდეგე, მტრულ ძალად მიიჩნევდნენ. დასაწყისში ექსპრესიონიზმი ყველაფრის უარყოფელად და უგულვებელმყოფელად გვეგლინებოდა. მისი მსოფლალკმა განსაზღვრული იყო შებორკილი ინდივიდუუმის აშვების პათოსით, ამტკვეყნად არსებული დისპარათონიისა და ანარქიის განცდილთ.

I მსოფლიო ომმა პრინციპულად გარდაქმნა ექსპრესიონისტების თვალსაზრისი; მათ შეშოქმედებასა და ნააზრევში გაჩნდა ბრძოლის მოთხოვნა. მათ ომი გამოუცხადეს I მსოფლიო ომს. პაციფიზმი იცა ექსპრესიონიზმის ცენტრალურ იდეად. ადამიანმა უნდა დაძლიოს ნაციონალიზმი, შეიგნოს ომის დამღუპველობა და ვიწრო ნაციონალურის ნაცვლად კაცობრიული უნდა გაიხადოს ლოზუნგად. ახლა ექსპრესიონიზმმა მთელი კაცობრიობის, მთელი მსოფლიოს სახელით იწყო ლაპარაკი. ექსპრესიონისტებმა ბრძოლა გამოუცხადეს ხელისუფლებას, თფციალურ დაწესებულებათ, ილაშქრებდნენ მექანიზირების და ინდუსტრიალიზაციის, კაპიტალიზმისა და მილიტარიზმის, საერთოდ, ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგ. თანამედროვე ადამიანის გზაბნეულობისაგან და კრიზისიდან გამოყვანას ექსპრესიონიზმი ლაზობდა პრიმიტიულ ხალხთა ხელოვნებასთან და ბავშვის უშუალო სამყაროსთან ზიარებით. ამას გარდა, ცდილობდნენ ისეთ ეპოქებში „უკანდახვევას“, რომლებიც თავიანთი უმძიმესი ყოფით თანადროული კრიზისის ნათესაური ეჩვენებოდათ (პესიმიზმითა და სასოწარკვეთილებით გამსჭვალულ, 35-წლიანი ომის საშინელებით აღბეჭდილ ბაროკოს ეპოქაში; გოტიკის ტრანსცენდენტალიზმში და ა.შ.). ექსპრესიონისტები დაეწაფნენ ანრი ბერგსონის სიცოცხლის ფილოსო-

ფიას, რაც ილაშქრებდა ინტელექტის მეორე ცხოვრების, სინამდვილის „გამოშრობა-გახვევების“ წინააღმდეგ და ყოველივე ამას შემოქმედებით, ირრაციონალურ, სიცოცხლის გარდამქმნელ ძალას უპირისპირებდა.

ექსპრესიონიზმი „გარეგანი ცხოვრების“ წინაშე უპირატესობას ანიჭებდა შინაგან განცდას, შინაგან „თავგადასავალს“, ექსპრესიონისტები უნდა ყოფილიყვნენ „მაუწყებელნი“, ხელოვანნი, რომელთაც ჰქონდათ ნათელხილვები. ხელოვნება უნდა წვდეს „ფუფუნებას“ „არსებას“, არა ემპირიულ სინამდვილეს, არა მოკლენას, არა „გარეგნობას“, არა „არსებას“. ექსპრესიონისტული ხელოვნების მასშტაბი იყო არა ოსტატობა თუ მშვენიერება, არამედ მისი გამომხატველობის, გამოთქმის, ექსპრესიის ძალა. ხელოვნების ჰერმეტიკი ნაწარმოები ალოგიკურია. „პოეზიას შეუძლია პრინციპულად არავითარი ანგარიში არ გაუწიოს გრამატიკას“ (ლოტარ შრაიერი). ლიტერატურის ამ ახალმა თრენდებამ გამოიწვია შეგრძნობის ინტენსივირება, თავისებური პათოსი. ექსპრესიონიზმი პოეტურ ძალას ხედავდა პათეტიკურ გამოთქმაში, აულაგმავ დადასნაში. ეს ამბოვრობაქმელი, ნეტწილად ბრალმდებელი პათოსი ექსტაზშიც და ბოლოს ყბადაღებულ ექსპრესიონისტულ „ყვირილშიც“ გადაიზარდა. ამით ლამობდნენ ადამიანთა ყურადღება მიექციათ, ადამიანები გამოეფხიზლებინათ. ექსპრესიონისტები უარყოფდნენ ფორმის დახვეწაზე ზრუნვას, უარყოფდნენ ფორმალურ, პლასტიკურ, „გარეგნულ“ სილამაზეს, საამო ელერადობისაგან სწრაფვას. ერთი მხრივ, ენა ორგინალური, ბაროკული გახდა, უპირატესობა მიენიჭა თავისუფალ რიტმებს (ფერფელი, შტადლერი), მეორე მხრივ, სტილი მთლად გაიძარცვა სამკაულებისაგან, ორნამენტებისა და მორთულობისაგან (შტრაში, თრაკლი, ჰაიმი, კაიზერი). რადგან აღარ ცდილობდნენ ატმოსფერული სინამდვილის ილუზიის შექმნას, ამან ხასიათებისა და მასალის, ფაქტურის გარკვეული გაღარიბება გამოიწვია გეზის აღებამ „არსებაზე“, „ზოგადად ადამიანურობაზე“ განაპირობა აბსტრაქტული ტიპიზირება და მითიზირება.

ექსპრესიონიზმის ლიტერატურა განვითარდა „მე“-ს ლიტერატურიდან „ჩვენ“-ის ლიტერატურამდე. უნაპირო ინდივიდუალიზმსა და სუბიექტივიზმს უხდა ჩაება დანარჩენი კაცობრიობა ცხოვრების რადიკალიზებული გრძნობის ნაკადში.

ექსპრესიონისტები იყვნებდნენ ექსპრესიონისტულ გროტესკს, რასაც ექსპრესიონიზმამდე საფუძველი ვედეკინდმა და კრისტიან შორგენშტერნმა ჩაუყარეს, ხოლო კარლ შტერნჰაიმმა განავითარა და გააღრმავა. ექსპრესიონიზმის განვითარების პირველ ეტაპზე ლირიკა იყო გაბატონებული და წამყვანი ჟანრი. ის იყო ბრალმდებელი, მომწოდებელი, ამანთებელი. მთავარი ყურადღება რიტმებს ექცეოდა (ჟოტ უიტმენის გავლენა). ექსპრესიონისტული ლირიკა მდიდარი იყო შორისდებულებით, ჰარბობდა კონსონანტები — ეს ლირიკა არ იყო „არქიტექტურული“, როგორც სიმბოლიზმის ერთ-ერთი ნაკადის პოეზია. უარყოფილი იყო გონების კონტროლიც. წინადადებები ასინტაქსური გახდა, ერთმანეთს მისდევდნენ ძახილისა და შორისდებულებისაგან შედგენილი ასოციაციების წყებანი (ამ ტენდენციის გადაჭარბებამ დადასნამდე მიგვაყვანა). შოგვიანებით ექსპრესიონიზმში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა დრამამ, რომელსაც შორეული „წინაპრის“ სახით ბიუჰნერის „გოიცეკი“, ხოლო ახლობელ „ნათესაგებად“ ვედეკინდის კრიტიკულ-ექსცენტრული დრამები ეგულებოდა. ექსპრესიონისტული დრამა ლირიკულ-მონოლოგიური იყო, პერსონაჟების სიმცირით მკვეთრად განსხვავდებოდა მჭიდროდ „დასახლებულ“ ნატურალისტური პიესებისაგან. ექსპრესიონისტული დრამის გმირი მეტწილად იყო თვით ავტორის რუპორი და ასლიც. ექსპრესიონისტული დრამის მთავარი გმირი იყო „ახალგაზრდა ადამიანი“. ის უმხედრდებოდა მამას, უფროს თაობას, ძველს. აქ უგულვებელყოფილია რეალისტური დეტალი, წრე და გარემო, პერსონაჟთა სახელები და გვარები. მოქმედ პირთა სია ხშირად ამდაგვარია: „მამაკაცი“, „შვილი“, „ყვითელი ფიგურა“ და ა. შ. ექსპრესიონისტული დრამა იბრძოდა ემპირიული ილუზიის შემქმნელი სცენისა და თეატრის წინააღმდეგ (ამ მხრივ ბრეტტი ნაწილობრივ ექსპრესიონისტული დრამიდანაც გამოდიოდა, თუმც სავრთოდ და საბოლოოდ მან ექსპრესიონიზმს ფიცხელი ბრძოლა გამოუცხადა).

შედარებით სუსტად იყო წარმოდგენილი ექსპრესიონისტული რომანი (ლეონჰარდ ფრანკი, რომელიც ტიპიურ ექსპრესიონისტად ვერ ჩაითვლება და რომელმაც შედარებით მალე დათმო ექსპრესიონიზმის პოზიციები; კაზიმირ ედშმიდი, რომელშიც, როგორც ფოკუსში, თავს იყრის ექსპრესიონისტული პროზისა და რომანის სისუსტეები და რომელიც ბოლომდე ექსპრესიონისტად დარჩა). ამ რომანის სათავეებთან იდგნენ ჰაინრიხ მანი და ილფრედ დიობლინი (ძალიან ფართო აზრითა და მნიშვნელობით ექსპრესიონიზმის ფარგლებში შემოდის ავსტრი-

ული ფრანც კაფკაც, რომელიც არასდროს არ ყოფილა ფორმალურად მათ სკოლაში გაერთიანებული და მათი თანამოაზრე).

აღსანიშნავია, რომ ექსპრესიონისტთაგან, რომელთა შორისაც იმთავითვე შესამჩნევია იყო განსხვავება და, ცხადია, არ იყო ერთსულოვნება, ზოგიერთები მარცხნივ წავიდნენ და კომუნისტურ სხეებში მიარჯვნენ გადაიხარნენ და ნაციზმის შუაგულშიც კი აღმოჩნდნენ (მაგ., პანსელსტი).

შუა 20-იანი წლების ექსპრესიონიზმის პათოსი და ექსტატიურობა გახუნდა და გაიცვითა, ექსპრესიონისტი გზნება ხაზგასმული სიფხიზლითა და დისტანციებით გაგრილდა. ახალი რეალისტური პერიოდის დადგომა ისეთმა რეალისტურმა რომანებმა გვაუწყეს (თ. მანის „ჩადოსური მთა“, ჰ. ჰესეს „ტრამალის მგელი“ და ა. დობლინის „ბერლინი — ალექსანდერპლაცა“ და სხვ.), რომელთაც ათვისებული ჰქონდათ არარეალისტური, ექსპერიმენტული პროზისა და რომანის მეთოდებიც და ხერხებიც, მაგრამ ძირითადად მაინც რეალისტურ ნიდაგზე იდგნენ და ახალ ეპიკურ სამყაროს უშლიდნენ მკითხველებს.

დაახლოებით ამავე წლებში იწყება ბერტოლტ ბრეპტის ნამდვილი დიდება („სამგროშიანი ობერა“, 1928), რომელმაც სრულიად ახალ დრამას მისცა დასაბამი; ერიკ მარია რემარკის ომის თემაზე დაწერილი რეალისტურ-რეპორტაჟული რომანებიც ამ წლებში იწყებს გავრცელებას (მათ საბოლოოდ უცხოეთში მეტი პოპულარობა და დაფასება ხვდათ წილად, ვიდრე თვითონ გერმანიაში).

არარეალისტური ლიტერატურის სფეროში ექსპრესიონიზმის შემდგომი საფეხური სიურრეალიზმი იყო, რომელიც გერმანულ ლიტერატურას ნაკლებად, მხოლოდ ნაწილობრივ შეეხო.

არარეალისტურ (და ზოგ შემთხვევაში რეალისტურ) ლიტერატურაზე გავლენას ახდენდა ამ დროს ეგზისტენციალიზმი („ყოფიერება ფესურულია“, ადამიანი მოწყვეტილია ყოფიერებას, იგი არარაშია გადაადებული — მარტინ ჰაიდეგერი), და ფროიდიზმი, რომელიც ქვეშეცნეულის უღრმეს ფენებში იჭრებოდა და ადამიანისათვის გაუცნობიერებელ ინსტინქტებს აშიშვლებდა.

ამ დროს პირველ ნაბიჯებს დგამდნენ მწერლები, რომლებმაც შემდეგ გდრ-ის მწერალთა უფროსი თაობა შექმნეს: ანა ზეგერსი, ვილი ბრედელი, ლუდვიგ რენი, ფრიდრიხ ვოლფი, ჰანს მარკვიცა, ადამ შარერი, ერიკ ვაინერტი და სხვები. ცოტა ადრე სამწერლო ასპარეზზე გამოდიან აგრეთვე გდრ-ის ლიტერატურასთან მიახლოებული, გდრ-სა და სოციალისტურ ქვეყნებში განსაკუთრებით დაფასებული რეალისტები: არნოლდ ცვაიგი (რომელიც გდრ-ში დასახლდა), ლიონ ფოიბტგანგერი, ოსკარ მარია გრაფი, ლეონჰარდ ფრანკი და სხვები.

20-იანი წლების ბოლოს მომძლავრდა აგრესიულ-ანტიჰუმანიტური ნაციონალისტური ლიტერატურული მოძრაობა, რაც 30-იან წლებში ნაწილობრივ ნაციისტურ ლიტერატურულ ნაკადს შეერთო (კოლბენჰაიერი, ჰანს გრიმი, რ. ე. ბინდინგი, ი. პონტენი, ე. ლუნგერი და სხვები). შეიქმნა ე. წ. „ხალხისმეორი ლიტერატურა“ („ფოლკიშე ლიტერატურა“), რომელიც ცდილობდა ადამიანის ჩართვას კოლექტივში, თემში და სინამდვილის თავის გაგებას აფუძნებდა ხალხის, სამშობლოს და მიწის რომანტიკულ-მითურ წარმოდგენებზე. ეს მიმდინარეობა იკვებებოდა ნაცუმს საკმაოდ შეცვლილი და გადაკეთებული მოძღვრებით ზეკაცზე, ექსპრესიონიზმს გადაგვარების გამოხატულებად სახავდა, ხოლო ნეორომანტიზმს, სიურრეალიზმს და სხვა მოდერნისტულ მიმართულებათ დეკადენტობად მიიჩნევდა.


1933 წლიდან, როცა ხელისუფლების სათავეში ნაციისტები მოექცნენ, გერმანული ლიტერატურა გაიყო დაახლოებით სამ ნაკადად: 1. ანტიფაშისტური, ჰუმანიტური ლიტერატურა, რომელსაც ემიგრანტი მწერლები ქმნიდნენ (თავის მხრივ, ეს ლიტერატურაც იყო ფოდათრ ქვენაკადად: ბიურგერული რეალიზმი: თ. მანი, ჰ. მანი, ჰ. ჰესე, ა. დობლინი, ლ. ფოიბტგანგერი, ბ. ფრანკი, ლ. ფრანკი, თ. მ. გრაფი და სხვ.; სოციალისტური რეალიზმი: ი. რ. ბეჰერი, ა. ზეგერსი, ვ. ბრედელი, რ. რენი და სხვ.); 2. გერმანიაში დარჩენილი ჰუმანიტური მწერლებს, „შინაგანი ემიგრანტების“ ლიტერატურა (გ. ჰაუპტმანი, ჰ. ფალადა, ბ. კელერმანი, ფ. ვიპერტი, ვ. ბერგენგრიუნი, ვ. კესტნერი, ნაწილობრივ ჰ. კარლსა, ვ. ფ. მოლო, რ. ჰუხი და სხვ.); 3. თვითნაპირი, ნაციისტური ლიტერატურა (ჰ. იოსტი, ე. ე. დვინგერი, ჰანს ცობერლინი, ჰ. ანაკერი, ჰ. ბაუმანი, ფრ. ბლუნკი და სხვ.).

ამ პერიოდის ლიტერატურაში ნაციისტური ლიტერატურის გარდა, რომელიც ნამდვილ მწერლობად ვერ ჩაითვლება, შეინიშნება ახალი ტენდენციები და ნიშან-თვისებები. ადამიანი ლიტერატურაში იქცევა თანდათან თავისებურ სამოდულე ფიგურად, ეგზემპლარულ პერსონ-

ნაყად (თ. მანი, ბ. ბრეჰტი, პ. ჰესე), ხოლო მოქმედება, სიუჟეტი იცვლება იგაფით, პარამო-ლით.

ლიტერატურა იმსჯელება რწმენით, რომ სიმართლე, ჭეშმარიტება საფნობრივ, ემპირი-ული მოვლენის მიღმაა. ამ რწმენიდან გამომდინარეობს ამ ლიტერატურისათვის ნიშანდობ-ლივი „ტრანსპარენტულობა“, ე. ი. ემპირიული პლანის მიღმა არსებითის, მთავარის დანახვა და სიმბოლურობა; სხვაგვარი: ოდენობრივად დიდი და ბევრი სათქმელისა და გამოსათ-ქმელის შეკუმშული, კვინტ-ესენციური, კონცენტრირებული გამოსახვა პირობითი ნიშნებითა და ქარიგებებით. ქრონოლოგიური და ფსიქოლოგიური ტრადიციული კავშირები ირღვევა, ლიტერატურაში იჭრება კინემატოგრაფის ბერხები („წაფენა“, მსხვილი პლანი, მონტაჟი, სი-მულტანობა). პროზასა და რომანში უფხვს იკიდებს ესეიზში, კომენტარი, მედიტაციები, ციტა-ტები, პაროდია, ირთნია (თ. მანი, პ. ჰესე, ი. დიობლინი და სხვ.).

□



ჰერბერტ ბუხოლსკი — „რიუზენდამთან“, 1958



უტეფან გეორგი

ჩამოღრჩობილი

გერმანულიდან თარგმნა თამაზ ჩხენკელით

მე ჩამოგხსენი. რაიმეს თქმა ინებო იქნებ.
 როცა გინებით მიმათრევდნენ კარიბჭისაკენ
 და ღრიალცელით თან მომდევდა მთელი ქალაქი.
 თვითეულ კაცში, — მათში, ვინც მე მუშტს მიღერებდა,
 ან ქვას შესროდა, ან სხვების ზურგს მოფარებული
 ჩემკენ იშვერდა თითხ, დამფრთხალი და ფერწახული,
 ან ლაღად დოინჯშემოყრილი ზიზლით მიცქერდა, —
 მე ვჭვრეტდი ცოდვას ჩემნაირსგე, თღონდ შიშისგან
 გატრუნულს, ლაგამამოდებულს და სახეშეცვლილს.
 როდესაც კიბე ავათავე, მსაჯულებისთვის —
 მე ქვედამხედი სიბრაღულით რომ მაყურებდნენ —
 შინდთდა პარში მაქესალა: „ნუთუ ვერა გრძნობთ,
 თქვენთვის რაოდენ საჭიროა ეს ბოროტება?“
 იმ სათნოებას, — რაც გავქედე, მათსა და ზნესრულ
 ქალთა სახეზე, — რითშიც რომ არ ყოფილიყო, —
 ახეთი სრული სახიობით, ნათლად, სავსებით
 მხოლოდ ეს ჩემა შეცოდება გამთაჩენდა.
 როდესაც ყულფი გადამაცვეს, ჩემს გარდაუვალ
 და საბოლოო გამარჯვებას წინასწარ ვჭვრეტდი:
 მე — დამარხული, თქვენს ტყინებში ძღვევამოსილად
 შემოვიჭრები... და თქვენს თესლში დაბუდებული
 უკვდავ გმირივით ვიმოქმედებ, ვისაც ღვთის მსგავსად
 ქებათა ქებას უგალობენ... და ვიდრე რამეს
 მოისაზრებდეთ, სალტედ შევკრავ ამ უძრავ ბოძებს.

□



კლავუნდი

დათვი

გერმანულიდან თარგმნა კარლო ჯორჯანელიმა

ეს ნაკვეთი გრიმების ზღაპარებით იწყება, მაგრამ ზღაპართ არ არის. იგი არც ნამდვილი ნაკვეთია, რომელსაც აუცილებლად დასკვნითი აკორდი უნდა ახლდეს, თუ ბოლომდე სრულქმნილია ობოლი მარგალიტით, თუ ბრწყინვალე მორალით არის გაცისკროვნებული. კაცმა რომ თქვას, ეს ნაკვეთი თითქმის ნამდვილი ამბავია, რომელიც ერთ პატარა ქალაქში მოხდა, სადაც ამას წინათ სტუმრად ვიყავი. იგი სხვა არაფერია, თუ არა ომის საშინელებისადმი მიძღვნილი სავალალო და კუროზული არაბესკა, — იმ ომისა, სადაც საზღვარგარეთ რომ გაუჩაღებიათ (აქედან შორს, პატარა ქალაქმა არ უწყის, სახელდობრ სად...).

იმ დღეს, როდესაც გერმანიამ რუსეთს ომი გამოუცხადა, პატარა ქალაქში მთელი დედამიწის ზურგზე სახელგანთქმული ჯადოქარი ფრანსისკო სალანდრინი ჩავიდა და იქ წარმოდგენების გამართვას, თავისი საიდუმლოებით მოცული ხელოვნების ჩვენებას აპირებდა. ასე გასინჯეთ, წყლის ღვინოდ და ღვინის წყლად გადაქცევაც კი ძალუჭდა. სოფლელ ჯეილებსა და პროვინციული ქალაქების პირდაღებულ ჭაბუკებსა და მოციხნარ გოგოებს, ვითომც აქ არაფერიათ, სულ ტყაპატყუპით აყრევინებდა ტალერებს ცხვირიდან და ყურებიდან, თან ქვევიდან თავის პრილა შავ ცილინდრს უშვერდა, თუმცა აშკარად ეტყობოდა, რომ თვითონ ერთი ვერცხლის მონეტაც არ უქყაოდა. უკვე ხსენებულ ცილინდრში, რომელიც, როგორც ჩანდა, რაღაც მაგიური ძალით იყო დამუხტული, ნახევარ დუჟინ უმ კვერცხს ჩაახლიდა და შიგვე, უცეცხლოდ და უტაფოდ, ნუგბარზე ნუგბარ ომლეტს აცხობდა.

ბატონ სალანდრინის ფანჯრებიანმა აგურისფერმა ოთხთვალამ, რომელშიც ყურებჩამოყრილი ბებერი ლაფშა ება, რახრახით გადაიარა ოდერის ხიდი და ქალაქში შეგორდა. ბატონ ჯადოქარს თან ახლდნენ მისი მეუღლე ბელა, იგივე „გველივით მოქნილი ასული“, „პაერში მონანავე ქალწული“, „არამქვეყნიური მედიუმი“ და მავანი არსება, პროზაული სახელი — ჰუგო რომ ერქვა.

ბატონ სალანდრინის მსოფლიო ისტორიითა და პოლიტიკით ჯერ არასდროს არ შეეწუხებინა თავი (და არც მომავალში აპირებდა ამას, ვინაიდან

გადასახადების გადახდის არც თავი ჰქონდა და არც სურვილი). იგი დიდად გაოცდა, როდესაც პატარა ქალაქში ერთი ალიაქოთი დახვდა: ქუჩებში ხალხი ირეოდა, ბავშვები გაპყვიროდნენ და მღეროდნენ, ქალები შეშფოთებულნი იცქირებოდნენ ფანჯრებიდან.

მაგრამ ბატონმა სალანდრინიმ მაინც დინჯად, გულდაგულ წარმოეცა თავისი ეკიპაჟი მარილის მოედნისაკენ, სადაც ბაზრობის დღეებში ფარდულები ბრწყინავენ და მხიარულად ტრიალებენ კარუსელები, რათა იქ თავისი „საინტერესო ჯადოსნური სპექტაკლი“ წარმოედგინა.

ის იყო „მონანავე ქალწულის“ დახმარებით პირველი პალო ჩაარჭო მიწაში, ზედ თოკი დაახვია და ჰუგო დააბა, რომ ჩასუქებული პოლიციელი ნოიმანი სხარტი ნაბიჯით მათკენ გამოეშურა და თავაზიანად, მაგრამ ამავე დროს კატეგორიულად განუმარტა: თავს ნულარ შეიწუხებთ „საინტერესო ჯადოსნური სპექტაკლის“ გასამართავად, ომი ატყდა და დღეს სალამოსათვის დაგეგმილი წარმოდგენა სერიოზული ვითარების გამო, ბიურგერმაისტერის აზრით, აღარ შეიძლება ნებადართულ იქნესო. ახლა ცილინდრში გამომცხვარი ომლეტისა და გულთმისანი ჰუგოსათვის ვისღა სცალია, ამ ახირებულ სისულელეებს ახლა ვინღა დაუწყებს ყურებას. შეგიძლიათ თქვენი „საინტერესო ჯადოსნური სპექტაკლი“ უფრო ხელსაყრელი დროისათვის შემოინახოთო. უთხრა ეს და პოლიციელი ნოიმანი უკუიქცა, ისევ ისეთი თავაზიანი, მაგრამ ამასთანავე კატეგორიული გამომეტყველებით, როგორითაც მოვიდა.

ბატონი სალანდრინი, თითქოს თავში რაღაც დასცხესო, გაოგნებული იდგა. თავის დღეში არ ეგონა, რომ საერთაშორისო კონფლიქტს შეიძლებოდა მისთვის ხელობა და ლუკმაპური წაერთმია. და არც ჰუგოს, გულთმისანსა და წინასწარმეტყველ დათვს ამის შესახებ არაფერი არ უცნობებია მისთვის, უფრო მეტიც, ეტყობოდა, თვითონაც გუჟანში არ იყო, რომ საშინელი უბედურება, საავდრო ღრუბელივით რომ ადგათ თავზე, მასაც ემუქრებოდა. მშვიერი მოკუნტულიყო პალოს გვერდით, ბრჭყალებს იწიწკნიდა თათზე ბალღით და გაფაციცებული ისე უაზროდ იცქირებოდა, რომ სიცილის საღერდელსაც ავიშლიდათ და შეგადრწუნებდათ კიდევ.

ბატონი სალანდრინი ხელნაზე ჩამოჯდა და მთელი დღე იმას ფიქრობდა, რა ეღონა, რითი ერჩინა თავი და ოჯახი. მისი ნამდვილი სახელი და გვარი წორს კრაუტიკერლი გახლდათ. ბამბერგელი იყო. ჯარში არ წაიყვანდნენ, სამისოდ უკვე ერთობ ხნიერს. სხვაფრივ კი, ეს ნათლად შეიგნო, ახლა ვინღა გაუწევდა თანაგრძნობას, ვინღა დაუფასებდა ხელის სიმარდეს, ანღა გულთმისანი დათვის საოცარ ნიჭიერებას?

არა ერთი და ორი დღე დააღამა ფიქრში. შემდეგ ბიურგერმაისტერის კანცელარიაში მივიდა და ითხოვა: რაიმე სამუშაო მომეცით, თუნდაც სულ უმნიშვნელოო. „ჰაერში მონანავე ქალწული“ და დათვი კი მოედანზე დარჩნენ, დაძმურად გაიყვეს გამხმარი პურის ქერქი და გულის ფანცქალით ელოდებოდნენ.

ბატონი სალანდრინი გახარებული დაბრუნდა: გაზის ქარხანაში ცეცხლფარეზად იწყებდა მუშაობას. სულ არარაობას მაინც სჯობდა, თუმცა შიგ ბევრიც არაფერი ეყარა, რადგან ხელფასი ერთ სულსაც გაჭირვებით თუ ეყოფოდა (ცეცხლფარეშებს მშვიდობიანობის დროსაც კი არავინ აფასებს). ასე რომ, ახლა „ჰაერში მონანავე ქალწულსაც“ ასე თუ ისე უზრუნველყოფდა —

თანაც იქნებ ჰურჭლის მრეცხავად მოეწყო სადმე, მაგრამ რა ექნა თავისი საყვარელი კერპისა და განძისათვის — შიმშილისაგან ისედაც უკვე ლამის სულამომხდარი პატარა დათვისათვის?

მეორე დღეს გაზეთში განცხადება გაჩნდა: „კეთილშობილი ბატონებო! გთხოვთ საჭმლის ნარჩენებს ჯადოქარი სალანდრინის გულთმისპნი დათქმისათვის“. ჰოდა, ამიერიდან დათვი ჰუგო კეთილშობილ ბატონთა საჭმლის ნარჩენებით იკვებებოდა. ოღონდ ეს ნარჩენები არც ისე უხვად მოსდიოდა, რომ მუდამ მაძღრისად ეჭამა. მარილის მოედანზე იჭდა, პალოზე გამობმული, „მონანავე ქალწული“ პატრონობდა და თან თეთრეულს აკერებდა. დათვს შემოდგომის წვიმა უსველებდა ბეწვს. ბოლოს შემოდგომაც მიიწურა და საბრალო პირუტყვი იყინებოდა, სიცივისაგან ცახცახებდა და ტყვიისფერ ზეცას დამფრთხალი გასცქეროდა დაღლილი თვალებით. „მონანავე ქალწული“ ტიროდა.

მაშინ ბატონ სალანდრინის კარგი აზრი მოუვიდა თავში. ის ხომ ცეცხლფარეშად მუშაობდა გაზის ქარხანაში. ადგა და მაგისტრატს სთხოვა, ნება მიეცათ დათვი გაზის ქარხნის ერთ ხალვათსა და თბილ საამქროში დაებინაგებინა დიდი ღუმელების გვერდით. მაგისტრატმაც ნება დართო, დამშეული და დაუძლურებული პატარა დათვი ვის რას დაუშავებსო. იმ დღიდან ჰუგო ერთთავად ხისგისოსიან კარს მიღმა იყო დაყუნცული და ნაღვლიანი თვალებით მისჩერებოდა ღუმელთა ცეცხლოვან ღვეღვსა და ლაღარს. დროდადრო ქარხნის ინსპექტორის შვილები ესტუმრებოდნენ ხოლმე, მოუტანდნენ ფაშარი პურის ნაჭერს ანდა ნამცხვრის ნახორხლებს და ისიც ყველაფერს ნთქავდა, რასაც პირში სჩრიდნენ.

ერთ დღეს კი მკვდარი დახვდათ ვისოსის მიღმა და მის მუქ ყავისფერ, გაქუცულ ბეწვს ღუმელთა ვარდისფერი შუქი დასთამაშებდა.

ბატონ სალანდრინის თავზარი დასცა ამ ამბავმა, მაგრამ ცეცხლფარეშში იყო და ბევრი ფიქრის დრო როდი ჰქონდა. „მონანავე ქალწული“ კივილით დაემხო მკვდარ დათვს და ეს სურათი ძაღვზე წააგავდა პილოტის¹ ნახატს.

გაურკვეველი გახლდათ, გაზით მოიწამლა დათვი, თუ ცუდმა კვებამ მოუღო ბოლო.

ბატონმა ვექილმა კ-მ ბატონ სალანდრინისაგან დათვის ტყავი შეისყიდა. ბატონი კ. ქალაქიდან წასვლას და ც-ში ახალი პრაქტიკის დაწყებას აპირებს. წინასწარმეტყველი დათვის ტყავს თავის კაბინეტში დაჰკიდებს კედელზე და როცა მეგობრები ესტუმრებიან, დიდის ამბით მიუთითებს ტყავზე, სიგარის ფერფლს დაუდევრად დაბერტყავს და დარდიმანდულად დაიწყებს მოყოლას: — მე რომ მთაში დათვზე ვნადირობდი ხოლმე...

¹ კარლ ფონ პილოტი (1826—1886) — გერმანელი მხატვარი, მასწავლებლობდა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში. მისი ნახატები პათოსითა და სცენურ ეფექტებზე დამყარებული კომპოზიციით გამოირჩეოდა.

გეორგ ჰაიში



გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა

* *

ღურჯად შეღება ზეცამ
არე მდინარის მთელი:
ყოველ სესა და რტოში
წყალივით ჩადგა ფერი.

როს დაეშვება მწუსრი
და იხურება თვალი,
თითისწვერებზე მოდის
მსუბუქ სიზმართა ჯარი.

ღრუბლის გემები თეთრი
ვლიან უსშირეს აფრით.
წაშლის ქარი და შუქი
ზეცის მჭვირვალე ნაპირთ.”

ზარის წკრიალი მათი
ოდნაე წამწამებს არხევს.
ზოგი ჩურჩულებს, სანთლის
შუქი უნათებს სახეს.

□

კურტ ტუსოლსკი

ანეკდოტი

გერმანულიდან თარგმნა ზურაბ ჩხენკელმა

ბატონო პანთერ, გუშინ ისეთი შესანიშნავი ანეკდოტი გვი-
თხრეს, რომ... არა, აუცილებლად უნდა გიამბოთ. ჩემმა
ქმარმა უკვე იცის. გადასარევი ანეკდოტია. აბა, ყური მიგდეთ. ერთ კაცს...
ვალტერ, თუთუნს ხალიჩაზე ნუ ყრი. საფერფლე ცხვირწინ გიდევს... ჰო, ერთ
კაცს, არა, ერთ მგზავრს თურმე გზა დაებნა მთაში, ალპებში გზა ველარ გა-
იგნო. რაო? კი ბატონო, დოლომიტები იყოს და არა ალპები, რა მნიშვნელობა
აქვს. პოდა, გზას რომ ეძებდა იმ ღამეში, სინათლე დაუნახავს და პირდაპირ

მისკენ წასულა... დამაცადე მოყოლა!.. წასულა იმ სინათლისკენ და მიბდგა თურ-
მე ერთ ქოხს, სადაც ერთი გლეხი და მისი ცოლი ცხოვრობდნენ. ^{ესი ბებე-}
რი იყო, ქალი კი ნორჩი და ლამაზი... კი ბატონო, სულ ქორჯა იყო. იწუნენ.
არა, ჯერ არა..

ერქუნული

— ჩემმა ცოლმა ანეკდოტის მოყოლა არ იცის. მე ^{დამაცადე მოყოლა} ^{ესი ბებე-} ^{რი იყო} ^{ქალი კი ნორჩი და ლამაზი} ^{კი ბატონო} ^{სულ ქორჯა იყო} ^{იწუნენ} ^{არა, ჯერ არა..}
მერე თქვი, ასე იყო თუ არა. ჰოდა, მე მოგიყვებით. მოკლედ, ერთი კაცი
დოლომიტებში ხეტიალობდა და გზა დაებნა. ბოლოს მიადგა... თავგზა ნუ ამიბ-
ნიე, ასე არაა ეგ ანეკდოტი, სხვანაირადაა. თანაც სწორედ დოლომიტებში
ხდება ამბავი. დოლომიტებში ცხოვრობს მოხუცი გლეხი თავის ახალგაზრდა
ცოლთან ერთად. სახლში თურმე საჭმელი სულ აღარ ჰქონდათ; მომავალ ბაზ-
რობამდე ცოტა საქონლის ხორცილა დარჩენოდათ. ჰოდა, იზოგავენ ამ ხორცს.
ამ დროს მოდის... რაო? არა, სწორედაც რომ ასეა! გაჩუმდი... შუალამისას კი
მოდის ვიღაც მგზავრი, აკაკუნებს კარზე — გზა დამებნა, ღამე გამათევითო. —
ჰოდა...

— ვალტერ! ფერფლი! საფერფლეს ვერ ხედავ?

— ჰოდა... დგას მგზავრი ქოხში, წყალი წურწურით ჩამოსდის, წაქცევა-
ზეა კაცი, ისეა დაღლილი. გლეხი ეუბნება, ჩემს ცოლს შეუწეჭიო ლოგინში.

— არა, ასე არ იყო. ვალტერ, სულ სხვა ანეკდოტს ყვები! შუაში, ცოლსა
და ქმარს შუა უნდა ჩაწოლილიყო მგზავრი!

— შუაში იყოს, ბატონო. რა მნიშვნელობა აქვს.

— სწორედაც რომ აქვს... მთელი მარილი ეგაა.

— ანუ კაცი სად დაწვება, არა?

— რა თქმა უნდა! ასე როგორ უნდა გაიგოს ბატონმა პანთერმა ანეკ-
დოტი... მე დამაცადე ახლა, მე მოვუყვები! ჰოდა, დაიძინა თურმე ამ კაცმა,
გლეხსა და მის ცოლს შუა. გარეთ კიდევ აედარია. დამაცადე ერთ წუთს!

— სწორად არ გიყვებათ. აედარი სადაა, არხეინად სძინავს ყველას. უცებ
გლეხს გაეღვიძა და ცოლს უთხრა — ტრუდუ, მიდი ტელეფონთან, ვიღაც რე-
კავს. — არა, ეს კი არ უთხრა ცოლს... ცოლს ასე უთხრა... ვინ არის? მე მირე-
კავენ? უთხარი, მოგვიანებით დარეკოს — არა, ახლა არ მცალია! ჰო, არა. კი.
დაკიდე! დაკიდე ბოლოს და ბოლოს!

— დაამთავრე ანეკდოტის მოყოლა? ჯერ არა? მოყევი, რაღას უყურებ.

— ჰოდა, გლეხმა ასე უთხრა ცოლს: გარეთ უნდა გაიდე, თხებს დავხე-
დო — ვაითუ აიშვეს და ხვალ ურბეოდ დავრჩეთო! ფარების კარსაც ვნახავ,
კარგად თუა დაკეტილიო.

— ვალტერ, მაბატიე, რომ გაწყვეტინებ, მაგრამ პაულმა თქვა, მოგვიანე-
ბით ვერ დავრეკავ, საღამოთი დავირეკავთო.

— კარგი, საღამოს იყოს. ჰოდა, ეს გლეხი თურმე — მიირთვით კიდევ
ყავა! — ჰო, გასულა გლეხი გარეთ. ის იყო, კარი მოიხურა, რომ გლეხის ქალ-
მა მუჯღუგუნი ჰქრა...

— ტყუილია, სულ ტყუილია. ერთხელ კი არა, სამჯერ ჰქრა. გლეხი ხომ
სამჯერ გავიდა გარეთ — ამაზეა, სიცილით რომ ვკვდები!

— მაცალე-მეთქი! ჰოდა, გასულა გლეხი გარეთ, თხას დავხედავო. ის თხა
თავის ადგილზე დახვდა და გლეხიც უკან დაბრუნდა.

— ტყუილია. გლეხი დიდხანს დარჩა გარეთ. ამასობაში ქალმა უთხრა
მგზავრს...

- არაფერიც არ უთქვამს, ერთი სიტყვით, გლეხი უკანვე შემოსულა...
- ჯერ არ შემოსულა!
- მოიცა... გლეხი შემოსულა. ცოტა წაუძინა, მერე უცებ ისევ შეხვდა წა-
მობტა, თხას ერთხელაც უნდა დავხედოთ, და ხელმეორედ გავიდა გარეთ.
სულ დაგვიწყდა გეთქვა, მგზავრს რომ საშინლად შია!
- ჰო, მგზავრმა ვახშობის დროს თქვა, საშინლად მშაო, გლეხებმა კი
უთხრეს, ცოტა ყველი გვაქვსო.
- რძეც!
- ცოტაც რძე, ცოტაოდენი ხორციც მოგვეძვევაო, მაგრამ ვერ გავიმას-
პინდლებით, რადგან ეს ყველაფერი მომავალ ბაზრობამდე უნდა ეიმყოფი-
ნოთო. მერეცა წავიდნენ დასაძინებლად.
- პოდა, გასულა თუ არა გლეხი გარეთ, ქალმა ისევ მუჯღუგუნი პკრა
მგზავრს და უთხრა: აბა...
- არა! სრულებითაც არა! ვალტერ, ტყუილს ამბობ! ქალს სრულებითაც
არ უთქვამს, „აბაო“!
- სწორედაც რომ „აბაო“, თქვა! სხვა რა უნდა ეთქვა?
ქალმა უთხრა: ახლა გვაქვს დრო...
- პირიქით, აბაო უთხრა, და მგზავრს ფერდში წაპკრა...
- ვალტერ, სულ გააფუჭე მთელი ანეკდოტი!
- აბა უყურე! მე გაეაფუჭე ანეკდოტი? მე კი არა, შენ გააფუჭე — რო-
დის გამაფუჭებია ანეკდოტი! გლეხის ქალმა უთხრა...
- ახლა მე მოვყვები! შენ ხომ მთელი ეშხი დაუკარგე!
- ტრუდე, არ გამაცოფო, იცოდე! რაკი დავიწყე ანეკდოტის მოყოლა,
ბოლომდე მე უნდა ჩავათავო...
- შენ კი არა, მე დავიწყე!
- რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაიწყო, უბრალოდ, მინდა ეს ამბავი ბო-
ლომდე ჩავათავო. შენ სად შეგიძლია რაიმეს მოყოლა, რომც მოჰყვე, ყველა-
ფერს აურ-დაურეც.
- ჩემს ამბავს ისე მოვყვები, როგორც მე მინდა, და არა ისე, როგორც
შენ. თუ არ მოგწონს, ყურს ნუ მიგდებ!
- არც დაგიგდებ... მე ბოლომდე მინდა მოვყვე და თანაც ისე, რომ ბა-
ტონ პანთერს ესიამოვნოს!
- ნეტა მართლა თუ გგონია, დიდი სიამოვნებაა შენი მოსმენა...
- ტრუდე!
- აბა, თქვენ მითხარით, ბატონო პანთერ, შეიძლება ამის ატანა! ასე ძარ-
ღებმოშლილია მთელი კვირა... მე...
- შე...
- თავი შეიკავე...
- ახლა იტყვის, კომპლექსიო! დედაჩემი ამას ცუდ აღზრდას ეძახის...
- მერედა, ვინ ჩააწყო და შეატრიალა საქმე მოსამართლესთან? ვინ?
მე თუ შენ? შენ არ ითხოვე, განქორწინება არ...
- ტყუილია!
- ჯახ — მიჯახუნდა მარჯვენა კარი. ჯუბ — მოჯახუნდა მარცხენა, ანეკდოტი
კი დაუმთავრებელი დარჩა.
- ნეტა რა უთხრა მგზავრმა ახალგაზრდა გლეხის ქალს?

16292



✦ მარტის საბ. საქ. ხსრ
 ახლდმწიფო სკუბლაჯ.
 ბიბლიოთეკა

კერმან კისტენი



შეხვედრის პალ-პატივის სიკვდილი

გერმანულიდან თარგმნა ნელი ავაშუსკაძემ

ქალაქს გაეცალნენ. ღამე ნიძიმე ღრუბლებად ეშვებოდა დედამიწაზე. ასეთი დღეები შემოდგომით ხშირია. კარგა ხანს იარეს ჩამოცვენილ მტკნარ ყოთლებში და დღეც მიიწურა. დაღლილობისაგან მუხლები დაუნძიმდათ. მხოლოდ ერთხელ, მწუხრის დადგომამდე, ცა ერთი საათით მოიწმინდა და ღრუბლებში ლურჯად აკიაფდა. შათ იმედი მიეცათ, იქნებ გვეშეელოსო. მაგრამ როცა ცივმა ქარმა დაუბერა და ცაზე ერთი ვარსკვლავიც არ აეხათ, როცა ქალაქის განაპირა ქუჩებს გასცდნენ, სახლები ჯერ დადაბლდნენ, ხოლო შემდეგ მხოლოდ აქა-იქლა მოჩანდნენ და ბოლოს სულ გაქრნენ კიდევ, როცა გზის ორივე მხარეს მოუყვლევი ყანები გამოჩნდა, სოფლის მარაგზაზე გასულთ, სადაც ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებული გაზის ლამპიონები ყვითლად ციმციმებდნენ, სრულიად წარეკვეთათ სასო. ხელები ისე ჩაეჭიდათ ერთმანეთისადვის, როგორც ბავშვები ჩაბლუჯავენ ხოლმე ფულს. ფეხებს ძლივს მიათრევდნენ, ბილიკი ისე ექაჩებოდათ, თითქოს თიხით იყო მოგლესილი. ღონემიხდილნი მილასლასებდნენ და მათსა და სიბნელეს შორის ჩამოწოლალ სივრცეს გაპყურებდნენ. სივრცის ამ მონაკვეთში ისინი ხედავდნენ თავიანთი სასოწარკვეთის უმძიმეს დასასრულს — სიკვდილს.

ორივენი თვრამეტი წლისანი იყვნენ. სიყმაწვილის თავგადასავლებით სავსე, უმძიმესი და უგრძესი ხანა უკან მოიტოვეს. ვაყს პიჯაკის მარცხენა ჯიბეში გატენილი რევოლვერი ედო, დროდადრო ხელს შეახებდა და მის სიცივეს ისე გრძობდა, როგორც ღვთიამოსავე კაცი შევიგრძნობს ღმერთს, უკანასკნელ ნუგეშს. ვაყი გიმნაზიის მოსწავლე იყო.

ქალი, რომელსაც საკუთარი ქალური ღირსება წესიერად შეგნებულაც კი არ ჰქონდა, ოცი ღამე ვაყთან ერთად იწვა ერთ საწოლში და ახლა თავი ცოდვილად მიაჩნდა, რადგან დედათა წესი დაერღვა და მანაც უფლის წყალობა წყველად მიიჩნია. ფეხმძიმობამ პირველად გააოგნა, არ უნდოდა დაეჯერებინა, ასე ფიჭრობდა, კაცმაც და ღმერთმაც გამწირეს, საწარულ ამბავში გამხვიესო. ეგონა, უცნაურმა ავადმყოფობამ სულ სხვა არსებად აქცია, ისევე როგორც ზღაპარში ბოროტი ჯადოქარი გადააქცევს ხოლმე მეფის ასულს მოყრანტალე ყორნად ან პირმოხეულ ბაყაყად. შემდეგ ღმერთს ემუდარებოდა,

სასწაული მოეხდინა, მაგრამ როცა არც ამან გაჭრა, გამოსავალი მხოლოდ სიკვდილში დაინახა.

ქალს სახელად ლიზე ერქვა და სასამართლოს მდივნის ერთადერთი ქალიშვილი იყო. ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დედა მოუყვდა, ლიზე იმ დღიდან მოეწვა თავის სულელურ, ფაიფურის წითელლოყვებამ და დაეჭრა თავის თავს, რადგან სკოლაშიც უნდა ევლო, საჭმელიც გაეკეთებინა, ბინაც დაეღებინა და სარეცხიც გაერეცხა. მამას ქალიშვილი უყვარდა, მაგრამ საუბედუროდ იგი იმ ადამიანებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ფიქრობენ, სიყვარულსა და სინაზეს ამ ქვეყანაზე ვნების მეტი არაფერი მოაქვსო და ამიტომ სიბკაცრისა და უხეშობის ნიღაბს იფარებენ სახეზე. ოჯახის უფროსმა რომ შეამჩნია, მისი ქალიშვილი და ლამაზი, გაზარმაცებული გიმნაზიელი ყმაწვილი, მდგმურად რომ ცხოვრობდა მათ სახლში, ერთმანეთს ნაზად შესციცივნებნო, არ მოეწონა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მამას ბევრი ფიქრით თავი არ შეუწუხებია, შიშისაგან გაფითრებულ ქალიწვილს, რომელიც ისე ცახცახებდა მთელი ტანით, თითქოს თავზე მკვლელი ადგასო, დაკითხვა დაუწყო, მაგრამ სიბართლე მაინც ვერ დააცდებინა. მამა ემუქრებოდა, თუ მატყუებ და გიმნაზიელთან უფრო ახლო ურთიერთობა გაქვს, უბატრონო ბავშვთა სახლში გზავნავნიო. ქალიშვილის თამამ უარს ენდო ბრიყვი მამა, რომელსაც დავიწყებოდა, რომ კანონების, ზნე-ჩვეულებათა და ტრადიციების მიზანი მხოლოდ დასჯა, დაჯარიმება და შურისძიება კი არ არის, არამედ ის, რომ ცხოვრება უფრო საიმედო და ლამაზი გახადოს. მან დაღწერა ქალიშვილს, რადგან დავიწყებოდა თავისი ახალგაზრდობა და ისიც, რომ თვითონაც ატყუებდა ახალგაზრდობაში მანამასს.

მაგრამ კაცი საკმაოდ კარგად იცნობდა ცხოვრებას, მართალია, შვილს დაუჭერა, მაგრამ უფრო მშვიდად რომ ყოფილიყო, კეთილი გიმნაზიელი იმ დღესვე გაავდო სახლიდან. გიმნაზიელი, რომელსაც ალბერტი ერქვა, სასოწარკვეთილებას მიეცა. მას უყვარდა ლიზე და უშიშოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა. იცოდა, რომ არსებობდნენ ადამიანები, რომელთაც ლიზე არაფერში სჭირდებოდათ, მაგრამ სულის სიღრმეში ამის აღიარება უჭირდა, რადგან მის თვალში იმ ადამიანების ცხოვრებას, რომელთაც ლიზე არ სჭირდებოდათ, არავითარი ფასი არ ჰქონდა, უფრო მეტიც, მათზე ლამაზაკიც კი არ ღირდა, რადგან ცხოვრობდნენ უწყვეტად. უაზრო, უგულური და ცარიელი ცხოვრებით. ღმერთს დაეიწყებოდა ისინი.

გაუბედურებული შეყვარებულები ერთმანეთს მუორე დღეს, ნაშუადღევს შეხედნენ, როცა ლიზეს მამა სასამართლოში იყო. კრინტი არ დაუძრავთ, დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი სიკვდილია. ამიტომაც კანკალებდნენ, შიშით ილუოდნენ. ეს შემთხვევა რომ არა, რაინი დიდხანს და ბედნიერად იცხოვრებდნენ და ისევე ეყვარებოდათ ერთმანეთი, როგორც ყველას; თუ ყველას არა, უმეტესობას, თუ უმეტესობას არა, ზოგიერთებს მაინც რომ უყვართ. მაგრამ ვერც გამოსავალს ხედავდნენ და არც უერთმანეთოდ შეერღოთ ცხოვრება. ერთად ცხოვრების უფლება კი არ ჰქონდათ. ამიტომ უნდა მომკვდარიყვნენ.

ასეთი იყო მათი ბედი.

ვაჟმა რევოლვერი ვიღაც შეძველმანისაგან იყიდა და გატენა. სწოლა იცო-

და, რადგან ახალგაზრდობის ერთ-ერთი ფსევდონიმიტარისტული კავშირის წევრი იყო. ისინი ბნელით მოცულ ცის ქვეშ მიპყვებოდნენ მინდორებს და არაფრის იმედი აღარ ჰქონდათ.

იმის გამო, რომ ცრემლს ღვრიდნენ, ერთმანეთისა რცხუნობდნენ ამიტომ თავისთავის, ჩუმად ტიროდნენ. ბოლოს ტირილი შეწყვეტეს, უჩინარად მიადგნენ, ზემოთ აცოცდნენ და შეჩხერ ტყეში აღმოჩნდნენ. ტყეში შესცივდათ, ცრემლი მოიწმინდეს, ირგვლივ მხოლოდ გაძარცვულ ხეებს ხედავდნენ. შემდეგ დაწვნენ, მიწა წებოვანი იყო და მასზე დახვავებული მკვდარი, ფერდაკარგული ფოთლები შარიშურობდნენ. ქალ-ვაჟს ერთმანეთის ალერსი მოენატრა; მათი კოცნა ხან ცეცხლივით მწველი იყო, ხანაც ყინულივით ცივი. აღევზნენ და ბოლოს მოეშვნენ ერთმანეთს.

ტოტებში რაღაცამ გაიფასოება, ვერაფრით ვერ მიხვდნენ, ცხოველი იყო თუ ქარი. ლიზეს სციოდა, შიშმაც აიტანა. გული ისე შეეკუმშა, თითქოს სადაცაა დაიღევა და გაქრებაო და მართლაც ხომ უნდა დავიღო და გავქრე, ვაიფიქრა ლიზემ და ვაჟს მიმართა:

— ოღონდ ჩქარა, ალბერტ, ჩქარა, ამდენს ვეღარ გავუძლებ, ჩქარა, დამაყენე საშველი, ახლავე, ალბერტ, ჩემო საყვარელო. ნუთუ ეგ აუცილებელია? პო, აუცილებელია! ახლავე, ახლავე!

ალბერტმა გიბიდან რევოლვერი ამოიღო და ქალს უთხრა:

— პირველად შენ გესვრი... ვერ შენ.

ეყოფა კი მერე გამბედაობა, თავი მოიკლას? — გაიფიქრა უეცრად ლიზემ, მაგრამ ამ დროს ალბერტმა უთხრა:

— შენ რომ მოგკლავ, თავსაც მოვიკლავ, მე მკვლელი ვიქნები და მკვლელს ამქვეყნად რაღა მაცოცხლებს.

— კარგი, — წასჩურჩულა ლიზემ, — კიდევ ერთხელ მაკოცე.

ალბერტმა აკოცა და უეცრად გოგონას სველი ტუჩების კოცნამ ზიზღი მოჰგვარა, თან მისი სხეულის სუნიც იგრძნო და გონება აემღვრა, გოგონასადმი ზიზღი ყოველწამიერად იზრდებოდა, ასეთი ძლიერი გრძნობა თავის სიცოცხლეში არ დაუფლებია. ეზიზღებოდა ლიზე, ეს მაკე ცხოველი, რომელიც უნდა მოეკლა, ეს იყო და ეს... ფიქრის თავი არ ჰქონდა, რაღაც უნდა ეღონა.. მაგრამ რა... ეს აზრი კომშარბივით, მძიმე ტვირთივით აწვა. ქალს მკერდზე ხელი მოუთათუნა, მერე უეცრად ისე მოუჭირა, რომ გოგონას გმინვა აღმოხდა, რევოლვერი გულზე დაადო. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, იგრძნო, რომ ქალი შეკრთა და დაკრუნჩხული ხელებით ისე ღონივრად უჩქმიტა ფეხში, რომ ალბერტი კინაღამ აღრიალდა... მან სასხლეტს თითი გამოკრა... ერთხელ, მეორედ... მაგრამ სროლის ხმა ვერ გაიგონა, ვერაფერი იგრძნო... დრო გაჩერდა, ადგილიდან აღარ იძვროდა, ბოლოს მიხვდა, რომ რევოლვერი არ გავარდა, ლიზე ხმამაღლა, მშობიარე ქალივით აკივლდა, გამყინავე, ხანმოკლე კვილი ყოველწამიერად, ერთფეროვნად მეორდებოდა. ალბათ დაჭრილია, გაიფიქრა ვაჟმა, მაგრამ როგორ შეიძლება დაჭრილი იყოს, როცა ტყვია არ გავარდა. რევოლვერმა მიმტყუნა, გამოგვრავ ხელს სასხლეტს, ვესვრი, კიდევ ერთხელ ვესვრი. მაგრამ უეცრად ქალმა გადაწყვიტა თავი დაეცვა. ვაჟმა რევოლვერი ნიკაპში ამოჭრა, ისეთი ტკაცანი გაისმა, თითქოს ძვლები დაიმსხვრაო. გაშმაგე-

ბისაგან ვაჟს გონება დაუბნელდა, აღარ შეეძლო ქალის კვილის ატანა, თვითონაც ნადირივით ღრიალებდა და რევოლვერი მეორედ ესროლა აკივლებულ ლიზეს პირდაპირ დაფჩენილ პირში.

რევოლვერი არც მეორედ გავარდა. უეცრად ლიზემ ალბერტს მუშტი-ჭკრა ბუცელში და აკანკალებულ ხელიდან რევოლვერი გააგდებინა — გაქცეებით დაეღვრნენ ერთმანეთს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ, იბრძოდნენ უხმოდ, მოჩვენებებით, ერთმანეთს აფურობებდნენ, კაწრავდნენ, ახრჩობდნენ. ბოლოს გახელებულმა ლიზემ ალბერტს ღონიერად ჩასცხო მუშტი, ბარბაცით წამოდგა და გაიქცა. ქალი ველურივით გარბოდა ხეებს შორის, გზას საოცარი გუმანით იკვლევდა და ისე გასცდა იქაურობას, რომ ხისთვის ტვინი არ შეუსხამს.

ალბერტი თვალდაჭყეტილი მიშტერებოდა გაქცეულ ლიზეს, მერე სწრაფად წამოხტა და დაინახა, რომ ქალს უკვე გორაკი ჩაეთავებინა, ნაპურალზე გარბოდა და ძლივსა ჩანდა. ვაჟი ხელების ქნევით, ყვირილით გაეკიდა ქალს, გესვრი, გესვრი, მოგკლავო, იმუქრებოდა, მაგრამ რევოლვერი გორაკზე ეგდო შემოდგომის მოწითალო-ყავისფერი ფოთლების გროვაში.

ლიზე მინდერებზე ჩამოწოლილ სიბნელეში გაუჩინარდა.

ალბერტი ქალაქისაკენ გაიქცა, ჩალამებულ ქუჩებს გაუყვა. მთელი ქალაქი შემოიბრინა, ბოლოს ქანცგაცლილი, ოფლგადამსკდარი, გათოშილი ქალაქის სხვა მხრიდან ისევ სოფლის შარაგზაზე გავიდა ბარბაცით, მინდერებს მიაშურა და მიწაზე გაიშლართა. ერთხანს უძრავად იწვა, ცას შედმუოდა, რომელსაც ნელ-ნელა ნათელი ემატებოდა. ქარმა ღრუბლები დაფლითა, უეცრად ვარსკვლავები გამოჩნდნენ, მაგრამ ისევ გაქრნენ. აცივდა, ირიყრაჟა, დღე მოცოცავდა, თან მოჰყვებოდა ცივი მზე და ცის ჭუჭყიანი სილურჯე.

ალბერტი შარაგზას გაჰყვა, შიმშილით გული ელეოდა, სოფელში შელასლასდა. ვიღაც გლეხმა პური და ცოტაოდენი რძე გამოუტანა. იმ დღეს საბძელში ეძინა. შემდეგ ჰამბურგისაკენ მიმავალ გზას დაადგა. გადაწყვიტა ამერიკაში გამგზავრებულიყო, მალულად აძვრა სატვირთო გემზე, მეზღვაურებმა შუა ოკეანეში აღმოაჩინეს, გვერდები დაუზილეს, ამერიკაში გემიდან გაიპარა, ნაპირზე გადავიდა, ერთხანს ნიუ-იორკში იშიმშილა, შემდეგ რომელიღაც ფაბრიკაში მოეწყო, მესამე დღეს მარჯვენა ხელი მანქანაში მოჰყვა, ხელი მოჰკვეთეს. იმავე ფაბრიკაში დარაჯად დააყენეს, სმა დაიწყო, ფაბრიკიდან დაითხოვეს, რადგან ფაბრიკის პატრონის გულკეთილობასაც საზღვარი აქვს, ისევ შიმშილობდა, ქურდობასაც მიჰყო ხელი, ლოთობდა, ოცი წლისა ორმოცდახუთი წლის კაცს დაემსგავსა. ერთხელ ვიღაცამ სახლი გაძარცვა, პოლიციამ კი მას დააბრალა, თავი ციხეში ამოჰყო, ოთხი წლის შემდეგ გაათავისუფლეს, დაჭლექდა, ქალაქიდან გააძევეს, სამხრეთ შტატებს მიაშურა, სან-ფრანცისკოში ზანგების ერთ-ერთ საროსკიპოში მოკლეს. რადგანაც ვიღაც მეტისს ჯიბიდან ნახევარი დოლარი ამოაცალა. უპატრონო ძალივით გაკვეთეს, ოცდარვა წლის, ცალხელა, ჭლექითა და ათაშანგით დაავადებულ კაცს გული სიცოცხლეშივე ჰქონია მკვდარი. მკვლელი მხოლოდ იმიტომ არ გახდა, რომ შემთხვევა არ მიეცა, ერთი სიტყვით, მკვლელობაში არავის უმხილებია. მის გვამს სამადლოდ მიაყარეს მიწა, მანაც იცხოვრა.

საბრალო ლიზე კი, შეყვარებული, მომხიბვლელი გოგონა, იმ დამით სამ

საათზე მიაღვა მამისეულ სახლს, უფრო სწორედ, ულიმლამო სახლის მესამე სართულზე ნაჭირავებ ბინას. მამა კართან ელოდა, დაინახა თუ არა ქალიშვილი, სასამართლოს მდივნის ბანჯგვლიანი ხელი, რომელსაც კარგად უცნობი მარკა შემოჰქონდა, ორივე ყბაში შემოჰკრა. ქალი დიდხანს ეგდებოდა, მოგვიანებით თავის საწოლ თათხში შეიპარა.

დილით მშობელმა მამამ ქალიშვილს მთელი დანაზოგი — 680 მარკა გამოუტანა და უთხრა, აჰა ფული, ამით ან ბერლინში, ანდა საითაც გსურს იქით გაემგზავრე, ამერიიდან თვალთ არ დამენახო.

ლიზეს ფული ხელში ეჭირა და სწორედ ტიროდა, ბერლინში რა მინდა, შე ხომ უფალმა დამლოცაო. მამამისმა ვერაფერი გაიგო და შეილს მიაშტერდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ლიზემ გაბედა და უთხრა, ფეხმძიმედ ვარო. მოხუცს სახე აელანა, შეილს ეცა, ფული გამოსტაცა და განრისხებულმა კინალამ დახია.

მაგრამ მალე გონს მოეგო. მამის გული უსაზღვრო სიკეთემ აღავსო, ისეთმა სიკეთემ, როგორც ღვთის შემწყნარებლობა და ღმობიერებაა. ფული გაყო, 500 მარკა ქალიშვილს მისცა და სახლიდან გააბანდურა. კარი შეიგნიდან ჩაკეტა. ეს ამბავი მოხდა დილით, შეილს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა.

რვის ნახევარზე, როცა სასამართლოს მდივანი იუსტიციის სასახლისაკენ გაუდგა გზას, ლიზე ისევ კართან იყო ატყუებული, იქვე იდგა სადამოსაც, როცა მამამისი შინ დაბრუნდა. მაგრამ მეორე დილით აღარსად ჩანდა, გაქრა. როცა ლიზეს მინამ რვის ნახევარზე კარი გამოაღო და ქალიშვილი იქ არ დახვდა, გაოცდა... თერთმეტი წლის შემდეგ სასამართლოს მდივანი პენსიაზე გავიდა და საში დღის შემდეგ მოკვდა.

იგი წინდახედული კაცი იყო. უნდოდა უზრუნველყოფილი სიბერე ჰქონოდა და სახელმწიფო სამსახურში იმიტომ შევიდა, რომ პენსიის უფლება მოეპოვებინა.

ლიზე მართლაც ბერლინში გაემგზავრა, პურანგების სამკერვალოში მოეწყო, დრო რომ მოვიდა — იმშობიარა. მშობიარობა მძიმე ჰქონდა, საკვისრო გაკვეთა დასჭირდა.

სამწუხაროდ, ბავშვი, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ყრუ-მუნჯი და გონებასუსტი დაბადებულა. შეიდი წლისა თბოლთა თავშესაფარში გარდაიცვალა. მშობიარობის შემდეგ ლიზე დასნეულდა, დასუსტდა, სამუშაოზე ვერ მოეწყო და შიმშილობდა. ბოლოს მეცაობას მიჰყო ხელი, მაგრამ ამ ხელობისა არაფერი გაეგებოდა, ვენერიული სენით დაავადდა, მალე საროსკიპოშიც მოხვდა, მაგრამ საროსკიპოს პატრონმა ქალმა გარეთ გამოავლო. ლიზე შიმშილით მოკვდა. ცხედარი ჯერ გაკვეთეს, მერე სამადლოდ მიაყარეს მიწა ოცდარვა წლის ჩონჩხადქცეულ ათამიანგით დააფადებულსა და ტვინში სიმსივნეჩაბუდებულ ქალს. მის საფლავზე არც მღვდელს უწირაეს და არც ქვა დაუდევს ვინმეს. მანაც იცხოვრა.

კლაუს მანსი



უმხვიდრა ჰერბერტ ჯორჯ უელსთან

(ნაწევები ავტობიოგრაფიული წიგნიდან — „გარდატეხის წერტილი“)

გერმანულიდან თარგმნა ნოდარ კაკაბაძემ

მთხმეტი ოქტომბერი. პ. ჯ. უელსთან ჩაიზე ვარ მიწვეული ბანკირ ტომას ვ. ლემონტის სახლში. საოცრად ჩაქუცრული, ძველებური კოსკი. ფეხებდადრეცილი მსახურები ტრიალებენ და უშველებელი, ჩინურად მორთულ-მოკაზმული ლიფტი ზანტად მოძრაობს.

უელსს ჯერ კიდევ სძინავს, თუმცა მე დანიშნულ დროზე მივდივარ მასთან. უფროსი ლაქია აღვიძებს. სუფრაზე ჩაი და ფორთოხლის მარმალადიანი ნაზუქეულია. ყველაფერი ძალაღმბარისსოფანია.

მასპინძელი განსაკუთრებულ ღვარძლიან და აგრესიულ გუნებაზეა. თვალბზე თითქოს რუსი ფერის ფარდები ჩაშოუშვია, ბოროტად უელსა. თანაც გაფითრებულია. მუშტრის თვალით მათვალაიერებს. როცა ჩემს ჟურნალზე გადავუკარი სიტყვა, კიდევ უფრო მოიღრუბლა¹. ლიტერატურული ჟურნალი? უელსი ზიზლით ატანილი ძაგძაგებს, არ ექაშნიკება ჩემი წინადადება.

— რა ბალღური იდეა მოგსვლიათ? მაგნიტრ სისულელეში შე არ გავერევი!

ამასთან ერთად უელსი ცოტა ძველმოდური თავაზიანობით ჩაისა და ნაზუქეულს მთავაზობს. ჩემი სავარაუდო თანამშრომლებისა სია, რასაც უელსი მოულოდნელი გოლისყურით ეცნობა, ახალი შემოტევის გუნებაზე აყენებს. ყოველი გვარის ამოკითხვისას რაიმე მწარე დასცდება ხოლმე: „Huxley? what a fool... Benesch? A Complete failure! One of the most depressing characters...“². „მერეც ასე განაგრძობს.

შემწყნარებელი ღიმილი არ შორდება ბავიდან, თავს იქნევს და ამბობს:

¹ მწერალ კლაუს მანს (1906—1949), თომას მანის უფროს ვაჟს, სურდა ანტიფაშისტური ჟურნალის გამოცემა და სავარაუდო ავტორებსა და თანამშრომლებს ავროვებდა. კლაუს მანს უელსთან იყო 1940 წლის 14 ოქტომბერს.

² „ბაქსლი? რა რევეენია... ბენეში? მოლად ხელმოცარული! დიდი საცოდავი ვინ-მეა...“ (ინგლ.).

„Good old Stefan Zweig“³. ეს უფრო გამანადგურებელია, ვიდრე ფიცხელი უესტი, რასაც უელსი თავისი ყოფილი თანამემამულეების ოღონისა და აიშერვუდის გვარების ამოკითხვისას მიმართავს: „They're finished t'hrough! Why did they leave their country? They've made a mistake, They'll never return to England“⁴ და რადგან მე აღელვებამსწრე მტკიცება და თითქოს არხეინადაცა ვარ, უელსი თემას ცვლის და მაცნობს თავის შეხედულებას გერმანულ ეროვნულ ხასიათზე.

„ყველა გერმანელი, — ამას დაჟინებით იმეორებს თავისი ჭუჭყუნა ფალცეტით, — შტერია, ტრაბახა, რეგვენი, პოტენციური ბოროტმოქმედი. ემიგრანტებიც! — გაჰყვირის ჭინჭულიანი ბერიკაცი. — არავითარი გერმანული კულტურაც არ არსებობს. რას წარმოადგენს გერმანული ლიტერატურა ინგლისურთან შედარებით? რომელი ჰკვათამყოფელი დააყენებს თქვენს გოეთეს ჩვენი შექსპირის გვერდით? და თანაც ეს საჯაყი გერმანელები თავს რჩეულ ხალხად, დედამიწის მარილად მიიჩნევენ!“ მე მხიარულად ვეთანხმები: „Right you are!“⁵ თქვენ გერმანელების კიდევ ერთი აზირება გამოგრჩათ. ზოგიერთებში, თქვენ წარმოიდგინეთ, ბახსა და ბეთჰოვენს სერიოზულ კომპოზიტორებადაც კი მიიჩნევენ. Too absurd, isn't it“⁶.

აქ მრისხანე მოხუციც კი სიცილს ვეღარ იკავებს. ჩემი პროვოცირება რომ ვერ შესძლო, უელსი უცებ თვინიერდება. ერთი საათი ვრჩები მასთან. საინტერესო საუბარი ეხება ომის შემდეგ „მსოფლიო რესპუბლიკის“ აუცილებლობას. „Empire“-ს⁷ იდეა ამ ინგლისელ პატრიოტს უკვე დიდი ხნის მოძველებული ეჩვენება. „და საერთოდაც, — მარწმუნებს მოზეიმე ხმით, — „Empire“ აღარ არსებობს: არის მხოლოდ სახელმწიფოთა მოფამფალებული ფედერაცია, რაც ადვილად შეერწყმის სახელმწიფოთა უნივერსალურ კავშირს. The so-called Empire has no reality anymore; it's just a memory just a dream. The Empire is a hallucination“⁸. „A grand old man“⁹. ზორბა ვინმეა მისი ყოველგვარი ხუსტურის მიუხედავად. მას, ვითარცა ყველა ნამდვილ ბრიტანელს, აქვს იუმორის გრანოზა. გამოთხოვებისას ჭინკები უთამაშებენ თვალებში და აღარ მიღრენს. უკვე კართანა ვარ, სუფრიდან მომამახებს: „ეგ გოეთე, თქვენ — გერმანელებს დიდი გარდანქეშანი რომ გგონიათ, ალბათ არც ისე უნიჭო იყო. რაც თქვენს სულელურ ეჟრნალს შეეხება, ყმაწვილო, ჰმ, ვნახოთ! იქნებ რამე წიკიბიკო გადამრჩეს... მაგრამ მაინც ეს დამთხვეული აზრია. A literary review, of all things!“¹⁰



³ „კეთილი მოხუცი შტეფან ცვაიგი“.

⁴ „მათი საქმე წასულია! რატომ მიატოვეს თავიანთი ქვეყანა? შეცდომა მოუვიდათ. ისინი აღარასოდეს დაბრუნდებიან ინგლისში“.

⁵ „მართალი ბრძანდებით!“

⁶ „მტკნარი სისულელეა, არა?“

⁷ „ბრიტანეთის იმპერია“.

⁸ „ე. წ. იმპერია (ბრიტანეთის იმპერია — ნ. კ.) სინამდვილეში აღარ არსებობს. ის მხოლოდ მოგონებაა, მხოლოდ სიზმარი. ბრიტანეთის იმპერია პალუცინაციაა“.

⁹ დიდებული ბერიკაცი.

¹⁰ „ლიტერატურული მიმოხილვა ბოლოს და ბოლოს და მეტი არაფერი!“



მარსბ დე მარა, — „ფურმანი“, 1956.

ნოდარ კაკაბაძე

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა დაარსდა 1949 წლის შვიდ ოქტომბერს.

გერმანიის მწერლები შეიძლება დავყოთ მწერლებად, რომლებიც ამ რესპუბლიკის აღმოცენებამდე იყვნენ გამოსული სამწერლო ასპარეზზე და უკვე მოპოვებული ჰქონდათ სახელი, და მწერლებად, რომლებიც გერ-ში დაიბადებენ, აღიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ, როგორც შემოქმედნი.

გერ-ის ლიტერატურის ნესტობი იყო აბნოლდ ცვაიგი (1887—1968), რომლის ყველაზე ცნობილი რომანი „დავა სერჟანტ გრიშის გამო“ ჯერ კიდევ 1927 წელს გამოქვეყნდა. ასევე გერ-ის შექმნამდე დაიწერა I მსოფლიო ომის შემსახურმა მძღვენილ რომანთა სერიის — „თუთ-რი მამაკაცების დიდი ომი“, რომელსაც სხვაგვარად და პირობითად გრიშის ციკლს რომანებშიც უწოდებენ და რომელშიც გრიშის რომანიც შედის — დიდი ნიწილი („აღზრდა გერ-დენტთან“ — 1935, „ახალგაზრდა ქალი ათას ცხრაას ოთხმეტ წელს“ — 1931, „მეფედ კურ-თხევა“ — 1937).

უფროს თაობას მიეკუთვნებიან ანა ზეგერსი, ი. რ. ბეჰერი, ე. ვაინერტი, ვ. ბრედელი, ე. კ. ვაისენბერგი, ბ. ბრეჰტი, შტ. ჰერმლინი, ფ. კოლფი, ლ. რენი, შტ. ჰაიმი, ბოლო უბე და სხვები.

ანა ზეგერსის (დ. 1900 წ.), რომანი „მეწვილე ჯვარი“, რომელსაც ეფუძნება მწერ-ლის მსოფლიო სახელი და რომელიც მისი შემოქმედების შედეგს წარმოადგენს (რომანში მოთხრობილია ნაცისტურმა საკონტენტრაციო ბანაკიდან შვიდი პატიმრის გაქცევა, რომელთა-გან მხოლოდ მესამედ გადარჩება), 1942 წელს ჯერ კიდევ ემიგრაციაში გამო-ქვეყნდა.

ერიკ ვაინერტი (1890—1953) ჯერ კიდევ II მსოფლიო ომამდე ჩამოყალიბდა ანტიფე-შისტური და სოციალისტურ-პოლიტიკური ლირიკის თხატად („პოლიტიკური ლექსები“ — 1928, „ერიკ ვაინერტი დაპარაკობა“ — 1930, „დადგება დღე“ — 1934, „როტ ფრონტი“ — 1936 და სხვ.).

ვილი ბრედელი (1901—1964) უკვე 30-იან და 40-იან წლებში წერს თავის რევოლუციურ-პროლეტარულ რომანებს („შენა უცნობა ქვა“ — 1937, „ჩემები“ — 1943, „გაქცეულები“ — 1949).

იოჰანეს რ. ბეჰერმა (1891—1955), რომელმაც ექსპრესიონიზმის „სკოლა“ გაიარა, თავისი ლირიული შემოქმედების უდიდესი და საუკეთესო ნაწილი უაქტიურად რესპუბლიკას და-არსებამდე შექმნა („დაცემა და ტრიუმფი“ — 2 ტომი, 1914; „ლენინის საფლავთან“ — 1924; „გვამი ტახტზე“ — 1925; „გერმანული სსსიკვილიო როკვა“ — 1933; „გერმანია გვეძახის“ — 1942; „შინ დაბრუნება“ — 1947; „ალორბინება, სონეტების წიგნი“ — 1947 და სხვ. „გამო-თხილება“, რომანი — 1945).

ბერტოლტ ბრეტმაცი (1898—1956) ყველა თავისი პიესა 1949 წლამდე შექმნა („ჯარის-კაცი ჯაროსკაცია“ — 1927; „სამგროშოისი ოპერა“ — 1928; „ღედა კურაჟი და მისი შვილები“ — 1939; „გალიციის ცხოვრება“ — 1939; „ბატონი პუნტილა და მისი შიშური მითი“ — 1940; „პენ-თილი სეჩუანელი ადამიანი“ — 1943; „კავკასიური ცარცის წრე“ — 1948 და სხვ.).

გერ-ის შექმნისას დრამატურგ ფრიდრიხ ვოლფს (1888-1953) უკვე დაწერილი ჰქონდა თავისი მთავარი ნაწარმოებები: „საწყალი კონრადი“ (1924), „ციანკალი“ (1929), „ისტორიული მეზღვაურები“ (1930), „პროტესტორი მამლოვი“ (1934), „ბომარშე“ (1941).
 ვაიმარის რესპუბლიკის დროს დაწერა ლუდვიგ რენის (1889-1979) — მწიგნობარი რომლებმაც მას მსოფლიო სახელი მოუბრუნეს: „ომი“ (1928) და „ომის შემდეგ“ (1933).

შტუფან ჰაიმმა (დაიბადა 1913 წ.), რომელიც გერ-ში 1952 წლიდან ცხოვრობს, 1948 წელს აშშ-ში დაწერა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი რომანი — „გვიროსნები“, რასაც მსოფლიო რეზონანსი ჰქონდა.

ბოდო უზე (1904—1963) 1930 წლამდე ნაცისტო იყო, შემდეგ ანტიფაშისტო, კომუნისტი გახდა. თავისი შემოქმედების მწვერვალს მიაღწია რომანებში „ლუიტენანტი ბერტრამი“ (1943) და „პატრიოტები“ (1954).

ფრანც კარლ ვაისკოფი (1900—1955), 1953 წ. ჩეხოსლოვაკიიდან გერ-ში გადმოსახლდა და თავისი შემოქმედება ორგანულად დაუკავშირა რესპუბლიკის ცხოვრებას. მისი მეტადვე გრძელ ვაისკოფი, რომელიც უფრო მეტად თავის ფსევდონიმით — ალექს ველინგი — არის ცნობილი (1905—1966), უპირატესად საყმაწვილო წიგნების ავტორი და მთარგმნელი იყო. აქვე შეიძლება ვახსენოთ აგრეთვე 1904 წ. დაბადებული რომანისტი და პოეტიკოსი, ოტო ვოხე, რომლის ნაწარმოებთა ძირითადი თემაა სოციალური მშენებლობა გერ-ში (რომანები: „დღე-ღამის გასაქარზე“, „კრივიო რომის დროს“, „ცხოვრება უფრო ძლიერია“).

გერ-ის ლიტერატურის პირველი ფაზა ავრძელებდა უმოაზრესად გერმანული პროლეტარულ-რევოლუციური და ანტიფაშისტურ-დემოკრატიული მწერლობის ტრადიციას. ლიტერატურის მთავარი თემა იყო საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნა და ფაშინიზმის გადმონათობის ძირფესვიანი ამოძიკვა. სოციალიზმის მშენებლობასთან ერთად ვითარდებოდა სოციალისტური კულტურაც. გერ-ის მწერლები ამუშაებდნენ სოციალისტური მშენებლობის, ამასთან ერთად ახალი სოციალისტური პიროვნების განვითარების, შრომის პროცესში აღმოცენებულ ახალ იდამიანურ ურთიერთობათა და სოციალისტური პერსპექტივის თემას.

გერ-ის მწერალთა უფროსი თაობას მიეკუთვნებოდა შემოთ ჩამოთვლილთა: ვარდ ავრეთვე მანს მარშვიცა (1890—1965; სამნაწილიანი რომანი: „კუმბაეები“ — 1934, „კუმბაეების შინ დაბრუნება“ — 1952 და „კუმბაეები და ნათი შეილები“ — 1959); ფრიც ერპენბეგი (დ. 1897 წ.; რომანი „ემიგრანტები“ — 1937); მისი მეტადვე პედა ცინერი (დ. 1907 წ. მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია პიესა „ეშპაის წიგნი“ — 1953); კარლ გრიუნბერგი (1891—1972; ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია რომანი „ცეცხლში გახვეული რკინი“, 1928); ბერტა ლასკი (1878—1957; ავტობიოგრაფიული რომანი-ტრილოგია „სიწყხარე და ქარიშხალი“ — 1955); რუდოლფ ლეონშარდი (1889—1953; მოთხრობების კრებული — „დონ კახოტის სიკვდილი“ — 1935, ტრაგედია — „მძეულეები“ — 1954); მანს ლორბერი (1901—1973; მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია რომანი-ტრილოგია მარტინ ლუთერზე — „კიტენბერგის ჯანჯა“ — 1959—1963); მაქს ციმერინგი (1909—1973) უპირატესად ლირიკოსი იყო, რომელიც თავის ლექსებში ეკსპლაცდა გერმანულ მუშათა კლასის განვითარებას 20-იანი წლების კლასობრივი ბრძოლიდან მოყოლებული, ვიდრე პირველი გერმანული სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობამდე.

ამავე თაობას მიეკუთვნება შესანიშნავი ლირიკოსი ერიკ არენტი (დ. 1903), რომელიც თავისი პირველი ლექსები ჯერ კიდევ ექსპრესიონისტულ ჟურნალში — „შტურმში“ დაბეჭდა.

ბიოგრაფიკლად და შემოქმედებითად მთლიანად გერ-თან არიან დაკავშირებულნი მეტად კოლორიტული, ორიგინალური მწერლები, თავიანთი მნიშვნელობით გერმანულენოვან ლიტერატურულ სამყაროს რომ გასცდნენ: ერვინ შტრიტმატერი (დ. 1912), რომელმაც შორს გაუშვეა სახელი გერ-ის ლიტერატურას თავისი ნაწარმოებებით: „ოლე ბინკოპი“ (1963), „სასწიფელმოქმედი I“ (1957), „სასწიფელმოქმედი II“ (1973) და სხვა; ნაადრევად დაღუბული იოჰანეს ბობროვსკი (1917—1965), რომელმაც XX საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურის შედეგები შექმნა როგორც ლირიკოსი, ასევე რომანის დარგში (რომანები: „ლევანის

წიკვილი — 1964 და „ლიტერული კლავირები“, რომელიც მწერლის დაღუპვის შემდეგ, 1966 წელს დაიბეჭდა); შტეფან ჰერმლინი (დ. 1915 წ.), მნიშვნელოვანი ლირიკოსი და საინტერესო პროზაიკოსი; იური ბრეზანი (დ. 1916 წ.), სორბელი წარმოშობის თურქული რომანისტი და პროზაიკოსი (მისი ნაწარმოებები პარალელურად ქვეყნდება ხოლმე სტრასბურ და ვერმანულ ენებზე); გეორგ მაურერი (1907—1971) უპირატესად ლირიკოსი იყო. მისი ნაწარმოებები: „ორმოცდარი სონეტი“, „ელემენტები“ და განსაკუთრებით „ჩვენელი“, რომელიც ცდილობს რილკეს „დუინოს ელეგიებისა“ და „ორფოსის სონეტების“ საპირისპირო პოეტური კონცეფცია განავითაროს); ბრუნო აპიცი (დ. 1900 წ.), რომლის შემოქმედების შედეგად დღემდე რჩება ბუნებრივად საკონცენტრაციო ბანაკის ცხოვრების ამსახველი რომანი — „შიშველი ხელებით მგლების ხროვაში“ (1958); ლუი ფიურნბერგი (1909—1957), რომელიც 1954 წ. გადმოსახლდა ჩეხოსლოვაკიიდან გდრ-ში (ვაიმარში), უპირატესად ლირიკოსი იყო (კრებული „უსახელო ძმა, ცხოვრება ლეგსებად“); კუბა (ნამდვილი სახელი და გვარი კურტ ბარტელი, 1914—1967), ესეც უმთავრესად ლირიკოსი იყო, ე. წ. „ავიტპროპლექსების“ ავტორი; ინგე ფონ ვანგენჰაიმი (დ. 1912), რომანისტი, პროზაიკოსი, ერთ დროს მსახიობი და რეჟისორი იყო (რომანები: „ერთი დედის შვილი“, „პროფესორი ჰუდებრაში“, „ოთახი ღია თვალებით“ და სხვ.).

ახალი თაობის მწერლებს მიეკუთვნებიან პროზაიკოსები და რომანისტები გიუნტერ დე ბრონი (დ. 1926 წ.; რომანები: „ბურიდანის სახედარი“, „ცხოვრება უან პაულ ფრაიდრიხ რიპტერისა“); ერიკ ნოიჩი (დ. 1931 წ.; რომანები: „ქვების კვალი“, „ვატის ძეგლებში“); ჰერმან კანტი (დ. 1926 წ.; რომანები: „საქტო დარბაში“, „საგამომცემლო მონაცემები“); ლირიკოსმა ფრანც ფიუმანმა (დ. 1922 წ.) დიდი წარმატება მოიპოვა 70-იან წლებში თავისი პროზაული დღიურით — „ოცდარი დღე ანუ ცხოვრების ნახევარი“ (1978), სადაც მწერალი უნგრეთში მოგზაურობის აღწერაში თვითნებურად აქსოვს მწერლის თავისებურ ანგარიშსწორებას თავის აქამომდელ შემოქმედებასა და მოღვაწეობასთან; 1927 წელს დაბადებულმა დიტერ ნოდმა სახელი გაითქვა რომანით „ვერნერ პოლტის თავგადასავალი. ერთი ახალგაზრდობის რომანი“, რომელშიაც ნაჩვენებია ერთი ახალგაზრდა გერმანელის ცხოვრების რთული გზა, რაც საბოლოოდ რომანის გმირის გამოფხიზლებითა და მისი ცრუ კერპების მსხვერველით მთავრდება; მაქს ვალტერ შულცის (დ. 1921 წ.) სახელი უმთავრესად ემყარება, მის რომანს, „ჩვენ არა ვართ ქარში გაფანტული მტვერი, დაუკარგავი თაობის რომანი“, რომელშიაც მწერალი, როგორც ქვესათაურიდან ჩანს, „დაკარგული თაობის“ მწერლებს უპირისპირდება და ახალი სოციალისტურ-რეალისტური განვითარების რომანის შექმნას ცდილობს. ამავე თაობას შეეძლება მივაკუთვნოთ ბენო პლუდრა (დ. 1925 წ.), პროზაიკოსი და საყმაწვილო წიგნების ავტორი („შერიფ ტელი“, „ტამბარი“, რეპორტაჟული წიგნი — „რატომ ვერ ჩაგვდი სვანეთში“). უფრადდებას იქცევს პროზაიკოსი და საყმაწვილო წიგნების ავტორი ვერნერ ჰაიდუჩეკი (დ. 1926 წ.; მოთხრობები: „მათესი და ბიურგერმაისტერი“, „მარკ აგრელიუსი ანუ სინაზის ერთი სემესტრი“ — მოქმედება ხდება სტუდენტურ წრეში, სასიყვარულო კონფლიქტს იწვევს ჰაბუკის შენიღბულ, თითქოსდა გაუცხოებულ წვრილბერტელ მადრეკილებათა შეჯახება გოგონას ვიწროდ პირადულზე ამიღლებულ მისწრაფებებთან; „პარციფალის საოცარი თავგადასავალი, ხელახლა მოთხრობილი ვოლფრამ ფონ ენენბახის მიხედვით“). გდრ-ის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი მწერალი, რომელიც კარგა ხანია გასცდა გდრ-ის ფარგლებს, გახლავთ 1929 წ. დაბადებული კრისტა ვოლფი. მან ინტროსპექციის მიმართულებით განავითარა გდრ-ის რომანი („გაყოფილი ზეცა“ — 1963, „ჩაფიქრება კრისტა ტ-ს გამო“ — 1969, „ერთი ბავშვობის ნიმუში“ — 1967. ამ უკანასკნელ რომანში დახვეწილად და ღრმადაა გაანალიზებული ნაციზმის არსი და ბუნება).

ამ თაობის ყველაზე გამოჩენილი დრამატურგები არიან პეტერ მაქსი (დაიბადა 1928 წ.; დრამები: „პერციოვი ერსტი“, „სანსუსის მეწისქვილე“, „მშვიდობა“, „ამფიტრიონი“, „ომფალე“, „ადამი და ევა“, „მშვენიერი ელენე“) და ჰაინერ მიულერი (დ. 1929 წ.; დრამები: „პერაკლე“, „ოიდიპოსი ტირანი“, „ფილოკტეტი“, „პრომეთეოსი“, „მაკბეტი — შექსპირის მიხედვით“). აქვე შეიძლება ვახსენოთ 1926 წელს დაბადებული ჰელმუტ ბაიერილი, რომელიც აშკარად განიცდის ბრეჰტის გავლენას ფორმის მხრივ. მის ყველაზე ცნობილ და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვან პიესად დღემდე რჩება კომედია „ქალბატონი ფლინცი“, რომელიც თავისებურ პოზიტურ პაროდის წარმოადგენს ბრეჰტის პიესისას — „დღეა კურაჟი და მისი შვილები“ (თუ დღეა კურაჟი შვილებს ერთმანეთის მიყოლებით კარგავს ომში — ნეგატიური ფაქტი, ქალბატონი ფლინცი ვაჟს ვაჟს მიყოლე-

ბით „კარგავს“ „სახელმწიფოში“, რომელიც მას თავდაპირველად, ე. ი. 1945 წლამდე თავის დაუხინებელ მტრად მიაჩნდა, მაგრამ „სახელმწიფო ძალეულები“ ახლა სოციალისტურია და თანდათანობით ქალბატონი ფლინცი მიხედება თავის შეცდომას და გდრ-ის სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურად ჩაებნება).

ახალი თაობის გამოჩენილი ლირიკოსები არიან: პაულ ვიინი (1928), კრისტინე გუნტერტი (1929), ჰანს ციბულკა (1920), ადოლფ ენდლერი (1930), კარლ შიენდერ (1935), კრისტინე ბრაუნი (1939), ჰაინც ჩეხოვსკი (1935), რაინერ კირში (1934), გიუნტერ დაიკე (1922) და სხვები.

მხოლოდ 60-70-იან წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე გდრ-ის მწერალთა უახლესი თაობა: უალრესად ორიგინალური ხელწერისა და მდიდარი ფანტაზიის მქონე მწერალი ქალი ირმტრად შორგენერი (დ. 1933 წ.; რომანები: „ქორწინება კონსტანტინებოლში“, „გუსტავ-მსოფლიო მოგზაურის გასაოცარი მოგზაურობანი“, „ტრუბადურა ზეატრიცის ცხოვრება და თავგადასავალი“); რომანისტი და პროზაიკოსი, ებრაელი ჩამომავლობის გერმანულენოვანი მწერალი, რომელმაც გერმანული ენა მხოლოდ 1945 წლის შემდეგ ისწავლა, იურგ ბეკერი (დ. 1937 წ.; მისმა რომანმა „იაკობ მატყუარა“, რომელშიაც პოლონელი ებრაელების გეტოს ცხოვრებაა ასახული და რომანის მთავარი გმირის, უბრალო, უწყინარი აღამიანის, იაკობ პაიმის ჩუმი, უხმაური, უპრეტენზიო გმირობაა აღწერილი, მსოფლიო აღიარება მოიპოვა); როლფ შნაიდერი (დ. 1932 წ.) ორიგინალური სტილისა და მანერის რომანისტი და რადიო-პიესების ავტორია (ყველაზე ცნობილია მისი რომანი „ნიბელუნგის სიკვდილი“, რომელშიაც პაროდის, ტრავესტიისა და ირონიის საშუალებათა გამოყენებით გესლიანადაა გამახსნრებული ნაციისტური რეჟიმის პირობებში ერთი წარმატებული მოქაადაკის კარიერა).

ამთავიოვე ყურადღება მიიქცია კლაუს შლეზინგერის (დ. 1933 წ.) რომანმა — „მიბაელმა“. ამ რომანის გმირი მოგვითხრობს ფოტოსურათზე, რომელზედაც პოლონეთში ხაეისტური დანსჯელი რაზმი ვადაღებული, იგი ერთ ერთ რაზმელში საკუთარ მამას შეიყნობს და იწყებს ძიებას... რატომ მოხდა, რატომ მოხდა და ა. შ. დიდი ხმაური და მიტემა-მოსაქმა გამოიწვია ულრიხ პლენცდორფის (დ. 1934 წ.) პიესამ და მოთხრობამ — „ახალგაზრდა გ-ს ახალი ვნებანი“, რომელიც წარმოადგენს ვოეოეს „ვერთერის“ თავისებურ პაროდისა და ადამტაციას (გამოხატავს ახალგაზრდობის ექსტაზიულულებას დროშოქმული კონვენციების, სიყალების, შინა-არსისაგან დაცილილი კლიშეების გამო); ბოლო წლებში მკითხველი საზოგადოებისა და სპეციალისტების ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა ლირიკოსმა და ესეისტმა ქალმა ელკე ერბმა (დ. 1938 წ.), რომელიც საერთოდ საქართველოსადმი და ქართული ლიტერატურისადმიც იჩენს განსაკუთრებულ ინტერესს; უეჭველად უნდა გავისენოთ აქ აგრეთვე ნადრევად გარდაცვლილი რომანისტი და პროზაიკოსი ქალი ბრიგიტე რაიმანი (1933-1973), რომელმაც თავისი ბოლო რომანით — „ფრანცისკა ლინკერპახლი“ ალაპარაკა ლიტერატურული წრეები (რომანი მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა 1974 წელს); ლირიკოსმა აქსელ შულცემ (დ. 1943 წ.), გდრ-ის ლირიკაში საქართველოს თემას ახალი ასპექტები შესძინა (ლექსების ციკლი „ქართული ბაზარი“); 1930 წ. დაბადებული ევა შტრიტმატერი, რომელიც 70-იან წლებამდე გდრ-ში კრიტიკოსად და საბავშვო წიგნების ავტორად იყო ცნობილი, მოულოდნელად მკითხველ საზოგადოებას ლირიკული კრებულებით წარუდგა („სიჩუმისაგან სიმღერას ვქმნი“, „მთვარის თოვლია მდებლობებზე“, „გარდი ამორჩილებს ყველაფერა“).

ახალი და უახლესი თაობის მწერლებმა ახალი პორიხონტები, ახალი განზომილებანი გადაუშალეს გდრ-ის ლიტერატურას, ახალი წახნაგები, ახალი რაკურსები შესძინეს მას; დაძლიეს გდრ-ის ლიტერატურის ნაწილობრივი ერთოეროვნება და სწორხაზოვნება, მონოთემატურობა და გარკვეული იდეურ-პროგრამული სქემატურობა, რაც რესპუბლიკის ვანვითარების სპეციფიკითა და ზრდის სიძნელეებით იყო გამოწვეული.



არნოლდ ცვაიგი

ოტო ტემკე ზედნიერება

გერმანიულიდან თარგმნა ნელი ავაშუკელიძე

სა, სცადეთ და თქვენი ეზოს პატარა მოლზე სარეცხის გეჯა დადგით. სინათლეს მოკლებული ბალახის ნაზი ბოჭკოები სამი-ოთხი დღის შემდეგ გაუფერულდებიან, უძლურ მატლებს დაემსგავსებიან. ასე ძაბუნდება ადამიანიც. რადგან მას გაცილებით მძიმედ აწვება მხრებზე საზოგადოებრივი წყობა ამ ჩამწკრივებულ ფანჯრებიან, ფლიგელებიან, ქვის რუხკედლებიან პირქუშ ქუჩებში. მოდით ახლა და კარგად დავაკვირდეთ ერთ ასეთ არსებას, ბალახის შეყვითლებულ ღეროს, თავდაპირველად მწვანე ღეროდ ჩაფიქრებულსა და ქვეყნად ასე ნაშობს.

ვინ იცის, ვინ ან რა იქნებოდა ოტო ტემკე, რვა წლის ასაკში პირველად რომ არ დაენახა და მძაფრად არ განეცადა, ბერლინში რა გაუგონარი სიჩქარით ჩაიქროლა ელექტრომატარებელმა, რომელიც ხან ქუჩებისა და სახლების ქვეშ ძვრებოდა, ხან მოედნებს კვეთდა, ხან სახლების გასწვრივ მიჰქროდა, ხანაც სხვა რკინიგზის ლიანდაგზე გადაიგრუხუნებდა. ეს წითელ-ყვითელვაგონებიანი, ბრტყელციხვირა მატარებელი გოლიათ მუხლუხოს, აყვავებულ კვიდოს ჰგავსო, — გაიფიქრა აღტაცებულმა ოტომ, როცა ამ ახალმა გამოგონებამ მართლაც დიდებულად ჩაუქროლა წინ.

ერთ კვირა დღეს ბიჭუნამ აიძულა დედა — დაქვრივებული მრეცხავი ალბერთინე ტემკე, ამ შიშისმომგვრელ მატარებლისათვის მიენდო როგორც შეილის, ასევე საკუთარი სიცოცხლე. ისინი ლაიფციგის მოედნიდან ზოოპარკამდე უნდა მისულიყვნენ, სადაც დათვის ორი საყვარელი ბელი უნდა ენახათ. ახალთახალი ვაგონის გაპრიანებული მერბება, რომელთაც ლაქის სუნია ასდიოდა, და ბეჯითად გახეხილი თითბრის სახელურები ქალბატონ ტემკეს ძალიან მოეწონა, მაგრამ შეილზე მაინც ვულმოსული იყო. ნჯდრევამ და ბორბლების რაბრახმა გააოგნა, გამაყრუებელმა ხმაურმა ლამის ტვინი გაუბურლა, დაზაფრული და დაბნეული, უხმოდ იჯდა. მაგრამ როცა მატარებელი გაჩერდა, ვაგონიდან მაინც ამაყად გადმოვიდა ბაქანზე, რადგან გაბედვამ გაუმართლა, თანაც ასე იაფი დაუჯდა. ხოლო იმ ამბავმა, რომ მთელი დღე ტრამვაით არ იჯაყჯაყა და ღანიშნულ ადგილას თხუთმეტ წუთში გაჩნდა, მთლად მოაჯადოვა.

ამის გამო იყო, რომ დედამ ოტოს თვითნებობა აპატია და სილა არ გააწნა,

რაც გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. თუმცა ოტოსათვის ახლა სულერთი იყო, სილას გააწნავდნენ თუ აპატიებდნენ. სულში მისი ცხოვრების გზის მანათობელი ვარსკვლავი აუკიაფდა: ოდესღაც ის აუცილებლად გახდება მემანქანე, ამგვარი მატარებლის მემანქანე, ყველაზე წინე კერძო კაბინაში რომ ზის, ანდა კონდუქტორი, რკინიგზელის ფორმაში უკმაყოფილო პატარა ჯიხურში რომ მოკალათებულა.

მან მიაღწია კიდევ საწადელს. სკოლის დამთავრების შემდეგ მხოლოდ სამი წელი იყო გასული და ოტო უკვე დაპქროდა მატარებლით მისთვის მიწენილ გზის მონაკვეთზე. რკინიგზელის ქუდით დაშვენებული აღებდა წინა ვაგონის კარს, საქმიანად უცქერდა, როგორ ჩადიოდა ხალხი ბაქანზე, თვალუჯრს ადევნებდა, ჩასასხდომად გამზადებულ მგზავრებს რომ ერთმანეთი არ გაეშვეყათ, მოთმინებით ელოდა იმ წამს, როცა ბაქნის ბოლოში გაჩერებული მორიგე ხმამაღლა დაიძახებდა: „მზადაა“, და ისიც მინის კედლის მიღმა მჯდარ მემანქანეს ხელთ ანიშნებდა, „აბა, წავედით“. ძრავა აგუგუნდებოდა, თვითონ კი მოხდენილად, დაუდევარი ნაბიჯით შესრიალდებოდა დაძრულ ვაგონში, ფეხზე მდგარ მამაკაცებს შორის გზას გაიკვლევდა თავისი ჯიხურისაკენ და მერმე უცქერდა, როგორ იჭრებოდა მატარებელში შორეულ სივრცეთა სუნთქვა, როგორ იტოვებდა უკან მარად დაუკმაყოფილებელი, დაუღალავი მატარებელი აწმყოს და ნანატრ, სასურველ მომავლისკენ მიისწრაფოდა, სადაც ელოდა სინათლით შებურვილი თალი ანდა ელექტრონით გაჩახჩახებული კამარა, ვიდრე არ დაიჭერდა შემდეგი სადგური, შორენკეცით მოპირკეთებული, გაჩირაღდნებული ბრტყელსახურავიანი კუბო, სადაც მოჩანდა მოფუსფუსე ხალხი, მერხები, ჭრელი აფიშები და პატარა ჯიხური, მისი ტექნიკური სული. მაგრამ მატარებლის სიკვდილი მხოლოდ ოც წამს გრძელდებოდა, რადგან მისი მოწოდება მკვდრეთით აღდგომა იყო, ხოლო არსებობის ასრი — წინსვლა.

ოტოს ცხოვრება უყვარდა და უღრუბლო ეჩვენებოდა. როცა პირველად ოსტატს, ზეინკალს მიაბარეს, ირგვლივ ჭუჭყისა და სიმყრალის მეტს ვერაფერს ხედავდა. ათი საათი გაჟნსრევლად ჯდომისა და თავაულებელი დაძაბული მუშაობისაგან თავლებზე ბინდი ეფინებოდა, კოპენშტრასეს ფლიგელში გამოწყვდებული ყველაზე უმცროსი შეგირდი სასოწარკვეთილებამდე მიდიოდა. ხუთი მასზე უფროსი და მასზე უფლებამოსილი შეგირდისაგან დაჩაგრულს ხან ცრემლი ახრჩობდა, ხანაც უძლური სიბრაზე, ისინი კი ამის გამო ხმამაღლა დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ. მაგრამ ახლა, ეს ორი წელი ყოველმხრივ მოწესრიგებულ სამოთხეში გრძნობდა თავს. იგი მიუდამ გზაში იყო, მიუდამ ადამიანებთან, ნაირ-ნაირ სურნელება ნაპქურებ ქალებთან, ადგილს ყოველწამიერად იცვლიდა და ბოლოს კიდევ გაშინაურდა ამ მოძრავ საცხოვრებელ სივრცეში, სადაც ათასობით ადამიანი მხოლოდ ხუთი წუთით იკავებდა ადგილს. მეტისმეტად ნასიამოვნები ოტო სადგურიდან სადგურამდე დაპქროდა, ხან მიწის ზედაპირზე ამოიჭრებოდა და უზარმაზარ ბერლინს მოივლიდა, სადაც ყოველ უბანს თავისი ზნე-ზვეულებები, გამოთქმები, სამოსელი და, ასე განსაჯეთ, პაერიც კი საკუთარი ჰქონდა. მას შეეძლო მიუდამ დაბანილი და სუფთად ჩაცმული ყოფილიყო, რადგან ფიზიკურად სუსტს აღარაეინ აძალებდა მძიმე შრომით მოეწყვიტა წელი.

ბედნიერებამ ოტო ტემკე თავაზიანი და ადამიანებისადმი კეთილგანწყო-

ბილი გახადა. მორიგეობის დროს ყველას სიამოვნებით და გასაგებად აწვდიდა იმ ცნობას, რასაც მისგან მოითხოვდნენ. როცა ამისათვის დიდ მძირობას გადაუხდიდნენ, მყისვე ღიმილს შეაგებებდა მადლობის მოქმელს. ისინი, ვინც ფულის შოვნის ყინვა ქოშინით სირბილს შეაჩვია, დროის დენებამ ევაქულო-ტა და მოთმინება დააკარგვინა, მისი აზრით, მასზე ბევრად უფროსად იყვნენ. მათ სულ ეჩქარებოდათ, ოტო კი მატარებელს მანამდე აჩერებდა, სანამ მეტისმეტად ვიწრონიზორიანი მსუქანი ქალები ვაგონში არ შეგოგმანდებოდნენ, ანდა დინჯად გაიშვერდა წინ თეთრ აბრას, რომელზედაც შავი ასლებით ეწერა მატარებლის შემდეგი სადგური, რათა პატარა, შავგვრემანი ვაებატონი, დასავლეთ გარეუბანში, კაიზერდამისაკენ რომ მიემგზავრებოდა, დილემში ტილ-პლაცზე არ მოხვედრილიყო, შუაგულ გრუნვალდში. ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანი გამოლაპარაკებია მორიგეობის დროს, მისგან ყველას რაღაცა უნდოდა: მას კი არავისგან არაფერი. უცქეროდა ათასნაირ სახეებს, ესმოდა ათასგვარი ხმები, ხედავდა ათასგვარად განსხვავებულ ნაოჭებს თვალის უბეებში, ან ვის რა ფერას წარბები ჰქონდა და ვინ როგორ ადებდა პირს.

საჭირო იყო ჭეშმარიტად სიღრმისეული ძვრები, რომ ამ ზრდილობიან ყმაწვილში ტირანს, ავაზაკს, მკვლელს, ერთი სიტყვით, ადამიანთა მოდგმის მტერს გაეღვიძა, ყოველი ბევრჯერ გალახული ბავშვის სულში რომ ჩამარხულა და მკედრეთით აღდგომას ელის. ის, რომ ამგვარ ძვრებს ომს უწოდებენ, საქმის არსს არ ცვლის. სროლა, ყუმბარები, ბრძანებები ამ დროს ისევე არაფერს ნიშნავენ, როგორც სამთო საფლავი და ყოველდღიური ახალ-ახალი გამარჯვებები. დედამიწის ზედაპირის იმ წერტილში, სადაც ჩვენ ოტო ტემკესთან ერთად ვდგავართ, ლაპარაკობდნენ მამაკაცების გაუჩინარებაზე. ისინი რომ ქალაქიდან უზარმაზარ მტვერსასრუტს გაეხვეტა, შედეგი ისეთივე იქნებოდა. როცა ქალაქში თითო-ორილა მამაკაცილა ჭაჭანებს, მაშინ ბიჭების ფასი მაღლა იწევს. ერთ მშვენიერ დღეს ოტო ტემკეს თვალის დახამხამებაში შეასწავლეს მემანქანეობა, რადგან მისი ძველი თანამდებობა კარგა ხანია უკვე ქალებმა დაიკავეს, რომლებიც სრულებით არ იყვნენ ისეთი ლამაზები, როგორც მისი პატარა სატრფო მინა, თანაც ქალიან ამახინჯებდათ პრუსიულ ყაიდაზე გაშეშებული თმა და კონდუქტორის ქუდი. როგორც ჩანს, ამგვარი დაწინაურება თვითონაც მოითხოვა. იმ ჭარმაგ მამაკაცებს, რომლებიც მას მატარებლის მართვას ისწავლიდნენ, ხშირად ნაღვლიანი თვალები ჰქონდათ, რადგან გრძნობდნენ, რომ უზარმაზარი მტვერსასრუტი მალე მათაც დაეჯავრებოდა. ეტყობა, მოვიდა თქვენი ჯერიც, ფიქრობდა ოტო ტემკე და ამ სიტყვებით აივივებდა მათ ზეინკლის იმ უფროს შეგირდებთან, რომლებიც ასე სტანჯავდნენ. მიუხედავად ამისა, მას მაინც ეცოდებოდა თვალნაღვლიანი მამაკაცები, რომელთაც მალე მოუხდებოდათ ნაცრისფერი კურტაკების გაცვლა ჯარისკაცის მომწვანო-ნაცრისფერ ტანსაცმელზე, ხოლო ელექტრომატარებლის სახელურების ჩართვა-გამორთვა ნაჩვევი ხელები თოფებისა და ქვემეხების ჩახმახებსა და სასხლეტებს უნდა შეჩვეოდნენ... ამიტომაც ახალბედა ოტომ დინჯად შეისუნთქა ჰაერი, როცა საცდელი რეისით გზის მონაკვეთს ჩაუქროლა. კარგი თვალი, უტყუარი გრძნობა, ფზიზელი გონება და საიმედო ხელები — მეტი რა მოეთხოვება კარგ მემანქანეს. ამიერიდან ტემკე თავს არაფის დააჩავგრინებდა, თუნდაც ქალაქიდან გახვეტილი მამაკაცები, როგორც ყველა იმედოვნებდა, სულ მალე უკან მოცვენილიყვნენ.

„აბა, ტემკე, სცადეთ, ვნახოთ, როგორ გამოგვადგებით“, — უთხრა მოძრაობის სამსახურის უფროსმა, რომელსაც იგი მრავალგვარი შეუღლებული სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებელთა შემდეგ ემორჩილებოდა. — ვინემ პრუსიელები თქვენც გაგიწვევდნენ — ჩვენ, ცხადია, არ ძალგვძის თქვენსთანა ყვინჩილების სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება. უფლები ალბათ კიდევ მოგვიწევს ერთად თამაში“.

ხნიერმა მორიგემ, რომელიც იქვე იდგა, ერთგულების ნიშნად უფროსს თავი დაუქნია. ორი მჭმუნვარე ნაოჭი ნესტოებიდან ჭაღარაშერეულ, მოკლე წვერამდე ჩასდევდა.

ოტომ ორივეს შეხვდა და დიდ, ბავშვურ თვალებში იმწამსვე შიში აესახა. ისინი, ეტყობა, ხვდებოდნენ, რომ გამარჯვების გვირგვინით კიდევ კარგა ხანს ვერ დაიმშვენებდნენ თავს და ახალგაამომცხვარ მემანქანეს პრუსიელებს მიპგვრიდნენ. იქნებ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მოუთმენლად ელიან, როდის ამოპყოფენ თავს უახარმაში, სულ სმენაზე დგომა იქნებ მართლაც შესანიშნავი წვრთნაა, მაგრამ ამისათვის მეზობლის კარზე დააკაკუნეთ, ჩემო კარგებო, გაიფიქრა ტემკემ და გონებაში მტკიცედ გადაწყვიტა, ხელი გამოეღო, კბილები აელესა და საქმე ბოლომდე მიეყვანა.

თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო. მატარებლის კარი იღებოდა და იხურებოდა, ადამიანები შემოდითოდნენ და გამოდიოდნენ, ისიც ბერკეტს ხან აქეთ გადასწევდა, ხან იქით, ხედავდა გზის გასწვრივ ჩამწკრივებულ ნათურებს, მათ მიერ განათებულ წრეს, კოჭებზე დაყრდნობილ ქვის კედლებს, მისი ან სხვისი პროექტორით სიბნელიდან გამოტაცებულ ლიანდაგს, ლამის მის ფეხქვეშ რომ გარბოდა, და ყველაფერი მისთვის უჩვეულოდ მახლობელი იყო. ტემკეს ბედნიერებით ავსებდა იმის შეგნება, რომ ასე მალე მიაღწია თავისი ცხოვრების მიზანს. იგი იყო მიწისქვეშა თუ მიწისზედა რკინიგზის ყველაზე ახალგაზრდა მოსამსახურე. ერთმა ილუსტრირებულმა გაზეთმა ტემკეს სურათიც კი დაბეჭდა. მისმა პატარა სატრფომ სურათი საწოლს ზემოთ, კედელზე გააკრა. მატარებლის სამართავი ბერკეტები, რომელთაც იგი თითქოს ეთამაშებოდა, არაჩვეულებრივი ძალისა იყვნენ. ტემკე გრძნობდა უფროს ძირას ატუნულ სიკვდილს, მის მრავალგვარ სახეს და ეს თითქმის ხელშესახები სინამდვილე იყო. თუმცა რომელ ახალგაზრდას ძალუძს სიკვდილი ცხადლივ წარმოიდგინოს. შიში, რასაც იგი მემანქანედ მუშაობის პირველ ხანებში გრძნობდა, განსაკუთრებით საცდელი მატარებლის ტარების დროს, დიდი ხანია მშვიდმა, გონიერულმა ყოველდღიურობამ გააქარწყლა. დარჩა მხოლოდ ძლევამოსილების შეგრძნება, რაც ხელებიდან ტვინს გადაეცემოდა და მის ნორჩ გულს ეუფლებოდა. ის იყო კაპიტანი, მესაჭე გემისა, რომელიც მთლიანად მის ნებას ემორჩილებოდა. გემი დატვირთული იყო ბატონებითა და ქალბატონებით, ქალებით, კაცებითა და ბავშვებით, რომელთა ნება-სურვილს მინის კარის დაკეტვის შემდეგ დიდი გასაქანა აღარ ჰქონდა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, მემანქანე სწორედ იქითკენ წაგვიყვანს, საითაც გვსურსო, მაგრამ მათ რომ ამ ამბისათვის ერთხელ მაინც მემანქანის თვალით შეეხვდათ, მაშინ დარწმუნდებოდნენ, რომ ნება-უნებურად იქით უნდა გაემგზავრონ, საითაც მემანქანე წაიყვანს. მართალია, მათ ძვირფას სიცოცხლეს არსაიდან არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ ესეც მხოლოდ პირობითად, თუკი გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ ადამიანს კადნიერება ჰყოფნის ელვად შეკრულ მატარებელში ჩაჯდეს, რომელსაც ჩანჩქერის მჭუხარე

ძალა მიაჭროლებს და რომლის ყველაზე მგრძობიარე მექანიზმს ადამიანის ხელი მართავს. ძლევამოსილება ღიახაც რომ შემანქანის ხელთ იყო.

სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში ძლევამოსილების თაყვანისცემისაგან პაერი თრთოდა და ზანზარებდა. მამაკაცები ქუჩაში ერთმანეთს გახეულებულ მოძრაობებით და თითქოს დადამბლავებული კიდურებით ესტუმბებოდნენ. კარადგან სამხედრო ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. საზოგადოებრივი ცხოვრება სამხედრო ადმინისტრაციის ძალდატანებას განიცდიდა. ის ადამიანები, რომელთა სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენდა, ომი გამარჯვებით დაემთავრებინათ, მშვენივრად გრძობდნენ, რა ძალაც ჰქონდათ ადამიანებზე და საგნებზე და ამას ყოველგვარ ვითარებაში ავლენდნენ. ძალდატანების ეს საყოველთაო მოზღვაება, რამაც გარემო ავხორციული ჟინით გაედინთა, ბოლოს და ბოლოს პატარა ტემქესათვის საბედისწერო აღმოჩნდა. მართალია, ტემქე დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, ომში პირადად რომ არ მონაწილეობდა, მაგრამ, როგორც მონათესავე სული, მაინც ნეტარებას განიცდიდა, როცა მხედართმთავართა გამონათქვამებს კითხულობდა, როცა ჟურნალისტები არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ ჯარების მეთაურ ღმერთკაცებს და ამავე დროს დიდად მოსწონდა მისი უდიდებულესობის სხარტი პასუხები, მაგარი სიტყვები და ანეკდოტები. ერთ საფოსტო ბარათზე გემის საჭესთან დაყუდებული ვილჰელმ II იყო გამოსახული, რომელსაც ბრუზენტგადაკრული მუზარადი ეხურა და მეზღვაურის წყალგაუმტარი ლაბადა ეცვა. სურათზე გემი მთლიანად არ ჩანდა, წარწერა კი ირწმუნებოდა: მისი გეზი სწორია და კვლავაც ამ გეზით ივლისო. ეს აზრი იმეამად ზუსტად გამოხატავდა ტემქეს სულისკვეთებას. მისი გეზიც სწორი იყო და იგიც კვლავ ამ გეზით ივლიდა. ხოლო ის, რომ მისი გეზი ლიანდაგებზე, ისრებზე, მატარებლის განრიგზე, ლიანდაგის შემოწმებაზე (და უსაფრთხოების კიდევ სხვა წესების დაცვაზე) იყო დამოკიდებული და მის ნებას არ ემორჩილებოდა, სულ უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდებოდა მის თვალში. ამგვარი რამ არ შეიძლებოდა დაპირისპირებოდა ახალგაზრდა კაცის საკუთარი ღირსების შეგრძნებას გამარჯვებულთა ამ ეპოქაში.

პატარა სატრფოსთან ურთიერთობა რომ არ გამწვავებულიყო... მაგრამ გოგონამ მარად ერთგულ ოტოს რამდენიმე დღით შვებულებაში ჩამოსული ლოყებდაწითლებული უნტერ-ოფიცერი ამჯობინა, რომელიც ურცხვად ტრახახობდა და თავი გმირად მოჰქონდა.. როცა ოტომ სცადა ქალთა მიმტაცებელი ერთი მაგრად გაელანძლა და გაეგდო, მიხვდა, რომ ამის ძალა არ შესწევდა, ხატოვნად რომ ვთქვათ, სულით ჯაბანი აღმოჩნდა. ჯარისკაცი თავხედურად იკრიჭებოდა, ოტო კი ხან მწარე საყვედურსა და ხან მუქარას გაურევდა ხოლმე ლაპარაკში. ხოლო ერთ ოთხშაბათს, როცა საღამომდე თავისუფალი იყო, სატრფოს შეუარა და ოთახში ისევ ის ჯარისკაცი დახვდა მოყუჩებული. მინას საყვედურით უთხრა, როგორ არ გრცხვენია, ეს ჯარისკაცი ხვალ ან ზეგ აქედან გაქრება და შენ ისევ მარტო დარჩებიო. ისიც დააყოლა, ჩემი ხელ-ფეხის სისაღეზე რომ არ ვფიქრობდე, ამხელა პასუხისმგებლობა რომ არ მქონდეს დაკისრებული და ამ საღამოს მორიგე არ ვიყო, ვილაც-ვილაცებს საქმეს სანანებლად გავუხდიდიო. „ერთი შენცა და შენი პასუხისმგებლობაც“, — უთხრა პატარა ლამაზმანმა მოურიდებლად, რამაც უნტერ-ოფიცერს ღიმილი მოჰგვარა. „მაღე ალბათ შენც გაგიწვევენ ჯარში და მაშინ კი დაგაყრიან შავ ღღეს“, —

ესეც დასძინა შინამ და ქალის სიტყვები უნტერ-ოფიცერმა ქირქილით დაადასტურა... ოტო ტემკემ გაიფიქრა, შეიძლება მართლაც ასე მოხდესო, თუმცა ამ ცოტა ხნის წინათ ს. გ.-ს შიანერეს (იმ სისხლიან დღეთა ჟარგონით ეს ფრონტი-სათვის ფიზიკურად უვარგის, მაგრამ საგარნიზონო სამსახურისთვის) უპატივს გერმანელს ნიშნავდა). ამავე დროს იმ დღეებში ხმები დაირხა, სახალგაზრდოებმა მასამედიცინო შემოწმება უნდა გაიართონო. ოჯახის მამებს სამხედრო სამსახურისაგან ათავისუფლებდნენ, მტვერსასრუტის ხახიდან ისინი დათრგუნვილნი ბრუნდებოდნენ და თავიანთ ძველ თანამდებობაზე ეწყობოდნენ. ასე აქცია ამჯერად ბედმა ზურგი ახალგაზრდა, მარტოხელა მამაკაცებს.

მაგრამ ოტოს მაინც გაუღიმა ბედმა და ამისათვის უცნაურად მრუდე-დაგრეხილი გზა აირჩია. იმ საღამოს ოტოს ისეთი სიბრაზე მოაწვა ყელში, მის წრეში გაცოფებას რომ ენახიან. მან ისარგებლა მორიგეობამდე დარჩენილი დროით და სულმოუთქმელად გადაჰკრა რამდენიმე ჭიქა არაყი, რასაც გაზავებული სპირტი უფრო ეთქმოდა. იმის შიშმა, ადგილი არ დაუკარგო, და დამცირებით გამოწვეულმა ურყოლისმომგვრელმა სიძულვილმა საკუთარი თავისადმი იგი თითქმის შეურაცხადი გახადა. თუმცა გარეგნულად არაფერი ეტყობოდა. აი, ასეთი განწყობილებით შეუდგა იგი მორიგეობას 1916 წლის გვიანი შემოდგომის ოთხშაბათს, საღამოს ექვს საათზე.

ოტომ მატარებელი აღმოსავლეთიდან დასავლეთით წაიყვანა და უკან დაბრუნდა, საღამოს შეიძ საათზე კისადგურჯაიზერპოფსზე ის უბედურება შეემთხვა. ერთმა გენერალმა, რომელიც ეტყობა მედიდურობით გაბღენძილ კილპელმსტრასედან მოდიოდა, სახელაქდაჟა, წმინდაწყლის გენერალმა, წითელი ზოლები რომ ამწვენებდა თავით ფეხამდე, მკერდზე თუნუქის დუქნის სამყოფთ ორდენები ეკიდა, თბილ პალტოზე ოქროთი ნაქარგი წითელი საყელო ჰქონდა მოკერებული, სქელი, წითელი ლაცკანები კი აქეთ-იქით გადაეფინა, მისი მატარებლის II კლასის მწვევლთა კუბეში დაიკავა ადგილი, დაუყოვნებლივ ჩარგო თავი გაზეთში და კითხვას შეუდგა, როგორც ეს გენერალს შეშვენის. იმხანად მატარებლების განრიგი უთავბოლოდ არეული იყო. თუმცა ვერაგი ალბონის დამაუძღურებელი ბლოკადა ქვეყანას ვერაფერს დააკლებდა, გონივრულად მოფიქრებული მომჭირნეობის ღონისძიებათა გამო (როგორც გენერალი ეს-ეს არის კითხულობდა), მაინც გაიცა ბრძანება, თუ არ საომარი მიზნით, ნახშირის ხმარება შეეზღუდათ. ოტო ტემკემ გენერალი მაშინ შეამჩნია, როცა მის კაბინას ჩაუარა და უდარდელი ნაბიჯით ვაგონისაკენ გაემართა. უდანაშაულო გენერალზე უგუნურმა გაბრაზებამ ოტოს კბილები დააღრჭიალებინა. ტემკემ ხომ გენერალი იყო! ძალას ძალა უპირისპირდებოდა! ამგვარ ვაჟბატონებს სურდათ მისი ისეთ კაცად გადაქცევა, რომელსაც შეიძლება შავი დღე აყარო. მერედა ვის უპირებდნენ ამას, უპირებდნენ იმ კაცს, ვისი გეზიც სწორი იყო და ვინც ამ გეზით კვლავაც ივლიდა! ძალა ძალის პირისპირ, ფიქრობდა ოტო და მის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. რას მიქვია ამასთან შედარებით მოძრაობის განრიგი, განკარგულებები, გაჩერებები, სადგურის უფროსები, რა ესაქმება მას მთელ ამ სამყაროსთან! მატარებლის დაბერის ნიშანზე ტემკემ ძრავა ჩართო და მატარებელიც ადგილიდან დაიძრა. მას მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა, ეჩვენებინა ხალხისთვის თავისი ბიჭობა. მისდა საბედნიეროდ მატარებლების განრიგი ისე იყო არეული, რომ გზის მონაკვეთი თავიდან ბოლომდე თავისუფალი აღმოჩნდა. კაიზერპოფიდან პოტსდამერ პლაცამდე ორი-

ოდეს ნაბიჯი იყო და ძრავებიც სწორედ აქ ამოძრავდნენ ელვის სისწრაფით. წესისამებრ მას ამ სადგურზე მატარებელი უნდა დაემუხრუჭებინა, მაგრამ ამაზე არც უფიქრია. ოტო გაგულისებულნი გააყურებდა სივრცეს. წითელ-ყვითელი ვაგონების ქარავანმა სწრაფი მატარებლის სიფიცხით ჩაუქურჩულ და მატარებელ-ლად გაჩახახებულ, გადახურულ სადგურს, რომელიც ორად გახსნის კოლოფივით მარჯვნივ და მარცხნივ დარჩა. ოტო ისე გასცდა იქაურობას, რომ ყურადღება არ მიუქცევია, როგორ იქნევდა სადგურის უფროსი ხელებს, როგორ ღრიალებდა ბრბო, რაიც მის გამარჯვებაზე მეტყველებდა. ყვიროდნენ ბაქანზე მდგომნი, რომლებიც მატარებელში ვერ ჩასხდნენ, და ყვიროდნენ ვაგონში მსხდომნიც, რომელთაც ხანგრძლივი მოგზაურობისათვის სულაც არ დაუქირავებიათ ეს მატარებელი.

ოტოს ნეტარებას გვრიდა მათი შფოთი და ამბოხი, რაც ძრავების გუგუნით გაყრუებულ მის ყურს სუსტად სწვდებოდა, მატარებელი კი ამ დროს პოტსდამერ პლაციდან გრუხუნით მიგრიალებდა ზემოთ, ლიანდაგთა სამკუთხედისკენ, შემდეგ ღია ცის ქვეშ, ტრიალ მინდორზე გავარდნილი, ლამის ჰაერში ააჭრა და შეუნელბელი სვლით ვიადუკს გადაუჭროლა. გზის ამ მონაკვეთზე, სადაც დაბლა ჯერ კიდევ სასაცილოდ და გულმოდგინედ ბოლავდნენ ძველებური ორთქლმანქანები, დაქსაქსული ჩირაღდნები და ლიანდაგების წყება გადასაჯდომი სადგურის სინათლის ზღვაში შთაინთქა. სადგურმა მატარებელი კი დაიჭირა, მაგრამ იგი იმწამსვე გაუსხლტა ხელიდან. მატარებელში სამარისებური სიჩუმე სუფევდა, მზერაგაყინული მგზავრები უსიტყვოდ ებლაუჭებოდნენ ყველაფერს, რასაც შეიძლებოდა მოსჭიდებოდნენ და ყოველ წამს ელოდნენ, როდის დაეჯახებოდათ აქეთ-იქიდან საშინელი ძალით რალაცა. შემფოთებულმა სადგურებმა დიდი ხანია აცნობეს მთავარ სადგურს, ამა და ამ მატარებლის შემანქანე ჰკუაზე შეიშალა და სადგურებზე არ ჩერდებო. ცნობას ლიანდაგთა სამკუთხეა გასაყარიდან იმწამსვე მოჰყვა ცნობა ბიულთვმტრასედან, სადაც მრავლად თავმოყრილი ადამიანები, ოჯახებისაკენ რომ მიისწრაფოდნენ, უჩვეულო გრძობამ შეიპყრო, როცა ბაქანს მათთვის ნაცნობი მატარებლის მაგივრად, რომლითაც ჩვეულებრივ შინ ბრუნდებოდნენ, სწრაფად ჩაუქროლა რომელიდაც უცხო ჩქარმა მატარებელმა და გაჩახახებულ ღამეში ნოლენდორფპლაცის მიმართულებით გაუჩინარდა. ცენტრალურ სადგურში შვებით ამოისუნთქეს. ლიანდაგთა სამკუთხეა გასაყარი გავლილი იყო და დიდი უბედურება უკვე აღარ მოელოდათ, რადგან მთელი ხაზი გაფრთხილებული იყო ტელეფონით, ყურადღებით ადევნეთ თვალყური, რომ ვიტენბერგპლაცთან მატარებლის გადასაყვანი ისრები ღია იყოს და სწორი მიმართულებით გადაგდებულიო. ძრავების დაზიანების ან რაიმე სხვა ტექნიკური ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მთელ ქსელში დენი უნდა გამოვრთოთ, მაგრამ როცა მატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქრის, ჩვეულებრივი შემთხვევა შეიძლება ნამდვილ კატასტროფად იქცესო, — ბჭობდნენ რკინგზის მოხელენი.

ამასობაში ოტომ დიდი ხანია უკან ჩამოიტოვა სადგური „ზოობარკი“, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ მისთვის საყვარელ რკინგზაზე პირველი თავგადასავალი გადახდა. გაქვავებული მგზავრები უმწეოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. ჰკუაზე გადასულ შემანქანეს რამდენიმე გულადი მამაკაცი კი მოერეოდა, მაგრამ მატარებელს როგორ მოერეოდნენ? მგზავრები მუშტებს ურტყამდნენ კედელს, რომელიც შემანქანის კაბინას ვაგონისაგან ჰყოფდა, მე-

ტი ვერაფერი გაეხდებოდა. აბა ვის ეხალისებოდა თავით მიხეთქებოდა მინიან ფანჯარას ან, ელექტროხელსაწყოში გაურკვევლობის გამო, ათასგვარად დენის წერა გაძნდარიყო. მატარებელმა გრუხუნით ჩაუქროლა სასიგნალო ნიშნებითა თუ ტელეფონით გაფრთხილებულ ბისმარკშტრასეს სადგურის მკობრო ტალახებს, მაგრამ ახლა უკვე ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან მატარებელი ბოლო სადგურს, რაიხსკანცლერპლაცს მაინც ვერ გასცდებოდა და აკი ვერც გასცდა, თერთმეტი თვის მანძილზე გამომუშავებულმა ჩვევამ ბოლოს და ბოლოს მოთოკა თქო. სიბრაზე გაუნელდა. მან ხომ ცხადყო უკვე საკუთარი ძლევამოსილება, ზომ უჩვენა ხალხს თავისი ბიჭობა. მატარებელი № 3471, როგორც წესი და რიგია, ნელა შევიდა რაიხსკანცლერპლაცის სადგურზე და ისე გაჩერდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. და სწორედ აქ მოიმოქმედა ოტომ ყველაზე გონივრული რამ, რაც კი თავის სიცოცხლეში მოუპოქმენია — სკამიდან გულწასული ჩაუვარდა მკლავებში სადგურის მორიგეს, რომელიც მის დასაპატიმრებლად შემოსულიყო კაბინაში, და ოფელში გაწურული, აცახცახებული, გამწვანებული და მომჩვარული მოხელის მკლავებში აფართხალდა. მგზავრებმა, რომლებიც აპირებდნენ თავს დასცხრომოდნენ თავიანთ განტაცებულს და ჯიკავ-ჯიკავით, ყაყანით, სიცილით დაეხვივნენ, დაინახეს, რომ ეს იყო სრულიად ახალგაზრდა, დამშეული ცხრამეტი წლის ყმაწვილი, დიახ, რომელიდაც მძიმე განცდით გონდაკარგული ბიჭი, რომელმაც ნათ ისულებითი ექსკურსია მოუწყო რაიხსკანცლერპლაცის უდაბურ, ჯერ კიდევ მშენებარე უბანში. ბევრ მგზავრს იმსალამომდელი გეგმები ჩაეშალა. ბევრი სხვა რამემ გააღიზიანა, სხვა მხრავ დაზარალდა. ქალებს ქმრები და შეილები ჰყავდათ დასაბურებელი, ზოგი მამაკაცი უთუოდ უნდა დასწრებოდა ვასშაშს ან თათბირს, ბევრს გაუუქმდა თეატრისა თუ კონცერტის ბილეთები: რა ტყუილად უხაროდა ზოგიერთს, ოსკარ ფრიდისეულ ბრუკნერის სიმფონიას მოვისმენ, ან შუბერტის დარბაზში ჰეკინგის ტრიო დამიტკობსო სმენას, მაგრამ მგზავრებიც აღამიანები იყვნენ და თანაც ბერლინელები. ისინი საცილ-ხუმრობით დაემორჩილნენ გარდუვალობას, გარდა ამისა მატარებელი იქვე, სადგურზე იდგა და ხანშიშესული, სანდომიანი მეძანქანე მზად იყო მგზავრების წასაყვანად. თითოეულ მათგანს იგი უფასოდ მიაქროლებდა იმ სადგურამდე, რომელსაც არ უნდა გასცდებოდა. თუმცა ვექილმა დუნსტიმა განაცხადა, ამ ხითათის გამო რკინიგზის მფლობელ საზოგადოებას მოყენებული ზარალისათვის პასუხს ეავებინებო, და აქვე იკისრა ვალდებულება, რომ პრეტენზიის მქონე ყველა მგზავრს უყვასოდ დაიცაედა, მაგრამ რადგან გვარად დუნსტი¹ იყო, მისი ნათქვამი ბევრს ჭკუაში არ დაუჭდა და ისევ იმ დარბაზის დათვალთვრება ამჯობინეს, სადაც საკუთარი ძლევამოსილებით გაბრუებული ოტო ტემკე უგრძნობლად იწვია. ერთმა ექიმმა აღშფოთებით განაცხადა: ნუთუ ვერ ხედავთ, ყმაწვილი რომ გადაღლილია და ახლა აქ პრესის წარმომადგენელი რომ იყოს, მაშინ... მაგრამ ექიმი სადგურის უფროსმა დაამოშშინა და უთხრა, ამიერიდან, რა თქმა უნდა, ახალგაზრდებს მატარებელს აღარ ვანდობთ, დიდი ხანია აღძრულია საკითხი, მიწისქვეშა რკინიგზის თანამშრომელთ ჯაეშანი მიეცეს და ეს შემთხვევა ხელს შეუწყობს ამ საკითხის დადებითად გადაჭრასო. „ბიჭი დასასვენებელ სახლშია გასაგზავნი“, ჩაიბუზღუნა წასვლის წინ ექიმმა, რომელ-

¹ ნიქლი, ანატოლელი (გერმ.).

საც უფრო შემბრალებული გული პქონდა, ვიდრე ამის შესაძლებლობას საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა აძლევდა.

ოტო ტემკემ მართლაც ამოჰყო თავი დასასვენებელ სახლში. მას პირად საქმეში დროებითი ფსიქიკური აშლილობა ჩაუწერეს და ამას საპროფიტო იხსნა თაველე სამსახურისაგან. ხოლო გარნიზონის ჯარისკაცს ბუნებრივად უნებში საკმარისი დრო აქვს იმისათვის, ის ხელობა შეისწავლოს, რომელიც უნდა.

1917 წლის ზაფხულში იგი გადაიყვანეს ლილში ტრამვაის პარკის მოსამსახურედ. იქ მან დაამტკიცა, რომ „მაშინ“ მართლაც დროებით მოეშალა ფსიქიკა რომელიღაც ცნობილი თუ უცნობი ავადმყოფობის გამო. როცა სხვებთან ერთად მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, მან შეერთო პატარა შინა, რომლის თავგადასავალი ვერაფერი სასიამოვნო აღსაწერია, მაგრამ რომელიც არცთუ სწორი გზით სიარულის შემდეგ მიხვდა, რომ მისთვის უმჯობესი იქნება, თუკი ქალბატონი ილბერთინე ტემკეს სოლიდურ საქმეს ერთ მშვენიერ დღეს თვითონ იკისრებს და განაგრძობს. ამჟამად ოტო ორი ვაჟის მამაა და ტრამვაის ვაგონის მძღოლი. ზოგჯერ, ძილგატეხილი ლოგინში თვალხილული წევს და იმ საღამოს იგონებს, როცა „სიგიჟე გაითამაშა“, მაშინ გუნებაში ჩაიციან და თავისთვის ჩაილაპარაკებს: იმაზე სახიფათო რამ ჩემს სიცოცხლეში არაფერი ჩამიდგნია და ბედის ამგვარი წყალობა საეჭვოა როდისმე კიდევ დამპირდესო.



პერტოლტ ბრეკტი

კენისარი და მისი ლეგიონერი

გერმანიულიდან თარგმნა მილა კოდუა

I

კენისარი

მარტის დასაწყისში დიქტატორმა უკვე იცოდა, რომ დიქტატურის დღეები დათვლილი იყო. პროვინციიდან ახლად ჩამოსული უცხო ადამიანისათვის უფრო შესამჩნევი იყო ის საოცარი ცვლილება, რაც დედაქალაქს ამ ბოლო ხანებში განეცადა. იგი შესამჩნევად გაზრდილიყო და გამშვენიერებულიყო. შემატებოდა დიდებულება და ბრწყინვალება. ათასნაირი ხალხი ირეოდა კვარტალებში. გრანდიოზული მშენებლობები დასასრულს უახლოვდებოდა. მთელი სიტი ვერ აუდიოდა პროექტებს, ვაჭრობდნენ მშვიდად. მონები გაიფტა.

ხელისუფლება მყარი ჩანდა. დიქტატორი მუდმივ დიქტატორად დასახელეს და ისიც თავისი უდიდესი განზრახვის განხორციელებას შეუდგა. აღმოსავლეთის დასაპყრობად ემზადებოდა, სპარსეთთან საბრძოლველად, რომელიც ალექსანდრეს ნამდვილი მეორე ლაშქრობა უნდა ყოფილიყო.

კეისარმა იცოდა, რომ ამთვის ველარ გაატანდა. ძალაუფლებას უმარტულეს მწვერვალს მიაღწია. მის წინ მხოლოდ უფსკრული იყო.

13 მარტს, დიდ სხდომაზე სენატი საგრძნობი გულგრილობით, შეიძლება ითქვას, ცივადაც შეხედა დიქტატორის წარმოთქმულ სიტყვას. დიქტატორი „სპარსეთის ხელისუფლების სახიფათო მოქმედების“ წინააღმდეგ გამოვიდა და განაცხადა, ლაშქარს ეგვიპტის დედაქალაქ ალექსანდრიაში უკვე მოვუყარო საომრად თავი. სანამ დიქტატორი ლაპარაკობდა, სენატორებს შორის ბორბოტი ხმა დატრიალდა. ხელიდან ხელში გადადიოდა საბედისწერო ქაღალდი, რომელშიც აღნიშნული იყო დიქტატორის მიერ ესპანეთის ხაზინაში სხვისი სახელით გადაგზავნილი თანხა. დიქტატორს გადააქვს თავისი პირადი ქონება (110 მილიონი) უცხოეთში! როგორ! — ჩურჩულებდნენ სენატორები, — განა არ არის დიქტატორი დარწმუნებული თავისი ომის ბედ-იღბალში? ან იქნებ არც აპირებს სპარსეთის წინააღმდეგ გალაშქრებას და მხოლოდ რომთან საომრად ემზადება?

როგორც ყოველთვის, სენატმა ერთხმად მოიწონა ომისათვის კრედიტის გამოყოფა.

ინტრიგების ბუდეში — კლეოპატრას სასახლეში — აღმოსავლეთის საკითხზე შეიკრიბნენ მხედართმთავრები. ეგვიპტის დედოფალი სპარსეთთან ომის ნამდვილი სულისჩამდგმელი იყო. ბრუტუსი, კასიუსი და სხვა ახალგაზრდა მეომრები კლეოპატრას ულოცავდნენ ომის პოლიტიკის ტრიუმფს სენატში, ხოლო მის განხორციელებულ ჩანაფიქრს — სენატში საბედისწერო ქაღალდი გაეგრძელებინათ, აღფრთოვანებითა და ყიყინით შეეგებნენ. რაოდენ გაცდებდა დიქტატორი, დაუფარავეი ალტაცებით ამბობდნენ ისინი, როცა მოწონებული კრედიტის აღებას დააპირებო სიტიში...

მართლაც კეისარს, რომელსაც სენატის თავაზიანობის მიუხედავად მისი სიცივე არ გამოპარვია, მიეცა საშუალება სიტიშიაც ეგრძნო მეტად გამაღიზიანებელი დამოკიდებულება. სავაჭრო პალატაში მან ხაზინადრები პირდაპირ კედელზე გაკრულ უზარმაზარ რუკასთან მიიყვანა და სპარსეთსა და ინდოეთზე ლაშქრობის ამბები გააცნო. პატრიციები თავს უქნევდნენ, მაგრამ საუბარი მაშინვე გალიაზე გადაქონდათ, რომელიც აგერ უკვე ერთი წელი იყო რაც დაპყრობილი ჰქონდათ, მაგრამ იქ სისხლიანი აჯანყებები მაინც არ წყდებოდა. „ახალი წყობა“ ფეხს ვერ იკიდებდა. ხაზინადრებმა წინადადება წამოაყენეს, რომ ახალი ომი შემოდგომისთვის გადაეტანათ.


კეისარმა პასუხი არ გასცა და მოურიდებლად მიატოვა ისინი. პატრიციებმა რომაული მისალმების ნიშნად ხელი ასწიეს, ვილაცამ წაიბუტბუტა: „კმარა სიფიცხე, მბრძანებელო!“

„ნუთუ მართლა არ სწადიათ ომი? — ფიქრობდა კეისარი. — ასე უცბად როგორ შეიცვალეს აზრი?“

ცნობების შეკრებამ გასაოცარი ამბები გამოაშქარა. თოფხანები გაცხოველებით ემზადებოდნენ ომისათვის. იარაღის ღირებულება წარმოუდგენელი სისწრაფით იწვედა მალღა. მონებზეც ფასები მატულობდა...

რას უნდა ნიშნავდეს ეს? მათ სურთ დიქტატორის შეთავაზებული ომი, მაგრამ უარს კი ამბობენ თანხის გაცემაზე?

სალამოს კეისარმა უკვე იცოდა, რასაც ნიშნავდა ეს ამბავი. მათ სურდათ



ომი, მაგრამ ომი მის გარეშე.

ბრძანება გასცა ხუთი ხაზინადარი დაეპატიმრებინათ.

ისე ღელავდა, რომ მისი მხლებელი გაოცდა, რომელსაც იგი თვით შუა სისხლისმღვრელ ბრძოლებშიაც კი სრულიად მშვიდი უნახავს. ბრუტუსის გამოჩენაზე ოდნავ დამშვიდდა, რადგან იგი განსაკუთრებით უყვარდა. ვერაფრით ვერ გაებედა კეისარს ჩაეხედა დოსიეში, რომელიც სიტიში მყოფმა მისმა ნდობილმა პირმა გამოუგზავნა. მასში შეთქმულთა სახელები იყო აღნიშნული. მათ შორის ბრუტუსისაც. შეთქმულება აპირებდნენ დიქტატორზე თავდასხმას. შიში, რომ ამ დიდტახიან დოსიეში (ისე დიდ, საზარლად დიდ დოსიეში) არ ამოეკითხა თავის ახლო ადამიანთა სახელებიც, უარს ათქმევინებდა დიქტატორს მის გახსნაზე. როცა ბოლოს კეისარმა გაუხსნელს დოსიე მდივანს უკან გადასცა და უთხრა, შემდეგ გავეცნობიო, ბრუტუსმა შევებით ამოისუნთქა.

დიდი შეშფოთება გამოიწვია კლეოპატრას სასახლეში გაფითრებული და დაბნეული ბრუტუსის გამოჩენამ, რომელმაც ამცნო, შეთქმულთა შესახებ საქმე არსებობსო. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, რომ კეისარი მას გაეცნობოდა. კლეოპატრამ ძლივს დაამშვიდა იქ მყოფნი, შეეხო მათ შემოპრულ ღირსებას. თვითონ კი ბრძანა, გასამგზავრებლად გაემზადებინათ.

ამასობაში კეისართან გამოცხადდა ცენტურიონთა ედილი. ამ წელიწადში იგი უკვე შესამე იყო. ორი მისი წინამორბედი ორი თვის წინ შეიპყრეს, როგორც შეთქმულებას მონაწილე. ახალი ედილი კეისარს პირადი უშიშროების დაცვას პპირდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ხაზინადრების დაპატიმრებასთან დაკავშირებით სიტიში დიდი მღელვარება სუფევდა.

— სხვათა შორის, — დასძინა მან, — ხაზინადრებს მჯარველად მეტად გავლენიანი პირები გამოუჩნდნენ...

ედილი გამოთქვამდა რწმენას, რომ სულ მალე სპარსეთთან ომი დაიწყებოდა და ბოლო მოეღებოდა ყოველგვარ ობოზიციას. სანამ ედილი თავდაცვის ათასგეარ საშუალებებს არჩევდა, კეისარმა ცოცხლად წარმოიდგინა, როგორ მოკვდებოდა, რადგან იცოდა, რომ სიკვდილი ელოდა.

ბრძანებს პომპეუსის პორტიკუსში წაყვანას. იქ გადმოვა, მთხოვნელებს გაისტუმრებს, ტაძარში შევა. ერთ-ორ სენატორს თვალს შეავლებს და მიესალმება. საჯაროებელზე დაჯდება. ნახავს, როგორ შეასრულებენ მის წინ ზოგიერთ ცერემონიას. შემდეგ შეთქმულები, რომელთა სახელებიც კეისარმა თეთრ ლაქებად წარმოიდგინა, მისკენ წამოვლენ რაღაცა მიზეზით. ერთი მათგანი რამეს მიაწოდებს წასაკითხავად. ისიც ხელს გაიშვერს და გამოართმევს. დანარჩენები კი თავს დაესხმიან. იგი მოკვდება.

არა, მისთვის აღარ იქნება ომი აღმოსავლეთში. მისი უდიდესი განზრახვა აღარ განხორციელდება. ახლა მარტო ისღა დარჩენია ცოცხალმა აისწროს ხომალდზე და ალექსანდრიაში გაემგზავროს თავის ჯარებთან. ალბათ ალექსანდრიაა ის ერთადერთი ადგილი, სადაც საფრთხე არ ელის.

გვიან ღამე გუშაგებმა რამდენიმე პატრიცი გაატარეს დიქტატორის სავანეში. სპარსეთთან ბრძოლის თაობაზე მოსულ მხედარმთავერებად მიიჩნიეს, მაგ-

რამ სცდებოდნენ. ესენი მხოლოდ მკურნალები იყვნენ, დიქტატორს უძილო-
ბა აწუხებდა.

მეორე დღე, 14 მარტი გაურკვეველობითა და უსიამოვნებებით აღსავსე
აღმოჩნდა. ალიონზე კეისარი საჯიროთო სკოლაში გაემგზავრა. მას უდი-
დესი აზრი დაებადა. სენატი და სიტი მისი წინააღმდეგნი არიან. მერე რა? მა-
შინ იგი ხალხს მიმართავს.

განა არ ყოფილა იგი ოდესღაც დიდი სახალხო ტრიბუნი? დემოკრატიის
ნამდვილი იმედი? ხომ ჰქონდა ხელთ ისეთი გრანდიოზული პროგრამა, რომ-
ლითაც შეეძლო საბოლოოდ დაეშინებინა სენატი. ეს იყო მამულთა დაყოფა
და ლატაკთა დასახლება.

დიქტატურა? არაერთარი დიქტატურა! დიდი კეისარი პირად ცხოვრებას
დაუბრუნდება, წავა თუნდაც ესპანეთში...

დადლილი იყო, ცხენზე რომ შეჯდა. უხალისოდ შემოატარა ირგვლივ,
მაგრამ როგორც კი მისი ფიქრები ხალხს შეეხო, წელში გაიშართა, სადავეები
მოწიდა და ცხენი ყალყზე შეაყენა... იჯირითა მანამდე, სანამ ცხენი მთლად
არ გაიხვითქა. გახალისებულმა და სრულიად ახალმა ადამიანმა დატოვა საჯი-
როთო სკოლა.

იმათთაგან, რომელთაც დიდი თამაში წამოეწყათ, ამ დილით ბევრი არ
იყო კეისარივით გულდაჯერებული... შეთქმულები დაპატიმრების მოლოდინ-
ში პაპირუსებს სწვავდნენ. ბრუტუსმა თავის ბაღში მცველები დააყენა. რამ-
დენიმე ადგილას მზად ყავდათ შეკაზმული ცხენებიც. ტიბრზე გაშენებულ
სასახლეში კლეოპატრა აღსასრულის დღისათვის ემზადებოდა. კეისარი უკვე
წაიკითხავდათ შეთქმულთა სახელებს, ფიქრობდა კლეოპატრა და თან მთელი
მონდომებით ირთებოდა. მონები დაითხოვა, საჩუქრებს ანაწილებდა. საცაა
ჯალათებიც გამოჩნდებიანო, ეჭვი არ ეპარებოდა დედოფალს.

ობოზიციათ გუშინ თავისი გაიტანა, დღეს კი საპასუხო დარტყმას მიიღებს
ხელისუფლებისაგან.

დიქტატორთან დილის მიღებაზე გამოაშკარავდა, როგორი იქნებოდა ეს
საპასუხო დარტყმა.

რამდენიმე სენატორის თანდასწრებით კეისარმა თავის ახალ გეგმაზე
ჩამოაგდო საუბარი. დაბიზნავს არჩევნებს, უარს იტყვის დიქტატორობაზე.
შიაი ლოზუნგი იქნება: ძირს ომი! რომის მოქალაქენი სპარსეთის კი არადა,
იტალიის მიწებს დაიპყრობენ, რადგან აბა როგორ ცხოვრობენ რომის მოქა-
ლაქენი, მსოფლიოს მფლობელები? კეისარმა აღწერა მათი მდგომარეობა.

სენატორები სახეგაქვავებულები წეგებნენ რომის უბრალო მოქალაქე-
ების გაჭირვების სახარელ სურათს. როგორც ჩანს, დიქტატორმა ნილაბი ჩა-
მოიცილა, გაიფიქრეს მათ. მას განზრახული აქვს მღაბით ხალხის წაქეზება.
ნახევარ საათში ეს ცნობა მთელ სიტის მოედება. გაქრება მტრობა სიტისა და
სენატს შორის, ხაზინადრებსა და მეომრებს შორის. ყველა ერთხმად ერთ სა-
კითხში შეთანხმდება და ერთსულოვნად იტყვიან: ძირს კეისარი!

სიტყვის დამთავრებამდე კეისარი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. არ
უნდა ყოფილიყო მეტისმეტად გულახდილი. სწრაფად შეცვალა თემა, თავისი
ჩვეული ხერხი იხმარა და დასძინა, ჩემს მეგობრებს უდარდელად შეუძლიათ
ყოფნა, რადგან ეს კანონი მათ მამულებს არ შეეხებათ. პლებეებს დავებმარე-
ბით, მიწებს გამოეყოფთ და დავასახლებთ, ამას სახელმწიფო განახორციელებს

თავისივე ხარჯებით, გარდა ამისა, წელს კარგი ზაფხული დაგვიდგება და ყველას ვთხოვთ ბაიეში მეწვიოთო...

სენატორებმა მადლობა გადაუხადეს მიწვევისათვის და დაიშალნენ. კეისარმა ბრძანა გადაეყენებინათ და შეეპყროთ ცენტურის ედილი, რომელსაც დაპატიმრებული ხაზინადრები წინა დამით გაეთავისუფლებინა. შემდეგ გააგზავნა თავისი მდივანი დემოკრატიული განწყობის გასაგებად. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო ხალხის მოქმედებაზე.

დემოკრატიულ წრეებად ითვლებოდნენ ერთ დროს ხელოსანთა კლუბში შემაჯავლი პოლიტიკოსები, რომელთაც რესპუბლიკის დიად დღეებში, არჩევნებისას, მთავარი როლი შეასრულეს. ეს ოდესღაც ძლიერი აპარატი დაშალა კეისრის დიქტატურამ და მის წევრთა ერთი ნაწილისაგან შექმნა სამოქალაქო გვარდია, ეგრეთ წოდებული ქუჩის კლუბი. შემდეგ ქუჩის კლუბიც დაშალეს. ახლა კი დიქტატურის მდივანი ტიტუს რარუსი დაეხებდა ამ პლებეი პოლიტიკოსებს, რათა მათი განწყობა გამოერკვია.

ელაპარაკა მღებავთა გილდის ყოფილ თავს, შემდეგ მიკიტანს, არჩევნების ყოფილ მოთავეს. ორივე ძალიან ფრთხილობდა და საერთოდ არც იყვნენ განწყობილი პოლიტიკაზე სასაუბროდ. მათ ბებერ კარპოზე მიუთითეს, რომელიც წინათ კალატოზთა თავკაცად ითვლებოდა. მხოლოდ მას შეეძლო ყველაზე მეტად გავლენა მოეხდინა ხალხზე, რადგან ამჟამად საპყრობილეში იჯდა.

ამასობაში კეისარს დიდი სტუმარი ეწვია: კლეოპატრა. დედოფალს ველარაეტანა დაძაბული ლოდინი და გადაეწყვიტა თვითონვე გაერკვია თავისი მდგომარეობა. სასიკვდილოდ მორთულიყო. ეგვიპტის მთელი ხელოვნება გამოეყენებინა სამ კონტინენტზე განთქმული თავისი სილამაზის ნათელსაყოფად. დიქტატორს ეტყობოდა დრო ჰქონდა. ქალური სილამაზის უბადლო შემფასებელმა ჩვეული თავაზიანობით მიიღო კლეოპატრა. როგორც ყოველთვის, მზად იყო კეთილი რჩევა მიეცა მისთვის. თანაც აგრძნობინა, თუკი დედოფლის ნებაც იქნება, დაერჩებიო თქვენს თავჯანსმცემლად. სიტყვა არ დაუძრავს პოლიტიკაზე. დასხდნენ ატრიუმში, საკვების უყრიდნენ ოქროს თევზებს, თან ამინდზე საუბრობდნენ. ზაფხულის გასატარებლად დიქტატორმა კლეოპატრას ბაიე შესთავაზა.

კლეოპატრა მაინც ვერ დაშვიდდა. იფიქრა, დიქტატორი ჯერ საკმაოდ მომზადებულად ვერ გრძნობსო თავს საბასუზო დარტყმისათვის. კეისრის ვულითადობაც ამით ახსნა. სახეგაქვავებულმა დატოვა მისი სასახლე. კეისარმა იგი ტახტრეჯანამდე მიააცილა. შემდეგ იურისტებსა და მდივნებს დაუბრუნდა. რომლებიც გაცხოველებით მუშაობდნენ საარჩევნო კანონის ახალ პროექტზე. პროექტი საიდუმლოდ უნდა შედგენილიყო. არავის არ ჰქონდა სასახლიდან გასვლის უფლება. ეს კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატიული უნდა ყოფილიყო იმ კონსტიტუციებს შორის, როგორიც კი ოდესმე ახსოვდა რომს.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ხალხზე იყო დამოკიდებული...

რარუსმა საგრძნობლად დაიგვიანა. რა უნდა ჰქონდეთ ამდენი სადაო პლებეებს, ფიქრობდა დიქტატორი. ვანა ორივე ხელით არ უნდა ჩაეჭიდონ ისინი იმ ერთადერთ შესაძლებლობას, რომელსაც მათ კეისარი აწვდის? გადაწყვიტა რარუსის დაბრუნებამდე ძაღლების რბოლაზე წასვლა. იგრძნო ხალხთან ყოფნის აუცილებლობა. სწორედ აქ ექნებოდა მასთან უშუალო კონტაქტის დამყარების შესაძლებლობა. არენა მთლიანად არ იყო ჯერ შევსებული. კეისარი არ

შევიდა დიდ ლოჯიაში. სულ ზევით ავიდა და ხალხში დაიკავა ადგილი. წყველოდამწვიდებულნი ყოფილიყო, რომ ვერ იცნობდნენ, რადგან მას ყოველთვის შორიდან ნახულობდა ხალხი.

კეისარი ერთხანს თვალს ადევნებდა შეჯიბრს. შემდეგ ერთ-ერთს ამოირჩია და მასზე დადო ნიძლავი. მის გვერდით ერთი მამაკაცი დაჯდა, რომელსაც აუხსნა, თუ რატომ შეარჩია მაინცდამაინც ეს ძაღლი. მამაკაცმა თავი დაუქნია. წინა რიგში დავა ატყდა. ახლად მოსულებს ედავებოდნენ მაყურებლები. კეისარმა სცადა მეზობლებს გამოლაპარაკებოდა, პოლიტიკასაც შეეხო. ძუნწად პასუხობდნენ. მიხვდა, რომ იცნეს. თავისივე საიდუმლოდ გადაცმულ ცენტურნიორებს შორის ჩამჯდარიყო.

უგუნებოდ წამოდგა და იქაურობას გაეცალა. სხვათა შორის, იმ ძაღლმა, რომელზეც მან ნიძლავი დადო, ყველას გაუსწრო...

არენასთან თავის მდივანს შეხვდა, რომელიც მას დაეძებდა. ცუდი ამბები მოეტანა. არავის სურდა მოლაპარაკებულებიყვნენ. ყველგან მხოლოდ შიში და სიძულვილი სუფევდა. უფრო მეტად სიძულვილი. კაცი, რომელიც ყველას ნდობას იმსახურებდა, იყო კარპო, კალატოზი. კეისარს სახე მოედრებდა. პირქუშად მიაშურა ტახტრევანს და ბრძანა მამერტინის საპრობილეში წაეყვანათ. გადაწყვიტა კარპოს შეხედროდა.

კარპოს მოძებნა არც ისე ადვილი იყო, რადგან ამ კაზემატებში უამრავი პლებეი პატიმარი ღებებოდა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ იგი რომელიღაც ორმოდან თოკით ამოათრია. დიქტატორის წინაშე წარსდგა კაცი, რომელსაც ეხდობოდა რომის მთელი მოსახლეობა.

პირისპირ დასხდნენ და ერთხანს უსიტყვოდ ათვალიერებდნენ ერთმანეთს. კარპო არ იყო ცეზარზე უფროსი, მაგრამ უკვე 30 წლის მოხუცივით გამოიყურებოდა. მიხრწნილი და დაძაბუნებული ჩანდა, მაგრამ გაუტეხელი. კეისარმა გულახდილად გააცნო თავისი საიდუმლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დემოკრატიის აღდგენას და არჩევნების დაწესებას. თვითონ კი, დიქტატორი თავის პირად ცხოვრებას დაუბრუნდება და სხვა და სხვა.

კარპო დუმდა. არც პოს ამბობდა, არც არას. მხოლოდ დუმდა. პირდაპირ სახეში მიშტერებოდა კეისარს და კრინტს არ სპრავდა. როცა კეისარი წავიდა, კარპო ისევ იმ ორმოდში ჩაუშვეს გრძელი თოკით. დემოკრატიაზე ოცნება ისევ ოცნებად დარბა. ერთი კი ცხადი იყო კეისარისათვის: პლებეი პოლიტიკოსებს სურდათ სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ სურდათ მის გარეშე, რადგან მეტისმეტად კარგად იცნობდნენ მას.

დიქტატორი სასახლეში დაბრუნდა. მის მდივანს დიდი ჯაფა დასჭირდა შეეგნებინებინა გუშაგებისათვის, თუ ვინ იდგა მათ წინაშე. ახალ ედილს რომაელი გუშაგები ზანგთა კოჰორტით შეეცვალა. ზანგები უფრო საიმედონი იყვნენ, რადგან ლათინური არ ესმოდათ და ქალაქის განწყობა ნაკლებად იმოქმედებდა მათზე. კეისარმა უკვე კარგად იცოდა, რა განწყობაც სუფევდა ქალაქში...

იმ ღამეში სასახლეში მშფოთვარედ ჩაიარა. კეისარი რამდენჯერმე წამოდგა და ფართო დარბაზები მოიარა. ზანგები სვამდნენ და მღეროდნენ. ისინი არ აქცევდნენ კეისარს ყურადღებას და არც იცოდნენ, თუ ვინ იყო. კეისარმა ყური მიუგდო მათ ნაღვლიან სიმღერას და საჯინიბოსკენ გაემართა. საყვარელი ცხენი მოინახულა. ცხენი ყოველთვის ალღოთი გრძნობდა მის მიახლოებას.

შკვლაღი რომი ძილს მისცემოდა. ღამის სათევის წინ თავი მოეჭარათ გა-
კოტრებულ ხელოსნებს. სამი საათის ძილისათვის თავშესაფრის მოლოდინში
დიდ, ნახევრად ჩამოფხრეწილ პლაკატებს კითხულობდნენ. ეს პლაკატები
იწვევდა მეომრებს აღმოსავლეთის ომებში მონაწილეობის შესახებ, ომებ-
ში, რომლებიც უკვე აღარ მოხდებოდა.

სასახლის ბაღებში გუშაგები აღარ ჩანდნენ. სასახლეებიდან მთვრალი
ხალხის ხმები გამოდიოდა. ქალაქის სამხრეთ კარიბჭედან ცხენოსანთა მცირე
კავალკადა გადიოდა. პირბადეჩამოთარებულ კლეობატრა ტოვებდა დედაქა-
ლაქს... შუაღამეს გადაცილებული იყო, როცა კეისარს რაღაც გაახსენდა, წა-
მოდგა და ფლიგელისკენ გაემართა. აქ იურისტები ასალ კონსტიტუციაზე გა-
მალებით მუშაობდნენ. კეისარმა უბრძანა შეეწყვიტათ მუშაობა და დასაძინებ-
ლად დაითხოვა.

დილით კეისარს აცნობეს, რომ მისი მდივანი ტიტუს რარუსი მოკლული
ნახეს. როგორც ჩანს, ამის მიზეზი გახდა პლებები პოლიტიკოსებთან მისი სა-
უბარი. სიბნელეში მძლავრმა ხელმა ვერაგულად გამოასალმა იგი წუთი-
საფელს. საინტერესოა, ვის ეკუთვნოდა ეს ხელი? შეთქმულთა სახელების
სიები, რომლებიც რარუსთან ინახებოდა, გაქრა.

რარუსი სასახლეში მოკლეს. ე. ი. სასახლე აღარ არის დიქტატორის მომხ-
რეთა საიმედო ადგილი. ისიც საკითხავია, თვით დიქტატორისთვისაც თუ არის
საიმედო.

კეისარი დიდხანს იდგა ტიტუს რარუსის სარეცელთან. რარუსი იყო მისი
უკანასკნელი ერთგული პირი, რომელსაც ეს ერთგულება სიცოცხლის ფასად
დაუჯდა.

ოთახიდან რომ გამოვიდა, მთვრალი გუშაგი მოურიდებლად წაეჭახა. პატი-
ება არც უთხოვია. კიბეზე ჩასვლისას კეისარმა მღელვარება ველარ დაფარა და
რამდენჯერმე ეჭვიანოდ მიმოიხედა.

ატრიუმში განსაკუთრებით უკაცრიელი ჩანდა. არავინ მოსულიყო დილის
მიღებაზე. აქ კეისარს ანტონიუსის შიკრიკი წამოეწია, რომელმაც კონსულის
თხოვნა გადასცა. აფრთხილებდა, არავითარ შემთხვევაში არ გამოცხადდე სე-
ნატში, რადგან საფრთხე გელისო. დიქტატორმა თავის მხრივ შიკრიკის პირით
დააიშვედა ანტონიუსი, თხოვნას შეეასრულებო.

მართლაც სენატში წასვლა გადაიფიქრა და ბრძანა კლეობატრასთან წაე-
ყვანათ. თავის სასახლის წინ დილის მთხოვნულთა გრძელ რიგს ჩაუარეს. იქნებ
კლეობატრამ გაიღოს თანხა ჩემი ლაშქრობისათვის, გაუელვა კეისარს აზრმა.
მაშინ ხომ არც ხაზინადრები დამჭირდება და არც ხალხი.

კლეობატრა არ დახვდა. ეტყობა, დედოფალი ხანგრძლივი დროით გამგ-
ზავრებულიყო... უკან დაბრუნდა სასახლეში. ეუცნაურა, რომ ჰიშკარი ღიად
იყო დატოვებული. მიხვდა, გუშაგები მოეხსნათ. ქვეყნის მბრძანებელი გიღმო-
იზარა ტახტგვანიდან და თავის სახლს შეხედა, რომელშიც ველარ ბედავდა შეს-
ვლას.

მას შეეძლო ანტონიუსისაგან მცველთა რაზმი გამოეხმო, მაგრამ ვერც
ერთ მათგანს ველარ ენდობოდა. უმჯობესი იყო მათი თანხლების გარეშე ყოფ-
ნა. ყოველ შემთხვევაში მათგან მაინც იქნებოდა დაცული. ახლა საით გას-
წიოს?

გასცა ბრძანება სენატში წაეყვანათ.

ტახტრევანს ზურგით მიესვენა და გზას გახედა. ბრძანა პირდაპირ პომპეუსის პორტიკუსში შეეყვანათ. გადმოვიდა. მთხოვნელები გაისტუმრა. ტახტარში შევიდა. ერთ-ორ სენატორს თვალი შეაელო და მიესალმა. თავის სავარძელზე დაჯდა. შესრულდა ზოგიერთი ცერემონიალი. შემდეგ შეთქმულებმა უკუიდაც მოიმიზვნეს და მისკენ წამოვიდნენ. თეთრი ლაქების ნაცვლად მათგან ერთი ლიუს კეისარმა თრი დღის წინ წარმოიდგინა, ყველას რეალურად გამოსახული სახეები ჰქონდა. ეს სახეები მის საუკეთესო მეგობრებს ეკუთვნოდა. ერთმა მათგანმა წასაკითხად რაღაც მიაწოდა. კეისარმა გამოართვა. დანარჩენები თავს დაესხნენ.

II

კეისრის ლეგიონერი

ალიონზე ხარებში შებმული ერთი ოთხთვალა გაზაფხულის სიმწვანეში გზას მიიკვლევდა რომისაკენ. შიგ იჯდა ოთხთვალას პატრონი, მოიჯარე და კეისრის ვეტერანი ლეგიონერი, 52 წლის ტერენტიუს სკაპერი თავისი ოჯახით და მთელი ავლა-დიდებით. ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ. ამის მიზეზიც ჰქონდათ. გადასახადების გადაუხდელობის გამო იჯარით აღებული პატარა მამულიდან აყარეს და სოფელი დაატოვებინეს. მხოლოდ 18 წლის ლუჩია იყურებოდა ხალისიანად, დიდი ცივი ქალაქისაკენ. ეს გასაგებიც იყო. იქ ხომ სატრფო ეგულებოდა.

მიუახლოვდნენ თუ არა რომს, მაშინვე შეამჩნიეს, რომ ქალაქი რაღაც დიდ მოვლენათა მოლოდინში იყო. მის შესასვლელებთან დიდი სიფრთხილით ამოწმებდნენ გამვლელთ, ხოლო ზოგან ლეგიონერებიც გამოეყვანათ. ყველგან აზიაში მოსალოდნელ ომზე ლაპარაკობდნენ. ადრე იყო და ჯერ არავინ ჩანდა მეომართა თავშეყრის ადგილებზე. მაგრამ ვეტერანი ლეგიონერის გულში უკვე გაიღვიძა ბრძოლის ჟინმა და აღანთო ძველი მეომარი. სწორედ რომ დროზე ჩამოვიდა რომში. კეისარს ახალი ლაშქრობა განუზრახავს.

44 წლის 13 მარტის დილა თენდებოდა.

დილის ცხრა საათი იქნებოდა, როცა ოთხთვალამ პომპეუსის პორტიკუსთან გაიარა. კეისარსა და სხვა სენატორთა მოლოდინში ხალხს მოეყარა თავი და ომზე მსჯელობდა. ტახტარში სენატის სხდომაზე სენატს „დიქტატორის მეტად მნიშვნელოვანი განაცხადი“ უნდა მოესმინა. ლეგიონერთა გამოჩენაზე ხალხი კამათს წყვეტდა. სკაპერის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ლეგიონერებმა ისინი ვაფანტ-გამოფანტეს. ტერენტიუს სკაპერმა ძლივს გაატარა თავისი ოთხთვალა. შემდეგ მთელი ტანით წამოიმართა და ხმამაღლა გასძახა ხალხს:

— დიდება კეისარს!

უფრო მეტად გაოცდა, როცა მის მოწოდებას ხმა არავინ შეუერთა. ამან ცოტა არ იყოს საგონებელში ჩააგდო ვეტერანი.

ტერენტიუს სკაპერმა თავისი პატარა ოჯახი გარეუბნის ერთ იაფფასიან ფუნდუკში მოათავსა და შეუდგა თავისი სასიძოს, იულიუს კეისრის მდივნის, ტიტუს რარუსის ძებნას. რარუსთან გამიჯნურებული ლუჩიას სახლში დატოვება ამჯობინა. ჯერ ახალგაზრდა კაცთან ჰქონდა საქმე მოსაგვარებელი.

დარწმუნდა, რომ კეისრის სასახლეში ფორუმზე შესვლა არ იყო ადვილი

საქმე. გუშაგები განსაკუთრებულ სიფხიზლეს იჩენდნენ, იარაღით არავის ატარებდნენ. მძიმე განწყობა იგრძნობოდა.

სასახლეში შეიტყო, რომ დიქტატორს ორასზე მეტი მდივანი ჰყავდა. ტიტუს რარუსის სახელი არავინ იცოდა.

მართლაც უკვე სამი წელი იქნებოდა, რაც რარუსი თავის მდივანებს ბიბლიოთეკის ფლიგელში აღარ შეხვედრია და არ მისაღმებია. იგი იყო იულიუს კეისრის მდივანი ლიტერატურის დარგში და მასთან ერთად გრამატიკაზე ნაშრომს ადგენდა. ნაშრომი ხელუხლებლად იდო, რადგან დიქტატორს მისთვის აღარ ეცალა.

ტერენტიუს სკაპერის სტუმრობას რარუსი დაუფარავი სიხარულით შეეგება. უფრო მეტად გაიხარა, როცა ლუჩიას ჩამოსვლაც შეიტყო. მაგრამ მისი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ტერენტიუს სკაპერმა თავისი ოჯახის სავალალო მდგომარეობა აცნობა, რომელშიც ბრალი მიუძღვოდა თვით ლუჩიას. მეიჯარეს და ტყავია მეწარმეს პომპილიუსისადმი ოდნავ ღმობიერება რომ გამოეჩინა, მათი ოჯახი ქუჩაში ბედის ანაბარა არ აღმოჩნდებოდა... მით უმეტეს, რომ რარუსი მათთვის იშვიათი სანახავი გახდა.

ახალგაზრდა კაცი გაცხარებით მოყვა თავის მართლებას. მას ხომ ბოლოდროს სრულებით არ ეცალა. მაგრამ ახლა ყველაფერს გააკეთებს ოჯახის დასახმარებლად. წინასწარ აიღებს კუთვნილ თანხას, ხაცნობთა წრესაც გამოიყენებს და ტერენტიუს სკაპერს დაეხმარება. რატომ არ შეიძლება ვეტერანმა წინამძღოლობა ძიილოს, სხვა თუ არა, დიდი ომი ხომ წინა აქვთ.

დერეფანში ნაბიჯების ხმა და იარაღის ეღარუნი მოისმა. კარი გაიღო და ზღურბლზე კეისარი გამოჩნდა.

უბრალო მდივანი გააქვავა დიდი ადამიანის დაკვირვებულმა მზერამ. უკვე სამი წელი იყო, რაც არ ენახა იულიუს კეისარი თავის სამუშაო ოთახში! არ იცოდა რარუსმა, რომ დიქტატორთან ერთად ზღურბლს მისი ბედისწერაც მოსდგომოდა.

გრამატიკის საკითხებზე სამუშაოდ არ მოსულა კეისარი. მას სჭირდებოდა ადამიანი, რომლის ნდობა შეიძლებოდა. მაგრამ ასეთი ადამიანი ძნელად თუ მოიძებნებოდა მთელ სასახლეში. ბიბლიოთეკას რომ ჩაუარა, უცებ გაახსენდა ახალგაზრდა ლიტერატორი, რომელსაც პოლიტიკასთან არაფერი ჰქონდა საერთო. ამიტომ შეიძლება მოკლულიც არ ყოფილიყო...

ორმა მცველმა გაჩხრიკა სკაპერი და გარეთ გამოაგდო. სკაპერმა მაინც არ შეიშინია და ამაყად განაგრძო გზა, რადგან მისი მომავალი სიძე, როგორც ჩანს, არც ისე უმნიშვნელო პიროვნება უნდა ყოფილიყო სასახლეში. ხუმრობა საქმე იყო, თვით დიდი კეისარი ესტუმრა მას. ეს უკვე კარგი ნიშანი იყო.

რარუსიც გაჩხრიკეს. იარაღს ეძებდნენ. შემდეგ დიქტატორმა დავალემა მისცა მალეით მისულიყო ესპანელ ხაზინადართან და გაეგო, რითი იყო გამოწვეული სიტიში აღმოსავლეთთან ომის საწინააღმდეგო გაურკვეველი მოქმედება.

ვეტერანი ამასობაში სასახლის წინ ელოდებოდა რარუსის გამოჩენას, მაგრამ რარუსი საიდუმლო კარით უკვე გასულიყო სასახლიდან. ტერენტიუს სკაპერს ისღა დარჩენოდა უკან დაბრუნებულიყო და თავისი ოჯახისათვის სასიამოვნო ამბავი ეცნობებინა. სახლისკენ მიმავალმა ნახა, რომ მხოლოდ ახალგაზრდები ეწერებოდნენ მეომრებად. კარგი იქნება, გაიფიქრა სკაპერმა, ერთი

ორი სიტყვა ჩემს სასარგებლოდაც თქვას ვინმემ და წინამძღოლობა მარგუნოსო. უბრალო მეომრობა თავისი ასაკისათვის მეტისმეტად შეუფერებლად მიაჩნდა.

ქალაქის ერთ-ორ დუქანშიც შეიხედა და როცა გარეუბნის პატარა თუნდუქში დაბრუნდა, უკვე კარგა შექვიფიანებული იყო. რარუსი კიდეც არ ჩანდა. ამან მეტად განარისხა სკაპერი. მეტად ეწადა მეთაურობა და მთელი ჯაერი ახალგაზრდა ყმაწვილზე გადმოანთხია. როგორ დავიჯერო, ამბობდა ის, რომ ასეთმა დიდი შესაძლებლობის ადამიანმა ვერ მოიცალოს საცოლის სანახავად? ესეც რომ არ იყოს, რითი უნდა ვიარსებოთ? პირველ ხანებში სულ ცოტა 300 სესტერცი მაინცაა საჭირო ოჯახის ფეხზე დასაყენებლად. "შენ კი, ლუჩია, გიჯობს ისევ მოძებნო ტყავის შეწარმე და დახმარება გამოსთხოვო. ლუჩიას ამ სიტყვების გაგონებაზე გული ამოუჯდა და ქვითინი მორთო. გაგონებაც არ უნდოდა, რომ რარუსს ველარ იხილავდა. რაც შეეხება პომპილიუსს, სლუკუნებდა ლუჩია, არ დააყოვნებს და ხელსაც გამიმართავს, მაგრამ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ამას საზღაურის გარეშე არ ჩაიდენსო. სკაპერს თანდათან ეგსებოდა მოთმინების ფიალა. კარგი კი იქნება მისი ერთი მაგრად შეფუცხუნება, განაგრძობდა სკაპერი, არც ისეა საქმე, როგორც რარუსს ჰგონია, თითქოს მის იქით გზა არა გვექონდეს. არის ხალხი, რომელმაც იცის ლუჩიას ფასი. მამის სიტყვებმა ლუჩიას საბოლოოდ მოუკლა გული და ამჯობინა იქაურობას გასცლოდა. გარეთ გამოსულმა იმედით აღსაესე თვალებით გახედა გზას, საიდანაც რარუსის გამოჩენას კიდევ იმედოვნებდა.

სწორედ ამ დროს რარუსი ისევ სასახლეში დაბრუნდა. მან ესპანეთის ხაზინადარისაგან დოსიე მოიტანა და კეისარს გადასცა. შემდეგ მმართველობაში თავისი კუთვნილი თანხის აღება დააპირა, მაგრამ ამის ნაცვლად დაკითხვა მოუწევს. აინტერესებდათ, სად იყო და დიქტატორის რა დავალება შეასრულა. რარუსმა უარი თქვა პასუხის გაცემაზე, რის გამოც მაშინვე დაითხოვეს.

ლუჩიას კი ბედმა გაუღიმა. ტყავის საწარმოში მისულს ახარეს პომპილიუსის დაპატიმრების ამბავი. აღელვებული მონები ერთმანეთს უყვებოდნენ ამ დაუჯერებელ ამბავს, თუმცა იმასაც იხსენებდნენ, რომ ბოლო ხანებში მათი პატრონი ხშირად აშკარად უკმაყოფილებას გამოთქვამდა დიქტატორის მიმართ. ამ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში იყვნენ, რომ მოულოდნელად თვით პომპილიუსიც დაადგა მათ თავს. რა თქმა უნდა, ღიმილით თქვა მან, მე და ჩემი მსგავსი წარჩინებული ადამიანები დიდხანს არ შეეძლოთ საპყრობილეში ჰყოლოდათ. საბედნიეროდ, კიდევ ვსარგებლობთ გარკვეული გავლენით ცენტურიაში, ხოლო კეისარი აღარ არის ამ დღეებში ყოვლისშემძლე...

ლუჩიას დაბრუნებამდე რარუსი მოსულიყო. ტერენტიუს სკაპერი მდუმარედ შეხვდა სტუმარს. არც არავის დასცდენია, სად იყო ლუჩია. რარუსმა ვერ მოუტანა ვეტერანს დანაპირები 300 სესტერცი. ვერ გაბედა ეთქვა, რაც თავს გადახდა და როგორ დაკარგა შემოსავლის წყარო. მხოლოდ ისღა წაილულლულა, სხვა საქმისათვის ვარო მოსული. ამასობაში ნამტირალევი ლუჩიაც გამოჩნდა და რარუსს პირდაპირ მკლავებში ჩაუვარდა. ტერენტიუს სკაპერმა არ ჩათვალა საჭიროდ განსაკუთრებული მოკრძალება გამოეჩინა რარუსისადმი და მოურიდებლად გამოკითხა ლუჩია, როგორ გაჩარხეო საქმე, ლუჩიამ სახე აარიდა რარუსს და ისე გადასცა მამას 300 სესტერცი. რარუსისათვის ყველაფერი ნათელი იყო.

გაათრებთ გამოსტაცა ხელიდან სკაპერს ფული და თქვა, ხვალ დილითვე დაეუბრუნებო პომპილიუსს, ლუჩიასაც მოეუტანო საჭირო თანხას. შემდეგ სატროვოს მამას შეპირდა, რომ სასახლეში მიიყვანდა და მის მეთაურად დანიშნენასაც მოაგვარებდა.

ქველმა ლეგიონერმა ბოლმა გულში ჩაიკლა და დასტურებდა მისთვის ბოლოს და ბოლოს, გული დაიმშვიდა ვეტერანმა მეომარმა, ქვეყნის მფლობელის ნდობილ პირს არ გაუჭირდება ერთი ჭირნახული, ღირსეული ლეგიონერის ოჯახის ფეხზე დაყენება.

მაგრამ მეორე დღესაც სკაპერის ოჯახი ამოდ ელოდა რარუსის გამოჩენას.

დილით ადრე რარუსი კეისარს მიჰგვარეს. დიქტატორმა მასთან ერთად ბიბლიოთეკაში გამოძებნა რამდენიმე წლის წინ წარმოთქმული თავისი სიტყვის დედანი, რომელშიც დემოკრატიულ იდეას ანვითარებდა. შემდეგ რარუსი გაემართა გარეუბნებში სხვადასხვა პლებეი პოლიტიკოსებთან სასაუბროდ. საჭირო იყო იმის დადგენა, თუ როგორ შეხედებოდნენ დემოკრატიის აღდგენას. ამასობაში დიქტატორმა ბრძანა გამოეცვალათ სასახლის მცველები და შეეპყროთ მათი მეთაური, რომელმაც რარუსს წინა დღით დაკითხვა მთაუწყო.

ტერენტიუს სკაპერს ყველაფერი წავ ფერებში ესახებოდა. აღარ სჯეროდა რარუსის. ლუჩიას მთელი დამე თვალზე ცრემლი არ შეშრობია. გამწარებულმა დედ-მამას პირში მიახალა, თუ რა გასამრჯელოს ითხოვდა პომპილიუსი თავისი წყალობისათვის. დედა შვილს ამოუდგა მხარში და ახლა ორივემ ერთად შეუტია ოჯახის მამას. ტერენტიუსს სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა საომრად წასვლა, თუნდაც უბრალო მეომრად. დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ გამოუტყდა თავის ოჯახს, ვშიშობ, ხანდაზმულობის გამო არ დამიწყუნონო. ჯამაათიც ფეხზე დადგა და მთელი მონდომებით შეუდგა მის გაახალგაზრდავებას. ლუჩიამ ფერ-უშარილი წაუსვა მამას, უფროსმა ვაჟმა კი მიხვრა-მოხვრა შეუმოწმა.

მალე ამჯარასხმული ქველი ლეგიონერი ახალგაზრდა მომლოდინე მეომრებში გაერია და მათ მასლაათს მიუგდო ყური. ყურმოკრულ ამბებს ყვებოდნენ და აღელვებდნენ ვერ პფარავდნენ. განსაკუთრებით ჭაბუკები აელვლებინა იმ ამბავს, აღმოსავლეთში ომი საერთოდ არ შედგებო. მხრებჩამოყრილი ვეტერანი, რომელსაც კეისრის ათი ომი ჰქონდა გამოვლილი, სახლისკენ გამოემართა. შინ რარუსის წერილი დახვდა ლუჩიასადმი. რარუსი იტყობინებოდა, დიდი გადატრიალებებიო მოსალოდნელი. ტერენტიუს სკაპერს აიშედებდა, მზადდებდა კანონი, რომელიც უფლებას მისცემს კეისრის ვეტერან მეომრებს იჯარით მიიღონ მიწა და სახელმწიფო დახმარება. ამ მოულოდნელმა ამბავმა ხომ მთელ ოჯახს ფრთები შეასხა.

ტერენტიუს სკაპერი კითხულობდა ტიტუს რარუსის დილით გამოგზავნილ წერილს და არ იცოდა, რომ იგი უკვე გამოვლილი იყო კეისრის მტრების ხელში. რარუსის მოლაპარაკებამ პლებეი პოლიტიკოსებთან, რომლებიც წლების მანძილზე განიცდიდნენ იულიუს კეისრის დევნას, ცხადყო, რომ ისინი აღარ ენდობოდნენ კეისრის პოლიტიკას.

რარუსმა იგრძნო, რომ უთვალთვალდნენ. სასახლეში იულიუს კეისრის ნახვის ყოველი ცდა უშედეგო აღმოჩნდა, ბოლოს სადამო ხანს ძაღლების რბოლაზე გაემართა და იქ მიეცა საშუალება ენახა დიქტატორი. სასახლეში დაბრუ-

ნებისას კეისარს ამაღლვებელი ამბები ამცნო. დიქტატორმა უსიტყვოდ მოუსმინა რარუსს. კარგა ხანს ორივე სდუმდა. უცებ რარუსმა მთელი არსებით შეიგრძნო, თუ რა საშინელი ხიჯათი ელოდა დიქტატორს და სასოწარკვეთილებამდე მისულმა შესთავაზა იულიუს კეისარს იმავე ღამეს დაუყოვნებლივ ქალაქი საიდუმლოდ დაეტოვებინა და ბრუნდიზიიდან სომალდით აღესრულდრიამში თავის ლაშქართან გადასულიყო. გასაქცევად უბრალო ოთხთვალას მიჰგვრიდა, რომელიც შეიძლება უფრო საიმედო აღმოჩენილიყო. ფიქრებში წასული კეისარი მძიმედ მიესვენა ტახტრევანს.

თუმცა დიქტატორისაგან დასტური არ მიუღია, რარუსმა მაინც გადაწყვიტა გაქცევის სამზადისს შესდგომოდა. ბინდი უკვე ჩამოწოლილიყო ხალხმრავალ, მშფოთვარე და ეჭვებით აღსავსე რომში, რაცა ტიტუს რარუსი სამხრეთის პორტიკუსთან გუშაგებს ურიგდებოდა. შეთანხმების მიხედვით, გუშაგს შუალამისას შეუმოწმებლად ერთი ოთხთვალა უნდა გაეტარებინა. გასამრჯელოდ რარუსმა გუშაგს 300 სესტერცი გადაუღოცა უკანასკნელ გროშამდე.

გვიან საღამოს სკაპერს მიაკითხა. ლუჩიას გადაეხვია. შემდეგ სკაპერთან განმარტოვდა და გამომცდელად ჰკითხა:

— რა შეგიძლია გააკეთო კეისრისათვის?
 — იჯარის საქმე როგორღაა? — არ დააყოვნა კეისრის ძველმა ლეგიონერმაც.

— ფუჭი ოცნებაა, — მიუგო რარუსმა.
 — არც მეთაურობაზე ვიქონიო იმედი? — ჩაეკითხა ვეტერანი.
 — ეგეც ფუჭი ოცნებაა, — დაემოწმა რარუსი.
 — გამაგებინე, ხომ ხარ მისი მდივანი!
 — ვარ.
 — პირისპირაც შეხვედრიხარ?
 — შეხვედრივარ.
 — ამის შემდეგ როგორ დავიჯერო, რომ არ შეგიძლია გამოსთხოვო რამე ჩემთვის?

— ახლა მას არავისათვის არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ყველაფერი დამთავრდა. მორჩა. ხვალ უკვე გვიან იქნება, თუ არ ვუშველეთ. აიღებენ და ვირთხასავით შიაკლავენ. ასე რომ ერთხელ კიდევ გიმეორებ, მითხარი, რა შეგიძლია გააკეთო მისთვის?

ძველმა ლეგიონერმა უნდობლად შეათვალა რარუსი. როგორ დაიჯეროს, რომ დიდი კეისარი აღარ არსებობს? ისე დაუძლურდა, რომ მისი, ტერენტიუს სკაპერის დახმარებას საჭიროებს?

— რით შემიძლია დავეხმარო? — ფიცხლად გამოეპასუხა ტერენტიუსი.
 — შენს ოთხთვალას დავპირდი, — მშვიდად უპასუხა მდივანმა. — შუალამისას სამხრეთის პორტიკუსთან დაელოდები.
 — არ შემიშვებენ ოთხთვალათი.
 — შეგიშვებენ. გუშაგს უკვე გადაეცა შენი 300 სესტერცი.
 — 300 სესტერცი? ჩემი?
 — დიახ, შენი.

ერთხანს გაოგნებული შეჰყურებდა რარუსს. შემდეგ გონს მოვიდა და ბუზღუნით შეტრიალდა.

შეიძლება ეს სხვა საქმეებზე სარფიანიც გამოდგეს, გაიფიქრა მან, როცა კეისარს საშუალება მიეცემა, არ შეიძლება სამაგიერო არ გადაამხადოს.

ისევ მოვიდა გუნებაზე, ისევ აღივსო იმედებით.

რარუსს ლუჩიასთან უფრო გაუძნელდა საქმის მოგვარება, რაც რომში ჩამოვედი, შესჩიოდა ლუჩია, ერთხელაც ვერ მოიტალე ჩემთვის, მაშასთან იდუმალ საქმეებს აგვარებ და ორივე თავს მარიდებთო. რარუსმა სცადა აღელვებული ლუჩიას დამწვიდებდა, არწმუნებდა, რომ მთელი ეს დღეები კეისართან უხდებოდა ყოფნა, რადგან მთელი ქვეყის მფლობელს უკანასკნელ იმედადღა ჰყავდა დარჩენილი.

ლუჩია არა ცხრებოდა და დაბეჭითებით სთხოვდა რარუსს რამდენიმე წუთი მისთვისაც დაეთმო და თავშესაქცევად იქვე ლუქანში გადასულიყვნენ.

რარუსმა დააპირა კიდევ ლუჩიას ნებას დაყოლოდა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. ორ საეჭვო პიროვნებას მოჰკრა თვალი. ისინი დილიდან ფეხდაფეხ დასდევდნენ და ახლაც, როგორც ჩანს, მას ელოდებოდნენ. სატრფოს სასწრაფოდ დაემშვიდობა და იქაურობას გაეცალა. გაბრწყინებულმა ლუჩიამ კიდედას მიაშურა და ახარა, თუ რაოდენ საამაყო და იმედის მომცემი იყო რარუსის სიახლოვე დიდ დიქტატორთან.

ამასობაში რარუსი ამოოდ ცდილობდა მღევრებისაგან თავის დაღწევას.

შუალამისას მივხვდი, თუ რას ნიშნავდა ამა ქვეყნის ძლიერთან სიახლოვეს ყოფნა.

სასახლეში ფორუმზე გამოცხადდა.

სასახლის მცველები ზანგთა კორპუსით შეეცვალათ. მეომართა უმეტესობა მთვრალი იყო.

ბიბლიოთეკის უკან, თავის პატარა ოთახში გაცხოველებით დაუწყო ძებნა დოსიეს, რომელიც მას ესპანელმა ხაზინადარმა წინა დღით კეისრისათვის გადასცა. კეისარს არ წაუყითხავს. მასში ბომ შეთქმულთა სახელები იყო ჩამოთვლილი. ყველას ნახავს. ბრუტუსს, კასიუსს, რომის მთელ რჩეულ ახალგაზრდობას. ბევრ მათგანს კეისარი თავის მეგობრად სთვლის. უსათუოდ უნდა წააკითხოს კეისარს, დაუყოვნებლივ უნდა გააცნოს, ამ ლამესვე...

აიღო დოსიე და ოთახიდან გამოვიდა. დერეფნები ნახევრად ჩაბნელებული იყო. აქეთ-იქიდან ნასვამთა ხმები მოისმოდა. ატრიუმის შესასვლელთან ორი უზარმაზარი ზანგი იდგა. არ გაატარეს. არც მისი ლაპარაკისა გაეგებოდათ რამე.

სასახლე დიდი იყო და ახლა სხვა მხრიდან სცადა გასვლა. აქაც ზანგები დახვდნენ. სარკმლიდან დააპირა ბაღჩაში გადასვლა, ყველა სარკმელი ჩაერაზათ.

მოაქანცა და თავის ოთახისკენ გამოემართა. ქვემოთ გასასვლელში ზურგშექცევით მღვარ კაცს მოჰკრა თვალი. ამ კაცში თავისი ერთ-ერთი მღევარი შეიქნო.

შეშინებული ოთახში შევარდა და კარი გადარაზა. სანთლები არ აუნთია, ისე გადაიხედა ფანჯრიდან. მეორე მღევარი ფანჯრის ქვეშ ელოდებოდა. ცივმა ოფლმა დაასხა.

სმენად ქცეული დიდხანს იჯდა ჩაბნელებულ ოთახში. ერთხელ კარზე დაუკაკუნეს. რარუსმა არ გააღო. რა იცოდა, რომ კარს უკან იჯლიუს კეისარი იდგა. ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ კეისარი კარს მოსცილდა.

შუალამისას სამხრეთის პორტიკუსის წინ ტერენტიუს სკაპერსის ოთხთვალა შეჩერდა. გამომშვიდობებისას კეისრის ლეგიონერმა თავის ოჯახს მხოლოდ ის უთხრა, ორი დღით რომიდან ვაპირებო გამგზავრებას. დაუბარა, რარუსთან მისულიყვნენ. ის გაგიწევთო მფარველობას.

იმ დამეს სამხრეთის პორტიკუსიდან არაფერს გამოსულა ოთხთვალაში ჩასაჯდომად.

15 მარტს დილით დიქტატორს აცნობეს, რომ მისი მდივანი დამით სასახლეში მოკლული ნახეს. შეთქმულთა სია გამჭრალიყო. თვით შეთქმულები კეისარმა დილით სენატში ცოცხლად იხილა და მათი მახვილის დარტყმაც იგემა.

ოთხთვალა, რომელიც ძველ ლეგიონერსა და გაკოტრებულ მოიჯარეს მიყავდა, ქალაქის გარეუბნის ერთ ფუნდუკთან მიგორდა. აქ ტერენტიუს სკაპერს თავისი ოჯახი მოუთმენლად ელოდა, რომლისაც დიდ კეისარს 300 სესტერცი ემართა...



პრვინ შტრიტმატიერი

რატომ მავონებან შოშიეზი გვზიას

გერმანულიდან თარგმნა ოთარ ხუციუაილა

ხალხად შოშიეზის სტვენა შემომგესმა. ხუთი შოშია სატელევიზიით ანჰაზე შემომგდარიყო. ეტყობა, ზამთრის სამშობლოდან აქამდე კარგა გრძელი გზა გამოეფლოთ და ამიტომაც ჩანდნენ ცოტა უხალისოდ.

თოვლი კიდევ მოვიდა და ერთ კვირას გაძლო. შოშიეზმა ტყეს მიაშურეს, მაგრამ როგორც კი ჩვენმა ძაღლმა საჭმელს თავი მიანება, უმაღ იქ გაჩნდნენ და ჯამი მოუსუფთავეს. მერე რამდენჯერმე სცადეს მხიარული სტვენა გაებათ, მაგრამ ამაოდ, თავები ჩაჰკიდეს და ფრთები ჩამოყარეს, თითქოს ინანეს — ასე უდროოდ დროს რამ გაგვაშხიარულათ.

ადამიანის მეხსიერება ხომ სინათლის სხივის სისწრაფით მუშაობს, ფიქრი არა მხოლოდ სამი განზომილებით მოიცავს სამყაროს, იგი თავს დასტრიალებს წარსულსაც და მომავალსაც. მეც შოშიების ქცევამ ორმოცი წლის წინათ გარდაცვლილი ბებია გამახსენა. დროდადრო ბებიაჩემი ჩახრინწული ხმით დაამღერებდა ხოლმე ერთ სიმღერას, რომელიც ბავშვებს ძალიან მოეგონდა: „რა ჰქვია მეფე რინგანტის გოგონას? როტრაუტი, მშვენიერე როტრაუტი, რას აკეთებს ნეტავ მთელ დღეს, ის ხომ ვერც ართავს და ვერც კერავს? თევზაობს და ნადირობს...“

სიმღერის სიტყვები ეღუარდ მორიკესი იყო, თუმცა ეს მაშინ რა ვიცოდით.

მამაჩემის დედას დიდხანს ვემუდარებოდით, იმღერეო.

— მე რომ ვიმღერებ, უთუოდ რაღაც ცუდი მოხდება, — გვიმტკიცებდა ბებია.

ერთხელ მისი სიმღერის შემდეგ ძალის ნიშნობის ოქროს ბეჭედი დაკარგვია, მეორედ — სიმღერიდან სამი კვირის შემდეგ ძროხას უდღეური ხბო გაუჩენია, ერთხელაც, როცა ოცი წლისას თავის დაბადების დღეს უმღერია, ერთი წლის თავზე ქმარი გარდაცვლია. მაგრამ რომელი ბებია გაუძლებს შვილიშვილების დაყინებულ ხვეწნა-მუდარას?

როცა ბებიას დაბადების 56 წლისთავი შეუსრულდა, ბავშვებმა, როგორც იქნა, დავიყოლიეთ და შეგვპირდა, საღამოს გიმღერებთო. იქნებ ერთი ჭიჭა ღვინოც დაგვეხმარა, ბებიას ლაწვეები შეეფაკლა და მშვენიერი როტრაუტის სიმღერა წამოიწყო: „რად მიყურებ ეგრე გაოცებითა, თუ გული გაქვს საგულეში, სჯობს მაკოცო ვნებითა...“

ჩვენი ძალღი შპიცტი, როგორც კი სიმღერას ან მანდოლინის ხმას გაიგონებდა, თავისებურად აპყვებოდა ხოლმე. მას ჯერაც შერჩენოდა შორეული წინაპრების — ტურების სისხლის ძახილი. ჰოდა, იმ საღამოს შპიცმა გადაწყვიტა ბებიას აპყოლოდა და ჩვენი ჭისთვის უკიდევანო სტეპების საგალობელი ემღერა.

ბებია მღეროდა, ჩვენი შპიცტი ყმუოდა, მერე ჭაზე შეხტა, ჭას კი სახურავი არ ეფარა და უეცრად ძალღის სიმღერა წყლის ჭყაპანმა შეცვალა.

წყლის მოსატანად გასულმა ჩემმა დამ ნახა, შპიცტი ჭაში ჭყუმპალაობდა. დაბადების დღეზე მოსული სტუმრები ჭას მისცვივდნენ, კაცებმა კიბე ჩადგეს, მერე ერთ-ერთი შიგ ჩავიდა და გაწუწული ძალღი საყვლოთი ამოათრია.

ბებია კი ხმამაღლა ტიროდა:

— აკი ვთქვი, ჩემი სიმღერა ცუდად მაქვს-მეთქი დაცდილი! ის დღე იყო და ის დღე, მამაჩემის დედა ველარასოდეს ვამღერეთ. ცრუმორწმუნეობამ ბებიას უკანასკნელი სიმღერა წაართვა.



გეორგ მაუკერი

გუნების კალეზი

მარგარეტ ვაჟა ყუბუსიძე

1. მონა

დედაო მიწავ, ყველა ზღაპარს აღემატება
ფაქტი, რომ აზრით ნიუტონი,
გულით კი ზანგი
შენს სანდილს ვისმენ
და მახვრალი ვსაუბრობ შენთან.

ჩემთვის სულერთი როდია, რომ შეტალისფრთიან,
სხეულდამსხვრეულ ადამიანს
ძირს დავარდნისას
სიყვარულის წილ აიძულებ მონანიებას.

მას გამოწველილვით განსჯილი და ნაცადი გეგმით,
ჰაერის მძლავრი ნაკადების ცნობის უნარით
სურს გაგაცუროს;

მაგრამ როგორც კი შენს სურვილებს შეეჭიდება,
მიზიდულობის უღმობელი კანონის ძალით
ზურგზე ანარცხებ.

ნუთუ კვლავ უნდა შეგახსენო, რომ იქ—ალბებში,
ნუთუ კვლავ უნდა შეგახსენო, რომ კიდევ სხვაგან —
სადაც პირადი განაჩენით, პირადი ნებით,
გრანიტის გროვით დაგიტვირთავს შენი ტრფიალი,
ციდან მიწაზე ეცემიან და იმსხვრევიან.

რეტი მიქციე მთაგონებად, თავბრუ—ცდუნებად,
მაღალ აივნის მთაჯირზე მდგარს ყირამალა
და სინამდვილედ გარდამიქმენ შესაძლებელი.

ჩემთვის სულერთი როდია, რომ შენზე იმსხვრევა
ჩემი სხეულის ჩონჩხის ძვლებში გამჯდარი ტვინი,
რადგან არ ვიცი შეაგროვებ შემდეგ თუ არა
ცნობიერებად ამ ნამსხვრევებს...
და უჩებულა
რა გადარჩება შემზარავი შეჯახებიდან.



2. წყალი

ტალღებო, თქვენზე საყვარელი და საშინელი
ვის აქვს ხელება?

უტყვი სურვილი — უცვლელი და გარდაუვალი —
ნეტავ რაღა გაქვო?

გემს არიკავებო, აბურთავებო და ეფერებო,
როგორც ვაჟიშვილს კეთილი და ძლიერი მამა.

ზათქათ, კრიალით ბრძანებანი მოდიან თქვენთან,
აბიბინებულ — ამწვანებულ კუნთების გაფლით,
და ნაფოტივით გადაახურით ხელიდან ხელში
გემს, ჯერ უცნობი კანონების უცნობი ნებით.

თქვენი ტრფიალი თქვენის მუსიკისადმი
კმაყოფილდება თაქისთავად,
მშვიდი ტალღების
სახსრები როცა საბრძოლველად აჩვირთდებიან
და დადოს როცა მიუგდებენ აღადირებულ
გემს, როგორც საბაბს ზოგელგვარი ცვალებადობას.

უცბად იმსხვრევა, ავბილება ბრტყელი გემბანი,
ეცემა ანძა —
ძირს ეცემა მოჭრილი თითი,
რომელიც აღარ გამოდგება მისათითებლად.

ტალღები წამსვე ივიწყებენ აზრსა და ფორმას
ცისა და მიწის შესართავთან მცურავი გემის.

უფსკრულისადმი თანაგრძნობით, ბანას ღბილი ჩმით
ზღვას მელოდია შაიცილებს საკუთარ თავს და
გემას ნამსხვრევით იფარება,
როგორც ბუჩები
ზაფხულის სვატში იფარება კამეჩას ფერდი.

ხოლო ზღვასმკურდელ მესღვაურის მოგონებაში
კადევ კარგახანს ცოცხალივით ირწყევა გემი

და ჩაძირულთა აჩრდილები, ფერმისდაღები,
არ ავიწყებენ მის რეპბრანდტის „ანატომიას“.



გერმანული
ლიტერატურა

3. პ ა ნ ო

ქარბორბალახგან ქვიშა რიცა აისუეტება,
ვით არმენაკზე ბერნინის და ეკზიუბერის,
მაშინ შენ უნდა გაიართ ამ სუეტთან ასე,
როგორც მლოცველი იარება რწმენის ტაძარში.

მაგრამ პესტუმის საკურთხეველის დიდი სუეტები
მოდრაობენ და ძლიადებულს ვაბურთავებენ,
როგორც მანდა შორბენალბ ტაბიკს და ხელნას.

თუმცა, აცინი,
ქარიშხალი შოცა ქუდს გტრცებს,
მაგრამ რთლესაც ჩახურაფებს სდის და აგაკრავს
საკუთარ ფრთისქევეს,
ეკლესიის გუმბათის ზეგით,
მაშინ შეიტყობ, რომ სტიქია ძალოვანია
და მის ძალასე თანაგრძნობას ფეხი უსხლტება.

საგანთა შორის მოქცეული, საგნად ქცეული,
ახდევნებობარ აფრასავით ვაბერილ მერანგს,
თანაფარდობა რიცხობრივად გაქვს ყოველ სხვასთან
და გამთლტილა დაფრიალებ სახლეების ზეგით.

ქვიშით კბილებში,
ნაფოტყებით ნაგეები სახით
არ გსურს მგზავრობა, არ გხურს, მაგრამ
ძალა აღმართს ხნავს...
იცი, მრისხანე ქარიშხალთან ვერას გახდება
და, ტორნადობი დამხხვრეული,
გარჩები სეზე.

4. მ ე ტ ხ ლ ი

ქალწულის დიწვებს აფორევეებს რიცა საწითადე
და ბაგე როცა ნარბილივით არ ითესება
ნატყფი სახის მოყვარული ჭაბუკის კოცნით,
მე სინანულით ყუაქრობ მაშინ გიზგაზა აღზე.

ო, რა საშიში არის იგი ბავშვებისათვის!

მათ წარმოსახვას — უწმინდესი განცდის თაიგულს —
ჰაეროვანი ბალიშებით მორთულ ზმანებებს
მსურვალე აღთან ტრაგიკული მოვლოდება.

წყარო,

ჰაერო,

მიწაჲ,

ცეცხლო,

თქვენს რკალში მყოფი,

სიცარიელეს ეძებს კაცი გაჩენის დღიდან,

თითქოს შეეძლოს იმ ადგილის მონახვა ხელით,

სადაც არა აქვს მსურვალეობა გიზგიზა კოცონს,

თითქოს შეეძლოს ზღვის სიღრმეში ისუნთქოს შვებით,

ანდა ჰაერი მოიწმინდოს ბაგეებიდან.

მას გასახვლელად უძველესი ცხრაკლიტულიდან,

ასე ჰგონია, ჯადოსნური აქვს დერეფანი

და იავანელ მოცეკვავეს ჰგავს მოქნილობით —

ოდეს სურს თავი დააღწიოს თქვენს მეუფებას.

შავრამ გიზგიზა ჩირაღდნები ერთურთს ერწყმიან,

ზვირთი გადადის მისადევარს, განიხვნის მიწა,

ბობოქრობს ქარი — გაფიჩხებულ ძვალსე ძლიერი...

და ამ ქალში აღრეული და მაინც მთელი,

მაინც მთელი და უძლევეია ადამიანი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

□



ჰანს გრუნდიგი, — „ქალაქის ბანაკირას“, 1929 წ.



გერმანიის
დემოკრატიული რესპუბლიკა

იურეკ ბეკერი

ბოლო საღვური

გერმანიულიდან თარგმნა ნანა ბოგოლავსვილა

უნდა გამოგიტყდეთ, გუშინ უფრო ძალიან მომეწონა იგი. სულ იმის ფიქრში ვარ, ნეტავ რა უნდა მტანჯავდეს-მეთქი ასე, მაგრამ საკუთარი თავისა ვერა გამიგია რა და ჩემი საქციელიც ვერაფრით ამიხსნია. არ გეგონოთ, ამას იმიტომ ვამბობდე, თითქოს გული ამცრუებოდეს. რა თქმა უნდა, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მაგრამ გინდა ასე თქვი და გინდა ისე, რაღაცა კი ძირფესვიანად შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში. ჩემს ფერიცვალებას ვერც იმას დავაბრალებ, რომ იგი გუშინ სალამოს შინ ამომყვა, თუმცა სულ რამდენიმე დღეა, რაც ერთმანეთი გავიცანით. გულში მეც ხომ ამას ვნატრობდი?! მეც ხომ მხოლოდ ეს მინდოდა! თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, გაინაზა.

ცისფერი ტორშერი კვლავ ანთია ჩემს ოთახში, თუმცა უკვე შუადღეა მოტანებული. რას იზამ, ყველა ქალი ინაზება, ეს არაფერია. საქმე ის არის, რომ მის საქციელში რაღაც განსაკუთრებულს ვხედავდი და იმიტომაც არც კი ვიცი, რამდენად მართალი იქნება, მის შემხედვარეს მეფიქრა, ინაზება-მეთქი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს რაღაც ეჭვები უღრღნიდა გულს, თუმცა კი ცდილობდა წუხილი არ ეგრძნობინებინა.

გრძელი ამბების მოყოლით თავს არ შეგაწყენთ. იმას კი ვიტყვი, რომ გულში გავიფიქრე, ახლა კი რაღაც უჩვეულო უნდა მოხდეს და თუ ეს მართლა ამიცხადდა, მერე დრო დამჭირდება, რომ ყველაფერში გავერკვე-მეთქი. მანამდე საკუთარი თავისთვის ათასჯერ მითქვამს, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. ადამიანმა ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა იგრძნოს საკუთარი მოწიფულობა და მტკიცე ნიადაგი ფეხქვეშ. ასეთი შეგონებებით ხშირად შევიქცევდი ხოლმე თავს. მერე ის იყო, მოთმინებით აღვიჭურვე და ლოდინი დავიწყე. რომ გეკითხათ, რის მოლოდინში ვიყავ, ვერ გიპასუხებდით, რადგან ამაზე თავადაც ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა, მაგრამ იმას კი მიგრძნობდა გული, რაღაც რომ აუცილებლად უნდა მომხდარიყო და ამას წყალი არ გაუვიდოდა; ვიცოდდი, პორიზონტზე ვიღაც გოგონა უნდა გამოჩენილიყო, და ის გოგონა ყველასაგან გამორჩეული იქნებოდა, თუმცა, კაცმა არ იცის რითი. რატომღაც მინდოდა გარეგნობით ჩემი ძმის ცოლს გვანებოდა და დედაჩემივით გულისხმიერი ყოფილიყო, თუმცა ასეთი რამ სულ თითებზე ჩამოსათვლელად მახსოვს მისგან. რაღაც ფილმი მქონდა ნანახი, სახელწოდება აღარ მაგონდება, მაგრამ მინდოდა საქციელითა და მიხვრა-მოხვრით ისეთი ყოფილიყო, როგორც ღო-

რის დეი იყო ამ ფილმში. აი, მაშინ კი შემიძლა ვთქვა, რომ ეს ჩემი ბოლო სადგურია-მეთქი, გავიფიქრე გულში.

ახლა კი იმ აფრიან ნავს წავაგავდი, ზღვაში გასვლის წინ ზურგის ქარი რომ დაპბერავს და ტალღებზე გაასრილებს, შუა ცურვის დროს კი მტოლოში მოხვდება და წყლის ხედაპირზე ტორტმანს დაიწყებს. ცილს ვერაფერს დაძვამებს, თითქოს ვთვალთმაქცობდე და საკუთარ თავს შთავაგონებდე, ახლა კი ზუსტად დავდგი ფეხი იმ სადგურზე, საითქენაც მუდამ მივისწრაფვოდი-მეთქი. რა მსხვერპლს არ გავიღებდი, რომ მასთან გატარებული გუშინდელი საღამო კვლავ განმეორებულიყო! რომ იცოდეთ, რა ხარბი თვალებით შევცქეროდი. ასე მეგონა, ის ნუგბარი რამ-ღუემბაა, მე კი ნახევრად მშიერი ლექვი-მეთქი. თავიდანვე გავაფრთხილე საკუთარი თავი, ამ შემთხვევაში ია ბაზარი აღარ განომადგებოდა, ჩვეულებრივ სხვებთან რომ გავმართავდი ხოლმე. დიხს, გული მიგრძობდა, რომ დღეს ეს აღარ განომადგებოდა. არ მინდოდა, ამ ამბავს ყოველდღიურობას მსახვრალი ხელი შეხებოდა.

მშვენიერი ფირფიტები მქონდა. მუსიკა თავისებურ განწყობას ქმნიდა და მეც ამ გზით ყოველთვის ვალწვევდი ხოლმე სასურველ შედეგს, ახლა კი ისინი რატომღაც უქრად ჩამომწკრივებულებიყვნენ კარადაში. რადიოში რაღაცას გადასცემდნენ. კარგა ხანს უუსმენდით. მერე ჩემს ოთახში ვავედი. ჭადი ავან-თე და წარმოიდგინეთ, ცისფერი ტორშერისაკენ არც გამიხედავს. ამ რამდენიმე კვირის წინ ჩემს თავს ამგვარ საქციელს აღბათ დიდ სიახლეულედ ჩავუთვლიდი. მაგიდას მივუსხუდი. ის სავარძელში ჩაჯდა. მე კი ტახტზე ჩამოვჯექი. ორივენი უხერხულად ვგრძნობდით თავს. ცოტა ხანს იმ უხეირო სპექტაკლზე ვსაუბრობდით, საიდანაც ეს-ესაა დავბრუნდით. ძალზე ჰკვიანურად მსჯელობდა, თუმცა აღრვევ შემხნეული მქონდა, უტყუო გოგო. არ უნდა ყოფილიყო ასე გაუიდა დაახლოებით ნახევარი საათი, მერე წამოვდექი და კარადიდან ნაკლული ბოთლით ღვინო გამოვიღე, ჩემი დაბადების დღიდან რომ მქონდა შემორჩენილი. დაღვით კი დავლიეთ, მაგრამ შემიძლოა დავიფიცო, ამ ჩემს საქციელს არავითარ სხვა აზრით არ პქონია, რაც უფრო მეტს ვაკვირდებოდი, მით უფრო მომწონდა. თავს დავლდებდი, რომ ასე გავრძელდებოდა უკუნისამდე.

მაშინღა გამახსენდა, რა უხეშად და მიუკიბ-მოუკიბავად გადავდიოდი ხოლმე შეტევაზე, როცა მის ადგილას სხვა ქალი იჯდა. მაგრამ ის ამბები დღეს აქ აბა რა მოსატანი იყო?! სხვებთან ყველაფერი წინასწარვე ნათელი და გარკვეული გახლდათ! მათ იცოდნენ, რისთვისაც მომყვებოდნენ, და მეც ვიცოდი, მათთვის ეს საიდუმლოება რომ არ იყო. ერთი სიტყვით, მთელი ეს ამბავი აშკარა თამაშს ჰგავდა, სადაც ყველაფერი ცხადზე ცხადი იყო. აი, გუშინ თეატრში იმის გამბედაობაც კი არ მეყო, რომ მისთვის ხელზე წამეველო ხელი.

ბიანჩემის ნათქვამი მიგონდება: თუ კაცს ქალი ხამდვალად უყვარს, სითამამე და გამბედაობა ეკარგებაო. პოდა, ახლა ასე მეგონა, ეს სიტყვები ზედ-გამოქრილად ჩვენზე იყო ნათქვამი. უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი ცხოვრების ბოლო სადგურს ვუახლოვდებოდი. ისე გაუბედავად და უნი-ათოდ ვიქცეოდი, რომ ცოტაც, და აღბათ იფიქრებდა, ეს რა ყეჟერ ვინმე ყოფილაო. ღმერთია მოწამე, მინდოდა ყველაფერში გულწრფელი ვყოფილიყავი და მეცადინებოდა არ დამიკლია, საქციელსა თუ სიტყვაში სიყალბე არ გამპარვოდა. ბოლოს კი საქმე იქამდე მივიდა, რომ საერთოდ ამებნა თავგზა

და უკვე აღარ ვიცოდი, რა მეთქვა და რა მეღონა. მერე ჩემდა უნებურად გავიფიქრე, რა ვარგი იქნება, თუ დღეს საქმე იქამდე არ მივა-მეთქი. ~~არ ვიცი, რატომ, მაგრამ~~ დღეისათვის ის ამბავი ძალზე უადგილოდ მეჩვენებოდა. მერე ისიც გავიხსენე, რომ აჩქარებით სოფელი არავის მოუჭამია და ~~უკვე აღარ~~ აღა-
ლა მიყვები, რამოდენა სიბრძნე იყო ამ ნათქვამში ჩაქსოვილი. ~~მისი~~

მერე ის იყო, ქალმა შითხრა: რადიც დაწაღვლიანებული მეჩვენები; რაც გიცნობ, ასეთი ჩაფიქრებული არასოდეს მინახიხარ, იქნებ შითხრა, რა გაწუხებსო.

რალა თქმა უნდა, იმას ვერ ვეტყობდი, რა დომხალი ტრიალებდა ამ ჩემს საწყალ თავში; მაგრამ ასე შენჯავით ყოფნაც აღარ შეიძლებოდა. ვუთხარი: ძალიან მომწონხარ-მეთქი. შევატყვე, გაუხარდა, არც ხმა ამოუღია და არც სახესე გამოხატვა აღფრთოვანების შესავსი რამ, მაგრამ თვალეებზე, რომელთაგან ერთი ოდნავ ღიაფერისა ჰქონდა მეორეზე, შევატყვე, რომ ჩემმა სიტყვებმა გაახარა. სხვა ქალი აღბათ მეტყობდა: ვიცი, ამას ყასიდად ამბობო, ანდა მკითხავდა: ნუთუ მართალს მეუბნებიო? მას კი ხმა-კრინტი არ დაუძრავს; ეტყობოდა, ძალზე ჩუმი და წყნარი გოგო იყო.

ბოლო ყლუბი ღვინო რომ გადავკარიო, საეარძლიდან წამოდგა, ტორწერთან მივიდა და აახთო, მერე კი ქალი გამორთო და ჩემს გვერდით ტახტზე ჩამოჯდა. უფროად ვიგრძენი, როგორ შემოიჩერდა გულსცემა. ახლა კი ცხადი გახდა, რა ამოდ დავმერი, როცა ეცდილობდი შენდევსთვის გადამედო ის ამბავი, რა ტყუილუბრალოდ ვარწმუნებდი საკუთარ თავს, დღეს არაფერი არ უნდა მოხდეს-მეთქი. და იმ სიბრძნეც, თითქოს აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია, უცბად დაჰკარგა აზრი. ეს ყველაფერი ახლა მტკნარ სისულელედ მეჩვენებოდა. რაც თავი მახსოვს, ჩემთვის ქალის იდეალი ესმერაღდა იყო, და ახლა ჩემი სატრფოს ქცევები სწორედ მის ქცევებს მაგონებდა. ასე მეგონა, თითქოს მთელი სიცოცხლე ვიცნობდი ამ გოგონას, მან კი მხოლოდ ახლა დაირქვა ნამდვილი სახელი და ახლა მიიღო თავისი ქეშმარიტი სახე. ისე კი, კაცმა რომ თქვას, განა სულ ერთი არ არის, თავად შენ ანთებ შუქს, თუ ვინმე სხვა?

მხარზე ხელი რომ დავადე, ავკანკალდი. რადიოში სწორედ უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ. არასოდეს რომ არ ეყოფილვარ, ისე გულგრილი ვიყავი ყველაფრისადმი, თავს ისე ბედნიერად ვგრძნობდი, მისი კოცნაც კი გადამივიწყდა. გინდა დამიჯერეთ და გინდა არა, მაგრამ ასე მეგონა, ყველაფერს დაეთმობდი, ოღონდაც კი ეს ბედნიერი წუთი გაძეხანგრძლივებინა.

განა არ ვიცოდი, რომ ასე დაუსრულებლად ვერ ვისხდებოდით ტახტზე ამ ცისფრად განათებულ ოთახში და მთელი სიცოცხლე ვერც ასე ვიქნებოდით ერთმანეთზე მიშტერებული. ამის ფიქრი, რასაკვირველია, სისულელე იყო. მე მხოლოდ ის მაღარდებდა, რატომ არ ძალუძს ადამიანს, ეს საოცარი, ვნით გამოუთქმელი გრძნობა ცოტა ხნით მაინც შეინარჩუნოს-მეთქი.

დილით რომ გამომეღვიძა და იგი საწოლში ჩემ გვერდით დავინახე, გონს კარგა ხანს ვერ მოვეგე. ვიგრძენი, მკლავი დამბუყებოდა, რადგან თავი ზედ ჰქონდა ჩამოდებული. ეტყობა, ამან გამომადვილა. მისთვის ძილი რომ არ დამეფრთხო, მკლავი ნელ-ნელა გამოვაცალე. მერე წყლის დასაღვეად წამოვდექი: დილაობით ენა დაშაშრულივითა მაქვს ხოლმე. ვერ კიდევ ძალიან ადრე იყო და ისევ დავწექი. ვაფიქრე, დამეძინება-მეთქი, მაგრამ თვალზე რული აღარ

მომეკარა. ვნებამორეულებს ჟალუზების ჩამოშვება დაგვიწყებოდა და ოთახში უკვე უხვად იფრქვეოდა დღის შუქი. ახლავა შევნიშნე, ტორშერიც ჩართული დაგვრჩენოდა.

ახლა კი შემეძლო, გავმძღარიყავი მისი ცქერით. ცხვირით კი სუნთქავდა, მაგრამ პირი ოდნავ მაინც ღია დარჩენოდა. არ გეგონოთ, რაზე ნაკლებად! მანამდე არც კი შემიმჩნევია, თურმე ოდნავ კეხიანი ცხვირი ჰქონია. ვტკბებოდი მისი თოვლივით ქათქათა, კრიალა პირისკანით, და იგი გუშინდელზე უფრო მშვენიერი მეჩვენებოდა. ისეთი უშფოთველი და წყნარი ძილით ეძინა, რომ, მართალი გითხრათ, შემშურდა, მერე ისევ გამახსენდა, რა სიხარული მომანიჭა გუშინ საღამოს ცისფერი ტორშერის შუქზე. ცოტა ხანს ვყოყმანობდი, გავალვიძო თუ არა-მეთქი. ბოლოს ხელი მაინც შევახე მკლავზე, მაგრამ უმაღავადაც და კვლავ ძილს მივეც თავი.



კლავს ულუზინგერი

ცხრა წლისა ვარ!

გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა

ერთი სული ჰქონდა, როდის გაფრინდებოდა. ის ხომ ცხრისა გახდა! დიახ, სწორედ დღეს გახდა ცხრა წლისა და ბოლო-ბოლო როდისმე ხომ უნდა გაინავარდოს ცაში! მშვენიერად ახსოვდა, მამამ რომ უთხრა: შენი დაბადების დღეს თვითმფრინავში ჩავსვამ და გაგასეირნებო. მართალია, მას მერე დიდმა დრომ განვლო, ძალიან დიდმა დრომ. ეს ჯერ კიდევ მანამდე იყო, ვიდრე დედა და მამა გაიყრებოდნენ. მათი გაყრის შემდეგ კი ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს გაორებული ცხოვრება დაიწყო მისთვის.

მამის სიტყვები ახლაც გარკვევით ჩაესმოდა ყურში. არც დილ-დილაობით ავიწყდებოდა, როცა საწოლში იწვა და სულგანაბული უგდებდა ყურს ხმაურს, დედასთან მოსული სტუმრის წასვლას რომ ამცნობდა. ეს სიტყვები ახსოვდა სკოლაშიც, როცა ფანჯრიდან გასცქეროდა სივრცეს, მასწავლებლის ხმა კი ჰაერში იკარგებოდა და შორეულ ექოდ აღწევდა მის ყურთასმენას. აი, ახლა, ამ წუთშიც ახსოვდა მამის ნათქვამი. ისიც მშვენიერად იცოდა, რომ ამაზე ხელსაყრელი შემთხვევა არასოდეს ჩაუვარდებოდა ხელში: გაკვეთილები უცდებოდათ. დირექტორი შემოვიდა და გამოაცხადა: ფრაუ ვაიზე ავადაა და დღეს მეცადინეობა არ გექნებათ.

ბიჭი გახანგრძლივებულ ჯგუფში დადიოდა. ამიტომაც გაკვეთილების შემ-

დეგ შინ ვერ წავიდოდა, სკოლაში უნდა დარჩენილიყო. საშინლად კი არ უნდოდა ჯგუფში შესვლა. დღეს ხომ ცხრა წლისა გახდა, და ერთადერთი სურვილი ჰქონდა: თვითმფრინავით ეფრინა. აბა, რა სჯობია ცაში წავარდს! ზემოდან კი სულ ერთი ბეწოდ მოჩანს ყველაფერი! ერთი სული ჰქონდა, როდის გაასწრებდა აქედან. ახლა დერეფანში იდგა. ხელმარჯვნივ კიბე, საკლასო ოთახებში აღიოდა, ხელმარცხნივ კი გახანგრძლივებულ ჯგუფში! მარჯვნივ დარეკილიყო. სწორედ დრო იყო, გავარდნილიყო აქედან, ის კი შონუსხულბ-ვით იდგა ერთ ადგილას. თვალი ალაყაფის კარისკენ ეჭირა, მაგრამ წასვლით ვერ წასულიყო. — ჰეი, ბიჭუნავ, გახანგრძლივებულ ჯგუფში ხარ თუ სახლში უნდა წახვიდე? — ჩაესმა უეცრად ყურში. ალაყაფის კართან ვიღაც კაცი ჩამდგარიყო. ეს ბატონი ნიუსინგი გახლდათ. ახლა უკვე გაპარვაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ბიჭს კი, ო, როგორ უნდოდა ცაში განავარდნა. თვალები დახუჭა და სული მოითქვა.

— გზა, გზა მიტიეთ! — აღმოხდა უეცრად და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

— რაღას უყურებთ, რატომ არ შეიპყრობთ? — თქვა კაცმა და ჩაიხიო-ხითა. სწორედ ამ დროს სროლის ხმაც გაისმა. ეს ბიჭმა ისროლა, ზედზედ ორჯერ. კაცმა ხელები ასწია და შეტორტმანდა, მერე კი ძირს მოადინა ზღარ-თანნი.

— შინ მიდიხარ თუ სკოლაში რჩები? — ახლა უფრო დაყინებით გაუმეორა კითხვა კაცმა.

— შინ უნდა წავიდე, — ბიჭი გონს მოეგო და იმავე წამს იგრძნო, ლოყებზე აღმური მოედო. ასე ემართებოდა ყოველთვის, როდესაც ცრუობდა.

— რაკი ასეა, მაშ, მოკურცხლე შინისაკენ! — უთხრა კაცმა. იცოდა, მშვენივრად იცოდა, რომ ახლა კი უნდა გაქცეულიყო, რომ მხოლოდ გაქცევაში იყო ხსნა. ჯერ ათი საათია, დედა სკოლაში ოთხისთვის მოაკითხავს. არამც და-არამც არ უნდა გაიგოს, რომ ბიჭი სკოლიდან გამოიპარა. დედასთვის იმის თქმაც არ შეიძლება, მამა თვითმფრინავით გასეირნებას რომ შეჰპირდა. ოთხამდე ექვსი საათი რჩებოდა კიდევ. მანამდე თავისუფლად მოასწრებს უკან-მობრუნებას, ნამდვილად მოასწრებს, თუმცა ეს საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ოთხ საათზე ზურგზე ჩანთამოკიდებული ჯგუფის წინ გაჩერდება და დაელოდება, ვიდრე დედა გამოუვლიდეს. ახლა კი პირველ რიგში ეს ჩანთა უნდა მოიშოროს, მაგრამ მერე ფული სადღა იშოვოს?! მართალია, სახლში კი აქვს, მაგრამ გასაღები აღარ უდევს ჯიბეში. დედამ, ადგა და, გასაღები ჩამოართვა, რადგან ერთხელ ბიჭმა და მისმა მეგობარმა კატერმა სახლში კინალამ ხანძარი გააჩინეს.

— ეჰ, როგორ გამიცრუე იმედი, რა ბოროტად გამოიყენე ჩემი ნდობაო, — ჩაესმა ყურში დედის სიტყვები და თვალწინ დაუდგა მისი საყვედურით სავსე თვალები. დედის იქით კატერის ფეხი აღარ იქნება ჩვენს სახლშიო, ესეც თქვა მაშინ დედამ.

კატერი მისი მეგობარი ბიჭი იყო. ჯერ კიდევ ძველ სახლში ცხოვრობდნენ, როცა დაახლოვდნენ. დღეს დილით კი ყველაფერი წალმა შემოტრიალდა.

— დაბადების დღეს შაბათს გადაგიხდი, შაბათობით უფრო მეტი თავისუფალი დრო გაქვთ, — უთხრა დედამ, — ჰოდა, თუ გინდა, შეგიძლია კატე-რიც მოიყვანო.

ეს ყველაფერი კი იმას მოჰყვა, რომ ბიჭმა ჰკითხა, ვინ შეიძლება დაეპატიო ჩემი დაბადების დღეზეო. ნება შენია, ვინც გინდა დაპატიეო, — მიუგო დედამ. მერე კი, როცა ძალიან ფრთხილად გადაუკრა სიტყვა კატერს, აი, სწორედ მაშინ უთხრა დედამ გაოცებისაგან პირდაუტყენილ ბიჭს: კარგი, კარგი, კატერიც მოვიდესო.

მერე ისიც გაიგო, მისი დაბადების დღეზე დედას სტუმარად უნდა მოვიდოდა.

— შეხედე, ბიჭო იოხენმა რა საჩუქარი გამოგიგზავნა! ისიც აუცილებლად უნდა დაპატიეო, — უთხრა დედამ.

— მამა, მამა თუ მოვა ჩემი დაბადების დღეზე? — ჰკითხა ბიჭმა. მაგრამ დედამ ისეთი თვალებით შეხედა, რომ ბიჭი მიხვდა, მამა არ მოვიდოდა. მას შემდეგ, რაც დედა და მამა გაიყარნენ, მამას აღარ ჰქონდა ამ სახლში მოსვლის უფლება. ეჭ, აი უკვე მთელი საუკუნე გავიდა, რაც მამა შეპირდა, შენი დაბადების დღეს თვითმფრინავით გაგასვირნებო. ახლა, ახლა კი მამას მისი ნახვის უფლებაც კი აღარა აქვს. აი, დედას სტუმარს რატომღაც თავისუფლად შეუძლია მათთან სიარული. ბიჭის ოცნება ისევ და ისევ თვითმფრინავს დასტრიალებდა. ჩანთა პარკში, სკამის ქვეშ შემაღლა, მერე ნაგვის ყუთზე აბობლდა და ფანჯრიდან ოთახში გადაძვრა. ისინი პირველ სართულზე ცხოვრობდნენ. იმედია არავის დავუნახივარო, — გაიფიქრა გულში. მერე თავის დანახოვ ხუთ მარკას დაავლო ხელი, ამას ყულაბიდან ამოღებული ფულიც დაუმატა და კისრისტეხით გამოვარდა გარეთ. აი, უკვე ქუჩაშია, ესეც ქალაქი ბერლინი. ჯერ ისევ ცივა. მოქუფრულ ცაზე დროდადრო თუ გამოიხედავს მზე. ქუჩაში უამრავი ტრამვაი, ავტობუსი თუ მანქანა ირევა.

აი, გადასასვლელზე მწვანე შუქნიშანი აინთო. ახლა უკვე შეიძლება ქუჩაზე გადასვლა. წითელ შუქზე კი უნდა შეჩერდეს. კი მაგრამ სად მიდის ახლა? გადაწყვიტა, კატერთან წასულიყო. უნდოდა ეთქვა მეგობრისთვის, შაბათს დაბადების დღეზე ხარ ჩემთან დაპატიებულთ. მერე მამაც სანახავი ჰყავდა. ერთი სული ჰქონდა, როდის გაინავარდებდა ცაში! მამა ხომ შეპირდა? მაშ ასე: რაკი დედამ ნება დართო და კატერს შეუძლია მასთან მოსვლა, ესე იგი ბიჭსაც აქვს კატერთან მისვლის უფლება. აი, მამასთან მისვლა კი აუკრძალეს, მას მერე, რაც დედა და მამა გაიყარნენ. ასე უთხრეს, გაიზრდები და თავად ყველაფერს მიხვდებიო. მან კი, ორჯერ მაინც მოახერხა მამასთან მისვლა. დღეს ცხრა წელი შეუსრულდა! ოთხ საათამდე ჯერ კიდევ დროა. უკან დაბრუნებას მოასწრებს. მამას ტელეფონის ნომერი ახსოვდა. ქუჩის კუთხეში ავტომატიდან დარეკა, მაგრამ არავინ შეეხშიანა. ეტყობოდა, მამა შინ არ იყო და მოგვიანებით დაბრუნდებოდა. პო, ცხადია, მოგვიანებით მივიდოდა შინ. ბიჭმა კატერთან გასწია. კარები მეგობრის დედამ, ფაშფაში ქალბატონმა პინცმა გაუღო.

— კი, მაგრამ, კატერი ხომ სკოლაშია ამ დროს, — უთხრა გაკვირვებულმა.

რა თქმა უნდა სკოლაში იქნება, კატერს ხომ გაკვეთილები არ გასცდენიაო, — გაიფიქრა თავისთვის ბიჭმა.

მაშ ასე, მამასთან უნდა მიბრუნდეს. მამა ფოტოატელიეში მიუშაობდა და ბინაც იქვე ჰქონდა. მას შემდეგ, რაც დედა და მამა გაიყარნენ, ბიჭი ორჯერ

იყო მამასთან. ეს ამბავი ერთხელ როგორღაც დედასთან წამოსცდა. გაგიხარია, მაშინ კი ატყდა აურხაური.

— დიდი რომ გაიზრდები, თავად მიხვდები ყველაფერს, ახლა კი პირობა ნომეცი, რომ ასეთ რაიმეს აღარ გაიძეოვებ, უთხრა აღელვებულმა დედამ. — ისიც მინდა იცოდე, რომ მამაშენთან ურთიერთობა ზიენის ქვეყნისკენაა მიმართული. სამწუხაროდ იგი ძალიან ცუდ წრეში ტრიალებს, ამიტომ მინდა ბოლოს.

მაშინ კი შეჰპირდა დედას, მსგავს რაიმეს აღარ გავიძეოვებო, მაგრამ გულში კი გაიფიქრა: საოცარია პირდაპირ, უწინ რატომ არ იყო საშინო მამასთან ყოფნა, რაღა მას შემდეგ გახდა ეს მამაჩემი ასეთი, რაც ის და დედა გაიყარნენო?

წინათ ყოველ დილით ბიჭი მამას მიჰყავდა საბავშვო ბაღში, საღამოს კი წამოსაყვანად გამოუვლიდა ხოლმე, ზაფხულობით ნაყინის საჭმელად დადიოდნენ ერთად. ზამთარში ცივებით დასრიალებდნენ. დროდადრო გასართობად ძველ ნანგრევებზე ადიოდნენ, ანდა ტექნიკის სახლში შეივლიდნენ. ხანდახან ყვავილებს იყიდდნენ და დედას გამოუვლიდნენ. თურმე რა ბედნიერი ყოფილა მაშინ!

ახლა დედას სახლში სტუმარი დაუდის, რომელიც დილ-დილაობით მანამდე ასწრებს გაპარვას, ვიდრე ის და დედა საუზმეს მიუსხდებიან. საუზმის დროს კი დედას ისე უჭირავს თავი, ვითომც აქ არაფერიყო. ბიჭს კი, აბა განა რაიმეს გამოაპარებს კაცი?! მადლობა ღმერთს, ყურთასმენა არ აკლია.

მაშ ასე, მამასთან მისვლა აუკრძალეს და მამაც ვერ მოვა მასთან. იყო დრო, როდესაც დედას და მამას ერთმანეთი უყვარდათ. მერე ის სიყვარული გაქრა და გაუთავებელი კინკლაობა დაიწყო. კატერი იტყოდა ხოლმე: საკმარისია ახლო-მახლო ვინმე უცხო ქალი ან კაცი გამოჩნდეს, რომ მშობლები მაშინვე იყრებიანო. ერთი ხანობა კატერის მამასაც ჰყავდა შეჩენილი ვიღაც ქალი. ამის გამო ოჯახში დიდი უსიამოვნება იყო. მაგრამ კატერის მშობლები მაინც არ გაყრილან.

მამასთანაც ჰყავდა ბიჭს ნანახი ვიღაც ქალი. აი, დედასაც დაუდის სტუმარი. საოცარია პირდაპირ! რაც მათთან ამ სტუმარმა მოუხშირა სიარულს, დედას პირდაპირ ვეღარ სცნობდა, სულ მთლად განოიცივალა. წინათ ერთთავად სახლში იჯდა და თვალგაშტერებული, გამოთიშული გასცქეროდა სივრცეს. ახლა კი აღარ იცის რა ჩაიცვას და დაიხუროს, სულ ფერადფერადებშია გამოწყობილი. ქარხნიდან მოვა თუ არა, ტანსაცმელს გამოიცივლის და სახლს დააღაგებს, მერე კი მიუჯდება ხოლმე სარკეს და საათობით აღარ სცილდება.

დედის საქციელი ბიჭს კატერის უფროს დას აგონებდა. ისიც ვიღაც ბერძენს გადაეკიდა და სულ მთლად გადაირია. დედაც ამ კაცზე ასე რომ არ გადარეულიყო, იქნებ მამასთანაც არ ეკინკლავა გაუთავებლად. ვინ იცის, იქნება დედას საერთოდ არასოდეს დასცდენოდა მისი აუგი, მამას მივლინებებში რომ არ ევლო. დედას და მამას უწინაც ჰქონდათ ერთმანეთში უსიამოვნება, მაგრამ კი არ გაყრილან! აი, კატერის მამასაც ხომ ჰყავდა ვიღაც ქალი, ცოლთანაც სულ ჩხუბსა და დავიდარებაში იყო, მაგრამ ოჯახი მაინც არ დაუნგრევიდა. დედას ამ სულელურმა სიყვარულმა რომ გადაუაროს, იქნებ მამაც აღარ წავიდეს ხოლმე მივლინებებში? ერთხელ კატერმა ასეთი რამ თქვა: კაცმა ერთი და იგივე ქალი ორჯერ შეიძლება შეირთოსო. დიახ, დიახ, კატერს ისიც კი

აქვს ნათქვამი: კაცს უფლება აქვს ოთხჯერ შეირთოს ცოლი და თანაც ერთი და იგივე ქალიო. მაგრამ ვინ იცის, იქნება დედა და მამა შერიგების მერეც ვერ შეეწყონ ერთმანეთს?! აი, დედასთან საღამოობით სტუმარი მოდის, მამასთანაც უნახავს ვილაც ქალი. ერთხელ სრულიად შემთხვევით მივიდა მამასთან და ის ქალი იქ დახვდა. მაგიდაზე ნამწვაციებით სავსე საფერთლე იდგა, იქვე ელაგა ცარიელი ბოთლები. მამას თვალის უბეები ჩალურჯებოდა და დღეინის სუნის ასდიოდა. ქალმა მოინდომა, მამასთვის თავზე გადაესხა მსხლი, მაგრამ მამამ თავი განზე გასწია და ისეთი ხმით დაიყვირა: რას ჩერჩეტობ, როგორ იქცევით, ბიჭს რომ არასოდეს სმენია მისგან. მეორე მისვლაზე, ქალი იქ აღარ დახვედრია და ამჯერად მამაც ჩვეულებისამებრ შეხვდა.

აი, ახლაც მოვიდა მასთან. ზარი დარეკა, მაგრამ კარი არავინ გაუღო. ეტყობა, მამა შინ არ იყო, საყიდლებზე ან გამომცემლობაში თუ წავიდა. როდის დაბრუნდება, ღმერთმა იცის. მაშ ასე, არც კატერი დახვდა სახლში და არც მამა. ერთხანს კიდევ შეიცადა, მაგრამ მერე გადაწყვიტა, წავალ ცოტას გავისეირნებ, დროს მოვკლავო. დახურულ ბაზართან გამოვიდა. აი, ესეც ზღუდე და ეკლესია. აქ ყველაფერი ნაცნობია. ვიდრე დედა და მამა გაიყრებოდნენ, ყველანი აქ ცხოვრობდნენ, ირგვლივ დახლები მოჩანს. სასურსათო მანქანებს ჩაუხერგია ქუჩა. ხალხი ბუზივით ირევა. ვილაცა კაცი ცდილობს პალტოს ჯიბეში ჩაიჩუროთოს ბოთლი. ბიჭი თვალს არ აშორებს მას. მერე გაიფიქრებს, ვაითუ დამინახოს, ასე დაეინებით რომ მივჩერებივარო, და იქაურობას გავცლებო. ესეც ზღუდე: როგორი თეთრია, თანაც მაღალი და მიუწვდომელი. ზღუდის მიღმა კოშკია აღმართული. იმის იქით გაღმა მხარე იწყება. კოშკზე ხანდახან ადასიანები გამოჩნდებიან. ისინი გამოღმა მხარეს არ აცილებენ ხოლმე მზერას. დედა ამ ადგილზე ამბობდა, სახელმწიფო საზღვარიაო, მამა იტყოდა ხოლმე, გაღმა-გამოღმით ვცხოვრობთო, კატერისთვის კი ეს ზღუდეა, უბრალოდ ზღუდე.

აი, ეკლესიას ჩაუარა. კატერი კათოლიკეა. ექვსი და-ძმა ჰყავს, ეკლესიისაგან დახმარებას იღებს, სამაგიეროდ თავად ვალდებულია ილოცოს. ერთხელ კატერმა ისიც წაიყვანა ეკლესიაში. ო, რა ჯოჯოხეთურად ციოდა. ორივენი მუხლმოდრეკილი უნდა მდგარიყვნენ. მუხლებზე დგომა კი, მოგეხსენებათ, როგორი მტკივნეულია. კატერს ღმერთი სწამს, მას კი არა. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობია და, კატერიც არ უნდა იყოს დიდი მორწმუნე. იტყვის ხოლმე: კაციშვილმა არ იცის, მართლა არსებობს ღმერთი თუ არაო. კატერი პიონერიც არის, დედამისი ამბობს, თუკი ყველა პიონერია, ჩემი შვილი ვისზე ნაკლებიაო.

ოთხშაბათობით სკოლაში პიონერული შეკრება აქვთ ხოლმე. ერთხელ შეკრებაზე მამაც მოვიდა. ეს ჯერ კიდევ მანამდე იყო, ვიდრე დედა და მამა გაიყრებოდნენ. თავის საქმიანობაზე ელაპარაკა ბავშვებს. ეპ, იმ დღეს ბიჭი პირველი კაცი იყო კლასში.

ახლა კი, ახლა გადაწყვიტა, ისევ მამასთან დაბრუნებულიყო. ზარი დარეკა, მაგრამ, ეტყობა, მამა ჯერაც არ დაბრუნებულიყო შინ. ნუთუ დაავიწყდა, რომ შეჰპირდა? ვითომ დაავიწყდა? მაგრამ განა შეიძლებოდა ამის დავიწყება? განა ის არ იყო, რომ შეჰპირდა, შენი დაბადების დღეს თვითმფრინავში ჩავსვამ და გავასეირნებო. იქნებ მამამ სახლში მიაკითხა, ან იქნებ სკოლაში მივიდა? მაგრამ არა, რახანია მამა აღარც სახლში მიდის და აღარც სკოლაში

აკითხავს. მას მერე, რაც დედასთან იმ სტუმარმა მოუხშირა სიარულს, მამას აუკრძალეს სახლში მისვლა. აი, თურმე რა ყოფილა გაყრა!

კი მაგრამ, ხომ შეიძლება, უკვე აეროდრომზე წავიდა და იქ ელოდება. ალბათ ჰგონია, ბიჭიც იქ მივა. რა თქმა უნდა, ასეა, ახლანდელი მთავრობის აეროდრომზე უნდა წავიდეს! მამას არაფრით არ დაავიწყებია დაპირება. აბა სწრაფად, სწრაფად. აი, მატარებელმა ჯერ ალექსს ჩაუქროლა, მერე ტრეპტოვ-პარკსა და ადლერსჰოფზე გავიდა.

ბოლოს და ბოლოს შიონეჟელდიც გამოჩნდა. აეროდრომამდე მგზავრები ჩვეულებრივ ავტობუსით გადაჰყავთ, თუმცა ფეხითაც შეიძლება გავიდეს კაცი. ბიჭს უწვეულო მღელვარება დაეუფლა. თვალი ვერ მოსწყვიტა უზარმაზარ ვერცხლისფერ ფრახეტოა რივს, გრუნუნით რომ აჯრუებდნენ არემარეს. მამასთან ერთად უწინაც ყოფილა აქ, მაგრამ ეს ისე დიდი ხნის წინათ იყო, რომ ყველაფერი ბუნდოვნად ავონდება. მერე ერთხელ კიდევ მოუწია აქ ყოფნამ. სკოლა სტუმრებს ხვდებოდა. მთელი მათი კლასიც აქ იყო. ბავშვები უზარმაზარი შენობის წინ ჩამწყრივებულიყვნენ. იამოდა მისალმების შეძახილები, ფრიალებდა დროშები, ჩაიქროლეს მოტოციკლებმა და ოთხმა დიდმა შავმა მანქანამ — ორი „ტატრა“ იყო, ორიც „ჩაიკა“. ეს ყველაფერი ისე ელვის სისწრაფით მოხდა, რომ ბიჭმა ვერაფრის დანახვა ვერ მოასწრო, თუმცა ფეხის წვერებზეც აიწია.

წვალში რომ შევედით, მოხახხამქვემ შემომაძვრა. გიჟავით წვაძდა. ტემპერატურას კადვე ორა გრადუსით რომ დაეწია, წვაძა ნაღდად ქარბუქად გადაიქცეოდა. არ წავსება წინაშე გასსოფით თუ არა ეს უკანასკნელი დეკემბერი. ჩვენს ნაუში აღბათ არ გაძლებოდა, მაგრამ მე ყურადღერს ვერძნობდი. არ ვიცო, გამოივებთ თუ არა. შარლიმ მკლავი ჩემი სკამის საზურგეს გადახვია და თავი მხარზე ჩაძობადო. დენმა თავში რომ დამარტყა, გატყებში გამიარა, ამასობაში ნახვაც აუღლე აღდო. არ ვიცო, წვალზეც არხებობს თუ არა მოძრაობის წესები, გამივია არხებობსო, მაგრამ იმ დღეს ამ უსამყელოდ გადაჭიმულ შპრევზე არც ერთი ნაფი ან გემი არსად ჭაჭანებდა. გახი მოლიანად მიეუშვა. ნაფის კაჩო ყალვზე შედგა. მხეცივით ნაფი კა იყო, ეტყობა, ამ ტაბს თავისთვის პქონდა გამორჩეული.

ნაირ ნაირ ფირაფებს ვაკეთებდი, ოღონდ ძირითადად შარცხნავ. რადგან ამ დროს შარლი უფრო ვარვად შეკვროდა ხოლმე. თან სულ არ ცდილობდა თავი მოერიდებინა. მერე თვითონ მოკიდა საჭეს ხელი. ერთხელ ბეწვზე ავციდით ხელის ბურჯს, მაგრამ შარლის ხმა არ ამოუღდა. ხასე ისევე ისე პქონდა გაქყაყებულდი, როგორც იმ მომენტში, თითახდან ტყუასავით რომ გამოყარდა.

მანამდე არ ყიცოდით, ქალაქის დასახეა ზურგადანაც თუ შეიძლებოდა. შპრევდან ბერლინი სწორედ რომ ზურგადან მოხსნდა მოკლა თავისი ქარხნების ეზოებთან და ნაირ-ნაირი ფარდულეებით.

ვერ ვფაქრობდი, წვიმა ჩვენს ნახს აავსებს-მეთქი, ამას გადაგრჩით, მაგრამ ხამაგიერთდ მათი აღარ შეგვრჩია ტანზე მშრალა, თუქვა მოხახხამა კა გვეყარა. ამ წვიმას აბა რა მოხახხამი გაუძლებდა, ისე გაეწიწიო, რომ უკან ყინლაფერი ფეხებზე გვეკიდა. ვგრევე ტანხაც-მლიანად რომ გვებახიდა, ამისე მეტად ნაღდად აღარ დავხვედებოდით. არ ვიცო, ასეთა რამ გამოვიცდით თუ არა: აა, მაგრამ რომ გააწიწებდა და გველაფერი ფეხებზე გვიდა.

როგორც იქნა ჩათავდა ფარდულეების რაგა და დააწყო ნაირ-ნაირი ვაღება. ახლა ან შარცხნივ უნდა მოგვეჩხა ან შარჯენივ, მე, ხო აზრზე ხართ, შარცხნივ ვამჯობინე. თან იმედი მქონდა, ამ ტბიდან როგორმე გამოვადწევიდით, მინდოდა მეთქვა, სხვა გზით გამოვიდოდით-მეთქი, მოკლი ჩემი საცოცხლე მეჯაერებოდა იმავე გზით უკან დაბრუნება. ცრუმორწმუნე არ გავთნოთ, უბრალოდ, არ მათყარდა იმავე გზით უკან დაბრუნება. ერთი და იგივე გზა მბეზრდებოდა თუ რა იყო, არ ვაცო, მაგრამ სასხურებლობა არ იყოს, ეხეც ამოჩქმებული მქონდა. ერთ კუნძულს რომ ჩაეუშულიდეთ, შარლი აწრიადდა. ეტყობა, რაღაც მოუხდა, გახაგებია, წვიმაში ყველას ვერე მოხლის ხოლმე. ლაქაძებში შეჩხერ აღვიდს დაუწიწი ძებნა, საბედნიეროდ, ასეთა აღვიდები თავზე საყარად იყო, ლაქაძებზე უფრო სძირად მენხერი აღვიდები გეხედებოდა. ხმელეთს რომ მივადექით, ისევე კოკისპარულად წვიძდა. შარლი მაძინეე მაძინლა. უკან რომ მობრუნდა, იმ კუნძულზევე წვიმაში ჩაშხალ ბაღახზე ჩავცვიცქადით და მოსახხამის ქვეშ მოვეუჭრდით, თუმცა რა ვიცო, აქნებ კუნძული კა არა, ნახევარკუნძული იყო-აქ მერე აღარსოდეს ვყოფილვარ. უცებ შარლიმ მკითხა: ვინდა ვაციცო?

ხო აზრზე ხართ, რა მომივიდოდა, ხაღხნო!

სულ ავკანკალდი, ვგრევე ვაციდე, რომ შარლას ჯერ კადვე დიტერის ბოღმა სჭირდა, მაგრამ მაინც ვაკოცე სახეზე ისეთი სურნელება ახლითა, როგორც მჩეზე დიდხანს ვაკიდულ თეთრეულს აქვს ხოლმე. მირა ამდენხანს წვიმაში ყოფნისგან განუღვივით ცოცა მქონდა. ვაკოცე და აღარც მოვეშვი. თვალები გაახალა, მაგრამ მაინც არ მოვეშვა. სხეანაირად განა შეიძლებოდა? ერთიანად ხველა კი იყო, ფეხებიც სველი მქონდა და ყველაფერი.

ხაღდაც წამაკითხავს, ერთი წანგი, ანუ აფრიკელი, ევროპაში რომ ჩამოვიდა და ბარყელი თეთრა ქალი დაადა, როგორ ამდერდა თავის მშობლიურ ენაზე. მე კა, ხო აზრზე ხართ, ვგრევე გამოვითიძე. აღბათ ეს იყო ჩემი ერთ-ერთი დიდი ნაკლი, უდროთ დროს რომ ვითიძებოდა ხოლმე. აი შარლისთან მეც ნაღდად უნდა ავმდერებულაყავი, მე იდაოტი კი სულ მოკისალე და ყვ იყო.

შემდეგ ბერლინში მიჩეე გზით დავბრუნდით. შარლი ხმას არ იღებდა, მაგრამ ერთბაშად ძალიან აჩქარდა. რატომ, არ ვიცო, შეაძლება სულაც მაგრა გაითოშა და იმიტომ. მოხახხამი შემოვახვიე, მაგრამ უსატყეოდ იუარა. მოხახხამს არც მაშინ ვაკვარა, სულ რომ მაყვიცი. აქეთობახ სატყვა არ დახცდენია, თავი ვგრევე არამზადა მეგონა. ისევე დავაწიე ვარაუბახ კე-

თქმა, მაგრამ შევარჩვე, არ სიამოვნებდა და გავჩერდი. შარლას მხოლოდ ეჩქარებოდა, ჩვენს ბელზე ამ დროს ბენზინიც გამოგვეყლია. უახლოეს ხიდაძე ძლივს მივაღწიეთ. ვიფიქრე, მახლობელი პუნქტიდან ბენზინს მოვიტან, შარლი კი მანამდე დამიცდას-მეთქი, მაგრამ ნავიდან გადმოვიდა და მეც ვეღარ შევაჩერე. აირბინა გაღუმპული რკინის კაბეები და წავიდა, რატომ არ გამოვეკიდე, არ ვიცო. კანთებში მინახავს ასეთი ეპიზოდები: გოგოს-წყვეტლან უსილი, ბაჭა აჩერებს, მაგრამ გოგო კარს გამოადებს და გარბის, ბაჭი კი დია კარებში კლავს [ფიქსიონალურად] მასდასის, დაბრუნდით. ასეთ რაბეებს რომ ვუყურებდი, გულში მეცინებოდა, სამი ნაბაჯი რომ გადაადგას, დაიჭერს-მეთქი, ახლა კი მე თვითონ ვაჯექა და ვუყურებდი, შარლი როგორ გარბოდა. თურმე ორ დღეში ვიბრიდებოდი, მე ადითტმა კი შარლი ხელიდან გავუშვი და მხოლოდ იმას ვდარდობდა, ახლა ნავმისადგომთან მარტო რა მიმაყვანს-მეთქი.

არ ვიცო, ვინმეს სიკვდილზე ვიფიქრიათ თუ არა, აი, ვიფიქრიათ თუ არა, ერთ მშვენიერ დღეს რომ აღარ აქნები, წახვალ და მოჩხა, წახვალ სამუდამოდ. ერთხანს ხშირად ვფიქრობდა სიკვდილზე, მერე თავი მივიანებე. ვერაფრით ვერ წარმოვიდგინე, როგორ შეიძლებოდა მოკვდავარიყავი, ვთქვათ, კუბოში როგორ უნდა ვწოდებოდაყავი. თავში ნაირ-ნაირი სისულელეები მომდოდა: ვითომ ვწყყარ კუბოში, ირგვლივ წყვდიადი დგას, ამ დროს საშინლად მეფხანება ზურგი და ვფიქრობ, ახლა თუ არ დავაკაწრე ყველაფერი, მოკვდავი-მეთქი, მაგრამ კუბოში ისეთი სივარტოვია, რომ ხელს ვერ ვანძრევ. ეს, თუ გამოგაცდიათ, ნახევარ სიკვდილს უდრის, ხალხნო, მაგრამ რაც არ უნდა მეფიქრა, ეს ხომ მაინც სიკვდალობანას თამაში იყო, ხამდვალ სიკვდილს მარაღა ხომ ვერ წარმოვიადგენდი. ვისაც ამასე მეტის წარმოადგენა შეუძლია, ის ცოცხლებში აღარც ჩაათვლება-მეთქი, ვფიქრობდა, ჩემი თავი კი მე იდითტს, როგორც ჩანს, უკვდავი მეგონა. ისე, თუ დამიჯერებთ, გარჩევთ სიკვდილზე ფიქრს საგროოდ შეეშვათ და იმაიაც გირჩევთ, როცა თქვენი საყვარელი გოგო გარბის, ის დამპალა ნავიც უფხებზე დაიკიდეთ და სურც აღვილზე დაეკერებიან, ხალხნო. მოკლედ, ნავმისადგომს ამ დროს მივაღწიე, როცა ნავების გამქარავებელი ის-ის იყო ამირებდა ხანაოსნოს პოლიცია ფეხზე დაეყენებინა. იმ საცოდავს ხასარულისგან ენა ჩაუვარდა, თავის ვარცლი რომ დაინახა. მაშინ ვიფიქრე, ეს დღე არც ამ კაცს დაავიწყდება-მეთქი. ჯერ მეგონა, მაგრა დამაჭოჭვებდა და მეც ხანსობრად მოვემზადე. ბევრი კი არ მიხდოდა, ისედაც აღრენილ კუსებზე ვაყივი. აი იმ ბენზინის პუნქტის მეთვალყურე ისე დავაქოთაქე, რომ ფეხზე ვეღარ დგებოდა, კანისტრით არ უნდოდა ბენზინი მთეცა. ხომ განახავთ ტიპებს, რომ გავასურებენ, მე-რე-კა-ნის-ტრი-რომ-და-ი-კარ-გოს-ფუღს-მე-კინ-გა-და-მინ-დისო. სო აზრზე ხართ, რა ძნელია ასეთ ტიპებში ცხოვრება!

ხალში ხველა ტანსაცმელა გავიხადე და ლურსმანზე ჩამოვვიდე. აქეთ-იქით ვაწყდებოდა, აღარ ვიცოდა, რა მექნა, ისე გატეხილში არასოდეს ვყოფილვარ. ვაგუშვი „მ. ს“-ის ნიჭების მუხაკა და ხანამ ვისძივარი არ ამივიდა, ვცეკვაგდა. ერთი ორი ხათი მაინც ვიცეკვი, მაგრამ არ გამიხწორდა და არა. მაშინ დამანებას შევეცადე, მაგრამ იმ დამპალ დივანზე დიდი ხანს ვიტრიალე, სასამ დავიძინებდა, რომ ჭიმილყობა, ვარუთ მესამე მსოფლიო ომი იყო დაწყებული, ნაღდი ტანკება მოდიოდნენ შეტევასე. იმ დამპალი დივნიდან ვასკუმე და ვერევე კართან გაუჩნდი. სეფ ჩემზე ჯაჭვებითა და ფოლადის ყარათი შეიარაღებული უზარმაზარი მსიკვი მოდიოდა — ბუღდოიყრა იყო, ასთრმოცდაათ ცხენას მადიანი. ეტყობა, ვაყივით დავიდრიალე, რომ ეს ურჩხული ჩემგან ნახევარ მეტრზე გაშერდა და ძრავაც ჩახუმდა. ახალგაზრდა ძნლოლი თავის კოფოდას ჩამოხტა და სო აზრზე ხართ, მარჯვენით ერთი ასეთი დამაყრა, რომ ჩემს ბუღრუგანაში ორ მეტრზე შეეფრინდი. იმწამსვე ხალტი გავაყვოვ. ასე უფრო ათლაა ფეხზე დადგომა, და თავი დახარტყმელად მოვამზადე. იმ გოიმს ისეთ მარცხენა პუკს დაეურტყამდი, რომ ფეხზე ვეღარ დადგებოდა. მგონია, ჯერ არ მოთქვამს, ცაცია რომ ვაყივი, ეს იყო თითქმის ერთადერთი რამ, რასაც დადიკო ვიბაუმ ვერ ვადამაჩვია და ვერა. რას არ ჩაღმინებდა, რომ ვადამჩვეოდი, და მე იდითტაც, სო აზრზე ხართ, ყველაფერს ვახრულებდი. მანამდე ვიჩალიჩეთ ორივემ, ხანამ ბლუკუნა და ლოგინში ჩახველება არ დავიწყებ. მაშინ კი თქვეს ექიმებმა, კმართ, ნება დაშროვს ისევე მარცხენათი მეწერა და ბლუკუნსაც შევეშვი და ლოგინიც გამიშრა. მოელი ცარკი ის იყო, რომ მერე მარჯვენაც კარგად გავივარჯიშე, კოკელ შემთხვევაში იმაზე გაცილებით უკეთ, ვადრე სხვებმა მარცხენას ხმარობენ ხოლმე. მარჯვენა კი გავივარჯიშე, მაგრამ მარცხენა მაინც პატივში მყავდა. იმ ტანკისტმა ხომ დამაყრა, მაგრამ მუშტების ტრიალა ხულაც არ მქონია ვეგმაში, თვითონაც ცარცივით გაფითრდა და ვერევე მიწაზე ჩაჯდა. მერე მითხრა, ერთი წამიც და შენ ტალახავით აგზილედი, მე კი, ხამი შეილის მამა, კლექტაში ამოვეყოფდი თავს, განა გაყას მეტი ცხობვრებს იქ

ვინმე? ის ტიპი ახალმშენებლობათვის მოედანს ასუფთავებდა. იმ წუთში აღმათ ძალიან
საწყალო ხასი მქონდა, აქედან მალე ავაბარგებია მეტი. რომ წავიკრუსხუნე.
ღამე ბევრი ვიფიქრე და დავასკეენი, რომ ბერლინში აღარაფერი შესაქმებოდა, მარღი თუ
აღარ შეეძლებოდა, ბერლინში რაღა ჯანდაბა დაძრჩენოდა. ბოლო-ბოლო, ყველაფერი ხომ
მარღის ირგვლივ ბრუნავდა. მართალია, კოცნაობა ავითონ წამთიწყო, მაგრამ მინდობის
ტი მომივიდა — როგორც მამაკაცს მეტი თავდაჭერა მძარტებდა.

სიზღვირისა

იმ ბიჭმა მოთხრა, კადვე სამი დღე მომიცია, მოკლეა, შობამდე გაცლა, მერე კა აქედან
აიბარგეო, და ისევ თავის ტანკს მოახტა. მართალია, ვადაწყვეტილი მქონდა ჩემი სასხურე-
ბედი რაც შეიძლებოდა სწრაფად მოქმედავრებინა, მაგრამ ხამა დღე მაინც მეტახმეტი იყო.
ღრომა ეგრევე ვიწვებოდი, მაგრამ სამუშაოს გაცდენილ არ მინდოდა, არ დარდა ბოლო მო-
მენტში რიხზე წახვლა — ზარემბა ზუსტად ოცდაათსა საათის შემდეგ თავზე წამომადგებოდა
და ხო აზრზე ხართ, რახაც ვჩაღაჩობდი, მაშინვე იყიდაა, მოკლეა, ან ზარემბა გამოიშვერ-
და, ან აღი. მე ხომ, რაც არ უნდა იყოს, ადამ აღმზრდელობითი მეთოდის გვირგვინი ვიყი-
ვა. ერთი ხული მქონდა, სასხურებელი გამეკეთებინა და აღისთვის ცხვირწინ დამებურტო-
ბინა, მერე ეგრევე მიტეხებრგისკენ მოეუხამდა და ჩემს სწავლა-განათლებლასაც ბოლოს
მოგულებდი, აი ამ შობამდე ვიყავი იმ წუთში მისული. არ ვიცო, კესმით თუ არა ჩემი.
შეიძლება ეს ხამობათ გულ-სახუყების ბრალიც იყო. მართალია, ხამობათ წრებიანი — „ღმერ-
თო მადლო“, ნაძვას სე, ნამცხვრები და ეგეთი ხავიეები დიდად არახოდეს შეეახებოდა,
მაგრამ მაინც რაღაცნაირ გუნებაზე ვიყავი. აღმათ ამიტომ წავედი მაშინვე ფოსტაში,
ვიღისგან რაიმე ხომ არ მომიხვლია-მეთქი, სხვა დროს მხოლოდ ხამუშაოს შემდეგ მივდა-
ოდი ხოლმე. გინაღამ ჩავუქეი, ჩემს ეუთში ვიღის სასწრაფო წერილი რომ დავინახე, წერი-
ლი გავსხვნი და ეგრევე დამარტყა თავში — ყველაზე მნიშვნელოვანი წინადადება იყო რაც
განდა ის მიქენა, მაგრამ მეტს ვეღარ ვაგუშვლა. დედაშენს ეუთხარი, ხადაც ხარ, მინდა წი-
ნასწარ იცოდე, რომ მოულოდნელად არ დაგატყდეს ტყუი.

წერილი ორი დღის გაძოგზავნილი იყო. ახლა ვიცოდა, რაც უნდა მექნა. ფოსტადან ვიპლექა-
დედაჩემი თუ დიღის მატარებელს გამოეყებოდა, უკვე აქ უნდა ყოფილიყო, რახან ჯერ არ-
ხად ჩანდა, ხადაძოს მატარებლის ჩამოსვლამდე კიდევ ბევრი მრჩებოდა დრო. ვიყიდე ბლო-
მად რძის პაკეტები, ამიტომ რომ რძით ყველაზე ადვილია დანაყრება და ჩემს ბუდრუგანაში
ჩავიკარე ყველა ფინჯარას რაღაც ჩამოვაფარე, კარეთ კა ბარათი გამოვიკადე მალე მოეღ!
ისე, ყოველ შემოსხვევისათვის. სხვა თუ არაფერი, ბარათი სხვა რომელიმე იდიოტური ბუდ-
დოზერის გახაფროხილებლად მაინც გამოიხადებოდა. მერე ეცო ჩემს სასხურებელს და მე
ადიოტმა, გივიეთი დავიწყე მუშაობა.

„ორშაბათს, ესე იგი, შობამდე ერთი დღით ადრე, ხამუშაოზე არ მოხულია. მარ-
თალია, არჩვეულებრივი ამისდა იდეა და ის დღე კარვად შეიკემლო გამოიგე-
ყენებინა, მაგრამ წლიური გეგმა უკვე დიდი ხნას განდღუნული გექონდა და
მაინცდამაინც არ შეეწუხებულვართ, თანაც, რაც უკან დავებრუნეთ, მას შემდეგ
ერთი დღეც არ გაუცდენია“.

მოკლეა, ეგაც ჩემი ბედი თუ უბედობა, რომ ეგრე იყო. ეს ერთადერთი ვარაუდი მაინც
გამაძარტოდა, აა, სასხურებელი გამოივიდა-მეთქი, ამაში რატომღა ვიყავი ასე დარწმუნე-
ბული, ეს კა აღარ ვიცო. წარმატებაში ეჭვიც არ მეპარებოდა, ჩემი ტკუით, პიდრავლიკური
წნევის იდეაზე ლოვაკური არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო. ხადეგაყის ნიხლა ხომ დაწნეხი-
ლი პაერისგან წარმოიშობდა. მოაშორე დაწნეხილი პაერო, სხვა გზით შექმენა წნევა და
მორჩა, მანქანა ამუშავებს! თღონდ დროში შეხაზებოდა, მფრტევეანის დასამხადებლად დრო
აღარ მრჩებოდა. ახლა ხო აზრზე ხართ, ხამუშაო დღის დაძთავრებამდე უნდა მეცადა, უფრო
სწორად, ჯობდა ხამსელებს დავლოდებოდი და აღისთვის მფრტევეანა ამეწაანა. აღის სასხუ-
რებელი ჩამოწერილი ეგლო ჩენა ხალონ-ვაგონის ქვეშ. მანამდე ორივე ცალინდრის ახამუ-
შაეებელი ცხ. ძ. მჭირდებოდა. ბედზე ორი ცხენის ძალიანი ელექტრობრავა ვავმანსე, მაგრამ
ამდენი ძალა არც მჭირდებოდა და ცოტა უნდა დამეკლო კადვეც. არ ვიცო, წარმოვიდგენიათ
თუ არა, რა შეუძლია ორ ცხენის ძალას, თავის ნებაზე თუ მათუშვი. იქნებ ვინმემ იფიქროს,
მოეღა ეს ამბავი თანამის ან კობის მეტა არაფერი იყო ჩემთვის, მიუქარავს, ვინც ეგრე ფიქ-
რობს. აი ზარემბამ სწორი თქვა, ეს მანქანა ტექნიკურადაც და ეკონომიკურადაც ხენსაცაას
მოახდენდათ. ეს დაახლოებით იმას უდრიდა, როგორც თავის დროზე აეტომანქანაში წანა გა-
დაცემას გამოგონება იყო, ვინც ამისთანებში ერკვევა, ამათთვის ვამბობ, ჩემი გამოგონება

ამაზე ერთი თაყი კადე უფრო მაღლა იდგებოდა, ჩვენი ვაძითქვამდა ხახელს, ყოველ
 მქმსხვევაში, ხვეციადობების წრეში მანც. სო აზრზე ხართ, როგორ მინდოდა ჩემი მახანა
 ადისოვის მაგიდაზე დამებრტყებინა და მეთქვა, აბა ამ კნობს ხელი დააჭირე-მეთქი?
 ადის ვგრევე დავცენტრავდი. მერე შარდისაც შემთვარავებდი და აქედან აუთრთქლებოდა.
 არა, რომ ვითხარით, მაგიდაზე დავებრტყინდი-მეთქი, მართლა შეგეფრევა-ქა-ერ დი-
 ეუგლებდა. ხამისოდ ჩემი მახანა ძალიან დადი იყო, ის თხერი თანდობას, ცხელიცის
 ხაწმენდ ტუმბოს ემსგავსებოდა. ვათომ ყველა ლეტალი მქონდა, მაგრამ არც ერთი ერთმანეთს
 არ ერეებოდა და მეც რაღა ძალია მქონდა, ცოტა უნდა წამხელტურებინა, თორემ ამ
 ხაქმეს ჩემს სიცოცხლეში ვერ მოვრჩებოდი. ყველაზე უფრო ელექტრობური მაკლდა. თან
 ხო აზრზე ხართ, ძრავისაც ხამასთხმისცა ვოლტი მქონდა ძაბვა. მე მგონი, ძველა ხახარატი
 ჩარხისა უნდა ყოფილიყო. პოდა, მეტი რა გზა იყო, მეც ჩემი ბუდრუგანის ირახსოცი ვოლტი
 ხამასთხმისცზე უნდა ამეყვანა. მხოლოდ ამის იმედი მქონდა, რომ ჩემი ტრანსფორმატორი
 გამოთადებოდა, თორემ არავითარი სახომისა ხელხაწყო მე არ გამაჩნდა. ეს აყო აღბათ კადევე
 ერთი ღურსმანი ჩემი კუბოსათვის. დროც რომ აღარ მქონდა, მეხოვა ხადმე?! სახომის ხელ-
 ხაწყოები ძველი ამორტიზატორებით ქუნაში კი არ ყრია, ისე, ქუნაში არც ამორტიზატო-
 რება ყარა, მაგრამ თუ მოინდომებდი, შეიძლებოდა გავეხერხებინა. უამორტიზატოროდ
 ხელს ვერ გავანძრედი. რა თქმა უნდა, ასეთი წსყვისთვის რომ გეძლო, კორპუსიც უფრო
 სქელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ გაჭარებოდა, ამის მაგივრად მფრქვევანა შემეძლო გა-
 შედიდებინა. მაშინ ხადეზევი უფრო მსხვილად გამოვიადოდა, მაგრამ ამას არა უშავდა რა, სას-
 ხურებლას გამოიცდის მაინც ხეოსს ხადეზევით ვაძარებდი. თორმეტი ხათასთვის იმდენი
 ექვნი, მფრქვევანას მორგებლად დამრჩა. მაშინვე ჩვენა მოქნებლობისკენ გაქვანდი. ვანა იძას
 ვფაქრობდი, ხაქმეს უკვე მოყრისა და ჩემს დანადკარს ეგრევე ავამუშავებ-მეთქი, რაღაც-რა-
 ღაცების გახასწორებლად მოელი ღამე მქონდა წას და აღარ ედელავდა. ღედიკო ვაბაუ მე-
 თრე დილაძე თავზე ვერ წამოსადგებოდა. იმანაც კადევე ერთი მანსი დამისატა. მშენებლო-
 ბა ჩამნელებული აყო, ჩვენა ხალის-ვაგონის ქვეშ შეგებური და ქანჩს ვეცა. იმ მოყანეაღე-
 ბული მკადური ვახადების გარდა სხვა ხელხაწყო მეც არაფერი მქონდა, მაგრამ ის თხერი
 ქანჩი ისე ადითურად იყო ჩაჭყლიდი, ღამის ნაკერაკზე ვავსვდი, ხანამ ძვრას ყუხამდა. ას
 იყო ვაძრობდა, რომ გავიგონე, სარკება ხადონში იყო და თან ქალიც შეაგდა, აღრეც ხომ
 ვითხარით, ქალკმა დადიოდა-მეთქი, ეტყობა, ხელი შეგუშალე. ყოველ შემთხვევაში, ხა-
 ღონის ქვეშადან რომ გამოეძვერი, კანაღამ ზედ კა გადავაწყდა. ხელში ცული ექვარა. ვერ
 ვაფაქრე, მუქმა დაბრძავა და ვერ მხედავს-მეთქი, მაგრამ დავასახე, ჭრუტა თვალები როგორ
 უცხობდა. ისე ახლოს ვადექით ერთმისკითან, არ შეიძლებოდა არ დავეხახე, თუმცა მე კა
 ვავინახე, ჩემი რსევა თუ ვანდათ, იცოდეთ, ასეთ დროს არ უნდა ვაინძრეთ. მე მგონი, სა-
 რკება იყო უკანასკნელი კაცი, ვინც მნახა და ვინც მშეენიგრად მამახედა, რახაც ვჩალიჩობდა.
 უკან რომ ვბრუნდებოდი, ვხახე წამლად მწავან შემსვედრია, რაღა ბერლინა და რაღა მი-
 ტენბერგა — ბერლინი რვა საათის შემდეგ მიტენბერგისგან ბეერიით კი არაფრით გასისკედე-
 ბოდა. ყველა ტყუღვიზორშია შემსგრალი, ერთი-ორი უსაქმურსა თუ იქნება ხადმე კინოში ის
 პარკში მოყუნებულა ან სპორტსმენისა თუ ვაძოვა ხავარჯიშოდ ხადმე სხვას ამ დროს ვერაგის
 გადაყრებით.

ორი საათისთვის მფრქვევანა უკვე დამარეზებული მქონდა. მილაკმა ხახევარი ქალი ზეთის
 ხადეზევი ჩავცალე და ხადენება შევამოწმე. მერე ჩემი ხახელავი ერთხელ კადევე შევათვალე-
 ვრე. აღრეც გათხარით, ჩემი დანადგარი რას ჰგავდა, ნამდვილად არ შეგებებოდა, მაგრამ
 ჩემთვის პრანციმა იყო მთავარა. აღბათ ეს აყო ჩემი უკანასკნელი აზრა, ხანამ კნობს თითს
 დავაჭყრდი. მე ადიოტისა მართლა ბუდრუგანის კარს არ მოვიძვრე ხარის კნობს? ჩვეულებ-
 რავი გამომრთველი არ შემეძლო ამელო? მაგრამ სო აზრზე ხართ, კნობი მხოლოდ ამისთვის
 დავუყვარე, რომ აღასთივას მეთქვა: აბა დააჭირე ამ კნობს თათი-მეთქი?!

ადიოტა ვიყავა, აბა რა, ხადხსო. უკანასკნელი, რაც დავახახე ის იყო, რომ ერთბაშად ჩვე-
 ლაფერი ვანათდა და კნობს თითს ვედარ მოვაცილე. მეტი აღარაფერი დამინახავს. ეს აღბათ
 ამის ბრალი იქნებოდა, პიდრავლაკურმა ხახტყმამ რომ არ იმოქმედა, ხო აზრზე ხართ, ამ
 დროს ძაბვა ისე ვაყიყით ავარდებოდა მაღლა, რომ ხელი თუ რამეს მოგახვდებოდა, ვედარც
 მოაშორებდა, მოკლედ, ამის ბრალი იყო ყველაფერი. კარგად მეყოლეთ, ხადხსო!

ვედგარა სამშაბათსაც რომ არ მოვიდა, შუადღისას მის დახახელად წავედიო.
 ვისომა ხახადხო პოლაცია დავციხვდა, როცა ვუთხარით, ვინც ვიყავით, ვაი-
 თხრეს, რაც მომხდარიყო, ასაც ვკითხრეს, საკედმყოფოში მისვლას აზრი არა

აქცია. მეხდაცემულელებათ ვიდეკით. მერე სახლში შეგვიშვეს, მაშინვე მოხსვდა თვალში, რომ კედლები, განსაკუთრებით კი სამზარეულოში, ზეთის ხალებიანი იყო გათხუპნული. ხალებივი ჯერაც არ გამშრალიყო. ხალებივი ვიცანი, ამო სამზარეულოს პასულებს ვღებავდით ხოლმე. არგვლივ ხალებივის და დამწვარი სააზოლაციო ლესტის ხუნი ადვა. სამზარეულოს მაგიდა გადაბრუნებულიყო — სახლს ერთი მაინც აღარ მერჩენოდა მთელი. იატაკზე გადმოწვარა ელექტროძრავა, დადრეცილა მიღება და რეზინის შლანგის ნაფლეთება დასრულდა. ელექტროულებს ეუთხარით, რაც ვაცოდით, მაგრამ ყველაფრის ასხნა არც ჩვენ შეგვიძლია. ზარეშბამ ისიც უთხრა, რომელი საწარმოიდან იყო ედგარი ჩვენთან მოსული. ასე დამთავრდა ყველაფერი.

იმ დღეს ხელი არ გავგანსრეკია. ყველა შინ ვაგუშვია. მხოლოდ ზარეშბა არ წახულა. ფურგონის ქვეშიდან ჩვენი ძველი სახსურებელი გამოიღო, კარგად გახინჯა და მაჩვენა, მფრქვევანა აკლიათ. მაშინვე ედგარის ეზოსკენ ვავიხდით. მფრქვევანა სამზარეულოში ეიბოვეთ — გასას ძველი ძაღვის გვერდით ეგდო. ყველაფერი მოვაგროვე. რაც იქ ევარა, პატარა დეტალები არ დამიტოვებია, ისიც კი წამოვიღე, რაც მაგიდაზე იყო მაგრად მახრახნილი. სახლში ყველაფერი გავწმინდე. სამობავეს შევეცადე ამეწყო ღანადგარი. უკეთეს თავსატეხს ვერც მოვაგონებდი — არაფერი გამოვიკვლია. ეტყობა, ნაწალები ნახევარი მაკლდა, პირველ რიგში სითხის დასაწესესი ბაღონი ან რაღაც ამის მსგავსი მაკლდა. კროსხელ კიდევ დავაბირე ედგარის სახლში შესვლა. მაგრამ ას კარ-მადამო მაწასთან დამახედა გასწორებულია“.

მე მგონი, ასე სჯობდა. ამ მარცხს მაინც კურ ვაგუშვებდი. ყოველ შემთხვევაში ასეთ ზომამდე ვიყავა მასული, რომ კარგად მესმოდა ბებერი ვერტერის, მეტიც გაძლება რომ აღარ შეეძლო.

არა, ასე კი არ გამაგოთ, თითქოს ჩემი ნებით ჩავიდოდი მიწაში, პირველივე გაუჭხე ჩამოვეკადებოდი და ეგეთები, ეგ არა, მაგრამ მიტუნებრგშა კა მართლა აღარახოდეს დავბრუნდებოდი. არ ვიცი, გესმით თუ არა ჩემი, ალბათ ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი ნაკლი, დარტყმებს რომ ვერ ეუბლებოდი, უბრალოდ, მარცხის მოწყლება არ შეეძლო — მე იდიოტისმანდოდა მუდამ გამარჯვებული ყოფილიყავი.

„ედგარის აპორია მაინც არ შაძლებს მოსვენებას. თავიდან ვერ მომიცდილებია აზრი, რომ ედგარმა სენსაციურ იდეას შააგნო, ასეთი იდეა ყოველდღე როდი მოხდას კაცს თავში. ყოველ შემთხვევაში, აკვიატებული იდეა რომ არ იყო, ეს ნაღდა“.

„სურათებზე რაღას იტყვით? ხომ არ გავუღებათ სადმე ერთი სურათი მაინც?“

„მართალი ვითხრათ, სურათება აღარავის მოგონებია, მაინც აღარ ავარგებდა. ზეთის ხალებიანი იყო ყველაფერი გათხუპნული, ალბათ სურათებიც იმ სახლს შაყოლებს თან“.

„შევიძლიათ ერთი მაინც ამიწეროთ?“

„სურათების რომ არაფერი გამეგება?! მე ერთი უბრალო მღებავა ვარ და მეტი არაფერი, ზარეშბა ამბობდა, მშობლების ნიჭა აქვს გამოყოფილით, გასაკვირა არცაა, თქვენისთანა მაშის შვილი რომ...“

„მე მხატვარი არა ვარ, არც ყოფილვარ არახდროს. სტატიკის დარგში ვმუშაობ. ედგარი სუთი წლის რომ გახდა, მას მერე აღარც მიხასხეს. ედგარის არაფერი ვაცოდა, არც ახლა ვიცი არაფერი. შარლი, ეს სახლი, რომელიც აღარ არსებობს, სურათება, რომლებაც აღარ არსებობს, ეს მანქანა“...

„მეტს ვერაფერს გეტყვით. რა თქმა უნდა, არც ჩვენ უნდა დავკენებებინა მარტო ჩხარკედელიობა. არ ვაცი, ხად დაუშვა შეცდომა.“

ექიმებმა რაც თქვეს, იმის მახედვით, ყველაფერი ელექტროდენის ბრალი უნდა ყოფილიყო“.

ბოლოთქმა

მამ ასე, უკვე ჩავიკითხეთ უღრის პლენციდორფის „ახალგაზრდა ვ.-ს ახალი ვნებანი“ და იმედია, ინტერესითაც. ჩავიკითხეთ უკანასკნელი გვერდი, მაგრამ ედგარ ვაბოს თავ-

გადასაუღლებ, ხასიათსა და ბედზე ფიქრს ვერ ვიცვლებთ თავიდან. ვგრძნობთ, რომ ედგარი მეხსიერებაში ჩაგვრჩა არა როგორც მხოლოდ ლიტერატურული პერსონაჟი, არამედ როგორც ცოცხალი ადამიანი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ყმაწვილი, ასე სწრაფად რომ იცვლებოდა ჩვენს თვალწინ, მაგრამ ბევრი რომ ვერაფერი მოასწრო.

პლენცდორფს შემთხვევით არ დაურქმევია თავისი ნაწარმოებისათვის „ახალგაზრდა ე-ს ახალი ენებანი“. სათაური პირდაპირ მიგვიბრუნებს წყაროზე, ნაწარმოებში ვერგან არის ჩართული გოეთეს „ვერტერის“ ნაწყვეტები და ყველაფერი ეს გამოხატავს ავტორის აზრს: ამ თანამედროვე ახალგაზრდის შინაგანი ფსიქოლოგიური პრობლემები არაანაკლებ რთული და მწვავეა, ვიდრე თავის დროზე ვერტერის პრობლემები იყო. მეტი რა, რომ იგი გატაცებულია ისეთი ტექნიკური პრობლემებით, ვერტერს რომ არც გაუგონია. უყვარს მუსიკა, რომელსაც ვერტერი კაკოფონიას დაარქმევდა და ცვესაუბრება ისეთი ენით, ვერტერი რომ ვერაფერს გაუგებდა. თლინდ ყურადღება უნდა გაგამახვილოთ ერთ აზრზე: მსომენტზე: ედგარ ე. ვერტერისაგან განსხვავებით სრულიადაც არ ფიქრობს თვითმკვლელობაზე. მას გარუმთასთან არა აქვს შეურიგებელი კონფლიქტი, თავში ბევრი რამ გაუკვირვლი უტრიალებს, მაგრამ ჰგონია, რომ ყველაფერში თვითონვე, სხვის დაუხმარებლად გაერკვევა. ერთხანს იგი არც კი ფიქრობს, რა პასუხისმგებლობა აკისრია დედის წინაშე, რომელიც შეიძლება რალაცაში ცდებოდეს კიდევ. მაგრამ იგი რაც არ უნდა იყოს მარტომ გამიზარდა, არ გრძნობს პასუხისმგებლობას სკოლის წინაშე, უფრო ფართოდ თუ ვიმსჯელებთ, არ გრძნობს პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, თუმცა ჩვიდმეტი წლის კაცი ასეთ პასუხისმგებლობას კი უნდა გრძნობდეს.

აი, რა უპასუხა ფრანც ფიუმანმა ჟურნალ „ველტბიუნეს“ კითხვაზე — რომელ ნაწარმოებს თვლით 1972 წლის „წიგნადო“: „დიდი სიამოვნებით და თანაღობით წავიკითხე „ახალგაზრდა ე-ს ახალი ენებანი“ და სმამალა ყველას გასაგონად ვუჭერ მხარს ამ ნაწარმოებს!“ ჩინებული მსჯავრია! ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს მსჯავრი გამოაქვს ავტორიტეტულ თსტატს და მეორეჯ — იგი თვითონაც ბევრს რომ ფიქრობს ბავშვების, მოზარდებისა და ჭაბუკების აღზრდაზე“.

ამ მოთხრობამ გამოიწვია არა მხოლოდ დიდი ინტერესი და დაღებათი შეფასება, არამედ მტრული გამოხედომებიც. ჟურნალ „ზინ უნდ ფორმის“ ფურცლებზე მისი გამოქვეყნებისთანავე ცნობილმა იურისტმა და ლიტერატორმა პროფესორმა დოქტორმა ფ. კ. კაულმა ჟურნალის მთავარ რედაქტორს პროფესორ ე. ვიბნუსს მკაცრი წერილი მიწერა.

კაული იმ აზრზეა კი აღაშფოთა, რომ საერთოდ შეიძლებოდა პარალელების გატარება გოეთეს გმირსა და მაწანწალა ყმაწვილს შორის. იგი ედგარს „სრულიადაც არ თვლიდა ტიპიურად ჩვენი ახალგაზრდობისათვის“ და აქედან გამომდინარე უკვირებდა ავტორს, რომ მას უფლება არ ჰქონდა დაეხატა ასეთი პერსონაჟი, საყვედურობდა მწერალსაც და ჟურნალსაც, რომ მოთხრობაში ედგარს არ უპირისპირდება არავითარი სოციალურ-პოლიტიკური ძალა.

ჟურნალმა გამოაქვეყნა ეს წერილი და ამით დასაბამი მისცა ფართო დისკუსიას, რომელიც ნიმდინარეობდა რედაქციის კედლებშიც და ჟურნალის ფურცლებზეც. ეს იყო გდრ-ში უკანასკნელ ხანს ჩატარებული ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დისკუსია. დასკუსიის მონაწილეებს შესთავაზეს რამდენიმე კითხვა, რომლებიც ჩუმი აზრით საინტერესოა არა მხოლოდ ამ ნაწარმოებზე კამათისათვის.

„რა არის უ. პლენცდორფის ნაწარმოების არაწვეულებრივი წარმატების მიზეზი? კბინდება თუ არა გოეთეს ნაწარმოები იმით, რომ პლენცდორფი იყენებს მას თავის ტექსტში? რა როლს ასრულებს ეს სერხი პლენცდორფის მოთხრობის მხატვრულ სტრუქტურაში?“

მოწოდებულია თუ არა სელოვნება ასახოს გდრ-ის ახალგაზრდობის მხოლოდ „ტიპიური“ სახეები („ტიპიურში“ კი იგულისხმებოდეს მხოლოდ სანიშურო ხასიათები)? ნიშნავს თუ არა „უწესო საქციელის“ (ასე უწოდა ედგარს თავის წერილში დოქტორმა კაულმა) ყმაწვილის მხატვრული ხორცშესხმა დაღებითი იდეალის აუცილებელ უარყოფას ან დაკნინებას?

მხატვრულ ნაწარმოებში საპირისპირო სოციალურ-პოლიტიკური ძალა ხორცშესხმული უნდა იყოს თუ არა სხვა, სანიშნო გმირის სახით? რით განსხვავდება მხატვრული ნაწარმოები სიწმინდის სამართლის შემთხვევის დოკუმენტური ანგარიშისგან?"

დისკუსიაში ჩაებნენ შწერლები, ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსები, თეატრის მოღვაწეები, მათ შორის გერმანიის ხელოვნებათა აკადემიის ნამდვილი წევრები, შემდეგ კი ურნალმა გამოაქვეყნა ლიტერატორთა და მკითხველთა წერილები. შესავალი სიტყვა გააკეთა ბურდინის ჰუმბოლდტის სახ. უნივერსიტეტის ერთ-ერთი ლიტერატურული კათედრის გამგემ პროფესორმა რობერტ ვაიმანმა, იგი ძირითადად შეესო გრუნტს-ვერტერისა და პლენცდორფის ახალგაზრდა გმირის ურთიერთშეხარებებს. რ. ვაიმანმა თავისი აზრი გამოხატა სხარტი და ზუსტი ფორმულით — „კლასიკური ტექსტი როგორც გაერცობილი მეტაფორა“ — და დაასაბუთა, რომ გოეთეს ციტირება და მასთან სიუჟეტური პარალელების გატარება მთელ ნაწარმოებს მეტაფორულად ამსგავსებს გოეთეს რომანს და მის შუქს უფრო სრულად წარმოაჩენს არა იმდენად გარეგნულ, პირველი შეხედვისთანავე შესამჩნევ ნიშნებს გმირისას, რამდენადაც მის ღრმა შინაგან თვისებებს. ამ ნაწარმოებისადმი თვით ასეთი ყოველმხრივი ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა გვიჩვენებს, რომ პლენცდორფის მოთხრობა სერიოზულ მეცნიერულ კვლევას იმსახურებს.

დისკუსიის მოსაწილეებმა გამოთქვეს აზრი, რომ პლენცდორფის მოთხრობა თანაბრად საინტერესოა როგორც ახალგაზრდებისათვის, ანუ აღსაზრდელებისათვის, ისევე მოზრდილებისათვის, ანუ აღმზრდელებისათვის.

დისკუსიის რეზიუმედ გამოდგებოდა ერთ-ერთი მოკამათის — ელვე პირშმანის სიტყვები: „ეს არის პატიოსანი წიგნი, წიგნი, რომელიც მოითხოვს სიტყვებს „თუკი“ და „მაგრამ“, „თღონდ“ და „მიუხედავად ამისა“ და აღბათ სწორედ ესაა მისი მომხიბლავობა, ამისია მისი ძალა, ამიტომაც იგი ასე დამაჯერებელი“.

საინტერესოა რაღას ფიქრობენ ამ საკითხზე ედგარ უიბოს თანატოლები?

ახალგაზრდობას არ შეიძლება არ დაუდგეს „ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდი, მართალია, ედგარის სახე მეტიმეტად გამძაფრებულია, მაგრამ მისი ხასიათის ზოგიერთი თვისება ბევრ ახალგაზრდაში შეიძლება მოიქებნოს... ედგარი ყოველთვის სწორად არ იქცევა, მაგრამ იგი მოქმედებს და განა ყველას არ უნდა თვითონვე იმოქმედოს? ჩვენ-შიც, მშენებლობებზე არც თუ იშვიათად ვაწყდებით ხოლმე მსგავს პრობლემებს, მაგალითად, როცა ხელით გიხდება გააკეთო ის, რასაც გაცილებით უკეთ გააკეთებდა მანქანა. ჩვენთანაც ხდება მსგავსი კონფლიქტები ოსტატსა და შეგირდს შორის, მაგრამ სამაგიეროდ არიან ისეთი ადამიანები, როგორიც ზარემბაა, რომელმაც გაუგო ედგარს... ედგარი თავისი შეკდომების მიუხედავად სიმბათიას აღბრავს ჩვენში... იგი ჯერ კიდევ არ დგას სწორ გზაზე, მაგრამ სწორ გზას ნამდვილად ეძებს.

დიახ, ედგარის ხასიათი და ბუდი ტიპური არ არის თანამედროვე გერმანელი ახალგაზრდობისათვის, მაგრამ განა ცხოვრებაში არ გვხვდება რთული ხასიათისა და არაკრიტიკური ბუდის ქაბუკები და ქალიშვილები? მერე შეიძლება ბუდის ანაბარა ნივატოვით იხინი? ვის ჩავუგდოთ ხელში? ვის გადავულოცოთ?

და განა ედგარზე მსჯელობისას კმარა ეთქვათ მხოლოდ ის, რომ იგი „არაკრიტიკი“, ან უფრო მეტიც, „უარყოფითი“ გმირია? მაშინ რაღად ვუთანაგრძობთ? იქნებ იმიტომ, რომ იგი ივვლება და თავის ხანმოკლე სიცოცხლის დასასრულს ისეთი აღარ არის, როგორიც თავიდან იყო?

ახალგაზრდა მშენებელი მუშა ედგარის ხასიათში ბევრ უარყოფით თვისებას ამჩნევს: „ჩვენთან, კომბინატში არიან ედგარის მსგავსი ახალგაზრდები... საკონფლიქტო კომისიაში ხშირად გვიხდება მსგავსი შემთხვევების გარჩევა, ეს შემთხვევები კი ზოგჯერ ასოციალურობის მიჯნამდე მიდიან“. კამათის არც ერთი ახალგაზრდა მოსაწილე არ აპირებს მიბაძოს ედგარს, მაგრამ ყველა მზად არის გარბოს თავის წრეში და დახმარების ხელი გაუწოდოს.

ახალგაზრდებს მოეწონათ ის, რომ ამ ნაწარმოებში ბუნებრივადაა შერწყმული სიყვარულისა და მეგობრობის, კოლექტიუმი შემოქმედებითი შრომისა და კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების თემები. მართალია, შემყვიდრეობის ათვისებაზე იხინი პირდაპირ

არ ლაპარაკობდნენ, მაგრამ ერთსულთვნად აღიარებდნენ. ედგარ ვიბო რომ არა, მათ და მათ თანატოლებს უიტირადაც კი არ მოუვიდოდათ წაგვიტყუათ ან ერთსულ გადაგვიტყუათ გოეთეს რომანი „ახალგაზრდა ვერტერის ენებანი“. სხვათა შორის, დისკუსიის მონაწილე უფროსებიც ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ადამიანები ძალიან ხშირად ახსენებენ მოწიწებია გოეთეს და უწოდებენ „პოეტების მეფეს“, მაგრამ ძალიან იშვიათად, ან ცაზუსადებული არ იქნება თუ ვიტყვიო, რომ არასოდეს არ კითხულობენ მას, თვითონ პლენციდორფის მლიარა ამ დისკუსიას, რომ „ვერტერი“ უკვე მოწიფულობაში შესულმა წაიკითხა და მხატვრულ და-ახლოებით ისეთი გრძობა გაუჩნდა, როგორც ედგარ ვიბოს ჰქონდა ამ ნაწარმოების მიმართ.

„ნოიე დოინე ლიტერატურის“ იმავე ნომერში, სადაც დაბეჭდილია საუბარი ახალ-გაზრდებთან, გაშთქვეყნდა მთავარი რუდაქტორის ვერნერ ნოიბერტის სტატიაც. ვ. ნოი-ბერტი გაცილებით კრიტიკულად უდგება პლენციდორფის ნაწარმოებს, მაგრამ აღიარებს, რომ ამ ნაწარმოებში მნიშვნელოვანი და მწვავე პრობლემებია დასმული. იგი ასეთი დასკვნით ამთავრებს თავის ვრცელ, პოლემიკურ სტატიას: „ეს უდავოდ რეალურად არსე-ბული პრობლემის სიგნალიცაა და ამ პრობლემის ასახვის ცდაც. მართალია, ერთი ედგარ ვიბო დაიღუპა თავისი შემქმნელის ნებით, მაგრამ იგი დაიღუპა მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენთვის მიუთითებანა, ამქვეყნად კიდევ ბევრი ვიბო დადისო და ჩვენი ამოცანაა ისინი დაეუბრუნოთ სოციალისტურ საზოგადოებას მისსავე საკუთილდღეოდ!“

კამათის მონაწილენი აღნიშნავენ, რომ ედგარის საყვარელი წიგნი იყო ამერიკელი მწერლის სელინჯერის რომანი „თამაში ჭვავის ყანაში“. ამ რომანის მოხსენიებით ავტორ-მა თამამად გააშისულა საკუთარი მანერა, თვითონვე გვიჩვენა, რომ სელინჯერის გავ-ლენა დაუტყო მოთხრობის ენასა და სტილს. მაგრამ თითქმის არაფერს გახსენებია ედგარის მეორე საყვარელი წიგნი — დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“. მე კი მგონია, რომ ეს პრინციპული კაუშირი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სელინჯერთან სტილური სიასლოვე.

თანამედროვე რომანიზთნადა, რომლის გმირიც და მსხვერპლიც ხდება თანამედროვე ახალგაზრდა, ტრაგიკომედიის, ხელოვნების ამ უმაღლესი და უბოღესი ქანრის, ყველა ნიშან-თვისებას ატარებს. რატომ მაინცდამაინც კომედიისას? „უკაცრიელ კუნძულს“ — ახალმშენებლობათა რაიონში მომწვედულ, მიტოვებულ საბაღრე ნაკვეთს — თვითონვე ირჩევს პლენციდორფის გმირი, თღონდ განმარტოებულს მრისხანე კაციჭამიების ნაცულად ხმაწერიალა საბავშვო ბაღულები ურღვევენ სიმშვიდეს, თუთიყუში და ბიბლია იყო რომ-ბინზონის თანამგზავრები, ედგარ ვიბოს თანამგზავრები კი „ვერტერი“ და მაგნიტოფონი არიანი იგი ბოლოს და ბოლოს ხედება, რომ განმარტოება შეუძლებელიცაა და არცაა სა-ჭირო, მაგრამ მაინც გადაწყვეტს დარჩეს თავის „უკაცრიელ კუნძულზე“, სანამ თვითონ, მარტოღმარტო ახალ ნაცნობ-მეგობრებისაგან მალულად არ მოამთავრებს თავის „უდადეს გამოგონებას“ და აი, სწორედ აქ იქცევა რობინზონადის კომედია ტრაგედიად.

ედგარს ღუბავს თავისივე ტრაგიკული დანაშაული — იგი უკვე ხედავს, რომ ბოლო უნდა მოეღოს ასეთ ხელოვნურ განმარტოებას, საამისო ნაბიჯს კი მაინც არ ღვამს, მხო-ლოდ ედგარის დაღუპვის შუქზე ხდება თვალსაჩინო მისი და ყველა იმათი შეცდომის ტრაგიკული სიღრმე, ვინც მხოლოდ მამის გაუგო მას, როცა უკვე ყველაფერი გვიან იყო.

მოთხრობის ავტორი უხვად იყენებს უგრეთ წოდებული „ახალგაზრდული ქარგონის“ სიტყვებსა და გამოთქმებს. მთარგმნელის წინაშე იდგა ძნელი ამოცანა — მას უნდა გად-მოეცა არა მარტო ცალკეული სიტყვები და გამოთქმები, არამედ უნდა აღედგინა მთავარი გმირის უზარმაზარი მონოლოგის მთელი სტილური სტრუქტურა, რომლის თავისებურება-ნიც კარგად დაახასიათა პროფესორმა რ. ვაიმანმა: „ეს ენა ფიცხი და უხეშია, გრძობების გამოხატვაში ტუნწია, მაგრამ ნათელია და ხატოვანი. აქ ასახულია ახალგაზრდობისთვის დამახასიათებელი სწრაფი და დაუდევარი ქესტ-მიმიკა, სიტყვები წონას ფიზიკურ მოქმე-დებაში იძენენ: ისინი ხან ჭიმავენ და ძაბავენ კუნთებს, ხან ტანში მოშლილივით მიყან-ყალებენ, ფაფარივით მოშვებული თმების ტვრიდან ხან უხეშად კუდმოკვეცილნი გამო-ხტებიან, ხან კი ბუტბუტით, ძლიერს გასავონად მოედიინებიან... ყველაფერი შუსტადაა და-ჭვილი და გამოხატული“.

მხატვრულ ლიტერატურაში ახალგაზრდული არგოს გამოჩენა ხშირად იწვევს მკითხველთა და კრიტიკოსთა წრეებში შედმეტად ემოციურ, ზოგჯერ ნერვიულ რეაქციასაც კი, ვაითუ ლიტერატურული გმირის მაგალითს მკითხველებმა და მაცურებლებმა მიზამონ და ენა დაანაგვიანონ. ენის ისტორია გვიმოწმებს, რომ ახალგაზრდული (სტუდენტური, სასკოლო) არგო ყოველთვის არაებობდა, გამოცდილება კი გვასწავნებს, რომ საკმარისია არგოტივები გადავიდნენ ლიტერატურული ნაწარმოების ფურცლებზე და მკითხველთა გარეგანი სელმასაწვდომი გახდნენ, რომ შიდადან გადავარდნენ და თითქმის *„გაქონდნენ“* საზოგადოების მეტყველებიდან.

უფიქრობთ, პლენცდორფის ნაწარმოები, რომელმაც ჰაინრიხ მანის ძეგლი დაიშახურა, ასეთი დიდი ყურადღება მიიპყრო გერმანიაში და გახდა მსჯელობისა და კამათის საგანი, საბჭოთა მკითხველთათვისაც საინტერესო უნდა გამოდგეს.



ვალტერ რენი — „პორტრეტი“. 1958 წ.

გფრ-ის ლიტერატურა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გფრ) 1949 წლის 7 სექტემბერს შეიქმნა. გფრ-ის მწერლები შეიძლება დაეყოს უფროსი და უმცროსი თაობის მწერლებად. მათ მიეკუთვნებიან ის მწერლებიც, რომელთაც შესაძლოა მეორე ხნით, ანდა საერთოდ არასოდეს უცხოვრობათ ამ ქვეყანაში, მაგრამ თავიანთი შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის ძირითადი მიმართულებით უახლოვდებიან ანდა ენათესავენ დასავლეთგერმანულ ლიტერატურას. ასეთებია: ებრაელი ჩამომავლობის გერმანულენოვანი ლირიკოსი ქალი ნელლი ზაქსი, რომელიც 1940 წლიდან წვეციაში ცხოვრობდა (1871—1970) სოციალისტური რევოლუციის დასაწყისში და რომლის შემოქმედების ძირითად თემაა წარმოდგენა ებრაელების ბედის წინაშე, ასევე არასდროს არ უცხოვრია გფრ-ში მსოფლიოში სახელგანთქმულ დრამატურგსა და პროზაიკოსს, ებრაელი ჩამომავლობის პეტერ ვაისსაც (დ. 1916), რომელიც 1949 წლიდან მუდმივად წვეციაში ბინადრობს (სტოკჰოლმი) და რომლის ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებად აღემატება პიესა — „ქან პოლ მარატის დევნა და მკვლელობა, განსახიერებელი შარენტონას თავშესაფრის მსახიობთა დასის მიერ ბატონ დე სადის ხელმძღვანელობით“ (ეს ნაწევებია, როგორც დგამენ 1808 წ. ერთი საგვიგისის გიჟების წარმოსახული, გამოგონილი დისპუტა დე სადსა და მარატს შორის); მწერალი ქალი ლუიზე რინზერი (დ. 1911 წ.) დადი ბანია იტალიაშია (რომის მახლობლად როკა დი პაპაში) დამკვიდრებულია (მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია ე. წ. „ხინას რომანები“ — დილოგია — „ცხოვრების შუაგული“ და „სათნოების თევზადასავალი“); კარგა ხანია შეეცარიაში დაიდეს ბინა ალფრედ ანდერშა (დ. 1917 წ. მისი რომანების ძირითადი თემა არის გაქცევა, „გარღვევა“, ნახტომი თავისუფლებაში, ხელოვნებაში); ვოლფანგ ჰილდესჰაიმერმა (დ. 1916; მისი ჯერჯერობით ყველაზე განთქმული „ახტირომანები“ — „მაზანტე“ და „ტიუნზეტი“ აბსურდული ლიტერატურის გერმანულ სანესხვაობას წარმოადგენენ); როლფ პოხჰუტმა (დ. 1931 წ. ჯერჯერობით ყველაზე გახმაურებულ ნაწარმოებად რჩება მისი პირველი პიესა — „გრისტეს ნაცვალი“, სადაც მხილებულია რომის პაპი პიუს XII, ხმა რომ არ ამოიღოს ნაციისტების მიერ ებრაელთა მასობრივი ელექტის ეამს).

გფრ-ის ბიურგერულ-დემოკრატიული ლიტერატურის მთავარ მსოფლმხედველობრივ და იდეურ იმპულსებს წარმოადგენს ფროიდიზმი, ეგზისტენციალიზმი, ანარქიზმი და თავისებურად გაგებულ-გადახრებული მარქსიზმი (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ნამდვილი ლიტერატურა და არა სხვადასხვა ბულვარული, დეტექტიური, ნეოფანტასტიური და ა. შ. მკაცრულ-ტურა).

გფრ-ის ლიტერატურაში, განსაკუთრებით პროზაში, შეიმჩნევა ორი მიმართულების, ორი სტილის (ფართო მნიშვნელობით) არსებობა: რეალიზმისა, რომელიც თავის მხრივ იყოფა ბიურგერულ და „მუშერ“ რეალიზმად („დორტმუნდის ჯგუფი 61“-ის ლიტერატურა) და სიურრეალიზმისა (ფართო და არა უიწრო სკოლური მნიშვნელობით).

უნდა აღინიშნოს, რომ გფრ-ის, ისევე როგორც საერთოდ დასავლურ ლიტერატურაში, რეალიზმის ცნება ძალიან გაფართოვდა და განიერდა, სხვაგვარად თუ ვაძვრით, ზღვარი რეალიზმისა და ანარქეალიზმის (ე. ი. ყველა მიმართულებას, რომელიც რეალიზმის გარდა და მის გვერდით არსებობს) შორის ძალიან მოძრადა, დეფატი, არამყარია გახდა. საერთოდ შეინიშნება რეალიზმისა და ანარქეალიზმის შორის ურთიერთგვეგულება.

არც ერთი ეს მიმართულება წმიხდა სახით არ გვხვდება რეალიზმში მრავლადაა ანარქეალიზტური სკოლიდან ნასესხები გამომსახველი საშუალებანი და სიურრეალიზმ-მოდერნიზმში ძლიერია თანადროულობის მწვავე თემატიკა და პრობლემატიკა.

გფრ-ის ლიტერატურა მძაფრად გამოკვეთილი ექსპერიმენტული ტენდენციების შემცვე-

ლია. ავტორები (პროზაიკოსები, დრამატურგები, ლირიკოსები) ცდილობენ აქცენტებზე გაშლას ახალი საშუალებებით, ახალი მეთოდებით. ტრადიციების რღვევა, გამოთქმის ახალი ხერხების, ახალი შემოქმედებითი გზების მტანჯველი ძიება, ექსპერიმენტულობა — ამ ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა (ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან პროზაიკოს-რომანისტები: არნო, შმიტი, პერბერტ ახტერნბუში, უვე იონზონი, ვოლფგანგ ჰილდესპაიმერი, ლიტერ ველერსპოფი, გიუნტერ გრასი; დრამატურგები: პეტერ ვაისი, ტანკრედ დორსტი, ფრანც ჰსავერ კრიოცი; ლირიკოსები: ჰელმუტ ჰაისენბიუტელი, ფრანც მონი, ლუდვიგ ჰარიგი).

გფრ-ის ლიტერატურის თემატიკა მრავალფეროვანია: ნაციზმისა და ნეონაციზმის, ე. ი. „დაუძლეველი წარსულის“, რემილიტარაზაციის, ატომური შეიარაღების და ა. შ. წინააღმდეგ ბრძოლა, კონფორმიზმის, ფალსტერული შემგუებლობის, „სამეურნეო სასწაულის“ მხილეობი: არნო, შმიტი, პერბერტ ახტერნბურში, უვე იონზონი, ვოლფგანგ ჰილდესპაიმერი, ლიტერ ნიერებათა გაღმერთების წინააღმდეგ ვალაშქრება; ადამიანის სიმარტოვე, თვითგაუცხოება, უკონტაქტობა, არაკომუნიკაბელობა; II მსოფლიო ომის გამაჩანაგებელი შედეგები, ომიდან შინდაბრუნებულთა ბედა და ა. შ. (ჰაინრიჰ ბიოლი, გიუნტერ გრასი, ზიგფრიდ ლენცი, ვოლფგანგ კიოპენი, ჰანს ვერნერ რიჰტერი, ფოლფდიტრიჰ შნურე, პაულ შალიუგი (გარდაიცვალა 1976 წ.), მარტინ ვალზერი, ჰანს ერიკ ნოსაიკი, კრისტიან გაისლერი, გერტ ლუდვიგ კარლ ლუდვიგ ოპიცი, გიუნტერ ვაიზენბორნი (გარდაიცვალა 1969 წ.), ვალტერ იენსი, გერდ გაიხერი — ესენი ყველანი ძირითადად პროზაიკოსები არიან, თუმცა ზოგიერთები ლექსებსაც წერენ და რადიო-პიესებსაც; დრამატურგები: ჰაინარ კიჰპარტი, როლფ ჰოხპუტი, მარტინ ვალზერი (მის შემოქმედებაში პროზასა და დრამას თითქმის თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება), ლირიკოსები: კარლ კროლო, ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი, გიუნტერ აიპი (გარდაიცვალა 1972 წ.), ვალტერ ბიოლერი, ჰანს ეგონ პოლტპუზენი, ელიზაბეტ ბორპერსი, პეტერ ჰუნელი, ერნსტ მაისტერი, ჰაინც პონტეგი).

გფრ-ის ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა დორტმუნდის მწერალთა გაერთიანებას — „ჯგუფი 61“. თავდაპირველად ამ ჯგუფში შედიოდნენ მხოლოდ რურის ოლქის მუშა და მოსამსახურე მწერლები, რომელთაც 1964 წლის 9 მარტს თავიანთი პროგრამა ანუ ჩამოყალიბეს: „აწმყოს ინდუსტრიული შრომის სამყაროს და მისი სოციალური პრობლემების ლიტერატურულ-მხატვრული განხილვა-შეფასება“, ასევე „ტექნიკური საუკუნის კრიტიკული — განხილვა-შეფასება“.

ამ ჯგუფში შედიოდნენ პროზაიკოსები და პუბლიცისტები: მაქს ფონ დერ გრიფნი, ვილი შარტოკი, ელიზაბეტ ენგელჰარტი, არტურ გრანიცი, ერნსტ კოიფერი, ჰანს გიუნტერ ვალრაფი და სხვები; ესენი უმთავრესად მუშა მწერლები არიან, რომლებიც ახლოს დგანან გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან (გკპ). ამ მწერალთა ერთი ნაწილისათვის უცხო არ არის სოციალისტური იდეა (საზოგადოების რევოლუციური გზით გარდაქმნის იდეა), ხოლო მეორე ნაწილი ერთგვარად აგრძელებს ადრეული სოციალ-დემოკრატიული „მუშათა პოეზიის“ რეფორმისტულ ტრადიციებს.

ერთ დროს ძალიან პოპულარული და ვაკლენიანი მწერალთა გაერთიანება — „ჯგუფი 47“, რომლის წევრიც იყო გფრ-ის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ბიურგერული მწერალი და რომელიც 1947 წ. დაიარსა მწერალმა ჰანს ვერნერ რიჰტერმა, უკვე დაიწალა (ეს იყო მწერალთა თავისუფალი კავშირი, რომელსაც არ ჰქონდა არავითარი წესდება და არავითარი პროგრამა. იგი იკრიბებოდა წელიწადში ორჯერ ამ ერთსულ, ორ-სამდღიანი თავყრილობა ეძღვნებოდა მხოლოდ გამოქვეყნებული ნაწარმოების კითხვასა და განხილვას. შეკრების ადგილი იცვლებოდა, ზოგჯერ იკრიბებოდნენ საზღვარგარეთაც: ასე მაგალითად, 1954 წ. თავი მოიყარეს იტალიაში, 1964 წ. შვეიცარიაში, 1966 წ. აშშ-ში — პრინსტონის უნივერსიტეტში — და ა. შ.)

თანამედროვე დასავლეთგერმანული, ისევე როგორც საერთოდ მთელი დასავლეთგერმანული პროზისა და რომანისტიკისათვის, დამახასიათებელია სიუჟეტის, მოქმედების შეცვლა იგავით (პარაბოლით), გროტესკითა და სიმბოლიკით. ჩატარდა დეპიზაციისა და დეფაბულიზაციის პროცესი. გაბატონებული სტილია პაროდირების სტილი. გაქრა სიუჟეტური ინტრიგა, პერიპეტეიები, უარი თქვეს ხასიათების გამოძერწვაზე, იგრძნობა მიდრეკილება აბსტრაქციონისაკენ, „მოდელუბისა“ და თავისებური მხატვრული „ფორმულების“ გამოძეშვაებასაკენ; უარყოფენ სინამდვილის კონკრეტულ-გრძობადი ნიშნების მიხედვით ასახვას, უკუგდებულა „მიშესისის“ მეთოდი; შეიმჩნევა მისწრაფება — ხილული სინამდვილე, ემპირიული სამყარო და ევანილ იქნას მხატვრულ აბრევიატურებზე, სიმბოლოებასა და კონტ-ესენტურ შიფრებზე;

უზულებელყოფილია ქრონოლოგიური თანამდევრობა, ანდოვიდუალური ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური მოტივირება. აღარ მოწმედებს დროისა და სივრცის ტრადიციული სტრუქტურები, დაარღვეულია მიზნ-შედეგობრივი კავშირი. თხრობა შეფერხებულია არაოხრობითი პრაქტიკური ელემენტებით (ესეიზმი, მონტაჟი, ციტატები, „ავტოციტატები“, შინაგანი მონოლოგი, „ცნობიერების ნაკადი“). ლიტერატურაში ეზვდებით დროითა და სივრცულ დასთეუბლები და შეუთავსებელი ამბების, მოვლენების, ფაქტების სიმულტანიზმი (ერთდროულობა და ერთდროულად არსებობა), სათხრობი პერსპექტივების მოულოდნელ ცვლას; იშლება მიჯნა-სუბიექტსა და ობიექტს, ირრეალურსა და რეალურს, სიზმარსა და ცხადს შორის. ავტორი ხდება რომანის შემადგენელი ნაწილი, ანდა სხვაგვარად: ავტორი ემთხვევა მთხრობელს, ხოლო მთხრობელი პერსონაჟებს, ავტორი და მთხრობელი კარგავენ კლასიკური რომანისტის სუვერენულობას.

დასავლეთგერმანულმა, ისევე როგორც საერთოდ დასავლეთგერმანულმა დრამამ, უკუ-აგდო ემპირიული სინამდვილის ილუზიის შემქმნელი, ე. ი. „მიმეტური“ (მიმესისის, მიბაძვის მეთოდით აგებული) თეატრი — გერ-ში გაბატონებულია „უილუზიო“, პარაბოლური (ოგავთ-მწერლური), უკიდურეს პირობითობასა და სიმბოლიკაზე დაფუძნებული დრამა („ეპიკური თეატრი“, აბსურდის თეატრი, „დოკუმენტური თეატრი“). ამ დრამის მიზანია გამოსახოს ხილული სინამდვილის „უკანა აზრი“, არსება, მისი „შენივთული“ კვინტესენცია.

დასავლეთგერმანული ლირიკა, ისევე როგორც საერთოდ მთელი დასავლური პოეზია, გათავისუფლდა ტრადიციული პოეტური „სამკაულებიაგან“, მელოდიურობისა და კეთილ-ხმოვანებისაგან, ამღერებისა და რითმებისაგან. ლირიკა ფაქტიურად იქცა ტაეპებად დინაწი-ლებულ პროზად, ის განიძარცვა ლირიზმისაგან, გულითადობისაგან, ინტიმურობისაგან — ის დაემსგავსა სსსოწარკვეთილ კვილს, რომელიც გამოხატავს* თავამყდროვე დასავლელი ადამიანის შეძრწუნებას, სიმარტოვესა და გაუცხოებას.



ვოლფგანგ ბორკერტი

სამზარეულოს საათი

გერმანულიდან თარგმნა ვიკტორ კანნიაშვილმა

ქალმა ის შორიდანვე შეამჩნია. ჭაბუკს მობერებული სახე კი ჰქონდა, მაგრამ ისე მხნედ მოაბიჯებდა, ეჭვი არ შეგეპარებოდა, რომ ნამდვილად ოცი წლისა იყო. ბებრული სახის ჭაბუკი ქალს მიუჯდა და უჩვენა ხელში რაც ეჭირა.

— ეს ჩვენი სამზარეულოს საათი იყო, — თქვა და მზის გულზე ერთ მწკრივად ჩარიგებულ ხალხს გადახედა. — დიახ, ეგლა ვიპოვე. ეს მაინც გადარჩენილა!

მერე მრგვალი, სპილოსძვლისფერი სამზარეულოს საათი ასწია და მოლურჯო ციფრებს მოწიწებით შეახო თითები.


„ამას ფასი აღარა აქვს, ეგეც ვიცი, — ფიქრობდა დამნაშავესავეთ, — ახლა თეთრად გალაქულ თეფშს უფრო ჰგავს. აღარც თუნუქის ისრები მოძრაობს, თუმცა არ ემჩნევა...“

შემდეგ ფრთხილად შეახო თითის წვერები „თეფშსაათს“ და წყნარად წაიბუტბუტა: — ეს მაინც გადარჩენილა.

სკამებზე მსხდომთ, მზეს რომ ეფიცებოდნენ, მისთვის არც შეუხედავთ.

საქართველოს
საბჭოთავო მუზეუმი






საქართველოს
საბჭოთავო




ՀԱՅԿԵՆԵՐԱՆ
ՆՈՒՆԱԳՐԱԾԱՅԻՆ







1
9400000000
9400000000



1
04/03/2000
07:50:00

1
ՀԱՅԿԱՅԱՆ
ԳՐԱԳՐԱԿԱՆ
ՍԵՐՅԱԿԱՆ



ერთმა ჭაბუკის ფეხსაცმელი შეათვალიერა, ხოლო ქალმა საბავშვო ეტყოს მიაშ-
ტერა თვალი. შემდეგ ვიღაცამ წაიჩურჩულა:

— რა, მართლა აღარაფერი დარჩენია? ყველაფერი დაუკარგავს?

— დიახ, დიახ, — მიუგო უდარდელად, — წარმოიდგინეთ, ყვე-
ლაფერი! მხოლოდ ესღაა ჩემი ავლადილება. — ახლა საათი უკვე მალეა ას-
წია, რადგან ყველა ვერ მიხვედრილიყო, რა მოხდა.

— ეგ ხომ აღარ მუშაობს? — უთხრა ქალმა.

— არა, არა, აღარ მუშაობს, მეც კარგად ვიცი, რომ დამსხვრეულია, მაგ-
რამ ეს საათი ჩემთვის ძველებურად ძვირფასია. — და ერთხელ კიდევ უჩვენა
საათი. — რაც ყველაზე შესანიშნავია, — აცახცახდა ჭაბუკი, — არაფერს მოგი-
ყვებით... მაგრამ აბა, დაფიქრდით, რაღა მაინცდამაინც სამის ნახევარზე გაჩე-
რებულა? ზუსტად სამის ნახევარზე!

— მაგის სახლი ნაღდად სამის ნახევარზე დაინგრა, — თქვა კაცმა და ქვე-
და ტუჩი წამოსწია. — ასეთი რამ ბევრჯერ მსმენია. თურმე როცა ბომბები
ფეთქდებიან, საათები ჩერდებიან. — მერე მოწიწებით შეათვალიერა საათი და
თავმოწონედ გადააქნია თავი.

— არა, ძვირფასო ბატონო, არა! თქვენ ძალიან ცდებით! ბომბებს ამ
საათისთვის არაფერი დაუშავებია. ბომბებზე ლაპარაკი აღარ მოგბეზრდათ?
სამის ნახევარზე გაჩერება კი სრულიად სხვა რამეს ნიშნავს. ძალღის თავიც
სწორედ აქ მარხია, რომ ზუსტად სამის ნახევარზეა გაჩერებული, და არა
ხუთის ან რვის თხუთმეტ წუთზე. „სახლში ხომ ღამის სამის ნახევარზე ვბრუნ-
დებოდი ხოლმე, თითქმის მუდამ სამის ნახევარზე, სწორედ ეს გახლავთ აქი-
ლეგისის ქუსლი“.

მერე მზის გულზე მსხდომთ გადახედა, მათ კი თვალი მოარიდეს. ჭაბუკმა
ვერ შეამჩნია, მხოლოდ თავი დაუქნია თავის საათს: — მაშინ, ნამდვილად მში-
ერი ვიქნებოდი, ხომ მართალია? სწორედ ამ დროს შევდიოდი სამზარეულო-
ში! ყოველთვის ზუსტად სამის ნახევარზე! ჰოდა, შემდეგ მოვიდოდა დედა-
ჩემი... ვცდილობდი კარი ფრთხილად გამეღო, მაგრამ დედა მაინც იგებდა.
როდესაც ჩაბნელებულ სამზარეულოში ხელს ეაფათურებდი და საჭმელს ვე-
ძებდი, უცბად ოთახი განათდებოდა, ფეხშიშველ დედას მუდამ ერთი და
იგივე კოფთა და წითელი მოსასხამი ეცვა ხოლმე. სამზარეულო მაშინვე დედის
სიტბოთი აივსებოდა. დედაც თვალებს მოქუტავდა, რადგან ნამძინარევი იყო
და სინათლე თვალს სჭრიდა.

— ისევ ასე გვიან მოხვედი? — წაილულულეებდა, მეტს არაფერს იტყო-
და. მხოლოდ: ისევ ასე გვიან მოხვედი? შემდეგ, გამითბობდა კერძს და შე-
მოძქვროდა, როგორ გეახლებოდი ვახშამს. დედა ფეხს ფეხზე გადაიდებდა.
ლუმელი აღარ ენთო და ციოდა. ღამით ფლოსტებს არ იცვამდა. და იჯდა ასე
ჩემთან ერთად მანამ, სანამ დავნაყრდებოდი. შემდეგ, ვიდრე ჩემს ოთახში
სინათლეს ჩავაქრობდი, მესმოდა, თეფშებს ალაგებდა. თითქმის ასე იყო ყო-
ველამ სამის ნახევარზე. „ისედაც გასაგებია, ღამის სამის ნახევარზე სამზარე-
ულოში ვახშამის სამზადისში იქნებოდა. იგი ყოველთვის ასე იქცეოდა და მეტს
არაფერს იტყოდა, გარდა: ისევ ასე გვიან მოხვედი? ამას კი მუდამ მსაყვედუ-
რობდა. „ამ სიტყვებს ველარასოდეს გავიგონებდი, გამკრა თავში, ისედაც ცხა-
დი იყო“.

სკამებზე მსხდომთ შორის რამდენიმე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ

ჭაბუკმა დინჯად თქვა: — ახლა?.. — და გადახედა დანარჩენებს, მაგრამ მათ სახეზე ვერაფერი ამოიკითხა. და... ჩასჩურჩულა საათს წყნარად თეთრმოდურჯო მრგვალ სახეში: — ახლა კი კარგად მესმის, რომ ის სამოთხე იყო, ნამდვილი სამოთხე.

სკამებზე მსხდომნი გაყუჩდნენ. შემდეგ ქალმა ჰკითხა: — ^{ერქმუნული} ~~ჩემი~~ ~~დღე~~ ~~მართა~~ თქვენს ოჯახს?

ჭაბუკმა ქალს გულდაგულ გაუღიმა: — აჰა, ჩემს მშობლებზე მეკითხებით? დიახ, ისინიც აღიგავნენ პირისაგან მიწისა. ყველაფერი გაცამტვერდა, ყველაფერი, წარმოგიდგენიათ, ყველაფერი!

მერე გაიცინა. ყველამ თვალი მოარიდა.

შემდეგ ისევ აღმართა საათი და შემზარავად გადაიზარზარა:

— მხოლოდ ესღა გადარჩენილა! ყველაზე შესანიშნავი კი მაინც ის არის, რომ ზუსტად სამის ნახევარზეა გაჩერებული, ზუსტად სამის ნახევარზე, წარმოგიდგენიათ?

ბოლოს დაღუმიდა, აღარაფერი უთქვამს. მას საკმაოდ მობერებული სახე ჰქონდა. გვერდით მჯდომმა კაცმა ჭაბუკის ფეხსაცმელი შეათვალიერა, მას კი არც დაუხედავს, ჭაბუკი კვლავ სიტყვა სამოთხეზე ფიქრობდა...



კეტირ კუხელი

ბ რ მ ტ ა ნ შ ი

თარგმნა ჯემალ აბიაშვილმა

საით დაძრულხართ, შავო ღრუბლებო,
თქვენც, ჩიტუნებო, —

ახე მაღაად

რა სვებუდნიერ ხანახებში
მიგანქარიათ?

ცივია ახლა დედუღეუას ცა და ბუნება,

ცივია გზა და

მიტოვებულ ხოდაბუნებში

ზღვის უპირქუბო ქარი უბურავს.

ცოყად ფრიალებს შენი დაღალიც,

ფრიალებს შენი თქროხფერი თმები,

მარგერიტ!

გახსოვს? — კვერცხებზე ჯდებოდა გნოლი, —

ნახამთრალ ბელტებს ჟრუანტელი უვლიდა თითქოს, —



და იღვრებოდა დამზრად მიწაში
 მახი სხეულის სითბო,
 მარგერიტ!

აწ კი... თვლემს მიწა, თვლემენ ღოდები,
 თვლემენ ქვები და
 ნახლიანი არე-მიდამო
 შენა ფეხის ჩქაშს ელის,
 მარგერიტ!

შემთხვევ ნიკაბზე თალსი პირსაბურველი,
 შემთხვევ, აუყევ, შარას, ნუ შეგაშფოთებს ცივი ტაროსი,
 შეიღვი სურა,
 მიდექ წყლისპირ და
 აალივლივე ჭავლა წყართსა.

ხედავ? — მანდვრებში გაშიშვლებულან ძავთაველები,
 და ლოკოკინა
 დაძეულ წკვარაშს
 კართ შეფეთქილ გალაყანში ათეეს,
 მარგერიტ!
 გზებზე შიშოდის ქარი გოდებით,
 და შემოდგომა წვიმიანი ფაცერკოდებით
 იხელდახელებს
 შუადღის
 ნათელს.

შენც შემობრუნდი, გადაფერთხე ფერფლი ქურაზე,
 დაჯექ ჩუძად და თვალი ადევნე: როგორ ხელდება მოგუზგუზე
 ცეცხლის თარეში
 და როგორ ფეოქავს ლეგენდების სივარყარეში
 ძველთუძველესი წინაპრების სისხლი,
 მარგერიტ!

□

ვოლფ დიტრის უნურა

ს ა ლ ა უ მ რ ო დ

გერმანულიდან თარგმნა მისხილ ბეროფვილია

ექვსზე მწყობრში მოეწყენენ.
 ჯერ ისევ ბნელოდა.
 ისინი ყაზარმის წინ ჩამწყრივდნენ. ყაზარმის თავზე დროშა ფრიალებდა.

დროშაზე ჯვარცმა იყო გამოსახული, ჯვარცმის გვერდით კი — წიგნი. ჩახჩახებდა პროექტორები.

ისინი წამწამებს აფახულებდნენ, თვალები უციმციმებდათ. ზოგიერთი თავის მეზობელს მიპყუდებოდა და ფეხდგომელა ეძინა. ხელში თოფები ეჭირათ, ჯერ კიდევ ვერ ესწავლათ ხეირობანად იარაღის ხმარებაც. გარეთ, ალაყაფის წინ, დედები ატუზულიყვნენ, არც ერთი ხმას არ იღებდა.

გუშაგი ბოლთას სცემდა. ლაპლაპებდა რკინის მუზარადები. ცრიდა. ნისლში ბოლავდა ეზოები.

ყაზარმიდან შუქი გამოკრთოდა. დერეფნებში უნტერ-ოფიცრები გარბი-გამორბოდნენ და ჩამორჩენილები გამოჰყავდათ ოთახებიდან. ძილგამოყოლი-ლებს ცალ ხელში თოფი ამოეჩარათ, მეორეში — დათუნიები და თოჯინები, ბანცალ-ბანცალით ჩამოდიოდნენ კიბეზე.

— დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ! — ყვიროდა ბებერი ფელდფებელი.

— გაითვალეთ! — გაისმა მერე მისი ბრძანება.

ქსილოფონის ხმასავით დაირხა, გავარდა მისი ძახილი რიგებს შორის. გევონებოდათ, ღვინოს ჭიქებს უჭახუნებენო ერთმანეთს, ისეთი ნაზი, წკრიალა ხმები გაისმა.

— აბა! — იყვირა ისევ ფელდფებელმა.

გათვლა შეწყდა.

— ჩვენ მხოლოდ ოთხი წელი შეგვიარულდა, — თქვა ერთმა, — თვლა ჯერ არ ვიცი.

— ასეც ვფიქრობდი, — თქვა ფელდფებელმა, ფანქარი ამოიღო და რიგებს ჩამოურბინა. ახლა თვითონ თვლიდა.

— გაისწორე აირწინალი! — უთხრა ერთს.

ბეჭობს უკან საველე სამზარეულოს წითელმა შუქმა გაჰკვეთა სიბნელე. ქვაბები დახუფული იყო, შიშინებდა სარქველები.

ყაზარმიდან უნტერ-ოფიცრები გამოცვივდნენ, სალამი თქვეს და მარცხნივ მიდგნენ. ალაყაფის წინ მდგარი დედები რკინის გისოსებს ჩაფრენოდნენ.

— ჰაინი! — იძახდა ერთი.

ცამ ნელ-ნელა გადაიკარა. შორს სანგრების კონტურები გამოიკვეთა კაპიტანი ყავარჯნებით მოლაყუნობდა.

— სმენა, — იყვირა ფელდფებელმა.

მზარეულმა კოვზს რახარუხი აუტეხა ქვაბზე.

ბავშვებმა თავიანთი დათუნიები და თოჯინები მკერდზე მიიხუტეს და თვალგამტერებულები გაირინდნენ.

— სწორება მაარჯვნივ!

პირველ რიგში ვიღაცას ხელიდან თოჯინა გაუვარდა.

— მოგახსენებთ, კაპიტანო, — ფელდფებელი სწრაფი ნაბიჯით მიეახლა კაპიტანს და ქუსლები ერთმანეთს შემოჰკრა. — ექვსასმეჩვიდმეტე ბავშვთა ბატალიონი მზად არის სალაშქროდ!

— გმადლობთ, — თქვა კაპიტანმა და მწყობრს ჩამოუარა. „ჭახ“, გაიჭახუნებდა ხოლმე ხის ფეხი გადაბიჯების დროს, „ჭუხ“ — გაისმოდა, როცა ფეხს შეინაცვლებდა.

— უთხარით, თავისუფლად-თქო.

— თავისუფლად, — თქვა ფელდფებელმა. მერე ხმას აუწია, — თავისუფლად-მეთქი!

კაპიტანი ესტრადას ჩამოეყრდნო.

— დილა მშვიდობისა, ბავშვებო!

— დილა მშვიდობისა, ძია! — ახშიანდნენ ბავშვები. ზოგიერთმა მწყობრიდან გამოსვლა და მისთვის ხელის ჩამორთმევა მოიწადინა, მხეცკამი ტანსაცმელებმა შეაჩერეს ისინი.

წვიმამ უფრო წამოუშინა.

სიბნელე ნელ-ნელა გაბაცდა. ქვაფენილზე პროექტორების შუჭი ირვებოდა.

— თქვენ დღეს სალაშქროდ მიდიხართ.

— დიახ, ძია.

— იმედი მაქვს ღირსეულნი და მამაცნი იქნებით თქვენი მამებივით, რომლებმაც გმირულად დასდეს თავი ბრძოლის ველზე.

— დიახ, ძია, — თქვეს ბავშვებმა.

— თქვენლა დაგვრჩით მხოლოდ, — განაგრძო კაპიტანმა.

— დიახ, ძია, — კვერი დაუკრეს ბავშვებმა.

— თქვენ ხართ სამშობლოს სიამაყე და იმედი.

— აი, სისულელე, — უყვირა შეუ-მზარეულმა თავის შეგირდებს, — კერძო შარილი აკლია!

— სამშობლო ამაყობს თქვენით.

— დიახ, — დაუდასტურეს ბავშვებმა.

მოვიდა პასტორი.

— პასტორი მობრძნადა, ბატონო კაპიტანო! — მოახსენა ფელდფებელმა კაპიტანს. პასტორმა ხელი შემართა და სალამი თქვა. მას სამხედრო მუნდირი ეცვა. ოდეკოლონის მძაფრი სუნი ასდიოდა. ლაპლაპი გაჰქონდა მის ჩექმებს.

— ილაპარაკეთ ენერგიულად, მოკლედ, მაღალფარდოვნად, — უთხრა მას კაპიტანმა.

პასტორი გაიგვიმა:

— უიქრი ნუ გაქვთ, კაპიტანო. — მერე პატარა ტრიბუნაზე ავიდა. მჩატედ აჰქონდა სხეული.

— ძვირფასო ბავშვებო! — დაიწყო მან და თავის ვერცხლის ჯვარს დაუწყო თითით წვალემა.

ბავშვები პასტორს მიაჩერდნენ.

— უკუაგდეთ მტერი! — თქვა პასტორმა და განაგრძო: — არ შეარჩინოთ დუშმანს, ჩვენს დიად სამშობლოს ჩირქი რომ მოსცხო!

— დიახ, — თქვეს ბავშვებმა.

— აჰ, — განაგრძო პასტორმა. — აჰ, ძვირფასო ბავშვებო, თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ იქ, მტრის შორეულ ქვეყანაში, დიადი მფარველი გყავთ.

— არ ვიცით, — უპასუხეს ბავშვებმა.

— აჰ, ძვირფასო ბავშვებო, მაგრამ თქვენ ხომ უნდა იცოდეთ ეს.

— დიახ! — იყო პასუხი.

— მაშ, იცოდეთ, — თქვა პასტორმა, — რომ იგი არის მეუფე ყველასი და უპირველესი მთავარსარდალი ჩვენი ჯარებისა.

მზარეულმა ქვაბს სახურავი მოხადა. თხშივარი ბოლქვებად ამოვარდა.
 — ჯანდაბა და დოზანა, — უყვირა შეგირდებს, — მთლად ჩახარშულა.
 — ...ყოვლის მჭვრეტელი თვალებით გადმოგხედავთ იგი თქვენ, თავის მამაც შვილებს და ჩემი მეშვეობით ღვთიურ ლოცვას გარდმოგივლენთ! — მან ხელები მალლა აღაპყრო.

ერქონსული
 ბიზსინოსეკე

— ამინ! — თქვა ფელდფებელმა.
 კაპიტანმა საათს დახედა.
 — კიდევ ერთი წუთი, ბატონო კაპიტანო, — თქვა პასტორმა ისე, რომ ხელები არ ჩამოუშვია.

— დამილოცნიხართ, — განაგრძო მან. — შეგეწიოთ თქვენცა და თქვენს ბრძოლებში მრავალნაცად იარაღს ლოცვა უფლისა, ყოვლისშემძლე მეუფისა!

— გაინაწილეთ ყავა, — დაიყვირა მზარეულმა.
 — ამინ, — თქვა პასტორმა და ხელები ჩამოუშვა.
 — ესეც ასე. — თქვა კაპიტანმა. მერე ფელდფებელს მიუბრუნდა, — უთხარი, ყავა გაინაწილონ.

პასტორმა შვებით ამოისუნთქა და ტრიბუნიდან ტორტმანით ჩამოვიდა.
 — გაინაწილეთ ყავა, — იყვირა ფელდფებელმა.

ბავშვებმა მოიხსნეს თავიანთი ქვაბუნები და სამზარეულოსკენ გაექანენ. ზურგჩანთებს ბაგაბუგი გაჰქონდათ მათ მხრებზე.

გამოიშუქა. უკვე გარკვევით გამოჩნდნენ ალყაფთან მღვარი დედები. მათ თეთრ ქალაღში გამოხვეული წითელი, მწვანე და ლურჯი ფერის ფუთები ამოვიღლიაგებინათ და ხელს უქნევდნენ შვილებს.

გზატკეცილზე მოხუცები ტანკაწინააღმდეგო ორმოებს თხრიდნენ.

ბავშვები სამზარეულოს უკან რიგში ჩადგნენ. ზოგიერთი ომობანას თამაშობდა და ერთმანეთს დასდევდა.

— დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ! — ყვიროდა ფელდფებელი. — სწრაფად. ვინც თავისი წილი ყავა მიიღო, კვლავ მწყობრში ჩადგა. როცა წესრიგი კვლავ დამყარდა, ფელდფებელმა ბრძანება გასცა იარაღი მხრებზე გადაეკიდათ.

— ოღონდ ყურადღებით იყავით, ტიკინები არ დაგრჩეთ.
 — არა, ძია, — გაეხმაურნენ ბავშვები.
 — ძვირფასი, მამაცი ბიჭები! — თქვა პასტორმა და ბიბლია უკანა ჯიბეში ჩაიღო.

— დიახ, — თქვა კაპიტანმა, — ისინი სამშობლოს არ შეარცხვენენ.
 გამოცხადდა ადიუტანტი:

— საუზმე მზად გახლავთ, ბატონო კაპიტანო. — როგორც იქნა, — ჩაიბუზღუნა კაპიტანმა. — უბრძანეთ, ნაბიჯით იარ!!! ადგილიდან დაიძრნენ!

— ნაბიჯით იარ! — ფელდფებელი გაიჯგინა. — უნტერ-ოფიცრებო, წინ! უნტერ-ოფიცრები გუბე-გუბე მიჩლახუნობდნენ. უმეტესობა ყავარჩნებით დადიოდა. სამოც წელზე ნაკლებს ვერავის მისცემდით.

გუშაგმა ალყაფის კარს ხელი ჰკრა და გააღო. დედები უკან მიყარეს.
 — ჰაინი! — ყვიროდა ერთი.

წვიმამ გადაიღო.
 — სმენა! — გაისმა ფელდფებელის ბრძანება. — მწყობრად, ნაბიჯით იარ!
 — ნახვამდის, ძია! — ახმაურდნენ ბავშვები. კაპიტანმა ხელი დაუქნია მათ. ადიუტანტს ქოლგა გაეშალა მის თავზე.

- სიმღერა, — იყვირა ფელდფებელმა.
- „პატარა ჰაინცი...“ — დასძახეს ბავშვებმა.
- სამი, — თვლიდნენ უნტერ-ოფიცრები, — ოთხი.

ბავშვები მღეროდნენ. მათ მშვენიერ, წკრიალა ხმებს ვერა და ვერ შე-
წყობოდა უნტერ-ოფიცრების ბანი.

სიმღერით გაიარეს ალაყაფის კარი. სიმღერით გაიარეს და ერთი არ მო-
უხედიათ გზატკეცილზე მდგარ მხრებჩამოყრილი დედებისკენ.

— ჰაინცი! — ყვიროდა ერთი.

— „ალარ ჰყავს დედას თავის ჰაინცი!“ — მღეროდნენ ბავშვები.

მინდვრად გასული მოხუცები კარტოფილს იღებდნენ. ერთი კინკილა კარ-
ტოფილი არ ჩანდა არსად.

ქარს მამლის ყივილის ხმა მოჰქონდა. ქალაქის გარეუბანში იარაღის ქარ-
ხნის მიღები ბოლავდა. ასფალტი მოლიპულიყო. ზედ ნავთობის ფერადი წვე-
თები იმსხვრეოდა. ნავთის ლაქებში ცა ირეკლებოდა.

ცა იყო პირქუში.



ნელლი ზაქსი

დავითი

თარგმნა ჯიჰან აჯიანვილმა

იხილა სამუელმა:

თვალსაწიერთა ფარდების შიღმა,
სადაც მეუფობს განჩინება უზენაესა
და

განწესდება

წესი

ყოველი, —

იხილა სამუელმა:

ხილვა —

ბრძათათვის მოუსილველა.

იქ, სადაც ნათობს გუნდი მნათობთა,

სად ცთომილები შორითი შორად იძირებიან წყვედიადის სღვაში, —

ნათლისმხალველმა
სამუელმა
ისილა
ხილვა:



გზად მოდიოდა ჭაბუკი მწყემსი
და სფეროების წყნარი გაღობა
მოაჩქარებდა ღვთაებრივ ქარში...

თითქოს დუოდა შირიახლო თავლის სურნელი, —
გარს ფუტკრებივით ეხვეოდა გუნდი მოაებთა
და სამყაროს ყოველი ძაძრა.
მის
სამკვიდროებს
მოიძიებდა.

ას კი როგაედა თავდავიწყებით,
კრავების ძატყლი ეხვია ტანზე
და მხრებზე —
საღვთო საკმეველივით
დახთამაშებდა
საწმისის
ბოლი.

ოდეს დაუდგა სამეუფო დიდების უამი,
მედგა იგი და
ერკემლას რქებზე
დაეცა მისი ფარფატა ჩრდილი...

მაგრამ ნელინელ გადაქანდა ასაკი ყრმობის,
და როცა უამთა გზაჯვარედინზე მოწიფულობა დაეტყო ძაძრის, —
ცრემლით გახელა თვალსაწიერს პოეტთა მამამ
და მაშინ მიხვდა
დაღლილი
დავით:
როგორ განუდგა საკუთარ წიაღს,
რა
შორი
იყო
სუფევა
ღმერთის!..

მაშინ ააგო ფხალმუნთა სახლი:
მსახობეულთა დამეული თავშესაფარი —
გზად მიღებული ჭრილობების
გასაყურებლად.

რომ სასიკვდილოდ მიდრეკილ მოკვდავს, —
 მიმწუხრის უამს რომ მიითვლიდა წინაპრის ცოდვებს, —
 მეტი გაედო სიკვდილის ჯილდოდ ამქვეყნიური მწიკელი
 და ხენჯი



და გაძქრალიყო ბიწიერება
 არარაობის ქარსა და მტვერში.

რომ განეტვირთა სამარის მიწას უკეთურება ადამის თესლის:
 „— სიძღაბლის ნაცვლად - მდუმარე ლოდი,
 შეცოდების წილ—
 ჭია და
 მატლი!“

რამეთუ მიწვივ ანგელოსი ქვიასინებს კაცში,—
 ნათესავიდან ნათესავამდე საკუთარ წიაღს დაემებს ძრწოლვით,
 რომ ჩაიძიოს საყანუ იგი:
 სულის
 ხიდრმეში
 მიჩქმალული
 ნათელი
 უფლის.

იწერებოდა ზოპარის სიტყვა...

მაშინ დგებოდა ნეტარი უამი:
 წერამწერალი ჯდებოდა წერად,
 აწერებოდა
 ზოპარის
 სიტყვა.

და გადახსნიდა ასომწერალი ძველი სიტყვების დახურულ ძარღვებს,
 და უძრავობით დაქანცულ ბგერებს
 შეერეოდა
 ვარსკვლავთა სიხსლი.

აწერებოდა ზეგარდში სიტყვა.

მადლა ბრუნავდა გუნდი მნათობთა
 და სევდიანი მათი ოცნება
 ცის სინათლეში დაფარფატობდა...

აწერებოდა მუუფის სიტყვა.

1 ზოპარი (ებრ. ზოპარ — ბრწყინვა. ნათება) — შუა საუკუნეების ებრაული თეოლოგიური
 თხზულება, რომელშიც თავისებურად აირეკლა ძველებრადეთა რელიგიური ფილოსოფიის
 მართადა ნაძნები და ტენდენციები (მთარგმნელის შენიშვნა).



და ბჭეკანსმული სამარხებიდან
 ახო-ნიშნების ანგელოსა ამოდიოდა,
 ამოდიოდა ანბანის სეშტი,
 ვით უძველესი ჭურჭელი ბრთლის,
 რომელიც შობა შესაქმის წყალმა:
 თდეს განისხნა
 იდუმალი გარიბჭე ძაწის
 და უჩვეულო წვეთების მძიყა
 ჩამოასარგა
 სამარის
 ჩრდილში...

იწერებოდა მთავარი სიტყვა.

ყელს იღერებდა ღარნაკი ბრთლის,
 და ხმათა
 წიად
 ილანდებოდა
 იაგუნდის და
 ამარტის
 ბრწყინვა.

იწერებოდა უკვდავი სიტყვა.

ქვას არ გააჩნდა ხიშყარე ჯერაც, —
 იბლანტებოდა თითებში ცვილად,
 ცვილს არ გააჩნდა სიბლანტე ჯერაც, —
 თვალში წვეთავდა წყალწყალა ცრემლად,
 და ღბილი იყო უდაბნოს ღოდოც, —
 ამოზრდილიყო ყვავილის დარად
 და
 დეროებზე
 ჩამოსხმულ
 კვირტებს
 შესაქმის
 ქარი
 არხედ
 წყნარად.

იწერებოდა სიმართლის სიტყვა.

და, — შავი ვეფხვი, — ბრდღვინავდა:
 დამე!
 და ჭრილობიდან ანთხევდა ნათელს
 ვეფხვის ტოტებში გართხმული
 დილა.

იწერებოდა ხანათლის სიტყვა.

და ბაგე აყო სინათლე იგი,
 ბაგე,
 რომელიც ჯერხანად დუმდა,
 და თვალი აყო სინათლე იგი,
 თვალი,
 რომელიც ჯერხანად თვლემდა...



და მხოლოდ ქარა ადახტურებდა,
 ადახტურებდა ნიავის ხუნთქვა,
 რომ ხული უცხო, ცათუმაღლესი, ირეკლებოდა სუფევას სხივში
 და უხილავი ფარდების მადმა
 დაღივლიაყებდა ნათელი მისი...

იწერებოდა პირველი სიტყვა...

□

პარლ პრ(ი)ლო

პოეტური მახსიერების თაობაზე

გერმანულიდან თარგმნა ნაიფა სუციშვილმა

ფრანგი მწერლის ფრანსის პონეს ლექსში „პელაგოსი“ გვხვდება ერთი სტრიქონი, სადაც მეხსიერება „მუზების დედად“ მოიხსენება. მეთოდისტისა და კარტეზიანელი მწერლის პონეს ეს გამოთქმა აქ მოულოდნელად უახლოვდება პლატონისეულ შეხედულებებს მეხსიერების უნარზე და იძენს მისივე ანამნეზის ნიშან-თვისებებს. მეხსიერება თითქოსდა იქცევა უაღრესად სათუთი საქმიანობის სფეროდ, პოეტური შემოქმედების ადგილსამყოფელად. აქედან გამომდინარე, — პოეზიას სჭირდება მეხსიერება, როგორც საყრდენი. მეხსიერება განეკუთვნება პოეტური სულის გენეალოგიას. არის თუ არა მეხსიერება, ბოლოს და ბოლოს, სავანე და ხმა შთაგონებისა? ართმევს თუ არა იგი შთაგონებას ყოველივე შემთხვევითს, წაშორს, განცდებით მოგვრილ იმ წარმტაც მოულოდნელ ძრწოლას, რომელიც, როგორც ეტყობა, შთაგონებას მოსდგამს? თუმცა მეხსიერება, როგორც ლიტერატურული შრომის საყრდენი, ხშირად აძნელებს კიდევ მის სწორ გაგებას. ლიტერატურული მეხსიერება უფრო დიდია, ვიდრე მეხსიერების შედეგი. მაგრამ ის კი უეჭველია, რომ მაკომბინირებელი ფანტაზია — ეს მნიშვნელოვანი დამხმარე ძალა, ლიტერატურული მუშაობის პროცესში მეხსიერებას იშველიებს. იგი იყენებს ადამიანის უნარს ცნობიერების განსაზღვრული შინაარსის მობილიზაციისა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გვეთქვა, რომ წარმოსახვა თავისი მიზნებისათვის ადამიანის ამ უნარის მობილიზაციას ახდენს.

ცნობილია, რამდენად არის დამოკიდებული მოხრობელი, რომანისტი მეხსიერების მოქმედებაზე. დიდი ეპიკა ყოველთვის ივსებოდა მეხსიერების საშუალებით; სხვათა შორის, გარკვეულ ავტორებთან იგი ლამის მეხსიერების უზარმაზარ არსენალად იყო გადაქცეული, ასე ვთქვათ, ლიტერატურულად „ორგანიზებული“ მეხსიერების საწყობად. ლირიკოსის მუშაობა კერძოდ მეხსიერების მხოლოდ გარკვეულ ფორმებს საჭიროებს. ლირიკოსს „ამი მხსნის“ როგორღაც უფრო გამორჩეული, განსაკუთრებულია. მაგრამ ლირიკოსი პოეტი ძნელად თუ იტყოდა უარს იმაზე, რასაც ჩვეულებრივ ობტიკურ და აკუსტიკურ მეხსიერებას უწოდებენ, ანუ რაიმე პროცესის აშკარად გამოხატულ სენსორულ მხარეებზე. ესაა მეხსიერებაში შემონახული ხიბლი გრძნობადი აღქმისა, როგორც თვალის, ყურის, გემოს, შეხების, ყნოსვის სენსაცია, მუდამ რომ თან სდევს მას და მოგონებებს აღუძრავს.

ლექსი ყველა დროში გვაწვდიდა ამდაგვარ მაგალითებს. მას მუდამ ჩვეოდა ელვისებური გარდასახვა მეხსიერების უნარისა, რომელიც მთელ რიგ შემთხვევებში ფიქსაციას განიცდის. ზოგჯერ ასე შესახება, რომ ლექსში უფრო სპონტანურად, ვიდრე სადმე სხვაგან, გვხვდება მოგონება რაიმე ფერზე, რაიმე მოძრაობაზე. პოეტური მეხსიერება იმდენადვე ნაწილობრივია, რამდენადაც ინტენსიური. იგი მოქმედებს პეპლების დამჭერის ყაიდაზე: ქინძისთავზე ნაწილ-ნაწილ წამოაგებს ცალკეულ წვრილმანს, სულ მცირედსაც კი, თვალის დახამხამებაში მომხდარსაც კი. სიზუსტე, რომელიც აქ მიიღწევა, ესაა ფაქიზი სიზუსტე გამადიდებელი შუშისა, მძაფრი, უღმობელი სიზუსტე ლუბისა, რომელიც ყოველ საგანს ცეცხლს უკიდებს და სწევას. ამგვარი მეხსიერება ბევრი რამის მიმართ ბრმა უნდა დარჩეს, სწორედ იმიტომ, რომ იგი მხოლოდ გარკვეული წვრილმანებისთვისაა განკუთვნილი. ასე და ამგვარად, ლირიკოსის მეხსიერება, როგორც არ უნდა იყოს იგი, არამც და არამც არ არის უღარდელი ან სულაც განურჩეველი. იგი წარმოადგენს საკუთრივ სტილიზებულ, შემრჩევ მეხსიერებას. როგორც კი კაცი, რომელიც ლექსებს წერს, მუშაობას შეუდგება, ეს მასტილიზებელი შემრჩევი მეხსიერება უმაღვე ამოქმედდება. ნარგიზებით მოფენილი რამდენი ძდელს უნდა ენახა კაცს, რომ დარწმუნებით შესძლებოდა მოგონება ერთი ნარგიზისა ერთი გარკვეული ლექსის სტრიქონში; რამდენი ფერშეცვლილი ნეკერჩხლის ფოთოლი უნდა ეხილა, რომ ნეკერჩხლის ყავისფერი თათები შემოდგომაზე სიტყვად ქცეულიყო, რამდენჯერ უნდა დაენახა გახურებული ჰაერის სინუსური პრუდები ზაფხულის გადამხმარ მიწის თავზე, ცინცხალი სიცხის კვადრატები გაოფლილი ხეების, ტკაცუნა ფოთლების სამოსელის ქვეშ, რომ მერე ვთქვა „ზაფხული“, ისე როგორც ლირიკოსი „ზამთარს“ იტყოდა მას შემდეგ, რაც მისთანა ცალკეული წვრილმანებისაგან შემდგარ ზამთარს მუშასავეით გამჭვირვალეს გახდიდა და ზამთრისეული ბროლის მთა სულ უფრო და უფრო მაღლა აიზიდებოდა, მის წიაღში კი ამ დროს მდინარეთა გაყინულ სულს ეძინებოდა? პოეტური მეხსიერებისათვის, როდესაც იგი ზამთარს წარმოგვიდგენს, ზოგჯერ საკმარისია მარტოოდენ მოგონება კატაზე, რომელიც მოუარფატე თოვლის ფიფქებს ისე უპირებს დაჭერას, როგორც ჩიტს, ან კიდევ მოგონება ზღაპრისა თეთროსან ბანოვანზე, ფანჯარასთან რომ დგას, რომლის მიღმა ვიღაც ჩასაფრებულა სანათურით.

დაე, მაგალითებმა ცხადჰყონ ამგვარად ორგანიზებული მეხსიერების

გრძნობისუნარიანობა, მისი უტყუარი ათვისების უნარი; პოეტის ხატოვანი, მეტაფორებით მომუშავე მეხსიერება წარმოსახვის ძალის მეშვეობით კიდევ უფრო მძლავრი და ქმედითი ხდება.

ეს დამატებითი უნარი ამავე დროს, როგორც ჩანს, საოცარად შექმნევის პროცესსაც ავითარებს. მას ძალაც შესწევს და უფლებაც აქვს შექმნას ალდგენილ სურათსა ან საგანში აღმოაჩინოს და გამოიყენოს წარმოსახული ნიშან-თვისებები და მეხსიერებაში აღბეჭდილი წამის რეალური ღირებულება მისთვის განკუთვნილ, სხვა, ლიტერატურულ სინამდვილეში გადაიტანოს. ამ მგრძნობიარე გადაადგილებას სათანადო გარემოში უზრუნველყოფს ფანტაზიის სიფხიზლე, რომელიც ღირიკოსს ერთთავად მომარჯვებული აქვს. ეს სწორედ სულიერი ძალების ის დამაბეზა გახლავთ, რომელიც გვაძლავს, რომ პოეტური მეხსიერება, სხვათა შორის, ამავე დროს გაწვრთნილი მეხსიერებაც უნდა იყოს და ცნობიერების შინაარსს ის ფორმა მიანიჭოს, მის პოეტურ გამოყენებას რომ საერთოდ შესაძლებელს გახდის.

მივუბრუნდეთ ისევ ლიტერატურის გარემოს: ჩვენ ვიცით, თუ რაოდენ დასაფასებელია დღიურის ჩანაწერები, როგორც არა მარტო ლიტერატურული მეხსიერების საყრდენი. დღიურში ჩანიშნული ლექსზე მეტად გამოხატავს და ნიშანდობლივს ხდის უაღრესი თავისებურებით აღბეჭდილ მეხსიერების უნარს. იგი წარმოადგენს უბრალო და ამასთან საუცხოო გამოხატვის ფორმას ყველა იმისათვის, ვისაც არა მარტო რაიმეზე დაფიქრება და ანგარიშის ჩაბარება სწადია, ვინც ისურვებდა თავის მეხსიერებასაც დახსარებოდა, ვინც შიშადაინებდა ქალაქზე გადაეტანა თავისი დღეები და ღამეები. ამგვარი გავებით დღიური, ისევე როგორც წერილი, არის უბადლო ადამიანური საბუთი. იგი წარმოადგენს წლების განმავლობაში, გარკვეულ პირობებში კი — მთელი სიცოცხლის მანძილზე — აღწესხვას ადამიანის მიერ გავლებული კვალისა.

დღიური არის ყველაზე უფრო უხმაურო კრიტიკული მიდგომა ყაბთა დინებისადმი და ამის მეოხებით აგრეთვე ერთგვარი საშუალება დავიწყების წინააღმდეგ. ეს ცდაა იმისა, რომ ჩანაწერის მეშვეობით შეჩერებულ იქნას დროისა და მეხსიერების მდინარეება. აღნიშნავს და ქალაქზე აჯაჭვებს რა ფაქტებს და ოცნებებს, რეალიების უხეშ თვალსაჩინოებას, იმედისა და შიშის ხლართებს, თეოლოგიურ თუ ფიზიკურ ცთუნებებს, ადამიანი ისევ და ისევ და ისევ ახდენს ფიქსაციას, გადმოცემას წამიერი მდგომარეობისა, გუნებაგანწყობისა, მუშაობს საკუთარ მეზე, ყოველ შემთხვევაში იგი ამგვარად ქმედითობას ინარჩუნებს, უფიქრდება თავის ინტელექტუალურ, გრძნობად ან ფიზიკურ კონსტიტუციას.

დღიურში ლიტერატურული მეხსიერების უკან დგას ის ადამიანური მეხსიერება, რომელსაც სწადია შემოინახოს თითოეულის ცნობა თითოეულზე. იგი გადაგვიშლის ყოველივე იმის რუკას, რაც ერთ გარკვეულ ადამიანს ერთ გარკვეულ წამსა თუ წუთს აღბეჭდვის ღირსად მიუჩნევია: გეოგრაფიულ რუკას უმაღ უთვალავი წვრილმანისა, ამოსუნთქვისა, მაჯისცემისა, ვიდრე იმ მნიშვნელოვანი ამბებისა, რომლებიც სხვაგან აღინუსხებიან — საუკუნის მეხსიერებაში, ისტორიის უწყალო მახსოვრობაში. მის პირისპირ მდგომი პიროვნება თავისი თავისებურებებით და საზღვრებით — როგორიც არ უნდა იყოს მისი მიმართება გარემომცველ სამყაროსთან, ეპოქასთან — თითქმის არაისტორიისმიერ, ანონიმურ არსებად რჩება. მაგრამ დღიურის ლიტერატურული მეხ-

სიერება სწორედ იქითაქენაა მიმართული, რომ ამგვარ ანონიმს, ზოგჯერ უდიდეს ინდივიდუალობას რომ აღწევს, დაეხმაროს მისი უფლებების მორბევებაში, დაეხმაროს მოგონებაში. მაინც რა განსაზღვრავს მეხსიერებას? არ არსებობს მეხსიერების რაიმე კანონი, როგორც ცნობილიც არ უნდა იყოს მეხსიერების გარკვეული მიმართებები, გარკვეული ჩვევები. ისევე როგორც ცნობილია ერთი ყვავილი ვყოფა უთვალავ ყვავილოვან მდელოთაგან თავისი ლექსისათვის, ასევე დღიურული მეხსიერებისათვის მოგონების ღირებულება გამომდინარეობს გადმოცემული მოზაიკიდან, წამთა გაეღვებიდან. მარსელ პრუსტის პროზის ხელოვნება, რომელიც მან დაგვიტოვა მეხსიერების ხელოვნების უდიდეს ნიმუშში — „დაკარგული დროის ძიება“ — სპეციფიური მეხსიერების უნარის ანოქმედების თვალსაზრისით უახლოვდება წერილმანების გადარჩენის ცდას; ესაა მეხსიერება, რომლის სათავეა მოგონებით გაცოცხლებული განსაზღვრული პაწაწინა მოქმედებები: „დაკარგული დროის ძიებაში“ არაერთი ადგილი ეძღვნება ლიტერატურული მეხსიერების აღწერას. ერთ ასეთ დამახასიათებელ აღწერას ვპოულობთ, მაგალითად, „გვერმანტეს მხარის“ დასაწყისში, სადაც ნათქვამია:

„ზოგჯერ განვლილი წლების რაიმე შთაბეჭდილება, — მსგავსად იმ ფონოგრაფებისა, რომლებიც ახდენს სხვადასხვა ხელოვანთა ტემბრისა და სტილის აღნუსხვას — ჩვენს მეხსიერებას ანიჭებს იმის უნარს, ვისმე სახელი იმ განსაკუთრებული ელვრადობით მოგვასმენინოს, როგორც ოდესღაც ჩვენს ყურს აღუქვამს. და თუნდაც ეს სახელი არ შეცვლილიყოს, ჩვენ მაინც ვგრძნობთ სხვაობას, მანძილს, ერთმანეთისგან რომ ამორებს ცვალებად ოცნებებს, რითაც ამ იგივედ დარჩენილ მარცვლებს ვავსებდით ხოლმე. ჩვენ ერთი წამით ძალგვიძს გასულ გაზაფხულზე მოსმენილ ფრინველთა ხმებით — როგორც საღებავების პატარა ტუბებიდან — აუხსნელი სიზუსტით აღვადგინოთ მივიწყებული ცოცხალი ელფერი იმ დღეებისა, რომელთა მოგონებას, როგორც გვეგონა, ყოველთვის შევძლებდით. და მაინც, უხეირო მხატვრისა არ იყოს — მთელ ჩვენს განვლილ, დიდ ტილოზე გადაშლილ ცხოვრებას ვანიჭებთ თავნება მეხსიერების მუდამ ერთსა და იმავე ჩვეულ ელფერს. და ყოველი წამი, რომლისგანაც იგი შედგება, მაინც იქცევა იმდროინდელ, დღეს კი ჩვენთვის უკვე უცხო ფერთა პარმონიის ორიგინალურ ქმნილებად, როდესაც ოცნებით განვლილს დავტრიალებთ, რათა კვლავ დაეუბრუნდეთ წარსულს და ვცდილობთ შევანელოთ, შევწყვიტოთ მოძრაობა, რომელიც წინ მიგვაქანებს. მაშინ ვხედავთ, თუ როგორ ამოტივტივდებიან ხოლმე თანდათანობით, რიგრიგობით, მაგრამ ყოველთვის ერთმანეთისგან გამოყოფილად, ფერთა სხვადასხვა ელფერი, რომლებსაც ჩვენი არსებობის მანძილზე ერთი და იგივე სახელი ერთმანეთის მიყოლებით გვთავაზობდა“.

ეს ნათქვამია სახელწოდება გვერმანტეს შესახებ, მაგრამ, სცილდება რა მის ფარგლებს, ეს ეხება აგრეთვე პრინციპულად იმ უცნაურად ინუანსირებული მეხსიერების მუშაობას, რომელსაც მე ლიტერატურული მეხსიერება ვუწოდებ და რომლის ამოკითხვა ლიტერატურაში პრუსტზე უფრო ნაკლებად სახელგანთქმულ მაგალითებზედაც იმდენ ხანს იქნება შესაძლებელი, რამდენ ხანსაც იარსებებს საერთოდ ლიტერატურული მოღვაწეობა.

თეოდორ ვ. ადორნო



მთხრობელის პოზიცია თანამედროვე რომანში

გერმანულიდან თარგმნა ნანა ბობოლაშვილმა

რენი მიზანი — რაც შეიძლება მოკლედ აღწეროთ, რას წარმოადგენს რომანის ფორმა თანამედროვე ეტაპზე, გვაიძულებს საგულდაგულოდ ერთი მომენტი გამოვყოთ. თუმცა შეიძლება ეს ცოტა ძალდატანებადაც მოგვეჩვენოს: ეგულისხმობს მთხრობელის პოზიციას. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს პოზიცია დღესდღეობით ძალზე პარადოქსულია. თხრობა აღარ შეიძლება, მაშინ როცა თავად რომანის ფორმა თხრობას გულისხმობს. რომანი ბურჟუაზიული ეპოქის დამახასიათებელ ლიტერატურულ ჟანრს წარმოადგენს. მისი დასაბამი „დონ-კიხოტის“ სიბლწემოცლილ სამყაროში უნდა ვეძიოთ, როცა ყოფიერების მხატვრულ კალაპოტში მოქცევა ამ ჟანრის სტიქიად იქცა. რეალიზმი იმთავითვე იყო მისი შინაგანი თვისება. თვით ფანტასტიკურ რომანებშიც კი მწერალი ცდილობდა შინაარსი ისე მიეტანა მკითხველამდე, მასში სინამდვილეს შეგრძნება გამოეწვია. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში და ახლაც, უკიდურესად სწრაფი განვითარების ეპოქაშიც, ამ მეთოდის მართებულობის საკითხი ეჭვგეშ დადგა სწორედ მთხრობელის სუბიექტივიზმის წყალობით, რომელიც ვეღარ ეგუება სახეობრივ მატერიალურობას და ამით უთხრის ძირს საგნობრიობის ეპიკურ მცნებას. ვინც დღეს, ეთქვას, შტიფტერაციით კვლავ მთინდომება ჩააწვდეს საგნობრიობის არსს და შეეცდება მკითხველზე ხილული სინამდვილის სისავსისა და პლასტიკის მეშვეობით მოახდინოს შემოქმედება, იძულებული გახდება ზელოცნურ იმიტაციას დასჯერდეს. მწერალი უთუოდ აიყალბის მსახური გახდება, თუკი სამყაროს წყდობას ისეთი სიყვარულით მთინდომებს, რომლის აუცილებელი წინამძღვარიც სამყაროს აზრიანობის აღიარება იქნება; საბოლოოდ კი მივიღებთ ფსევდო-პატრიოტული ლიტერატურის თარგზე მოჭრილ საშინელ კიჩს.

როცა რომანზე ვმსჯელობთ, არანაკლებ სიძნელეებს ვაწყდებით ობიექტის შერჩევის თვალსაზრისითაც. ცნობილია, რომ ფოტოგრაფიამ ფერწერის არა ერთი და ორი ტრადიციული ფუნქცია მიისაკუთრა, სწორედ ასევე ბევრ რამეს დაესუსტებს რომანს რეპორტაჟი და კულტურის ინდუსტრიის მედიუმები¹, განსაკუთრებით კი კინემატოგრაფი. ახლა რომანმა მთელი ყურადღება იმაზე უნდა გადაიტანოს, რაც დოკუმენტურ თხრობას არ ექვემდებარება. რომანი საგნობრიობისაგან განთავისუფლებას ცდილობს, მაგრამ ფერწერისაგან განსხვავებით მას გარკვეული სიძნელეები ელოდება წინ ენის გამო. სწორედ ეს აიძულებს მას, თხრობის ფიქციას მიმართოს. ამიტომაც იყო, რომ ჯოისმა რეალიზმის² წინააღმდეგ რომანის ამბობი განსჯის ფორმაში მოქცეულ ენის წინააღმდეგ ბრძოლისთან დააკავშირა. და, რა თქმა უნდა, ზენის მხრივ არც თუ მთლად გონივრული იქნებოდა, ჯოისმა ეს ცდა მხოლოდ უნიკალად, ინდივიდუალიტურ თვითნებობად ჩაგვეთვალა. რომანი განთავისუფლდა ემპირიული გამოცდილების იდენტურობისაგან, ასევე წარსულს ჩამარდა მასში აღწერილი ამბების შინაგანი უწყვეტელობა და მოწესრიგებულობა, ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაც მთხრობელს საშუალებას აძლევდა განსახიერებულისადმი თავისი დამოკიდებულება გამოეხატა. ახლა საჭიროა აღამაინა მხოლოდ იცოდეს, რომ შეუძლებელია თმგადახდილმა ამ ომზე ისე მოგვიხროს, როგორც თავის რომელიმე აღრინდელ თავგადსავალს გვიამბობდა. ამიტომაც მკითხველი სამართლიანად იჩენს შეუწყნარებლობასა და უხდობლობას ისეთი ნაწარმოებისადმი, სადაც ჩახს მთხრობელის ბრეტენბია: ასეთი თხრობის უნარი შემწევსო. წარსულს

¹ იგულისხმება რადიო, ტელევიზია და ინფორმაციის სხვა საშუალებები.
² აქ ემპირიული, ყოფითი რეალიზმი აქვს ავტორს მხედველობაში.

ჩაბარდა დრო, როცა ამბობდნენ: „საინტერესო წიგნს ჩაუჭეჭი წასაკითხადო“. ხოლო ამის მოზეზი მარტო მეითხველის დეკონცენტრაცია როდია, აქ წვლილი გადმოცემულ მასალასა და მის ფორმასაც მიუძღვის.

თავად თბრობის ფაქტი ხომ უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ მწერალს რაღაც განსაკუთრებულის თქმა სწადია. სწორედ ამას ცდილობს შეუშალოს ხელს მწერალს მისი სინამდვილეში, სტანდარტიზაციამ და თანამედროვე ყოფის უცვლელმა მხატვრულმა სინაარსობრივად ნებისმიერ იდეოლოგიურ გამოხატვას წინ უსწრებს მთხრობელის იდეოლოგიური მოთხოვნა. ამ მოთხოვნით იგი ცდილობს დაგვარწმუნოს, თითქოს საგანთა სამყარო ინდივიდუალის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს. თითქოს ინდივიდუალში თავისი მიზნებითა და განცდებით დამლუბველი ბედისწერისავენი მიისწრაფვის და პიროვნების შინაგან სამყაროს კიდევ გააჩნია რაღაც ძალა: საყოველთაოდ გაკრეფილებული ბიოგრაფიულ-ბუნებრივი ლიტერატურა რომანის ქანრის დაშლის შედეგს წარმოადგენს.

ლიტერატურული საგნობრიობის კრიზისი ფსიქოლოგიის სფეროსაც მოიცავს, სადაც სწორედ ბუნებრივი ლიტერატურის „ქმნილებები“ თავს თუმცაღა შინაურულად, მაგრამ არცთუ მაინცდამაინც ბედნიერად გრძნობენ. ფსიქოლოგიურ რომანსაც პირდაპირ ცხვირწინ აცლიან თავის ობიექტს. სამართლიანად აღნიშნავენ: იმ დროს, როცა ქურნალისტები გაუთავებლად ასხამდნენ სოტბა-დიდებან დოსტოევსკის ფსიქოლოგიურ მიღწევებს, აღმოჩნდა, რომ მეცნიერებამ, განსაკუთრებით კი ფროიდის ფსიქოანალიზმა კარგა ხანია უკან ჩამოიტოვა ეს მონაპოვარი. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ დოსტოევსკის უახრო ქება არაერთხელ მიზანს არ ემსახურებოდა. თუკი მისი რომანების ფსიქოლოგიაზე საერთოდ შეიძლება ლაპარაკი, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათში ჩანს არა ემპირიული, ცალკეული ადამიანების ფსიქოლოგია, ადამიანებისა, ჩვენს გარშემო რომ ცხოვრობენ, არამედ არსების ფსიქოლოგია, არაცდისმიერი და შემეცნებითი; და სწორედ აქაა დოსტოევსკის ძალა.

ის, რაც რომანში შინაგანი ცხოვრების ფაქტობრივ მხარეს წარმოადგენდა, რაც კი რამ ბოზიტივისტური და ხელშესახები იყო, ყველაფერი მეცნიერებისა და ინფორმაციის სფერომ დაისაკუთრა. სწორედ ამის გამო რომანი იძულებულია შემოიხამოთვლილის ასახვას თავი ანებოს და არსების განსახიერებას შეუდგეს. რაც უფრო მკიდროდ და უხარვეზოდ მოიკრავს პირს საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესისა ზედაპირი, მით უფრო პერმეტულად ფარავს იგი არსებას. თუკი რომანს სურს თავისი რეალისტური მემკვიდრეობის ერთგული დარჩენს და სინამდვილე განსახიეროს, მან უნდა უარყოს ის რეალიზმი, რომელიც უსაადს აღადგენს და აზრის გაყალბებას უწყობს ხელს.

ინდივიდუუმებს შორის არსებულ ყოველგვარ ურთიერთობათა განივთება, მათ ადამიანურ თვისებებს საპირს ზეთად რომ აქცევს, რათა სახელმწიფო მანქანამ შეუფერხებლად იმუშაოს, უნივერსალური გაუცხოება და თვითგაუცხოება, — აი, რას სჭირდება მხატვრული გამოსახვა. ამის განხორციელება კი ხელოვნების ვერც ერთი სხვა დარგი ვერ შესძლებს; ეს რომანის მოწოდებაა!

უკვე კარგა ხანია, მე-18 საუკუნიდან, ფილდინგის „ტომ ჯონსიდან“ მოყოლებული, რომანის ასახვის საგანს ცოცხალ ადამიანებსა და მათ გაქვავებულ ურთიერთობებს შორის კონფლიქტი წარმოადგენს. გაუცხოება ამ დროს რომანისთვის ესთეტიკურ საშუალებადიც კი იქცევა, რამეთუ, რაც უფრო გაუცხოვლებიან ადამიანები, — ცალკეული პიროვნებები თუ მთელი კოლექტივები, მით უფრო გამოუცხოები და გაუგებარნი ხდებიან ისინი ერთმანეთისათვის. რომანი ცდილობს გაშიფროს გარეგნული ცხოვრება, მაგრამ არსის წვედომისავენი სწრაფვაში გადადის, რაც გაორმაგებულად წარმოგვიადგება პირობითობის ჩარჩოებში მოქცეულ, ადამიანისათვის უსოდენ ნაცნობ უცხოობაში.

ახალი რომანის ანტირეალისტურ ხასიათს, მის მეტაფიზიკურ განზომილებას თავად მიიღვე რეალური საგანი, — საზოგადოება განსაზღვრავს, სადაც ადამიანები ერთმანეთისაგანაც გათიშული არიან და საკუთარი თავისაგანაც. ესთეტიკურ ტრანსცენდენციაში ხიბლშემოცლილი სამყარო აისახება. ყოველივე ეს ძნელად ირეკლება რომანისტის ცხოვრებაში. არსებობს საფუძველი ვაფიქროთ, რომ, როცა იგი ნაწარმოებებში თავს იჩენს (როგორც ეს პერმან ბროხის მკვეთრად მიზანდასახულ რომანებში ხდება), ეს მხატვრულ გამოსახვაზე სისიკეთოდ არ მოქმედებს. პირიქით, ფორმის ისტორიული ცვლილებებისადმი ავტორები განსაკუთრებულ მგრძნობელობას იჩენენ, არსებითად ეს სწყვეტა მათი რანგობრიობის საკითხი, იმას, თუ რამდენად ასრულებენ ისინი მოთხოვნილისა და აკრძალულის კრიტერიუმის როლს.

მთხრობელის ტრადიციული ფორმის მიმართ მარსელ პრუსტისთანა მგრძნობიარობა არა-

ვის გამოუჩენია. მისი შემოქმედება გარკვეულად აგრძელებს რეალისტური და თანამედროვე გერმანიის ტრადიციას, მაგრამ მის ხაზს რომანის უკიდურეს, სუბიექტივისტურ დაშლამდე მიყვავართ. ეს ხაზი შემდეგ ისეთ ნაწარმოებებს გაუყვება, როგორცაა იაკობსონის „ნილოს ლინე“ და რილკეს „მალტე ლაურიდს ბრიგე“, ისე რომ მას მარსელ პრუსტთან მსგავსი ისტორიული კავშირი აღარა აქვს. რაც უფრო მეტად ცდილობენ დაიცვან გარეგნული, „ეს ასე მოხდა“-ს რეალიზმი, მით უფრო მეტად იქცევა ყოველი სიტყვა მოჩვენებით „ვითამ ასე მოხდა“-დ, მით უფრო იზრდება წინააღმდეგობა გარეგნული რეალიზმის მოთხოვნასა და იმას შორის, რომ „ეს ასე არ მოხდა“.

სწორედ ის მუდმივი მოთხოვნა უნდა განიხილოს, ავტორი აუცილებლად რომ წამოაყენებს. ეაა მოთხოვნა იმისა, რომ მან ჩუსტად იცის თუ „როგორ მოხდა ეს ყველაფერი“. პრუსტის უჩვეულო სიზუსტე, მისი დახვეწილი ტექნიკა, რომლის მეოხებითაც ცოცხალი მთლიანობა ბოლოს და ბოლოს ატომებად იშლება, ესაუტიკური ცნობიერების ერთადერთ სწრაფვას შეადგენს, სწრაფვას ისე განახორციელოს ავტორის ყოველმცოდნეობის მოთხოვნის განდევნა, რომ არ დაარღვიოს ფორმის კანონები.

პრუსტი ვერანაირად ვერ შესძლებდა ისე გადმოეცა არარეალური, თითქოს ეს ნამდვილად მოხდა. ამიტომ იწყება მისი ციკლური ნაწარმოები მოგონებით, როგორ ჩაეძინა ბავშვს, მერე მთელი პირველი წიგნი წარმოადგენს გაძნელებული ჩაძინების აღწერას, რის მიზეზიც იყო ის, რომ ბიჭს მისმა ლამაზმა დედიკომ ძილის წინ არ აკოცა. მთხრობელი თითქოსდა შინაგან სივრცეს ქმნის, რაც მას თავიდან აცილებს უცხო სამყაროში ფეხის შეღგმას, და თუ ეს მოხდა, ამას ყალბი ტონი გამოამყვანებს, რომელიც ამ უცხო სამყაროზე მიანაშენებს. ამ შინაგან სივრცეში სრულიად შეუქმნებლად ხდება გარე სამყაროს შეყვანა, — ამ ტექნიკას monologue intérieur¹ უწოდეს; რაც კი გარეგნულად გათამაშდება, ყველაფერი ისე ხდება, როგორც ეს ნაწარმოების პირველ გვერდზე. ბავშვის ჩაძინების წუთებშია აღწერილი. ამ ყველაფერი წარმოდგენილია, როგორც შინაგანის მეორედი ნაწილი. „ცნობიერებას ნაკადის“ ერთი მომენტი, რომელიც გათავისუფლებულია დროულ-სივრცული წესრიგისაგან. სწორედ ამ წესრიგისაგან განთავისუფლებას ისახავს მიზნად პრუსტის შემოქმედება.

სულ სხვა წინამძღვრების საფუძველზე და სხვა აზრით, მაგრამ ამგვარსავე ეფექტებზე იღებს გერმანული ექსპრესიონისტული რომანი. მაგალითისათვის დაეასახელოთ ვუსტავ ზაკის „ბედოვლათა სტუდენტი“. ეპიკური სწრაფვია მიზანი, გააუქმოს საგნობრივი და გამოსაბოს მხოლოდ ის, რაც ცნობიერების სფეროში ძევს, ეს კი ბოლოს და ბოლოს აუქმებს საგნობრიობის ძირითად ეპიკურ კატეგორიას.

ტრადიციული რომანი, რომლის იდეაც ყველაზე თვალნათლივ ალბათ ფლობერი, რომანებში ისახია, შეიძლება ბიურგერული თეატრის სცენას შევადაროთ. ამ თეატრის ტექნიკა ილუზიის ტექნიკა იყო. მთხრობელი ფარდას სწევს; მკითხველი ამბავთა მსვლელობაში ისე შედის, თითქოს თავად იყოს მათი უშუალო მონაწილე. მწერლის სუბიექტური ძალა ამ ილუზიის შექმნის უნარსა და ენის სიწმინდეში (ფლობერთან) ვლინდება, რაც მას ვასუ-ლიერების მეშვეობით ემპირიულ სფეროს განარიდებს, მაგრამ ამავე დროს ემპირიული სფერო ეპიკურის სტიკია უნდა იყოს. მძიმე ტაბუ ადევს რეფლექსიას, ვანსჯას: საგნობრივი სიწმინდისათვის ბრძოლაში იგი მომავდინებელ ცოდვად იცევა. განსახიერებულის ფიქტიურობა იღეს ამ ტაბუსაც უკარგავს ძალას. ხშირად აღვნიშნავთ, რომ რეფლექსია არღვევს წმინდა ფორმის იმანენტურობას არა მარტო პრუსტის შემოქმედებაში, არამედ ჟიდის „ყალბი ფულის მეფობებშიც“, თომას მანის მოგვიანო რომანებშიც, მეზილის „უთვისებო კაცშიც“. მაგრამ ასეთ რეფლექსიას წინაფლობერული მწერლების რეფლექსიიდან მხოლოდ სახელიდა იყო შემორჩა. აღრე რეფლექსია მორალისტური იყო, მხარს უჭერდა რომანის გმირებს ანდა ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ, ახლა რეფლექსია ბრძოლას უცხადებს გამოსახვის სიყალბეს, თავად მთხრობელს, რომელიც, ვითარცა აახული ამბების ფხიზელი შემთხსებელი, თავისი მეორეოდენი აუცილებელი დანართის შესწორებასაც კი ცდილობს. ახალი რეფლექსიის მიზანს სწორედ ფორმის დაშლა შეადგენს. თომას მანის მედიუმს, იდეალს, საგნობრივ-შინაარსულ დაციხვასე დაუყვანელ ირონიას მისი ფორმათმაწარმოებელი ფუნქციის თვალსაჩინო-სიო მხოლოდ დღესდღეობით შეიძლება ჩაეწვდეთ. ირონიული, გესტუსიო, რითაც საკუთარ გამონათქვამს უარყოფს, ავტორი, თავისუფლდება მოთხოვისაგან, თითქოს ხამდვილს ქმნი-დეს, თითქოს ალაღბუდზე არც ერთ სიტყვას არ დაიცდენს. ეს ყველაზე აშკარად ჩანს

1 შინაგანი მონოლოგი.

თომას მანის შემოქმედების მოგვიანო პერიოდის ნაწარმოებებში: „ჩვეულებრივი“ და „მეტყულებული“. მწერალი რომანტიკული მომენტებია გათამაშებით, უნის იერსახის საშუალებით მხრობის ტრადიციულ სტენაჟთან მსგავსებას, ილუზიის პარანუალურობაა აღიარებს. როგორც თავად ამბობს, იგი სწორედ ამით უბრუნება ხელოვნების ნაწარმოებს „ტრადიციულ“ მხრობის ბუნებას, რაც მას გააჩნდა, ვიდრე ხელოვნების ნაწარმოები „მხრობის“ მხრობით ჯერ კიდევ კატეგორიულად არ გეთავაზობდა ფიქციას, როგორც ნამდვილს, რეალურს.

პრუსტის რომანებში კომენტარი ისეა შერწყმული მოქმედებასთან, რომ მათ შორის ზღვარი ქრება. აქ მთხრობელი მკითხველთან მიმართების ტრადიციულ პოზიციას უტევს: სახელდობრ, ესთეტიკურ დისტანციას მთხრობელსა და მკითხველს შორის. ტრადიციულ რომანში დისტანცია მტკიცე და სტაბილური იყო, ახლა იგი ისე იცვლება, როგორც ფილმის პლანები: მკითხველი ხან მის მიღმა რჩება, ხან კომენტარის მეშვეობით სტენაჟე გადის, ზოგჯერ კულსებში ან მექანიკურ სამქროშიც აღმოჩნდება.

უკიდურესობის მაგალითს წარმოადგენს კაფკას მეთოდი, რომლის მეშვეობითაც თანამედროვე რომანზე გაცალებით მეტს ვაიგებთ, ვიდრე „ტიპური“ საშუალო ლიტერატურული ვითარებით. აქ დისტანცია საბოლოოდ გაუქმებულია. შოკის საშუალებით კაფკა მკითხველს საფსებო უსპობს მჭვრეტელობითი უსაფრთხოების გრძნობას წაყიანულის წინაშე. მისი რომანები, თუკი მათ საერთოდ შეიძლება რომანები ვუწოდოთ, წარმოადგენენ წინასწარმეტყველურ პასუხს სამყაროს მდგომარეობაზე, სადაც მჭვრეტელობითი პოზიცია შემზარავ დაციენას შეუცვლია, რადგან კატატროფის მუდმივი შიში არაფის აძლევს გულგრილი მჭვრეტის, მერე კი ამ განჭვრეტელის ესთეტიკური ასახვის უფლებას.

საერთო მეორეხარისხოვანი მთხრობელებიც, რომლებიც არც ერთ სიტყვას ისე არ დაწერენ, თუ მას ვმპირიული ფაქტების გადმოცემის პრეტენზია არ დააკისრება, თავისდაუნებურად აუქმებენ დისტანციას. მათ რომანებში შედგენდება სისტემები, რომელიც ერთობ ისთმატურია, რომ თავისივე ესთეტიკური გამოთხება აიტანოს. ამ სისტემის წყალობით ვეღარ იქმნება ადამიანთა სახეები, რომელთა გამოყენაც რომანში შესაძლებელი იქნებოდა: საბავიეროდ ავანგარდისტთა რომანებში, რომელთა მასალაც არ არის ამ სისტემისაგან დაზღვეული, დისტანციის მოშლა თავად ფორმის მოთხოვნადაა ქცეული. ეს გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი საშუალება იმისათვის, რომ გაირღვეს წინა პლანის კავშირი და გამოხატულ იქნეს შიშ მიღმა მოქცეული პოზიტიურის ნეგატიურობა.

წარმოსახულის გამოხატვა, რომელიც რეალურს გამოეყო, იეცილებელი არ არის ისე მოხდეს, როგორც ეს კაფკას ნაწარმოებებშია. უნიკალური კაფკა ნიშნად არ გამოდგება. მაგრამ საერთო ჯამში განსხვავება რეალურსა და image-ს შორის მოსპობილია. ეპოქის დიდ რომანისტებს ისა აქვთ საერთო, რომ რომანის ძველმა მოთხოვნამ „ასე არის ეს“ საბოლოოდ ისტორიული პროტოტიპების გაქრობა გამოაწვია. ასეა ეს პრუსტის უნებლიე მოგონებებში, კაფკას პარაბოლებში და ჯოისის ეპიკურ კრიპტოგრამებში. მხატვრული სუბაექტი, რომელიც უარს აცხადებს საგნობრივი გამოსახვის ტრადიციებზე, ამივე დროს საკუთარ უძღურებასა და სამყაროს ძლევაძოსილებას აღიარებს, რაც მონოლოგებში მაინც იჩენს ზოლიე თავს. ასე იქმნება მეორე ენა, პირველის ნარჩენებისაგან გაწმენდილი, დაშლილი ასოციაციური საგნების ენა, რომელიც არა მარტო რომანისტის მონოლოგში ამოიჩრდება, არამედ პირველი ენის მიმართ შრავალ გაუცხოებულთა ნაწარმოებშიც.

ჯერ კიდევ ამ თრმოცი წლის წინათ ლუკაჩმა „რომანის თეორიაში“ დასვა საკითხი იმის თაობაზე, რას წარმოადგენენ დოსტოევსკის რომანები? განმდგებოდნენ ისინი მონათლ ეპიკურ ნაწარმოებთა საშენ მასალად თუ უკვე იმთავითვე შეიძლებაოდა მათი მიჩნევა მომიკლის ეპიკურ ნაწარმოებებად. უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით რამდენადმე ღირებული რომანები ნეგატიურ ეპოპეებს წააგვიანას. ამ რომანებში თავისუფალი, ბორკილსაყრილი სუბიექტიურობა მიზიდულობის კანონის თანახმად თავის საწინააღმდეგო მოკლენაში გადადის. ისინი იმ ვითარების დადასტურებას წარმოადგენენ, როცა ინდივიდუალში საკუთარ თავს აუქმება, ხოლო ეს ვითარება წინაინდივიდუალურ ვითარებას თანხვდება, ოდესღაც თავდებად რომ უდგებოდა აზრით გამსჭვალულ სამყაროს. მთელ თანამედროვე ხელოვნებასთან ერთად ეს ეპოპეები მეტად ორჭოფულ მდგომარეობაში იმყოფებიან. გაურკვეველია, არის მათზე რაიმე დამოკიდებელი და შეუძლიათ თუ არა ყოველივე ზემოთქმულის წინააღმდეგ რაღაც მოინოტყედონ? არც ის უწყიან, რას წარმოადგენს ისტორიული ტენდენცია, რომელსაც ისინი

1 სიმბოლური ხასიათის წარმოდგენითი სურათი.

აღსრულებულა. საითკენ მიექანება იგი, უკან — ველურობისაკენ თუ ავანტიურის გამოვლენას ვსწრავდით? თუკი, უნდა ითქვას, რომ ამ ველურობაში თავს ერთობ მუდურად გრძნობს.

არ არსებობს თანამედროვე ხელოვნების არც ერთი დარგი, რომელიც უნდა დატოვებულა. ლეხა გაჩნდეს და ამასთან დისობანაები და „ალუიარახსნილობა“ სიახვეწებზე უკეთესად მაგრამ ხელოვნების ეს ნაწარმოებები, რომლებიც შექმნილხან უკომპრომისოდ განსახიერებენ და დაცვივები წყალობით განცდილ ბედნიერებას ასეთი გამოსახვის სიწმინდეს უკავშირებენ, თავისუფლებას ემსახურებიან. საშუალო პროდუქცია უარყოფს ყოველივე ამას, რადგან იგი არ გამოხატავს ლიბერალური ეპოქის ინდივიდუულის ე. წ. თავგადასავალს. მისი პროდუქტები ცდილობენ დასძლიონ ანგაიერებული ხელოვნებისა და „წმინდა ხელოვნების“ წინააღმდეგობები, დადგენენ ტენდენციური ხელოვნების ვულგარობასა და ესთეტიზმის ხელოვნების აბერწეს შორის არსებულ ალტერნატივაზე მალლა. ერთხელ კარლ კრაუსმა თქვა: რაც ჩემს ნაწარმოებებში სიახლსორცეულ, არაესთეტიურ სინამდვილედ გვესახება, მხოლოდ ენის კანონების წყალობით, მაშასადამე, „წმინდა ხელოვნების“ მეშვეობით შევექმენით.

დღესდღეობით რომანში გაუქმებულია ესთეტიური დისტანცია, რაც იმას ნიშნავს, რომ რომანში ფარ-ხმალთ დაყარა ძღვეამოსილი სინამდვილის წინაშე, რომლის გარდაქმნაც ჯერჯერობით მხოლოდ რეალურად შესაძლებელი და არა მხატვრული სახეების მეშვეობით. ყველაფერი ეს კი იმან მოითხოვს, რისგან თავის დაღწევასაც თავად ფორმა ღამობს.



კალტერ იენსი

მორალისტის კორტრეტი — ალბერტ აინშტაინი

გერმანულიდან თარგმნა ნანა ბოგოლავილიძე

თხუთმეტი წლის ბიჭი იყო, სკოლა რომ მიატოვა, მასპორტი ჩააბარა და სამგზას ხელმოკლე დარჩა.

ორმოცდაათობიწმეტი წლისა საკუთარ თავს ეკითხებოდა: განა ცული იქნება, ახალგაზრდა მეცნიერებს შექმურებზე რომ დავედოთ ბიხა; იქ ისინი თავიანთ მათემატიკურ პრობლემებს ისე გადაჭრიან, ამიაათვის დიდი ფიზიკური და სულიერი ძალებია დახარჯვა არ მოუხდებათო.

სამოცდაათობიწმეტი წლისამ კი აი, რა დაწერა: „ბუნებისმეტყველო კაცისთვის არსებობს მხოლოდ ყოფიერება, მაგრამ მიაათვის უცხოა სურვება და ღირებულების დადგენა, ბოროტი და კეთილი, და, რაც მთავარია, შიხანი“.

რადაც არ უნდა დასჯდომიდა, სურდა დამოუკიდებელი ყოფილიყო. არც ერთი ქვეყნის ემეშვევრობობა არ სურდა, არც ერთ სარწმუნოებას არ აღიარებდა და სადმე, ნეიტრალურ ტერიტორიაზე განდევილიყო ცხოვრებაზე იცნებობდა. აი, ასეთი იყო რწმენა თავისუფლების მოტრფილად ადამიანისა. მერე კი მიხვდა, რომ თურმე ჩვენს დროში ფიზიკოსი კაცი სათვის ძალზე ძნელია შექმურაზე იჯდეს და სიკეთისა და ბოროტების მიღმა არსებულ ცხოვრებაზე იცხებობდეს.

აინშტაინი ეაინპოფლაეის მახლობლად, ულში დაიბადა 1879 წელს. ნოსტალგით შეპერობილი ემიგრანტებისგან განსხვავებით, მას არ აწუხებდა მიწის ყიელი (ვერობაში ყოფნისას რბენპაიმერიც კი ღარდობდა ამერიკაზე) და ებრაულ ნაციონალიზმს მოწეწუნედ და სენტიმენტალურად მიიჩნევდა.

თავად ურწმუნო კაცი იყო, განგების წყალობით კი მორწმუნეები ცდილობდნენ მის გამოყენებას თავიანთი იდეალებისათვის. უმიწაწყლოდ დარჩენილა კაცი იყო და ტრაგიკულად

განიცდიდა იმ აზრს, რომ „სამშობლოები“ მასში ძალად რანგის ძალაუფლების ფაქტორს ხედავდნენ (იგი ამბობდა: „ამის შეგნება, რომ გერმანიის მიწას უფას ველარ ეფიფგამ, ისევე ხაყლებად მალეღვება, როგორც ია ფაქტი, თუ რაა შეადგენს ამ ქვეყანა და შედამიწის ზედაპირის ფართის განაყოფი“).

აინშტაინმა წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების გზა განვლო: **ერეკენული**
ურწმუნო ებრაელი, რომელსაც ისრაელის პრეზიდენტობა შესთავაზეს, ცერქასსა და სპინოზას შთამომავალი, ეინც ყველაზე დიდ პატივს სამართლიანობასა და საზრისსა სცემდა, რამეთუ მათ ადამიანის მთავარ ღირსებად თვლიდა, შერე კი ხაიმ ვაიცმანის მხარეზე სიონიზმის დასაცავად გამოვიდა; ამერიკელი მეცნიერი, რომელმაც 1939 წლის ზაფხულში რუხელტს გერმანულ ენაზე გაუგზავნა გაფრთხილების ბარათი, და ბოლოს ადამიანი, ეინც მთელი თავისი სიცოცხლე ვერ იტანდა გონისა და საქმოსნობის, მეცნიერებისა და მილიტარიზმის ურთიერთქმედობას; და მაინც მშვიდი მეცნიერული კვლევისათვის იძულებული იყო მიეღო პრუსიელი ბანკირის წინადადება, რომელიც შეპირდა, რომ 1914 წლის 1 აპრილიდან მოყოლებული 12 წლის მანძილზე დამატებით 6000 საიბერით მარკას გადაუხდოდა (ბანკირს ლეოპოლდ კობელი ერქვა. ამბობენ, თითქოს პირველი მსოფლიო ომის დროს სამხედრო-ტექნიკური მეცნიერებისათვის მას დაეარსებინოს კაიზერ ეილპელმის ფონდი).

აღბურტ აინშტაინი 20 წელიწადი ცხოვრობდა გერმანიაში, ვიდრე ბოლოს და ბოლოს არ გააძევეს იქიდან (მან უფრო ადრე გაუგზავნა წერილები პრუსიისა და ბავარიის აკადემიებს, ვიდრე ომის მანძი — თავისი წერილი ბონის უნივერსიტეტის დეკანს. 1933 წელს აინშტაინი შტეტინ ცვაიგს სწერდა: „თუკი რაიმეს ტრაგიკულად განვიცდი, ესაა დიდი ერის ზნეობრივი დაცემა და ადამიანის ტანჯვა“).

20 წელიწადი ცხოვრობდა შეერთებულ შტატებშიც, სადაც სრულ სიმარტოვეში გარდაიცვალა. იგი „ძველი სამუხეუმო ექსპონატით გამოვიდეს ქვეყანაში, სადაც ადამიანი აუცილებლად ახალგაზრდა უნდა იყოს, და თანაც, როგორც წესი, უგემოვნო თარგზე მოჭრილი.“ — ასე წერდა აინშტაინი საკუთარ თავზე სოლოვიენისადმი მიწერილ ბარათში.

ვერც გერმანია და ვერც ამერიკაში თავს შინაურად ვერა გრძნობდა: როცა 1914 წელს ერლიხმა, პაბერმა, პაუბტმანმა, პარნაკმა და პლანკმა თავიანთ მანიფესტში განაცხადეს: გერმანული მილიტარიზმი რომ არა, გერმანული კულტურა უავე კარგა ხანია აღვილი, იქნებოდა პირისაგან მიწისათ, აინშტაინი მანიფესტის მოწინააღმდეგეთა რიგებში ჩადგა. ოცდაათწამეტი წელი გავიდა მას შემდეგ. შეერთებულ შტატებში ინვეზიციის ტრიუმფის დრო დადგა: ულმიდან წამოსული კაცი კი ისევ მოუწოდებდა მეცნიერებს, უარი ეთქვათ მაკარტის ტრიბუნალში ჩვენების მიცემაზე: „ყველა ინტელიგენტმა, კისაც კომიტეტში დაუძახებენ, უარი უნდა განაცხადოს ჩვენებაზე. უნდა გამოიჩინოს სულის სიმტკიცე, შეეგუოს დაპატიმრებასა და მატერიალურ გაჭირვებას. ერთი სიტყვით, ჩვენი ვალა პირადულა ინტერესები ქვეყნის კულტურულ ინტერესებს ენაცვალათ“.

სინამდვილეში ასე მხოლოდ ერთმა კაცმა ილაპარაკა. ამის თქმის უფლება მხოლოდ ერთ მეცნიერს ჰქონდა, მისი იმდროინდელი ავტორიტეტი და დიდების ძალა დღეს ძნელი წარმოსადგენიც კია: გემის სირენების ღრიალი, ნიუ-იორკში ხარზვიმით შესვლა, მაღალ საზოგადოებაში გამართული დარბაზობანი.

1918 წლის 6 ნოემბერს გამოქვეყნდა ცხოზა „Royal Society“-ისა და „Royal Academic Society“-ის მიერ გამართული ასდომის შესახებ. ამ ცხოზაში ლაპარაკია აინშტაინის „გალუწული სიერცის“ თეორიის ექსპერიმენტულ დასაბუთებაზე და ეს ცხოზა შემოტყვევით არ ჩამოტყავს ლეგენდას. აი, რას ამბობს ჩვეულებრივ ძალზე თავშეკაცებელი კაცი, მათემატიკოსი და ლოგიკოსი ვაიტმენი: „პრველიც იაეთი მღელვარება სუფივდა, ბერძნული დრამა გამახსენდა; ჩვენ ქორო ვიყავით, და როგორც ეს გახაყუთრებულად დიდებულ წუთებში ხდება ხოლმე, ბედისწერის მაუწყებელ სიტყვებს ვლადდებდით. ტრადიციულ ცერემონიაზე ნიუტონის სურათიც გამოვიფინათ, რამაც მთელ ამ ზეიმს დრამატიზმის ელფერი შესძინა. ინგლისელი მეცნიერის სურათი თითქოს შეგვახსენებდა, რომ ორას წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ ბუნების კანონებს პირველად ახლა შემოარტყვა ზღუდე... ადამიანის გონის დიდი მოგზაურობა დაძთავრდა და მისი ნაღი მშვიდობით მოადგა ნაპირს... ფიზიკის კანონები ბედისწერის მაუწყებელ სიტყვებს დალადებენ“.

რაოდენ დიდი პატივი ხედა აინშტაინს წილად! „ვერძო და ზოგადი ფარდობითობის თეორიის“ თოთხმეტი გამოცემა პირველი გამოცემიდან ათი წლის მანძილზე; მაგრამ ძალიან ბევრს არააწორად ესმოდა მისი მოძღვრება, რომელიც არა შეზღუდულად და დანაწევრე-

ბუღალდ, არამედ ფართოდ და მუდმივად სიდიდებშია წარმოჩინებით ქმნიდა ახალ სისტემას. ეს იყო ნაბიჯი, გადადგმული ვერ კერძოდან ზოგადი ფარდობითი თეორიის, შემდეგ ერთიანი კელის თეორიის შესაქმნელად, ბოლოს და ბოლოს კი მას ჩვენი ძველველი არეში უარყოფის უარყოფა შემოიტანა!

რაოდენ დიდ იყო აღიარება და სიძულვილი! ღდეს რომ ებრძოდა მსგავსების სწამებდნენ, ხეალ დიალექტიკური მატერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულ მსგავსების დამცველად აცხადებდნენ. აინშტაინმა იცოდა, რომ იმ ფეოდალურ აკვანში, სადაც თავად იწეა, ბაღისჯობები შეუსვენებლივ დაუფთფუთებდნენ. მან იცოდა, რომ „ოსიანასა“ და „ჯეორს აცუ ეგე“-ს შორის სულ ერთი ნაბიჯი იყო, ამიტომ შეჩვენების განაჩენსაც ისევე გულგრილად ისმენდა, როგორც საამებლად ნათქვამ ქებას (ამბობდა: „პიროვნების კულტი წემს შეგნებაში კოველთვის რაღაც არასამართლიანს ნიშნავს“).

იგი არაფრად დაგიდევდათ, როცა გერმანიიდან პრინსტონში მის გამგზავრებას კატეჯანში მომხდარ ცვლილებებს ადარებდნენ და ამბობდნენ, — პაპმა ძველი სამყარო მიატოვაო.

საკუთარი თავის ყადრი კი არასოდეს არა სცოდნია; ვერც თავის სიდიადეს აფასებდა სათანადოდ... ეს მისი ერთადერთი საბედისწერო შეცდომა გახლდათ. როდესაც ლეო სცობოდა სოსოფა, პრეზიდენტ რუზველტისათვის აეხსნა, რაოდენ დიდი უბედურება შეიძლება მოჰყოლოდა ურანზე ექსპერიმენტებს გერმანიაში, მან, ეინც სინამდვილეში მბრძანებელი უნდა ყოფილიყო, თავი უბრალო შიკრიკად ჩათვალა. გავიხსენოთ ბრეჰტი, „დედა აურაფი“ და ბრეჰტის შეგონება: — როცა შეგნული დროება დგება, კეთილი თვისებები მხოლოდ ადამიანის განადგურებას უწყობენ ხელს და ზნეობრიობა საბედისწერო ხდებაო. იბადება კითხვა: ყოქვათ, აინშტაინი ნაკლებად თავმდაბალი ყოფილიყო, შესაძლებოდა საკუთარი პოზიციებისა უკეთ შეფასება, მაშინაც აუცილებლობის ასეთი შეგნებითა და მზადყოფნით დაწერდა წერილს რუზველტისადმი?

ვთქვათ, იგი ნაკლებად მიმნდობი, უფრო სკეპტიკური, დაეჭვებული და ცივი ყოფილიყო, განა მას 1938 წლის ზაფხულში არ მიეცემოდა შესაძლებლობა ყურმოკერით მაინც გაეგო გერმანიაში წარმოებულ ატომურ ცდებსა და მას გამანადგურებელ ბუნებაზე და შემდეგ განეცხადებინა, ეს ყველაფერი განუხორციელებელი ოცნებააო?

ფიზიკის პაპს თავი რომ მბრძანებლად ეგრძნო და რამენაირად ამბავი გაეკითხა, განა ბერლინელი მეცნიერები მას პასუხს დაამდლიდნენ? როგორც რობერტ იუნგკი გადმოგვცემს: თურმე პაიჩეხბერგს მოგვიანებით განუცხადებია: „1939 წლის ზაფხულში 12 კაცს შეეძლო ერთობლივი მოლაპარაკებით ხელი შეეშალა ატომური ბომბის შექმნისთვისო“. იბადება კითხვა, სწორედ აინშტაინი ბომ არ იყო ის კაცი, რომელიც თავისი ავტორიტეტით წყალობით მოლაპარაკებას ჩაუდგებოდა სათავეში. მისთვის ხომ მეცნიერთა შორის კავშირი გაცილებით ადვილი წარმოსადგენი იყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა ეროვნული ერთობა! რა თქმა უნდა, აინშტაინი ნაკლებ პუმანურ, ვ. ი. ნაკლებ ტრაგიკულ ადამიანად რომ წარმოვიდგინოთ, სპეკულაციის სფეროში მოგვიხდება ტრიალი; მაგრამ არც ამის გაუაზრებლობა იქნებოდა მართებული. ეს ნიშნავს, ვერ დაგვენახა მარადოქსულობა, ამ მშვიდობიან და ყოველგვარი ძალადობის მოძულე კაცს, განდის მხურვალე თაყვანისმცემელს, ისეთი საქმეებისაკენ რომ უბიძგებდა, რომელთა მიმართაც შეეძლო მომეტებულად ცივი გონიერებისა და ფაქტების ილქმის სალი უნარი გამოეჩინა.

თუკი ბერლინელი ტრაგედიაიდან ვაიტჰედის მიერ გამომხობილ აირდილებს გამოჩენა უწერიათ, ეს ალბათ ის წუთია, როდესაც მეცნიერი სახელმწიფოს მმართველს ხელთ უკდება იარაღს, რამეთუ კაცობრიობისთვის ისევე სახდო პარალ მიაჩნია, როგორც მეცნიერი.

დიახ, ეს შეცდომა იყო და აინშტაინი მოეაწრო იმ დროს, რომ თავისი პრაქტიკული მოუხაზრებლობის ამჩიივე შეეგნო.

ეს ის კაცი იყო, ეინც ლენინთან და ფროიდთან ერთად, მოელს ჩვენს ხანას თავისი დადი დააყუა. კაცი, რომელიც ახლოს იცნობდა ფრიდრიხ ადლერსა და როხა ლუქსემბურგს, მაქს ბროდსა და კაფკას, ბროიერსა და ფროიდს.

იგი მეცნიერი იყო, რომელიც ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ ერხსტ მახთან და რობერტ ოპენჰაიმერთან საუბრების დროს; და ბოლოს ფიზიკოსი: აი, იგი პრადის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის სამუშაო ოთახში ხის, შენობის წინ მდებარე უხარმარაზარ ბაღში კი შეზობელი ფსიქიატრიული კლინიკის ავადყოფნები დასეიჩნობენ. ანდა ბერლინის ან პრინსტონის უნივერსიტეტებშია, რომლებიც მას ნეხვის გროვას აკონებენ, სადაც დროდადრო კეთილშობილი მცენარეც ამოიზრდება ხოლმე.

ალბერტ აინშტაინი, რომელსაც უხვად ჰქონდა მომადლებული ებრაული საზოგადოება და სამართლიანობის გრძნობა, ბოლო და ბოლოს დარწმუნდა, რომ ერთხელაც იქნება დადგენილი, რომ ის, რაც „ჩემს თავზე გადაჭიმული ვარსკვლავებით მოჭედილი ცი“ პერტა ცოცხალი ღმერთის აღიარებამდე არ არ მიგვიყვანდა, არამედ იმ გზის დასასრულს იქნებოდა, ნიუტონით რომ დაიწყო, მაგრამ ტელერით არ დამთავრებულა, და კაცობრიობა ატომური ბომბის საწიშროების წინაშე დააყენა.

მეორე მსოფლიო ომის ყველაზე მძიმე დღეებში, 1942 წელს აინშტაინს¹ კვლავ შეეძლო ოქმის ვარსკვლავებზე დაკვირვების შედეგად უპირველეს ყოვლისა გონიერების განხილვა, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე ტექნიკის განვითარებისათვის. მაგრამ თუ ისინი ჩვენს დროში ბოროტად გამოიყენეს, ამაში ნიუტონის შემოქმედებითი გენია ისევე დამნაშავე, როგორც თავად ვარსკვლავებით მოჭედილი ცი, რომლის დანახვამაც მის გონებას ფრთები შეასხაო. ამის შემდეგ რვა წელი გავიდა. ხორციმასა და ნავასაკიზე თავდასხმის შემდეგ სხვა შექმით განათდა მეცნიერული გამოგონების ბოროტად გამოყენების პრობლემა. იმ ფაქტმა, რომ ფიზიკოსები თავად უწყობდნენ ხელს ადამიანის გამანადგურებელი იარაღის შექმნას, აინშტაინს თვალი აუხილა — ბოროტების მსხვერპლნი თავად გახდნენ ბოროტმოქმედნი. აი, ახლა კი ჩაუჭდა პრინსტონში მოხუცი მეცნიერი მისთვის უკვე ნაცნობი თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთდამოკიდებულების ძირითად მარქსისტულ აქსიომას და მის განალიზებას პოლიტიკური თვალსაზრისით შეუდგა. თავის მოხსენებაში „მეცნიერის დამცირებისათვის“ აინშტაინი ინტელიგენციის მდგომარეობას აღწერს, გვიჩვენებს, თუ სიცხადისა და შინაგანი დამოუკიდებლობის სურვილით შეპყრობილ მეცნიერთა ჯენა, თავისი გამოკვლევებით როგორ ქმნის საკუთარი მოსაზრების წახამდგრებს. და აინშტაინს მოჰყავს არგუმენტები აინშტაინის წინააღმდეგ: როცა საქმე გამოგონების პრაქტიკულ შედეგებს ეხება, ნეველევარმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს იმ მეცნიერს, ვინც არად დაგადევთ ბოროტს და კეთილს, არ არკვევს თავისი საქმიანობის მიზანს და მეცნიერებს თეორიული საფუძვლების შესწავლას ჰკიდებს ხელს. ფიზიკას (ამას ამბობს აინშტაინი A) გაღაბწყვეტი წელიწადი მიუძღვის ადამიანთა ჰუმანიზაციის საქმეში; იგი თითოეულ მათგანს გონიერებაზე დახლობის რწმენას ჩააკონებს, ბუნების კანონების საყოველთაო მნიშვნელობაზე მიუთითებს და ამით მას სრულყოფილებას უბიძგებს... მაგრამ ამ არგუმენტებს (ამას ამბობს აინშტაინი B) თავისი შედეგები აქვს პოლიტიკისა და ტექნიკის სფეროში. იგი შეიძლება ისე გამოვიყენოთ, რომ კაცთა მოდგმის სრულყოფის ეს-ესაა დაწყებული პროცესი შიშში გაღაბარდოს და ადამიანის გონიერებაზე დანდობის რწმენა გაბატონებული უმცირესობის მიმართ უნდობლობად იქცეს. ეს ანეა, რადგან ამ უმცირესობას ძალების კონცენტრაციისა და ბიუროკრატიული აპარატის წყალობით შეუძლია ადამიანის აზროვნების მანიპულირება. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ ცნობა, თითქოს აინშტაინს აშ-იან წლებში თავისი ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა არ გამოეცხადებინოს.

მისი პოლიტიკური მრწამსი, მსოფლიოს მართვის თეორია, როგორც ერთ-ერთი *conditio sine qua non*¹ და სოციალიზმის აღიარება, მოწმობენ მეცნიერთა მოწადინებას ჩამოაყალიბოს ცნება ისეთი საზოგადოებრივი წყობისა, სადაც მეცნიერის შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ მისი საქმიანობის შედეგად ებედურება არ დატრიალდება. უფრო მეტიც, მას აქვს შესაძლებლობა შექმნას აზროვნების მოდელები, რომლებიც ახალგაზრდობით გარე სამყაროს ობიექტურად ასახავენ.

ციურებისა და პრაქტიკის დღეებიდან მოყოლებული, ბოლო წლებამდე, როცა პრინსტონში თავის სენატში იქნა, აინშტაინს ერთი მიზანი (ალბათ ერთადერთი) ამოძრავებდა. მას სურდა ის ფენომენი გაეანალიზებინა, რასაც იგი „სასწაულს“ ანუ „ერთადერთ საიდუმლოს“ უწოდებდა: ეს სამყაროს წედობა გახლდათ.

ყველა მისი თეორიულ-შემეცნებითი ტრაქტატი, პირველ რიგში მოხსენება „გეომეტრია და გამოცდილება“ და პირველად „Journal of the Franklin Institute“-ში გამოქვეყნებული მოხაზრებები „ფიზიკისა და სინამდვილის“ თაობაზე ეს მათემატიკის ძირითადი პრინციპების ახსნის ცდაა. ამ პრინციპების საშუალებით, დედუქციური გზით შესაძლებელია ისეთი ლოგიკური სიატემის შექმნა, რომელიც მარტივად წარმოადგენს რა ძირითად ელემენტებს, შეუძლია ცნებების მიხიმუმიტ დაკმაყოფილდეს.

Hypotheses fingo — ასეთი იყო აინშტაინის დევიზი; ვქმნი ჰიპოთეზებს, მაგრამ ყოველ-

¹ აუცილებელი პირობა.

თვის მხედ ვარ, ჩემი მსჯელობა ცდით შევამოწმო, რადგან ვიცი, რომ ყოველგვარი ცოდნა ცდისეულია, ე. ი. პრაქტიკიდან გამომდინარეობს და მისკენ მიემართება.

მე ექმნი პიპოთეზებს, მაგრამ ამ დროს ნიუტონს თავდაყირა როდი ვაყენებ! მე ვცდილობ ისევ და ისევ გავაგრძელოთ იმ დროს დაწყებული პროცესი, როცა იტალიელმა ფიზიკოსმა „აბსოლუტური სივრცისა“ და „აბსოლუტური დროის“ ცნებები ჩამოაყალიბა და დაგვარწმუნა, რომ ერთიანი თეორიული საფუძვლის შექმნა ინდუქციური გზით შესაძლებელია.

მე ექმნი პიპოთეზებს; ეს ნიშნავს: თავისუფალი, შემოქმედებითი იდეების პროცესში მე ექმნი მათემატიკურ კოდს, რომლის გონებით შემოწმება (რა თქმა უნდა აუცილებელ) *cura posterior*¹-ს წარმოადგენს. აინშტაინი კვბლერის *Laudatio*² ში წერდა: „როგორც ეტყობა, ადამიანის გონება მოწოდებულია მანამდე მოახდინოს ფორმების რეალიზაცია, ვიდრე მათ საგნებში აღმოვაჩენდეთ. კვბლერია შესანიშნავი ნაწარმოებიდან, რომელსაც მან მთელი სიცოცხლე შეაღია, განსაკუთრებით ხათლად შევიცნობთ: შიშველი ემპირიზმი არ შეიძლება გახდეს შემეცნების საფუძველი, შემეცნება — წინასწარ გააზრებულია და განწყობების შედარების შედეგია“.

Hypotheses fingo: ეს მარტივი ურახე ნიუტონს კი არ უარყოფს, არამედ ფიზიკის მათემატიზაციას აღიარებს, რომელიც მან შემოიტანა პირველად. ესაა აღიარება კაცისა, რომელიც მუდამ აცხადებდა: არ არსებობს ცდისეული ფაქტებიდან გამოყვანილი ლოგიკური დედუქცია, მხოლოდ განსჯი. გზით შეიძლება ნათელი მოყვინოთ სამყაროს იდეალუბებსა; ეს ისეთი მოსაზრებაა, რომლის ჩამოყალიბებაც აინშტაინს აშკარად გაუჭირდა. რით შეიძლება აეხსნათ ის ფაქტი, რომ იგი ასე ხელადებით ასხამდა ზოტბას განსჯას და ამხსთახავე არ შეეძლო ეწამა გონის ყოვლისშემძლეობა? რომ იგი იცავდა მოსაზრებას, წმინდა ლოგიკური გზით მძღებული მსჯელობები სიცარიელეს წარმოადგენენ რეალურობასთან მიმართებაში? რომ იგი ექვს განითქვამდა იმის თაობაზე, თუ რამდენხად შეიძლება ჰეშმარიტ საგანთა თვისებები ფაქტიურად გამოვლინდნენ შიშველი გონების საშუალებით, და ბოლოს, რომ მან ბლატონისებური ბუნებრიობით ააგო თავისი მოდელი. ამ მოდელს ემპირიული დაკვირუებიდან გონებრივ კომპლექსებთან შერეულ „პირველად სისტემასთან“ მიკვავართ, იქიდან კი მეორადი, შემდგომწარმოებული, ე. ი. არაგონებრივი სისტემა იქმნება. ესაა სტრუქტურა, რომელიც თავის მხრივ კვლავ გვევლინება მესამე აბსტრაქტული სისტემის საფუძველად. დიახ, რით მოხერხდება ამ ფაქტების ახსნა? წინააღმდეგობებია უველგან... მაგრამ აქვეა ამოსავალი წერტილებიც სინთეზისათვის.

აინშტაინი ერთნაირად გამიჯნულად იღვა ფანტასტიკური განსჯისგანაც და გულებრყვილო რეალიზმისგანაც. მეტაფიზიკის წინაშე შიში არ უგრძენია, აუხდენელი ოცნებებისა კი ყოველთვის ეშინოდა. და აი, ამ შიშით შებყრობილი აინშტაინი, რაც უფრო ხანში შედიოდა, მით უფრო ჯიქურ ცდილობდა, სერ ისააკ ნიუტონის მსგავსად, ხათლად განსაზღვრული საფუძველიდან გამომდინარე ფენომენტა სამყარო მათემატიკური აზროვნების საშუალებებითა და იმ ცდებთან დამთხვევით აეხსნა, საიდანაც აქსიომები არ გამოიყვანება, მაგრამ სადაც მათი არსებობა იგულისხმება. აინშტაინის გაგებით მხოლოდ *Science*³-ისა და შემეცნების თეორიის, თვალსაჩინოების ძალისა და აქსიომატური სიმკაცრის ვაერთიანების შედეგად შეიქმნება ის ენა, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდება ფიზიკური სინამდვილის პირდაპირი წარმოდგენა დროსა და სივრცეში... ეს იტნებოდა პირველი ერთიანი ენა ბაბილონის გოდოლის შემდეგ, ურთიერთგაგების საშუალება მეცნიერთათვის, რომლებიც ამიერიდან აღარ გამოვლენ მსახურებისა და ლაქიების რთლში. აინშტაინს ეკუთვნის ცდა ერთიანი მსოფლიო თეორიის შექმნისა, სადაც იგი წინასწარ არ აცხადებს უარს თვალსაჩინოებაზე. ამაღლეებელი სანახავა, როგორ შემოჰყავს მის ამ ცდისაა სპინოზასეული ცნება, — ინტუიცია, როგორც ადამიანის გონების ცდისეული გაგების უმაღლესი გამოვლინება.

მკვრეტელობით მიღებული ცოდნა, როგორც მგრძნობელობითი წარმოდგენისა და ცნებით დადგენილი გონების კავშირი სპინოზასთვის და აინშტაინისთვის ზეგონებრივი შემეცნების იდეალურ ფორმას წარმოადგენს: ერთისთვისაც და მეორესთვისაც საჭიროა *more geometrico lucido*⁴ საგანთა არსში წვდომა. დიახ, ამაღლეებელია იმის დანახვა, კვლავ და

1 შემდგომ სარჩუნავს.

2 სახოტბო სიტყვა (ლათ.).

3 მეცნიერება (ინგლ.).

4 აშკარა გეომეტრიული კანონების თანახმად (ლათ.).

ველად როგორც დაეინებინათ შეაქვებს აინშტაინი ინტუიციას, როგორც გონების ღალ მიგნებაა და უმალლეს ადამიანურ ნაღლა. მისთვის მხოლოდ ინტუიციია შეიძლება იყოს შექმნეული ინსტრუქციურ და დედუქციურ მეთოდსა და სინთეზსა და ანალიზს შორის.

ჩვენი ღროის ამ ერთ-ერთ უკანასკნელ დიდ ფიზიკოსს, ეროვნებით ებრაელს ამ შექმნეული უარი ეთქვა ხატებით აზროვნებაზე, მხოლოდ და მხოლოდ ინტუიციამ შეუძენარჩუნა იდეაშია შესაძლებელი თვალსაჩინოებისა, ბრწყინვალეობა იმ სამაგალითო პლასტიკურობისა, რომლის დემონსტრაციის ღროსაც მას ასე შესანიშნავად ესმოდა საკუთარი თავისა. ეს კი ეკვივალენტური, თეორიის თვალსაჩინოებრივ ახსნაში გამომდებდა: „ატომი M ერთი მდიდარი ძუნწია, რომელიც თავის სიცოცხლეში ფულს (ენერჯიას) არ ხარჯავს. ანდერძში იგი თავის ქონებას უტოვებს ვაჟიშვილებს M'-ს და M''-ს, იმ პირობით, რომ ისინი იყოს პატარა თანხას შეაწვდენ, — მთელი ქონების შეთანხვად ნაწილზე უფრო ნაკლებს (ენერჯია ან მასა). ორივე ვაჟიშვილს ერთად მამაზე ცოტა თანხა აქვს (მასების M'-ის და M''-ის ჯამი რადიოაქტიური ატომის მასა M-ზე ცოტა ნაკლებია). თუნცა თემისთვის შესაწვევი ფულის რაოდენობა შედარებით მცირეა, მაგრამ საერთოდ მაინც ისე უზრუნველად დიდია (როგორც კინეტიკური ენერჯია), რომ მას საშინელი ებედურების მოტანა შეუძლია. ამ საფრთხის თავიდან აცილება ჩვენი ღროის სასწრაფოდ გადასაჭრელ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება“. ამ მაგალითით ამთავრებს აინშტაინი თავის მოხსენებას.

ფიზიკოსს უყვარდა ხოლმე, როცა თავის მეცნიერულ ესეებს სხარტი გამონათქვამით დაიწყებდა: შუაში ფრაზებს მყარი ფორმულების სახეს აძლევდა, ბოლო ბოლოში ისეთ შენიშვნებს ჩაურთავდა, რომელსაც არაფრით არ შეიძლება ვუწოდოთ არც მხატვრული დასკვნა და არც ეფექტური, მკითხველისა და მსმენელის ამაღელვებელი სიტყვა. აი, მაგალითად, „გონება და საღი განსჯა ხაკლები სინატიფით წარმოსდგინდება ხოლმე“.

აინშტაინი დიდ პატივს სცემდა ფროიდს, მიწერ-მოწერაც ჰქონდა მასთან (ფიზიკოსი წერდა თავაზიანად და ტრადიციულად, ანალიტიკოსი — უფრო დაუდევრად და ირონიულად), მაგრამ ფროიდისგან განსხვავებით, აინშტაინი დიდი სტილისტი არ იყო და არც სურდა, ყოფილიყო. განსაკუთრებით ეცემოდა თვალში კაცს მისი ხარვეზები humaniora 1-ს სფეროში, ბელეტრისტიკა არ იყო მისი საქმე, როგორც განსხვავებულია ამ მხრივ რობერტ ოპენჰაიმერის curriculum vitae! 2 სპინოზა, პიუმი, კანტი, მახი და (სრულიად განცალკევებით მდგომი) კარლ მარქსი აინშტაინს განათლებული ბიურგერის მოვარაყებულ ყდებში ჩასმულ საყვარელ კლასიკოსებზე მნიშვნელოვან აკტორებად მიაჩნდა (ეს გერმანელი ებრაელი შილერია შემოქმედების მარგალიტებასაც კი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში აღიარებდა ხოლმე. განა ესეც უცნაურობა არ იყო?). — მის პანთეონში უმალ მაიმონიდესი, 3 ოსეცკი 4 და განდი შეაღწევდნენ, ვიდრე რომანების შემთხვევლნი. ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს რუსები წარმოადგენდნენ.

ერთი სიტყვით, უნდა ითქვას, რომ აინშტაინს მეტად მოკრძალებული ფილოსოფიური განათლება ჰქონდა მიღებული. ხშირად ახდენს იგი გამონათქვამის: senatores boni senatus autem bestiae 5-ს ციტირებას დამაბინჯებულად, თვითნებურ-იტალიზირებულ ყაიდაზე: senatori boni; დილექტანტურია მისი გამონათქვამები ფერწერასა და მუსიკაზე: აინშტაინა წერდა: ხელოვნების ეს ორი დარგი აშკარა გადაგვარების გზაზე დგას და ხალხში თავის გამოძახილს ვეღარ პოულობს.

რაც შეეხება მის პირად წერილებს, ისინი საერთოდ ჰეკიანური და დიდაქტიკური არიან და გამოირჩევიან ფროიდის სიტყვიანობისგან და ენამწარე წერილებისაგან: ეს უკანასკნელი მშვენიერად გრძობდა, რა ცოტა ვაფგებოდა თავაზიან აინშტაინს ფსიქოანალიზისა. აინშტაინის წერილები არც მთლად ისეთი პირადული და ფრაგმენტულია, როგორც ალბერტ შვაიცერის მიერ ლამზარენედან მოწერილი ბარათები („თუ შეიძლება, გადაეცით ჩემი გულითადი მოკითხვა დოქტორ ოპენჰაიმერს. დიდა საამონებით გავიცნობდი მას. რასა იქმს თქვენი ვიოლინო?“). აინშტაინის წერილები საქმიანი, უბრალო და ინფორმაციით მდიდარია.

1 კლასიკური განათლება (ლათ.).

2 ცხოვრების აღწერა (ლათ.).

3 შუა საუკუნეების (1135—1204) ებრაელი ფილოსოფოსი, თეოლოგი და მედიკოსი.

4 პროგრესული გერმანელი პუბლიცისტი და ჟურნალისტი (1839—1938).

5 სენატორები კეთილები არიან, მაგრამ სენატი მსევია (ლათ.).

ფაშარბრუნის სტიქია იგავები, აქსიომები და უორმულები, ქარგმულ სამოსელში გახვეული *fabula docet*¹ და თვალსაჩინო ანალოგიების სქემები (განა სხვანაირად შეიძლება აღწეროთ განსხვავება, რომელიც არსებობს ცდისეული კომპლექსებიდან განზოგადებულ ცნებებში და გონებისაგან ლოგიკურად დამოკიდებულ კოდს შორის, თუ არა წინიანისა და ძროხის ხორცის ანდა გარდერობის ნომრისა და პალტოს ურთიერთშედარებით?). და აი, თითქოს ცა განათდა: ერთი შეხედვით თითქოსდა სასხვათაშორისოდ მოყვანილი ანალოგიები და სიმბოლოები საოცრად გამჭვირვალეოდ ხდებიან; სწორედ აქ გამოჩნდება ფაქტებში წყნობის ანსტაზისეული უნარი, მისი ნიჭი, საგნებს ერთადერთი, სწორი სახელი უწოდოს, რაც ესოდენ ახასიათებს მას, როგორც პოლიტიკურ მწერალს, პიტლერის მოწინააღმდეგესა და ებრაელთა ქონაგს, შაოფლიო მოქალაქესა და პაციფისტს.

განა სადნე მოიძებნება სხვა გერმანულენოვანი მწერალი, თავის თავზე რომ შეეძლოს თქმა, კაიზერისდროინდელი გერმანიის მილიტარიზმი ისევე ადრე განვჭვრიტე, როგორც ფაშარბრუნში ანდა ამერიკული ინკვაზიცია? და განა „კუდიანების პროცესზე“ იმ ქვეყანაში, რომელიც ისევე ვერ დაიხმებდა მის სამშობლოებას, როგორც გერმანია, შვეიცარია, ჩეხოსლოვაკია ანდა იარაღი, ერთი კაცის გარდა კიდევ ვინმეს შეეძლო პქონადა ამ სიტყვების თქმის უფლება, სიტყვებისა, ზოლასეული „J'accuse“ მანიფესტის შემართებითა და სიმძაფრით რომ გამოიჩინოდა? („ქვეყნის შიგნით სამხედრო პირთა ხელში უხარმაზარი ფინანსური ძალების თავმოყრა, ახალგაზრდობის მილიტარიზაცია, მოწალაქეთა და განსაკუთრებით, მოხელეთა თვალთვალი პოლიციის მიერ, სულ უფრო და უფრო რომ ძლიერდება, პოლიტიკურად დამოუკიდებელ მოაზროვნეთა დაშინება, მოსახლეობის აზროვნებაზე ზეგავლენის მოხდენა რადიოს, პრესისა და სკოლის ზემოქმედებით, ინფორმაციის სულ უფრო და უფრო მეტი სფეროების ჩახშობა სამხედრო საიდუმლოებათა გამო“).

ანა ეს პქონადა აინშტაინივით მახვილი მზერა, ვი: შეეძლო დაეხება, რომ ისე არაფერი რყენის პუმანურ აზროვნებას, როგორც მილიტარისტული ატმოსფერო, როცა უსიცოცხლო ფაქტორები, ნედლეული, სარაკეტო დანადგარები, დივიზიების რაოდენობა და სტრატეგიული სამხედრო ბაზები ვაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანური იმედები, სურვილები და ოცნებები? „ვიდაცის ბრძანებით ჩადენილი გმირობა, უაზრო ძალმომრეობა და ამაზრუნევი ცრუბატრიოტიზმი; — როგორ მძულს ეს ყველაფერი“, — შეიძლება ამაზე უფრო მახვილი სიტყვები ვიპოვოთ იმ სკოლის კედელზე წასაწერად, ალბერტ აინშტაინის სახელს რომ ატარებს?

თავმდაბლობითა და გულკეთილობით გამორჩეულ აინშტაინს წინააღმდეგობის გაწევაც და განრისხებაც შეეძლო. საშინლად გამწარდა, როცა გაიგო, ამერიკელები მათთვის უფრო გამოსადეგ ფიშისტებს „ბროტი რუსების“ წინააღმდეგ ახალი ბატონობის დამყარებაში ეხმარებიანო. როცა იგი კლემანსოს² წინაპართა სულემა უხმობდა, ანდა ამბობდა, საფრანგეთს ესპანეთისა და ჩეხოსლოვაკიის ლალატისათვის შურისგება არ ასცდებათ, როცა ინგლისელებს საყვედურებდა, თქვენი პოლიტიკა პალესტინაში ებრაელების დაღუბვას მოასწავებსო, როცა მოკავშირეებს ბრალსა სდებდა, არაფერი გაგიკეთებიათ, რათა უნგრეთში განწირული ხალხი გადაგერჩინათო. აი, მაშინ კი მისი გონიერი და მართალი სიტყვა წინასწარმეტყველური მგზნებარებით გამოიჩინოდა და სასიყვდილო განაჩენივით ეღერდა.

არა, აინშტაინი არ იშაბურებს ფრანცისკანული დიდების შარავანდელს.

ეს ის კაცი იყო, ვინც პირველ მსოფლიო ომზე განაცხადა, ეს ომი გერმანიის გაბატონებულში კლასსა გაჩაღდა;

ეს ის მეცნიერი იყო, ვინც სამხედრო მრეწველობაში ადამიანებისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს ხედავდა. ეს ის ფიზიკოსი იყო, ვინც დააყენა საკითხი: განა შეიძლება მოსე, იესო ანდა განდი ხურგზე კარნეგისშ უფლის ტომარააკიდებულ წარმოვიდგინოთო? რა თქმა უნდა, ასეთ კაცს არ შეეძლო კაპიტალისტურ სამყაროში პირველი წმინდანის როლი ეთამაშა.

გადახედოთ მის 1949 წელს დაწერილ ტრაქტატს „სოციალიზმი, რატომ?“ როგორი გულცივი რისხვით აღწერს იგი აქ კერძო კაპიტალის ოლიგარქიას, მოგებისათვის და არა ადამიანთათვის შექმნილ ხაწარმს, უღმობველ ბრძოლას კონკურენციისათვის და ბოლოს, როგორც კაპიტალიზმის ყველაზე დიდ სატყვიარს, — ადამიანის დაცემას! მისი პამფლეტის

1 იგავი შეგვაგონებს (ლათ.).

2 ფრანგი რეაქციული საზოგადო მოღვაწე (1841—1929).

3 ამერიკელი მრეწველი, მეცენატი.

კონტრესენციად გამოდგება შემდეგი გამოხატულება: „ამ მიმე მდგომარეობას ერთ საშველი აქვს. ესაა სოციალისტური ეკონომიკა შექმნა სოციალური მიზნების მქონე აღწერის სისტემით“. ესე იგი, საჭირო იყო გეგმიანი ეკონომიკა, ძალაუფლების კონცენტრაციის მოქმობა, ქონებრივი ურთიერთობების შეცვლა — წარმოების საშუალებების სახელმწიფოს ხელში გადასვლა: აი, რა შეიძლება უფილიყო ღირსეული ადამიანური ცხოვრებისთვის, სწორედ საწინდარი და არა გარანტია.

ეკონომიკურ ანარქიასთან ერთად აინშტაინი უპირველეს ყოვლისა იმასაც ხედავდა, როგორ ახერხებდა ინფორმაციის საშუალებებს დაუფლებული ერთი მუჟა გაბატონებული კლასი უმწიფარი მასების მართვას. იმირად მარქსისტული ტერმინოლოგიის გამოყენებით იგი ზუსტად აღწერდა კაპიტალისტური სამყაროს ხრიკებს, ხოლო მეორეს მხრივ დაბეჭითებით უსვამდა ხაზს იმ ვარემოებას (და ისტორიის განვითარებამ დაამტკიცა მისი მოსაზრება), რომ სოციალიზაცია მანამდე არ ნიშნავს სოციალიზმს, ვიდრე ცენტრალიზაციაზე გეზალებული ბიუროკრატია პიროვნებს კონკრეტულ *liderit*-ზე უარს ეუბნება. „როგორ უნდა დაეიცავთ ცალკეული ადამიანის უფლებები? როგორ ვაქციოთ ეს უფლებები ბურჟუაზიის საწინააღმდეგო დემოკრატულ ძალად?“ აინშტაინის წერილის დასკვნაში დასმული კითხვები კითხვებად ღარჩა. დიდ ფიზიკოსსა და მის საბჭოთა კოლეგებს შორის გამართული კამათი თავისი აქტიულობის გამო მხოლოდ სასარგებლო თუ იყო, და რუსი მეცნიერები მართალი იყვნენ, როცა ფიქრობდნენ, აინშტაინისეული მსოფლიო სახელმწიფო მხოლოდ ბატონობის არსებულის ურთიერთობების გაგრძელებას გულისხმობს და საზოგადოების მაღალი ფენების დაბალ ფენებზე ბატონობამდე მივყავართ. მაგრამ ასეა თუ ისე, ის ფაქტი, რომ აინშტაინმა საჯაროდ განაცხადა უარი ერებისათვის შეუზღუდავი სუვერენიტეტის მიცემაზე და ხაზი გაუსვა ინტერნაციონალური სოლიდარობის აუცილებლობას (ვიდეგ ერთხელ რომა ლექსებში ლენინის წინააღმდეგ, კიდევ ერთხელ ტროცკის ბრძოლა სტალინთან), აინშტაინის სიკვდილიდან ცამეტი წლის შემდეგ უფრო მნიშვნელოვნად გამოიყურება, ვიდრე ოდესმე. და მაინც ვინ არის იგი, უღმიდან გამოსული ალბერტ აინშტაინი? სულერი მამა ამ მოძრაობისა, დღეს „ახალ მემარცხენებს“ რომ უწოდებენ? ამბობებული ახალგაზრდობის სათავეში მდგარი ფიზიკოსი? აი, აინშტაინისეული თეზისებიც, სადაც იგი ეხება კაპიტალისტურ სამყაროში პიროვნების დაქვინებას, მმართველი კლასის მიერ ადამიანის აზრის მანიპულირებას, ბიუროკრატის, როგორც თავისუფლების შემკვიდრეობით მტერს, ნაციონალიზმს, — მსხვილი კაპიტალიზმის ამ იდეოლოგიას; ტექნოკრატის მექანიკურ-მილიტარისტულ (აზრთა წყობას) უმცირესობის უფლებებს — აინშტაინი ისეც და ისეც გამოთქვამს, თავის თვალსაზრისს ზანგების საკითხზე, იცავს იმ ებრაელებს, რომლებიც არაბ ხალხთან ერთად ძმურად უნდა ცხოვრობდნენ. ესაა თეზისები მოხავალ სოციალურ სამართლიანობაზე, კონკრეტულ თავიანუფლებაზე, რომელიც შემოქმედებით შრომის ერთადერთ საწინდარს წარმოადგენს... ამას გარდა აინშტაინი ოცნებობდა ისეთ სამყაროზე, სადაც მშვენიერება და სიმართლე ერთმანეთს ღვიძლი დები იქნებოდნენ. ამ ოცნებებში და ყველა შემოხამითვლილი აქსიომის წყალობით შეიძლებოდა აინშტაინისათვის მხოლოდ ერთი მოკრძალებული ადგილი მიგვეჩინა „ახალი მემარცხენებს“ ღარიბ პანთეონში. „სკყინ არეულ-ღარეული მიზნებისა და სრულყოფილი საშუალებების ხანაში ეცხოვრობთ“ — ეს განმანათლებლური სენტენცია, დიდროსთვის ჩვეული საზუსტით გამოთქმული მისი ძირითადი პრინციპი, განა ბერკლისებურად არ ეღერს და „ლათხური კვარტალის“ სუღით არ არის გაედენთილი? მაგრამ რა ნიშნავს უარის თქმა ძალადობაზე, რომელიც არასოდეს არ შეიძლება შემოქმედებით იყოს? ეს უარი საწინააღმდეგო ძალადობასაც შეეხება თუ მხოლოდ ფაშისტთა სიმხვეცს გულისხმობს? ბელგიური „war resisters“ ისიამი გაგზავნილ წერილში აინშტაინი წინააღმდეგ ამგვარ სიმხვეცს და მოითხოვდა უფლება, რომელიც შეზღუდავდა სამხედრო სამსახურზე უარის თქმას. ამ საკითხთან დაკავშირებით მან რუზველტს წერილი მისწერა, რომელიც შემდგომ უხვირო შეამდგელის ხელში მოხვდა. და რას ნიშნავს მაქსიმა, რომ არ არსებობს ისეთი მაღალი მიხახი, რომელიც გაამართლებდა უღირს ნეთოდებს, არაადამიანურობასა და უანატოკურ შეუწყნარებლობას? აი, ამ იყრება გზები: უღმელ ალბერტ აინშტაინს არ სურს უარი თქვას იეთ ლიბერალურ თეორიებზე, როგორცაა „შემწყნარებლობა“ და ყველა მოტალაქის თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე“; და იგი სტოევებს პანთეონს, ისე რომ ვერ ფეხის დადგმაც ვერ მოასწროს შიგ. ეს იყო წინააღმდეგობებით სავსე ადამიანი, ლიბერალურ საშოსელში გამოწყობილი სოციალისტი, ბურჟუაზიული განმანათლებელი, ქონებრივი ურთიერთობების შეცვლას რომ მოითხოვდა, მეცნიერი, მარქსთან ერთად სპინოზასაც რომ არ ივიწყებდა და,

მიუხედავად უამრავი საზოგადოებრივი მოვალეობებისა, უკიდურეს ინდივიდუალიტატად რომ დარჩა: მისი ზნეობრივი ნორმების დამრღვევად თვლიდნენ ისინიც, ვისაც არ ძალუბდა პუ-
მანური ლიბერალიზმისა და სოციალიზმის გაერთიანება, და ისინიც, ვინც „თავისუფალი მეც-
ნიერების“ იდეოლოგიით გამოდიოდნენ, მაგრამ ამასთან, როგორც მათი თარეში გვიჩვენებდა,
ჯერ არ გამცდარიყვნენ ადამიანური განვითარების ელტურ სიფხურს. „განუგებრებულმა კმა-
ყოფილებას არ განვიცდით იმის გამო, რომ ეფელა ადამიანის ცხოვრებას ბუნებრივი სიძველე-
ში ატყვს დადებულს, რომელთა წყალობითაც ეს ცხოვრება მისი აღსასრულის ეამს ხელოვნე-
ბისა კმნილებად წარმოგვიდგება?“ — ხატყვამია პოლ ლახევიანის I რეკვიემში. მშვენიერი სი-
ტყეებია, მაგრამ აინშტიანთან მიმართებაში სრულიად არამართებული რამეთუ მისი ცხოვ-
რება დღეს ჩვენთვის ხელოვნებისა კმნილება ვი არ არიან, არამედ იმ დროების ნიშნებია,
როცა თავად სიკეთეააც ვი იანუსის იერსახე შიუღია, ხოლო სიბრძნე სიანხლითაა შეღებილი.
დიან, ეს ცხოვრება ხელოვნებისა კმნილება არ გახლავთ. იგი ბუკი და ხალარაა, და იანუ
ურთიერთობათა შექმნისაკენ მოგვიწოდებს, უფრო ადამიანური, დემოკრატიული და სოცი-
ალისტური რომ იქნებინ, ვიდრე ამჟამად არიან... ურთიერთობებისა, როდესაც მეცნიერებს
აღარ ექნებათ თავიანთ გამოგონებათა ბოროტად გამოყენების შიში და „ჩემს თავზე ვადაჭი-
მული ვარსკვლავებით მოჭედილი ცის“ ცქება იანგვე სიხარულისმომგვრელი იქნება, როგორც
ეს კანტისა და ნიუტონის დროს იყო.

I თვალსაჩინო ფრანგი ფიზიკოსი (1872—1946).



რეზო ყარალაშვილი

თანამედროვე ავსტრიულ ლიტერატურას განუმეორებელი იერი გააჩნია, იგი მკვეთრად გამოირჩევა გერმანულენოვან ლიტერატურაში. მისი სპეციფიკური სახე მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო დაიხვეწა და გამოიკვთა. ეს განსხვავებულობა და განუმეორებლობა განაპირობა ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოს ისტორიულმა განვითარებამ და ავსტრიული ხასიათის, ავსტრიული სულიერი წყობისა და მენტალობის თავისებურებამ. მარია ტერეზიას მმართველობიდან მოყოლებული ავსტრიული იმპერიის პოლიტიკური ძალაუფლება სხვადასხვა დროს ნიდერლანდებიდან ჩამოეთქვა ზღვამდე და ესპანეთიდან დუნაის შესართავამდე ვრცელდებოდა. იმპერია ევროპის უთნიკურად გამსხვავებულ ხალხებს აერთიანებდა, რას შედეგადაც ავსტრიელთა სულიერი ცხოვრება ხანგრძლივად განიცდიდა სრულიად ნაირსახოვანი კულტურული ტრადიციების ზეგავლენას. ამ ზეგავლენამ და ავსტრია-უნგრეთის მონარქიის თანდათანობითი რღვევისა და დაქინებით გამოწვეულმა მწკავე შეგრძნებამ თავისი დადი დაამჩნია ავსტრიულ ხელოვნებას და კერძოდ ლიტერატურულ ნაწარმოებთა მხატვრულ ფორმასა და თემატიკას. უწინარეს ყოვლისა, ენდა აღინიშნოს ის დაღლილი, მეღანქოლიური და სევდიანი ატმოსფერო, რომელსაც ძალზე ხშირად ვხვდებით ავსტრიულ მწერალთა თხზულებებში, აგრეთვე მიღრეკილება ადამიანის სულიერი ცხოვრების აღწერისა და ფსიქოლოგიზმისადმი, თბილი და ინტიმური დამოკიდებულება მატერიალური რეალობისადმი, ცხოვრების მოლიციე ზედაპირისადმი, ნივთებისა და საგნების სამყაროსადმი, რაც ხშირად ადამიანის შინაგანი განცდილი აიშბოლოდ აღიქმება ხოლმე, გამაბვილებული ყურადღება მხატვრული ფორმის მიმართ, სიტყვის არაჩვეულებრივი შეგრძნება და სხვა. ეს თვისებები შეტნაკლებად ახასიათება მთელ კლასიკურ ავსტრიულ ლიტერატურას. ისინი თავს იჩენენ თანამედროვე ავსტრიულ მწერალთა შემოქმედებაშიც.

ავსტრიული ლიტერატურის უპირველესი ამოცანა ომის შემდგომ წლებში გახლდათ იმ სულიერი ვაკუუმის შევსება, რომელიც წარმოიშვა ამ ქვეყანაში ფაშიზმის შეიდწლიანი ბატონობის შედეგად. მაგრამ საგულისხმოა, რომ ეს პროცესი მიმდინარეობდა არა წარსულთან ანგარიშსწორების ნიშნით, როგორც გერმანიაში, არამედ ავსტრიული სულიერი ტრადიციის შემონახვის, კლასიკურ ავსტრიულ ლიტერატურასთან კავშირის აღდგენის ნიშნით. ამის მიზეზი ის იყო, რომ ავსტრიული ავტორები ფაშიზმს გარედან მოსულ უბედურებად აღიქვამდნენ, რაშიც მათ შამებასა და წინა თაობას არ მიუძღოდნათ ბრალი, მეორე მხრივ ეროვნული კონსოლიდაცია მათგან ძველისადმი დაპირისპირებას კი არ მოითხოვდა, არამედ ეროვნული თავისთავადობისა და თვითმყოფობის, ავსტრიული სულიერი ტრადიციის უწყვეტობისა და სტაბილურობის ხაზგასმას. ამიტომ ავსტრიულ მწერალთა ახალი თაობა, მიუხედავად ვენური დეკადანსის სტერილური ხელოვნებისა და დეკადენტ მწერალთა ფორმალისტური ვარჯიშობების მიმართ თავისი ერთგვარი გულყრილობისა, მაინც ცდილობდა დაემყარებინა კავშირი ლიტერატურული განვითარების წინამძეველ ეტაპთან. ამ მხრივ ნიშანდობლივია 1946 წელს ეჟურნალ „პლანში“ გამოქვეყნებული ილზე აიშინგერის პაპფლეთი „მოწოდება უნდობლობისადმი“, სადაც პოეტმა ყალბ განცდებსა და შელამაზებულ პოეზიას გამოუცხადა ბრძოლა, თუმცა ახალგაზრდა გერმანელი მწერლებისაგან — ე. ბორბერტის, ჰ. ბიოლის, ჰ. ე. ნოსაკისა და სხვათაგან — განსხვავებით წინა პლანზე ზნეობრივი პრობლემები კი არ დააყენა, არამედ მხატვრული ფორმის საკითხები. გარდა ამისა გარკვეული მნიშვნელობა აქონდა ალბათ იმასაც, რომ ომის შემდგომი ავსტრიის კულტურულ და ლიტერატურულ ატმოსფეროს უპირატესად მაინც უფროსი თაობის მწერალთა შემოქმედება განსაზღვრავდა.

ორმოციანი წლებს დასასრულსა და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა მაიმიტო ფონ დოდერერის, გეორგ ზაიკოს, ალბერტ პარის გიუტერსლოს მნიშვნელოვანი რომანები, ჰერმან ბროხის რამდენიმე ესე, დაისტამბა ფრანც თეოდორ ჩოკორის, იოჰანეს გუნტერის, რუდოლფ ფელმაიერის, ალექსანდერ ლერნეტ-ჰოლენიასა და სხვათა მწერლობის ნაშრომები, ახლიდან იქნა აღმოჩენილი და შეფასებული მწერლების ფრანც ცაფკას, რუდოლფ მუზილის, იოზეფ როთისა და ფრიც ფონ ჰერცმანოვსკი-ორლანდოს შემოქმედება. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ მწერალთა შემოქმედებამ ხანგრძლივი დროის მანძილზე განსაზღვრა ავსტრიული ლიტერატურის შემდგომი განვითარების ხასიათი. ახალგაზრდა თაობის ერთმა წარწილმა თავისი შემოქმედება ასე თუ ისე დაუკავშირა ზემოხსენებულ ავტორთა თეორიულ პოზიციებს: ორმოცდაათიანი წლების პროზაიკოსმა ჰერბერტ აიშენრაიხმა სოლიდარობა გამოუცხადა დოდერერისეულ რომანის პოეტიკას. ფრანც კაფკას შემოქმედების ძლიერ ზეგავლენას განიცდიდნენ ვალტერ ტომანი, ერის ფრიდი, ილზე აიშინგერი, ხოლო უდიდესი ავსტრიელი პოეტის გეორგ თრაკლეს შემოქმედებამ მნიშვნელოვნად განაპირობა პაულ ცელანისა და კრისტიანე ლავანტის ლექსების ქდერადობა.

თამამდელი ავსტრიული ლიტერატურიდან და უფროსი თაობის მწერალთა შემოქმედებიდან მიმდინარე ტენდენციების პარალელურად ახალგაზრდა ავტორები იმთავითვე დიაბტიკურესდნენ ექსპერიმენტით და ფორმის სიახლით. ამ თვალსაზრისით ომის შემდგომი ლიტერატურის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ეჟრნალმა „ბლანმა“ და მის ირგვლივ დაჯგუფებულმა მწერლებმა — კლაუს დემუმ, მაქს ჰიოლცერმა და პაულ ცელანმა, რომლებმაც სიურრეალიზმის პერმეტული პოეზია დაამკვიდრეს ავსტრიაში. აღსანიშნავია, რომ უფროსი თაობის მწერლები მხარს უჭერდნენ ახალგაზრდათა, ძიებებს, არ უპირობებოდნენ მათ, ესარჩლებოდნენ კიდევ, როცა უჩვეულო ლიტერატურით გაღიზიანებული მკითხველები თავს ესხმოდნენ. ამ მხრივ, სამაგალითოა ვერნერ რიშერშმიდის ურთიერთობა ახალგაზრდა მწერლებთან და მისი როლი ახალი პოეზიის დამკვიდრებაში, აგრეთვე სამოცდაათ წელს მიღწეული მაიმიტო ფონ დოდერერის ავტორი გამოსვლა „ვენის ჯგუფის“ ავანგარდისტული გაერთიანების დასაცავად. ამრიგად, ავანგარდისტული და ტრადიციული მიმდინარეობანი ომის შემდგომ ავსტრიულ ლიტერატურაში იმთავითვე გვერდოვერდ არსებობდნენ. ეს მშვიდობიანი თანაარსებობა ორმოცდაათიან და სამოციან წლებშიც გავრძელდა. ჯერ კიდევ პირველ ომის შემდგომ წლებში ერთსა და იმავე ბექდვით ორგანოში ლექსებს აქვეყნებდნენ როგორც კრისტიანე ლავანტი და კრისტიანე ბუსტა, ვინაც კლასიკური ავსტრიული პოეზიის ტრადიციებს აგრძელებდნენ, ასევე ავანგარდისტი პოეტები პაულ ცელანი და ინგებორგ ბაბმანი. მომდევნო პერიოდში გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება, რომელიც სამოციანი წლების მიწურულამდე წარმართავდა ავსტრიული სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარებას. ერთი მხრივ ეს იყო „ტოტალური რომანის“ და ე. წ. „მაგიური რეალიზმის“ ლიტერატურა, რომლის მამამთაყრებდაც მიჩნეულნი არიან მაიმიტო ფონ დოდერერი, ალბერტ პარის გიუტერსლო და გეორგ ზაიკო და მათთან ერთად ცნობილი მწერლები გერჰარდ ფრაიი, მანს ლებერტი, თომას ბერნჰარდი, ფრანც პიურინგერი და სხვანი, მეორე მხრივ ფეხი მოიკადა „ექსპერიმენტულმა ლიტერატურამ“, რომელიც დაკავშირებულია ორ ავანგარდისტულ დაჯგუფებასთან — „ვენის ჯგუფთან“ (ფრიდრიხ ახლაიტნერი, მანს კარლ არტმანი, კონრად ბაიერი, გერჰარდ რიუმი და ოსვალდ ვინერი) და ქალაქ გრაიცის ავანგარდისტულ გაერთიანებასთან „ფორუმ შტადპარკთან“. თუ „ტოტალური რომანის“ ავტორები მიზნად ისახედნენ თავიანთ ნაწარმოებებში აღედგინათ სამყაროს დარღვეული ჰარმონია, ხოლო „მაგიური რეალიზმის“ მწერლები ცდილობდნენ წარმოეჩინათ რეალური ცხოვრების მიღმა არსებული იდეალური და შეუცნობელი ძალები, მეორენი, ე. ი. ავანგარდისტი ავტორები, ყოველგვარი იდეოლოგიისაგან თავისუფალი ლიტერატურის შექმნისაკენ ისწრაფოდნენ. „ვენის ჯგუფის“ მწერლები და მათთან დაახლოებულ ავტორები (ფრიდერიკე მაირიოკერი, ანდრეას ოკოპენკო და სხვ.) წერდნენ ფონეტიკურ პრინციპსა და სიტყვათა თამაშზე დაფუძნებულ პროზას, ქმნიდნენ მონტაჟებს, დიალექტურ და ვიზუალურ ტექსტებს. ერთობ დიდი იყო ამ მწერლებზე სიურრეალიზმისა და დადაიზმის, აგრეთვე აუგუსტ შტრამის, მანს არპისა და გერტრუდ სტაინის ზეგავლენა.

თუ „ვენის ჯგუფი“ წმანდა ავანგარდისტული გაერთიანება იყო, „ფორუმ შტადპარკში“

ერთდროულად ორმა მიმართულებამ — ე. წ. ტრადიციულმა თბრობამ და ექსპერამენტულმა თბრობამ — იჩინა თავი. ამ ჯგუფში გაერთიანებულ მწერალთაგან მინდა გამოვეყო მარბარა ფრიშმუტი, გიუნტერ ფალკი და კლაუს პოფერი, განსაკუთრებით კი კერნთენელი პეტერ პანდ-კამ, რომელმაც დიდი გზა გახელო ბირველი პროტოკაციული პიესებიდან მოგვანო წლებია ფაქტზე, ფსიქოლოგიურად ჩამოქნილ, უაღრესად მგრძნობიარე ლირიკულ და ნოვანსირებულ პროზამდე.

უკანასკნელ წლებში ავსტრიული ლიტერატურის პანორამა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. მოდერნისტულ მიმდინარეობათა გვერდით თავი იჩინა სოციალურ-კრიტიკულმა და პრულეტარულმა ლიტერატურამ, რაც სრულიად ახალი მოვლენაა ავსტრიულ მწერლობაში. გამოჩნდნენ საინტერესო მწერლები: პეტერ შარანგი, პეტერ ტურიანი, ფრანც ინერპოფერი და ვერნერ კოფლერი. ეს კი იმისი საწინდარია, რომ ავსტრიული მწერლობა კვლავაც გააგრძელებს კლასიკური ავსტრიული ლიტერატურის საუკეთესო რეალისტურ ტრადიციებს.



კუპო ფონ კოფმანსტალი

წერილი

გერმანულიდან თარგმნეს ზურაბ კიკნაძემ და რეზო ვარალაშვილმა

ეს არის წერილი, რომელიც ვილიჰემ, ლორდმა შანდოსმა, ბათელი გრაფის უმცროსმა ვაჟმა მისწერა ფრენსის ბეკონს, შემდგომში გერულამელ ლორდსა და სენტ ალბანის ვიკონტს, რათა ბოდიში მოეხადა თავის მეგობართან სამწერლო საქმიანობაზე სრული უარის თქმის გამო.

თქვენს სიკეთეს მოწმობს, დიდად პატივცემულ მეგობარო, რომ არად ჩააგდეთ ჩემი ორწლიანი დუმილი და თავაზიანი წერილი მომწერეთ. სიკეთეზე მეტია, რომ თქვენი ზრუნვა ჩემზე, თქვენი შემფოთება იმ შინაგანი გაყინულობის გამო, თქვენი აზრით ჩემს სულს რომ დაუფლებია, ისე მსუბუქად და სევდანარევი ხუმრობის კილოთი გამოხატეთ, როგორც მხოლოდ დიდბუნებოვან ადამიანებს ძალუძთ, ვისთვისაც მოულოდნელი არ არის ცხოვრებისეული ფათერაკები და არ ეძლევიან სასოწარკვეთას.

თქვენს წერილს ჰაპოკრატეს აფორიზმით ასრულებთ: „Qui gravi morbo correpli dolores non sentiunt, iis mens aegrotat“¹ და ფიქრობთ, თითქოს მედიცინა განა მარტო იმისათვის მჭირდება, ჩემს სენსა ეძლიო, არამედ უფრო იმისათვის, ზედმეტად გავამახვილო გრძნობა ჩემი შინაგანი მდგომარეობის მიმართ. მინდა თქვენი საკადრისი პასუხი გაგცეთ, მინდა სრულიად გადაგიშალოთ გული, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვახერხო. ისიც კი არ ვიცი დანამდვილებით, კვლავ ისევ ის პიროვნება ვარ თუ არა, ვისაც თქვენი ძვირფასი წერილი მიმართავს; განა ეს ოცდაექვსი წლის კაცი ისევ ის ადამიანი ვარ, რომელმაც ცბრამეტი წლის ასაკში „პარისი“, „დაფნეს სიზმარი“, ეპითალამიუ-

¹ თუ მძიბე სენით შეპყრობილნი ტკივილს ვერ გრძნობენ, მაშ ვიხიბა ჰქონიათ სწეული.

მი" დავწერე, საკუთარ სიტყვათა ბრწყინვალეობით გაბრუებული პასტორალები, რომელთა გახსენებასაც ჩვენი ზეციერი დედოფალი და თითო-ორი კეთილგანწყობილი ლორდი თუ ინებებს ჯერჯერობით? ან, თუ ვნებავთ, გახსნიევ ისა ვარ, ვინც ოცდასამი წლის ასაკში ვენეციის დიდი მოედნის თაღებქვეშ საკუთარ არსებაში ლათინური ფრაზების ის წყობა აღმოაჩინა, რომლის სული, აღნაგობა და მოხაზულობანი მას შინაგანად უფრო ხიბლავდა, ვიდრე ზღვიდან ამოზიდული პალადიოსა და სან-სოვინის შენობები? ან თუ სხვა მხრივ არ შევცვლილვარ, პირწმინდად როგორ წამეშალა ამ ჩემი შეუღწეველი შინაგან არსიდან უდაძაბულესი აზროვნების უმწიფარ ნაყოფთა ყოველი კვალი და კრილობა და როგორ მოხდა, რომ ჩემ წინ გაშლილ თქვენს წერილში ასე უცხოოდ და ცივად შემომყურება იმ მცირე ტრაქტატის სათაური, უფრო მეტიც, ვერც კი მიცენია მასში სიტყვებისაგან შეთხზული ჩვეული სურათი და მხოლოდ ცალკეულ სიტყვათა გააზრებით შევძელი მისი შინაარსის გაგება, თითქოს პირველად მქონოდეს საქმე ამგვარად შეკავშირებულ ლათინურ სიტყვებთან? თუმცა მე მაინც იგივე ვარ და ეს კითხვები მხოლოდ ცარიელი რიტორიკაა, რომელიც მანდილოსნებთან მუსაიდისას ან ყოველდღიურ ყოფაში საქმიან ხალხთან საუბრის დროს თუ გამოადგება კაცს, რომელთა ძალაუფლების საშუალებებზე დიდად აზვიადებს ჩვენი დროება, თუმცა ისინი სრულებითაც არ კმარა საგანთა ბუნებაში შესაღწევად. მაგრამ მე უნდა გადაგიშალოთ ჩემი შიდა სამყარო, გამორჩეულობა, სულიერი უკუღმართობა, თუ ვნებავთ, სწეულება ჩემი სული-სა, რომ დარწმუნდეთ, რა გადაულახავი უფსკრული მაშორებს როგორც მომავალი ლიტერატურული ნაშრომებიდან, ასევე იმათგან, რომლებიც უკან მაქვს მოტოვებული და ვერ გამიბედავს საკუთარი ვუწოდო, ისეთი უცხონი გამხდარან ჩემთვის.

ალარც კი ვიცი, რა უფრო მეტ ალტაცებას იწვევს ჩემში, თქვენი შთამაგონებელი კეთილგანწყობილება, თუ თქვენი მეხსიერების გასაოცარი სიმახვილე, როცა მახსენებთ სხვადასხვა წერილმან გეგმებს, რომელთაც გატაცებით ველოლიავებოდი ჩვენი ერთად ყოფნის საამურ დღეებში. მართლაც როგორ მინდოდა აღმეწერა ჩვენი აწ განსვენებული დიდებამოსილი ხელმწიფის, მერვე ჰაინრიხის ზეობის პირველი წლები! ჩემი პაპის, ექსტერელი პერცოგის დანატოვარი ჩანაწერები საფრანგეთსა და პორტუგალიას შორის მოლაპარაკების შესახებ ერთგვარ საფუძველს მიქმნიდნენ ამ წიგნის დასაწერად. ხოლო სალუსტისაგან იმ ბედნიერ, ცხოველმყოფელ დღეებში თითქოს გაუჭედელი მიღებით იღვრებოდა ჩემში ფორმის ცოდნა, იმ ღრმა, ჭეშმარიტი, შინაგანი ფორმისა, რომლის მხოლოდ წინათგრძნობა თუ შეუძლია კაცს რიტორიკულ თვალთმაქცობათა გაღავანს მიღმა, იმ ფორმისა, რომელზეც ვეღარ ვიტყვი, რომ იგი მატერიალურობას აწესრიგებდეს, ვინაიდან იგი გამსჭვალავს მას, ზეადიტაცებს მას და ერთდროულად ქმნის პოეზიას და სინამდვილეს, მარადიულ დაპირისპირებულ ძალთა ურთიერთმონაცვლეობას, ისეთ რასმე, რაც დიდებულია, როგორც მუსიკა და ალგებრა, ეს გახლდათ ჩემი საოცნებო გეგმა.

რად უნდა სჭირდებოდეს ადამიანს გეგმების დასახვა?

სხვა გეგმებითაც ვიქცევდი თავს. თქვენმა კეთილმა წერილმა ისინიც გამახსენა, წვეთ-წვეთობით მწოვდნენ ისინი სისხლს და აბლა ნაღვლიანი ქინკლებივით დაბორილობენ ბნელ კედელზე, რომელსაც აღარ ეცემა ბედნიერი დღეების მზე.

მე ვაპირებდი, რომ ანტიკური ხალხებისაგან დანატოვარი არაკები და მითიური მოთხრობები, რომელნიც ალაფრთოვანებდნენ მხატვრებსა და მოქანდაკეებს, ამომეხსნა, როგორც იეროგლიფები იდუმალი და ამოუწურავი სიბრძნისა, რომლის სუნთქვაც თითქოს მომწვდენია კიდევ საფარველს მიღმიდან.

მე მაგონდება ეს გეგმა, მაგრამ ის კი არ მახსოვს, თუ რა უწყობილობა და სულიერი სიხალისე ასაზრდოებდა მას. როგორც ქანცგაწყვეტილი ირემი მიილტვის წყლისაკენ, ისე მწყუროდა შემელწია ამ შიშველ, მოლაპლაპე სხეულებში, ამ სირინოზებსა თუ დრიადებში, ამ ნარცისსა თუ პროტევსში, პერსევსა თუ აკტეონში. მათში შეზრდა მინდოდა და იქიდან მათი ენით ამეტყველება. მინდოდა, კიდევ ბევრი რამ მინდოდა. ვაპირებდი, „Apophthegmata“¹-ს ისეთივე კრებული შემედგინა, იულიუს კეისარს რომ ჰქონდა გამოცემული: ხომ გახსოვთ შენიშვნა ციცერონის ერთ წერილში ამის თაობაზე. მე ვაპირებდი ერთმანეთის გვერდით მომეთავსებინა ყოველგვარი გასათცარი გამონათქვამი, რომელთა შეკრებასაც მოვახერხებდი მოგზაურობის ხანს ან ჩვენი დროის სწავლულ ადამიანებთან, გონებამახვილ მანდილოსნებთან, ხალხის წრიდან გამოსულ განსაკუთრებულ ადამიანებთან, გამორჩეულ პიროვნებებთან ურთიერთობისას. ასევე მინდოდა ამომეკრიბა ანტიკური და იტალიელი ავტორების თხზულებებიდან ყველა ლამაზი გამოთქმა და ნაფიქრალი, ყოველნაირი სულიერი სამკაული, რასაც კი წიგნებში, ხელნაწერებსა თუ პირად საუბრებში წავაწყდებოდი. გარდა ამისა, აქ მოხვდებოდა ბრწყინვალე ზეიმებასა და პროცესების აღწერილობანი, გახმაურებული ბოროტმოქმედებანი და სიშმაგემდე მისული თავდავიწყების ამბები, ნიდერლანდების, საფრანგეთისა და იტალიის უდიადესი და უსაყვარლესი ძეგლების დახასიათებანი და კიდევ მრავალი სხვა რამ. მთელი თხზულება კი უნდა დაემშვენებინა სათაურს „Nonse te ipsum“².

მოკლედ რომ ვთქვა, გამუდმებული ზარხოშისა და სიმთვრალის მდვომარეობაში მყოფს მთელი ყოფიერება ერთ დიდ მთლიანობად მეჩვენებოდა: ასე მეგონა, არ არსებობდა წინააღმდეგობა სულიერ და ფიზიკურ სამყაროს შორის, არც სინატიფესა და უხეშობას შორის, არც ხელოვნებასა და არახელოვნებას შორის, არც მარტოობასა და საზოგადოებაში გათქვეფას შორის. ყველაფერი — თავგზააარეული შემსლილობა, ისევე როგორც ესპანური ცერემონიალის უკიდურესი დახვეწილობა, ახალგაზრდა გლეხების გაუთლელობა თუ უნატიფესი ალეგორიები ხალას ბუნებას შემაგრძნობინებდა და მთელ ბუნებაში ჩემსავე თავს მაჭვრეტინებდა. როდესაც ჩემს სანადირო ქოხში აქაფებულ რძეს ვეწაფებოდი, თმაგაბურძგნულმა კაცმა რომ ჩამოწველა ახლახან ლამაზ, თვინიერთვალეება ძროხის ცურებს ხის კასრში, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს უძველესი წიგნიდან ტკბილსა და ქაფქაფა სულიერ საზრდოს ვეწაფებოდი. ერთი ძალით მოქმედებდა ორივე, ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს არც სიზმრისეული და ზემიწიერი, არც ფიზიკური ზეგავლენის თვალსაზრისით. ეს განცდა მოიცავდა მთელ ცხოვრებას, ყველაფერს, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა: ყველგან ყველაფრის გულში ვიყავ შეღწეული და

1 აპოთეგმატა — გამონათქვამთა კრებული.

2 „არა მხოლოდ ჩემთვის“ (ლათ.).

არასოდეს მიფიქრია, მეჩვენება-მეთქი ეს ყველაფერი! გაურკვეველი წინათ-გრძნობა მეუბნებოდა, რომ ყოველივე სიმბოლო იყო და ყოველი ქმნილება მეორის გასაღებს წარმოადგენდა; ისეთი განცდა მქონდა, თითქოს შემდეგ ყოველი მათგანისათვის ყინწში ჩამეველო ხელი და ამით მრავალს სხვა რამე-მეცნო, რასაც კი გასწელებოდა ჩემი გონება. აქედან გასაგებია, რომელი-თაურიც, რომლის წამძვარებასაც ვაპირებდი ამ ენციკლოპედიური წიგნი-სათვის.

დაე მან, ვისთვისაც ახლობელია ასეთი შეხედულებანი, განგების ხელი დაინახოს იმაში, რომ მე გაზვიადებული თვითდაჯერებულობის მწვერვალიდან ამ უკიდურეს სულმოკლეობამდე და უძლურებამდე დავეშვი და რომ ეს ჩემი შინაგანი არსების მყარ მდგომარეობად იქცა. მაგრამ ამგვარ რელიგიურ შეხედულებებს ჩემზე არავითარი ძალა არა აქვს. ისინი ობობას ქსელივით მახვევია, რომელთა წილ გააღწევენ ჩემი აზრები, რათა სიცარიელეში შთაინთქან, თუმცა მრავალი მათი თანამგზავრი შიგ იხლართება და ყუჩდება. რწმენის იდუმალებანი ჩემთვის ერთ ამალღებულ ალეგორიად არის შეკუმშული, რომელიც ჩემი ცხოვრების ასპარეზს კაშკაშა ცისარტყელასავით ადგას თავს; იგი მუდამ შორს არის ჩემგან და ყოველთვის მზადაა უკანდასახევად, თუ მე აზრად მომივა დავედევნო და მისი შესამოსელის კალთებში გავეხვიო.

მაგრამ მიწიერი ცნებებიც ამგვარადვე მისხლტებიან ხელთაგან, ჩემო პატივცემულო მეგობარო. როგორ აგიწეროთ ეს უჩვეულო სულიერი ტანჯვა-ნი — ნაყოფით დატვირთული ტოტების სწრაფი ზეატყორცნა, როგორც კი ხელს გავიწვდი ნაყოფის მოსაწყვეტად ან მოჩუხჩუხე ნაკადულის უკუმბიკცევა მწყურვალე ბაგეთაგან?

მოკლედ გეტყვით, რაც დამემართა: მე სრულიად დავკარგე დალაგებულად ფიქრისა და ლაპარაკის უნარი. თანდათან გადავეჩვიე რაიმე ამალღებულ ან განყენებულ თემაზე საუბარს და ისეთი სიტყვების წარმოთქმას, რომელთაც ჩვეულებრივ დაუფიქრებლად და თავისუფლად ხმარობენ. მე განვიცდიდი აუხსნელ უსიამოვნებას, როცა ისეთი სიტყვების წარმოთქმა მიხდებოდა, როგორიცაა „სული“, „სამშვიდელი“, „სხეული“. შინაგანად შეუძლებლად მეჩვენებოდა აზრი გამომეთქვა სამეფო კარის ამბების, პარლამენტში მომხდარი შემთხვევებისა და კიდევ სხვა მრავალი რამის თაობაზე. მაგრამ ეს ხდებოდა არა იმიტომ, თითქოს მე ვინმეს ან რაიმეს ანგარიშს ვუწევდი — თქვენ ხომ იცნობთ თავქარიანობამდე მისულ ჩემს პირდაპირობას, — არამედ იმიტომ, რომ განყენებული სიტყვები, რომელთაც ბუნებრივად უნდა იყენებდეს ენა, როცა რაიმეს შესახებ აზრის გამოთქმაა საჭირო, ჩემს ბაგეებზე ობმოკიდებული სოკოებივით იშლებოდა. ერთხელ, როცა ბავშვური სიცრუის გამო ჩემ ოთხი წლის გოგონას ჭკუის დარიგება დავუპირე, — ყოველთვის სიმართლე უნდა ილაპარაკო-მეთქი და სხვა, უცებ ენაზე მომდგარი ცნებები ისე მრავალფერად აციაგდნენ, ისე ადვილად დაიწყეს ერთმანეთში გადასვლა, რომ თითქოსდა კარგად წამოწყებული წინადადება ენის ბორძიკითლა დაეასრულე, თითქოს ძალა გამომცლოდეს, გავფითრდი, თავში სისხლი მომაწვა და მეც ანგარიშმი-უცემლად მივატოვე ბავშვი, კარი გამოვიჯახუნე, მოვახტი ცხენს და ერთ უკაცრიელ საძოვრისაკენ გავაჰყენე. მხოლოდ თანდათანობით მოვეგე გონს და აღვიდგინე სულიერი წონასწორობა.

მაგრამ ხელინელ განგივით მომეკიდა ეს ეჭვი. ოჯახურ წრეში ში-

ნაურ საქმეებზე საუბრისას გამოთქმული აზრებიც კი, რომელთაც ჩვეულებრივ არც უფიქრდებიან და მოვარეულის დამაჯერებლობით წარმოთქვამენ ხოლმე, ისეთი საეჭვო გახდა ჩემთვის, რომ იძულებული შევიქნენი თავი ამერიკელებთან ასეთ საუბრებში მონაწილეობაზე. რაღაც აუხსნელად ჩვეულებრივადსა-ოკებელი ბრაზი წამეკიდებოდა ხოლმე, როცა ასეთ რასმე ~~სამეცნიერო~~ და ეს საქმე ამა და ამ კაცისთვის ავად თუ კარგად დამთავრდაო, შერიფი N ბოროტი აღამიანია, მოქანდაკე T კარგი აღამიანია, მოიჯარე M ცოდოა, ვინაიდან მფლანგველი შვილები ჰყავს; ესა და ეს კაცი შურს იწვევს, ვინაიდან მისი ქალიშვილები კარგი მეოჯახეები არიან, ერთი ოჯახი კეთილდღეობაშია, მეორე — გაპარტახებული. ასეთი მსჯელობები შეტისმეტად დაუსაბუთებელი, ცრუ და საფუძველს მოკლებული შეჩვენებოდა. შინაგანად რაღაც მაიძულებდა, რომ ყველა საგანი, რომელიც კი ასეთ საუბრებისას იხსენიებოდა ხოლმე, უშუალოდ ახლოს მეხილა, როგორც ერთხელ გამაღიღებელი შუშის ქვეშ ჩემი ნეკის კანი დავინახე, დაკვალულ და დაღარულ მინდორს რომ ჰგავდა; ასევე მემართებოდა მაშინაც, როცა საქმე აღამიანებს და მათ საქციელს შეეხებოდა. ვერა და ვერ მოვახერხე მათი აღქმა ჩვეულებებისეული გამაიოლებელი მზერით, ყველაფერი ნაწილ-ნაწილ შემსხვრეოდა, ეს ნაწილები კიდევ უფრო მცირე ნაწილებად, ისე რომ ცნების საზღვრებში არაფერი თავსდებოდა. ცალკეული სიტყვები დაცურავდნენ ჩემ ირგვლივ, თვალში მხვდებოდნენ და მაშტერდებოდნენ და მეც ვაშტერდებოდი მათ. ისინი მორევს ჭმნიდნენ და თავბრუ შესხმოდა შიგ ჩახედვისას, ისინი გამუდმებით ტრიალებდნენ ჩემ ირგვლივ, მაგრამ თუ შეაღწევდი მათში, სიცარიელეში აღმოჩნდებოდი.

ერთხელ ეცადე თავი დამეღწია ამ მდგომარეობიდან და ანტიკურ აეტორთა სულიერ სამყაროს შევხიზნებოდი. პლატონს თავი ავარიდე, ვინაიდან მისი ხატოვანი აღმაფრენისა მეშინოდა. ყველაზე დიდ იმედებს მაინც სენეკაზე და ციცერონზე ვამყარებდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ განსკურნავდა შემოსაზღვრულ და მტკიცე ცნებათა მათეული ჰარმონია. მაგრამ ვერ იქნა და ვერ გავალწიე მათთან. მშვენივრად მესმოდა მე ეს ცნებები: ჩემ წინ იშლებოდა საოცარი თამაში მათი ფარდობითობისა, ისინი დიდებულ შადრევნებს ჰგავდნენ, რომელნიც ოქროს ბურთებს ათამაშებენ; მე შემუქლო მებოინა მათ თავზე და მეცქირა, როგორ ეთამაშებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათ მხოლოდ ერთმანეთთან ჰქონდათ საქმე და ჩემი აზროვნების უღრმესი, უპიროვნულესი საგანი მათი ფერხულის გარეთ რჩებოდა. ამ ცნებათა შორის მყოფს საზარელი სიმარტოვის გრძნობა მეუფლებოდა, თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს თვალამოვსებული ქანდაკებების ბაღში ვყოფილიყავი გამოკეტილი; და მე ისევ ბუნებას მივეცი თავი.

მას მერე ისეთ არსებობას ვეწვევი, რასაც შეიძლება თქვენ ვერც მიხვდეთ, იმდენად უგონოდ და უაზროდ მიედიდება იგი, თუმცა ხალისიანი და ცხოველმყოფელი წუთებისგან არცთუ საყსებით არის დაცლილი, როგორც ჩემი შეზობლების, ნათესავების და მთელი ამ სამეფოს მემამულეთა უმრავლესობის არსებობა. მაგრამ მე გამიჭირდება მივანიშნოთ, თუ რაში მდგომარეობს ამ წუთების სიკარგე. სიტყვებმა ისევ მიმტყუნეს. ვინაიდან სრულიად გამოუთქმელია და ალბათ სახელიც არა აქვს იმას, რაც ასეთ წუთებში მეცხადება, როცა ჩემი ყოველდღიური ყოფიერების რამე მოვლენა ჭურჭელივით პირთამდე აღივსება ხოლმე უმაღლესი ცხოვრების ჭარბი ნაკადით. არ მოეგლი, რომ მაგალითის მოწვევლების გარეშე მიმიხვდებით, რისი თქმაც მსურს, და ამი-

ტომ უნდა მომიტევოთ ეს ჩემი ბრიყვეული მაგალითები. სარწყავი ჭურჭელი, შინდორში დატოვებული ფარცხი, მზეზე მწოლიარე ძაღლი, მიყრუებული სასაფლაო, ხეიბარი კაცი, გლეხის უბადრუკი ქოხი ყოველივე ეს შეიძლება შექცეს გამოცხადების ჭურჭლად. ყოველივე ამას და სხვა ათას მსგავს საგანს, რომელთაც სხვა დროს თვალი გულგრილად გადაევლება ხოლმე, შეიქცევა ჩემთვის უცებ, რაღაც წუთს, რომლის მიახლოებასაც ვერც კი ვიგრძნობ წინასწარ, ისეთი ამაღლებული და ამაღლებებელი იერა მიეცეს, რომ მის გამო-სახატავად უძღური აღმოჩნდეს სიტყვა. კიდევ მეტიც, ხანდახან შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ეს მხოლოდ გარკვეული წარმოდგენა იყოს არარსებულ საგანზე, რასაც წილად ხედება ხოლმე ეს გამოუცნობი გამორჩეულობა და ისიც პირთამდე აღივსება ღვთაებრივი განცდის შეუმჩნევლად მზარდი ნაკადით. ამას წინათ განკარგულება გავეცი, რომ ჩემი რბის სარდაფებში ბლომად დაეყარათ ვირთხებისათვის საწამლაფი. იმავე საღამოს ცხენით გავედი სასტირნოდ და ამაზე აღარც მიფიქრია. და აი, როცა ცხენი ნელი ნაბიჯით მიმყავდა ღრმა ხნულში და ირგვლივ არაფერი ჩანდა, გარდა აქა-იქ აფრენილი მწყერებისა, შორს კი ტალღებივით ამობურცულ მინდვრებს მიღმა დაბლა ეშვებოდა უზარმაზარი მზე, უცებ გამეხსნა სულის სიღრმეში სულთმობრძავი ვირთხებით საესე სარდაფი. მე ყველაფერი შევიგრძენი: საწამლაფის მოტკბო, მძაფრი სუნით გაჟღენთილი სარდაფის ნესტიანი ჰაერი, განწირული ყვფა და წრიპინი, ობმოკიდებულ კედლებს რომ ეხლებოდა, ერთმანეთზე გადაკიანძული, უსასოთოდ დაკრუნჩხული სხეულები, გამოსასვლელის საძებრად გამმაგებული წრიალი, ცოფიანი მხერა, როცა გაქედოლ ღრიჭობთან ორნი შეასკდებოდა ერთმანეთს. მაგრამ რისთვისღა ვაცდუნებ ისევ და ისევ სიტყვებს, როცა უკვე უარვყავი ისინი. ხომ გახსოვთ, ჩემო მეგობარო, ის გასათცარი აღწერილობა ტიტუს ლივიუსთან, რომელიც წინ უძღვის ალბა ლონგას საბოლოო დაღუპვას, — როგორ დაარწის ხალხი ქუჩებში, რომელთაც უკანასკნელად ხედავს... როგორ ეშვებოდებოდა მწობლიური ქალაქის ქვაფენილებს. გარწმუნებთ, ჩემო მეგობარო, რომ ყოველივე ამას ჩემს სულში ვატარებდი აღმო-დებულ კართაგენთან ერთად. მაგრამ ეს უფრო მეტი იყო, უფრო ღვთაებრივი და უფრო ცხოველურიც. ამავე დროს ეს იყო აწმყო, ყველაზე უფრო სრული, დიდებული აწმყო. აქ იყო დედა, რომელსაც გარს ეხვია მომაკვდავი, აცახცახებული შვილები და რომლის მზერაც მიპყრობილი იყო არა ამ სულთმობრძავთადმი, არა ამ მუნჯი კედლებისადმი, არამედ სიცარიელისადმი, რომელიც ამ მზერას კიდევ იქით, ამ სიცარიელის მიღმა, უსასრულობაში აგზავნიდა და თან კბილების ღრჭიალს ატანდა მას! — იმ თანმხლებ მონას, რომელიც ზარდაცემული იდგა სასოწარკვეთილ ნიობეს გვერდით და თვალს ადევნებდა, თანდათანობით როგორ ქვაედებოდა იგი, ალბათ გამოცდილი ექნებოდა, რაც მე განვიცადე, როცა ამ ვირთხის სული კბილებს უღრჭენდა ჩემში საზარელ ბედისწერას. მომიტევეთ ეს აღწერილობა, მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს თანაგრძნობით ვყოფილიყავი ალესილი, ნუ იფიქრებთ, თორემ ჩემი მაგალითი მი-ხანს ვერ მიადწევს. ეს გაცილებით მეტიც და გაცილებით ნაკლებიც იყო, ვიდრე თანაგრძნობა: ეს გახლდათ უკიდურესი ზიარება მათი ბედისადმი, იმ არსებებში გადაღვრა ანუ იმის შეგრძნება, რომ სიცოცხლისა და სიკვდილის, სიზმრისა და სიცხადის ფლუიდი რაღაც წამით მათში გადაიღვარა — მაგრამ ნეტავ საიდან, რა გზით? რა საერთო უნდა ჰქონდეს ამას თანაგრძნობასთან

ან ადამიანთათვის გასაგებ აზრთა კავშირთან, როცა მეორე საღამოს კაკლის ხის ქვეშ სარწყავი დაეინახე, რომელიც მებაღეს დარჩენოდა იქ, და როცა ამ სარწყავმა და შიგ ჩატოვებულმა წყალმა, რომელიც შავად მოჩანდა ჩრდილში, აგრეთვე რომელიღაც წყლის ხოჭომ, ერთი ბნელი ნაპიროდან მეორისაკენ რომ მიცურავდა წყლის ზედაპირზე, ამ უმნიშვნელო წყრილმანთა შეკავშირებამ ისე გამსჭვალა უსასრულობის უშუალო განცდით, რომ თმის ძირებიდან ტერფებამდე ყრუანტელმა დამიარა. მე რომ ამის გამოხატვა შემეძლოს, ამისთვის საჭირო სიტყვებისათვის რომ მიმაგნებინა, მაშინ ქერუბიმსაც კი, რომელიც არ მწამს, ვაძულებდი მიწაზე ჩამოსულიყო. უხმოდ დავტოვე ის ადგილი; მას მერე ბევრი ხანი გავიდა, მაგრამ როგორც კი თვალს შევასწრებ ამ კაკლის ხეს, მაშინვე კრძალვით მოვარიღებ მზერას, ვინაიდან არ მინდა დავაფრთხო სასწაულის ის შემორჩენილი განცდა, ჯერაც რომ ნისლივით ბურავს მის ძირს, არ მინდა გავაძევო ის ზებუნებრივი ძრწოლა, რომელიც დღემდე მიმაღულა მახლობელ ბუჩქნარში. ასეთ წუთებში ყოველი უმნიშვნელო ქმნილება — ძალი, ხოჭო, ვირთხა, გამხმარი ვაშლის ხე, ფერდობს აყოლილი დაკლაკნილი საურმე გზა, ხავსმოკიდებული ქვა ჩემთვის მეტს ნიშნავს, ვიდრე მთელი არსებით შენზე მონდობილი უმშვენიერესი სატრფო ღამეულ უბედნიერეს წუთებში. ეს უტყვი, ზოგჯერ უსიცოცხლო არსებანი ისეთი სისავსით, ისეთი შუმი სიყვარულით მოისწრაფიან ჩემკენ, რომ ჩემი გაბედნიერებული თვალი ვერც ერთ მკვდარ ლაქას ვერ ამჩნევს ირგვლივ. ყოველივე, რაც კი არსებობს, ყოველივე, რაც კი მახსენდება, ყოველივე, რასაც ვვლენა ჩემი აფორიაქებული ფიქრები, ამ დროს განსაკუთრებული აზრით ივსება ჩემთვის. საკუთარი სიმძიმეც, ჩემი ტვინის ჩვეული დაბინდულობაც კი რაღაცას ნიშნავს; ჩემ შიგნით და ჩემ ირგვლივ რაღაც მომხიბლავ, უსასრულო წინააღმდეგობებს ვამჩნევ და არ არსებობს ამ დაპირისპირებათა თამაშში ისეთი რამ, რაშიც არ შემეძლოს შეღწევა. ამ დროს ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ჩემი სხეული მხოლოდ და მხოლოდ შიფრებისგან შედგებოდა, რომლებიც ყველა მოვლენის გასაღებს ინახავს თავის თავში; ან თითქოს სრულიად ახალი, წინათგრძნობით აღსავსე დამოკიდებულება მყარდებოდა ჩემსა და მთელ ყოფიერებას შორის, როგორც კი გრძნობით აზროვნებას ვიწყებ. შეწყდება თუ არა ეს უცნაური მისნობა, ველარაფერს ვერ ვამბობ მასზე. ჩემთვის ისევე შეუძლებელი ხდება ამ ჰარმონიის გასაგები სიტყვებით გამოხატვა, რომელიც მთელ სამყაროიანად მომიცავს ხოლმე, როგორც ჩემს კუჭ-ნაწლავში მიმდინარე პროცესებისა და სისხლის მიმოქცევის ზუსტი მინიშნება.

თუ ამ უცნაურ შემთხვევებს არ მივაქცევთ ყურადღებას, რომელთა შესახებაც ისიც კი არ ვიცო, რას მივაწერო ისინი სულიერ თუ ფიზიკურ მოვლენებს, მე წარმოუდგენელ სიცარიელეში ვცხოვრობ და ამას გარდა დიდი ჯაფა მჭირდება იმისათვის, რომ დავუმალო ჩემს თავს შინაგანი გახეევა, ხოლო ხელშინაურთ გულგრილობა, რასაც ჩემში მეურნეობის საკითხები იწვევს. რიგიანი და მკაცრი აღზრდა, რასაც ცხოვრებულ მამაჩემს ეუმადლი, და ადრევე გამომუშაებული ჩვევა, დღის არც ერთი მონაკვეთი არ დამრჩეს შეუვსებლად, მე მგონი, ერთადერთი საყრდენებია, რომლებიც ჩემს ცხოვრებას გარეგნულად საკმარის მდგრადობასა და ჩემი პიროვნებისა და წოდებისათვის შესაფერ იერს სძენს.

ჩემი სახლის ერთი ფლიგელის გადაკეთება წამოვიწყე და დროდადრო არქიტექტორთან მიხდება ლაპარაკი მშენებლობის თაობაზე. მამულებსაც ვუძღვები ამავე დროს, ალბათ ჩემს მოიჯარეებსა და მოხელეებს მეტისმეტად სიტყვააძუნწ კაცად მივაჩნევარ, მაგრამ არა მგონია ფიქრობდნენ, რომ უწინდელზე უარესი ვიყო. ვერც ერთი მათგანი, ვინც ქუდმუხედვით უმხედება თავის კარის წინ, როცა საღამოობით ცხენით ჩავუვლი ხოლმე ფურჩხტებებს, რომ ჩემი მზერა, რომელსაც მოწიწებით ეგებებიან, უტყვი სევდით დამძალი მორებისკენ გარბის, რომელთა ქვეშაც საანკესე ჭიაყელები ეგულება, მერე ვიწრო, გისოსიანი ფანჯრის მიღმა ოთახში შეაღწევს, სადაც კუთხეში ფერადი ზეწრით გადაფარებული დაბალი საწოლი იმას ელოდება, ვისაც სიკვდილი მოსწყურებია, ან იმას, ვინც უნდა დაიბადოს: რომ ჩემი თვალი დიდხანს არ შორდება გაქუცულ ძაღლებს ან კატას, ყვავილის ქოთნის ნამსხვრევებს შორის მოქნილად რომ მიაქვს ტანი, რომ ეს თვალი გლებური ყოფის ამ ლარბულ და უხეშ საგნებს შორის იმ ერთ, ყველასაგან შეუმჩნეველ საგანს დაეძებს, რომელიც შეუმჩნეველად მიუგდიათ თუ მიუყუდებიათ და რომლის შეუხედავი მოყვანილობა და მუნჯი არსი გამოუცნობი, უსიტყვო და უსახლვრო აღტაცების წყაროდ შეიძლება მექცეს. ვინაიდან ჩემი გამოუთქმელი სანეტარო განცდა უფრო მწყემსის შორეულ და განმარტოებულ კოცონში იღებს დასაბამს, ვიდრე ვარსკვლავებით მოჭედულ ცაზე; იგი უფრო სასიკვდილოდ განწირული ჭრიჭინას უკანასკნელმა წამოწრიპინებამ შეიძლება გამოიწვიოს, როცა შემოდგომის ქარი ზამთრის ღრუბლებს მირეკავს უსიცოცხლო მინდვრებს ზემოთ, ვიდრე ორღანის გუგუნმა. მე ხანდახან ფიქრში თავს კრასუსს ვადარებ — ორატორს, ვისზეც ამბობდნენ, თითქოს ისეთი ძალით შეყვარებოდეს მურენა, დეკორატიული ტბორის ლეგა, წითელთვალა მუნჯი თევზი, რომ ქალაქში მითქმა-მოთქმა დაუწყიათ... ხოლო როცა სენატში დომიციუსმა დაცინვით მიაძახა, თევზის სიკვდილის გამო ცრემლები გიღვრიაო, კრასუსს უბასუსნია: ჩემი თევზის სიკვდილის გამო მე ის ვავაკეთე, რაც შენ არც პირველი და არც მეორე ცოლის სიკვდილის გამო არ გიქნიაო.

ვერ გეტყვით, რამდენჯერ გამხსენებია კრასუსი და მისი მურენა, როგორც ჩემი თვითობის ანარეკლი, რომელიც საუკუნეთა უფსკრულს ეფინება. გამხსენებია არა იმ პასუხის გამო, რომელიც მან დომიციუსს გასცა ამ პასუხით ლაზღანდარები გადმოიბირა თავისკენ, ისე რომ მთელი ეს ამბავი ხუმრობით დამთავრდა. მე თავად ამბავი მიკუმშავს გულს, თავად ამბავი, რაც იგივე დარჩებოდა, გულწრფელი მიწუხარებითაც რომ დაეტერა დომიციუსს თავისი ცოლები. ასეთ შემთხვევაშიც დაუბირისპირდებოდა მას კრასუსი მურენისთვის დაღვრილი ცრემლით. ეს ადამიანი, რომლის კომიკურობა და საძრახისობა ამ ამბავებულ საგნებს შორის, ქვეყნისმპყრობელ სენატში, ესოდენ თვალში საცემი უნდა ყოფილიყო, სავსებით ქვეშეცნეულად, აუხსნელი ძალით მაიძულებს ვიფიქრო მასზე და უაზრობად მეჩვენება ამ ჩემი განცდის სიტყვიერი გამოხატვა.

კრასუსის სახეს ხანდახან ძილში აღვიქვამ ხოლმე, როგორც ნამსხვრევს, რომლის გარშემო ყველაფერი ჩირქდება, ფეთქავს და მწიფს. ასეთ შემთხვევებში მეჩვენება, თითქოს თავად მე ვდულდე, ვისროდე ბუშტუკებს და ვბუყბუყებდე. ყველაფერი ცხელებიანი აზროვნებაა, ისეთი მასალით აზროვნება, რომელიც გაცილებით უშუალო, დენადი და მღვივანია, ვიდრე სიტყვები. ესეც

ფიქრთა მორევის ტრიალია, მაგრამ არა სიტყვათა მორევის მსგავსი, უსასრულოებაში რომ მიჰყავხარ, არამედ ისეთი, რომელიც შენს თავთან გაბრუნებს და უღრმეს სიმშვიდეს გაზიარებს.

მეტისმეტად შეგაწუხებთ, ჩემო დიდად პატივცემულო მეგობარებო, თუ სხვა სხელი მდგომარეობის ვრცელი აღწერილობით, მე რომ ჩვეულებრივად მსახიობთათვის გამინდვია.

თქვენ დიდზე დიდი სიკეთე გამოიჩინეთ, როცა გულისწყრომა გამოთქვით იმის თაობაზე, რომ აღარ მოგდით ჩემი წიგნები, რომლებიც „ჩემთან ურთიერთობას გინაზღაურებდნენ“. ამ წუთას მე ისეთი სიცხადით და ამივე დროს ისეთი მტანჯველი განცდით ვგრძნობ, რომ ვედარასოდეს დავწერ ვერც ინგლისურ და ვერც ლათინურ წიგნს; და ამას მხოლოდ ერთი მიზეზი ექნება, რომლის შემანსკოთებელი უცნაურება თქვენმა დაუბინდავმა თვალმა უნდა შეაფასოს და რომლის ადგილის გახსაზღვრაც თქვენ წინ გაშლილ სულიერ და ფიზიკურ მოვლენათა პარპონიულ სამყაროში თქვენსავე უსასრულო სულიერ უპირატესობას უნდა მივანდო, სახელდობრ. ის მიზეზი, რომ ენა, რომელზედაც მე არათუ წერას, არამედ ფიქრსაც კი შევძლებდი, არის არა ლათინური ან ინგლისური, არა იტალიური ან ესპანური, არამედ ისეთი ენა, რომლის ერთი სიტყვაც არ არის ჩემთვის ჭერჭერობით ცნობილი, რა ენაზედაც მე შესაძლოა ოდესმე სამარეში გავცე პასუხი უცნობ მსაჯულს.

ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ შეეძლო ამ, როგორც ჩანს, უკანასკნელი წერილის უკანასკნელ სიტყვებში, რომელსაც მე ფრენსის ბეკონს ვწერ, ჩავაქსოვო მთელი ის სიყვარული და მადლიერება, მთელი ჩემი უსასრულო აღტაცება, რაც ჩემი სულის ამ უდიდესი კეთილისმყოფელისადმი, ჩემი დროის უპირველესი ინგლისელის მიმართ მაქვს და მომავალშიც შექნება, ვიდრე სიკვდილი არ წაშლის მას.

ფილ. შანდოსი

A. D. 1603, აგვისტო 22.

□

რ. მ. რილკე

გერმანულიდან თარგმნა თამაზ ჩხეიკელი

წიგანობრძნობა

მე ტარძალაღი დრომა ვიყო თიანჭო ხივრცით
 გარემოცული,—
 გუმანიითა ვგრძნობ გრივალსა და ავღარს მოწურვილს,
 თუშცა ჯერ დაბლა ფითთოლიც კი არ შერხეულა.
 ჯერ არ ზრიაღებს ფანჯრის მინა ქარას დაბერვით,

1 ღვთის წელსა (ლათ.).

ბუსრებში მყუდრო სიჩუქეა, დუმს ყველაფერი
და მტყერა ადევს გაყუჩებულ ნივთთა სხეულებს...
მაგრამ მე უკვე ვგრძნობ ამინდებს დატყენილს შფოთით,
ყაშლები ხელად,
ვოკაცები,
ზღვასავით ვღელავ,
და მარტოღმარტო ვისრავებამ ამ ქარაშოტით.



□

შ ე მ თ ღ ვ თ ე ა

ფოთლები ცვივა, ცვივა თითქო ყრუ სიმიდლიდან,
თათქო ჭკნებოლეს ცის უფსკრულში მყუდრო ბადება.
ფოთლები ცვივა უარსმთქმელ ხელას გაქნევით.
და ყოველ ღამე დედაძაწა ვარსკვლავთ სახლიდან
მძიმედ ვარდება უდაბური გზის მიწაგნებად.
და ჩვენც ყველანი ძირს მოვცვავით, ვით თოვლის ბარდნა,
ხმელი ფოთოლი, დედაძაწა, კაცის ხელები, —
და მხოლოდ ერთი დგას უძრავად, — მან ყველა ვარდნა
ხელში უჭირავს უსახრულოდ ნაზ მოფერებით.

□

გეორგ ტრაკლი

ფარისცვალება გორგონისა

გერმანულიდან თარგმნა ნაირა გულაშვილმა

უემოდგომა: შავი ნაბიჯები ტყის პირზე: წუთები მუნჯი გაპარ-
ტახების. შიშველ ხის ძირში სმენად ქცეულა კეთროვნის
შუბლი. მწუხრი, დიდი ზნის ვარდასული, აწ ხაღის საფეხურებს ეცემა. ნო-
ემბერი. ზარი რეკს წყნარად და მიირეკავს მწყემსი წითელ და მრუშე ცხენებს
სოფლისკენ გზაზე. თხილნარში მწვანე მონადირე თბილ ნადირს შიგნავს. მისი
ხელები სისხლის სუნს აფრქვევს და მხეცის ლანდი მის თვალთა ზემოთ ხში-
ანებს, ოხრავს: უხმოდ, ყავისფრად. ტყე. გაფანტული ყვავები ცაში. სამნი.
მათი ფრენა სონატასა ჰგავს, გახუნებული აკორდებით და მამაკაცური წუხი-
ლით სავსეს: ნელა იშლება ღრუბლის ქულა ოქროდნაფერი. წისქვილთან ყრმა-
ნი კოცონს ანთებენ. უფერმკრთალესის ძმა არის ალი და ძმა იცინის ჩამარ-

ხული ძმის წითელ თმაში: ანდა ეგების ეს ადგილია ბნელი მკვლელობის, რომლის გვერდზედაც ქვიანი გზა მიიკლავება. კოწახურების მეწამული უკვე გამქრალა და ტყვიასავეთ მძიმე პაერში წლობით გრძელდება ოცნება არცის ხეთა ჩრდილებქვეშ: შიში, მწვანე სიბნელე, ბუყბუყი დასახრჩობად განწირულისა: ვარსკვლავებით სავსე ტბორიდან მეთევზე დიდ და შავ თევზს ეწვევა, ნოდოცენულსა და შემლილ სახეს. ხმოვანება ბნელი შამბნარის. მოდავე კაცთა ზურგს უკან ირწევა წითელ, პატარა ნავში შემთადგომის გაყინულ წყალზე, მცხოვრები თვისი უიღბლო მოდგმის ბნელ ლეგენდებში, გაქვავებული თვალებით რომ უმხერს ღამეებს და ქალწულებრივ შიშსა და ძრწოლას. ბორთი.

რა გაიძულებს დაქცეულ, წაშლილ ბილიკზე დგომას შენთა მამათა ფუძის პირისპირ? ტყვიასავეთ მძიმე სიშავე. ვერცხლის ხელებით რა მიგაქვს შენს მწუხარ თვალებთან? და ეცემიან ქუთუთოები ყაყაჩოს სუნით გაბრუებული? მაგრამ მაღალი გალავნის მიღმა შენ ვარსკვლავებიან ცის თავანს ხედავ, ირმის ნახტომს, სატურნს: ქოწისფრად. და ქვის გალავანს ეხეთქება ხე ტანშიშველი. ძირს გაგყენია დაქცეული საფეხურები: ხე, ქვა, ვარსკვლავი. შენ, ლურჯო მხეცო, უხმო ცახცახს რომ აუტანიხარ. შენ, ქურუმო ფერგაცრეცილო, იმ მხეცს რომ ამხობ შავფეროვან საკუროთხვევლთან: ო, წყვდიადში შენი ღიმილი, ბორთი და ნაღველნარევი, როცა ბავშვი ძილში ფითრდება. შენი ხელიდან წითელმა აღმა ისკუბა და ღამის პეპელა ჩაიწვა მასში. ო, სინათლის ფლეიტა, ო, სიკვდილის ფლეიტა. რამ გაიძულა დაქცეულ, წაშლილ ბილიკზე დგომა შენთა მამათა ფუძის პირისპირ? ქვემოთ, ჭიშკარზე აკაკუნებს ანგელოზი ბროლის თითებით. პოი, ძილის გამოქვაბული, შებინდებული ქუჩაბანდები, დათალხული პატარა ბალი. ლურჯ მწუხარში წყნარად რეკს სხეული გარდაცვლილ ქალის. პაწაწინა მწვანე ყვავილნი შემოსჯარვიან და მთარწევენ და დასტოვა მან იერი თვისი. ანდა ეგების ზღურბლის წყვდიადში მკვლელის ცივ შუბლზე გადაიხარა: თაყვანისცემა, ნეტარების წითელი ალი: შავ საფეხურებს დაეცა და ბნელში ჩავარდა, ჩაკვდა მძინარე.

ვიღაცამ შენ მიგატოვა გზაჯვარედინზე და დიდხანს, დიდხანს გაჰყურებ უკან. ვერცხლის ნაბიჯი პატარა, გონჯი ვაშლის ხეების მუქ ჩრდილოვანში. მეწამულ შუქად ანთებული შავ ტოტებში ნაყოფი მწიფე და ბალახებში კანს იცვლის გველი. ო! უკუნეთი: ოფლი, რომელიც ყინულოვან შუბლზე ჩამოგდის და სევდიანი ოცნებები ღვინის ბურუსში, სოფლის დუქნის შებოლილ ჰერქვეშ. ო, შენ ჯერ კიდევ უდაბურო მწირო უდაბნოვ, თუთუნის ბოლის ყავისფერ ქუბებს ჯადოქარივით ავარდისფრებულ კუნძულებად რომ გარდასახავ და შიგნიდან გამოგაქვს გრიფის შმაგი კივილი, როცა ნადირობს ის შავ კლდეების გარეშემო ზღვაში, გრიგალში და ყინულებზე. შენ, მწვანე რკინავ, რომლის გულშიც ცეცხლოვანი სახე ანთია: იმ სახეს უნდა რომ წავიდეს და აკლდამიდან უმღეროს ეამებს ბნელსა და პირქუშს და ანგელოზის აალებულ გადმოქანებას. ო, მწუხარება, სასოწარკვეთა, მუნჯი კივილით მუხლში რომ გკეცავს. მკვდარი გეწვია. გულიდან სისხლი გადმოჟონავს თვითდანთხეული. და ბნელ წარბებში დაბუდებული მზერა უძირო, გამოუთქმელი. ბნელი შეხვედრა. შენ ხარ მთოვარე მეწამული, როს ზეთისხილის მწვანე ჩრდილში ამობრწყინდება. იმას მიჰყვება ღამე მარადი.

კლესანდერ როდა როდა



რობიდა — მირკოვიჩის ამბავი

თბილისი
ბიზნის-ბუკარა

გერმანიულიდან თარგმნა გიორგი კაჭუტაძემ

სიკარგა ხნის წინათ, ოთხმოცდაათიან წლებში სულ ს'ვანარბიდა ცხოვრობდა ხალხი. იმართებოდა წარმოდგენები, სტუმრებისათვის ღია იყო ყველა სახლის კარი; ერთი სიტყვით, მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმანეთში. დღეს კი ყველაფერი შეიცვალა. არ ვიცი, შეიძლება უფულობა იყოს ამის მიზეზი, ანდა გული აღარ გულობდეს; ასეა თუ ისე, ძველებური სიახლოვე გადავიდა.

იმხანად, მაგალითად, ამიდიები ცხოვრობდნენ ტენიეში — სულ დარჩეული ხალხის იმათთან მისვლას რა სჯობდა! ყოველ ორშაბათს, წვიმასა თუ თოვლში, ამიდიების ეზო-კარი გაჭედდნენ იყო ეტლებითა და კარეტებით. იმდენ მომსვლელს, აბა, რა აუვიდოდა; ცხენები გარეთ არ დაგვრჩესო, ორ-ორს ერთად აბამდნენ თავლაში. ასლა ამიდიების ოჯახის ქალიშვილები გათხოვილ-დაბინავებული არიან, ბებრები კი ცხოვრობენ მონაზვნებით.

ახლა ჰაბიანოვიცელი პილენები გაეიხსენოთ; სამი კვირა გრძელდებოდა მათთან ხანადირო სეზონი, მერე ჩიბუხას გადმოფრენა იწყებოდა. — მას შემდეგ, რაც გრაფის მეუღლე ხანში შევიდა, ახლთსაც არ გაგიკარებდა, თუ ხამბეზის იეზუიტთა მისიისთვის ჯიბეს არ ამოიფერთხავდი.

გრაბიციელ სოკოლოვიჩზე კი ჯობია კაცმა სულ არაფერი თქვა; რა ქნას საწყალმა, ხანაქებო ეაფი მეურვედ დაუდგა.

სწორედ იმ ხანებში გახმაურდა რობიდა-მირკოვიჩის საკვირველი ამბავი. ბარონ მირკოვიჩის მეუღლე, ქალიშვილობაში პილენი, ჰაბიანოვიცელი პილენის ბიძაშვილი, რობიდას უცნობდა.

რობიდა რჩეულ საზოგადოებას ეკუთვნოდა, თუმცა არაფერი ებადა, სულ არაფერი. ისე კი, სასამართლოში ჩიოდა და ზემო უნგრეთში მშვენიერი მამულის დასაკუთრებას ლამობდა.

წლები ისე გავიდა, რობიდასა და მირკოვიჩის სასიყვარულო ურთიერთობის ამბავი ვერავის გაეგო, ვსე იგი, არავის არ უნდოდა გაეგო და ამიტომ თვალს ხუჭავდა; მაგრამ ერთხელ ბარონის მეუღლემ რაღაც სისულელე წამოაყრანტალა თავისი ჰაბიანოვიცელი ბიძაშვილის ხელოვნებით გატაცებაზე, უფრო სწორად, ტენიელ მასწავლებელზე, ვისთანაც მისი ბიძაშვილი ნატიფ ხელოვნებას ეუფლებოდა და მოსახდენიც მობდა. გრაფი პილენის მეუღლემ გაიგო ეს ამბავი და როცა ცოტა ხანში ბარონი მირკოვიჩის მეუღლე ჰაბიანოვიციში სტუმრად ეწვია, შეუთვალა, ფრაჟ რობიდას ოჯახში ვერ მივიღებო.

არა, ამ საქმეში გარეული ოჯახის კაცები ისე რომ მოქცეულიყვნენ, რო-

გორც წესი და რიგია, ყველაფერი სულ უბრალოდ დამთავრდებოდა: ბარონი მირკოვიჩი ორთაბრძოლაში გამოიწვევდა პილენს და ოცდახუთ ნაბიჯზე მდგარნი ტყვიას ესროდნენ ერთმანეთს; ქალების ჩხუბიც ამაზე ჩაიხრებოდა.

მაგრამ გაგიგონია, მირკოვიჩი არც კი განძრეულა.

გავიდა ერთი დღე, ერთს მეორე მოჰყვა — მირკოვიჩის განკრებულნი არ ისმოდა.

ცხადია, ყველამ თავისი საქმე იცის, მაგრამ როცა ოჯახის ღირსება ასე შეილახა, მირკოვიჩმა ეს ამბავი უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს და თუ მაინც ასე მოიქცევა, მაშინ ნელ-ნელა ყველა უნდა ჩამოშორდესო, ფიქრობდნენ კომიტატის ოლქში*.

მირკოვიჩი მოხუც სოკოლოვიჩს უნდა უმადლოდეს — მეურვე სოკოლოვიჩს კი არა, ალბინ სოკოლოვიჩს, რომ ეს დავა ისევ ადამიანებმა ჩააცხრეს, მაგრამ ერთი ხელის მოსმით კი არ ჩაუცხრიათ, როგორც ზოგიერთი თავგახურებული აპირებდა.

გრაფი ალბინის შეხედულებით, ეს ამბავი უპირველეს ყოვლისა თვით ოჯახს ეკითხებოდა. იქნებ მთლად სწორი არ იყოს, მაგრამ ყოველთვის ჯობია სხვის საქმეში ცხვირი არ ჩაჰყოს, თორემ შეიძლება ვინმემ მირკოვიჩს დააბრალოს, მოწინააღმდეგესთან შებმას გაუბრისო, თანდათან ჩამოსცილებია, მერე კი წაკიდებული ოჯახები შერიგებულან და არა მარტო ისინი, ასობით სხვაც მოუნდურებია, რომელთაც მისვლა-მოსვლა განუახლებიათ.

გრაფი ალბინის რჩევით, ბატონებმა გადაწყვიტეს მირკოვიჩის ორჭოფულ ქცევაზე თვალი დაეხუჭათ და თავი ისე დაეჭირათ, თითქოს იმ შეურაცხყოფაზე, რაც მის ოჯახს მიაყენეს, არაფერი იციანო. ასეთ მოპყრობას მირკოვიჩი მართლა არ იმსახურებდა, მაგრამ სხვანაირად ვერ მოიქცეოდნენ, თუკი არ უნდოდათ საზოგადოებაში შულლსა და მტრობას გაედგა ფესვი. ბევრს ეცადნენ ეს საქმე უკიდურესობამდე არ მიეყვანათ, რაც კეთილად დაგვირგვინდა.

ორ კაცს დაევალა მირკოვიჩი ენახა და, ასე ეთქვათ, ოფიციალურად ეცნობებინა, რაც მოხდა.

ერთი მათგანი ბელა ბელგარი გახლდათ, მოქნილი და მოხერხებული კაცი, ვისაც ცხოვრებაში ასჯერ მაინც მოუწია ამ უსიამოვნო როლის შესრულება და ვისაც ძილშიც კი შეეძლო სეკუნდანტობა გაეწია; მერე ბარონის ფიცხი ბუნება გაიხსენეს და ბელას ჯანიანი ვიკი პრაინინგერიც თან აახლეს. წინასწარ დათქვეს, ვიკი ხმას არ ამოიღებდა — რასაკვირველია, თუ ბელა არ ანიშნებდა. მეორე დღეს, დილაადრიან ორივენი მირკოვიჩისკენ გაეშურნენ და ნოვოსელოს გზას დაადგნენ.

ბელავარის არ დაუფარავს თავისი შეშფოთება და ვიკის წარამარა ეკითხებოდა, ხომ ისევ ჯანზე ხარ, როგორც მაშინ ბუდაპეშტში იყავიო, სადაც ვიკიმ თურმე სამორინეში სამი დასტა ერთმანეთზე დაწყობილი ტაროკის ბანქო გახია.

მირკოვიჩმა ღირსეულად მიიღო სტუმრები, თუმცა მეტისმეტი აღფრთოვანება არ გამოუხატავს. თავდაპირველად ბელა და ვიკი პილენების სეკუნდანტებად მიიჩნია, მაგრამ არ დამუქრებია, ძაღლებს მოგისევთო, რისაც ძალიან

* ოლქი იყო ზემო უნგრეთში.

ეშინოდათ. მირკოვიჩს ხელები ჯიბეში ჩაეწყო, ოთახში ბოლთას სცემდა და მშვიდად უთმენდა ბელავარის.

როცა ბელავარიმ ყველაფერი უამბო, გრაფი პილენის მეუღლემ შენი ცოლი იმ სიტყვებით გაისტუმრა, ფრაუ რობიდას ოჯახში ვერ მივიღებო, მირკოვიჩი უცებ შეჩერდა და ბელას თბილად უთხრა:

— მადლობელი ვარ შენი, ბელა, ვიცი, ამას კეთილი გულით მეუბნები, მაგრამ აბა თვითონ განსაჯე: განა მალჩი პილენი ათასგზის მართალი არ იყო, როცა ჩემი ცოლი სახლში არ შეუშვა? იქნებ ისიც იცოდე, რა თქვა ადრე ჩემმა ცოლმა მალჩიზე? სკოლის მასწავლებელთან ამასა და ამას შერებოდით პოდა, ამაზე სადაგლობა იქნება?

ამას კი აღარ მოელოდა ბელავარი.

— ყური დამიგდე, მირკოვიჩ, — მიმართა შეცბუნებულმა. — განა შენს მეუღლეს მწარე შეურაცხყოფა არ მიაყენეს, როცა „ფრაუ რობიდა“ უწოდეს?

— ცხადია, ასეა, მაგრამ როცა ქურდს ქუდი ეწვის, სამზეოზე არ უნდა გამოვიდეს, მაშინ ასეთ სირცხვილს აღარ ჭამს.

უნდა გენახათ ვიკი პრაინინგერი, როცა შემდეგ ბელავარის სახეს აჯავრებდა; ქანდაკებასავით იდგა თურმე. ერთ თბუთმეტ წუთს მდგარა ასე, სანამ ენას კვლავ ამოიდგამდა (ბელა უოკვის კლუბის კომიტეტის წევრი გახლდათ).

ბოლოს, როგორც იქნა, ენა ამოიგნო და აღშფოთებით წარმოთქვა.

— მირკოვიჩ, შენ, ესე იგი, გცოდნია, რა უღირსი დამოკიდებულება აქვს რობიდას შენს სახლთან?

მირკოვიჩმა გაოცებით აძგობა წარბები და გაიცინა.

— ბელავარი, — უთხრა მან, — შენ ხომ გონიერი და დარბაისელი კაცო ხარ. ამდენი ხანია მიცნობ. ერთი მიბრძანე, ოდესმე მომიცია იმის საბაბო, სულელიაო, ჩემზე გეთქვას?

— აბა, რა საკადრისია?

— პოდა, თუკი ფიქრობ, რომ იმ ამბის ბაიბურში არა ვარ, ჩემ თვალწინ რომ მოხდა და მთელმა სლავონიამ შეიტყო, მაშინ სულელი გგონებივარ და ისაა. მე, ჩემო ძვირფასო, საერთოდ, მშვიდი გუნების კაცი ვარ და პატივსაც გცემ, მაგრამ თუ გაბედავ და ერთხელ კიდევ გაკვირვებით მკითხავ, რობიდასა და შენი ცოლის ამბავი თუ იციო, მაშინ... მაშინ... შენ... მე... მე... შემოიძლია... პირდაპირ შენთან მექნება საქმე; ყველაფერს საზღვარი აქვს. იცოდე, მირკოვიჩი სულელი არავის ეგონოს!

ბელა ვიკის უყურებდა, ვიკი — ბელას.

— ნეტა ასე თავს რად იწუხებთ, ბატონებო? — განაგრძო გაცოფებულმა მირკოვიჩმა. — რა გინდათ ჩემგან? პილენი ორთა ბრძოლაში გამოვიწვიო? არც კი დამსიზმრებია. ვითომ რათაო? მალჩი პილენი ღირსეული ქალია, ღირსეული ქალი, გაიგეთ? იმდენად დიდებული და ამაღლებული ქალია, რომ იმნაირი პირუტყვი, როგორიც ჩემი ცოლია, ერთი სიტყვის თქმის ღირსადაც არ ჩასთვალა. პირიქით. პილენთან იმწამსვე გავწყვეტდი ყოველგვარ ურთიერთობას, რომ ჩემი ცოლი, რაც იმ მასწავლებელზე რაღაც წამოროშა, კუდამოძუებული არ გამოესტუმრებინათ. — აბა, რასა ჰგავს ეს? რა საქციელია, როცა

ჩემი ცოლისთანა ქალი, ვინც იმის ღირსიც კი არ არის, მოხეტიალე ბოშის ძაღლმა მიაშარდოს, მალჩი პილენის ლაფში ამოსვრას ცდილობს!

ყველაფერი ყველაფერი მაგრამ, თუ შეხედულებებისა და ფაქტების ამაღვარი დაბირისპირება შეიძლებოდა, საწყალ ბელას თავში არასოდეს შესვლია. იგი კარგა ხანს ფიქრობდა და მერე თქვა:

მირკოვიჩი, ჩვენ იმ დავალებით გამოგვიშვეს, რომ შეგვეგულიანებინე და პიეტრო პილენისთვის საკადრისი პასუხი გაგეცა, მაგრამ რაკი საქმე ასე ყოფილა, როგორც ახლა აგვიჩერე, შეგიძლია პიეტრო პილენი არ შეაწუხო. არ მინდა თავი მოგაბეზრო, მაგრამ მხოლოდ იმის უფლებას ვიტოვებ, ერთი რჩევა მოგცე სრულიად მეგობრულად, სრულიად მეგობრულად-მეთქი, გასაგებია? აი, ღირსეულ კაცს რომ ეტყვის ისე, არ გამიბრაზდები?

— რა თქმა უნდა, ბელა! მე ხომ გათხარი, პატივსა გცემ-მეთქი.

პოდა, აბა უფრო მათხოვე, მირკოვიჩი! შენს ცოლზე რას ფიქრობ და რას არა, შენი საქმეა, მაგრამ სხვების თვალში იგი შენი ცოლია, ამიტომ გინდა თუ არ გინდა, მისი ღირსება უნდა დაიცვა. ყველამ იცის, რომ შენს ცოლს უკანონო კავშირი აქვს რობიდასთან; შენ კი ამბობ, მართალი უთქვამთო და ამით სრულიად არ გრძნობ თავს შეურაცხყოფილად. პირიქით, იმასაც კი ამტკიცებ, რომ იმ საიდუმლოს გამჟღავნებისათვის, რაც დღემდე არ იცოდნი, ვიმეორებ: იმ საიდუმლოს გამჟღავნებისათვის, რაც დღემდე არ იცოდნი, მალჩი პილენის შადღიერი ხარი ასე და ამგვარად, გრაფი პილენი თამაშიდას გამოდის. მას შენთვის შეურაცხყოფა არ მოუყენებია, მაგრამ რობიდა კი უნდა გამოიწვეს ერთაბრძოლაში, გუთაყვა; ვალდებული ხარ ასე მოიქცე როგორც შენი თავის, ისე ყველა ჩვენგანის წინაშე; და მერე კიდევ — დაუყოვნებლივ უნდა გაუშვა ცოლი?!

ბარონი მირკოვიჩი მშვიდად ჩამოჯდა და სივარას მოუკიდა.

— მომისმინე, ბელა! — უთხრა თითქმის გამხიარულებულმა მირკოვიჩმა — ის, რასაც ახლა მთავაზობ, ჩემთვის ახალი რთლია. ღმერთია მოწამე, რამდენჯერ მომსვლია თავში ამდაგვარი ფიქრები, მაგრამ შემდეგ ხელს ჩამიქნევია; მერედა იცი რატომ? იცნობ ჩემს სიღვდრს? ალბათ არა. ჩემი სიღვდრი მანატში ცხოვრობს ყველასაგან განმარტოვებით, მაგრამ ნეტა იცნობდე! ბევრს არ ვეტიყვი: სანთელივით ქალია, საუცხოო ქალია, კრავივით სპეტაკი, ისე კეთილი და პატიოსანი, როგორც თვით სიკეთე და პატიოსანება, მოხუცე ქალისა და კეთილშობილი ქალის განსახიერება! დედა პატარაობისას დევკარგე და ახლა ეს საყვარელი ქალი ჩემთვის დვიძლ დედაზე უფრო მეტია. დიდი ხნის სიცოცხლე მღარ უწერია. პოდა, იცოდვე, ბელა, იმ მოხუცს თავის ქალიშვილს სახლში ვერ გავუგზავნი. არა ვარ ასე მდიდარი.

რობიდაზე რაღას ვიტყვი? ამაზე ჩემი აზრი მაქვს, რაც ძნელი დასაცავია, რადგან სიმხდალეში ჩამომართმევენ, მაგრამ ყველა რომ მომეკლა, ვისაც ის ძუკნა კუდში ვასდევს, ხვალ მევე მომიხდებოდა ჩემი ცხენების სამურველით გაწმენდა. პოდა, სხვას თუ არას ვერჩი, რობიდას რაღა დააწივა? რაკი ქუჩის ქალის ალერსი სიამოვნებს... ერთი აქეთ მომხედე, — ბელა, და თავად განსაჯე! ჩემი ცოლი მეორე სართულზე ცხოვრობს; პირველივე კარი მარცხნივ მისი საძილე ოთახია. გინდა შენ სცადე და გინდა ვიკიმ — ოღონდ საღამომდე მოიცადეთ და იმ კარზე დააკაკუნეთ, — იმწამსვე „შემოდით“ გაიგონებთ. მაშ, რობიდას ტყვიით თავი რაღაზე გავუხვრიატო? იგი მეტი რომ არ შეიძლება

ისეთი მოკრძალებული, განათლებული ყმაწვილი კაცია. — კამერპერდაც კი გამოდგება. მე რომ ის აქედან დავითხოვო, ეინ იქნება მისი შემცვლელი? ამაზე ფიქრიც კი მზარავს. ალბათ, ვილაცა მწყემსი. ჰოდა, ისევ რომიდას უფნა არ ჯობია? განა ეს ნაკლები უბედურება არ იქნება? დამიჯერე, უკამდენო უფნა, ჩემს ცოლს ასეთი ყურადღება არავისგან არ ღირსებია. როგორღაც გაეღუწათ თავი უკეთ უჭირავს. ახლა ისიცა ვთქვათ, რა მოკრძალებით მექცევა რომიდა. ყოველთვის ჯერ ჩემთან შემოვა და მოხოვს, ნება მომეცით, თქვენი შეუღლეც მოვიკითხოო; განა ეს გულის ამაჩუყებელი არ არის?

ბელავარიმ მხრები აიჩეჩა, მაგრამ მისდა უნებურად გაეცინა.

— აი, ხომ ხედავ, — წამოიძახა მირკოვიჩმა კმაყოფილებით, — ახლა მეც გაეციანებ. ყველაზე უფრო მაინც რომიდაზე მეციანება. იგი ერთადერთი გულ-ახდილი ადამიანია მთელ ამ კომედიაში; გაგიყვებით უყვარს ჩემი ცოლი და, თუ ჩემი იოჰანი არ ტყუის, გამოცხადებული ანგელოსი ჰგონია. ერთი განახა, რა უშინია ჩემი რომიდას. ასეთი სიამოვნება წარღვნის შემდეგ დედამიწის ზურგზე არავის განუცდია, რაც ეს მე სიამოვნებას მგერის. წარმოგიდგენია, ბელავარი, რომიდა ტყავში ძვრება, რომ არაფერი ვიეჭვო. ყველა მსახურს საოთითაოდ ფეხის ქირას უბუშტავს: ის ნაძირალებიც თავიანთ საკეთილდღეოდ იყენებენ მის ალალ გულს და ხელი მუდამ გაშვერილი აქვთ. სანამ რომიდა აქ ტრიალებს, ჩემს ცოლს თურმე, იოჰანის თქმით, თავი პატიოსნად მოაქვს და შეყვარებულ ქალს თამაშობს; მხოლოდ იმას ჩივის, აქამდე ვერავინ გამიგოო. ნეტა იცოდე, რა გულისფანცქალით მოველი იმ წამს, როცა რომიდას თვალი აეხილება და უცებ ყველაფერს მიხვდება. ამაზე დიდი გულგატრუება შეიძლება? ვერ წარმოიდგენ რარიგ მეცოდება საწყალი ბიჭი. ერთი გაცოდიანა, რა სასიამოვნო და ზრდილი ყმაწვილია. ძალიან ვწუხვარ, რომ ასე გამოვიდამოდი, ბელა, სანაძლეო დაგიდო: იმ წამს რომიდას, შენ რომ ახლა გხედავსწორედ ასეთი სახე ექნება!

ბელა ბელავარისა და ვიკი პრაინინგერის მისია დამთავრებული იყო. ასეთი სირცხვილი თავის დღეში არ უჭამიათ.

□

ალფრედ კოლგარი

ს ი მ ა რ ტ ი ვ ე

გერმანულიდან თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ

ტობიას კლემი მარტო იყო, სრულიად მარტო! ორმილიონიან ქალაქში ცხოვრობდა, მაგრამ სხვებთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა; ასე რომ, დანარჩენი ორი მილიონი კაცი მის წარმოდგენაში ცალკეული ორი მილიონი არსება კი არ იყო, არამედ

ერთი მთლიანი უფორმო სხეული, ამონასუნთქისა და ოხშიერის ჯანღში გახვეული.

ტობიასი მწერლად მუშაობდა ერთ პატარა კანტორაში: გაუჩნდა თანამშრომლებს და ისინიც არაფრად აგდებდნენ მას. მთელი დღე ისე გავიდოდა, ხმის გამცემი არავინ ჰყავდა. ბინა ერთი მოხუცი ქალის, ხეხლქე დედა, რომელიც კარდაკარ დადიოდა და სარეცხს რეცხავდა. ერთ-ერთი მისი მოხუცი მოგონებდა, რომლებიც გაშეშებულ ცხედრებს მოგაგონებდა. კლემს მათთანაც არა ესაქმებოდა რა. როცა ტობიასი იწვა და საწოლი აჭრილდებოდა, იგი ამას მტრულ გამოხდომად მიიჩნევდა. საღამოობით ანთებულა სანთელი ისე საცოდავად ბუუტავდა, თითქოს ბრაზობს, ტობიასს სამსახური გაუწიოსო; სარეცხ ჯინაზე ჩაეამებულებო, კლემის სახე კარგად რომ არ დაენახა.

ტობიასი ორმოცდაათს იყო გადაცილებული. დიდი ხანია ცხოვრობდა ასე, უმეგობროდ, უქალოდ. იგი არავის ეღარდებოდა. ერთხელ ტრამვაი გადავარდა ლიანდაგიდან; ამას ტობიასიც შეესწრო და მოწმედ სასამართლოში დაიბარეს; ეს დღე სამუდამოდ დაამახსოვრდა: ჰკითხეს, რა გქვია, სად ცხოვრობ, როდის დაიბადეო; ერთი სიტყვით, მის არსებობას იმ დღეს მნიშვნელობა ჰქონდა ვილაც-ვილაცებისთვის. სასადილოში იმ მაგიდას, სადაც კლემი სადილს ჭამდა, არავინ არასოდეს მიჯდომია; არც რომელიმე კელხერი მოქცევია გულლიად და თავაზიანად. თბობას ქსელივით ეკიდა იგი თავის კუთხეში, იმ თბობას ქსელივით, რომელიც მასთან ერთად შესულიყო სასადილოში და უფერულ ლაქად ჩანდა სხვათა სიცოცხლეთა ფონზე; და ის უფერული ლაქა მხოლოდ იმიტომ არსებობდა, რომ გარესამყარო არაფრად აგდებდა, ანდა არ უნდოდა ხელი გაენძრია — გაექრო იგი, წაეშალა.

ერთ დღეს კლემმა გაზეთში წაიკითხა, მარიმ, სიგარის ვაჭრის, რობინზონის ცოლმა თავი მოიკლა, მაგრამ რად მოიკლა, სასოწარკვეთილმა ქმარმა არ იცისო. რობინზონი და კლემი სკოლაში ერთად სწავლობდნენ და ტობიასს საოცნებოდ ჰქონდა რობინზონის მეგობრობა, მაგრამ ყველაფერი ამით იყო. უკანასკნელ წლებში, როცა მათ შორის თითქოს მეტი სიახლოვე ჩამოვარდა, კლემსა და რობინზონს შუა მარი ჩადგა და მისი მეგობარი თვითონ დაისაკუთრა. მარის სიკვდილის ამბავი რომ გაიგო, იმ დამეს უცნაური სიზმარი ესიზმრა კლემს. ფრაუ რობინზონის თვითმკვლელობის მიზეზი თითქოს თვითონ იყო, და ზმანების დაბურდული ლოგიკით ერთმანეთს გადაეწნა დღევანდელი შემთხვევისა და იმ შორეული მოგონების ხლართები, როცა იგი დაყინებით ცდილობდა ეპოვა ცხოვრების თანამგზავრი. ესმანა ტობიასს, თითქოს მგლოვიარე იდგა მარის დაკრძალვაზე და დაჰყურებდა გათხრილ საფლავს, რომელშიც მიცვალებული ჩაასვენეს; სიგარის ვაჭარმა ხელი ჩამოართვა, შუბლი შუბლზე მიაყრდნეს და ცრემლები აფრქვიეს სამარეში. სწორედ ასე იდგნენ ხინგაჩგუკი და ტყავის წინდა* ინკას — უკანასკნელი მოპიკანის ახალგათხრილ საფლავთან. მერე რობინზონმა თავი ასწია და კლემს ცრემლიანი მზერა მიაბჰყო, რომელშიც გლოვა და მეგობრობა ჩაბუდებულიყო.

იმ დღეს ტობიასმა წერილი მისწერა ქვრივს; ატყობინებდა, მარის სიკვ-

* ამერიკელი მწერლის ფენიმორ კუპერის (1789—1851) ცნობილი ნაწარმოებების „ტყავის წინდა“ და „უკანასკნელი მოპიკანის“ მთავარი პერსონაჟები.

დიღში ბრალი მე მიმიძღვისო; რთული და სასიყვარულო ამბავი შეთხზა, კლემზე მესამე პირში ლაპარაკობდა და ბარათი ხელმოუწერლად გაგზავნა, თითქოს ვიღაც უცნობმა მისწერაო. ახლა მარტოდარჩენილი ტობიასი, რომელიც ამქვეყნად არავის უყვარდა, იმასლა ნატრობდა, ვინმემ უღწეა: მაინც შემოძულოსო. წერილი ფოსტაში წაიღო და დაელოდა, რა მოხდებოდა. რობინზონის სახლის წინ დადგა და წინასწარ ტკებობდა, რომ მას შეხვდებოდა, შეხლა-შემოხლა ექნებოდა, რობინზონი სილას გააწნავდა და მაგრად გაათახავდა, მაგრამ რობინზონს ვილაციისთვის ხელზე ჩაველო ხელი და უჩუმრად ჩაუარა გვერდზე ტობიასს, თვალები გამოცარიელებოდა, ბაგეზე რაღაცნაირი ღიმილი დასთამაშებდა. იმ დღეებში გაზეთები იუწყებოდნენ, სიგარის ვაჭარმა ცოლის სიკვდილი ვეღარ აიტანა და ჭკუას გადასცდაო.

ეს კი მეტისმეტი იყო უბედური კლემისთვის. აქედანაც არა გამოვიდა რა. დღეები და ღამეები ერთმანეთში აღუფხულ მასად იქცა, ტობიასის თვალწინ რომ ჩქამგაუღებლივ გადაიხსნებოდა და მერე ისევ პირს შეკრავდა. იგი ახლა გაყინული დროის პატარა გუნდა იყო, ნელინელ მარადისობაში უკვალოდ რომ დაინთქებოდა.

ერთხელ ქუჩაში ხალხის ზედახორას გადააწყდა და თვითონაც ახლოს მივიდა. ვილაცა ქალი მკლავზე ჩაებლაუჭა, ერთი კაცი მხარზე ააბობდდა, კარგად დაეინახო რა ხდებოდა. ო, რა ნეტარი წამი იყო! რა სიამოვნებას გვრიდა ტობიასს საკუთარი მკლავების შეგრძნება, საყრდენებივით რომ გაეშვირა. ხალხი გაშმაგებით ყვიროდა, და ტობიასიც ყვიროდა, თუმცა არ იცოდა, ამას რად იქმოდნა. ამასობაში ცხენოსანი პოლიციელები გამოჩნდნენ. ხალხის ყვირილი ღმუილსა და ბლავილში გადაიზარდა; კლემიც იმდენს ღრიალებდა, გულ-მუცელი სტკიოდა. მერე გაისმა სროლა; თავზარდაცემული ხალხის დუდგო შეტორტმანდა, ჯგუფ-ჯგუფად დაიქსაქსა და ნელინელ გაიფანტა.

კლემმა იქვე ჩიხში დურთა თავი, ქოშინებდა, ქუდი და ხელჯოხი სადღაც მიაკარგა; კოჭლობით შეფორთხდა პატარა დუქანში, რომელიც აზიმიზიმებულნი ხალხით იყო გაჭედილი. ყველანი იმაზე ლაპარაკობდნენ, რაც ახლა მათ თვალწინ მოხდა. კლემი უსმენდა, ხანდახან თვითონაც ჩაურთავდა ერთ-ორ სიტყვას, სასმელს გადაკრავდა და მაგიდაზე მუშტებს აბრაჩუნებდა; მერე ისევ სასმელს მოიყუდებდა. თავს ისე გრძნობდა, თითქოს ბნელსა და უდაბნოში დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ამ დუქანში თავშესაფარი პოვაო. ღამე აქ გაათენა, ხან სვამდა, ხანაც რაღაცას გაჰყვიროდა. შემდეგ სტუმრები ნელ-ნელა დაიშალნენ, ცას თანდათან შეუდგა ციავი, მარტოობის ჯალათი, თავის ტყვეთა დასაკუთრებას რომ ლამობდა.

შინ დაბრუნებულმა კლემმა გაზეთის ჯიხურში „ილუსტრირტე ტაგესცა-იტუნგს“ მოჰკრა თვალი. გაზეთის პირველ გვერდს დიდი ფოტოსურათი ამშვენებდა... ტობიასის ფოტოსურათი. ახალგაზრდობაში გადაღებული ეს სურათი, რომელზეც ტობიასს მოკლედ შეკრეჭილი, მომრგვალებული ხშირი წვერი ჰქონდა, საწოლის ზემოთ ეკიდა; სურათის ქვეშ დიდი ასოებით ეწერა: ტობიას კლემი.

თხუთმეტი წელიწადი ცხოვრობდა კლემი ამ ოთახში და ამ ხნის განმავლობაში საღამოს ათ საათზე გვიან შინ არასოდეს მისულა. როცა იმ საბედისწერო ღამეს თერთმეტი საათი გახდა, მერე კი თორმეტიც შესრულდა, შეწუხებული სახლის პატრონი პოლიციაში გაიქცა და მოახსენა, ჩემი მდგომური შინ

არ დაბრუნებულაო. ქუჩაში შეხლა-შემოხლის დროს ერთი კაცი მოკლეს, მისი გარეგნობა, თქვენ რომ აღწერეთ, სწორედ იმას ემთხვევაო, უთხრეს მოხუც ქალს. მერე იგი მაძებარმა მანქანაში ჩაისვა და საცხედრეში წაიყვანა ერთი-ლი ქალი სიამოვნებისაგან ცახცახებდა, როცა წარმოიდგენდა, რომ მისი მდგმური სწორედ ის მოკლული შეიძლება ყოფილიყო და წინასწარ ტკბებოდა ცნობისმოყვარე მეზობლების დანახვაზე. ეს ამბავი ხომ ერთ რია-რიასა და აურზაურს გამოიწვევდა; მოხუცი ქალის ცნობიერებაში მოკლული და კლემში კარგა ხანია ერთ არსებად იქცნენ. ამასობაში მანქანა საცხედრის წინ გაჩერდა. ქალმა ცხედარს ყურადღებით არც კი დახედა, მთრთოლვარე თითებით სახოცი უფრო მაგრად შემოიჭირა, მღელვარებისაგან ცრემლები ყელში მოებჯინა და რამდენჯერმე გაიმეორა: „კი, ის არის...“ მერე დაუმატა „ამას ვინ იფიქრებდა!“ წარამარა იმეორებდა, ამას ვინ იფიქრებდაო. იმ ღამეს, „ილუსტრირტე ცაიტუნგის“ გულქვა რეპორტიორი იც რომ არ გამოჩენილიყო და მოკლული კლემის სურათი არ წაეღო, კეთილი ქალი მაინც ვერ დაიძინებდა.

ასე და ამგვარად, კლემმა „ილუსტრირტედან“ გაიგო, რომ იგი თურმე გუშინ მოუკლავთ, მსხვერპლად შეეწირა თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლას. ტობიასმა სხვა გაზეთებიც იყიდა. ყველგან კლემი ეხატა, კლემი! თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლეს კინაღამ გული წაუვიდა. დუქანში შევიდა და არაყი გადაკრა. პო, ვისზე ლაპარაკობდნენ დუქანში? კლემზე, კლასთა ბრძოლის მსხვერპლზე; მერედა როგორ ლაპარაკობდნენ: პატრვისცემით, სითბოთი და მღელვარებით! გაზეთის ჯიხურებთან კი მის სურათს, მოკლედ წვერშეკრეჭილი რომ იყო გამოსახული, ადამიანები მისჩერებოდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ისააა, ის!“ ჯერ კიდევ გუშინ იგი არაფერს არ წარმოადგენდა, არარაობა იყო; დღეს კი ასიათასობით კაცი დაინტერესა. თითქოს ქუჩებში თვალთ უხილავი უზარმაზარი ზარები „კლემს“ გუგუნებენო, ისე ათახთახებდა მთელ ქალაქს ეს სახელი; და ზარების გრილისგან გაბრუებულმა კლემმა გადაწყვიტა, ცოტა ხანს კიდევ დამტკბარიყო ამ ნეტარებით: ჯერ შინ არ დავბრუნდე, ისევ მკვდრად დავრჩეო.

მომდევნო დღეებში, რაკი ჯიბეში გროში არ უჭყაოდა, ღამეს თავ-შესაფარში ათევდა. იმ ხანებში მისი სახელი ყველას პირზე ეკერა. თანამშრომლებმა ბევრი რამ უამბეს კლემზე გაზეთებს და მას ძალიან უხაროდა, თურმე ყველას ვყვარებივარო. სახლის პატრონი მოხუცი ქალი დაუღალავად აღწერდა კლემის სხვადასხვა თვისებას. თვითონ კლემიც მღელვარებით ყვებოდა კლემზე, ვისაც მასავით ახლოს თურმე არავინ იცნობდა. ამას რომ იტყოდა, თვალე-ბი აუწყლიანდებოდა; ტობიასის დანაოჭებული სახე არხებით დაღარული გეგონებოდა, რომლებიც მის დაფარჩხულ წვერს რწყავდნენ. კლემის დაკრძალვის დღეს იგი მგლოვიარეთა პირველ რიგებში იდგა. საფლავთა შორის გაყვანილი ფართო გზები ხალხით იყო გაჭედილი. შავგადაფარებულ ყუთზე ვიღაცა შემდგარიყო და გაჰყვიროდა: „იგი ხომ ჩვენი იყო!“ ყველა ტირიდა, კლემიც ისე ხმამაღლა მოსთქვამდა, რომ დამსწრენი შეხედავდნენ თუ არა, ერთმანეთს გადაუჩურჩულებდნენ, ალბათ, იმისი ახლო ნათესავიაო. ნამდვილად ასე იყო.

კლემის კარიერამ უმაღლეს წერტილს მაშინ მიაღწია, როცა პარლამენტში ფეხზე წამოდგა ერთი დებუტატი და თქვა: „ბატონ მინისტრს მხოლოდ ერთი საწყევარი სიტყვა უნდა ვუთხრათ: „ტობიას კლემი!“

ტობიას კლემის ბედი გადაწყვეტილი იყო; გულში ამოიჭრა, ამ სიტყვის ახლანდელი მნიშვნელობა დიდხანს არ დაევიწყებინა, ხოლო ძველი მნიშვნელობა, როგორც ცარიელი ბგერები, ხსოვნიდან ამოეგდო.

კაცმა რომ თქვას, თავისი არსებობის უწყალო, შინაგანი კანონების კვალობაზე ტობიასი ახლა წინანდელზე მარტო იყო. ადრე საკუთარი ფეხე მუიცი ეკუთვნოდა, თავისი უღიმღამო, პატარა „მე“. ახლა ამასაც მოკლებული აღმოჩნდა. უწინ სახელი და გვარი ჰქონდა, ახლა ისიც დაკარგა; დაკარგა და სახელით და დიდებით შეიმოსა, მაგრამ მაინც დაკარგა. და ველარასოდეს დაიბრუნებდა. მაშ, რაღა დარჩა? კლემობადაკარგული კლემი, გასაცოდავებული ადამიანის ცარიელი ჩონჩხი; და ნელინელ ტობიასის სულში დაიბადა შური და მრისხანება მოკლული კლემის მიმართ. წინათ თუ მასზე გასაოცარ რამეებს ყვებოდა, ახლა ბოროტ ხმებს ავრცელებდა. შვება არც ამას მოუტანია. ვარდაცვლილის ლანძღვა და თათხვა მკრეხელობას უდრიდა. ამ უბედურებამ სულში სიძულვილი ჩაუბუდა, სიძულვილი კი თავისთავად მას უბედურებად იქცა. იგი გაქურდულად და მოტყუებულად გრძნობდა თავს მეორე დიდი კლემის მიერ და სადაც კი შეეძლო, მის ხსოვნას ავინებდა. ერთხელ ტობიასს სასაფლაოზე წააწყდნენ, როცა კლემის საფლავის ქვაზე გამოსახულებას, მოკლედ შეკრეჭილ თმას, ხშირწვერიან პირისახეს. ტალახში სვრიდა და საპატიმროში გამომწყვდევა დაუპირეს, მაგრამ იმდენი იძახა, ამ საფლავის ქვას, რასაც მინდა იმას ვუზამ, რადგან ეს ქვა გულზე მე მადევსო, რომ საგიჟეთში უკრეს თავო, და იცით ვის შეხვდა იქ? რობინზონს, მგლოვიარე ქვრივს. რობინზონს სკამთან ჩაემუხლა, თავი ლერწმის დასაჯდომზე ჩამოედო და ხელები ნაზად სკამის ფეხებზე მოეხვია. რობინზონის დანახვაზე კლემს სახე წამოუჭარხლდა და უნდოდა სკამი ნამსხვრევებად ექცია, მაგრამ ზედამხედველებმა ხელი სტაცეს და ცალკე ოთახში გამოკეტეს.

ტობიასი ამ ოთახში მოკვდა. მიცვალებული საცხედრეში წაიღეს, საიდანაც სხვა ცხედრებთან ერთად უნდა გაეტანათ და დაეპარხათ; მაგრამ მანამდე ოთახში ექიმის პოლდენბეკი შემოვიდა (პათოლოგიური ანატომი) და კლემის ცხედრის გაკვეთა ისურვა. მერე გაკვეთა. ერთხანს მუცელში ისე ცნობისმოყვარეობით იჩიჩქნებოდა, თითქოს იდუმალი განძით სავსე კიდობანიაო (სხეულის გაკვეთას, როგორც დიაგნოსტიკურ დამხმარე საშუალებას, იმ ხანებში დიდი მნიშვნელობა მიეცა), შემდეგ სხეული გაკერა და ისევ უკან გაატანინა, საიდანაც დასამარხავად წაიღებდნენ. ამასობაში დანარჩენი მკვდრები უკვე დაეპარხათ, ასე რომ თავის უკანასკნელ განსასვენებელში კლემი მარტო წაასვენეს: მარტოეული ცხოვრების მარტოეული დასასრული!



რობერტ მუხილი

ბუზიჭერია

გერმანულიდან თარგმნა ბიორბი მაკუტაძემ

ოცდათექვსმეტი სანტიმეტრი სიგრძისა და ოცდაერთი სანტიმეტრი სიგანის ბუზიჭერიას მოყვითალო, შხამიანი წებოსცხია და კანადური წარმოშობისაა; როცა ბუზი ამ ქალაქდზე დაჭდება — სიხარბით კი არა, უფრო წამხედურობით მოსდის, სხვებიც ხომ აქ არიანო! — ჯერ ფეხის წვერებით მიეწებება; ისეთი იდუმალი, გასაოცარი შეგრძნება ეუფლება, თითქოს ბნელში მივფათურობთ და შიშველი ფეხის გულებით ვწვდებით დამყოლ, თბილსა და შეუცნობელ წინააღმდეგობას, და კიდევ იმას, რასაც ნელინელ ერთვის ადამიანური არსობის მთელი საშინელება, საცნაური ზდება იმ უხილავ ხელივით, ხუთივე თითით სულ უფრო მძლავრად რომ ჩავჭიდებია და არ გვიშვებს.

სხვამ არაფერი შეგვაძინოსო, დგანან ახლა ძალისძალიად გაჭიბული ბუზები თაბესით * შეპყრობილებივით, ანდა როგორც მოფამფალებული ბებერი ჯარისკაცები (ან ოდნავ ფეხმოქცეულები, თითქოს ბექობზე დგანანო, ისე); ცდილობენ თავი დაიჭირონ, თან ძალას იკრებენ და საგონებელს მისცემიან. რამდენიმე წამიც და გამწარებული იწყებენ ბზუილს, აფრენას ლამობენ. თავგანწირული ბრძოლა მანამდე გრძელდება, სანამ ქანცი არ გაუწყდებათ და შეჩერდებიან. მერე ცოტა ხანს იყუჩებენ და კვლავ თავიდან იწყებენ ბზუილს, მაგრამ თანდათან ხანგრძლივდება შესვენება; ვუცქერ და ვგრძნობ, რა უმწეო არიან საწყლები: ფრთების ფშრიალი აფრთონებს ჰაერს, პაწია ჩაქუჩივით გამოუვლია ენა ბუზს; ყავისფერი და ბუსუსიანია ბუზის თავი, ქოქოსის კაკლისა გეგონება ან ზანგური ავგაროზი, ადამიანს რომ ჩამოგავს; წინ და უკან ირწევვიან წებოში გათანგულ ფეხებზე, მუხლებს ხრიან და ცდილობენ წამოწევიან, კაცისა არ იყოს, მძიმე ტვირთს რომ ვერ მორევიან. ახლა ისინი მუშებზე უფრო ტრაგიკული არიან, უფრო მართალი უკიდურესი დაძაბულობის გამთვლენაში, ვიდრე ლაოკოონი! და მერე დგება მუდამ ერთნაირად საოცარი წამი, როცა ერთი წამისყოფა ჩვენი არსობის ყველა სხვა ძალუმ შეგრძნებაზე ძლიერია; ეს ის წამია, როდესაც აღმა მიმცოცავს თითები ეტკინება და მჯილს გაშლის, როცა გზააბნეული თოვლში ბავშვივით ჩაწვება, როდესაც მღევარი ლოყაატკრეცილი შეჩერდება. ახლა ბუზები მთელი ძალით აღარ ლამობენ აფრენას და კიდევ უფრო იფლობიან; ამ წუთში ძალიან გვიანან ადამიანებს; წამსვე ითანგება სხეულის სხვა კიდურები — ფეხი თუ უკანა ტანი, მარცხენა თუ მარჯვენა ფრთა.

* თაბესი — ზურგის ტვინის ქლუჭი.

როცა ბუზები ბოლოს სძლევენ შეჭირვებას და ცოტა ხნის შემდეგ საკუთარი სიცოცხლისთვის ბრძოლას აახლებენ, უკვე უბედურ დღეში არიან, ბუნებრივად ველარ მოძრაობენ; უკანა ფეხები გაუშლიათ, წინას დაპყრობიან და წამოდგომას ცდილობენ, ანდა გაშრინებული სხედან ქალღმერთებს და წინა ფეხები ისე გაუშვრიათ, თითქოს ქალებია, ჩამჯიღული ხელებს ჩამსუსტნდათ მამაკაცებს გამოსტაცონო; ან მუცელზე წვანან, თავი და ხელები წინ გაუწვდენიათ სირბილის დროს დაცემულივით და მხოლოდ სახე აუღერიათ. მაგრამ მტერი ყოველთვის პასიურია და ეს უსასოო, თავზარდამცემი წამები მის გამარჯვებას აახლოვებს. არაფერი ხდება გარდა იმისა, რომ ბუზები უფრო და უფრო ღრმად იფლობიან, და ისე ნელა იფლობიან, ვერაფერს შეამჩნევ; და როცა შინაგანი დამარცხების უკანასკნელი წამი დგება, ყველაფერი ხელად მთავრდება. ისინი უცებ სახით ეცემათ და ფეხებს ფარჩხავენ, ან გვერდულად წაიქცევიან და ფეხებს წინ გაიშვრენ; უფრო ხშირად გვერდზე გადაიქცევიან და ფეხებს ასხმარტალებენ. ჰოდა, აგდიათ ასე, მიწას დანარცხებული თვითმფრინავებივით, ცალი ფრთა რომ მაღლა აუშვრიათ; ანდა მკვდარი ცხენებივით, ან გამოუთქმელი სასოწარკვეთილი მოძრაობით, ანდა ძილის გუდასავით. მეორე დღეს ბურანიდან გამოერკვევა რომელიმე მათგანი, ცოტა ხანს ასხმარტალებს ან ერთს გაიბზუილებს. ხანდახან მთელი ბრძოლის ველი აზუზუნდება ხოლმე, მეორე კი ყველას უფრო ღრმად ჩაითრევს სიკვდილი. მხოლოდ ტანის ერთ მხარეზე, ზედ ფეხის სახსართან აბია ბუზს ერთციცქნა ასო, რომელიც კიდევ დიდხანს იცოცხლებს; იგი ერთთავად ფეთქავს, მხოლოდ გამადიდებელი შუშით თუ დაინახავ; ადამიანის პაწია თვალი გეგონება, წარამარა რომ ახელს და ხუჭავს.



ედონ ფონ კორვათი

ტრადიციული სიკვდილი

ვერმანულიდან თარგმნა ბიორკი მაჭუკაძემ

ერთ შუაევროპული რესპუბლიკის დედა და სატახტო ქალაქში, რომელიც სამხრეთით უწყინარ მაწანწალებს, სამაგიეროდ ჩრდილოეთით მძვინვარე მეკობრეებს ესაზღვრება, ჯერ კიდევ 1925 წელს ცხოვრობდა კეთილი და პატიოსანი კაცი, ღვთისმოსოში და წინაპართა პატივისმცემელი ფრანც ქსავერ ლიბლი; სახლის პატრონი, ოჯახის მამა და მამაკაცთა მომღერალი გუნდის „ათენ-აღმოსავლეთის“ საპატიო წევრი, იგი დედაბუნებას ხშირად ქებული გუნებიერი, მზიარული ხასიათით დაეჯილდობინა და სანამ შეეძლო, ყველა ამქვეყნიურ სიამეს გულსავსედ ეწაფებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ებრაელებმა თავიანთი მონების დახმარებით ამ რამდენიმე წლის წინათ ქვეყნის უფალი განდევნეს და რესპუბლიკა გამოაცხადეს, გაცი-

ნებული ლოიბლი არავის უნახავს, ეს იყო, ხანდახან გესლიანად თუ ჩაიღიმებდა. ახლა სიმწრითა და ლუდით სავსე ლოიბლი განმარტოებას ეძებდა და სულმუდამ ამოჩემებულ მაგიდას უჯდა ხოლმე; არც კეგლის ეკარებოდა, არც მღეროდა და აღარც ტაროსს თამაშობდა. ყველგან რესპუბლიკელები ელანდებოდა და შავ-წითელ-ოქროსფერი დროშა ესიზმრებოდა. **უკუხედაობა**

ეზმანა ერთხელ, ზალცბურგიდან ვითომ ბერხტესგადენს ~~ამოგზავნიდა~~ ალდგომა იდგა, ჰაერში თოვლის სუნი ტრიალებდა, თუმცა მღელღები ამწვანებულიყო. ქიონიგზეეზე¹ ჩასულმა ლოიბლმა ხალხმრავლობაში ამოჰყო თავი; სულ საუქმოდ ჩაცმულ-დახურული სოფლელები იყვნენ, ძაგრამ როგორც კი კარგად მიიხედ-მოიხედა, ხალხი საოცრად გამოცვლილი ეჩვენა; მერე ერთხელ კიდევ დაკვირვებით შეათვალიერა სოფლელები და შეცბუნებულმა საშინელი ცვლილება შეამჩნია: ტყავის შარვლები კოჭებამდე წვდებოდათ, ყველა რადიკალირად დაპატარავებული ეჩვენა, შავი, ტალღოვანი თმა ჰქონდათ, საფეთქლებზე კულულები ჩამოყროდათ და ბრტყელტერფა იყვნენ. მწყემს ქალებს სარა და რებეკა, ლეა, რუთი და საბინე ერქვათ! ერთმა მკერდჩავარდნილმა ინტელიგენტმა სიტყვა წარმოთქვა აუტანელ ჩრდილოურ კილოკავზე (ყველა აღტაცებით გაჰყვიროდა — „ვაშა!“).

მეო, თქვა მან, ტარნოპოლიდან პირდაპირ თქვენკენ გამოვეშურე („ვაშა!“), რომ ქიონიგზეესთვის საზეიმოდ სახელი შემეცვალა და ზეე დერ რესპუბლიკ² დამერქვა; და გარსშემოჯარულ კლდეებიდან კვლავ გაისმა მრავალათასიანი ბრბოს განაყრუებელი „ვაშას“ ექო; ჩვენმა ლოიბლმა კალენდარს დახედა: პირველი მაისი იდგა თურმე. ციფრი წითლად იყო აღნიშნული. ამას გარდა შაბათიც ყოფილა. მაშინ სასოწარკვეთილმა ლოიბლმა გამეტებით მოიქნია ხელი და... გაეღვიძა.

შეება იგრძნო, როცა მიხედა, ყველაფერი სიზმარიაო; ქოსმენივით ხვითქი გადასდიოდა. მისი ოცდახუთწლიანი ქორწინების მეორე ნახევარი და მათი ასულის ტერეზას დედა მარია შეშფოთებული ლოგინში წამომჯდარიყო და ჰკითხა, ნეტა კიდევ რა ოხრობა დაგესიზმრა, ნუთუ ყოველდამ ჯანდაგი ცხენივით უნდა იქსუტუნო და იფრთხინოო; მერე გვერდში მოუწვა, ჩაძინებამდე რაღაცა უნდა წაეკითხა, რაღაცა, რაც ზოგს აფრთხობს და ზოგსაც ისე იტაცებს, ვინ იცის, იქნებ სიზმრადაც ნახოს. იგი, მაგალითად, რომანებს „ნოიესტენ ნახრიხტენში“³ კითხულობს, მერე საერთოდ აღარაფერი ესიზმრება. ჰოდა, ლოიბლმაც იქნებ... არა, იქნებ კი არა, დღეის ამას იქით აუცილებლად უნდა იკითხოს, მაშინ გაფოთებულ ღორივით ოფლში აღარ გაიწურება, აღარც ირემივით იქსუტუნებს და აღარც თავის ცოლს შეაწუხებს, როცა საწოლი ტყვიამფრქვევივით თახთახებს, და მერე იგი, როგორც მორწმუნე ქრისტიანი ქალი, მღვდელთან უნდა გაიქცეს ზეთის კურთხევისთვის, თუმცა ცოდნით მაინც ვერასოდეს ვერაფერს იცოდინებს.

ცოლის მჭევრმეტყველებამ საბოლოოდ გასტეხა ლოიბლი. აპოკალიპსური ხილვებით დაოსებულს ძალა აღარ შესწევდა ქალს შეწინააღმდეგებოდასადღაც გაუქრა ნაბეჭდი სიტყვების შიში და იმდილასვე მედგრად გადააბიჯა

¹ მეფის ტბა (გერმ.).

² რესპუბლიკის ტბა (გერმ.).

³ „ახალი ამბები“ (გერმ.).

წიგნის ძალადობის ზღურბლს. გადაწყვეტილი კი გადაწყვიტა, მაგრამ ამდგომარ
 „დუქანში“ შესვლა მისთვის მთლად იოლი არ უნდა ყოფილიყო. წიგნის
 შევიდა, გოეთესა და კანტს შორის ჩარიგებული ყველა წიგნის ავტორი
 ეუცხოვა, თითქოს თავისიანები არც კი იყვნენ, უცხოულებს ჩამოგადდნენ.
 არა, ამ პაერს დიდხანს ვერ ვისუნთქავო, გაუელვა თავში ლეონტი
 აღარ უფიქრია, მოითხოვა, ისეთი წიგნი თუ წიგნისმაგვარი მინდა შევიძინო,
 რომელშიც გარდასული კეთილი დრო იქნება აღწერილი.

ლოიბლმა „ძველი დროის სამაცი გერმანელი ტომების აღათ-წესები“
 იყიდა, რომელიც მცოდნე კაცის შედგენილი იყო, და ძალაზიდან გამოვიდა;
 სამი მარკა ვიზარალე, ანუ ექვსი კათხა ლუდიო, იანგარიშა მან.

დადამდა, ლოიბლი თავის ბიბლიოთეკაში იჭდა და, უნდობლად განწყო-
 ბილი, ბუზდუნით ფურცლავდა წიგნს. შემდეგ სანათლე ჩააქრო, ერთი დაბო-
 ყინა და თავი ძილს მისცა; და შთი, საკვირველებად იილში კალის ჭარისკაცე-
 ბი და à la Suisse დეკოლტეები იხილა. რაც მას კალის ჭარისკაცებზე ესიზმრა,
 ამას ვერ აგიწერო, თორემ შეიძლება სამხედრო საიდუმლოებათა გაცემა და გვ-
 წამონ: ვერც იმას ვეტყვიო, დეკოლტე რანაირად ეზმანა, ჭუჭყსა და ლატში
 არ ამოვისგაროთ-მეთქი. — ერთი სიტყვით, როცა ლოიბლმა დილით თვალი
 გაახილა, მუხუნაწივი ჩვილი ბავშვივით გაიღიმა და ძაღვების საოცარი მო-
 ზღვაგება იგონო.

ორ კვირაში ათი გვერდი წაიკითხა და მეორე თავზე შეჩერდა, რომელ-
 საც უცნაური სათაური ჰქონდა: jus primae noctis, ლოიბლი უცხოური სი-
 ტყვეების სასტიკი წინააღმდეგი იყო და ამიტომ იფიქრა, ამ თავს შიგადაშიგ
 გადაეხედავო, მაგრამ მერე ქვესათაურს დააკვირდა, სადაც ასე ეწერა: პირ-
 ველი ღამის უფლება. ნეტა ეს რა უნდა იყოსო, გაიფიქრა მან და კითხვას
 შეუდგა; შეუსვენებლივ კითხულობდა. თავდაპირველად ჩვეულებრივ წაკი-
 თხული არ ესმოდა, მაგრამ მერე, როცა რაღაცას მიხვდა, ეგონა, შეცდომები
 აღბათ, ბეჭდვის დროს მოუვიდათო, და თავიდან დაიწყო კითხვა; თითოეულ
 სიტყვას მანამდე მარცვლავდა, სანამ, როგორც მოწაფე საშინაო დავალებას,
 აბზაც-აბზაც ზეპირად არ მოგიყვებოდა წაკითხულს. ოთახის თანამოზიარე
 კარგა ხანია ხვრინავდა, მაგრამ ლოიბლის თვალებს დაღლა არ ეკარებოდა.
 მის გონებაში თავაწყვეტილი ცირკის ცხენებივით ერთმანეთს ენაცვლებოდ-
 ნენ ფიქრები, სურათები და აკორდები; და უცებ მისი ფანტაზიიდან გულშემ-
 ზარავი გეგმა გამოიკვეთა, რამაც ლოიბლის არსება მთლიანად შესძრა და
 შეაზრაალა; იგი თავის უფალს საკუთარ ქალიშვილს, სისხლსა და ხორცს, ტე-
 რეზას მიუძღვნის! დიახ, ქვეყნის მეუფეს და მხოლოდ მას, მიუხედავად რეს-
 პუბლიკის და ხელშეკრულების დაცვის პოლიტიკისა, აქვს პირველი ღამის
 უფლება! მარტოოდენ ღვთიური ნიჭით ცხებულის კურთხევა აქცევს ადამიანს
 ადამიანად!

ჰო, მეუფემ უნდა იცოდეს, რომ მის ქვეყანაში კვლავ მრავლადაა ტრა-
 დიციების ერთგული მამაკაცები; მან უნდა იგონოს, რომ წინაპართა აღათ-წე-
 სების შენახვა ლიტონ სიტყვებად ვერ კიდევ არ ქცეულა; ამას იგი, ფრანც
 ქსავერ ლოიბლი დაამტკიცებს!

როგორც დაფდაფების გრიალი ლუდით სავსე კათხების მიჭახუნებისას,
 ისე ხმამაღლა ეღერდა ტრადიციების ერთგული კაცის სიმღერა! მაგრამ გა-
 თუნდა თუ არა, ცოლმა ლოიბლს შეუბღვირა, ეს რა სასულელე მოგიჩმახავ-

სო. ისიც უთხრა, რაღა დაგიმალო და, მგონი, აფრენ კიდევაცო; გარდა ამისა, ეგ შენი გეგმა უზნეობაა და, მართალი თუ გინდა, მხოლოდ ჩრდილო გერმანელებში იყო მიღებული, ჩვენში არასდროს არ სცოდნიათო. და მაშინ თქვა ლოიბლმა, ჩემი აფრენა არავის გაუგია, აი, შენ კი ახალი დროის ერთი გაფუჭებული ქალი ხარ, განაზებული და უნიათო; კარგი თუ გინდა, ახლავე ადვილი, რომელიმე ყოფილ არტისტულ უბანს მიაშურე და სწავლე იცეკვეო. და უთხრა ცოლმა, რა მეცეკვებაო. მაშინ ლოიბლმა უთხრა, ახლავე ნახავ, ცეკვას რომ დაგაწყებინებო, და გასძახა: ტერეზა! — მაშინ იყვირა ქალმა, ამ წუთში ექიმს მოვიყვანო. და ლოიბლმა უთხრა: აბა, მოკეტე! მე ხომ კარგად ვიცი, ყველა სულელია, ვინც დიდებული წარსულის ერთგული დარჩაო. ესა თქვა და კვლავ თავის ასულს გასძახა.

ისიც მოვიდა და რაკი იგი ლოიბლმა წარმოშვა, უთხრა მას:

— მე ვიცი, რომ ყოჩადი გოგო ხარ, და თუმცა დროებებში გავაზე შენთვის ათასჯერ უპყენიათ, მაინც უბიწო ხარ, ქალწული დარჩი წინიდანაც და უკანიდანაც. მაშ, წადი ქვეყნის უფალთან და მიუძღვენი შენი მთვლემარე საუნჯე, ვინძლო ხელი შეახოს და გამოაღვიძოს. ასეთია წესი და ადათი.

ესა თქვა და თავისი ასულის დალოცვა დააპირა. მაგრამ ბავშვი არ დაეთანხმა:

— შენ ცდები, მამაჩემო! შენ ცდები!

— ცდებით?

— ჰო, ცდები; მე ჩემი გული ჰაიდელბერგში დავკარგე.

— რაო?

— ზაფხულის ერთ ცხელ ღამეს.

— დავკარგეო? — სქესობრივი სიმწიფის ტრაგედიის გმირივით წაისისინა მამამ. — დავკარგეო? ო, შე ქვეყნის ნათრევო! ასეთი რამ ვინ წესიერ გოგოს დაუკარგავს!

— მამაჩემმა ცოტა ხომ არ ააფრინა? — ჰკითხა ქალიშვილმა დედას. დედამ დაუმოწმა: ამას რაღა კითხვა უნდა! მერე ქალიშვილი მამას მიუბრუნდა და სთხოვა, ამა და ამ კითხვებზე პასუხი გამეცია. სანამ ვიზრდებოდი, ნუთუ სულ ძილში იყავი, რომ ასეთი ბინძური რამ მაკადრეო; ამას გარდა, ხომ არ გგონია, რომ ქვეყნის უფალი კარგა მოფაჩფალებული უნდა იყოსო: და კიდევ არ უნდა იცოდე, რომ ქვეყნის უფალი უკვე აღარ არსებობს, შენ იქნებ ლატავის პრეზიდენტს გულისხმობდიო. მაგრამ ლოიბლმა თავისი ასული პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა, ხანდახან მხოლოდ მწარედ ჩაიცინებდა მკვდრეთით აღმდგარი სამეფო თეატრის მსახიობივით.

ამ ამბის მერე ლოიბლმა ყველა სულიერის ნდობა დაკარგა; უცებ შეიძულა დღე და მზის ნათელი. დასწყევლა სინათლე — მისი ოცნებების დამანგრეველი.

ერთადერთ ვნებად ახლა ძილი ექცა, რაც ისედაც ძალიან უყვარდა. ორი კვირის თავზე უკვე შუადღისას იძინებდა.

და აი ასე, ყოველდღე თექვსმეტ თუ თვრამეტ საათს ესიზმრებოდა ლოიბლს მორჩილება და განკითხვის დღე, კოცონშენთებული მწვალებლები, ავსულთა განდევნის პროცესები და ებრაელთა დაღვრილი სისხლი; ყოველ შემთხვევაში ის ბნელი დროება წარსულს ეკუთვნოდა.

გავიდა კიდევ ორი კვირა და აქედან მოყოლებული ლოიბლს უკვე დღიან-ღამიანად ეძინა, მარტო იმისთვის თუ გაახელდა თვალს, რამე ეჭამა, მაგრამ გაიარა კიდევ ორმა კვირამ და მას საერთოდ აღარ გამოუღვიძია.

ძილის ფრთებშესხმული ლოიბლი იმ სამეუფოში გადაფრინდა, სადაც ყველაფერი ისევე დარჩენილიყო, როგორც პირველ დღეს; და ახლა ლოიბლი იმ სივრცეებში დაეხეტება, სადაც ყოველივე ტრადიციას, მარადისობის ტრადიცია.



კაულ ცელანი

ფსალმუნო

გერმანულიდან თარგმნა ნაირა გულაშვილმა

არავინ აღარ გამოგვეძერწავს კრილი თიხისგან,
და მტვერს ჩვენეულს კვლავ არავინ შეესიტყვება.
არავინ.

დიდება შენდა, არავინ.
შენს გასახარად
ვყვავილობთ,
ესარობთ
შენს შესახვედრად.

არარა
ვაყავით, ვიქნებით მარადის
მოყვავილენ
არარას — და
არავისვარდი:

სულნათელი რტოით
უდაბურ ციანი მტვრიანით,
მეწამულ გვირგვინით,
სისხლისფერმა სიტყვამ რომ შეღება,
რომელიც ვიმღერეთ
ზემით, თ, ზემით,
ეკალთა მიღმა
ეკალთა გამო.



გერმანულიდან თარგმნა ღაბიოი ვერაღიანმა

სიძულერა უღაბნუხო



გვარგვინი ჭროდა ფოთლებიხა, ეკლოვანი ქვიშრობი აკრის:
შემოვაბრუნე ჩემი შავრა და სძაღდახმალ სიკვდილს შევები.
მაწის ბნელ ნაუურს დავეწიფე, მწარე ფერფლი დაუდიე აკრის
და მერე სარადდაშვებულმა ავიარე ცის ნახვრევები.

ბრმა იყო ღმერთი, მკვდარი იყო ანგელთში, მფარველი აკრის.
არავინ ჩანდა, ჩემს ძიღსა და მყუდროების ჩადგმოდო ფეხვად.
ბძლით აჩეხილი იყო მოვარე, ფერფლისფერი ყვაული აკრის
და მუძენარებად გაწკვილ თითებს დაუანგული ბეჭდები ეცვა.

ამბორისათვის დაეიხარე, ვით მლოცველი, გაჩირო აკრის.
ღამის პირვასხნილ ჭდეებიდან შაეი სიხხლი წვეთავდა მალმალ-
მღიმარი ძმა და ჯაჭყვასხმული ქერუბინი ვიყავი აკრის.
მაგრამ სახელი გახსენე და კვლავ იფეთქა სახესე აღმა.

□

* *

ვერხვო, თეთრია სიბნელეში შენი ფოთოლი.
არ გათეთრდება დედაჩემის თმა არახოდეს.

ბაბუაწვერავ; უკრაინა როგორ მწვანეა.
ქერათბიანი ჩემი დედა აღარ მოვიდა.

წვიმის დრუბელი, ჭის გვამებზე ნუ შეჩერდება.
ბაგემდუძარი ჩემი დედა დასტირის ყველას.

მრგვალი ეარსკვლაუო, ცაზე ავლები იქროვიან გვირისტს.
ჩემი საბრადო დედას გული ტყვიამ გახერა.

მუხის კარებო, ანჯამიდან ვინ ჩამთვადოთ?
ჩემი წყნარი და სათნო დედა შინ ვერ შემოვა.

□

მარიანა



თმა — უსოსნებო, სახე — ხარკის მიმკრთალი შინა.
თვალისგან თვალზე გაწვა ღრუბელი, როგორც სოდომი ბაბილონისკენ,
სის ფურცელივით დაფურცლავს გოდოლს, გოგირდნარებში ჩაიქურცება.

მერე შენს ბაგეს ელვა დასხლტა — ვილინოს უტკბესი კვალი.
პროლივით კბილებს უპყრიათ ხეში,
მაგრამ ლერწამი, ო, ლერწამი უფრო ტკბილია!

შენც ლერწამი ხარ, საყვარელო, სოლო ჩვენ წვიმა;
შენი სხეული მოკაშკაშე ღვინთა და ვნადიძობთ ათნი;
გული ნავია სორბლის ხეავში, მივცურავო და ვერთვით უკუნეთს;
ცით სავსე სურა გვესხურები და ძილს ვეძლევიტ...

სძა — კარვის კართან: ნადიმ-ნადიმ მიგაცილებთ სამარისაკენ.
და წუთისიფლის ფილაქანზე მიწკრიალებს ხიზმრების დრაქმა.



მარიამი

შენ უნდა უთხრა უცხო ასულს, მის თვალს უთხრა: იყავი წყალი.
შენ უნდა ნახო მის თვალებში, წყლადქცეული ვინც გეგულემა.
შენ უნდა წყლიდან ამოიხშო ყველა იხინი:

მირიამ! რუთ! ნოემი!

შენ უნდა მორთო ყველა იხინი, როდესაც უცხო ასულთან წევხარ.

შენ უნდა მორთო ყველა იხინი უცხო ასულის გაძლილი თმებით.

შენ უნდა უთხრა მირიამს და რუთს და ნოემის:

შეშომხედეთ, მე ძასთან ვწევარ!

შენ უნდა მორთო უცხო ასული უღამაზესი სამკაულათ, რაც გაგაჩნია.

შენ უნდა მორთო უცხო ასული შენი ტკივილით მირიამის, რუთისა და
ნოემის გამო.

შენ უნდა უთხრა უცხო ასულს:

შემომხედე, მე ძათთან ვიწექ!



* *

ნეტარი ყამით ხელეზავსილი მოსვედი ჩემთან, სოლო მე გითხარ:
არა, შენი თმა არაა უღალი.

შენ იგი ჩემი ჯავრის სასწორზე დააფინე და მეც გადამწონა...

იხანი მოვლენ და სომალდებს დატვირთავენ შენი დაღლით და
 გასაყიდად გაიტანენ ვნების ბაზრებზე.
 შენ კი სიდრმიდან მოციხარა მიახლოვდები, მე შემოგტირი
 ნაჟარიდან და ნაჟარა მსუბუქა ხდები.
 მე შემოგტირა: შენი თმები არაა ეღალი, ზღვის წყალს გვაწვდიან
 შენ კი დაღაღს იშლი და ატან. *ბიბლიოთეკა*
 ჩურჩულებ: ჩემით ააყსებენ ქვეყნიერებას, ხოლო შენს გულში ვზა
 ვარ უგზო, უკვალო კვალი.
 ამბობ: შეეშვი დაცვენით ფოთლებს, დროა, მოხვიდე და მომეფერო!
 მაგრამ ეღალია ფოთოლცვენა, შენი თმა — არა.



გვიმრავის საიღუალო

ჯვარედინ ხმლებქვეშ მწვანე გულში დივი იროგება.
 ელავენ ხმლები: სახიკვდილოდ მიმავალნი ხარკესთან შევდგეთ.
 აქ სავსე სურით უკვდავების ნაღველს გვაწვდიან:
 ისე მუქმწვანედ ამოუონა, თითქოს მართლა წყალი არ იყოს,
 თითქოს ათასფრად გასაშლელი ყვავილი იყოს, — გვითხარ რამე,
 ათასფერავ, ბნელ სიყვარულზე,
 შავი ბუმბულის საგებელზე, მძიმე დაღაღზე...
 მაგრამ აქ მხოლოდ შიში სუფევს, რომ ხაცაა იელვებს ხმალი.
 თუ ხხივი გაკროა, ხმლის ხხივია, ხმალში იელვა.
 გცლით სავსე სურას, მასპინძლები ხარკეებია:
 გააბობიან და მათ გულში მწვანე ფოთლად ავხახახდებით!



კანს ლეპერტი

წინასწარმეტყველება

გერმანულიდან თარგმნა ბიორკი შაქუტაძემ

შემა, ჩამოდგა წმინდა ანდრიას ღამე და დაიწყო საშობაო მზა-
 დება (ღრუბლებში უკვე მოჯარდა მიცვალებულთა ლაშქარი,
 უკვე შეერთო მათი ჩურჩული წვიმისა და ქარის ქშუილს), და აი, აქ, უდაბურ
 ტყეში, სადაც ადამისშვილები გაუჩხვერ ბნელში არიან ჩაფუთნულნი, ქმარზე
 სულგადაღეული დედაკაცები ლამობდნენ უკბილო ბებიებისგან ნასწავლი

მკითხაობით ფარდა აეხადათ მომავლისთვის; ნეტავ რა მოელოდა მათი სხე-
ულის იდუმალ წიაღს, ვის უნახავდნენ შალის საცვლებში ჩათბუნებულ ტანის
შუაგულს — წარმართულ სალოცავს, წმინდა ჭალაკს. განა ასევე არ ამზადებ-
დნენ მათი დედები საკვირაო შემწვარ-მოხრაკულს, როცა მამები ლუქანში
ისხდნენ და ტაროკს* თამაშობდნენ. სახლში საწებლის საამო სურნელებს ტრი-
ალებს, გარეთ კი უსუნო ზამთარია; შორს სათამაშოსავით დაპატარავებულ
მონადირე თუ მეტყვევის თანაშემწე მიცოცავს ტყით შეფენილ მთის კალთობ-
ზე. მერე მოვშივდება კიდევაც, როცა შობა დღეებში სულ შინ ზიხარ და
ქსოვ, შეუძლებელია გამუდმებით ჩვილ ქრისტეზე იფიქრო. შეიძლება მო-
უთმენლობამ დაგახრჩოს, როდესაც შემწვარ-მოხრაკულის სუნი ცხვირში გიღი-
ტინებს, ამდენი წელია რომ ელოდები და სულ გეშინია, იმაზე ადრე არ გა-
მობიცდეს, ვიდრე ნაღდი მჭამელი სუფრას დალოცავდეს.

წმინდაო ანდრიაჲ! გაძიგე, გვედრები! წუხილითა და სასოებით ვცოცხ-
ლობთ ჩვენ. ზოგი ხეს არხევს და ყურს უგდებს, ძალი ხომ არ ყეფს და რო-
მელ მხარესო; სხვები, უფრო გაბედულები, დამით ფარეხში შეძვრებიან, ბნელ-
ში ხელს მოუფათურებენ მძინარე პირუტყვს და ჰგონიათ, ხელებს ჩვენს წილ
მატყულს, სუნოქვას, რქიან ცხვარს ვუთათუნებთო. ზოგიერთი კიდევ საწესჩვე-
ულებოდ გატიტვლებული ფეხს დაადგამს ჩალის ნაალს ან ფანჯარაზე გამოჰკი-
დებს თავის პერანგს, დაე, ჩემი ტანის სითბოთი და სუნით გაყლენთილმა
სულთა შემლოცველი ალამივით იფრიალოსო. მაშინ მყობადიც (იქნებ თვით
სიკვდილიც კი) გახდება ხილული — მქრქალი გამოსახულება ხელსაბანის ზე-
მით ჩამოკიდებულ დაბინდულ სარკეში. სიცოცხლე გრძნეულებაა, ბნელში
ლოდინი, განაყოფიერების ირგვლივ ტრიალი; ამგვარი ღამეები გვეფონება
ჩვენ, ამგვარ ღამეებში ქრის ტყის ნიაფქარი; კართან დაკიდებული ჩაქუჩი
თავად ეხლება ბჭეს; ამგვარ ღამეში საყდრის კედლებს სცვივა ბათქაში, და
პოი, საკვირველებავ! — ისინი რუნებით აჭრელებული ქვებით არიან ნაგებნი;
თვალდათვალ ჩნდება იდუმალებით მოცული ასოები (ო, რა სიამოვნებით ამო-
ვიკითხავდით, შიგ ჩაწნულ-ჩახლართულ ახრს, მაგრამ ეკლესიას მამებს მებათ-
ქაწე მოჰყავთ და საყდრის შემოქერცლილ კედლებს ხელახლა აღებინებენ).

კელნერმა აგნესმაც იცოდა ეს ყველაფერი. ახლა იგი ზედ რკინიგზასთან
ცხოვრობდა; ესმოდა ორთქლმავლების კვილი და ხედავდა, როგორ აღნებო-
და ხელში წლები (ბოლო ვაგონის შუქი სულ უფრო პატარავდება და თვალს
ეფარება, და მალე შავი კედელივით ჩამოდგება წყვდიადი). აგნესმა იცოდა,
რომ ვერაფერს უშველიდა ლოცვა და ჯადო; კუზიანი იყო და მარადის მარ-
ტოეული დარჩებოდა, დაულოცველი, ყაპირ მიწასავით მოუხვნელი, საადგილ-
მამულო წიგნში შეყვანილი და სამუდამოდ მივიწყებული.

თავდაპირველად არც კი გახსენებია, რომ წმინდა ანდრიას ღამე იდგა.
სახლის პატრონს გამოემშვიდობა და, როგორც ყოველთვის, თავის ოთახში
ავიდა. გაიხადა, როგორც ყოველთვის, ხელ-პირი დაიბანა, როგორც ყოველ-
თვის კბილები გამოიწმინდა, მერე, როგორც ყოველთვის, ლოგინში შეწვა და
მაგიდაზე ღამა ჩააქრო. ბუმბულის საბანი, როგორც ყოველთვის, ტანზე ნეს-
ტიან ღრუბელივით ეკვროდა, როგორც ყოველთვის, წვიმამ ფანჯარაზე ძი-
ლისპირული უმღერა. აგნესს მალე ჩაეძინა; ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს

* ბანქოს ერთგვარი თამაშაა.

თავდაღმა ეშვებოთ ლაქვარდოვანი ცის ვეება თაღში, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა; და ეგებებოდა ეს ცა — მოლურჯო-მრუმე წყალი, თვითნაუდგამი უფსკრულები წყალმცენარეთა საცეცები; იქვე თევზები დასრიალებდნენ, არწივის თუ ღორისთავა, ფრთებივით გაშლილფარულებიანი თევზები; აგნესი შეეცადა დასხლტომოდა მათ: ყვირილი აღმოხდა, მაგრამ, მისდა განაოცრად, არაფერი გაუფონია. წყალი უბუყბუყებდა პირსა და ყურებში, წყალი უმკვრევდა თვალებს, წყალი უვსებდა ვულსა და ფილტვებს; წყალი თქრიალით შესდიოდა წიაღში... და მაშინ მან მართლაც დაიყვირა და თვალები გაახილა, ლოგინში წამოჯდა და პირი დაადო, მისი ყვირილისგან ოთახში ჯერ კიდევ ფრთონავდა წყვდიადი. გარეთ კი ისევ შხუოდა წვიმა.

აგნესმა შუქი აანთო და მალევიძარას გახედა; ღამის პირველი საათი იყო; მას შემდეგ, რაც ლოგინში დაწვა, თურმე ერთი საათიც კი არ გასულა. ეჭვიანი მზერა მოატარა ირგვლივ. აი, მაგიდა, კარადა, სკამი, სადაც მისი კაბა დევს. მაგრამ ანაზღად ყველაფერი სხვანაირი ეჩვენა, — უცხო, თითქოს თავდაყირა დგასო. „უცნაურია!“ — გაიფიქრა მან და საბანს ფეხი ჰკრა. უცებ დასცხა, თითქოს ჯოჯობეთშიაო; ტანზე ოფლმა დაასხა, გული ჩიტვივით აუფართხალდა — წუთში ასოცჯერ მაინც დაჰკრავედა.

შუბლზე ხელი მოისვა, ოფლმა თითები დაუნაშა. „ალბათ, ავადა ვარ, ან თვითონაც არ ვიცი, რა მეშარტება“, თქვა თავისთვის და მოსალოდნელი უბედურების შიშით ატანილი ლოგინიდან წამოხტა; ოთახში სიარულს მოჰყვა.

მის ნაბიჯებზე ძიგბიგი გაჰქონდა და ჰრიალებდა იატაკი. ხელსაბან ნიჟარაზე ჰიქა აწკრილდა; მერე, თითქოს მოლანდების ხელითო, გაიღო კარადა და ღრმად, ადამიანივით ამოიგმინა (ასე ხშირად ხდებოდა, როცა კარი ღრიქოდ იყო დარჩენილი: ამ ოთახში ყველაფერი ოღნავ მოღრეცილად იდგა).

აგნესი შეშინებული იყურებოდა ბნელში. კარადის დაბინდულ სიღრმეში ეკიდა მთავი კაბები — საცოდავი ფალას-ფულასი. „ვაი, შე საწყალო, — გაიფიქრა მან, — შე სახიჩართო! რისლა გეშინია? რალა გაქვს დასაკარგავი? იმედი? რისი?“ და სწორედ იმ წამს, როდესაც ეს გაიფიქრა, იგრძნო, რომ გუშინს აქეთ გაუჩნდა იმედი, გაუჩნდა მისი დაკარგვის შიშიც ისევე, როგორც ამ ქვეყანაზე ყველაფერი დანარჩენის დაკარგვის შიში.

მაშინლა გაახსენდა ამალამდელი ღამე; მოაგონდა მასწავლებელთან საუბარი, გაიხსენა წეს-ჩვეულება, რაც გაეგონა, მაგრამ რაც ყოველთვის უმნიშვნელოდ მიაჩნდა (რასაც გონება უარყოფს, წუბილით ხდება გასაგები), გაახსენდა ძველისძველი შელოცვა, მოაგონდა ვაშლის ხე, სახლის უკან რომ იდგა, მინდვრის განაპირას; წვიმის შხუილში თითქოს ჩაესმა მამაკაცის ძახილი. — და იგი ციებიანივით აცახცახდა; პალტო წამოისხა, შიშველი ფეხები რეზინის ჩექმებში ჩაჰყო, სინათლე ჩააქრო და ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვიდა; მორთოლვარე ხელები მოათათურა ჩახუთულ, აშმორებულ სიბნელეში, კიბეს დაუყვა, ტალანში ჩავიდა და სახლის პატრონი არ გავადვიძოო, ფეხის წვერებზე მიადგა უკანა კარს, რომელიც ეზოში გადიოდა; უჩუმრად გადაატრიალა გასაღები, ერთი კი წაიბორძიკა ზღურბლზე, კიბეზე დაბარბაცდა და მერე ბრმასავით უმწეოდ შესტოპა მრუმე, უძირო გუბებში; წყალი შუხლამდე სცემდა.

საზარი ღამე იდგა, მჭირსნედ დახუფული კუბოსდარი. მძიმე სარქველივით გადმოემხობოდა წყვდიადი მიწას და გარესკნელში განხმეულიყო; და ამ-

ქვეყნად იყო მხოლოდ სიბნელე, ყრუ შერწყმა-შეერთება: სასიკვდილო სამსალად ირეოდა ცა და მიწის სისხლი, ერთმანეთს ქმენით რომ ჩასჭიდებოდნენ, ცივოფლდასხმულნი ერთდებოდნენ, როგორც მელნის ორი ლაქა. შავი თესლით ერთმანეთს ანაყოფიერებდნენ. შემოდგომის სურნელებით (გახრწნილი მცენარეებისა და ტყეში ჩამღრპვალნი ნადირთა სუნით) გაჯერებული მიწის შავი სისხლი ცას შესჩქეფდა, ხოლო უსუნო ციური სისხლის ნაკადმა, უცნობი ნაპირებიდან გადმომსკდარმა, გადათქეშა მიწა და ახლა ეონავდა მის სიმრუმეში, დაჩვრეტულ-გაჟიჟინებულ სხეულში, მის უსასრულო მიხვეულ-მოხვეულ ძარღვებში, იღუმალ გასასვლელებსა და ფოსოებში, ძირისძირობამდე ჟღენთავდა მიწას. კალენდარი ამბობს, ამაში ხელი მთვარესაც ურევიაო, მაგრამ არ გინდა ამის დაჯერება? განა მთვარის ჭავლები შეაღწევდა კუბოს სარქველში? მხოლოდ ღრუბელთა წიად, ამ წყალგამდინარე ტომრებში განცოცდებოდა უძალო ციაგი, როგორც ლორწო შიგნეულში, და დუქანი ვეება ჩრდილად ადგა იქაურობას; და იგი უფრო მრუმე იყო, ვიდრე თვით სიმრუმე.

აგნესმა გადაიარა ეზო, გვერდი აუარა ნაკელის ზვინიდან გადმოსულ წუნწუხს; მყრალი სუნი ეზავებოდა წვიმის განურჩევლობას; ქალი ვერ ხედავდა, საით მიდიოდა. ფრთხილად მიაბიჯებდა, მაგრამ უკანმოუხედავად შესტოპა შეუცნობელ სამყაროში, მიბარბაცებდა რაღაც ძალიან რბილზე, მოხრაშუნეზე, ფეხს ადგამდა უთვალავ პირს, თავისკენ რომ იზიდავდა და ტლოშნიდა; მერე უკიდურესი აგზნება მოეძალა აგნესს, საშინელი და ამასთან ტკბილი ძრწოლა, თითქოს სულმთლად გატიტვლდა და მამაკაცს უნდა დანებდესო. „ბოლოს და ბოლოს, — გაიფიქრა, — არც ისე გონჯი ვარ. ჰო, ის კია, კუზს ვერსად გაექცევი, ბევრიც რომ ეცადო, ვერ დამალავ, მაგრამ კუზი ზურგზე მადგას და თვალში არ მოხვდება. წინიდან კი ყველაფერი რიგზეა; წინიდან უსათუოდ მოვეწონებოდი...“

აგნესმა წაიბორძიკა, ბოსტნის მესერს წამოედო, ხელებით ჩაეჭიდა, ცოტა ხანს იყუჩა, სანამ წონასწორობას აღიდგენდა, მერე ისევ გასტოპა წყალში და გაიმინდვრა. რბილი, ხნული მიწა ეტაბარნებოდა ჩექმებზე, ეგორგლებოდა ლანჩაზე და ნაბიჯს უმძიმებდა.

„თვითონ მასწავლებელი რა დიდი ლამაზი მყავს, ვითომ! — ფიქრობდა იგი. — ცხენივით დახვანულია, და ისედაც... ბევრი ვერაფერი შვილია. გარდა ამისა, არაფერი აბადია და ცხოვრებაშიც გამოუსვლელია; ამიტომ ცხვირს ვერ აიბზუებს, იქნებ კიდევაც გაუხარდეს...“

როგორც იქნა, იმ ადგილს მიაღწია, სადაც, მისი აზრით, ხე უნდა მდგარიყო, წელან რომ მოაგონდა, მაგრამ ახლომახლო ვერაფერი შენიშნა. აგნესი მოტრიალდა და მეორე მხარეს გაემართა; ბოლოს, როცა ეგონა, კვლავ ავცდიო, დაინახა ხე და შიშმა შეიპყრო: ხე მოლანდებასავით აღიმართა მის წინ.

აგნესმა ხელი გაიწოდა; სწორედ ის ხე იყო, მქისე, სველკანიანი, სიმრუმეში ჩაყურული რტოებით, მასავით შიშველი, საწყალი და სახიჩარი, სიცივისაგან მოცახცახე.

აგნესმა მკლავები შემოაჭდო ხეს, გაღეულ ტანზე თითები შეაერთა, თავისი მთრთოლვარება შეუყენა და შელოცვის სიტყვები წაიჩურჩულა:

„ო, ხეო, ხეო, შეგარხევ მე,
ო, ხეო, ხეო, დაგარწევ მე,
დე, ჩემმა სატრფომ მისმინოს მე!
არადა, წმინდა ანდრიავე, დე!
ძაღლმა უყეფოს ჩემს სატრფოს, დე!“

აგნესმა სუნთქვა შეიკრა და ყური მოიდგრინა. ჩქამი არ ისმოდა, არც ყმუილი და წკნაეილი არსაით. მხოლოდლა წვიმა დაცუხცუხებდა მინდვრად, თითქოს ჩიტის ფეხებით დარბისო; ბუყბუყებდა ღრმულეებში, ვით ყანყრატოში; იბარებოდა უზო-ყურეებში, თითქოს მექალთანეა, სამოახლომთაბ-შოსამ-სახურე გოგოებს რომ უღარაჯებოს.

ცოტა ხანს კიდევ შეიცადა, მკლავები ისევ ხის ტანზე შემოეჭდო; სისველეს გრძნობდა თმაში და წყალი ყინულოვან ნაკადებად მოღვარღვარებდა სახეზე. ხელები უღონოდ ჩამოუშვა, შემობრუნდა და წელში მოკაკული უკან წალასლასდა; ძლივს მიირწეოდა ატაბარნებული ჩექმების სიმძიმისგან.

და უცებ ცხადლევ გაიგონა რალაცნაირი უცხო, გამოუცნობი ხმა, უსავენო გაბმული ყმუილი, მწყემსის ბუკის ხმის დარი, მარტოეული, საზარი ჩივილი, თითქოს ხის ფულურაში ქარი დაშტიალებსო.



ინებორბ ბახმანი

გერმანულიდან თარგმნა ლავსთ ვერპლიანმა

ამახილი დიდი ღათვისადგი

ჩამოდა დაბლა, დადო დათვო, ბოშბორა დამეუ,
ღრუბლისბეწვება მურა ნადართ,
რომ დაგიკუსხავს ეგ თვალები, ეგ ბებერი
ვარსკვლავთუაღები.

კიაფ-კიაფათ შიარღვევს უღრანს
შენა ბწკლანა მძიმე ტორი,

ვარსკვლავბწკლიანი.

მონუსხულები შემოგცქერიო, თან მაინც ფხაზლად
ვღარაჯობო ნახირს; არ ეენდობიო შენს დაღლილ ფერდებს,
არც მაგ აღესილ, მაგ ნახივრად დაღრჭენილ კბილებს;
ბებერი დათყო.

თქვენი ქვეყანა: ერთი გარჩი.

თქვენ: ქერცლი ძიხი.

მივაგორებ, მივაბზრიალებ

შეხაქმის ხიდან

ვანკითხვის ხემდე,

ყუნახავ,

თათებში ვათამაშებ,

კბილებით ვხინჯავ.

შეშანდით,

ანდა ნუ შეშინდებით!

განზანაკებში ვერცხლი ჩათვალეთ,
 უთხარით ხოლმე ბრმა ბერიკაცს
 კეთილი ხიტყვა,
 რომ საბლით მაგრიდ ეჭიროს დათვი.
 და ცხვრებას დაკვლიც არ დაგავიწყდეთ.



თორემ იქნება აიშვას დათვმა,
 გადმოგერიოთ
 და გირჩები მიძყარ-მოჰყაროს,
 დაღა ნაძვიდან ჩამოცვენილნი,
 ხახუფეველის ფრათხანი ხიდან.



ჩრდილება ვარლება ჩრდილება

უცხო ცის ქვეშ
 ჩრდილება ვარდება
 ჩრდილება
 უცხო მიწაზე
 ვარდება და ჩრდილებს შორის
 უცხო წყალში
 ჩემა ჩრდილია



გადაღებული დრო

უფრო მკაცრი დღეები მოვა.
 დრო, სამუდამოდ გადაღებული,
 ისევ გაძოჩნდა თვალსაწიერზე.
 უნდა შეიგრა ფეხსაცმელი
 და ძაღლები უკან გაჰყარო,
 შერეო, სადაც ხარეწავი ეზოებია,
 თორემ თევზების შიგნეული
 ცივდება ქარში.
 დვას ლობინართა მწირი ნათელი.
 შენმა თვალებმა ნისლი გააპო:
 დრო, სამუდამოდ გადაღებული,
 ისევ გაძოჩნდა თვალსაწიერზე.
 გაღმა შენს სატრფოს ქვეშა იხევეს,

ნელ-ნელა მარხავს,
 ქვიშა გროვდება მის გაშლილ თმებში,
 ბირს უვსებს ქვიშა,
 დუმილს უბრძანებს,
 ის კა მშვიდია,
 სასიკვდილო სვეენას მინებდა.
 ნუ მიახედავ.
 შეივარ ფეხსაცმელი.
 ძაღლები გაჰყარე.
 გადაიხროდე თევზები ზღვაში.
 ჩააქრე ყველა ლობინარი!

უფრო მკაცრი დღეები მოვა.



ნოსლის ქვეყანა



ზამთრობით ჩემი საყვარელი
ტყეში ბინადრობს ტყიერებთან.
დილით შინ უნდა გამოვბრუნდე,
იცის მელამ და ეცინება.
ღრუბლებიც როგორ ცახცახებენ!
თოვლმა ჩამაცვა ჯუბაჩები,
ჭირხლმა საყელთ დამიქარგა.

ზამთრობით ჩემი საყვარელი
ხეა, ყვავებით დახუნძლული,
შავი ყვავებით, ბუდშავეებით,
და ხეთა შორის მემალემა.
იცის, რომ ქარი სადამთთი
კაბას წამოსდის თვირთვილიანს
და მე შინისკენ გამომაქცევს.

ზამთრობით ჩემი საყვარელი
თევზებთან ცხოვრობს მდინარეში,
უსმენს ჩქერებს და მდუმარეა.
მე ნაპირიდან გადავცქერა,
ვიდრე ყინული წამიღებდეს.

ნელა მიცურავს დარნიხაკენ,
ფარფლები ოდნავ ერხევიან
ტრიალ მინდორზე გამოვედი,
ძირს დამცა ბაზის დაძახილმა,
ვეება ფრთები დამეხურა.
მან კი ბუმბული გააცალა
ჩიტებს და ველი გადაპენტა.
ლავიწის ძვალი გადმომიგდო.
ყელზე შევიბი ავგაროზად.

ღალატი იცის საყვარელმა:
შედგება მაღალ მაშიებზე
და ქალაქს შიდას უთენია.
ბარებში ჩალის ღეროებით
სასმისთა ტუჩებს ამოკოცნის.
სხვათა ენაზე ლაპარაკობს.
მე არაფერი გამეგება.

ნოსლის ქვეყანა მომატარა.
ნოსლის გულ-ღვიძლით დამაპურა.



კრისტინე ლავანტი



გერმანულიდან თარგმნა ღაკით ვერაღიანა

ნუ მკითხაუთ, რითი გაიპო ღამე,
რადგან ეს ღამე ჩემია მარტო,
და ფარშევანგის შორი ძახილიც,
ბნელი და მჭასე, ჩემია, რადგან
ამბავი მოაქვს მარტოდენ ჩემთვის.
მზეც კი სვალისა, შუქდაწრეტილი
და სალხინებლის კვირტში ჩამდგარი,
თუ შეყოვნდება, განვდევნი მასაც,
რადგან ეს კვირტიც ჩემია მარტო,
ჩემგან ჩემს ღოდზე ამოსმობილი
ხვალღამინდელი ჩემი ღამისთვის.



ჰანს კარლ არტმანი



მეისრის უცნაური თავგადასავალი

გერმანულიდან თარგმნა პიორპი მაჭუტაძემ

1. დიდი მოვალეობა აწევს მხრებზე „უნიონ პასიფიკ“ საზოგადოების მეისრეს. მან უნდა იზრუნოს კაცსა და პირუტყვზე, მაგრამ, რა გაეწყობა, ზარალსაც უნდა ერიდოს.

2. ერთადერთი წიგნი აბადია მეისრეს, რომელსაც მუდამდღე კითხულობს. ათი წელიწადია ეს წიგნი აქვს, მაგრამ როგორც კი სამოცდაჩვიდმეტ გვერდს ჩაათავებს, ისევ თავიდან იწყებს კითხვას, გაგრძელებით ველარ აგრძელებს, წინათგრძნობისა ეშინია. რა სისულელეაო, ბუტბუტებს იგი და მაინც პირველ გვერდს უბრუნდება.

3. პირში მუდამ განუყრელი ყალიონი გაუჩრია, ცოლი არ ატიალია, ყოველთვის მომსწრეა საღამოულ ცაზე პირველივე ვარსკვლავის აციმციმებისა; მოსაშარდავად სახლს მოეფარება და ხშირ ჭინჭრიანს მიაშურებს; დილა-სისხამზე უკვე ფეხზეა და საუზმეს ერთ ჭიქა ლუდსაც დააყოლებს.

4. უკანასკნელი მატარებელი ყოველთვის ოცდაერთ საათსა და ოცდათხუთმეტ წუთზე ჩაიჭროლებს ხოლმე; ბოლო ვაგონი თანდათან მოეფარება მზერას, დამმუხრუჭებელი გამცილებელი თვალს ჩაუკრავს მეისრეს; ისინი რა ხანია მეგობრები არიან, თუმცა ერთმანეთს არასოდეს გამოლაპარაკებიან.

5. მეისრეს ხელში ერთპენიანი ბულვარული რომანი უჭირავს, რომელსაც „უნიონ პასიფიკ ექსპრესის კაცი“ აწერია. დღეს რომანი ბოლომდე უნდა ჩავიკითხო, გადაწყვეტს მეისრე, მაგრამ გული სასიკეთოს არ უგრძნობს.

6. ერთხელაც იყო უკანასკნელი ვაგონის უკანა ბაქანზე უცნობი დამმუხრუჭებელი შენიშნა; ნეტა მისი ნაცნობის შემცველი ხომ არ იყო?

7. დაახლოებით ოცდასამ საათზე მეისრეს უჩვეულო სინათლემ მოსჭრა თვალი; სახლის წინ რომ გავიდა, მატარებელმა ჩაუჭროლა, რომელიც არც ერთ განრიგში არ იყო აღნიშნული; უჩქამოდ მიქროდა მატარებელი, ბოლო ვაგონის ბაქანზე ის უცნობი გამცილებელი იდგა და ტუჩის გარმონს უკრავდა.

8. მეისრემ თვალეზი მოიფშვნიტა, ყოველივე ეს უცნაურად მოეჩვენა. იგი ხომ სულ მარტო იყო. მერე შინ დაბრუნდა, საუცხოო ლუდი გადაკრა და წებოთი გაწება წიგნი სამოცდათვრამეტი გვერდიდან ასოცდაექვს გვერდამდე-პო, ასე სჯობიაო, გაიფიქრა მეისრემ.

□

კეტირ კანდკე



სამეთვალყურაო საბჭოს მისალმება

გერმანულიდან თარგმნა ბიორბი მაჭუტაძემ

ბატონებო, აქ საშინლად ცივა. არ ვიცი, როგორ აგიხსნათ. სწორედ ერთი საათის წინ ქალაქიდან დავრეკე, სხდომისთვის ყველაფერი მზად თუ არის-მეთქი, მაგრამ არავინ მიპასუხა. მაშინვე აქეთ გამოვექანდი და კარისკაცს დავეუწყე ძებნა. იგი ვერც თავის ოთახში ვნახე, ვერც სარდაფში. ლუმელს მიფიცხებულა და ვერც შემოსასვლელში. ბოლოს, აი, ამ ოთახში მის ცოლს წავაწყდი: სიბნელეში იჯდა, სკამი კართან მიედგა, თავი მუხლებში ჩაერგო და კეფაზე ხელები შემოეჭდო. ვკითხე, რა მოხდა-მეთქი. ჩემი ქმარი წავიდაო, არც კი შერბეულა, ისე მიპასუხა. — ციგათბისას ჩვენს ერთ ბავშვს მანქანა დაეჯახაო. აი, სწორედ ამიტომ არ გაუთბიათ აქაურობა. პოდა, გთხოვთ, ამ ამბავს გამგებიანად მოვეკიდოთ, დიდხანს არ დაგაყოვნებთ. იქნებ აჯობდეს, სკამები ახლოს მოდგათ, მაშინ ხმას ძალას აღარ დაგატან; არ ვაპირებ პოლიტიკაზე ლაპარაკს, მხოლოდ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე მინდა მოგახსენოთ. საწყენია, რომ ფანჯრის მინები ქარმა ჩაამსხვრია. თქვენს მოსვლამდე მე და კარისკაცის ცოლმა ბევრი ვეცადეთ, ოთახში არ შემოთოვოსო, ფარღალაღაზე პლასტიკის ტომრები აგვეკრა, მაგრამ როგორც ხედავთ, ფიფქები მაინც ცივა. გთხოვთ, ნუ შეგაკრთობთ ეს მცირედი ხმაური და ყური მომაპყრათ, როცა ბალანსის შემოწმების შედეგს მოგახსენებთ: შესაშფოთებელი არაფერია; გარწმუნებთ, საქმეთა მმართველობა სამართლებლივად უზადოა (ჩემი ნალაპარაკევი თუ არ გესმით, იქნებ უფრო ახლოს მოსულიყავით). სამწუხაროდ, აქ, ასეთ პირობებში გესალმებით. ეს არ მოხდებოდა, რომ ის მოციგურავე ბიჭი მანქანას ქვეშ არ ჩავარდნოდა. ფანჯარაზე პლასტიკის ტომარას ძაფით რომ ამაგრებდა, დედამისმა მიაშბო, ჩემი ქმარი იმ დროს სარდაფში იყო, ნახშირი უნდა ამოეტანა, როცა მისი ყვირილი გავიგონეო. თვითონ თურმე ამ ოთახში იმყოფებოდა და სხდომისთვის სკამებს აწყობდა: უცრად ქმრის ღრიალი შემოესმა, ადგილზე გახევდა თურმე; მერე დააყურა. კარებში ქმარმა შემოჰყო თავი, ნახშირით სავსე ბაღია ისევ ხელში ეჭირა. თვალს არიდებდა და წყნარად უყვებოდა, რაც მოხდა. მეორე ბიჭს მოუტანია ამბავი. რაკი თქვენი სია კარისკაცს წარჩა, ყველა აქ მობრძანებულს გესალმებით. როგორც ვთქვი, ყველა აქ მობრძანებულს გესალმებით (გესმით ქარის დმუილი?). მადლობელი ვარ, რომ ამ თოვლსა და ყინვაში ამხელა გზა გამოიარეთ და სხდომაზე მობრძანდით. ალბათ, ფიქრობდით ისეთ ოთახში დავსხდებით, სადაც ფანჯრებზე ყინული გამლღვალა იქნებოთ, ლუმელს მივეფიცხებითო, მაგრამ პალტოები არც კი გაგიხდიათ, ისე უსხედხართ მაგიდას, არც ფეხებზე გაგდნობიათ თოვლი. ოთახში ლუმელიც კი არა დგას; კე-

დელში მხოლოდ აი, ის შავი ხერელი ჩანს, სადაც წინათ კვამლსადენი იყო; ალბათ, მაშინდელია, როცა ამ გამოცარიელებულ სახლში და ამ ოთახში ხალხი ცხოვრობდა. გმადლობთ, რომ მაინც მობრძანდით. მადლობელი ვარ და მოგესალმებით! მოგესალმებით! მოგესალმებით! უპირველეს ყოვლისა გუთხოვდით მივესალმები აი, იმ ბატონს, შემოსასვლელიდან რომ ზის, სადაც ბატონი ქალი იჯდა; მივესალმები ბატონს და მადლობელი ვარ მისი. როცა მან ორიოდე დღის წინათ დაზღვეული წერილი მიიღო, ასეთი და ასეთი სხდომა გაიმართება, სადაც მშართველობის ანგარიშგებას განიხილავენო, შესაძლოა აქ ამოსულა საჭიროდ არ მიიჩნია, მით უმეტეს, რომ ციოდა და გადაუღებლივ თოვდა; მაგრამ შემდეგ იაზრა, საზოგადოებას რაღაც უნდა უჭირდეს, საშიშროება მოელოდესო. დიახ, იქნებ იყიქრა, საშიშროება მოელისო. არა, საზოგადოებას საშიშროება არ ემუქრება (მაპატიეთ, მაინც რა ქარბუქი ტრიალეზს!). ჰოდა, იგი გზას დაადგა და ამ თოვლსა და ყინვაში ქალაქიდან სხდომაზე ამოვიდა; თავისი ავტომანქანა დაბლა, სოფელში დატოვა. აბა რა ექნა; აქეთ, ამ სახლისკენ ხომ მხოლოდ ერთი გზაწერილი მოუყვება. მერე იგი ერთხანს დუქანში იჯდა და სანამ სხდომაზე წამოვიდოდა, გაზეთში სამეურნეო ამბებს გადააეღო თვალი; აქეთ რომ შემოუხვია, ტყეში ერთ ბატონს გადააწყდა, ისიც სხდომაზე მოდიოდა. გზისპირა ბოძნიშანს მიჰყრდნობოდა, ცალი ხელით თავზე ქუდს იმაგრებდა, მეორეში კი დამზრალი ვაშლი ეჭირა; შუბლი და თმა თოვლს დაეფიფქა. ჰო, იმას ვამბობდი, თმაზე თოვლი ეფინებოდა და დამზრალ ვაშლს კბეჩდა-მეთქი, როცა პირველი ბატონი წამოეწია; ერთმანეთს მიესალმნენ, მეორემ ხელი პალტოს ჯიბეში ჩაიყო, დამზრალი ვაშლი ამოიღო და პირველს გაუწოდა; სწორედ ამ დროს ქარმა თავზე ქუდი გადააძრო და ორივეს გაეცინა. ორივეს გაეცინა (ცოტა კიდევ მოიწით აქეთ, თორემ ვერაფერს გაიგონებთ. ხომ გესმით, როგორ ჭრილებს რაღაცა, მაგრამ ეს საზოგადოებას არ უნდა ემუქრებოდეს; თქვენ ყველას გერგებათ შარშანდელი წლის მოგების წილი. აი, რა უნდა ნეთქვა ამ საგანგებო სხდომაზე). სანამ ის ორი ბატონი თოვლსა და ქარბუქში გზას მიიკვლევდა, დაბლა, სოფელში ლიმუზინით ჩამოვიდნენ დანარჩენი ბატონები. ავტომანქანებს ამოფარებულებს ქარი პალტოებს უბერავდათ და თავს იტეხდნენ. ღირს თუ არა იმ დაცხავებულ სახლში ასვლაო. მე ვთქვი, გლეხური სახლი-მეთქი. თუმცა გზა ყველას აფიქრებდა, მაგრამ ერთმა მათგანმა საზოგადოების საზრუნავი ახსენა და დანარჩენები დაიყოლია. მერე დუქანში სამეურნეო ამბები გადაიკითხეს, წამოდგნენ და თოვლში სხდომაზე გამოსწიეს. საზოგადოების ბედზე მზრუნველობა ეწეოდა მათ წინ. თავდაპირველად ღრმა კვალს ტოვებდნენ თოვლში, მაგრამ ნელნელა გამოსავათდნენ, ფეხს ძლივს მოათრევდნენ და თანდათანობით გზაც გაიკვერა. ერთხელაც იყო შედგნენ და, როგორც გახსოვთ, ველს გადახედეს. მოჭურუხებული ზეციდან ეფინებოდათ თოვლი. წინ ნაკვალევი მოჩანდა; ერთი ვანშტოება თავქვე ეშვებოდა და ძნელადღა გაარჩევდი; სწორედ აქ გაიბინა იმ გლეხმა, როცა თავისი ბავშვის უბედურება შეიტყო. ალბათ, წამდაუწუმ ეცემოდა და არც კი ცდილობდა სახე ხელებით დაეფარა; წამდაუწუმ ღრმად ეჟლობოდა ამ ყინვა თოვლში; წამდაუწუმ აკანკალებული თითებით ითხრიდა ორმოს-თოვლში; თოვლზე განრთხმული ენით ლოკავდა მომწარო უფიქრებს; მისი ღრიალი ისმოდა თოვლიან ქარბუქში! ვინებორებ: თოვლიან ქარბუქში ისმოდა-მეთქი გლეხის ღრიალი. თქვენ ხომ ის ნაკვალევიც ნახეთ,

მალა-მალა რომ აღიოდა დაცხავებული გლეხური სახლისკენ — იმ ორი ბატონის ნაკვალევი, რომლებიც საზოგადოების მდგომარეობაზე ლაპარაკობდნენ და ახალი აქციების გამოშვებით კაპიტალის გადიდებაზე ფიქრობდნენ. დამზრალ მწვანე ვაშლებს კბეჩდნენ და ქარბუქში გზას მოიკვლევდნენ. ბოლოს, როგორც იყო ამოაღწიეს და კარლიაში შემოვიდნენ; პირველად ამოსული ორი ბატონი უკვე აქ იჯდა და ისე, როგორც ახლა, მუხლებზე უბის წიგნაკები ედოთ და ხელში ფანქრებს ატრიალებდნენ; მზად იყვნენ ჩაეწერათ, რასაც ვიტყოდი. ჰოდა, მოგესალმებით ყველას და მადლობას გიხდით მობრძანებისათვის; მივესალმები იმ ოთხ ბატონს, აქეთობას სოფლის გზაზე მანქანით გლეხის ბიჭი რომ გაჭყლიტეს, გლეხის ბიჭი, კარისკაცის ბიჭი. (აი, ისევ ჭრიალებს შენობა; დიდი თოვლია და, ალბათ, სახურავი თუ ჭრიალებს; აბა, საზოგადოებას კი არაფერი ემუქრება. საზოგადოების ბალანსი აქტიურია: საქმეს უზრიკებოდ ვუძღვებით. მხოლოდ კოჭები იზნიქება, კოჭები ჭრიალებს). მადლობა მინდა კიდევ ვუთხრა იმ გლეხს ყველაფერზე, რაც მან ჩვენი სხდომისათვის გააკეთა. ამ რამდენიმე დღის წინათ იგი თავისი ადგილ-მამულიდან ჩვენთან ამოვიდა და კიბე ამოიტანა, ეს ოთახი უნდა შეეთეთრებინა. კიბე მხარზე გაედო და ხელით ეკავა: მეორე ხელში კირიანი სათლი ეჭირა, საიდანაც თავწამტვრეული ფუნჯის ტარი მოჩანდა. როგორც კი მისმა შვილებმა ფანჯრებზე მიწყობილი შეშა ეზოში მარხილით გაიტანეს, გლეხმა კედელი შეათეთრა. ერთი ხელი სათლს მოჰკიდა, მეორე — კიბეს, ამ ოთახში შემოვიდა და გულდაგულ დალაგებას შეუდგა; მარხილებიანი ბავშვები ჟრიალულით მიჰქროდნენ შინ და გზას უკვალავდნენ; ქარი აფრიალებდა ბავშვების ყელსახვევებს. იატაკზე ახლაც ჩანს თეთრი წრეები, ერთმანეთს რომ კვეთენ — ნაკვალევი სათლისა, რომელსაც გლეხი კიბიდან ძირს დგამდა. შემოსასვლელთან რომ შავი წრეებია, სადაც ფხვიერი თოვლი ეყრება, ცხელშეჭამანდიანი ქოთნების ნაკვალევი, დედაკაცს ქმარშვილისთვის სადილად რომ მოჰქონდა. მეორე სამივენი შიშველ იატაკზე მოიკალათებდნენ, ფეხს მოირთხამდნენ და ნეტარებით ხვრეპდნენ წვნიანს; ამასობაში დედაკაცი შემოსასვლელში იდგა, ხელები გულზე მიეკრა და ხალხურ თოვლის სიმღერას ღიღინებდა; ბავშვებიც აყვებოდნენ სიმღერას წვნიანის ხვრეპა-ხვრეპით და თავებს აკანტურებდნენ, (ძალიან გთხოვთ, ნუ შემფოთლებით, შესაშფოთებელი არაფერია. სახურავია ასე რომ ჭრიალებს, მძიმე თოვლი აწევს და ასე ამიტომ ჭრიალებს). სიამოვნებით მივესალმებოდი მას, ახლა დაბლა, სოფელში გაჭყლიტულ ბავშვს თავზე რომ არ ადგეს. მივესალმებოდი გლეხის ქალსაც და მადლობას გადავუხდიდი, მივესალმებოდი ბავშვებსაც და გულითად მადლობას ვეტყოდი ყველაფრისთვის, რაც მათ ამ სხდომისათვის გააკეთეს. საერთოდ მოგესალმებით ყველას და მადლობელი ვარ თქვენი. თანაც გთხოვთ, ფეხზე არავინ წამოდგეს: ვაითუ ნაბიჯების ხმაზე ჭერი ჩამოინგრეს. ხო-ხო, რა ქარბუქია! მე ვთქვი, რა ქარბუქია-მეთქი. ისხედით წყნარად. მოგესალმებით და ყველას მადლობას გწირავთ მობრძანებისათვის. აი, მხოლოდ ესაა — კოჭები ჭრიალებს. მე ვთქვი, კოჭები ჭრიალებს-მეთქი. მე ვთქვი, რაც უკვე ვთქვი, მშვიდად ისხედით-მეთქი. მე ვთქვი, რაც ვთქვი, ისხედით-მეთქი. მოგესალმებით! მე ვთქვი, რაც ვთქვი, მოგესალმებით-მეთქი. მოგესალმებით ყველას, ვინც თავისი წილის მისაღებად მობრძანდა. მოგესალმებით ყველას! მოგესალმებით! მე...

პარპარა ფრიშმუტი

ქ ე ლ ე ხ ი



ვერმანუღიდან თარგმნა მისეილ ბარონვილმა

ერთი ახმახი და ზონზროხა პაპა გვყავდა, — უყვებოდა ბავშვებს პოპა, მეტსახელად „გრძელი პითონი“. — იგი ყველაზე კარგი პაპა იყო, ტყეში ცხოვრობდა და ჩვენი ბებიის ჰყავდა ცოლად. როცა ვესტუმრებოდით, ხან ჰეჩიბეჩის¹ გვაჩუქებდა, ხანაც წიგნებს გვათხოვებდა და ამ წიგნებიდან ჩვენ ცხოველებს ვიხატავდით.

მაგრამ ერთ დღეს მოკვდა ჩვენი პაპა. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი: ბნელოდა. პაპა ტყეში მოტოციკლს მიაქროლებდა. უცებ წინ ირემმა გადაურბინა. პაპაჩვენი შეეცადა გზა აექცია, მაგრამ ვერ მოახერხა და მოტოციკლი ირემს ისე ძლიერ დააჯახა, რომ ყველანი — ირემი, პაპა და მოტოციკლიც — პაერში ამოტრიალდნენ. ცალთვალგამოგდებული პაპა ცალკე გაგორდა. თვალს ვილა ჩიოდა, თავი გზის პირა ბოძს მიახეთქა, გაუსკდა და ტვინმა შადრევანივით ამოასხა. მუცელგამოფატრულს ცალი ხელი ნაწლავებში გახლართვოდა, აღარათვრს ვამბობ მხრებსა და ფეხებზე, ერთიანად რომ დათეთქვოდა და მოჩხლართვოდა. ცურაედა პაპა საკუთარ სისხლში, ვიდრე მეტყევე არ წააწყდა მის გეამს და ის ერთადერთი თვალის საბოლოოდ არ დაუხუჭა.

— თავად ნახე? — ჰკითხეს ღობესთან მომდგარმა ბავშვებმა, ისინი ღობეზე ამობლებას ცდილობდნენ, უკეთ, რომ გამოეხედათ.

— არა, — თქვა პოპა-გრძელმა პითონმა... — საკუთარი თვალითაც რომ შენახა, მეტს მაინც ვერაფერს გეტყოდით. ასე იყო... გინდ დაიჯერეთ, გინდა არა.

სულ ეს არის? — ჰკითხა მეორე ბავშვმა, — სხვა არავინ მოგკვდომიათ?

— როგორ არა, — მიუგო პოპამ, — ბებიაც გვყავდა, მაგრამ პაპაჩვენის ცოლი კი არა, პერპერასი, რომელიც ჩვენგან შორს, სადღაც ტყეში ცხოვრობდა.

— იმას რაღა დაემართა?

— წყალში ჩავიდა.

— რას ჰქვია, წყალში ჩავიდა? — ჰკითხა მეორემ.

— პო, აგრე იყო. წყალში ჩავიდა და ჩაიძირა. ცურვა არ იცოდა.

— შენ გგონია შაშინვე მოკვდა? — შეეკითხა პირველი ბავშვი.

— პო, მოკვდა, მაგრამ მესამე დღეს ნახეს მხოლოდ, როცა წყალმა ამოატივტივა ერთიანად დამბალი და გაბერილი, გამწვანებულ-გალურჯებული. მუცელი საძაგლად უყარდა. კარვა ბევრი წყალი ეყლაპა. როდესაც ნაპირზე გამოიტანეს და პერპერას სახლში მიასვენეს, კუბოში ველარ ეტყოდა, კუბო კი ცოტა ხნით ადრე თვითონვე შეაკვრევინა მეკუბოვეს.

¹ ჰეჩიბეჩი — ზღაპრების პერსონაჟი, რომელიც პაერის ბურთზე ზის და ურჩ, გაეგონარ ბავშვებს წვეტიანი ჯოხით ზურგში ჩხვლევს (სათამაშო).

- წყალში რაღად ჩაეიდა? — ჰკითხა მეორე ბავშვმა.
- მეც არ ვიცი. — მიუგო პოპამ, — მაგრამ წყალში ჩასვლამდე ვერ თავის ჩამოხრჩობა სცადა, მერე ვენები გადაიჭრა, ერთხელაც ტყვია იჭრა მხარში.
- და ერთხელაც არ მომკვდარა? — ჰკითხა პირველმა.
- არა, — მიუგო „გრძელმა პითონმა“, — მხოლოდ წყალში ჩასვლამდე მოკვდა.
- მერე? — ჰკითხა ბავშვმა, — აღარაფერ მოგკვდომიათ?
- მაცალეთ, — შეესიტყვა პოპა, — მაცალეთ, მოვიფიქრებ, იქნებ კიდევ მომაგონდეს ვინმე. უსათუოდ ჩემიანზე გიამბობთ, თუ სულერთია ვისზეც იქნება?
- სულერთია, თუნდაც ვინმე ნაცნობზე, — თქვა მეორემ.
- მაშინ ჩვენი მზარეულის ქმარზე გიამბობთ. ეს ამბავი რკინიგზასთან მოხდა. ის კაცი ხშირად მიწახავს ჩვენთან სტუმრად მოსული. ლურჯი ფორმა ეცვა და ილღიაში ყოველთვის საქალაქადე ჰქონდა ამოჩრილი.
- მას რაღა დაემართა? — ჰკითხა პირველმა.
- ერთხელ, მატარებელი რომ ახლოვდებოდა, ლიანდაგზე გადასვლა მოინდომა. მატარებელმა გადაუარა, ტანი აქეთ ევდო, ხელ-ფეხი იქით. ძვალი, ხორცი, თმა, — ყველაფერი ერთმანეთში აზელილიყო.
- შენც იქ იყავი? — შეეკითხნენ ბავშვები.
- არა, — მიუგო პოპამ, იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ იმ კაცის მეუღლემ, ჩვენმა მზარეულმა ჩაგვიკენა ყველაფერი.
- წავალთ ახლა! — თქვეს ბავშვებმა.
- ცუდად გახდით? — ჰკითხა მათ პოპამ. — თუ ასეა, ნულარ მომისმენთ.
- არა, — შეესიტყვა მეორე ბავშვი. — მოგეშვიდა... ნასადილევს ისევ მოვალთ.
- ძალიან კარგი, — თქვა პოპა-გრძელმა პითონმა. — მანამდე ვიფიქრებ, იქნებ კიდევ გამახსენდეს ვინმე.



მიხაელ შარანგი

სამართლის ზღაპარი

ხალხიდან რომ გამოვიდა და ხალხსეე დაუბრუნდა.

გერმანულიდან თარგმნა პიორგი პაჭუტაძემ

ოყო და არა იყო რა, იყო ერთი სამართალი, რომელიც უზარმაზარ სახელმწიფოში ცხოვრობდა. ახალგაზრდა იყო, ლამაზი, ავთვალს არ დაენახებოდა; მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მისი ქოხის წინ ხელმწიფის მიერ გამოგზავნილი ეტლი გაჩერდა, რომელსაც დიდი ამაღა მოს-

დევდა. სამართალი გარეთ გამოიყვანეს და უბრძანეს, ახლავე ეტლში ჩაჯექი და სასახლეში წამოგვეყვით. ემძიმა სამართალს მშობლიური სანახების დატოვება, მაგრამ როცა მწვანედ მოლივლივე ზვრებს გვერდზე ჩაუარა, გულისტკივილი დაუამდა. საწყალი მშობლები კი თავს იმით იმშვიდებდნენ, მუცლის გულმოწყალება დიდხანს არ გაგრძელდება და ჩვენი კობტა ბიჭი მალე დაგვიბრუნდებაო.

სამართალს ფუმფულა ბალიშზე ჩასთვლიმა; როცა თვალი გაახილა და ეტლიდან გარეთ გაიხედა, ხრიოკ მინდვრებში, ხეებზე ჩამოკონწიალებულ გლეხებს მოჰკრა თვალი. ნეტა ცხადში ვარ თუ სიზმარშია, გაიფიქრა და მეეტლეს ჰკითხა, ხომ არ მეჩვენებაო. მეფის დაუძინებელი მტრებიო, აუხსნა მეეტლემ და ცხენებს მათრახი გადაუჭირა. მეფეს მოკვლას უპირებდნენ, უნდოდათ სასახლე მიწასთან გაესწორებინათ, მაგრამ, როგორც ხედავ, ხელმწიფემ ყველას მუსრა გაავლო! აბლა სამართალმა მეეტლის რჩევით, მეორე მხარეს გაიხედა და ნახა, რომ ზედ გზასთან ნაკადული მიჩხრიალებდა.

გალავნის იქით, სადაც ლელე იკარგებოდა, სასახლე იყო აღმართული. სამართალი მოვიდაო, ხელმწიფეს ისე გაეხარდა, რომ მეფის რამდენიმე მრჩეველი სულ თავს აქნეიდა (სულელები იყვნენ), ზოგ კარისკაცს კი გულში (პატივმოყვარეებს) შურა შეეპარა. მეფემ სამართალს უთხრა, რამდენიც გენების სასახლეში იმდენხანს დარჩიო, იაე კი ნუ იჩქარებ, ამ ძნელბედობის ჟამს რალაცამ სიხარული ხომ უნდა მოგანიჭოსო. სამართალმა, როგორც გზაში მეეტლემ დაარიგა, ხელმწიფეს შადლი შთახსენა; სათქმელი რომ გამოელია, გარს სეფექალები შემოეხვივნენ და იგი თავის ოთახში შეიყვანეს, ალერსი შეაფრქვიეს, დაბანეს, მოალამაზეს და ახალ სამოსში გამოაწყვეს.

თავდაპირველად სამართალი ნეტარების მეტს არაფერს გრძნობდა, იყო ერთი დროსტარება სასახლის გადაჭიმულ ბაღებში, ყველა დღეს სიხარული მოჰქონდა. ეს იყო მხოლოდ, ზოგ-ზოგები მაინც ეჭვის თვალით უცქეროდნენ სამართალს და იგი ამას მწარედ განიცდიდა; კარისკაცები ამშვიდებდნენ, რა მოხდა მერე, თუკი ვინმე სხვა თვალთ გიყურებს, ისევ თითო-ოროლა მსახური, მოახლე და მეჯინიბეაო. მაგრამ ამ სიტყვებს მისთვის ნუგეში არ მოუტანია. ვინმე გზას რომ აუქცევდა, სამართალი უკან გამოუდგებოდა და მიზეზს ჰკითხავდა, ასე რად იქცევით. შენ ხელმწიფის სამართალი ხარ, ჩვენი კი არაო, ჩაიბუტბუტებდნენ პასუხად. აბა, ასე რად ამბობთო, ეტყოდა დაბნეული, მე აქ იმისთვის ვარ, ყველას სიხარული მოგანიჭოთო, და იგი წვრილად უამბობდა მათ მისი აქ მოსვლის ამბავს. ჩემით მოვედი და თუ თქვენი ნება არ იქნება, ამ წუთში დავკრავ თეხს და ჩემს თავს ვეწევიო. მერე იმდენს ელაპარაკებოდა შემწყრალთ, ისე მოალბობდა, რომ ისინიც უჯერებდნენ და იმ დღიდან მოყვრულად უყურებდნენ.

ყოველთვის, როცა სამართალი რომელიმე უკმაყოფილო მსახურს მოაგუნებდებოდა, მეფე დაუყოვნებლივ სასახლეში იხმობდა მას, ბლომად სატურტლეს უბოძებდა და ეტყოდა, ოქროთი აბა როგორ აიწონება, რაც ჩვენს სამეფოში მშვიდობა და ბედნიერება მისხალ-მისხალ მიმრავლეო. ხელმწიფემ იმდენი ოქრო უწყალობა სამართალს, რომ მისი სვიერები ციმციმ იყო მოპირთავებული; მაშინ შეევედრა იგი მეფეს, ამ საბოძვარს იმათ ჩამოკურიგებ, ვინც აქამდე აღმაცერად მიყურებდა; სასახლეში ყველაფერი ისედაც თავზე გადამდის, არც კი ვიცი ამდენ ოქროს რა მოეუხერხოთ. ცოტათღენი ოქრო

მაინც შემოინახა, შინ რომ დაბრუნდებოდა, მშობლებს საჩუქრად მიუტანდა. ახლა კი ეჭვის ნატამალიც აღარ დარჩათ მსახურებს, მოახლეებსა და მოჯამაგირეებს; სამართალმა საქმით დაამტკიცა, რომ არ იყო მართოდვე ხელმწიფის სამართალი.

მაგრამ ახლა, როცა ყველას მასთან შეხვედრა უხაროდა, მამართლის მოწყენილობამ შეიპყრო: ის ცხოვრება აბა რა ცხოვრებაა, მტკონსსსსსს რომ ავყევი და ჩემი დანახვის მეტი არაფერი სურთო. აღარც სასახლის კარის გამუდმებული გართობა-დროსტარება ანიჭებდა სიხარულს. სწავლას მოწყურებულმა ერთხელაც იყო მოისურვა, ზოგ ბავშვს რომ მასწავლებელი უდგას, რა იქნება ერთი მეც დამიყენოთ და ცოდნას დამაწაფოთო, მაგრამ ცივი უარი უთხრეს. ხელმწიფის სტუმარი ამ ცხოვრებაში მხოლოდ სიამოვნებით უნდა დატკბესო. ასევე თავაზიანად ისტუმრებდნენ სამართალს, როცა ვინმეს ხელს გაუმართავდა.

სწორედ ამიტომ გულისგულში ამოიჭრა სამართალმა, გარეთ გასულიყო და ფარულად სასახლის შემოგარენი მოეარა; ფარულად რაღაო, მკითხავთ ალბათ. რაღა და სამართალს აუკრძალეს სასახლის გაღაენიდან ფეხის გარეთ გადგნა. გამუდმებით იმას ჩასჩინებდნენ, მტერს გაუგია, სადაც ცხოვრობ და ერთი სული აქვს როდის მოგიხელთებს და სულს გაგიფრთხობსო. თუმცა იმ სასტიკი დამარცხების შემდეგ ჯერაც ვერ გაუბედავს ჯარების გამოგზავნა, მაგრამ ჯაშუშები მომრავლებულან. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას ისე მოხერხებულად შერევიან, ბევრიც რომ ეცადო, ვერ გამოარჩევო. ამის ვაგონებაზე უფრო მოუნდა სამართალს გარეთ გაპარვა, არა და არ სჯეროდა, დამიჭერენ და სრულიად უმიზეზოდ სიცოცხლეს გამომასალმებენო. ნეტა ვისთვის რა დაეშავებინა.

პოდა, ერთ ღამეს გაღაენზე გადაძვრა, თავი ტყეში შერგო და იქითკენ გაემართა, საიდანაც ნაკადულის შხუილი ისმოდა. მალე მიაგნო ღელეს. არემარე მთვარის შუქში გახვეულიყო და სამართალი დაუბრკოლებლად მიიკვლევდა გზას. სერზე მდგარმა დილის ბინდბუნდში დაბლა ვაკეზე გაწოლილი სოფელი დაღაინდა. სამართალი სოფლისკენ დაუყვა გზას და რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო გარკვევით ხედავდა ყველაფერს. ზოგი სოფლელი უკვე მუშაობასაც შესდგომოდა. შირველივე ეზოში სახლის კარზე მიაკაკუნა; შიოდა და არ ეეჭვებოდა, კარგ საფასურს თუ გადავიხდი, მშვენიერ საუბშეს მომართმევენო; სახლში შევიდა და მხიარული სალამ-ქალამი თქვა.

მაგრამ წარმოიდგინეთ სამართლის გაოცება, როცა მის დანახვაზე ქალი თუ კაცი თავზარდაცემული წამოვარდა ლოგინიდან და ერთ კუთხეში მიიყუჟა. გონს რომ მოვიდა, სამართალმა იკითხა, ჩემი რამ შეგაშინათო. მაშინ წინ გამოვიდა ერთი დედაბერი, ყველაზე უხუცესი დამხვდურთა შორის და სამართალს მიმართა: მოწყალეო ხელმწიფევ, — სასოწარკვეთილებიანგან ხელებს იფშენეტდა იგი, — ამ ორი დღის წინათ იყვნენ ჩვენთან ჯარისკაცები, ცემით დაგვაოსეს, კითხვა კითხვაზე დაგვაყარეს, მერე მოგვიბრუნდნენ და კვლავ გვირტყეს; ყველაფერი გადააქოთეს და უკანასკნელი ლუკმა წავგართვეს; რაც წასადები იყო, წაიღეს, აღარაფერი შეგვარჩინეს. ბალებს დახვრეტილი წინდები გახადეს, დამშუულებს ქვემოდან ჩალა გამოაცალეს. ახლა ჭერილა დაგვრჩენია თავხემოთ, გემუდარებით, მოწყალეო ბატონო, ეს მაინც დაგვიტოვეთ!

— არაერთარი „მოწყალეო ბატონო“ არა ვარ, — თქვა სამართალმა, — მაგრამ ახლა ამისი დრო არ არის. დაუყოვნებლივ დაებრუნდები სასახლეში და მეფეს მოვახსენებ, მტერი შემოგვესია-მეთქი; ვეტყვი, რაც დღე დაგდგომიათ და ისიც უმალ წამოგეშველებათ. რად არ შეატყობინეთ ხელმწიფის ამბავი? ვით უნდა დაგეხმაროთ, როცა ამისი არაფერი იცის? — ხელმწიფის დაეტყობოთ გაკვირვება. იფიქრეს, სტუმარი ნაკვრობით ცდილობს რამე დაგვაცდენინოსო, ამიტომ დედაბერს ყურში რაღაც უჩუბრულებს და ისევ წინ გამოაგდეს.

— მოწყალეო ბატონო! — უთხრა მან, — ჩვენი გამოცდა გინდომებიათ, ისევ ერთგული თუ დავურჩით დიდ ხელმწიფეს. პოდა, თქვენც იმასვე გაგიმეორებთ, რაც მეფის ჯარისკაცებს მოვახსენეთ: ჩვენ ხელმწიფის ერთგული ვართ!

— მაშ, მეფის ჯარისკაცები იყვნენ აქ? — იკითხა სამართალმა. გლებებმა თავი დაუქნიეს.

— პოდა, მაშინ მეფეს სცოდნია, რომ დუნმანი თავს დაგესხათ და ასეთ დღეში ჩაგაგდოთ.

გლებები არ განძრეულან.

— თუ ასეა, დასახმარებლად რად არ მოვიდა? — მოუთმენლობა დაეტყო სამართალს.

ოთახში მყოფთა თვალები დედაბერს მიეხიზნა; დედაბერმა ძალა მოიკრიბა და თქვა:

— ის ჯარისკაცები მეფისა იყვნენ.

სამართალს გაუკვირდა, რომ ამის გაგონებაზე ელდა არ ეცა. — მაშ, ასეა? — წყნარად ჩაილაპარაკა მან და ფანჯარასთან მიდგა; მხერა მიმოავლო დაცარიელებულ მინდორ-ველებს, ველარ ხედავდა კუთხეში მიყუჩული ადამიანების შიმხაკრავ სახეებს. იმათ ახლა, როცა დედაბერმა სიმართლე თქვა, ერთისა ეშინოდათ, მომხვედური უფრო სასტიკად გაგვისწორდებოთ. მაგრამ სამართალმა ასე დაიწყო: მართალია, სასახლიდან გეახლეთ და ეს სამოსზეც მეტყობა, მაგრამ არ იფიქროთ, იქაური ვიყო, თქვენნი ვარ! ჩემი სოფელი, სადაც დავიბადე და მშობლები ცხოვრობენ, თქვენსას ჩამოგავს. შეიძლება იცოდეთ კიდევაც, აი, იმ მთის გადაღმა, სამ ტბასთან ქვეს. მე თვითონ სამართალს მეძახიან. ერთხელაც იყო სასახლიდან მოსულმა ბატონმა ჩვენს სოფელში დამე გაათია. შორეულ ქვეყნისკენ ედო გზა და რაღაც ეტლი გაუტყდა, ჩვენთან უნდა გადაედამა. დრო რომ მოეკლა, სოფელში გაისეირნა; ბავშვები უკან გაცედევნეთ. განა ყოველდღე ვხედავდით ასე მდიდრულად ჩაცმულ კაცს. იგი შეჩერდა, გვიყურა, გვიყურა და მერე იმდენ ბავშვებში შეამოპარჩია. ფული მაჩუქა და მთხოვა, სოფელში გამატარ-გამომატარეო. ბოლოს ჩვენთანებთან მიმავანინა თავი, უამბო, რად დადგომოდა გზას და დაუმატა, გადავწყვიტე შინ ერთი ბავშვი მივიყვანოთ. მისი ცოლი თურმე დღე-ნიადავ ბავშვს შენატროდა მამაზეციერს, მაგრამ ყოლით არა და არ ეყოლა. შემდეგ იმ ბატონმა, როგორც იქნა, ამოღერდა, რა იქნება ეს ბავშვი გამატარნოთო. ჩემმა მშობლებმა ვერ გაბედეს და უარი პირდაპირ ვერ სტკიცეს; მოფიქრება გეცალყოთო, უთქვამთ. სხვა სოფლებთანაც უნდოდათ მოლაპარაკება. ისინი თურმე აღშფოთებულან; ბევრი აღარ უფიქრიათ, ცულების ქნე-ვითა და ჭაჭივების ეღრიალით, ერთი ამბითა და ყვირილით ფუნდუკის წინ

შეყრილან, სადაც კეთილშობილი ბატონი ცხოვრობდა. იმას თავდაპირველად თავი მოუკატუნებია, რას შერჩით, ჩემგან რა გინდათო. მაგრამ როცა აუხსნეს, რაც უნდოდათ, დაამშვიდა თურმე გლეხები: თქვენ რა, ხუმრობა ილაო იცი-თო! მერე სოფლიდან გაბარულა.

ამ ამბავმა გული მოუღობო გლეხებს; გაბედეს და სკამებზე ჩამოესხდნენ, სამართალიც დაჭდა. შიმშილისგან მისაგათებულს, რაც გაიგონა, იმის შემდეგ, ერიდებოდა თქმა, რამე წასახემსებელი ხომ არ მოგეძეებათო. დღეებერმა ტოლჩით რძე მიუტანა; სამართალმა სულმოუთქმელად გამოსცალა. — ბუნებრივია, იმის გაგებაც მსურდა, — განაგრძო სამართალმა, — რაღა მაინცლა-მაინც მე, სწორედ მე წამომიყვანეს-მეთქი სასახლეში. ხელმწიფე, მინისტრები და სეფექალები ერთსა და იმავე პასუხს შეუბნებოდნენ. სამართლე ერთმა მსახურმა გამიმხილა, ვისაც ხანდახან ფულს ვაძლევდი ხოლმე. იმ მსახურს თურმე კერძები შემოჰქონდა წვეულებაზე, მეფემ ჩვენს სოფელში ნამყოფი ბატონის უკან დაბრუნების აღსანიშნავად რომ გამართა. სხვათა შორის, ის ბატონი სასახლის კარს აბრეშუმით, სანელებლებით, ძვირფასი თვლებითა და სხვა უცხოური ფუფუნების საგნებით აძარაგებდა. ამჯერადაც ამ მიზნით მოგზაურობდა. მოგვიანებით ჰყვებოდა თურმე, რაც ჩვენს სოფელში თავს გადახდა. მსმენელები სიცილით იფხრიწებოდნენ და ხელმწიფის ყურადღებაც მიიპყრეს. იგი მათთან მისულა და უთქვამს, აბა, ახლა მეც მიამბეთ, რაზე გეცინებათო. თვითონ ყური მიუგლო. მეფე თანდათან მოიღუშა, მერე თავისი მრჩევლები მოიწვია, სველაფერი უამბო და რჩევა ჰკითხა. სოფელში ჯარისკაცები გაგზავნე, დაე, ქვეა ასწავლონ იმით, ვინც მოგზაურს ემუქრებოდა, ერთხელ და სამუდამოდ გაიგონ, ვინ არის ამ ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონო, ურჩიეს ხელმწიფეს. მეფემ თავი გააქნია და თქვა, ჯერ ერთი რამ უნდა ქნა კაცმა, მერე კი შეიძლება ასე მოიქცეო. ბევრი იფიქრეს თუ ცოტა იფიქრეს, მრჩევლებმა მაინც ვერაფერი მოისაზრეს. მაშინ ხელმწიფემ ასე დამოძღვრა ისინი: ყველა სამეფოს დამხობის საფრთხე დაემუქრება, როცა ხალხი თავის სამართალზე დაიწყებს ლაპარაკს; აი, თუნდაც, ახლა რომ გაიძახიან, ამქვეყნად ერთადერთი სამართალი შეიძლება არსებობდეს, და მხოლოდ მეფეს, ამ სამართლის განსხიერებას ძალუძს თქვას, აი, ჩვენი სამართალიო.

სამართალმა მადიანად ჩაკბიჩა ბური, ეილიცამ რომ მიაწოდა და განაგრძო: — მას შემდეგ, რაც სასახლეში წამიყვანეს, ძალიან მეშინოდა, მეფე ჩემს სოფელში ერთ ამბავს დაათუნებს-მეთქი. ყველას სათითაოდ ვეკითხებოდი, ნუთუ ხელმწიფემ ცბიერებით შართლა დააჯერა ხალხი, რომ თავისი სამართალი დაკარგა. გადავწყვიტე თვითონვე გამეგო, ნამდვილად ასე იყო თუ არა, მაგრამ განზრახვა სასახლეში გადამათქმევინეს.

ასე უამბობდა სამართალი შეკრებილთ იმას, რაც სასახლეში საკუთარი თვალით იხილა და გულით განიცადა. იგი ისეთი გატაცებით ჰყვებოდა და ხარბად ჭამდა, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ შემოეცალა ირგვლივ ხალხი. რამდენიმე ხანმოკლეული ქალი უსმენდა მხოლოდ, სხვები ქოხიდან გაკრეფილიყვნენ, რათა უცხოელზე სოფელში ხმა დაეგდოთ, სასახლიდან კი გვეწვია, მაგრამ ჩვენთანიაო. აკი ჭაბუკმა გარკვევით თქვა, სამართალს მეძახიანო. ვისაც ეს ამბავი ესმა, მაშინვე იმას კითხულობდა, ეს ის სამტბელსოფლელი სამართალი არ არის, ხელმწიფემ სასახლეში რომ წააყვანინა? განა ის სამარ-

თალი არ არის, მეფე რომ იფიცება, მხოლოდ და მხოლოდ ჩემია, ჩემი სისხ-
ლი და ხორცია, ხალხს, აბა, რა სამართალი შეიძლება ჰქონდესო? ჰოი, უთხ-
რეს, სწორედ ის სამართალიაო.

სოფლელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წინათ უნდოდათ მხოლოდ
სულ ტყისპირისკენ ეჭირათ, ახლა კი ვეღარ შეამჩნიეს, რომ ტყის მხედრები
გამოეყვნენ და ცხენები სოფლისკენ გამოაჭენეს; მართო ის დედაბერი იყო
ფხიზლად, ვინც ოთახში იჯდა და სამართალს ყურს უგდებდა. მაგრამ მზერა-
დაშრეტილმა გვიანლა შეამჩნია ჯარისკაცები. იმწამსვე ასტეხა განგაში; გლე-
ხის ბიჭებს უხმო და დააგზიანა, ახლავე ცხენებზე შესხედით, სამართალს ხე-
ლი სტაცეთ და თავს უშველეთ. თქმა და შესრულება ერთი იყო; სამარ-
თალმა ვერც ვერაფერი მოისაზრა, ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი.

ახლა კი აღარ შეეპუნენ სოფლელები მეფის ჯარისკაცებს, წინანდებურად
თავიანთ ქოხებში აღარ შეიყუვნენ, ბარსა და თოხს ხელი დაავლეს და მტერს
გვეთნენ. ამან ჯარისკაცები ისე გააოგნა, რომ დიდი წინააღმდეგობა არ გაუ-
წევიათ, იარაღი დაჰყარეს. სოფლელებმა ასეთი პირობა წაუყენეს დამარცხე-
ბულებს: ან აქ დარჩით, შემოგვიერთდით და ჩვენს მხარდამხარ იბრძალეთ,
იმუშავეთ, ანდა ნიუხაგ-პერანგის ამარა თავი ტყეში დურათეთო. მართოდენ
წინამძღოლები მოიქცნენ ასე, ჯარისკაცებს კი არ დაუშალავთ, იმად გამოგ-
ვეზავნეს, სამართალი შეგვეპურო და გაკაჭილი სასახლეში მიგვეყვანაო. აბა,
თქვენ იცით, ცოცხალი სამართალი მომგვარეთ, თორემ ყველას თოვზე ჩა-
მოგვიდებთო, უღრიალია მეფეს.

იმ დღიდან მოყოლებული ჭკუა ისწავლა ხალხმა; როცა ხელმწიფე მოხარ
ჯარებს მიუსევდა, გლეხები მთავარ ძალებს მომხვდურს შეაგებებდნენ,
სამართალს უშიშარ სამალავში გადაამალავდნენ და მცარე ლაშქრით იცავდნენ.
ეს ამბავი ხალხს არც მაშინ ღავიწყებია, როცა მეფეს ამარცხებდა, მაგრამ მო-
დიოდნენ სხვები და აქაოდა მეგობრები თუ თქვენი რჩეულები ვართო, ყვე-
ლას თავზე წაშთავდებოდნენ და სისხლს სწოვდნენ.

ხალხს შეუძლია ერთი ხანობა თავი მოიტყუოს; დამპყრობლები ხომ ყვე-
ლანაირ სამართალს გამოიგონებენ ხოლმე, მაგრამ ნამდვილი სამართალი, ცო-
ცხალი სამართალი, ხალხიდან რომ გამოვიდა და მასვე დაუბრუნდა, ხალხი-
სავე გულში ტრიალებს. სწორედ ამიტომ ჩააგონებს ხალხს მრავალტანჯული
და მძაფრი გონება, არ ენდოს მავან შემოკედლებულს ან თვალთმაქც მეგობარს
და თავისი სამართალი არ დაანახოს. ხალხი უმალ ფეხით საჯეკნად გასწირავს
თავს, მაგრამ თავის სამართალს არასოდეს! მოვა დრო და ამბზე კიდევ
იტყვის თავის სიტყვას!

რეზო ყარალაშვილი

ფრიდრიხ დიურენმატი ერთ-ერთ ესეში შვეიცარია და ავსტრია ორ მინიატურას შეადარა. შვეიცარიული ლიტერატურაც, შეიძლება ითქვას, ერთი მინიატურაა მსოფლიო ლიტერატურაში, თუმცა მან გერმანულენოვან მწერლობას შესძინა ორი ბუმბერაზი: გოტფრიდ კელერი და იერემიას გოტბელფი.

მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგად შვეიცარიულმა ლიტერატურამ თავისი განსაკუთრებული სახე მიიღო. როგორც ცნობილია, ამ პატარა ქვეყნის დაბადების თარიღად 1291 წლის აგვისტოა მიჩნეული, როდესაც, ვილჰელმ ტელის აქმულების თანახმად, შეიქმნა სამი კანტონის „სამარადისო კავშირი“ და საფუძველი ჩაეყარა შვეიცარიულ კონფედერაციას. მას შემდეგ შვეიცარიელები საუკუნეთა მანძილზე იარაღით იცავდნენ თავის პოლიტიკურსა და კულტურულ დამოუკიდებლობას. შვეიცარიაში, მეზობელი ავსტრიისაგან განსხვავებით, სხვადასხვაენოვანი კულტურების თანაარსებობის შედეგად არ შექმნილა ერთიანი ეროვნული კულტურა, ქვეყნის ცალკე ნაწილების ლიტერატურული განვითარება გეზს უფრო გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის ლიტერატურაზე იღებდა. ამის მიუხედავად, შვეიცარიის ცალკეულ ლიტერატორებს მაინც გააჩნიათ საერთო ნიშნები, რაც მათ გამოარჩევს მონათესავე ქვეყნების სიტყვაჯამელი მწერლობისაგან. ეს ნიშნებია — დემოკრატიზმი, პატრიოტიზმი, ბუნებასთან სიახლოვე, პატრიარქალური ყოფის ამსახველი მოტივების სიჭარბე, დილატივიზმი და მორალიზება, პრაქტიციზმისა და სარგებლიანობის ქადაგება, მსატყურე ზერხების სისადავე, შეფარული იუმორი, ხალხურობა.

მეოცე საუკუნეში ეს დამახასიათებელი შვეიცარიული თვისებები ერთგვარად ნიველირდება პროვინციულობისა და კარსაკეტილობის შინაით შვეიცარიული ავტორები ცდილობენ მხარი აღუბან მონათესავე დიდი ლიტერატურების განვითარებას. ეს ტენდენცია გამსაკლობებით გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა შვეიცარიული მწერლები თითქმის მთლიანად დაექვემდებარნენ დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის წიგნის ბაზარს.

მიუხედავად ამისა, მხოლოდ გერმანულენოვანი შვეიცარიის ლიტერატურას თუ განვიხილავთ, დაეინახავთ, რომ თანამედროვე მწერალთა შემოქმედებაში მეტნაკლებად მაინც ერთი პრობლემატიკა პატონობს. ეს არის ადამიანისა და პუმიანურ დარებულებათა დაცვა, რაც ძალიან ხშირად არნახულ ტენიკურ აღმავლობას, ქვეყნის მზარდ ინდუსტრიალიზაციის და სამომხმარებლო იდეალების გავრცელებას ეწიება დღევანდელ შვეიცარიაში.

თანამედროვე შვეიცარიამ მსოფლიოს შესძინა ორი დიდი მწერალი — მაქს ფრიში და ფრიდრიხ დიურენმატი. მაქს ფრიში (დ. 1911) ლიტერატურულ სარბიელზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოვიდა. შემოქმედებითი განვითარების თვალსაზრისით საყურადღებოა მისი „1946—1949 წლების დღიური“. იგი ჩანსახის სახით შეიცავს მწერლის თხუთმეულობით მრავალ პრობლემასა თუ მოტივს. ფრიშის მთავარი საფიქრალი ის იყო, რომ გერმანიაში ფაშისტის ბატონობის ათრმეტმა წელმა და ევროპაში დატრიალებულმა უბედურებამ მისი თანამემამულეებისათვის უკვალთდ ჩაიარა; ისინი არათუ არ ცდილან დაეძლიათ წარსულის მოვლენები, პირიქით, ძალა არ დაიშურეს ცნობიერებიდან გაედევნათ უსიამო მოგონებანი და ფილისტერული მყუდროება და უშფოთველობა შეენარჩუნებინათ. სწორედ ამათ განახირობა მწერლის შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკა — პროვინციის მთლიანობა, თვითგაუცხოება, შინაგანი გაორება, ადამიანის პასუხისმგებლობა კოლექტივის წინაშე და სხვ. ამიტომ ფრიშის ნაწარმოებთა გმირები გამოკვეთილი ხასიათები და მთლიანი პიროვნებები როდი

არიან. ისინი უფრო სამუშაო მოდულებად წარმოგვიდგებიან და ადამიანის ჩასიათის ცალკეულ მხარეებსა და შესაძლებლობებს ათვალსაზრისწოდებენ. მწერლის მხატვრული მეთოდის ეს თავისებურება კარგად ჩანს მის პროზაულსა („სტილერი“, 1954; „Homo Faber“, 1957; „ვიქნები აქუცხა ვახტეხიძისი“, 1964), და დრამატულ ნაწარმოებებში („გრაფი თედორუანდი“, 1952; „ბედერმანი და ცეცხლის წამკიდებლები“, 1953; „დონ-ჟუანი, ანუ გეომეტრიის სიყვარული“; 1953; „ანდორა“, 1961; „ბიოგრაფია“, 1967).

ერქმეწმული

მსგავს ესთეტიკურ თვალსაზრისზე დგას მეორე დიდი შვეიცარიელი მწერალი **დიურენმატი** (დ. 1921). მაგრამ დიურენმატის შემოქმედება უფრო მკაცრი, სარკატიკული და ირონიულია. ორივე მწერალი თანამედროვეობას უდიდეს დრამატურგად ბერტოლტ ბრეხტს აღიარებს. ბრეხტს დიურენმატი „რევოლუციონერ“ მწერალთა რიგს მიაკუთვნებს, ხოლო თავისთავს „მეამბოხე“ მწერალს უწოდებს. „რევოლუციონერი“ მწერლისგან განსხვავებით, სამყაროს გარდაქმნას რომ ისაბავს მიზნად, „მეამბოხე“ მწერალი გაბატონებული უსამართლობის გამოაშკარავებითა და ადამიანის ტრაგიკული არსებობის ჩვენებით კმაყოფილდება. დიურენმატის აზრით, ერთადერთი დრამატული ფორმა, რომელსაც შესწევს უნარი ატომური ბომბის საუკუნეში ტრაგიკული წარმოსახოს — კომედიაა. კომედია აყენებს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანსა და აქტუალურ საკითხებს და იძლევა თანამედროვე სამყაროს ხილვისა და განჭვრეტის საშუალებას. სწორედ კომედიაა ის დრამატული ფორმა, რომელიც ცხადად წარმოაჩენს სამყაროს არასაიმედობას და მაყურებელს მის მოჩვენებით სიკეთესა და ობიექტულ უშფოთველობაზე უხელს თვალს. დიურენმატის საუკეთესო კომედიები — „რომულუსი დადი“, 1949; „ბატონ ნისისიპის ქორწინება“, 1952; „ბებერი ბანოვანის ვიზიტი“, 1956; „ფიზიკოსები“, 1961 და სხვა — ააშკარავენ მწერლის ბიურჯერული იდეალების გამოფიტულობას, ზნეობრივი ნორმების ორაზროვნებას, მეშინაური კეთილდღეობის უღელქუობას, არსებობის უპიტიკობასა და ტრაგიკულობას. დიურენმატი წერს კრიმინალურ რომანებსა და რადიოპიესებსაც.

მაქს ფრიშისა და ფრიდრიხ დიურენმატის გვერდით პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ცნობილი შვეიცარიელი პროზაიკოსი **მაინრად ინგლინი** (1898—1971). მან ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში მოიხვეჭა სახელი სოციალურ-კრიტიკული რომანით „შვეიცარიელი სარკე“ (1938). ინგლინი აგრძელებდა შვეიცარიული ლიტერატურის ეპიკურ ტრადიციებს. მისი ავტობიოგრაფიული რომანი „ვერნერ ანბერგი“ (1949) კელერის „მწეახე პაინრიხის“ სიუჟეტური სქემის გამეორებაა. განსაკუთრებით ცნობილია ინგლინის რომანი „ურუანგი“ (1954), სადაც მოთხრობილია ბუნებაში ტენიკის შეჭრისა და ერთი მალაღმთიანი ხეობის განადგურების ამბავი.

ბერნელი მღვდელი **კურტ მარტი** (დ. 1921) ყველაზე ორიგინალური ნიჭის პოეტია თანამედროვე შვეიცარიულ მწერალთა შორის. ბერნის დიპლომატზე დაწერილი მისი ლექსები „Rosa Loui“ (1967) კარგა ხანია გასცდა შვეიცარიის ფარგლებს და პოეტს გერმანიისა და ავსტრიაშიც გაუჩინა დამფასებლები. კურტ მარტის თანამემამულემ, ბერნის ერთ-ერთი კლინიკის რენტგენოლოგმა **ვალტერ ფოგტმა** (დ. 1927) რამდენიმე საყურადღებო რომანი გამოაქვეყნა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მონაკედავი ექიმის მონოლოგი „მტარვალი“ (1966) და რომანი „მელანქოლია“ (1967), რომელიც მკვეთრად წარმოაჩენს გაბატონებულ ილუზიებისგან განთავისუფლების ტენდენციას, რომელმაც თავი იჩინა უმცროსი თაობის შვეიცარიულ მწერლობაში.

იურგ ფედერშაილის (დ. 1931) შემოქმედებას ძირითადი თემია სიკვდილისა და სიცოცხლის მარადიული მონაცვლეობა. ამერიკული თხრობითი ტრადიციის ზეგავლენით დაწერილ კრებულში „ფორთოხლები და სიკვდილი“ (1961) გაერთიანებულია რვა მოთხრობა, სადაც ნახევრებია რთულ სიტუაციებში მოქცეული ადამიანის უმწეობა და მკაცრი სინამდვილით გამოწვეული სასოწარკვეთა. იმავე სულისკვეთებითაა დაწერილი ფედერშაილის ერთადერთი რომანი „სიახლისდერა მთვარის შექმნა“ (1963) და მოთხრობათა კრებული „კაცი, რომელსაც ბედნიერება მოჰქონდა“ (1966), სადაც კრიტიკულადაა დანახული თანამედროვე შვეიცარიის ბურჟუათა მუქოასორული არსებობა.

სოციალურ-კრიტიკული ტენდენცია კიდევ უფრო მკვეთრდება **ვალტერ მათიას დიველმანისა** და **ადოლფ მუშგის** შემოქმედებაში. დიველმანის (დ. 1927) ნაწარმოებებში ნათლად იკვეთება რაი ძირითადი თემატური ხაზი — მძინე ოჯახურ პირობებში გაზრდილი ყმაწვილის ბედის ჩვენება და საზოგადოებრივი აზრის მანიპულიატორთა მანკიერი პრაქტიკის მზი-

ლება. დიგელმანის გახმაურებული რომანები „მარი ვინდის დაკითხვა“ (1962), „მემკვიდრეობა“ (1965) და „ისიდორ რუგეს გამართლება“ (1967) სწორედ ამ საკითხზეა ეძღვნება.

ადოლფ მუშგის (დ. 1934) რომანებს ჩვეულებრივ დახლართული ინტრიგა უდევს საფუძვლად. სიყვარულია და ზიზღის ბიოლოგიური კანონები მწერალს სულფერსა და სოციალურ სფეროებში გადააქვს და ქმნის უჩვეულო გროტესკულ სიტუაციებს. მუშგის შემოქმედებიდან ააგანგებოდ უნდა გამოიყოს მისი პირველი რომანი „ქვერდლის ვახაფხული“ (1965) და თანამედროვე შვეიცარიის მართლმსაჯულების მამხილებელი რომანი „ალბისერის საფუძველი“ (1974), რომელიც პერმან პესეს პრემიით აღინიშნა.

დასასრულ უნდა ვახსენოთ უაღრესად ნიჭიერი და ორიგინალური ხელწერის პროზაიკოსი პეტერ ბიქსელი (დ. 1935). მისი მოკლე ჩანახატები, მინიატურები და პარაბოლები, სადაც მწერალი სინამდვილიდან გამოიყოფს ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებსა და სიტუაციებს, რობერტ ვალზერის პროზას გვაგონებს. „მეორეხარისხოვან“ მოვლენებში ძალზე დამაჯერებლად ირეკლება ადამიანთა იმედები, მათი განცდები, გულაცრუება და მარტოობა. ბიქსელის პროზის საუკეთესო კრებულებია „კაცმა რომ თქვას, ქალბატონ ბლუმს მერძვის გაცნობა სურს“ (1964), „წულიწადის დრონი“ (1967), „მოთხოვნები ბავშვებისათვის“ (1969).



ვალტერ ფოგტი

ყველამ იცის, შვეიცარია...

კერძანულიდან თარგმნა ოთარ ხუციშვილმა

ყველამ იცის, რომ შვეიცარია დღესაც კი ძალზე ლამაზი ქვეყანაა, თუმცა იგი ფაბრიკა-ქარხნების, რკინიგზების, ავტომაგისტრალების ქსელითაა დამაბინჯებული და ქედებიც სახლებითაა გულისმომწვევლად გადაჭედილი. საკმარისია ბერნის ზოგჯერ პირქუში, ხოლო მეტწილად ღრუბლებში გახვეული და ბორცვებით შემორაგული მიდამოებიდან, სადაც მე ვცხოვრობ, ორმოცი ან ორმოცდაათი კილომეტრით დაშორებულ ჩემს მურტენზეემში ჩავიდე, რომ თავი სულ სხვა ქვეყანაში ვიგრძნო. მიმწუხრისკენ დაქანებული მზე იქაურობას გასაოცარ ფერებში ახვევს, შემოდგომობით ქედები მსუბუქ გამჭვირვალე ხისლს იბურავს, აქ ადამიანებიც სხვანაირები არიან, ნამდვილი პატარა ბურგუნდია გაგახსენდება. რასაკვირველია, არის უფრო წარმტაცი ქვეყნები, უფრო დიდებული სანახები, უკიდევანო ველები, ოკეანეები, არის ანტიკური სილამაზის ხმელთაშუა ზღვის მიდამოები და არის ისეთი ქვეყნებიც, სადაც ადამიანური ურთიერთობა უფრო უბრალოა, უფრო მეგობრული და საამური.

შვეიცარიიდან გამგზავრებისას, უკვე საზღვართან მისულს მომიცავს ხოლმე თავისუფლებისა და უსაზღვრო სივრცის გრძნობა, რაიც მართო მე როდი შეუფლება, ხოლო უკან დაბრუნებისას, დავადგამ თუ არა შვეიცარიის მიწაზე ფეხს, კვლავ მახსენდება ჩემი საკუთარი სიძნელეები, უსიამოვნებანი. ამ ქვეყნის ეფექტურად ნამცეცა, ნებაყოფლობით დაკნინებული besoin de

grandeur! საჭირობოტო პრობლემები. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც მშობ-
ლიური გრანობაა, შვეიცარიაზე მე გულითა და სულით ვარ მიჯაჭვული. შვე-
იცარია ჩემი მიწაა. აქ გავხდი ის, რაცა ვარ, მხოლოდ აქა ვარ ის, ვინცა ვარ,
აქ არც ტურისტი ვარ, არც უცხოელი.

შვეიცარია, ეჭვი არაა, ერთ დროს დიდი ესკიზი იყო, ესკიზი რუსეთი ქვეყ-
ნისა, სადაც ხალხს მშვიდობიანად და თავისუფლად უნდა ეცხოვრა. დღეს
მდგომარეობა სხვაგვარია. თამამი ესკიზი თავდახსნის ლაჩრულმა სურვილმა
დაჩრდილა, მეტისმეტი სიამოვნებით და მეტისმეტად ზშირად ვიყურებით
უკან დიდი წარსულისაკენ, საკუთრებასაც ნამეტნავად მივეჩაქვეთ. ვფიქრობ,
შვეიცარიელებს ზომამზე მეტი შიში გაუჩნდათ, შიში მფლობელისა, რომელმაც
შეიძლება ყველაფერი დაკარგოს და შექენით კი ბევრი ვერაფერი შეიძინოს;
შიში იმისა, რომ მრავალმა ეროვნულმა კონცერნმა, ბანკმა, დაზღვევის სააგენ-
ტომ, შეუფერხებლად მოქმედმა ჩინებულად გამოწყობილმა მართვა-გამგეობის
აპარატმაც თავისი სიმძიმით არ გასრისოს ქვეყანა. ადამიანური ღირსები-
სათვის მცირე ადგილია დარჩა, კიდევ უფრო მცირე — სულიერი ღირსები-
სათვის. მაგრამ ნუთუ მხოლოდ ეს არის მთელი ჭეშმარიტება? ანდა, თუკი ასეა,
ნუთუ სამუდამოდ ასე დარჩება? უკან მოვიტოვეთ არაგვეგმაზომიერი, გახელე-
ბული განვითარების ოცდახუთი თუ ოცდაათი წელიწადი, დღეს კი კატასტრო-
ფას ყველა ხედავს. მიუხედავად ამისა, მსურდა ორიოდ თბილი სიტყვა მე-
ქვა იმ საყოველთაო კეთილდღეობის თაობაზე, რაიც გვქონდა. ადამიანებს მი-
სი წყალობით გულზე და ტვინზე ქონი არ მოდებიათ. ამ კეთილდღეობას უნდა
ევმადლოდეთ ახალ, აქამდე ყოვლად უცნობ ჰუმანურობის გრძობას, აზროვნე-
ბის თავისებურ, თითქმის ძალდატანებით გაფართოებას და უპირველეს ყოვ-
ლისა ახალგაზრდობის მოულოდნელ, მომაჯადოვებელ გადახალისებას, მათში
პოეტური სულისა და შთაგონების ფანტასტიკური ძალით ამოფრქვევას, რა-
საც ღმერთია მოწმე, არავინ მოელოდა.

კაცმა არ იცის, შემდეგ რა იქნება. რეაქციის სისხლს მოწყურებულმა შავ-
ბნელმა ძალებმა და უიმედო კონსერვატიზმმა უკვე 1968 წელს წამოიყიო თა-
ვი. არავინ იცის, დოვლათის წლების რა და რამდენ ნათელ და კეთილშობი-
ლურ მონაპოვარს გადავარჩენთ ამ დაქინების წლებში, ყველაფერი მოიშ-
თობა თუ მოთხოვნისა და წარმოების იძულებით უღლისაგან განვთავი-
სუფლდებით, რაღაც ღიადსა და მშვენიერს, რაღაც ჯერ არნახულ სი-
ახლეს შევქმნით.

ბლივს თუ გჯერა ეს ადამიანს, ყველაფერი უფრო მის საწინააღმდეგოს
დალადებს, მაგრამ იმედი უნდა ექონიოთ და რაღაც უნდა ვილონოთ კიდევ,
რომ ასე მოხდეს!



1 სიდიადის წვდომა (ფრანგ.).



ქართული
ზიზლიონი

რობერტ ვალერი

გერმანულიდან თარგმნა რეზო ყარალაუვილა

ორი უცნაური მოთხრობა სიკვდილზე

მოახლე. ერთ მდიდარ ქალბატონს ჰყავდა მოახლე, რომელსაც ბავშვის მოვლა-პატრონობა ევალებოდა. ბავშვი მთვარის სხივით ნაზი, ახალი თოვლივით ქათქათა და მშესავით საყვარელი იყო. მოახლესაც ისე უყვარდა იგი, როგორც მთვარე, როგორც მზე და როგორც თვით მამალმერთი. მაგრამ ერთხელ ბავშვი დაიკარგა და არავინ იცოდა, როგორ მოხდა ეს. მოახლემ ძებნა დაუწყო, მთელი მსოფლიო მოიარა, ყველა ქალაქსა და ქვეყანაში ჩავიდა, თვით სპარსეთშიაც კი. იქ, სპარსეთში, ერთ ღამეს მოახლე მალაღ, ქუში კოშკს მიაღვა. ეს კოშკი დიდი და ბნელი მდინარის პირას იდგა. კოშკის თავზე წითელი შუქურა ციმციმებდა და ამ შუქურას შეეკითხა ერთგული მოახლე: ხომ არ იცა, სადაა ჩემი ბავშვი? აგერ უკვე მეათე წელია დავეძებ! კიდევ ათი წელი ეძებეთ, მიუგო შუქურამ და ჩაქრა. მოახლემაც კიდევ ათი წელი ეძება ბავშვი, მთელი დედამიწა მოიარა, საფრანგეთშიც კი ჩავიდა. საფრანგეთში ერთი დიდი, საუცხოო ქალაქია, პარიზს ეძახიან. ამ ქალაქსაც ეწვია მოახლე. ერთ საღამოს იგი მშვენიერი ბაღის პირდაპირ იდგა და მოსთქვამდა, ჯიბიდან წითელი ცხვირსახოცი ამოიღო, ცრემლის მოსაწმენდად. უცებ გაიღო ბაღის კარი და მისი ბავშვი გამოვიდა. მოახლემ დაინახა და სიხარულისაგან იქვე მოკვდა. რატომ მოკვდა? განა ვინმეს არგო მისმა სიკვდილმა? მაგრამ ის უკვე ბებერი იყო და ამდენი ვეღარ გადაიტანა. ის ბავშვი ახლა უკვე დიდი და ლამაზი ქალბატონია. თუ სადმე შემოგხვდა, ჩემგანაც მიაკითხე.

გოგრისთავა კაცი. იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი. ამ კაცს თავის მაგიერად მხრებზე ერთი ფუფე გოგრა ედგა. ასეთი თავით შორს ვერ წავიდოდა, მაგრამ მაინც უნდოდა ყველაზე წინ ყოფილიყო! აი, ასეთი იყო ეს კაცი!—ენის მაგიერად პირში მუხის ფოთოლი ჰქონდა გაჩხერილი, კბილები კი ზედ გოგრაზევე იყო ამოჭრილი. თვალების მაგიერად მხოლოდ ორი მრგვალი ნახვრეტი ჰქონდა. ნახვრეტებში ორი დაღეული სანთელი ბუუტავდა. ასეთი თვალებით შორს ვერ ხედავდა, მაგრამ მაინც გაიძახოდა, ყველაზე კარგი მხედველობა მაქვსო. მკვეხარა! კაცს თავზე წიპწიბა ქუდი ეხურა; ვინმეს რომ ესაუბრებოდა, ამ ქუდს მოიხდიდა ხოლმე, ასეთი ზრდილობიანი გახლდათ. ერთხელ კაცი სასეირნოდ წავიდა. მაგრამ ისეთმა ქარმა დაუბერა, რომ ჩაუჭრო თვალები. კაცმა თვალების ანთება მოინდომა, მაგრამ ასანთი არა ჰქონდა. მოჰყვა ტირილს, სანთლის ნარჩენებით შანისკენ გზას ვეღარ გავიგნებო. იჯდა ასე, გოგრათავი ხელებში ჩაერგო და ერთი სურვილი ჰქონდა, მომკვდარიყო. მაგრამ სიკვდილი არც იმე

აღვილი ყოფილა. ჯერ იყო და მაისის ღრეჭა მოცოცდა და მუხის ფოთოლი ამოაჭამა. მერე ერთი ჩიტი მოფრინდა და ნისკარტით გოგრის ქალა გაეხეროტა. მერე ბავშვი მოვიდა და ორთავე სანთლის ნამწვი თან წაიღო. როგორც იქნა, ეწვია სიკვდილი. ღრეჭა კი ახლაც შეექცევა ფოთოლს, ჩიტი ახლაც კორტნის გოგრას, ბავშვი ახლაც ეთამაშება სანოლებს.

სიბუნებისა
სიბუნებისა



მთა-გორის ღარბაზები

მთა-გორის ღარბაზებში თუ ყოფილხართ ცაცხვების ძირში? იქნებ სცადოთ და შეიაროთ. შესვლა სულ ოცდაათი პუნინგი დაგიძღებათ. თუ დაინახეთ, რომ მოლარე პურს ან ძეხვს შეექცევა, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ნუ გამობრუნდებით, პირიქით, მაშინვე გაიხსენეთ, რომ ამ ქალისთვის პური და ძეხვი ვახშამია და იმას შეექცევა მაღიანად. ბუნება ყველგან თავისას მთითხვეს. ხოლო სადაც ბუნებაა. იქ ყველაფერი გამართლებულია. ამრიგად, თქვენ შეხვალთ მთა-გორში და მაშინვე შემოგხვდებათ ზორბა მამაკაცი, რომლებცაღს! რომ მოგაგონებთ. ეს რესტორნის მენატრონე გახლავით და სწორად მოიქცევით, თუკი ქუდის მოხდით მიესალმებით. მას მოსწონს ასეთი ქცევა და თქვენს თავაზიანობაზე ისიც მადლობის ნიშნად მოკრძალებით წამოიწევა სკამიდან. სულის სიღრმეში თქვენც გესიამოვნებათ ასეთი მოპყრობა და გლექტრისკენ გაემართებით; ესაა სცენა — აქაურობის გეოლოგიური, გეოგრაფიული და არქიტექტონული ღირსშესანიშნაობა. როგორც კი დაჯდებით, მაშინვე სასმელს შემოგთავაზებთ ოფიციალტი ქალი, რომლის სიტუტემაც შესაძლოა თვალი არც მოგჭრათ, მაგრამ ხომ იცით, კაცი იმით უნდა დაკმაყოფილდეს, რაც ხელთა აქვს. ვანა კამერული თეატრის საღამოებზე კი ბევრ ტურფა ქალს შეხვედრიხართ? ყურადღება მიაქციეთ იმასაც, რომ თქვენ ირგვლივ — ხელგაშლილი პიროვნების ირგვლივ, — მაინცდამაინც ბევრი ცარიელი ჭიქა არ დაგროვდეს. თორემ ხომ იცით, ქალიშვილები ადვილად ეტანებიან დამყოლ მამაკაცებს. დამყოლობა კი ხელოვნებით ტკბობისას აბა რა თქვენი საკადრისია. ამ მოცეკვავე ქალს თუ მიაქციეთ ყურადღება? კლასტიც ხომ წლობით ელოდა აღიარებას. აბა, გაბედულად შემოჰკარით ტაში, მაშინაც კი თუ სულაც არ მოგეწონათ. მთაში სასიარულო ჯოხი რა უყავით? შინ დატოვეთ? სხვა დროს ნულარ იზამთ ამას და მთა-გორის ღარბაზებში წამოსვლისას რაიმე სპორტული იარაღი გამოიყოლიეთ. ყოველი შემთხვევისათვის. რაც კარგს იზამთ, კარგია. ეს მწყემსი ქალივით გამოწყობილი მეფის ასული ვინდა არის, თქვენთან რომ მოცქრიალდა. ეს პაწაწა ქალბატონია და ელის, როდის მიიბატოვებთ იაფფასიან სასმელზე. ვანა კი გაუძლებთ ამ ტუჩებს, ამ თვლებს, ამ ტკბილ და თამამ თხოვნას? სიბრალულის ღირსი იქნებით, თუკი ამას შესძლებთ. აგერ ისევ გაიხსნა სცენა-გლექტრის ფარდა და დანიელი მომღერალი ქალი პანგებისა და ხიბლის ფიფქებს გაფრქვევით. თქვენც სიანთონებით უწაფებით მთა-გორის რძეს, რომელსაც ჯერაც არ დაუკარგავს ძროხის სითბო. მენატრონემ თავისი ღარბაზების შემოვლა დაიწყო, რომ დროულად გამოაბანღუროს

1 ბუმბერაზი აღნაგობის მთის სული გერმანულ ზღაპრებში და მითებში.

აბეზარი სტუმრები. იგი ზრუნავს, მასთან ყოველნაირად სანიმუშო წესრიგი სუფივედეს. შეიარეთ როგორმე მთა-გორის დარბაზებში და გარწმუნებთ, არ ინანებთ! იქნებ მეც მნახოთ. მაგრამ მე ვერ გიცნობთ, ვინაიდან ჯანდაცოვანობით მონუსხული კუთხეში ვზივარ ხოლმე გალურსული. იქ ვიკლავ წყურვილს. მუსიკის ჰანგები ნანას მიმღერიან. და ვზივარ ოცნებას მიცემულნი



ო ვ ა ც ი ა

♥ არმოიდგინე, ძვირფასო მკითხველო, რა მშვენიერი, რა მომხიბლავი რამაა, როცა მსახიობი, მომღერალი ან მოცეკვავე ქალი თავისი ოსტატობით ისე აღიტაცებს მაყურებელს, რომ მთელ დარბაზს ერთსულოვანი ტაშის გრილი გადაუვლის. წარმოიდგინე, რომ შენც ჩაგითრია საერთო აღტაცებამ და გინდა სამაგიერო მიაგო ბრწყინვალე შემსრულებელს. სიბნელეში ჩაძირულ ხალხით გაქედოლ ქანდარებიდან ხოშკაქალასავით მოდის ტაში. დარბაზის სიღრმეებიდან სცენას ქინელლივით აწვიმს ყვავილები. მსახიობი ბედნიერი ღიმილით რამდენიმე ყვავილს იღებს და ტუჩებთან მიაქვს. სიამითა და ბედნიერებით აღსავსე, ტაშის გრილით ღრუბელივით ზეატაცებული, ხელით კოცნას უგზავნის და მადლობას სწირავს მაყურებელს პატარა, დამჯერ ბავშვს რომ დამსგავსებია, და ამ დიდსა, მაგრამ ამავე დროს პატარა ბავშვს ისეთ აღუწერელ სიხარულს ჰგვრის ეს მოძრაობა, რა სიხარულსაც სწორედ რომ აღრიხდელი სიყრმის ხანს განიცდიან ხოლმე. საერთო აღტყინებას მალე უსაზღვრო სიმშაგე და აურზაური ცვლის, რომელიც მხოლოდ მოკლე ხნით მიწუნარდება ხოლმე და ისიც იმიტომ, რომ მაშინვე ახალი ძალით იფეთქოს. წარმოიდგინე თქროსეული ან თუნდაც აღმასისეული სიხარული, რომელიც ღვთაებრივი ნისლივით თანდათანობით მთელ დარბაზს მოედო. ცვივა გვირგვინები და თაიგულები. აქვე შეიძლება გამოჩნდეს მეოცნებე და შეყვარებული ბარონი, რომელიც მაუახლოვდება სცენას და მსახიობის კოპწია, ძვირფას ფეხებთან დახრის თავს. აღტაცებულმა თავადმა ამ ბავშვის მომხიბლავ ფეხთა ქვეშ, ვისაც წილად ხვდა მაყურებელთა დარბაზის აღმაფრენა და აღტყინება, იქნებ ათასმარკიანი ბანკნოტიც კი შეაცუროს. „რომელი ხარ მანდ, შე ჩერჩეტო, აჰა, გამომართვი შენი აელა-დიდება“ — ამ სიტყვებით გოგონა მიწიდან იღებს ბანკნოტს და დამცინავი ღიმილით სახეში ესვრის ბარონს, რომელიც სირცხვილით ლამისაა დაიწვას. წარმოიდგინე ყოველივე ეს და სოფიერთი სხვა რამ, რაც შეიძლება ცოცხლად, ძვირფასო მკითხველო, სხვათა შორის ორკესტრის ხმებიც, და შენ იძულებული იქნები აღიარო, რომ ოვაცია მართლაც დიდებული რამაა. ლოყები აღუწილან, თვალები ბრწყინავენ, გულები ჩქროლავენ, სულები კი ტკბილ თავისუფლებას ზიარებულნი სურნელივით მოსდებიან დარბაზს, კულისებში დამალულმა კაცმა კი ბეჭითად უნდა ასწიოს და ჩამოუშვას ფარდა, ხოლო ის ქალი, ვინც გამოიწვია მთელი ეს გრიგალი და დაიმორჩილა მაყურებელთა გულები, ისევ და ისევ უნდა გამოვიდეს სცენაზე. ბოლოს და ბოლოს სიჩუმე ჩამოვარდება და წარმოდგენაც გაგრძელდება.



მაქს ფრიში



ბედნიერება

გერმანულიდან თარგმნა დალი ვანჯიკიძემ

მე ისეთი ბედნიერება მეწია, ფიოდორ ივანოვიჩი, რომ
 „ამაზე ფიქრსაც ძლივს ვბედავ, გასაოცარი, შემადრწუნებელი
 ბედნიერება. ხომ ხედავთ, პირველი კლასით ვმგზავრობ, პასპორტიცა მაქვს,
 ტიტულიც, თავისუფალი კაცი ვარ. დღესაც ვერ ვამიგია, ციმბირში როგორ არ
 ამოვყავი თავი. ღმერთმანი, სულ ცოტა დამაკლდა, სულ ცოტა“, ამბობს იგი
 და ბურნუსთს ცხვირში კი არ იყრის, ჩიბუბში ტენის. ახლომახლო სამოვა-
 რი არ მიშინებს, მაგრამ ზამთარია, ბოლოს და ბოლოს ჩიბუბიც ღვივდება,
 მგზავრი მატარებლის ფანჯარაში იხედება და თოვსო, ამბობს. თლონდ გარეთ
 რომ მიდამო მოჩანს, ის რუსეთი არაა. „ეჭვიანობისთვის არავითარი საბაბი არ
 მქონდა, — ისე განაგრძობს იგი, თითქოს ეინძეს სწყუროდეს მისი თავგადა-
 საელის მოსმენა, — იოტისოდენა საბაბი არ მქონია. ნატაშა გათხოვილი იყო,
 მაგრამ ეს თავიდანვე ვიცოდი. იქნებ მიხაროდა კიდევ, ნატაშას რომ ქმარი
 ჰყავდა. თქვენ ახლა გულში ნამდვილად იტყვიოთ, ასე ლაპარაკი არ შეგშვენიოთ,
 რაკი ნატაშა გათხოვილი ყოფილაო. მაგრამ დღეს ამას მნიშვნელობა აღარა
 აქვს, ფიოდორ ივანოვიჩი. მისი ქმარი ერთი წყნარი და თვინიერი კაცი გახლ-
 დათ, თქვენ წარმოიდგინეთ ჩემზე ახალგაზრდაც კი, გულმართალი და ბეჩა-
 ვი კაცი. იქნებ ნატაშამ ვერ დააფასა იგი, მე კი ჩემდათავად მისი გულისთ-
 ვის ცოლ-შვილი მივატოვე. განა არ ვიცოდი, რომ უზნეოდ ვიქცეოდი, მაგრამ
 რა გექნა, თუკი ეს სიყვარული ბედნიერებას მანიჭებდა. მიყვარდა, ფიოდორ
 ივანოვიჩი, ძალიან მიყვარდა ნატაშა“. კუბეში არც არავინაა, ვისაც შეიძლებო-
 და ფიოდორ ივანოვიჩი რქმეოდა, ან ვასილ ვასილიკოვი ან ამის მსგავსი რა-
 ლაც, მაგრამ ეს ამბავი ოდესმე მაინც ხომ უნდა მოეყოლა. „იციოთ, ისე მეშინია,
 რომ იშვიათად ეიგონებ ამ ამბავს, თუმცა იშვიათად კი არა, სიძარტლვ თუ
 გნებავთ, არც არასოდეს ვიგონებ ხოლმე. მაშინ მოწიფული კაცი ვიყავი, რო-
 გორც იტყვიან, ყველასაგან პატივცემული და დაფასებული, მგონი, მიმიხ-
 ვლით, ფიოდორ ივანოვიჩი, რაც მინდა ვითხრათ: სულ ცოტა დამაკლდა მკვლე-
 ლი ვაგმხდარიყავი“. სხვათა შორის, არც ის ვაგონის გამცილებელია რუსი,
 ტალანში რომ გაიარა და კუბეში შემოიხედა. ერთი ჩვეულებრივი კონდუქ-
 ტორია, ვარდისფერლოყება ახალგაზრდა კაცი, მკერდზე ჩამოკიდებული წი-
 თელი ჩანთა მუხლებზე ეხლება, პირქუში კაცი არა ჩანს, მაგრამ მოცლით არც
 იმას სცალია, ისევე როგორც ოდესღაც არც რუსეთის მატარებელში ეცალათ
 იმ ადამიანებს, ლამის მთელ რომანებს რომ ისმენდნენ ხოლმე. ახალგაზრდა
 კონდუქტორი კუბედან გავიდა თუ არა, მგზავრმა განაგრძო: „არა, მართლა გა-
 ინტერესებთ ჩემი ამბავი?“ მანამდე ვაგონ-რესტორანში იყო. იქ ყველა ან

თავის თეფშს ჩასჩერებია ან განგებ ვარიდებს თვალს, დანახარჯს რომ გადაიხდიან, მაშინ იქნებ თავიც დაგიკრან, მაგრამ უკვე გვიანდაა უთხრა: „მე ერთი ავადმყოფი კაცი ვარ... ცუდი კაცი ვარ... საზიზღარა ვარ... მგონი, ღვიძლი უნდა მტკიოდეს“... მერედა, ვის აინტერესებს შენი ამბავი? „ღმერთმანი, ცული უკვე აღმართული მქონდა და ნატაშაც ჩემ წინ იჯდა, მინდოდა წეშისავეით გამებო შუაზე. არა, მე კი არ მინდოდა, ცულს უნდოდა, მინდოდა მტკიოდეს, მე რომ ხელში მეჭირა, იმ ცულს უნდოდა გაეპო შუაზე“. ეს არც ვაგონრესტორანში თქმულა და არც კუბეში, სადაც შემდეგ ვილიც კაცი ამოვიდა, სალამი ძლივს გაიმეტა და გაზეთში ჩარგო თავი. ის კაცი ალბათ პუბახერია გვარად, ან შეიძლება ფოგელზანგერი იყოს, მოკლედ, აქაური იქნება და ეს ამბავიც რუსეთში კი არ ხდება, სადაც ის საშინელი ამბავი გალახდა თავს, არამედ ვრაუბიუნდენში. „გინახავთ ბივიოს მიდამოები?“ ამის თქმა შეიძლება, თუნდაც იმ მეორე კაცმა გაიკვირვოს, საიდან ვნახავდიო. როგორც ვთქვით, აქ საპოვარი არ შიშინებს, მხოლოდ მისი ჩიბუხის ქშუტუნი ისმის. „მშვენიერი ჩიბუხია, არა?“, ამბობს იგი. ის კაცი, სახეზე გაზეთი რომ აუფარებია, ნამდვილად არ უნდა იყოს ფრიგო ალამიანი, ყოველ შემთხვევაში, პალტო კარგი აცვია და ძვირფასსარჩულიანიც. „მე ერთი ავადმყოფი კაცი ვარ, თუმცა ავადმყოფი კი არა, ერთი სასაცილო კაცი ვარ და მეტი არაფერი“. ამას გარეთ ამბობს, მატარებლის ტალანში. „სხვითა შორის, ამას წინ მოგატყუეთ, ფიოდორ ივანოვიჩ, ალბათ მიმიხედით კიდევ: ცოლ-შვილი მისი გულისთვის არ მიმიტოვებია, რა სისულელეა, ჩემი გულისთვის მივატოვე. განა მერე ნატაშაც არ მივატოვე და ვასაც? თქვენ ახლა უსინდისო კაცი გგონივართ, ფიოდორ ივანოვიჩ, მაგრამ სწორედ პირიქით უნდა იფიქროთ. მის ფრჩხილდაც არ ვლირდი, ამჯერად ჩემს პირველ ცოლზე მოგახსენებთ, არასოდეს მიცემია, ღმერთია მოწამე, მაგრამ რომ მივატოვე, ნამდვილად ღვთის წყალობა იყო მისთვის. დღეს ამას ყველა აღიარებს. არც ერთის ღირსი არ ვიყავი. ერთ მშვენიერ დღეს ვხვდებოდი, ჩემს ხელში როგორ იტანჯებოდნენ, ზომ გესმით, ადრე თუ გვიან ვხვდებოდი-მეთქი, მერე დაიწყებოდა ჩვეულებრივი შითქმა-მოთქმა. ამიტომაც დავხეტიალობდი ბევრს. ახლა კი ვიცი, რომ პირიქით უნდა მექნა. რად უნდა შექნჯნიდეს სინდისი! ქალები უფრო ბედნიერად გრძნობდნენ თავს, მე რომ მივატოვებდი, ყოველ შემთხვევაში, უფრო უბედურად მაინც არა. თუმცა არც ამდენი ყოფილან, ფიოდორ ივანოვიჩ, ისე კი არ ვაძიგოთ... ახლა, მგონი, ბილში უნდა ვიყოთ“, დასძენს იგი და იქვე ასწორებს, ბინშიო. ისევ თოვს. დღეს მატარებლები უწინდებურად დიდხანს აღარ ჩერდებიან სადგურებზე. მგზავრები ძირს ჩასვლას ვეღარ ასწრებენ, რომ ცხელი წყალი ამოიტანონ, ვაგონრესტორანში კი ჩაი აღარა აქვთ, მხოლოდ მენიუს თუ მოგარომევენ. „ექვიანობისთვის არავითარი საბაბი არ მქონდა, — განაგრძობს იგი, — ისინი მისი ძმები იყვნენ. არ ვიცი, იმ ღამეს რამ მომიარა. ყველანი მოთხილამურეთა ქოხში ვიყავით. ძალიან ციოდა და იგი თავის ძმებს გლინტეაინს უმზადებდა. თან მთელი საღამო მხოლოდ თავის ძმებს ელაპარაკებოდა და ძმებიც მხოლოდ მას მიმართავდნენ, რადგან მე მათი ოჯახის წევრი არ ვიყავი. ეს ამბავი ძალიან სასაცილო მეჩვენებოდა. უფრო სწორად, ვცდილობდი სასაცილო მომჩვენებოდა, ფიოდორ ივანოვიჩ, მაგრამ მე პატივმოყვარე კაცი ვარ, ნამდვილად ვერ მოვითმენდი, ნატაშა თავის ძმებთან უფრო ახლოს ყოფილიყო, ვიდრე ჩემთან. ხარბი კაცი ვყოფილვარ, არა?“

მთვრალი არ ვიყავი, მთვრალი საიდან ვიქნებოდი, როცა იგი გლინტვაინს მარტო თავის ძმებს უმზადებდა. გლინტვაინზე გული სულ არ მიმდიოდა, ხომ წარმოვიდგენიათ, რა მხიარულება იქნებოდა ჩვენს ქობში. მე ხმას არ ვაღებდი, რადგან ისინი მხოლოდ ფრანგულად ლაპარაკობდნენ, აბა თქვენ თვითონ თქვით, რა სასაცილო იქნებოდა, ყველაფერს ესეც რომ ზედღამესტუმროდა. უცრად შემძულდა ნატაშა, შორიდან ვაკვირდებოდი და სავსებით უხიხელს მძულდა. ყოველ შემთხვევაში, მეგონა მაინც, რომ მძულდა. სინამდვილეში მიყვარდა, მაგრამ მისი ჯილაგი მძულდა. დიახ, ჯილაგი! ჯილაგი, მე თუ მკითხავთ, ყოველთვის ამაზრზენი და ვულგარული რამ არის, აი ისეთი, მისი ამოუწყვეტა რომ მოგიხდება... დასაძინებლად რომ დაეწეკით, ამ აზრმა მაშინ გამიღვია თავში. ყველანი გვერდი-გვერდ მივლაგდით, ნატაშა, მისი ძმები და მე. უფრო სწორად, ნატაშა თავის ძმებს შორის იწვია, მე კი მის ძმას ვუწვები გვერდით. ციოდა. მთელი ის გრძელი საღამო ღუმელს შემას მე ვუკეთებდი, ის კი გლინტვაინს თავის ძმებს უმზადებდა. ისინი უკვე ხვრინავდნენ, მე რომ ბრაზმა ამიტანა, ვიგრძენი, როგორ ერთბაშად გადამხადა საბანი სიბრაზემ, თითქოს გარედან ჩამასო ბრჭყალები და სიბნელეში ზეზე წამომავლო... ვითხარით თუ არა, მის უფროს ძმას ოფიცრის ჩინი რომ ჰქონდა? ის უფრო მოისულელებდა, მაგრამ ნატაშა ჭკუას არასოდეს არ დაარიგებდა... უმცროსი კი მოცეკვავე იყო, ქორეოგრაფი თუ რაღაც ამის მსგავსი, მოკლედ, არტისტი გახლდათ. ნატაშა უფრო იმას შესციცინებდა თვალბში და მაშინ პირველად მივხვდი, მე ვინ ვიყავი: ნატაშას საყვარელი... იქნებ ნატაშამ სიბნელეში მკითხა კიდევ, შეუძლოდ ხომ არა ხარო, ჩურჩულით შემეკითხებოდა, რომ მის ძმებს ხვრინვა გაეგრძელებინათ. მე არ გამიგონია. განათლება მიღებული მაქვს, უმაღლესშიც მისწავლია, მაგრამ მაინც ერთი პრიმიტიული კაცი ვიყავი და ასეთი დაფრჩხილი ბოლომდე. ნატაშა კი ამას არ მიჯერებდა. არც მისი ძმები მიჯერებდნენ, რომლებმაც მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ნატაშა მიყვარდა... უკვე ვითხარით, ზამთარი იდგა და ღამე იყო-მეთქი. მე კი სად გადაკარგულიყავი, არ ვიცოდი. ღრმა თოვლში მინდოდა გასვლა. მინდოდა გავყინულიყავი, ხომ გესმით, ისინი რომ ქობში ხვრინავდნენ, მე გაყინვა მინდოდა“, ამბობს იგი და ჩერდება, რადგან ამ დროს ვილაცამ გამოიარა ვიწრო ტალანში. „ფიოდორ ივანოვიჩ, გწამთ ღმერთი?“ კითხულობს იგი, ოღონდ პასუხს არ ელოდება. „ახლა სულელური მკვლელობის გამო თხუთმეტი წლით ციმბირში ვიქნებოდი გადაკარგული. მაშინ ალბათ მეც ვიწამებდი ღმერთს, ამისთვის ბევრი კი არაფერია საჭირო. თუმცა რა ვიცი, იქნებ ღმერთის ნაცვლად შეწყალება მეწამებინა, ფიოდორ ივანოვიჩ. ახლა კი ბედნიერება მწამს მხოლოდ“, ამბობს იგი და ჩიბუხს ჩიხქნის, ის კაცი კი, გვარად ფოგელზანგერი ან ბერლოხერი, ან რაღაც ამის მსგავსი რომ შეიძლებოდა ყოფილიყო, ამ დროს პორტფელს დაავლებს ხელს და კუბედან ისე გადის, თავსაც არ უქნევს. „კეთილი და პატიოსანი, — ამბობს იგი, როცა ხელახლა შემოდის რბილ კუბეში. — იმას მოგახსენებდით, მინდოდა გავყინულიყავ-მეთქი. საკუთარი თავი მძულდა, ფიოდორ ივანოვიჩ, სირცხვილი მწვავდა. გარეთ ისე არ ციოდა, რომ გავყინულიყავი, ყინვამ მხოლოდ შემაწუხა, ვარსკვლავიანი ღამე იდგა. წარმოვიდგინე დილით ჩემი გაშეშებული გვამი თოვლში... ეს განზრახვა სასაცილო და სულმდაბლური ხომ იყო და იყო, მაგრამ განუხორციელებელიც გახლდათ — რა გამყინავდა, სიცივისაგან მხოლოდ ვძავძავებდი, როცა აღმო-

სავლეთით მთების თავზე ცა შევარდისფერდა. ნატაშას ეძინა, ჩემი განზრახვისა არაფერი იცოდა, ამ ვარსკვლავიან ცის ქვეშ არც არავინ იცოდა, რა სასაცილო დღეში ჩავიგდეთ თავი. მე ვიცოდი მხოლოდ!.. ახლა ბრუგში ვართ, მგონი, — დასძენს იგი და ფანჯარაში იხედება, — ან ბრუგში ვიქნებით, ან ბადენში¹. ასეთ მანძილებს ეპიკური არ ეთქმის. „მგონი, ანუ“ მსგავსებით, ფიოდორ ივანოვიჩი, მაგრამ თქვენ პირველი ხართ, ვისაც ჩემს თავს დასძენს ვუყვები... როცა, ბოლოს და ბოლოს, ქოხში შევბრუნდი, სავსებით გონს ვიყავი მოსული. შეგნებულად და გულცივად გადავწყვიტე, ჩუმად ამელო ჩემი თხილამურები და ამ დილაადრიან ხეობაში მხოლოდ იმისთვის ჩავსულიყავი, რომ ნატაშასთვის იჭიდან მიმეწერა წერილი. სიმაართლე თუ გნებავთ, არც ნატაშას ფრჩხილად ვღირდი. მოკლედ, ჩემთან ისიც ანგელოზი იყო!.. არ ვიცი, ფიოდორ ივანოვიჩი, გამოგიცდიათ თუ არა, რა საშინელებაა, როცა გრძნობ, რა სასაცილო ხარ და რა დამცირებული. ამის შეგრძნება უფრო შემადრწუნებელია, ვიდრე თოვლში გატარებული ვარსკვლავიანი ღამე. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შეგრძნება მქონდა, როცა ჩემს თავით მესმოდა ძმების ხვრინვა. განა რა დამიშავა ან ოფიცერმა ან არტისტმა? და გლინტვაინით გაუმასპინძლდა ორივეს, მე კი იმდენი ფრანგული მაინც ვიცოდი, რომ მათი საუბარი გამეგო... მოკლედ, ცუღს ხელი წამოვაღლე და შეშის დაბობს შევუდექი. ასე სასაცილო დღეში ჩავარდნილმა თოვლში ორი საათი რომ გავატარე, ყინვამ ძვალ-რბილში გამატანა და გავითოშე. აქამდე მათ ვუნთებდი ცეცხლს, ახლა კი ჩემთვის უნდა დამენთო. შეშის ნაჭერს რომ ცუღს ჩაასობ და კუნძს დაჰკრავ, რა თქმა უნდა, ჭახანი გაუდის. პოდა, იმათი ჭილაგის ხვრინვა შეწყდა. ახლა მიზაროდა კიდევ, რომ ვდავდავებდი, რადგან ეს უფლებას მაძლევდა შეშა დამეპო, თუმცა ჩემისთანა უგერგილო კაცს შეიძლებოდა თავისთვის დაეშავებინა კიდევ რამე. წესით, ჩემი უგერგილობა სიცილის მომგვრელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ აქ სასაცილო არა იყო რა, ფიოდორ ივანოვიჩი. ამ დროს ნატაშა ჩამოვიდა ძირს და მკითხა, ღვთის გულისათვის მითხარი, რას აკეთებო. ვუბასუხე, გლინტვაინს ვიმზადებ-მეთქი. ნამძინარევი ნატაშა ისე ლამაზი აღარ იყო, როგორც იმ საღამოს და ამიტომაც დაგუზუსტე, ჩემთვის ვიმზადებ გლინტვაინს-მეთქი. თან შემრცხვა. ახლა მის ჭკუას აღარ იკითხავთ, ფიოდორ ივანოვიჩი, მის ქალურ ჭკუას აღარ იკითხავთ? თქვენ ხომ არ იცნობთ ნატაშას. ჩვენ უკვე სამი წელი იყო გვიყვარდა ერთმანეთი და ყოველთვის ვფიქრობდი, ერთი უჭკუო, გულუბრყვილო და უეშმაკო ქალია-მეთქი, მაგრამ ახლა, დილის ხუთ საათზე მისმა ჭკუამ გამადიზიანა, დაბეკარვე აქედან, გლინტვაინს ვიმზადებ-მეთქი, დაგუფვირე. ნატაშას ეგონა, კარგად მიცნობდა, თორემ იმ კუნძზე არ ჩამოჯდებოდა. ისე ჩამოჯდა, ვითომ ის კუნძი ჩამოსაჯდომად ყოფილიყო იქ დაგდებული. ნატაშას ცისფერი კომბინეზონი ეცვა და ასე იჯდა, თმაგაშლილი და ძილის სითბოგამოყოლილი. ძმები ჩემმა ხათქახუთქმა გამოადვიდა და რა თქმა უნდა, ყურს გვივდებდნენ. ნატაშამ მითხრა: *Qu' est-ce que tu fais?*¹. ერთხელ კიდევ გავუმეორე, გლინტვაინს ვიმზადებ-მეთქი, ხომ ხვდებით, რა კილოთი ვეტყობდი ამას. არ ვიცი, ნატაშამ პასუხი ოხუნჯობად ჩამითვალა თუ სხვების უპატივცემლობად, მართო თავის ძმების უპატივცემლობად კი არა, დამავიწყდა მეთქვა,

¹ რას აკეთებ? (ფრანგ.).

რომ ქობში სხვებიც იყვნენ, მათი ქალიშვილები და ვაჟიშვილები და რა ვიცი, კიდევ ვინ არა — მთელ იმათ ჯილაგს იქ მოეყარა თავი. აქედან დაშვარგემთქი, გაეუმეორე და ცული მოვიღერე. შეშის დასაპობად მოვიღერე, ნაფოტების ჩასაცლელად“, დასძენს იგი და კვლავ ჩიბუხს ჩიჩქნის, ცუფოვლად უნდა ხმა ამოიღოს, მაგრამ გაჩუმებაც რომ აღარ შეუძლია? გახლავს ქობში ვართო, ამბობს და ფანჯარაში იხედება. „ფიოდორ ივანოვიჩ, სავარძელი თუ გისურიათ ოდესმე ქუჩაში? იცით, მას შერე უკეთესი კი არ გავმზადრვარ, ახლა რასაც გიყვებით, ეს უკვე ვასასთან შემეძთხვა. ამჯერად ეჭვიანობის საბაბი მქონდა და დავთვერი, პირუტყვივით გავილეშე, ის სავარძლები რკინისა იყო, ჩემმა მძვინვარებამ რომ აიტაცა, ტერასიდან ქუჩაში გადაუშვა და მკვლელად გახდომას გადამარჩინა, ფიოდორ ივანოვიჩ. როგორ ახსნით ამას? ერთხანს დუმს, სანამ ისევ გაღვივდებოდეს ჩიბუხი. თქვენ ნამდვილად გწამთ ღმერთი, ფიოდორ ივანოვიჩ, თორემ ჩემზე არ გაგეციებოდათ, გულზე ხელი დაიდუთ და ისე მითხარით, გეცოდებით, როგორც სულელ და ზერელე კაცს შეიცოდებენ, არა? სამაგიეროდ მე არ გეცოდება ჩემი თავი. არ იფიქროთ, სიგიჟემ მოუპარაო, იმ წუთში მშვენივრად ვიცოდი, სასაცილო რომ ვიყავი, ნატაშა ბჭ არაფერ შუაში იყო, მან ერთი უბრალოდ შემომხედა, არც მისი ამბები იყვნენ არაფერ შუაში, მე მხოლოდ ცულს ვეღარ ვიმაგრებდი ხელში, ნატაშა კი ჩემ წინ იჯდა და მიყურებდა. ასე მეგონა, მის სახელსაც კი ვეღარ წარმოვთქვამდი, მის საყვარელ სახელს, მხოლოდ ეს სიტყვები მედგა ყურში: Qu' est-ce que tu fais? შემდეგ ცული ქუნძში ჩაესო, ნატაშა იქვე იდგა, ის შეშის ნატერი კი, გაპობას რომ ვუპირებდი, ჯერ ისევ ხელში მეჭერა — სულ ეს იყო, ფიოდორ ივანოვიჩ, ეს იყო ბედნიერება!“ ამბობს იგი და თვალს არ აცილებს ფანჯარას, ფანჯარაში კი მიჰქრის რომელიღაც სადგურის ყვითელი სინათლეები. „ალტშტეტენა გავიარეთ უკვე“, ამბობს გულგრილად; ნელ-ნელა ახლოვდება დრო, როცა მგზავრმა პალტო და ბარგი უნდა ჩამოიღოს, ბევრი კი არაფერია, პატარა პაკეტში სუნამო უდევს ცოლისათვის. პალტოზე თითქმის ყოველთვის აწყვეტილი აქვს საკიდი და პალტოსაც ბარგისთვის განკუთვნილ ბადეზე დებს ხოლმე. კუბეში მიიხედ-მოიხედა, ჩემი პალტო სად არისო და თავისდა გასაოცრად ფიოდორ ივანოვიჩი დაინახა — ზის სწორედ მისი პალტოს ქვეშ და ბაგეზე ძლივს შესამჩნევი ღიმილი დასთამაშებს: „მამილო, მაშ ეს არის არა, მთელი შენი თავგადასავალი?“ ტალანი უკვე ხალხით გაიჭედა. „არა, ფიოდორ ივანოვიჩ“, ასევე დამკინივად პასუხობს მგზავრი და პალტოს აღარ ეპოტინება. ფიოდორ ივანოვიჩი ტანმორჩილი კაცია, ჯერ მოხუცი არ ეთქმის, მაგრამ ხუჭუჭა თმა ნაადრევედ გასჭაღარავებია, თვალები კი უჩვეულოდ უბრწყინავს. ზის, აცვია გაცვეთილი, მაგრამ ამჯერად კარგი მკერაეის ნახელავი კრაველის საყელოიანი პალტო, ბეწვის ქუდი აბურავს, პალტოს ღილები რომ შეიხსნა, ხიფთანი და ამოჭარგული რუსული ხალათი გამოუჩნდა. „მე პოზდნიშევი ვარ გვარად, — ისე ამბობს, თითქოს სავალდებულო იყოს მისი გვარის ცოდნა და შემდეგ დასძენს: — ნება მიბოძეთ ჩაი შემოგთავაზოთ, თლონდ იცოდეთ ძალიან მაგარია“. ჩაი ამის წინა სადგურზე მოუდუღებია და მართლაც ლუდივით მუქია. „პოზდნიშევი“, იმეორებს იგი მწარედ, ჩახლეჩილი ხმით. „მთლიანად რატომ არ პყვები შენს თავგადასავალს, თუკი ხედავ, რომ ვიღაც გისმენს?“ ამ დროს ფეხები გრძნობენ, როგორ ამუხრუჭებენ ნელ-ნელა მატარებელს. „კარგი, თქვენ მოგიყვებით“, ისე ეუბ-

ნება მგზავრი, თითქოს არ ესმოდეს, კონდუქტორი როგორ გაიძახის ყველას გასაგონად: ციურიხი, მთავარი სადგური, დაცალეთ ვაგონები! მგზავრი ერთი წუთით დუმს, სახეს ისრესს და იწყებს: „რაკი მოყოლაზე მიდგა საქმე, ყველაფერი თავიდან უნდა გაიამბოთ. უნდა მოგიყვებო, სად დავიბადე, სად გავიზარდე, ვინ იყვნენ ჩემი მეგობრები, რა მისწავლია და სხვა მისთვის მოკლედ, ყველაფერი უნდა გაიამბოთ, რამაც ჩემს უბადრუკ თავს დასხმულს მიმიყვანა...“



იურგ ველერსკილი

შორთოსლები მის შანჯარაზე

გერმანულიდან თარგმნა ლალი შანჯიიძემ

ბალუმბული ცაცხვის ხეები ისე ელავდნენ წვიმაში, როგორც ქუჩაში მიმავალი მანქანების საბურავები, მათგან ავარდნილი შხუფები კი გაზაფხულის ფშვინვას სტაცებდნენ იასამნის ცოცხალ ღობეს და მძიმე და ტკბილ სურნელს ღია ფანჯრის წინ აფრქვევდნენ.

მელოტი კაცი, წყალგაუმტარი უხეში მაუდის ბალტო რომ ეცვა, ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარიყო და სახლების რიგს გასცქეროდა. ფანჯრის ალატებს ნედლი ფიცრები ჰქონდა შეყენებული, ხოლო წვიმისაგან გამობუნებულ ბათქაშზე მკაფიოდ გამოირჩეოდა სარტყლად გაყოლებული ქვის ფილები. კედლები ძველი იყო, ამ კვირტალში ყველა სახლს დასძველებოდა კედლები.

— ღამღამობით კედლებში, ეტყობა, ქვიშა ხრიალებდა, ის კი ძილში წამოვარდებოდა და სმენადქცევულს ხან ადამიანის ხმა ელანდებოდა, ხან ტყავის ჭრაჭუნის, ხან კი ეგონა, ნაბიჯებისგან კიბეს გაუდის ჭრიალით, — გაისმა ჩაბნელებულ ოთახში კონსიერჟის ხმა.

მოხუცი კონსიერჟი იატაკზე მიმოფანტულ, წებოთი მოთხუპნულ, დაჭმუჭნილ გაზეთებზე იდგა საღებავების ქილებსა, ჩვრებს, ფუნჯებსა და თაბაშირის ხსნარით სავსე ვედროებს შორის. ფეხს რომ მოინაცვლებდა, გაზეთის ფურცლებს შარიშური გაჰქონდა.

— დასასრულამდე ოთხი დღეა იყო დარჩენილი, რომ წაიყვანეს, — დასძინა შემდეგ. — სროლა იშვიათად ისმოდა მაშინ, მხოლოდ უკანასკნელ დღეებსა და საათებში გახშირდა ბათქაბუთქი, როცა წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებმა სოროებიდან ვირთხებივით ამოჰყვეს თავი. მას შემდეგ ყველა ალაყაფის კართან, სადაც კი სიგარეტის ცეცხლი ღვიოდა, უნდა გცოდნოდა, რომ მეტი თუ არა, ერთი შაშხანაშემართული კაცი მაინც იქნებოდა ჩასაფრებულნი. ორ წელზე მეტხანს იმალებოდა აქ. ის და ერთი გოგო ამ ოთახში ცხოვრობდნენ. იმ კაცს ან არაფრის არ ეშინოდა, ან ყველაფრის ეშინოდა ამ ქვე-

ყანაზე, ადამიანისას აბა რას გაიგებ კაცი. თავისუფლად დასეირნობდა ვითომ სხვებისგან არაფრით განვსხვავდებო, ვითომ არავის სცოდნოდეს, რომ ღერტირი იყო. დამითაც კი ბედავდა სახლიდან გამოსვლას, თუმცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე პატრულს შეიძლებოდა გადაჰყოლოდა. ალბათ, მარტო ყრუებისა და ლოდინის ისე ეშინოდა, რომ ქუჩაში ხეტიალი ერიო. ვინ იცის, იქნებ შავ ბანარზეც ვაჭრობდა, ან იქნებ წინააღმდეგობის მებრძოლებშიც იყო გარეული, ეს კია, შინ ხშირად ალიონზე ბრუნდებოდა და გოგონა იმის ნიშნად, სახლში უცხო არავინაა და საფრთხე არსაიდან გამუქრებაო, ფორთოხლებს აწყობდა ფანჯარაზე...

— ფორთოხლებს, — ისე ჩაილაპარაკა მაუდის პალტოიანმა, რომ ქუჩის-თვის თვალი არ მოუცილებია.

— დიან, ფორთოხლებს, — ჯიუტად გაიმეორა მოხუცმა და გახეთის ფურცლები ფეხსაცმლის ჭკინტით ააშრილა. — უფალმა უწყის, საიდან მოულობდა ის გოგო ფორთოხლებს. თუ ფორთოხლებს ვერ იშოვიდა, მაშინ ვაშლებს აწყობდა ფანჯარაზე. აი, თქვენ რომ ზიხართ, მანდ ყოველთვის ქალაქი ეფინა და ზედ თამბაქოს ფოთლები ეწყო, შიგადაშიგ კი ფორთოხლისა და ვაშლის ნაჭრები ერია. თამბაქოც ხომ არ იშოვებოდა მაშინ, ის გოგო კი საიდანაც ყოველთვის მოულობდა. თამბაქოს კარგი სუნი ჰქონდა, მე თვითონ ჩიბუხს ვეწვიო და ვიცი თამბაქოს ყადრი, თამბაქოს ფორთოხლისა და ვაშლის სუნი უდიოდა...

მაუდის პალტოიანს ხველება აუტყდა. წამოდგა, მკლავები გაშალა, გაჭიმა და ხელის ზურგი ნაჭრილობევ, სუფთად გაპარსულ სახეზე მოიხვია.

— გარეგნობით არა უშავდა რა, — განაგრძო კონსიერემა, — მაღალი იყო, გერმანელები ხომ მეტწილად მაღალი ტანისანი არიან, თუმცა მაღალი კი არა, ზორბა კაცი ეთქმოდა, მაგრამ სარდაფში რომ ჩაათრიეს და თხუთმეტოდე წუთი ამყოფეს იქ, მთაში ამოსულ ჩამოგლეჯილ და ჩამოტყავებულ ნაძვს დაემსგავსა... კბილები ისე ჰქონდა მიბრეცილი, როგორც თავთავეებს მააწვენს წვიმა და ქარი, ხორცი კი ლავიწის ძვლებიდან უკანასკნელ ნეკნებამდე ნაფლეთ-ნაფლეთ, ძეხვის გამომშრალი კანივით ეკიდა ტანზე. სარდაფში ქვანახშირის გროვისთვისაც მიეგნოთ და ერთი ხუთჯერ მაინც შეეგდოთ ზედ. ერთი ზევით მდგარა, მაღლა აფორთხებულს წიხლით უმასპინძლდებოდა და რისინ-რიხინით უშვებდა ძირს, ორი დანარჩენი კი — ერთი გერმანელი და ერთი მათი აქაური დამქაში — საჩხრეკითა და ნიჩბით ისევ მაღლა აგდებდნენ თურ-მე. ბოლოს იქვე მიატოვეს ცოცხალ-მკვდარი. მეზობლებმა სხვა სარდაფში ვადამალეს, მაგრამ რომ მიეხედათ, ეს კი ვეღარ გაბედეს. სამი დღის შემდეგ ისევ მე და ჩემმა ცოლმა ვადმოვათრიეთ და ჩვენს სარდაფში დავმალეთ. ვი-ფიქრეთ, ეს კაცი ან მკვდარი ჰკონიათ ან საერთოდ გადაავიწყდათ-თქო.

მაუდის პალტოიანმა თავი დააქნია და კვლავ ფანჯარაში გაიხედა. ფანჯარას ისე მისციებოდა, თითქოს ამ ოთახში კარიდან კი არა, ფანჯრიდან შემოსულყო.

— ისევ წვიმდა. ქუჩის ფარნების თეთრი მანათობელი ბურთულები პირდაპირ სიბნელეში ჩასმულებს ჰგავდნენ, ნარნარად ირხეოდნენ, რკინის მესერში იჭვრიტებოდნენ და ბაღის მხრიდან ზედ მესერს მიბჭენილ იასამნის ყვავი-ლებსა და ხასხასა მწვანე ფოთლებს კაშკაშა შუქს ჰფენდნენ.

— შე გერმანელი ვარ, — კონსიერჟისკენ არ მოუხედავს, ისე თქვა მაუდის პალტოიანმა ზორბა კაცმა და გაიცინა.

— მივხვდი, — მიუგო კონსიერჟმა და კაცის მელოტ კეფას დააშტერდა, — მივხვდი, მაგრამ ოთახს მაინც მოგაჭირავებთ. ჩემთვის გერმანელებს არაფერი დაუშავებიათ, თუმცა ცოტა ხნით ადრე რომ მიეგნოთ ჩემი ქვანახშირისთვის, ალბათ თავზე ხელს არ გადამისვამდნენ.

მოხუცმა რკინიგზელის ქურთუკის ჯიბიდან მუცელგაბერილი ზიპსუნი ამოიღო და ერთხანს ანგარიშმიუცემლად ურევდა ხელს თუთუნში.

— როდის გადმოხვალთ? — ჰკითხა შემდეგ. ამ დროს ფეხი თაბაშირით სავსე ვედროზე მოუხვდა. რახუნზე კაცმა მოიხედა. — ორ დღეში ყველაფერი მშრალი იქნება. საღებავიც გაშრება მანამდე, მხოლოდ კარს დასჭირდება ხელმეორედ შეღებვა. ჰო, კიდევ განჩინასაც.

— არ ვიცი, — უპასუხა მელოტმა. ხმა ისე ყრუდ გაისმა, თითქოს პირზე ცხვირსახოცი აქვს აფარებული. — ყოველ შემთხვევაში ერთი თვის ქირა წინასწარ შემიძლია გადაგიხადოთ. A fonds perdu¹.

— თორმეტი ათასი ეღირება. შეიძლება ბევრი მოგეჩვენოთ, მაგრამ ნამდვილად არ არის ძვირი. ბანაობაც შეგიძლიათ. ოკუპაციის დროს აქ ზონ არ ყოფილხართ?

— ცოტა ხანს ვიყავი, — უპასუხა მელოტმა და ისევ ფანჯრისკენ იბრუნა პირი. — აქვს ამას რაიმე მნიშვნელობა?

ამ დროს კარმა გაიჭრიალა, ორთავემ ფანჯარას ზურგი შეაქცია და შემოდებულ კარს მიაჩერდნენ. კარებში კუდაპრეხილი კატა გამოჩნდა, კატამ კარგად მიყნოს-მოყნოსა იქაურობა და ისევ გაუჩინარდა.

— კატა იმ გოგოსია, — თქვა კონსიერჟმა და მარჯვენა ხელით იმ კედლისაკენ მიანიშნა კაცს, სადაც ორი დაწნული სავარძელი იდგა.

— კატა, მაგიდა, ორი სკამი, საწოლი, რამდენიმე საბანი და ბალიში, წერილები და ასეთი რაღაც-რაღაცები დარჩათ აქ...

— რა რაღაც-რაღაცები? —
— რა ვიცი, რაღაც-რაღაცები, — გაიმეორა კონსიერჟმა, — სულ ეს იყო, რაც იმ გოგოს დარჩა.

— რომელ გოგოს? — ჰკითხა მელოტმა და ხორციანი ხელი აეფაზე მოსვა. ხელის ზურგი თითქოს შეერწყა თავს. შემდეგ კაცმა პალტოს ღილები შეიკრა.

— აი იმ გოგოს, გერმანელ დეზერტირთან ერთად რომ ცხოვრობდა აქ. გოგო ნაზი და ტანმორჩილი იყო, ის კი გოლიათი გახლდათ, თუმცა გოლიათები ბუნებით სულაც არ არიან ხოლმე გოლიათები. მისი სული ალბათ ისე წრილებდა გოლიათურ სხეულში, როგორც დელფისაგან დაყირავებულ გემს მოწყვეტილი კანჯო ბზრიალებს ხოლმე უმწყოდ ტალღებში. დიახ, რაღაც ამის მსგავსი იქნებოდა. მოგეხსენებათ, რა ბავშვებივით უმწყონი არიან გოლიათები. მაგრამ გოგოს უყვარდა იგი, სწორედ ამიტომაც უყვარდა ალბათ. ყოროთონლები არაფერ შუაში იყო.

— რა არ იყო არაფერ შუაში? — გაბრაზება შეეტყო ხმაში მელოტს და

¹ მთლიანად (ფრანგ.).

კონსიერეს მიაჩერდა. მოხუცი ამ დროს ცერით კვლავ ჩიბუხის თავს აბრი-
ალებდა.

— ფორთოხლები არაფერ შუაში იყო-მეთქი, გითხარით. თუმცა აღამია-
ნისას აბა რას გაიგებ კაცი. გოგოც ხშირად გვიან ბრუნდებოდა შინ. გვესმო-
და, როგორ გაალებდა კარს და მანამდე იძახდა ჩის სახელს, მანამდე მანამდე სთავს
არ მიაღწევდა, მაგრამ უფრო ხშირად თვითონ ასწრებდა ბინისკენ, ის კი
ისეთი მთვრალი ბრუნდებოდა ხოლმე შინ, რომ გოგო ძირს ჩამოდიოდა და
მალლა მიათრევდა, მერე გვესმოდა, როგორ აყირავებდა მთვრალი მაგიდებსა
და სკამებს, სააბაზანოში გაუთავებლად მოჩხრიალებდა წყალი, ის კი ისევ და
ისევ ენარცხებოდა ძირს და ტიქებსა და ვაზებს ლაწალუწი გაუდიოდა...

მოხუცი შეჩერდა, ჩამრთველთან ფრთხილად მივიდა და გადაატრიალა.
გამოჩნდა შიშველი კედლები, ლინოლეუმსა და გაზეთის ფურცლებს თეთრი
წინწკლები მიხმობოდა.

— შემდეგ მეტწილად სიჩუმე ისადგურებდა. — ისე განაგრძო კონსიერემა,
თითქოს სიტყვა არც გაეწყვიტოს. — შემდეგ მეტწილად სიჩუმე ისადგურებდა
და ისმოდა გოგონას ზუზუნის თუ სიმღერა. ძალიან ნაზი გოგო იყო...

— ვიცი, ვიცი, — შეაწყვეტინა მაუდის პალტოიანმა.

— ნაზი იყო, მუქი თმა და ბავშვური სახე ჰქონდა. — განაგრძო კონსი-
ერემა. — ისეთი ბავშვური სახე ჰქონდა, წესით არაფერი არ უნდა წაესვა, ის
კი ისე ითხიპნებოდა, გეგონებოდათ, ალუბალი უსვიაო, თუმცა სიმართლე თუ
გინდათ, ის შეთხიპნაც უხდებოდა. გოლიათი კი ღამით ქუჩაში მოაბოტებდა.
მის გამოჩენაზე ხალხი დარაბებიდან იჭვრიტებოდა, ნეტავ რა მოხდებოდა, მაგ-
რამ ქვეყანა არ იქცეოდა. ერთხელ, მახსოვს, ხელში დაგლეჯილი ქოლგა ეჭი-
რა და უკან გაბინძურებული და გავერანებული მელის ბეწვი დასთრევდა.
იმ ღამესაც ეწყო ფორთოხლები მის ფანჯარაზე, მაგრამ გოგო შინ არ და-
უხვდა, იმან კი სიმღერები დააგუგუნა — მთელი ხმით მღეროდა გერმანულ
სიმღერებს. ის იყო მალლა ასვლას ვაპირებდი, რომ გოგოც მოვიდა. გოლიათი
ნახევრად შიშველი იდგა კიბეზე. გოგო რომ დაინახა, მივარდა, მას კი ფორ-
თოხლებით, ვაშლებითა და კონსერვებით სავსე პარკი ეჭირა ხელში და ყვე-
ლაფერი კიბეზე რიხინ-რიხინით დაუგორდა. გოლიათი მთვრალი იყო, მაგრამ
კიბეზე გოგო მაინც ატატებელი აიყვანა, მერე ზევით დიდხანს ღია ჰქონდათ
კარი. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ ჩამოვიდა გოგო ძირს და კონსერვის ქი-
ლები და ფორთოხლები აკრიფა. დილით გოლიათის სიმღერამ გამოგვაღვიძა.
ის დღე სიმღერით დააღამა.

მაუდის პალტოიანი კაცი ზღურბლთან შეჩერდა და ჩამოფხეკილ კარს და-
აყვირდა. რომელსაც თაბაშირივით თეთრად აჩნდა ვიდაცის ხელის ანაბეჭდი.

— კარს სვალ დილით შედებავენ, — უთხრა კონსიერემა, — დილით ადრე-
ორ დღეში ყველაფერი მშრალი იქნება. სამზარეულოში ხომ არ გავსულიყავით
და თითო ჭიქა კიდევ ხომ არ დაგველია?

სამზარეულოში მოთუხთუხე ტაფების ოხშივარი იდგა, ტაფების სახურა-
ვებს რაკარუკი გაუდიოდა.

— ბოსტნეული იხარშება, — თქვა კონსიერემა და ტაბურეტი ფანჯრისკენ
მისწია. სამზარეულოს მაგიდაზე პინარით სავსე ბოთლი და ორი ახლად გარე-
ცხილი, ჯერ კიდევ წვეთებშეუმშრალი ჭიქა იდგა.

— სიმართლე თუ გნებავთ, იმ ორ წელიწადს არასოდეს არ ვივინებ.

მაშინ თუ გამახსენდება, კიბეზე ქალის ან გოგონას სწრაფი ნაბიჯების ხმა რომ გავიგონებ ხოლმე. ასე პაკაპუკით ქვის კიბეზე ან ბაზრის მოედანზე დადიან სამხრეთის სოფლებში, მაგრამ ეს ხმა ყურს მაინც სასიამოვნოდ ელამუნება ხოლმე.

გარეთ, უკანა ეზოში აბაყურით შებურვილი შუქი ბუჩქსებდა და მჭიკოთა-ლად ანათებდა ბელეტაყის რკინის საფეხურებს.

მაუდის პალტოიანმა ჭიქა ფრთხილად დადგა მაგიდაზე, შუბლით ფანჯრის მინას მიეყრდნო და ხელები თვალსაფარივით შემოიჭდო საფეთქლებზე.

— ისევ წვიმს, — თქვა კონსიერჟმა. — აი აქ მოხდა ის ამბავი, — დასძინა მერე.

რა ამბავი? — ფიცხლად ჰკითხა მაუდის პალტოიანმა და მისკენ შემობრუნდა.

კონსიერჟი ფეხებგაჩაჩხული დაჯდა ტაბურეტზე და ბაკანში ჩიბუხს დაუწყო ბერტყვა.

— გოგო ორჯერ მოაცილა ერთმა გერმანელმა ოფიცერმა. ჩვენ ფანჯარასთან ვიდექით. გვიან იყო. ოფიცერმა ხელები მხრებზე შემოაწყო და ნელა მიიზიდა. კარგა ხანს იდგნენ და ლაპარაკობდნენ. ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია — სწორედ ოკუპაციის უკანასკნელი დღეები იდგა, — გესტაპოელები და მათი აქაური დამქაშები რომ მოადგნენ ჩვენს სახლს, უჩუმრად, თითის წვერებზე აიარეს კიბე, სულ ოდნავ ისმოდა საფეხურების ჭრიალი. გოგო და გერმანელა ზევით ფორთოხლებით ბურთაობდნენ, ხომ შიმშილობა იყო, მაგრამ ფორთოხალს იშვიათად თუ შეჭამდნენ. ოთახში რომ შეხვიდოდი, ფორთოხლები ან ფანჯრის რათაზე ეწყო ან ხალიჩაზე ეყარა. თამაშის ანგარიშს ფერადი ცარციო ან ფანქრით შპალერზე აჩხაპნიდნენ. ჩემს ცოლს გული მოსდიოდა, მაგრამ რა ექნა, ორივე გვიყვარდა, თუმცა გვიყვარდა რა სათქმელია, თავიც კი მოგვექონდა ჩვენი დეზერტირით, გვეამაყებოდა, რომ ჩვენც რაღაცას ვაკეთებდით დუმბილისა და მოთმინების გარდა. ერთი გერმანელით ნაკლები იბრძვის-მეთქი ჩვენს წინააღმდეგ, გამბობდი მე. ეს თითქმის იმას უდრიდა, ერთი კაცი რომ მოგეკლა ან ერთი მატარებელზე მოგეწყო საბოტაჟი. საბოტაჟი მაინც დიდ გასაჯალში იყო მაშინ.

ფანჯარასთან მღვთმი შემობრუნდა და ერთი წამით იმ ფოტოსურათს დაემსგავსა, სხვადასხვა ადამიანის სახის ნაკეთებისგან რომ აკონიწებენ ხოლმე. სახე გაფითრებული ჰქონდა, ადამიანისას მიმსგავსებული და ოდნავ მსუქანი.

— მართალი ვითხრაო, ჩემს ცოლს გოგო ნაკლებად უყვარდა. დაჩხაპნილი შპალერის გულისთვის არა, ისე, უბრალოდ. ადამიანისას აბა რას გაიგებ კაცი.

— რას ვერ გაიგებ? — ჰკითხა მაუდის პალტოიანმა. ჭიქა ისევ ხელუხლებელი ედგა. მელოტი კეჭა ფანჯრისკენ მიეღრიცა.

— არ ვიცი, — ნელა თქვა მოხუცმა, — ის კი ვიცი, რომ გოგო კინოში მუშაობდა, მოლარე იყო თუ რაღაც ამდაგვარი, მაგრამ ეს შემთხვევითი სამუშაო იყო და ერთმანეთის მიყოლებით ბევრ კინოთეატრში უხდებოდა მუშაობა, ხან ნაშუადღევს, ხან საღამოობით. პოდა, იმეა მოგახსენებდით, ის სამი კაცი მალლა ავიდა, ჯერ კარზე დააბრაზუნეს, მერე კი ოთახში შეცვივდნენ. ზევით საშინელი ღრინცელი და ბრახაბრუხი ატყდა. ერთი გერმანელი კიბეზე დაგორდა, მაგრამ ბოლოს, რა თქმა უნდა, მოერივნენ გოლიათს და სარდაფში ჩაათრეს...

მაუდის პალტიანმა რაღაც ჩაიბურღუნა და თავის ჭიქას პირველად დააკარა პირი. ჭიქა ისე უჩანდა ხორციან ხელში, თითქოს ხელი გამქვირვალე ჰქონოდა.

— მერე გოლიათი მიწაზე დაგდებული მიატოვეს და წავიდა და გრძობა მოხუცმა, — ხალხმა ბინებიდან ვერ გაბედა ცხვირის გამოყოფა, მხოლოდ მერე გამოეფინნენ დერეფანში და კიბეზე. გოგო ყველაზე გვიან გამოვიდა ღიღინით ან იქნებ ტირილითაც, ძნელი სათქმელია. ტანზე რაღაც ფერადი ძონძები შემოესვია, ღიღებზეუკრავი, კალთებჩახსნილი. ხელში წითელი ბაფთა ეჭირა, ის ბაფთა კარის ღირვზე ჰქონდა გაბმული, რომ გოლიათს ზედ თავი არ აერთყა. გოლიათს რა თქმა უნდა, სანიშნე მალე გადაავიწყდა, ალბათ, თვალი შეაჩვია, და ჩვენც ხშირად გვესმოდა ხოლმე მისი ლანძღვა-გინება. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, გოგომ უხმოდ ჩაგვიარა-მეთქი, აკვარიუმში ჩასმული თევზით... გალურსული მობინადრენი კედლებს აჰკვროდნენ, ორმა თუ სამმა ქალმა ხელით სცადა მისი შეჩერება, მაგრამ მათ გაწვდილ ხელებს ისე ჩაუარა, როგორც ცოცხალ ღობეს ან ბუჩქნარს ჩაუვლის კაცი. დიახ, ერთი კვირის შემდეგ კი ჩვენები და ამერიკელები შემოვიდნენ, მათი შემოსვლისთანავე ქუჩებში ავარა ბიჭები გამოეფინნენ, ისინი თავიანთ პატრიოტიზმს იმით ამტკიცებდნენ, რომ თუკი ვინმე ქალს გერმანელთან გაეგლო, ამათრახებდნენ და თავებს პარსავდნენ. ის გოგო მას მერე აღარ მინახავს. სამი წლის შემდეგ თავის ლიონელ ნათესავეებთან მოვიკითხე, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. არც ოფიციალურად დაინტერესებულა ვინმე მისი ბედით. ვეგონებოდათ, საერთოდ არ გაჩენილა ამ ქვეყანაზეო. იქნებ ისიც იმ უცნობთა გროვაში ჩაიკარგა, ყოველდღე რომ ჩაგივლიან გვერდით და მგონი არც კი არსებობენ ამ ქვეყანაზე. ვინ იცის, იქნებ აჩრდილებს არავინ უშლის, ადამიანის სახე მიიღონ და დიდ ქალაქში ხალხში გაერიონ? იქნებ მართლა ასეა, ადამიანისას აბა რას გაიგებ კაცი.

შელოტი თავს აქნევდა, თავის ქუდის სარჩულს ათვალიერებდა და ფარფლებს თუნუქივით ღუნავდა ხელში.

— შეიძლება ერთ ჭიქაზე დამეწვიოთ? — ჰკითხა კონსიერეს ბოლოს.

მოხუცმა მხრები აიჩეჩა და ნაკლულ ბოთლს გადახედა.

— ბატონი ბრძანდებით. სად? გადალმა გადავიდეთ?

უკანა ეზოში შუქი ჩაქრა და ერთბაშად ჩამავდა სამზარეულოს ფანჯრის მინები.

კაცებმა გადაიარეს ცისარტყელას ფერებით ალივლივებული ზეთგარეული წყლის გუბეები, ქუჩის ფარების შუქზე რომ ლაპლაპებდნენ და ბისტროს კარი შეაღეს. მაგიდების თავზე ნახერხის ბური და ლუდის მომკაეო ოხშივარი იდგა. პირდაპირ დახლისკენ გაემართნენ, დახლში მდგომი თმაგადაგლესილი კაცი სტუმრებს ხელგამილილი შეეგება.

— მუსიო შარლ! — შესძახა მან.

— გამარჯობა, მარის, — მიესალმა კონსიერე.

მოხუცმა ორივესთვის Fine à l'eau¹ შეუკვიტა, დახლს ზურგი შეაქცია და ძვიდებზე იდაყვით ჩამოეყრდნო.

— აქ ხშირად დადიოდა.

¹ არაფი და წყალი (ფრანგ.).



— გოლიათი?

— ჰო, გოლიათი.

მოხუცმა თავით დახლისკენ მიანიშნა და ხმას დაუწია:

— რომ წაიყვანეს, მაშინვე მორისზე ავიღე ყველი. ერთს ვიხსენებდი გულისთვის ვის არ გაიბეჭებდა, არც დეზერტირს დაინდობდა, დაინდობდა კი არა, პირველ რიგში სწორედ დეზერტირს უმუხთლებდა, მაგრამ ისეთი დრო იდგა, ყველასი ეშინოდა მაშინ.

მორისმა მათ ეშხზე მოსაყვანად ჭიქები განზრახ დააქანუნა დახლზე, ცოტა ხანს დაიცადა, მერე ისევ უკან დაიხია, ბარსუკან მაღალ ტაბურეტზე შემოჯდა, ბრილიანით გადაგლესილი თავი მონეტების გროვაზე დახარა და მათი პატარა პატარა კომიკებად დალაგება განაგრძო.

ბისტროში აღარავინ იყო.

მელოტმა ქუდი ზურგსუკან ჩამოდო დახლზე და კარს უმწეოდ მიაჩერდა.

— მერე რა მოუვიდა?

— ვის?

— გოლიათს.

— ჰო, მე და ჩემმა ცოლმა მეზობელი სარდაფიდან ამოვიყვანეთ, ვიფიქრეთ, აღარ მოაკითხავენო. გრძობა თითქმის დაკარგული ჰქონდა. ოთხი საათი იქნებოდა გასული, ის სამი კაცი უკან რომ მობრუნდა და ორი სხვაც მოჰყვა აქაური დამქაწი. ეტყობოდა, ის გერმანელი, ოფიცრის ჩინი რომ ჰქონდა, საქმეში კარგად იყო გარკვეული, არც მოგვსაღწებია, არც რაზე უკითხავს, ისე გვითხრა გოლიათის გვარი. აბა ჩვენ რაღას გავაწყობდით — ორმა კაცმა ამოიყვანა დეზერტირი სარდაფიდან. გერმანელი ოფიცერი სულ მაღლა იცქირებოდა, ბოლოს გვეკითხა, ის გოგო სად არისო. ვუთხარი, რაც ვიცოდი, მაგრამ ეტყობოდა, ცალი ყურით მისმენდა. მაშინ მეგონა, მისი სახე არასოდეს დაშავიწყდებოდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, უფერული წარბ-წამწამი ჰქონდა, თავი კი სულ გამელოტებოდა. ისე, წესიერ კაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცუდს, მაგრამ აღამიანისას აბა რას გაიგებ კაცი.

— ასეთ ზღაპრებს მხოლოდ ჩვენში თუ გაიგონებ, გერმანიაში, — თქვა მაუდის პალტოიანმა, — მაგრამ იქაც მობეზრდა ყველას ასეთების მოსმენა. მერე, მერე რა მოხდა? — ჩაეკითხა ისევ კონსიერეს, ხელი მომუშტა, ზედ ამობურცული სახსრები წინა კბილებზე გაიტარ-გამოიტარა და საფირმო რეკლამის უკან დატანებულ დაბურულ სარკეს ჩააშტერდა.

— მერე ეზოში გამოიყვანეს თუ გამოიტანეს, — განაგრძო კონსიერემ, — სახლის უკან ბელეტაჟის კიბეზე აათრიეს. საბრალო უკვე ისე იყო მოშვებულნი, რომ ჩვარივით გადაეკიდა მოაჯირზე. ერთმა ყელზე თოკი მოაბა, თოკი ლამის ორჯერ უფრო გრძელი გამოდგა, ვიდრე საჭირო იყო. მერე ყველაფერი სწრაფად მოხდა. ამოდენა კაცი ბოსტნის საფრთხობელასავით გადაჰკიდეს მოაჯირზე და ტყვიები მიაყოლეს.

რა უაზრობა იყო ეს ყველაფერი. იმაზე მოგახსენებთ, ბოლო რა უაზროდ მოუღეს-მეთქი. ეითომ არ კმართდა ჩამოებრჩილთ ან დაეხვრიტათ ან უბრალოდ გადაეგდოთ მოაჯირიდან. ყველაფერი იკმარებდა ცალ-ცალკე, მაგრამ ისე მოიქცნენ, თითქოს სიკვდილის ყოველ სახეობაში გადარჩენის შანსიც ყოფილიყო ჩამალული, დიახ, მარტო სიკვდილის კი არა, გადარჩენისაც. სწორედ ამან შემხარა ყველაზე უფრო. სხვათა შორის, მოაჯირი არც ისე მაღალზე იყო, თოკიც

გრძელი გახლდათ და სრულითაც დაუმიზნებლად, ალიბედზე ესროდნენ. ასფალტზე რომ დაენარცხა, ჯერ კიდევ ედგა სული, მაგრამ ისე წავიდნენ, შედაც არ დაუხედიათ. გასაკვირი არც იყო — უკანასკნელი დღეები იდგა სახელდახელო სასამართლოები იმართებოდა, უკანასკნელი კლასიკური დღეები. სამი დღის შემდეგ ხალხი შეშლილივით ცეკვავდა ქუჩებში შემსხვენიერებული ტანკების გარშემო...

მაუდის პალტიანიმა ისე შეაქცია ზურგი სარკეს, თითქოს აქამდე ამოდ ცდილობდა შიგ რაიმე დაენახა და დახლისკენ ფიცხლად შეტრიალდა.

— რას იზამ, ომი იყო, — თითქოს სხვათა შორის დასძინა კონსიერჟმა. — მერე ხალხი ისევ უბრუნდება აპერიტივს, ის შიში და ძრწოლა დიდხანს როდი მიჰყვებათ, მკვდრებიც ავიწყდებათ, ხომ იცით, მიცვალებულთა სახეები რა სწრაფად ფერმკრთალდებიან.

— A propos Fine¹, — თქვა მელოტმა და გაქუცული პალტოს ჯიბეები მოიჩხრია. სხვათა შორის, ეს გაქუცული წყალგაუმტარი მაუდის პალტო სულაც არ შეეფერებოდა ასეთ ელეგანტურ ბორსალინოს.

— A propos Fine, — გაიმეორა ისევ, ჯიბიდან აბებიანი შუშა ამოიღო და ერთი აბი გადაუღაბა. — ექიმმა ალკოჰოლი საერთოდ ამიკრძალა. კუჭის და სხვა ასეთების გამო, ხომ იცით.

მერე გაიცინა და საათს შეხედა.

— ახლა კი დროა წავიდე. ცოლი მელოდება. ოთახს რაც შეეხება, ხვალ დილით ერთხელ კიდევ შემოვივლი. სიმართლე თუ გნებავთ, ის ოთახი ჩემთვის როდი მინდა, ჩემი ცოლისთვის ექირაობ, იმას უნდა თუნდაც ცოტა ხნით მაინც ისევ იცხოვროს აქ. მე თვითონ ისეთი საქმეები მაქვს, ვერ დავრჩები.

— ჰო, რა უშავს მერე, — უპასუხა კონსიერჟმა, — ნურაფრის დარდი ნუ გექნებათ.

ზორზონა კაცმა ქუდი მელოტ თავზე ჩამოიშხო და ერთ წუთს შეყოყმანდა:

— ერთი თვის ქირას წინასწარ გაძლევთ, à fonds perdu, როგორც შეეთანხმდით.

საფულე დაუდევრად მოიჩხრია და დახლზე რამდენიმე ქალაქის ფული დაავლო.

— ეს ძალიან ბევრია, — ისე უთხრა მოხუცმა, ფულისთვის ხვირიანად არც დაუხედავს. დათვალეთ, ძალიან ბევრია. ხომ გათხარით, თორმეტი ათასი საგსებით საკმარისია-მეთქი.

კარი მიჯახუნდა და რძისფერი შეშის მიღმა ბუნდოვნად გამოკრთა მამაკაცის სილუეტი.

კონსიერჟმა რამდენიმე მონეტა დაავლო თუთიის დახლზე.

— ვინ იყო? — გულლიად გამოსძახა მორისმა თავის კუთხიდან.

— მიცვალებული, — ჩაიბურტყუნა მოხუცმა და კარს მიაშურა.

წვიმის წვეთები მარგალიტებივით დაასხდა რკინიგზელის თექის ქურთუკზე. ცოტა გაიარა და სწორედ ამ დროს კინოს უკანასკნელი სეანსიდან მაყურებლები გამოეფინნენ. მეწინავეებს უკან მომავალი ადამიანების ჯგრო

¹ ჰო, მართლა (ფრანგ.).

აწვებოდა და ისინიც ძალაუნებურად ფეხს უჩქარებდნენ. ვესტიბიულურ მუქი კი აღამიანებს ცხვრის ფარასავით მოერეკებოდა წვიმაში.

ზოგიერთებს საყელო წამოეწიათ, კედლებს აკვროდნენ და გტყობო-
დათ, წვიმის გადაღებას უცდიდნენ.

— მიცვალებულები, — ჩაილაპარაკა კონსიერჟია, — ერთი-ორი მიცვალებული მაინც იქნება ახლა ამ ხალხში გარეული. ისინი საი-
დანღაც, წყვდიადიდან გამოდიან ამ ქვეყანაზე უსასრულო დღეებსა და ღამე-
ებში და კვლავ ინთქმებიან წყვდიადში. ზოგი დღეს ალბათ კინოში იქნებოდა.

მოხუცმა გადაწყვიტა, ამ საღამოსაც დაეწყო ფორთოხლები ფანჯარაზე.
იქნებ...

აღამიანებისას აბა რას გაიგებ კაცი.

მისი ჩიბუხი ისევ ღვიოდა — წვიმას ვერ ჩაექრო.

ვითომ სულ ერთი არ იყო, ვინ ცოცხალი იყო და ვინ მკვდარი? ყოველ
შემთხვევაში თვითონ ნამდვილად ცოცხალი იყო.

ქუჩაში მანქანები დაჰქროდნენ და ჰაერში იასამნის სურნელი ტრი-
ალებდა.



ვალტერ მათიას ღიბელმანი

თ ვ ი თ მ ა ვ ლ ე ლ ო ზ ა

გერმანულიდან თარგმნა ნანა ბოგოლასვილია

ღამრეც მოსახვევში, ვიწროდ რომაა შეჭრილი პოსანსა და ზო-
ტანა შორის, მისი „დატსუნის“ მარკის მანქანა 24—00 ვტ
გზას ასცდენია, ჰაერში ორჯერ თუ სამჯერ ამოტრიალებულა და ხეს შეხეთ-
ქებია. ისიც იქვე მომკვდარა. პოსანიდან ტრაქტორით მომავალ ფერმერს რომ
შეუმჩნევია, სული აღარ ედგა თურმე საცოდავს!

— საოცარია პირდაპირ! ამ გზაზე რომ არ ითქმის, ცუდი გზააო? — თქვა
ჰუგომ.

— ლუცერნში იყო გასვენებაზე წასული და ეშალანში ბრუნდებოდა.
ეშალან-მუდონისა და ბერნის გზა გაცვეთილი ჰქონდა. განა პირველად იყო?! —
მიუგო რუთმა.

— თანაც აგვისტოს თვეში, — კვლავ წამოიწყო ჰუგომ, — აი, უკვე სამი
კვირაა, ჩინებული დარი დგას, ერთთავად გრილი სიო ჰქრის. ამიტომაც სიცხე
სულ არ აწუხებს კაცს. შუადღეზე თუ ჩამოცხება ხოლმე ცოტათი. ეგ არის და

ეგ. მაშ ასე! ექვს საათზე მანქანაზე დამჯდარა, ოც წუთში კი უკვე ცოცხალი აღარ იყო.

— პოლიციის ექსპერტები და დაზღვევის აგენტები საგონებელში ჩავარდნილან. ჰო, მართლა, მანქანაც დაზღვეული იყო და თვითონაც მანქანაში მყოფიად გამართული ყოფილა. სულ თერთმეტი ათასი კილომეტრის მანქანაზე ჯიშვლილი. ოთხი დღის წინ პროფილაქტორიუმი დააყენა, ბირფესვიანად შეამოწმებინა. ამ საკითხში რაღაც გასათვალისწინებელი იქნება ხოლმე. უმაღლესად აიღებდა ხელს მანქანის ყოლაზე, ვიდრე ოდნავ მაინც მოაკლებდა მოვლა-პატრონობას. ისეთ საბურავებს გამოუცვლიდა ხოლმე, სხვები რომ ალბათ ერთ ოცი ათას კილომეტრს კიდევ გაივლიდნენ. გარეცხვით კი იშვიათად რეცხავდა. ამ საქმეში ხანდახან სერუი ეშველებოდა. წესად ჰქონდა, ბიჭისთვის ყოველ გარეცხვაზე გასამრჯელოდ ათი ფრანკი მიეცა. — Mais comme il faut,¹ — დასძენდა ხოლმე თან.

— წინა საღამოს ბევრი ხომ არ დაუღევია? — იკითხა ჰუგომ.

— არა, იმაზე მეტი არა, როგორც ყოველთვის. ერთი ბოთლი სავალნიხი დავლიეთ. ათ საათზე უკვე ლოგინში ვიყავით. მალე ჩავგვიძინა. უფრო სწორედ, მე წამართვა ძილმა მაშინათვე თავი.

— იმან, იმან როდისღა დაიძინა?

— დილით მითხრა, მეც მალე დამეძინა. ხუთი საათი იქნებოდა, მისმა ფეხმა ხმაშ გამომაღვია. აღრიანად ამდგარიყო, ყავა საწოლში მომართვა, თან მითხრა, დღის ბოლოს დავბრუნდებიო. ჩინებულ გუნებაზე წავიდა.

სიკვდილის მიზეზი აშკარა იყო: თავის ქალის ფუძე ჰქონდა მოტეხილი. მანქანის მარცხენა კარზე მიურტყამს. ასეთი შემთხვევები იშვიათია, მაგრამ, როგორც ხედავ, მაინც ხდება ხოლმე. ღვედი ღუნედ ჰქონია გადაჭერილი. ცოტა მაგრად რომ ჰქონოდა... საერთოდ კი ისე მაგრად იკრავდა ხოლმე, რომ რადიოს ჩართვაც კი უჭირდა, — თქვა რუთმა.

აი, უკვე ექვსი წელია, რაც დაქორწინდნენ. რუთს ექვსი წლის ბიჭი მოჰყვა თან, ის კი ორი ქალიშვილის მამა იყო. ახლა ერთი გოგო თვრამეტი წლისაა, მეორე — თექვსმეტისა. მაშინ, თავის პირველ ცოლს რომ გაეყარა, ბავშვები ათი და რვა წლისანი იყვნენ. გაცილებით კი, იმიტომ გაცილდნენ, რომ მის ცოლყოფილს სხვა კაცი შეუყვარდა და შინიდან გაიქცა. მოგვიანებით ქმრისთვის შემოუთვლია: ოღონდ ბავშვებს ნუ წამართმევ და როცა კი მონდობებ, წაიყვანეო. — მე ცოლის შემრთველი აღარ ვარო, — უთქვამს მაშინ და ბავშვები დედასთან დაუტოვებია.

— მაინც არა მგონია, თვითმკვლელობის მიზეზი ეს ყოფილიყო, — თქვა რუთმა, — ერთი კია: ვერაფრით ვერ შეგუებოდა ოჯახი რომ დაენგრა, თუმცა არც ცოლყოფილთან და მის ახალ ქმართან. არასოდეს საყვედურიც არ დასცდენია. იტყოდა ხოლმე: ეს ამბავი მხოლოდ მე მეხება და სხვა არავისო. იმასაც ამბობდა: გაგებით მაინც ვერავინ გამიგება და თავად მეც არავითარი სურვილი არა მაქვს, ვინმეს რაიმე ავუხსნაო. იმის მიზეზი რომ მცოდნოდა, რატომ გამექცა ლიოვე, — ასე ეძახდა ცოლყოფილს, — მაშინ ხომ არც გამექცეოდაო! — ამ თავის მოსაზრებას ფრიალ გამართლებულად თვლიდა.

¹ ისეა, როგორც საჭიროა (ფრანგ.).

— და მაინც არა მგონია, ამის გამო მოეკლა თავი. — თქვა ჰუგომ, — იქნებ ამჯერადაც გათამაშება უნდოდა თვითმკვლელობისა?

— გათამაშება?

— ალბათ გეცოდინება, ერთხელ ავარიაში რომ მოხვდა და მძიმედ დაშავდა, — მიუგო ჰუგომ.

— ვერაფერი გამიგია, — ჩაილაპარაკა რუთმა.

— საცოდავს ამ ავარიამ თითქოს თვალები აუხილათ, დაინახა, ყველა როგორ დასტრიალებდა თავს. ლიოვე დროებით კვლავ შემობრუნდა მისკენ და აგრძნობინა, რომ უყვარდა, — თქვა ჰუგომ.

— თრი თვის წინ ძირფესვიანად გამოიკვლია თავი: კუჭი, ბრონქები, ღვიძლი, თირკმელები, სისხლი, ყველაფერი შეიმოწმა. ალბათ გაიგებდი, ერთი ხანობა მეტისმეტად რომ მიეძალა ღვინოს. რომ გეკითხა, რატომ სვამო, გეტყოდა, სულელო კრიზისს განვიცდი და იმიტომაც. სრულიად მოულოდნელად შეიპყრო სიბერის შიშმა. დროდადრო წნევაც აწუხებდა, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება თავი მოეკლა, — სწრაფად წარმოთქვა რუთმა.

— განა შენ ამის არ გეშინოდა? — ჰკითხა ჰუგომ.

— მე?

— გახსოვს, ტელეფონზე რომ დამირეკე... მაშინ.

— მართლა ასე ვთქვი?

— ჰო.

ხანდახან იცოდა ამაზე ლაპარაკი, — განაგრძო რუთმა, — იტყოდა ხოლმე, თუ ძალ-ღონემ მიმტყუნა, ყველაფერს წერტილს დაკუსვამო. მანქანაში რეზინის შლანგით მშვენივრად შეიძლება გამონაბოლქვი გაზები შეუშვას კაცმაო. იმასაც იტყოდა ხოლმე, ჩემი ხელით თავს ნაღდად ვერ მოვიკლავ: ვერც ტყვიას ვიკრავ შუბლში და ვერც თავს ჩამოვიხრჩობო. არც საწამლავი ან საძილე აბებია საჩემო საქმეო. მანქანა ჰქონდა ამოჩემებული. ერთხელ კოსონესა და ორბს შორის გადაჭიმულ შარახე გაველო. ამ გზაზე შედარებით ნაკლებია ხოლმე მოძრაობა. გზის ორივე მხარეზე ხეებია ჩამწყრივებული. აი, აქ კი შეიძლება კაცმა ასოთხმოცით წაიყვანოს მანქანა. მერე კი პირდაპირ ხეს შეასკდესო. ანდა, ამ საქმისთვის ყველაზე უკეთესი ის გზატკეცილია, სადაც ორასი კილომეტრი სიჩქარით შეგიძლია იარო, მერე კი პირდაპირ ბიდის ბოდს შეაღწეო მანქანა. თუმცა ეს ცოტა საშიშია, შესაძლოა ვინმე იმსხვერპლოთ.

— ისე, კაცმა რომ თქვას, ბერნში რა უნდოდა? — იკითხა ჰუგომ.

— არ ვიცი, თავის საქმეებზე ძალზე იშვიათად თუ იტყოდა რამეს. უსიამოვნება რომ შეხვდებოდა, მაშინაც კი არ დაძრავდა ხოლმე კრინტს. ვინ იცის, იქნება თავის ცოლყოფილს უნდა შეხვედროდა?

— არა მგონია, — თქვა ჰუგომ, — თუმცა ხანდახან კი ხვდებოდა ხოლმე. ის ქალი ნაბიჯს არ გადადგამდა მისი რჩევა-დარიგებისა და თანხმობის გარეშე, როცა კი საქმე ბავშვებს შეეხებოდა. ხანდახან იტყოდა: აბა, ერთი წარმოიდგინე, რა სულელური ცხოვრება მაქვს. გაყრას სინამდვილეში არაფერი შეუცვლია. ყოველ შემთხვევაში, მე ისევ ისა ვარ, რაც ვიყავიო. ცოლთან დაცილება დიდი უბედურება იყო მისთვის. ამ ამბავმა სასიკვდილოდ დაკოდა, და მერე ვერა და ველარ მოიშუშა ტრილობა.

— არა, იმის თქმა არ იქნება სწორი, ცოლი უბრალოდ უყვარდაო, — თქვა რუთმა. — უყვარდა კი არა და, აღმერთებდა, ამიტომაც არ შეეძლო, ყვე-

ლატერი არ ეპატიებინა. ის ამბავი, რომ მისი ცოლყოფილი ბუნდური იყო, ერთი მხრივ ახარებდა, მაგრამ მეორე მხრივ, როცა დაფიქრდებოდა, რომ ოჯახი დაენგრა... ჩემი ღრმა რწმენით, ეს უნდა ყოფილიყო ყველაფრის მიზეზი.

— ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ბევრი სიმწარე იგემე, — ერთი ბოგანო გლეხის ოჯახში დაიბადა. რიგით მეათე შვილი იყო. მისიანები რაინის დაბლობში, სანკტგალენში ცხოვრობდნენ. ხელმოკლეობის გამო ვერაფერი ხელთა ვერ ისწავლა და ციურისხს მიაშურა. იქ მანქანათსაშენი ქარხანა „იორლიკონში“ დადგა დამხმარე მუშად, თან სალამოს სკოლაშიც დაიწყო სიარული. ჩემთან არასოდეს დასცდენია, ციურიხი რატომ მიატოვა და საფრანგეთის შვეიცარიაში რატომ გადასახლდა.

— ჩემი გულისთვის მოხდა ეს, — მიუგო რუთმა, — ერთ მშვენიერ დღეს მითხრა: ახლა შენ უნდა გადაწყვიტო, სად ვიცხოვრებთ, ოღონდ ციურიხი არ მიხსენო. აი, ეს იყო მისი ერთადერთი პირობა. ათადან და ბაბადან მოყოლებული ჩემიანები სულ ეშალანში ფუძნდებოდნენ თურმე. შშობლებიც იქაური მყავს. ჩვენ ერთ ხანს ციურიხში ვიყავით. მერე რამდენიმე თვით პარიზშიც წავედით, ბოლოს კი სამი წლით ტესინში დავსახლდით. მისთვის სულერთი იყო, სად ვიცხოვრებდით.

— სალამოს სკოლაში ექვსი წელიწადი ისწავლა და მექანიკოსის დიპლომი მიიღო, — განაგრძო პუგომ, — ოცდაათი წლისა იყო, რომ ერთ-ერთ ამერიკულ კონცერნში შვეიცარიის გენერალურ წარმომადგენლად დანიშნეს. მერე, ციურიხთან ახლოს, გეროლდსვილში სახლიც აიშენა. სამსახური კი ქალაქში პქონდა. ოცი ხელქვეითი მყავდა. მისი ფირმა მარტო დაზგებით როდი ვაჭრობდა: ბევრ ღიდსა და პატარა საწარმოს ამარაგებდა სხვადასხვა ხელსაწყოებით. ფული იცოცხლე, ბლომადა პქონდა; ცოლთან გაყრის მერე ფირმა გაყიდა. მარტოხელამ დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა. ვის, ვის და, მას კი შეეძლო თავისათვის ამის უფლება მიეცა. სპეციალისტების წრეში მიღებული კაცი იყო, დიდი დაფასება პქონდა როგორც ექსპერტსა და მრჩეველს. ფულს ახლაც კარგად აკეთებდა.

— ჰო, იმას ვამბობდი: გადაწყვიტე, ეშალანში დავსახლებულიყავით-მეთქი, — განაგრძო რუთმა, — უნდა გითხრა, აქ ბედის ამბავიც იყო. სწორედ ამ დროს გავიგეთ, თურმე ეს სახლი იყიდებოდა. არც კი დაფიქრებულა, ისე თქვა თანხმობა. ალბათ იცი, ბიჭი დედასთან რომ მყავდა დიტოვებული, პოდა, გადაწყვიტე, ისიც ჩემთან წამომეყვანა.

— როგორ შეეთვისნენ ერთმანეთს ის და შენი ბიჭი? — ჰკითხა პუგომ.

— რა ვიცი, ხშირად რაღაც შიში შეიპყრობდა ხოლმე.

— რა შიში?

— სულ იმის ეშინოდა, ვაითუ შემეშალოს და ბიჭს ისე ვერ მოვექცეო.

— თავად ბიჭი რას ამბობდა, არ ეჭვიანობდა?

— ხანდახან.

— ბავშვს უსამართლოდ ხომ არ აწყენინებდა ხოლმე?

— არა, არა, ამის ცოდვას ვერ ვიტყვი, — თქვა რუთმა, — ტყუილუბროლოდ თითოც კი არასოდეს დაუკარებია. პირიქით, ყოველთვის ცდილობდა გაენებებინა; ხომ გითხარი, დროდადრო ეს უცნაური შიში შეიპყრობდა ხოლმე, თორემ ისე, კაცმა რომ თქვას, ჩემი ბიჭი უყვარდა კიდევ. მაგრამ, არ

ვიცი, რა უნდა მომხდარიყო, რომ ეს სიყვარული გაემქლავნებინა. იშვიათად თუ გადაუსვამდა თავზე ხელს ან აკოცებდა.

— საერთო შვილები რატომ არ იყოლიეთ? — ჰკითხა ჰუგომ.

— თვითონ აღარ ინდომა, საამისოდ უკვე ძალიან ხნიერი ვარო, იცოდა ხოლმე თქმა.

— შენ, შენ რაღას ეუბნებოდნი?

— მე თვითონ ყოველთვის მინდოდა მისგან ბავშვი მყოლოდა, მაგრამ იმასაც ვერ ვამტყუნებდი, — თქვა რუთმა.

— მეორედ რატომღა შეირათ ცოლი?

— გეტყვი, რატომაც. იტყოდა ხოლმე; მარტოდმარტო ცხოვრება არაფრით არ შემიძლიაო. ჩემდათავად არასოდეს დამიჯინია, გინდა თუ არა, ცოლად შემიერთე-მეთქი, თვითონვე მითხრა: რამე რომ მომივიდეს, მაშინ სადღა მიდიხარო. ხანდახან შემომჩივლებდა: რომ იცოდე, როგორ ეუღლად ვგრძნობ თავსო! — განაგრძობდა რუთი. — ფრანგულად გამართულად ლაპარაკობდა, მაგრამ ვერა და ვერ გაიჩინა აქ მეგობრები. მხოლოდ ნაცნობები თუ ჰყავდა. ისე კი, სხვათა შორის, მშვენივრად ვგუებოდა აღამიანებს. შემიძლია ვთქვა: ყველაზე შესანიშნავი მამაკაცი იყო იმათ შორის, ვისთანაც კი ოდესმე საქმე შექონია. მის მერე სხვა კაცს აღბათ ვეღარც ვიგუებ. ეპ. ვერაფერი გამიგია, მაინც რატომ მოიქცა ასე!? ჰო, ღვედი გადაჭერილი არ ჰქონია, — მიუბრუნდა ადრე ნათქვამს რუთი, — თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამის თქმა არ მინდოდა შენთვის, — დასძინა ბოლოს და ისევ განაგრძო: — დასაფლავებაზე ზღვა ხალხი მოვიდა, თუმცა ბოლოსმდე უცხო დარჩა ყველასთვის. ხომ გითხარი, თქმა იცოდა, განდევნილად ვგრძნობ თავსო. არ მახსოვს, რომელიმე საოჯახო დღესასწაული ჩვენთან ერთად გაეტარებინოს. სწორედ ამ დროს უნდა გამოსჩენოდა რაღაც გადაუღებელი საქმეები. ჩემიანებს გამორჩეულად უყვარდათ. ყველა თვალეში შესცივინებდა, აი, ჩემმა ერთმა ძმამ მისი ბალის მოვლა-პატრონობაც კი ითავა. აგრონომია და ესმის ამ საქმისა. ის კი ხანდახან მეტყობდა ხოლმე, ჩემი ბალი ჰქვია, ჰოდა, სულაც არ მინდა ვინმე სხვა უვლიდესო. საოჯახო საქმეები ხომ სულ არ ემარჯებოდა და არა, ონკანს ვერ შეაკეთებდა, საცეცხლე ქვაბში კირჭიტიც მოვლი დავიდარაბა იყო მისთვის. სახლი რომ ვიყიდეთ და საქმე ნასყიდობის დამტკიცებაზე მიდგა, ყველაფერი მე მომაგდო. ბანკებთან დავა და სხვა ანგვარი საქმეებიც მე უნდა მომეგვარებინა, თუმცა ამისა თავადაც არა გამეგებოდა რა. კიდევ კარგი, ჩემი მეორე ძმა რომ ერკვეოდა ყველაფერში. საბუთებზე ხელისმოწერის მეტი თავად არაფერი გაუკეთებია, იქამდე რომ, როცა საქმე ამაზე მიდგა. ისევ და ისევ მე შეკითხებოდა, რაზე მაწერინებენ ხელს, ხან ყველაფერი სწორიაო? დაჩემებული ჰქონდა, ვიცი, აქ ღიღად არავის ვეპიტნავებიო. დროდადრო ყველაფრის ხალხი ეკარგებოდა. ეტყობა, კლიმაქსი ეწყებოდა, საქმეები კი მშვენივრად ჰქონდა აწყობილი: როგორც სპეციალისტს ენდობოდნენ და პატივს სცემდნენ. არა, და-ძმასთან, შეიძლება ითქვას, არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია. მაშინ თუ მოსწერდნენ ხოლმე წერილს, ფული რომ გაუჭირდებოდათ. ჩვენ რომ დავქორწინდით, მშობლები უკვე ცოცხალი აღარ ჰყავდა, უყვარდა წიგნები, სურათები, თეატრი და ოპერა. კინოშიც სიამოვნებით დადიოდა. ოპერის მოსასმენად ხანდახან ვენევაში ჩავდიოდით, რამდენჯერმე მიუხეხებშიც გადავფრენილვართ ახალი სპექტაკლის სანახავად. პარიზიც არ ყოფი-

ლა ჩვენთვის უცხო ხილი. მარტო ციურიხს ვერ უხსენებდი. საოცარია, მაგრამ ეს კაცი მთელი სიცოცხლე სიყვარულს შესტრფოდა. მიუხედავად ყველაფრისა, ხანდახან სიყვარულშიც მწყალობს ბედით, იტყოდა ღიმილით, რაღა თქმა უნდა, ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარდა, მეც და ჩემიანებსაც. მაგრამ ზუნებით იყო უნდო კაცი.

— თქმა იცოდა, სიკეთის მოხსველი გაცილებით ბედნიერია იმასზე, ვისთვისაც ამ სიკეთეს თესავსო. — თქვა ჰუგომ, — ჰოდა, თავადაც ამ შეგონებით ცხოვრობდა.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა რუთი, — სულსა და გულს არ დაიშურებდა სხვისთვის. მაგრამ ჰაი, ჰაი, რომ... ას, ათას ფრანკს უყოყმანოდ დაახარჯებდა კაცს, ოღონდაც კი სცოდნოდა, ვინმეს გააბედნიერებდა. მაგრამ ამასთან ერთად უნდა გენახათ, რა აურზაურს ამიტეხავდა ხოლმე, თუ გაიგებდა, ფული რაიმე უსარგებლო ნივთში დაეხარჯე, ანდა, ვთქვათ, რესტორანში შევიდოდით და, ვაი, ჩვენი ბრალი, თუ სერჟს დასცდებოდა: სადილს რას დავაყოლებთო? მკაცრად ეტყოდა: ნუ გავიწყდება, რომ დღესასწაული არა გვაქვს და მხოლოდ შიმშილის დასაოკებლად ვართ შემოსული აქაო.

— თავის თავზე ფულს ვერაფრით ვერ იმეტებდა, — თქვა ჰუგომ. — ოცი წლის მანძილზე ერთი საათი ვერ იყიდა. ძალიან ძვირი ღირსო, ამბობდა. თავის ცოლყოფილს მანქანა რომ უყიდა, თავისთვისაც მაშინ იყიდა პირველად საათი.

— ერთ მშვენიერ დღესაც გამომიციხადა, უნდა გაგეყარო, საერთოდ უნდა მოგშორდეთ ორივესო, — განაგრძობ რუთმა. — მიხეხად მოიღო, ბიჭს ვეღარ ვერევიო, სერჟი ცუდლუტ მოწაფედ ითვლებოდა. იყო სამაგისო თუ არ იყო, ყველა გადაცემას უყურებდა: საათობით შექმლო მჯდარიყო ტელევიზორთან. ამასაც თავი დაეანებოთ, ბაქი-ბუქით გვიკლებდა. სკოლის ეზოში გამართულ მუსტი-კრივიში პირველი კაცი ვართ... ამიტომაც იყო ზოგჯერ ვეღარ იტახდა სერჟს. ბიჭმა კი, აბა ბიჭმა რა იცოდა, როგორ უნდა მოეგო მამინაცვლის გული; სერჟისთვის იგი ჯადოქარი იყო. ერთხელაც აი, რა უთხრა ბიჭს: ორმოცდაათ ფრანკს მიიღებ, სხვა რამეს თუ არა, „ანა ფრანკის დღიურს“ მაინც თუ წაიკითხავო. ამის მერე თვეები გავიდა, მაგრამ სერჟს, რაღა თქმა უნდა, წიგნისთვის ხელი არ უხლია. ერთ მშვენიერ დღესაც მოვიდა და გამოგვიცხადა: ორმოცდაათ ფრანკად კონსტრუქტორების პატარა კოლექცია შეიძლება იყიდოს კაცმაო. და მაშინვე შეიკეტა თავის ოთახში. მეორე დღეს ანა ფრანკის ისტორია მოგვიყვა. ასე მიიღო ორმოცდაათი ფრანკი. ასე მგონია, იმ წუთში სძულდა-მეთქი ჩემი შვილი. მეორე დამეს სადღაც წავიდა მანქანით. ოთხი დღე არ ვიცოდი, სად იყო. ყველა მის მეგობარს ჩამოვუჩურეკე. თუ გახსოვს, მაშინ შენთანაც დავრეკე... ერთი კვირის მერე დაბრუნდა. ვუთხარი, მთელი ეს ხანი სერჟი გვერდიდან არ მომცილებია. მხოლოდ სკოლაში დადიოდა, ეგ იყო-მეთქი და ეგ. მეორე დღეს ბიჭს ხუთას ფრანკად ღირებული მოტაროლერი უყიდა.

ხანდახან იტყოდა, კარგად იმიტომ ვსწავლობდი, სიმკაცრეს და ძალადობას ვერ ვიტანდიო. მუსტი-კრივიც არასოდეს უთფილა ჩემი საქმეო. თავისი შვილებისთვისაც არასოდეს დაუყარებია თითი. ერთხელაც, როცა პირველ ცოლთან უკვე გაყრილი იყო და ერთად ვცხოვრობდით, ძმაკაცებმა წააქეზეს, ეტყობა, შენს ცოლყოფილს, როგორც საჭიროა, ისე ვერ უვრეხდი კისერს, განა არ იცი, ქალს დროდადრო მათრახი რომ არ აწყენსო?! მახსოვს, ამ სი-

ტყვებმა ძალზე დააფიქრა. პოლა, ერთ დღესაც ჩემზე აღმართა ხელი, მე მცემ-
მა. მაგრამ ამ ამბავმა თავად მასზე ისე იმოქმედა, პირსაქმება აუტყდა და მერე
სანი დღე არ ამდგარა ლოგინიდან.

— სახლიდან გასვლის წინ ამ განწირულ კაცს რაიმე უსიამოვნება ხომ
არ შეხვდა? ხომ არ გიჩხუბიათ? — იკითხა ჰუგომ.

— არა, ამის მსგავსი არაფერი მომხდარა. — მიუგო რუთმა: *რუთმა: # # # # #*
წინა დღით თავისი ცოლყოფილისგან წერილი მიიღო. სწერდა, წლებულს არდა-
დეგების გატარებას ბავშვებთან ერთად ტუნისში ვაპირებო. ეს იმას ნიშნავდა,
რომ გოგონები ზაფხულში ჩვენთან აღარ ჩამოვიდოდნენ. არ ვიცო, — დასძინა
რუთმა, — ნუთუ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მიზეზი? თხუთმეტი წელი უკადა
საჭეს და ავარია არ მოხდომია. სამ წელიწადში ერთხელ, როგორც წესი, ავ-
ტოკურსები უნდა გაეღო. რა მდგომარეობაშიც არ უნდა აღმოჩენილიყო,
მანქანას ყოველთვის იმორჩილებდა და გამოსავალს ნახულობდა, ერთი მითხარ,
ის პირველი ავარია როგორღა მოუხდა? — იკითხა რუთმა.

— ეჰ, მას მერე თხუთმეტი წელი გავიდა. ეს ის დრო იყო, როცა მათ
ცოლ-ქმრობას უკვე ბზარი პქონდა შეპარული. ტბის მოსარკული ზედაპირი
უჩვეულოდ გარანდებულყოფი. უმთვარო ღამეები იდგა. დღისით კი უღრუბლო,
ლაყვარდოვანი ცის ტატნობი დაგვეცქეროდა ზემოდან. ვალეს ბაღებში გარგა-
რის მოსავალს იღებდნენ. ავარია მარტინისა და საქსონს შორის გადაჭიმულ
შარაზე მოუხდა. ის-ის იყო მანქანა ბრიგის, სიმპლონისა და დომოდოსოლასა-
კენ მიმავალ გზაზე გადაიყვანა. მისი „ალფას“ სიჩქარემ ას ოთხმოც კილო-
მეტრს გადაამეტა. სწორედ ამ დროს იგრძნო, როგორ გაუხახუნა გვერდი
პოლანდიურმა მანქანამ და გზიდან გადახვევა გადაწყვიტა, მაგრამ სიჩქარის
შენელება ვეღარ შესძლო და პირდაპირ გარგარის ბაღებში შევარდა. მანქანა
ლუკმა-ლუქმად იქცა, თავად კი მიძიმედ დაშავდა; მაგრამ არც ერთი ჭრილობა
სასიკვდილო არ ყოფილა. პო, აი, რისი თქმა მიწოდდა; საავადმყოფოდან რომ
გამოსწერეს, ლითვემ მიაკითხა და გამოიყვანა. მერე სახლშიაც ის უეღიდა,
როგორც პატარა ბავშვს. ერთ დღეს კი უთხრა: კმარა, ახლა მე აქ საჭირო
აღარა ვარ, ექიმმა უკვე სამუშაოზე გასვლას ნება დაგროთო.

— პო, ვიცო, — თქვა რუთმა, — უყვარდა, როცა ნაზად მოექცეოდნენ,
ლოგინშიც ასეთი იყო. სხვას უნდა ეცათუხებინა. ამიტომაც ყოველთვის მე ვი-
ყავი ამ საქმეში მოთავე. უნდოდა დღენიადაგ სიყვარულით ყოფილიყო გარე-
მოცული, მაგრამ როგორც კი ჩვენგან ამ სიყვარულს იგრძნობდა, უნდობლობა
შეიპყრობდა ხოლმე. დედამისი მასზე მშობიარობის მერე ლოგინად ჩავარ-
დნილა. რაღაცა დაზიანებია მუცელში. იქაურ ექიმს ვიღაც სპეციალისტი მო-
უწვევია და ქალის კლინიკაში დაწვეწვა გადაუწყვეტიათ, მაგრამ თჯახს საამინო
სახსრები არ პქონია. საცოდავი, დაზღვეულიც კი არ ყოფილა. აბა დედას
ბავშვის მოსავლელად რაღა ძალ-ღონე შესწევდა! ასე, რომ მშობელი დედის-
თვისაც კი ზედმეტ ტვირთად ქცეულა, საკუთარ და-ბმაზე რომ აღარა ვთქვათ
რა. მამამისი თურმე ამბობდა: სულ მაგის ბრალიათ, დედა რომ...

— პო, საბრალომ ვერა და ვერ ირწმუნა, რომ ისიც შეიძლებოდა ყვარე-
ბოდა ვინმეს. ეჰ, ვინ იცის, იქნებ სწორედ აქ უნდა ებითს კაცმა მისი უბედუ-
რების სათავე, — თქვა ჰუგომ.

პეტერ ბიქსელი



დედამიწა მრგვალია

გერმანულიდან თარგმნა რეზო პარაღაშვილმა

ერთ კაცს, რომელსაც საქმე აღარაფერი ჰქონდა, აღარც ცოლი ჰყავდა, აღარც შვილები და სამუშაო'სედაც აღარ დადიოდა, დრო მხოლოდ იმაზე ფიქრსა და მსჯელობაში გაჰყავდა, რაც აღრე გაეგონა და იცოდა.

ის აღარ ყოფნიდა, რომ სახელი ერქვა; ახლა ზუსტად უნდოდა გაეგო, რატომ და რისთვის დაარქვეს ეს სახელი. მთელი დღეები დაფლეთილ წიგნებს ფურცლავდა, სანამ არ მიაგნო იქ თავის სახელს.

მერე ადგა და ჩამოწერა, რაც იცოდა. ცოდნით კი იცოდა ყველაფერი ის, რაც ჩვენც ვიცით.

იცოდა, რომ კაცმა დილით კბილები უნდა გაიხეხოს.

იცოდა, რომ ხარი წითელი ფერის დანახვაზე ბრაზდება და რომ ესპანეთში ტორეადორები ცხოვრობენ.

იცოდა, რომ მთვარე დედამიწის ირგვლივ ტრიალებს და რომ მთვარეს სახე კი არა აქვს — რასაც ჩვენ ვხედავთ, ცხვირი და თვალები კი არ არის, არამედ მთებია და კრატერები.

იცოდა, რომ არსებობს ჩასაბერი, სიმებიანი და დასაბრტყელი ინსტრუმენტები. იცოდა, რომ წერილს მარკა უნდა დააკრას კაცმა, მანქანა ქუჩის მარჯვენა მხარეს უნდა ატაროს, თვითონ კი ტრატუარზე იაროს, იცოდა, რომ ცხოველების წვალება არ შეიძლება.

იცოდა, რომ მისალმებისას ხელი უნდა გაუწოდოს კაცს და ქუდი მოიხადოს.

იცოდა, რომ მისი ქუდი ქუჩისა იყო, ქეჩა კი აქლემის ბეწვისა, რომ არსებობს ერთკუშიანი და ორკუშიანი აქლემები, ერთკუშიანს დრომედარი ჰქვია, რომ აქლემები საპარაში, საპარის უდაბნოში ცხოვრობენ.

ეს ყველაფერი იცოდა.

ზოგი წაკითხული ჰქონდა, ზოგი — გაგონილი, ზოგიც კინოში ენახა. იცოდა, საპარაში ქვიშაა. მართალია, იქ არასოდეს ყოფილა, მაგრამ წიგნებიდან იცოდა. ისიც იცოდა, რომ კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, რადგანაც სჯეროდა, დედამიწა მრგვალია.

დედამიწა რომ მრგვალია, ესეც კარგად იცოდა.

მას აქეთ, რაც ადამიანმა რაღაც იცის, იცის ისიც, რომ დედამიწა ბურთივით მრგვალია, და კაცმა რომ სულ პირდაპირ იაროს, ისევე მობრუნდება იმავე ადგილას, საიდანაც წამოვიდა. მაგრამ ადამიანი ამ სამრგვალეს ვერ ხედავს. ამიტომაც დიდხანს არც იჯერებდა დედამიწის სამრგვალეს. მიწას

რომ შეხედავ, ყოველთვის სწორია, ან კუზივით ამობურცული, ზედ ხეები იზრდება, სახლები დგას, მომრგვალებით კი არსადაც არ მრგვალდება.

დილა-საღამოს გეჩვენება, თითქოს მზე 'ხლვიდან ამოდის და მერე/ისევ ზღვაშივე იძირება.

მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ სინამდვილეში მზე თავისი გზით იმდგას, ხოლო დედამიწა — მრგვალი დედამიწა — თავის თავს გარშემო უვლის დღეში ერთხელ.

ეს ხომ ყველამ ვიცით და ამ კაცმაც იცოდა.

იცოდა, რომ თუ კაცი სულ პირდაპირ ივლის, დღეების, კვირების, თვეებისა და წლების შემდეგ იმავე ადგილს დაუბრუნდება; თავისი მაგიდიდან რომ ამდგარიყო და წასულიყო, დიდი ხნის შემდეგ ისევ თავის მაგიდასთან მოვიდოდა მეორე მხრიდან.

ასეა და ეს ჩვენც ვიცით.

ვიცი, სულ პირდაპირ რომ ვიარო, ისევ ამ მაგიდასთან მოვბრუნდებიო, ამბობდა ის კაცი.

კი ვიცი, მაგრამ არ მჯერა და ამიტომ თვითონ უნდა შევამოწმოო, თქვა. ავდგები და ახლავე წავალო, წამოიძახა კაცმა, რომელსაც საქმე აღარაფერი ჰქონდა, და ვისაც საქმე არაფერი აქვს, ხომ შეუძლია მაშინვე პირდაპირ გზას გაუდგეს!

ცნობილია, რომ ყველაზე მარტივი საქმეც ხშირად ძალიან რთულდება. ალბათ ამ კაცმაც იცოდა ეს ამბავი, მაგრამ არ იმჩნევდა; ამიტომაც გლობუსი იყიდა, მასზე ხაზი შემოავლო ირგვლივ, აქედან აქამდე.

მერე მაგიდიდან წამოდგა, სახლიდან გავიდა, იქით გაიხედა, საითკენაც უნდა და წასვლა და იქ კი მეორე სახლი დაინახა.

გზა ზედ ამ სახლზე გადიოდა, შემოვლას კი ვერ ბედავდა, რომ გეზი არ დაეკარგა. ამიტომაც ჯერ ვერ გაუდგა გზას.

ისევ თავის მაგიდას მიუჯდა და აიღო ქალაღი და დაწერა: „მჭირდება ერთი დიდი კიბე“. მერე გაახსენდა, რომ სახლის უკან ტყე იწყებოდა და ერთი ორი ხე სწორედ მის შერჩეულ გზაზე გადაელობებოდა. ამიტომ ხეზე უნდა ამჭვრალიყო და მერე წასულიყო. თავის ქალაღზე კიდევ დაწერა „მჭირდება თოკი და ბოძზე ასაძრომი კაუჭები“.

ამდენ ამბავში კაცმა შეიძლება რამე იტყინას.

„ჯიბის აფთიაქი მჭირდება“. დაწერა კაცმა. „მჭირდება ქოლგა, სამთო ფეხსაცმელი, მსუბუქი ფეხსაცმელი, ჩექმა, ზამთრისა და ზაფხულის ტანსაცმელი. კიდევ მჭირდება ერთი მანქანა კიბის, თოკისა და ასაძრომი კაუჭების, ჯიბის აფთიაქის, სამთო ფეხსაცმლის, მსუბუქი ფეხსაცმლის, ზამთრისა და ზაფხულის ტანსაცმლის გადასაზიდად“.

ასლა, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი გათვალისწინებული ჰქონდა, მაგრამ ტყის გაღმა მდინარე რომ ჩამოდიოდა, მართალია, ხიდიც იყო ზედ გაღებულს, მაგრამ ეს ხიდი კაცის გზაზე არ იყო.

„ერთი გემი მჭირდება“, მიაწერა ქალაღზე, „და ერთი მანქანაც გემის გადასაყვანად, მეორე გემი კი — ორივე მანქანისათვის და მესამე მანქანაც მეორე გემისათვის“.

რაკი თვითონ კაცს მხოლოდ ერთი მანქანის მართვა შეეძლო, ორი კაცი კიდევ ჭირდებოდა, ვინც იმ ორ მანქანას ჩაიბარებდა, და ამით კი თანსაცმელი და ტანსაცმელი ჭირდებოდათ, კიდევ ერთი მანქანაც იყო საჭირო მათი ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წამოსაღებად და ერთი კაციც კი მანქანის მძღოლად. ეს მანქანები ჯერ სახლს უნდა გადაატარონ, ამისათვის ერთი ამწეა საჭირო და იმის მოსავლელად კი ერთი კაცი; ერთი გემიც ამწესათვის და ერთი მანქანაც ამ გემისათვის და კაციც — ამწეს გადატანი გემის წამლები მანქანის მძღოლი, და ამასაც ხომ ჭირდებოდა მანქანა თავისი ტანსაცმლისათვის და ერთი კაციც, რომელიც ამ მანქანას ჩაიბარებდა.

„ესეც ასე, — თქვა კაცმა. — ახლა შეიძლება გზას გაეუდგე“, — და ძალიან გაიხარა, რადგანაც ახლა რაკი ამწე ჰქონდა, არც კიბე, არც თოკი და არც კაუჭები აღარ სჭირდებოდა.

ამის გამო, ბევრი არაფერი დასჭირდებოდა: მხოლოდ პატარა ასეთიკი, ქოლგა, სამთო ფეხსაცმელი, მსუბუჭი ფეხსაცმელი, ჩექმა და ტანსაცმელი, ერთი მანქანა, ერთი გემი, ერთი საგემო მანქანა და სამანქანო გემი და ერთი სამანქანო გემის მანქანა. ორი კაცი და ერთი მანქანაც ამ კაცის ტანსაცმლისათვის, ერთიც ამ მანქანის მძღოლი, ერთი ამწე და ამწის მძღოლი, ამწის გემი, ამ გემის მანქანა და ერთი კაციც, რომელიც ამწის გემის მანქანას ჩაიბარებს. ერთი მანქანაც მისი ტანსაცმლისათვის და ერთიც ამ მანქანის მძღოლი, რომელიც თავის ტანსაცმელსაც ამ მანქანაში ჩაალაგებს და ამწის მძღოლის ტანსაცმელსაც; რაც შეიძლება ცოტა მანქანა უნდა ვიკმართოთ, ასე ფიქრობდა კაცი.

ახლა მხოლოდ ერთი ამწეა ჭირდებოდა, რომლითაც პირველ ამწეს სახლებზე გადაატარებს, ე. ი. ეს უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, თან — ამ ამწის მძღოლა და ამწის გემი, ამწის გემის მანქანა, ამწის გემის მანქანის მძღოლი, ამწის გემის მანქანის მძღოლის ტანსაცმლის მანქანა და ამწის გემის მანქანის მძღოლის ტანსაცმლის მანქანის მძღოლი, რომელიც თავის ტანსაცმელსა და ამწის მძღოლის ტანსაცმელს ამ მანქანაში ჩაალაგებდა, რომ ზედმეტი მანქანა აღარ დასჭირვებოდათ.

ამრიგად, საჭირო იყო მხოლოდ ორი ამწე, რვა მანქანა, ერთი გემი და ცხრა კაცი, პირველ გემზე მოთავსდებოდა პატარა ამწე, მეორეზე — დიდი ამწე, მესამე გემი გადაიტანს პირველ და მეორე მანქანას, მეოთხე კი — მესამე და მეოთხე მანქანას, ე. ი. კიდევ ერთი გემი იყო საჭირო მეხუთე და მეექვსე მანქანისათვის და კიდევ ერთი გემიც მეშვიდე და მერვე მანქანისათვის.

კიდევ ორი მანქანა ამ ორი გემისათვის.

კიდევ ერთი გემი ამ მანქანებისათვის,

კიდევ ერთი მანქანა ამ გემისათვის.

კიდევ ერთი მძღოლი.

ერთი მანქანა ამ მძღოლების ტანსაცმლისათვის და კიდევ ერთი მძღოლი ტანსაცმლის მანქანისათვის. ეს ტანსაცმლის მანქანა კი შეიძლება იმ გემზე მოთავსდეს, რომელზედაც პირველი მანქანა დგას.

მეორე დიდი ამწესათვის რომ მესამე კიდევ უფრო დიდი ამწე დასჭირ-

დებოდა, მესამესათვის კი — მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, — ამაზე სულაც არ ფიქრობდა.

იმაზე კი ფიქრობდა, მდინარის მერე რომ მთებია და ამ მთებზე მანქანების გადატარება ვერ მოხერხდება, გემებისა კი ხომ არა და არა.

გემების გადატანა კი აუცილებელი იყო, რადგან მთების მერე ტბას მადგებოდნენ, ამიტომაც მუშები ჭირდებოდა გემების გადასატრევის და კიდევ გემები ტბაზე ამ ხალხის გადასაყვანად, კიდევ მუშები ამ გემების გადასატანად და მანქანები ამ მუშების ტანსაცმლისათვის და გემები მუშების ტანსაცმლის მანქანისათვის.

ახლა კი მეორე ფურცელი დასჭირდა.

მასზე რიცხვები დაწერა.

პატარა ჯიბის აფთიაქი ღირდა I ფრანკი და 20 რაპი, ქოლგა — 52 ფრანკი, სამთო ფეხსაცმელი — 74 ფრანკი; მსუბუქი ფეხსაცმელი — 43 ფრანკი, ჩექმაც რაღაც ღირდა და ტანსაცმელიც.

ერთი მანქანა ყველაფერ ამაზე უფრო ძვირი იყო, გემი კი ბევრად უფრო ძვირი, ამწე სახლზე უფრო ძვირი იყო, ამწის გემი კი კარგა დიდი გემი უნდა ყოფილიყო, დიდი გემი კი პატარაზე უფრო ძვირია, საგემო მანქანა კი უშველებელი მანქანა უნდა იყოს და უშველებელი მანქანა კი ძვირზე ძვირია. მუშაობაში კაცებს ფული უნდა მისცეს, ეს კაცებიც საძებნია და მათი პოვნა კი — ძნელი.

ამან ყველაფერმა ძალიან დააღონა კაცი, რადგანაც ამასობაში 80 წლის გახდა და უნდა ეჩქარა, ისე არ მომკვდარიყო უკან მობრუნება ვერ მოესწრო.

ამიტომ ადგა და ერთი დიდი კიბე იყიდა, შემოიღო მხარზე და ნელ-ნელა გაუდგა გზას. მივიდა მეორე სახლთან, მიადგა კიბე, შეამოწმა მაგრად იდგათუ არა და შემდეგ დინჯად ავიდა კიბეზე. მხოლოდ ახლა მივხვდი რომ არ ხუმრობდა და შეეძახე: „შეჩერდი, დაბრუნდი უკან, უაზროა ეგ ყველაფერი“.

მაგრამ ჩემი ხმა აღარ ესმოდა, სახურავზე ასულიყო უკვე, ასწია კიბე. ზანტად წაათრია და მეორე მხრიდან ქვემოთ ჩაუშვა, ერთხელაც არ მოუხედავს უკან, სახურავზე ისე გადაძვრა და გაქრა.

მას მერე აღარასოდეს მინახავს. ეს ამბავი მოხდა ათი წლის წინათ და მაშინაც ხომ უკვე ოთხმოცის იყო. ახლა, ალბათ, ოთხმოცდაათისაა. იქნებ დამევიდდა და მოგზაურობას თავი დაანება. იქნებ მოკვდა.

წამდაუწუმ მივდივარ მის სახლთან და დასავლეთისაკენ ვიყურები. მართლაც ძალიან გამეხარდება, ერთ დღეს ტყიდან გამოსული რომ დავინახო დაღლილი და ნელა მომავალი, მოცინარი მომიახლოვდება და მეტყვის: „ახლა კი მჯერა, დედამიწა მართლაც ნოგვალი ყოფილა“.

ფრიდრიხ ღიურენმატი

ჩემი უახლესი ნაწარმი



გერმანულიდან თარგმნა ლეონ ბრეზაკმა

მე ვლაპარაკობ გერმანული ენის ბერნულ დიალექტზე, წერით კი გერმანულად ვწერ. მე ვერ შევიძლებდი გერმანიაში მეცხოვრა, რადგან იქ ხალხი იმ ენაზე ლაპარაკობს, რომელზეც ვწერ, და არ ვცხოვრობ გერმანულ შვეიცარიაში, სადაც ხალხი იმ ენაზე ლაპარაკობს, რომელზეც მე ვწერ. მე ვცხოვრობ ფრანგულ შვეიცარიაში, სადაც ადამიანები არც იმ ენაზე ლაპარაკობენ, რომელზეც ვწერ, და არც იმაზე, რომელზეც ვლაპარაკობ.

ეს დებულებები არცთუ მთლად ჭეშმარიტია. გერმანიაში სულაც არ ლაპარაკობენ იდეალურ გერმანულს, გერმანულ შვეიცარიაში მხოლოდ ემენტალში ლაპარაკობენ ისე, როგორც მე, ხოლო ფრანგულ შვეიცარიაში ბევრი შვეიცარიელი გერმანელია, რომლებიც ისე ლაპარაკობენ ფრანგულს, როგორც მე, როცა ფრანგულად მიხდება ლაპარაკი.

ჩემს ცოლ-შვილთან მე მხოლოდ ბერნულ გერმანულზე ვსაუბრობ, ხოლო როცა ჩემს შვეიცარიელ მეგობრებთან ვსივარ, მაგალითად, ფრიშთან ან ბიქსელთან¹, მე ბერნულ გერმანულს ვლაპარაკობ, ბიქსელი — ზოლოტურნულს (თითქმის ბერნულ გერმანულს) და ფრიში — ციურიხულ გერმანულს. ადრე, როდესაც ფრიში ჩემს ბავშვებს გამოელაპარაკებოდა ხოლმე, ისინი გერმანულად პასუხობდნენ. რადგან ეგონათ, ციურიხული გერმანული ნამდვილი გერმანულიაო. ეს ისეთი რამაა, რასაც ვერც გერმანელი გაიგებს და ვერც დასავლეთშვეიცარიელი. თუ გერმანელი შემოგვიერთდა, ყველანი გერმანულად ვლაპარაკობთ, რადგან ძალაუნებურად ვვარაუდობთ, გერმანულს შვეიცარიული გერმანული არ უნდა ესმოდეს-თქო, თუმცა კი ბევრ გერმანულს ესმის იგი, თუ მაინცდამაინც ჩრდილოგერმანელი არ შეგხვდათ.

სეპარატისტები ერთ გლესს, რომელსაც მათ სახლ-კარი გადაუწვეს, ფედერალურ სასამართლოში დასცინოდნენ თავიანთი ძალადი კულტურის დასტურად: იგი, როგორც ბერნელი, ცუდ ფრანგულს ლაპარაკობდა. ისინი მეც საცინოდ ამიგდებდნენ, რადგან ცუდ ფრანგულს ვლაპარაკობ. იმდენ ყურადღებას ვუთმობ ჩემს ენას, რომ ჩემი ფრანგულის დასახეევად დრო აღარ მრჩება. რაკ დასავლეთ-შვეიცარიელთა უმეტესობას, რომელთაც მე ვიცნობ, ძლივს ესმით გერმანული, ხოლო ბერნული კილოსი სრულიად არაფერი გაეგებათ, იმულებული ვარ მათთან ჩემი ცუდი ფრანგულით ვისაუბრო. რაც უფრო ხანში შევდივარ, მით უფრო ნაკლებ მსიამოვნებს ეს. ისე ხდება, რომ სულ უფრო და უფრო იშვიათად ვხვდები ჩემს ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე მეგობრებს.

¹ მაქს ფრიში, პეტერ ბიქსელი — თანამედროვე შვეიცარიელი მწერლები.

ყოველი კულტურა უფრო ცრურწმენებზეა დაფუძნებული, ვიდრე ჭეშმარიტებებზე. დასავლეთშვეიცარიული კულტურაც როდია გამონაკლისი ერთი იქაური ცრურწმენათაგანი ისაა, რომ ჰგონიათ, თითქოს შვეიცარიელი გერმანელი პრიმიტიულ ენაზე მეტყველებს. ამ ცრურწმენას ემყარება დასავლეთშვეიცარიული შეხედულება, ვითომ თვითონ კულტურით უფრო მსგავსი იყოს მან. მე პირადად დიდად ვაფასებ დასავლეთშვეიცარიელს, მაგრამ იმ დებულებას, თითქოს დღემონი კულტურით ბურგლორფზე აღმატებული იყოს, ვერ გავიზიარებ. გლეხებს ევროპაში ყველგან მსგავსი კულტურა აქვთ, ასევე მასწავლებლებს; პოლიტიკური აგიტატორებისთვის არსებითია მათი „იდეა ფიქსებული“, ისინი ერთმანეთს გვანან; ხოლო კიდევ რა კულტურისა და განათლების პატრონნი არიან, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

მაგრამ დასავლეთშვეიცარიული ცრურწმენის საფუძველი გასაგებია. ფრანგული ენა, ფრანგული კულტურის ეს უდიდესი მონაპოვარი, ასე რომ გვაძლავს აზრის ნათლად გამოხატვის უნარით, არსებითად ჩაეტილი ენაა და რაკი ფრანგული ენა ზოგადერსივხული ნაყოფია, ყველა ცდილობს ამ საყოველთაო მნიშვნელობის მქონე ქმნილებას ეზიაროს და თავისი ინდივიდუალური და პროვინციული ენობრივი თავისებურებები ჩაკლას.

გერმანულში ეს სხვაგვარადაა. აქ კილოკავები უფრო სიცოცხლისუნარიანია აღმოჩნდნენ და უფრო ცხოვლად განავრძობენ ზემოქმედებას ენობრივ ქვეცნობიერებაზე. გერმანული, რომელზეც ლაპარაკობენ, და გერმანული, რომელზეც წერენ, უფრო ძლიერ გახსხვავდება ერთმანეთისაგან ფრანგულთან შედარებით. არ არსებობს ერთი აკადემია, არ არსებობს ერთი კულტურული ცენტრი, არ არსებობს პროვინციები; თუ კულტურული ცენტრი არ არსებობს, პროვინციებზე ლაპარაკი უაზრობაა. გერმანული უფრო ინდივიდუალური ენაა, ვიდრე ფრანგული. გერმანული ღია ენაა.

შვეიცარიული გერმანულის მიმართება გერმანულთან ბევრი რამით წააგავს პოლანდიურის მიმართებას გერმანულთან. მხოლოდ ეგ არის, რომ პოლანდიური სამწერლო ენად აქცია, შვეიცარიული გერმანული კი — ვერა. ახლა რაც შეეხება მწერლებს: შვეიცარიელ გერმანელ მწერალს იმ კაცის გასაჭირი ადგას, რომელიც ისე როდი მეტყველებს, როგორც წერს. დედაენის გვერდით თითქოს „მამაენაც“ არსებობს. შვეიცარიული გერმანული, როგორც მისი დედაენა, მისი გრძნობებს ენაა, გერმანული კი, როგორც მისი „მამაენა“, მისი გონების, ნებისყოფის, მისი თავგადასავლების ენაა. იგი უპირისპირდება იმ ენას, რომლის ყოველივე წერს. მაგრამ იგი უპირისპირდება ისეთ ენას, რომლის ფორმირებაზეც დიალექტები უფრო მეტ გავლენას ახდენენ ფრანგულთან შედარებით. ფრანგული უნდა შეითვისოს, გერმანული შეიძლება შექმნა.

ცხადია, ეს გაზვიადებულად არის ნათქვამი. ფრანგულშიც რჩება ადგილი ინდივიდუალური შესაძლებლობებისათვის. რასაც ვგულისხმობ, რამიუსა და გოტჰელფის¹ მაგალითზე შეიძლება განვიხარტოს: რამიუს ფრანგული მე წარმომიდგება როგორც ფრანგული ენის წმინდად ნაქსოვი ბადე, რომლითაც იგი ვაადტლანდის² თავისებურების დაჭერას ახერხებს, გოტჰელფის ენაში გერმანული და ბერძნული გერმანულია შერწყმული. გოტჰელფის ბაროკო ენა ისევე

¹ შარლ ფრედრიხ რამიუს (1878—1947), იერემიას გოტჰელფი (1797—1854) — შვეიცარიელი მწერლები.

² ვაადტლანდი — კანტონი შვეიცარიაში.

განდა, როგორც ბიბლიის ლუთერისეული თარგმანი: გოტჰელფმა იპოვა თავისი გერმანული, რამიუს ჰქონდა თავისი ფრანგული.

მეც მუდამ და მარად ჩემი გერმანულის პოვნა მიხდება.

მე კვლავ და კვლავ იძულებული ვარ მივატოვო ის ენა, რომელზეც ვლაპარაკობ, რათა მოვიპოვო ის ენა, რომელზეც ვლაპარაკობ არ შემეძლოს და ვინაა გერმანულს ბერნული კილოკავით ვლაპარაკობ, ისევე, როგორც ვენის მკვიდრი ვენური კილოკავით მეტყველებს ან მიუნხენელი — ბავარიულით. მე ნელა ვლაპარაკობ. სოფლად გავიზარდე და გლეხებიც ნელა ვლაპარაკობენ. ჩემი კილოკავი ხელს არ მიშლის. ამ დღეში მართლაც მე როდი ვარ. მსახიობებმა სიცილით მიატოვეს დარბაზი, როცა მათ შილერი წავუკითხე: ისინი მისმა შვაბურმა კილოკავმა დააფრთხო.

არიან უკვიცარიელები, რომლებიც ცდილობენ წმინდა გერმანულით ილაპარაკონ. მათ სიამოვნებით მეტისმეტად ლამაზი გერმანულით საუბარი. როცა ვლაპარაკობენ, თითქოს ტკბებიან, რა მშვენიერად ვლაპარაკობთო.

ზოგი დასავლეთუკვიცარიელიც მეტისმეტად ლამაზ ფრანგულზე მეტყველებს.

ვინც მეტისმეტად ლამაზად მეტყველებს, იგი ჩემს თვალში პროვინციელი ჩანს.

ენა, რომელზეც ვლაპარაკობენ, ბუნებრივია.

ენა, რომელზეც წერენ, ბუნებრივი ჩანს.

სწორედ ამ „ჩანს“ სიტყვაშია ჩამალული ის, რასაც მწერლის შრომა ჰქვია.

არიან კრიტიკოსები, რომლებიც მსაყვედურობენ, შენს გერმანულში ბერნული კილო იგრძნობათ. იმედი მაქვს, მართლა იგრძნობა. მე ვწერ იმ გერმანულით, რომელიც ბერნული გერმანულის ნიადაგზეა აღმოცენებული. ბედნიერი ვარ, როცა მსახიობებს სიამოვნებას ანიჭებთ ჩემი გერმანული.

მე კი ბერნული გერმანული მიყვარს, ენა, რომელიც ბევრი რამით სჯობს გერმანულს. ის ჩემი დედაენაა და მეც მიყვარს იგი, რადგან არ შეიძლება დედა არ გიყვარდეს. შვილი დედას სხვა თვალთა უყურებს: ხშირად დედის სილამაზეს მხოლოდ შვილი ამჩნევს.

ფრანგული იციან, გერმანულის ცოდნას ცდილობენ.

მე რომ გერმანული ვიცოდე, ბერნულ გერმანულზე დავწერდი.

თუმცა პირად შეხედულებებს გადმოვცემ, მაგრამ ასე მგონია, თითქოს მაინც მოვახერხე საზოგადო აზრის გამოხატვა: მსოფლიოს რომელი მწერალიცხოვრობს იქ, სადაც იმ ენაზე ვლაპარაკობენ, რომელზეც ის წერს? ენა, რომელზეც ის წერს, მხოლოდ მისი ნაწერებიდან მოისმის.



ცნობები ორი მინიატურის შესახებ

დესტრია და უკვიცარია ორი ისეთი სახელმწიფოა, რომლებიც მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა, სულ უფრო ემსგავსებიან ერთიმეორეს. თუ კარგად დავაკვირდებით, ისინი ერთმანეთს არ გვანან, და მაინც ერთურთს დაემგვანენ თავიანთი მნიშვნელობით. ორივენი

მინიატურულ სურათებს წარმოადგენენ იმ ეპოქაში, რომელიც უზარმაზარი ტილოებით გვაოცებს, ორივეს გასაღიდებელი შუშით უნდა დააკვირდე; მაგრამ დამკვირვებელს სხვადასხვა სიძნელე ელის. ლუბით ავსტრიის გასინჯვა იმიტომაცა ძნელი, რომ იგი უზარმაზარ ოქროს ჩარჩოშია ჩასმული, ისე რომ, ჯერ დიდხანს უნდა ათვალიერო ჩარჩო, რომ, ბოლოს და ბოლოს, მინიატურას მიაგნო. რაც შეეხება შვეიცარიას, აქ, პარიჟით, ჩარჩო კი არაა, არამედ თვით მინიატურა. თუ შეუიარაღებელი თვალით შევხედავთ, იგი იდეალად წარმოგვიდგება (რიუტლის ფიცის ალპების ფონზე), გასაღიდებელი შუშის ქვეშ კი ერთმანეთის საწინააღმდეგო მრავალფეროვან სურათებად იშლება, რომელთა გაერთიანება აღარ ხერხდება. ჭიმიის ენით რომ ვთქვათ, შვეიცარია არის ნაერთი, რომელიც იმის გასო არ დაიშალა, რომ საუკუნეების განმავლობაში დიდი სახელმწიფოებით იყო გარშემორტყმული. იგი წნევის შედეგად წარმოიქმნა, ეს მიზეზი კი დღეს აღარ არსებობს. შვეიცარია აღარ არის ევროპის გული (უფროს ლუქსემბურგია), მას გარს არტყია უკვე არა უძლიერესი სახელმწიფოები, არამედ სამი მოზრდილი, ერთი მომცრო და ორი პაწია ქვეყანა (ავსტრია, ლიხტენშტაინი) და მაინც შვეიცარია კვლავაც არსებობს: იმის ასახსნელად, თუ როგორ ახერხებს იგი არსებობას, სხვადასხვა თეორია გაჩნდა. ერთნი ფიქრობენ, რომ შვეიცარია არსებობას ჩვეულების ძალით განაგრძობს, სხვებისათვის შვეიცარია გერმანულ-ფრანგულ-იტალიურ-რეტორომანულ ხალხთა ნაერთია, რომელიც თუ არ ფეთქდება, მხოლოდ იმიტომ, რომ მეტად პატარაა იმისათვის, რათა აფეთქება შეძლოს, მაშინ როცა ავსტრია-უნგრეთის ძველი მონარქია გერმანულ-უნგრულ-სლავურ ხალხთა იმდენად დიდ ნაერთს წარმოადგენდა, აუცილებლად უნდა აფეთქებულიყო: ავსტრია კი ამ აფეთქების ერთ-ერთი ნაშთიაო. და აქ თავს იჩენს კიდევ ერთი განსხვავება. ავსტრიელს თავისი თავი მიაჩნია ისტორიული კატასტროფის შედეგად, შვეიცარიელს კი — ისტორიული ევოლუციისა. ამ განსხვავებას ახალი მაგავსებისაგან მივყავართ. ორივენი ამაყობენ თავიანთი ურთიერთგანსხვავებული წარსულით. თუ ავსტრიელი ამჟამად პაწია ქოხში ცხოვრობს, სამაგიეროდ იმ სასახლით ამაყობს, რომელიც აუფეთქდა და რომელშიც ერთ დროს ცხოვრობდა, ხოლო შვეიცარიელს, რომელიც ახლა თავის ფეოდალურ სასახლე-სასტუმროში ბინადრობს, საამაყოდ აქვს, რომ ერთ დროს ქოხში ცხოვრობდა. ამ ხალხების ისტორიული ურთიერთდამოკიდებულებაც მეტად ჩახლართულია. ავსტრიელს ჰქონდა ისეთი ისტორიული პერიოდი, როდესაც იგი ავსტრიელი კი არა, პან-გერმანელი იყო, შვეიცარიელს კი ჰქონდა ისეთი წარსული, როდესაც იგი შვეიცარიელი კი არა, ურშვეიცარიელი² იყო. რადგანაც შვეიცარიელი თავის დამარცხებებს არ ცნობს და მხოლოდ თავის გამარჯვებებს ელოდია, რომ-ღებშიც, უკლებლივ ყველა, შორეულ წარსულს ეკუთვნის, და რაკი მის მაშინდელ მტერთაგან მარტო ავსტრიელი ვადარჩა, რამეთუ აღარც ერთი ბურგუნდიელი აღარ არსებობს, შვეიცარიელისათვის ავსტრიელი დაუძინებელი მტერია (მორგარტენი და ზემპახი³). არის კიდევ ერთი განსაკუთრებული გარემო-

¹ რიუტლის ფიცა — 1291 წ. შვეიცარიის კონფედერაციის შექმნისას რიუტლის მთასთან დადებული ლეგენდარული ფიცა.

² ურშვეიცარია — შვეიცარიის თავდაპირველი კახტონება (შვიცი, ური, უნტერვალდენი).

³ მორგარტენი — მთები შვეიცარიაში; ზემპახი — ქალაქი შვეიცარიაში. ამ ადგილებში შვეიცარიამ სასტიკად დაამარცხა ავსტრიელი პაბსბურგები (1315 და 1386 წ.წ.).

ება. ურშვეიცარია ეომებოდა, რა თქმა უნდა, არა ავსტრიას, არამედ პაპსტურ-გებს¹. რომლებიც თავის შტრივ თვით იყვნენ შვეიცარიელები (კაპუცინთა სამარხი, როგორც საზღვარგარეთელი შვეიცარიელების სასაფლაო), ასე რომ, შვეიცარიელის დაუძინებელი მტერი ავსტრიელი კი არა, შვეიცარიული ეკლესია (გესლერიც, რომელიც შვეიცარიის ნაციონალურმა კონგრესმა² დატოვა ტელმა მოკლა, შვეიცარიელი იყო). ამრიგად შვეიცარიელისთვის ავსტრიელი მისივე თრეულია, რომელსაც სხვაგვარი ბედი ხვდა წილად. ავსტრიელი და შვეიცარიელი, როგორც ალბების შკვიდრნი, ერთი კვერცხიდან გამოსული ტყუპები არიან, და ერთი კვერცხიდან გამოსულ ტყუპებს სხვადასხვა გარემოშიც კი ბოლოს და ბოლოს ერთნაირი ბედი ეწევათ ხოლმე: დღეს ორივენი ნეიტრალურნი არიან. ერთი დიდი ხანია უკვე ნეიტრალურია, მეორე კი ახლახან გახდა. ავსტრიას შვეიცარიულ ბიზანტიას შევადარებდი — ჯვაროსნებმა რომ დაანგრეს, ცხადია, იმის შემდეგ — მაშინაც აღმოსავლეთ რომის იმპერიისაგან პატარა სახელმწიფო გადაარჩა. როდესაც მინიატურებს ისევ შეუიარაღებელი თვალთ ვუძიერ, ვხვდები, რომ ლუპით ავსტრიაზე დაკვირვებისას თავიდანვე შეცდომა მომსვლია, ხარჩო მინიატურად ჩამითვლია და მინიატურა ჩარჩოდ: ხარჩო მოჩუქურთმებული ირმის რქის ნაკეთობაა, მინიატურა კი ოქროსგანაა დამზადებული. ავსტრია ჭეშმარიტი მეტროპოლიაა, სწორედ რომ ოქროს მინიატურა, და ისეთი რამით გამოირჩევა, რაც შვეიცარიას არასოდეს პტონია, ხოლო გერმანიას უკვე აღარ აქვს: ავსტრიელები განიყოფებიან ვენელებად და არავენელებად, მაშინ როდესაც შვეიცარიელებზე არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ბერნელებისა და არაბერნელებისაგან შედგებიან, რადგან ისინი ამავე დროს ციურიხელები და არაციურიხელები, სანკტგალელები და არასანკტგალელები, ვაადტლანდელები და არავაადტლანდელები არიან. მაგრამ ეს განსხვავებანი მოკლებულია მყარ საფუძველს: მინიატურებზე დაკვირვებისას სხვა რამეს არც უნდა მოველოდეთ. მაგალითად, ავსტრიელის იუმორი მხოლოდ პირობითად განსხვავდება შვეიცარიელის იუმორისაგან. რაც არ უნდა განსხვავებულნი ჩანდნენ თავდაპირველად, ავსტრიელს თავისი იუმორი დიდ რამედ მიაჩნია, შვეიცარიელს კი დინჯი იუმორი სჩვევია, რომელსაც თვითონვე დასცინის. კიდევ უფრო ბუნდოვანია ჩემი დამოკიდებულება ორივე მინიატურისადმი. მე არც ბურგთეატრში³ ვყოფილვარ ოდესმე, არც შვეიცარიის სახელმწიფო მუზეუმში. ავსტრიაში თავს უცხოდ არა ვგრძნობ, მაგრამ არც იაე ვარ, როგორც საკუთარ სახლში. მე თავს უფრო ავსტრიელად ვგრძნობ, ვიდრე აღმოსავლეთშვეიცარიელად, მაგრამ უფრო ბერნელად, ვიდრე ტიროლელად. თუმცა კი დიდად ვაფასებ ტიროლელთ. ყოველწლიურად ვყიდულობ ფლორას³ ნახატს.



¹ პაპსტურგები — სამეფო დინასტია, რომელიც მართავდა ე. წ. წმინდა რომის იმპერიას (1806 წლამდე), ესპანეთს (1516—1700), ავსტრიის იმპერიას (ევრმალურად 1804 წლიდან) და ავსტრია-უნგრეთს (1867—1918).

² ბურგთეატრი — თეატრი ვენაში.

³ პაულ ფლორა — თანამედროვე ავსტრიელი მხატვარი, გრაფიკოსი, ცხოვრობდა ინსბრუკში — ტიროლის დედაქალაქში.



ვიქტორ კახნიაშვილი

ქართული მწერლობის კულტურულ და ლიტერატურულ კავშირ-ურთიერთობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან და მოწინავე

ერებთან მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. როგორც ცნობილია, პირველი წერილობითი ცნობები საქართველოსა და უბედურა ქართველ ტომთა შესახებ გვხვდება საბერძნეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX საუკუნეში. ბერძენ და რომაელ ავტორებს — ჰომეროსს, ჰესიოდეს, პეროდოტეს, ქსენოფონტეს, სტრაბონს, ციცერონს, პლინიუსს, ტაციტუსს, პლუტარქეს და სხვებს თავიანთ ნაშრომებში აღწერილი აქვთ ქართველ ტომთა ცხოვრება, წინ-ჩვეულებანი, ადათ-წესები, მათ მიერ გადატანილი ომები. ამ ნაშრომებს მცენიერული მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ.

ქართველი ხალხის პოპულარიზაციას დიდად შეუწყო ხელი თქმულებებმა ოქროს საუკუნის მოაპოვებლად არგონავტების ლაშქრობაზე კოლხეთში, აგრეთვე ევროპიდეს ტრაგედიის („მედეა“) მთავარმა გმირმა კოლხმა ქალმა, რომელიც მტკიცე და უდრეკი ხასიათის ადამიანად არის წარმოდგენილი. აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკა“ მითოლოგიურ-ფანტასტიკურ ფერებში გადმოგვცემს მაშინდელი საქართველოს, კერძოდ, კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა საქმიანობას, მათ მაღალ კულტურას. მომდევნო საუკუნეებში, თვით ჩვენს დრომდე, არაერთი მწერალი ვალტაცინა იაზონისა და მედეას ტრაგიკული სიყვარულის ამბავს, ამ საკითხთან დაკავშირებულ მითსა და სინამდვილეს, რაზედაც ქვემოთ გვეხსენება საუბარი.

საქართველო ფუფუნებს, სიმდიდრის, ოქროს, განძის სინონიმად ითვლებოდა. ამიტომ უცხოელი დამპყრობლები შერით შეპყრებდნენ მას. როგორც ვთქვით, დასავლეთეუროპელი მკითხველი პირველად ბერძნული თქმულებებით, ბერძენ, რომაელ და არაბ ავტორთა ნაწარმოებებით გაეცნო საქართველოს და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა საქმიანობას. ჯვაროსნული ომების შემდეგ მოხლოვებთან და თურქ-სელჯუკებთან ბრძოლაში მონაწილე ქართველებზე, მათ გმირულ საქმეებზე ბევრი საინტერესო ცნობა ჩაიტანეს ევროპაში სხვადასხვა ქვეყნის ელჩებმა, მისიონერებმა, ვაჭრებმა და მოგზაურებმა.

არსებული მასალებს მიხედვით, კავკასიის გეოგრაფიული გარემოს ტერიტორიალურ ცოდნაზე მიგვიტოვებს ანგლოსაქსური საგმირო ეპოსი „ბეოვეულფი“, რომელშიც VII საუკუნის ამბებიცაა ასახული. მართალია, იგი ძველინგლისურ ლიტერატურას მიეკუთვნება, მაგრამ მასში მთლიანად არის შემონახული და ასახული ძველგერმანული საგმირო ეპოსი („ältestes vollständig erhaltenes altgermanisches Heldenepos“. იხ. „მაიერს კლასიკის ლექსიკონ“, ტ. I, ლაიფციგი, 1968, გვ. 257).

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს აქსელ ოლრიკის გამოთქმული მოსაზრება (რომელიც ქართველმა მეცნიერმა ალექსანდრე ნიკურაძემაც გაიზიარა), რომ „ბეოვეულფში“ ნახსენები სიტყვა „ანტიკაი“ (იგივე „ადილე“) „ანტიკურს“ უნდა ნიშნავდეს, რაც თავის მხრივ იარაღის მიმართ „კავკასიურს“ გულისხმობს, რადგანაც იმ დროს ჩრდილოეთ ევროპაში სწორედ კავკასიური იარაღი იყო გავრცელებული. საგულსხმოა, რომ გერმანიაში გადასულმა და იქ დასახლებულმა ვუთებმა კავკასიაზე ბევრი რამ იცოდნენ, რაც შემდეგში ანგლოსაქსურ საგმირო ეპოსში — „ბეოვეულფში“ იხსახა.

უკვე XII საუკუნის შუა წლებიდან ევროპულ ლეგენდებსა, ქრონიკებსა და რომანებში ვხვდებით იოანე მეფე-ხუცესის (იოანეს პრესბიტერი, რომელიც სპეციალისტების აზრით იგივე დავით აღმაშენებელია) სახელს, რომლის ძლევა მოსილება და საგმირო საქმეები ღირსეულადაა შექმნილი.

XII საუკუნის ისლანდიურ საგანში („ინგვარ-საგა“) გამოყვანილი ქრისტიანი აღმოსავლელი დედოფალი, შვედა ისტორიკოსის კარლ გრიმბერგის ვარაუდით, თამარ მეფე უნდა იყოს.

კავკასიით დაინტერესებაზე მიგვიბრუნებენ აგრეთვე აღრეული შუა საუკუნეების უძლიერესი გერმანელი მწერლის გოლფრამ ფონ ეშენბახის სარაინდო რომანები „პარციფალი“ და „ვილჰელმ-პალმი“, ვინტ ფონ გრაფენბერგის „ვიგალისი“, ალბრეხტის „უმცროსი ტიტურელი“ და გერმანული საგმირო ეპოსის ცნობილი ძეგლები „ორტნიტი“ და „რაინფრიდ-პრინც-ვალდემარ“.

გერმანულ მწერალთა და მეცნიერთაგან კავკასიას, საქართველოსა და ქართველებს მხოლოდ სენიებენ—გვიანდელი შუა საუკუნეების ცნობილი პოეტი ოსვალდ ფონ ვოლკენშტაინი, იმავე ეპოქის მწერალი და მოგზაური იოჰან შილტბერგერი, გამოჩენილი პროზაიკოსი ჰანს იაკობ გრიმელსპაუზენი, ხელოვნების ისტორიკოსი და არქეოლოგი იოჰან ვინკელმანი, ლესინგი, გოეთე, კანტი, ჰეგელი, ჰერდერი, ვილანდი, ჰანს ფალადა, შტეფან ცვაიგი, ფრანც კაფკა, როლფ პონჰუტი, ბერნჰარდ კელერმანი, ლიზელოტე ველსკოპფ-პენრიხი და მრავალი სხვა.

დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიაში იშვიათია მოიძებნოს მეორე მხატვრული სახე, რომელიც მედიას სახის მსგავსად გავრცელებულიყოს და სახეცვლილება განეცადოს. ევროპიდეს ტრადიციის დაწერის შემდეგ მითი არგონავტებზე მთარულ თემად იქცა მსოფლიო ლიტერატურაში.

მედიას სიუჟეტი გერმანიაში პირველად დაამუშავა XIII საუკუნის მწერალი ჰერბორტ ფონ ფრიტცლარმა პიესაში — „ტროას სიმღერა“

დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში მედიას მხატვრული სახის შემქმნელთაგან უნდა დავასახელოთ „შტურმ უნდ დრანგის“ პერიოდის (XVIII ს.) გერმანელი მწერალი ფრიდრიხ მაქსიმილიან კლინგერი („მედეა კორინთში“ და „მედეა კავკასიაში“), XIX საუკუნის გამოჩენილი ავსტრიელი პოეტი და დრამატურგი ფრანც გრებარცერი (ვიცსა „ოქროს საწმისი“, შედგება სამი ნაწილიაგან: „სტუმარი“, „არგონავტები“ და „მედეა“, 1818—1821), XIX საუკუნის ავსტრიელი მწერალი ფრანც დინგლშტედტი („ახალი არგონავტები“, 1939), XX საუკუნის პროზაიკოსი და დრამატურგი ჰანს პენი იანი („მედეა“, 1925), ელიზაბეტ ლანგესერი („ბრანდენბურგელ არგონავტთა მოგზაურობა“, 1950), მარტი ლუიზე კაშნაცი (რადიოპიესა „იაზონის უკანაკენელი დანე“, 1952), მათეას ბრაუნე („მედეა“, 1958) და სხვანი.

როგორც ცნობილია, 1624 წელს შირაზში წამებით მოკლეს ქართველი დედოფალი ქეთევანი, რომლის გმირობამ, გამბედაობამ, სამშობლოსათვის თავგანწირვამ და სულის სიმტკიცემ ვერაგი შაჰი ბარბაროსობამდე მიიყვანა. იტალიელმა მისიონერმა პიეტრო დელა ვალემ საქვეყნოდ ამხილა შაჰის არაადამიანური საქციელი. ამ ამბავმა ქრისტიანულ სამყაროში დიდი მოთქმა-მოთქმა გამოიწვია. 1633 წელს იხვლისში (ოქსფორდში) დაიბეჭდა წიგნი, სადაც ხაზგასმულად აღინიშნა — ქეთევანი მხოლოდ მაჰმადიანობის მიუღებლობისთვის ეწამაო. სწორედ ქართველი ქალის სიმტკიცემ და ქედუხრელობამ შთააგონა დრამატურგი ანდრეას გრიფიუსი (1616—1664) დაეწერა ტრადედია „ეკატერინე ქართველი“.

XVII საუკუნის მწერალი და მეცნიერი ებერჰარდ ვერნერ ჰაპელი (1647—1690) 43 წლია გარდაიცვალა, მაგრამ 32 მოზრდილი ტომის დაწერა მოასწრო, რომელთაგან თორმეტი რომანია, ცხრა ისტორიული ან გეოგრაფიული ნაშრონი. ჰაპელს საქართველო არ ენახა, მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე არ განუღებია მისდამი ინტერესი. განსწავლულობითა და წარმოსახვის ძალით იგი პირათადად სწორად ასახავს ქართულ სინამდვილეს. მისი გმირები გამოირჩევიან სამშობლოს განსაკუთრებული, ნძაფრი სიყვარულით, სტუმართმოყვარეობით, ბარმტკიცობით, მონეტებული სიფიციტით და ა. შ. რაც უნგრელი ქართველოლოგის ლაიოშ ტარდის დაკვირვებითაც უნდა სინამდვილეს შეესატყვისებოდეს.

რომანში „ევროპულს თორთანი“ ჰაპელი აღწერს ქართულ სამეფო-სამთავროთა ურთიერთობას სიმონისა და ალექსანდრეს მეფობის დროს, გრცლად მოგვითხრობს მათ ბრძოლებზე მაჰმადიანურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, აქვია გაღმაცემული ქეთევან დედოფლის წამების ამბავი, რომელიც პირველად ანდრეას გრიფიუსის შემოქმედებაში აისახა.

რომან „გერმანელ კარლში“ მოქმედების ერთ-ერთი ადგილი საქართველოა, ხოლო მთავარი გმირი — ქართველი თავადის ქალი დარეჯანი (რომანში — დარეგამი). ქართველები მონხენებიან აგრეთვე რომანში „ოტონანურა ბაიაზეთი“. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰაპელის გრცელ, ხუთტომიან თხზულებას საქართველოზე — „უნგრეთის ომის რომანი“. შეიძლება ითქვას, რომ ჰაპელმა გერმანულ მკითხველს გაუღვიძა ინტერესი საქართველოსა და ქართველებისადმი, რაც შემდგომშიც არ განუღებულა.

გერმანული პოეზიის დიდმა წარმომადგენელმა ფრიდრიხ ჰოლდერლინმა (1770—1843)

საქართველოსადმი მიძღვნილ ლექსში — „მოგზაურობა“ შესანიშნავად გამოხატა თავისი განწყობილება ჩვენა ხალხისა და მისი უძველესი კულტურისადმი. ლექსში გადმოცემულია უძველეს დროში გერმანელები შვილებთან ერთად როგორ დაიყენენ დუნაის ტბალებს და როგორ ჩავიდნენ კავკასიაში მზის შვილებთან. კოლხეთის მკვიდრნი პირველად უნდაბლოდ შეხვედრიან ნოსტულს, მაგრამ მერე სტუმარ-მასპინძლებს სიყვარულით ხელს ვაუწყებდათ ერთმანეთისათვის, იარაღი გაუცვლიათ და დაძმობილებულან.

მე-19 საუკუნის პოპულარული გერმანული პოეტი ფრიდრიხ ზოდენსტედი (1819—1892) წელიწადზე მეტ ხანს იმყოფებოდა საქართველოში. ამ მალებული მსახურდღეობები ლექსად და პროზად გამოაქვეყნა წიგნებში — „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“ და „მოგონებები ჩემი ცხოვრებიდან“.

ქართული კულტურის შესწავლასა და პრობლემათა საზღვარგარეთ დიდი ამაგი დასდეს ავსტრიელი მწერლებმა, ცოლ-ქმარმა ბერტა და არტურ ზუნდაკარ ფონ ზუტნერებმა. მსოფლიოში გახმაურებული რომანის („სირს იარაღი“) ავტორა ბერტა ფონ ზუტნერისა და მის მეუღლეს ბედმა არგუნა, ცხრა წელიწადს (1876—1885) საქართველოში ეცხოვრა სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ქავკაზიძე დიდიანის სასახლეში. ეკატერინეს ბერტა პარიზში ყოფნასას დაუხლოყდა. ზუტნერების ბელეტრისტულ, პუბლიცისტურ, კრიტიკული და ისტორიული ხასიათის ნარკვევებში გადმოცემულია XIX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს ცხოვრება, ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პორტრეტები, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის ცხოვრების ამსახველი სურათები. დღეს მათ ჩვენთვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვთ.

ქართულმა თემატიკამ თავი იჩინა არტურ ზუტნერის შემოქმედებაში. მის რომანებსა და მოთხრობებში: „დარეჯანი“, „აზნაური“, „ჩერქეზები“, „შამილი“, „კავკასიის შვილები“ (ორი წიგნი) XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სინამდვილეა ასახული.

საქართველოს პოპულარობას გერმანიაში, ავსტრიაში და პოლონეთში დიდად შეუწყობ ხელი ქართველი ხალხის მეგობარმა არტურ ლაისტმა, რომელმაც სიცოცხლის ნახევარზე მეტი ჩვენს ქვეყანაში გაატარა და აქვე მიეზარ მიწას ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. ა. ლაისტის მთარგმნელობითი საქმიანობა ყველასათვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ დღეს აღმათ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ იგი თავადაც წერდა მოთხრობებს. 1888 წელს ა. ლაიტი გერმანულ ჟურნალში „იუბერ ლანდ უნდ მეერ“ აქვეყნებს მოთხრობას „ვარიო“, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, შთააგონა ზემო იმერეთის საუცხოო ბუნებაში და მისი ერთ-ერთი სოფლის ცხოვრებამ. იმერეთის ცხოვრებიდან აღებული აგრეთვე მოთხრობა „ნანო ვარაზანიძე“, რომელიც ა. ლაისტმა ჟურნალ „რომან ბიბლიოთეკში“ დაბეჭდა 1895 წელს. ერთი წლის შემდეგ ამ მოთხრობის ივანე მაისაბლესკელი თარგმანი გამოაქვეყნა ჟურნალში „მოამბე“, ა. ლაისტის პიროვნება საკმაოდ პოპულარულია საქართველოში, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მისი მდიდარი ლიტერატურული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა დღემდე მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი.

ავსტრიელი პოეტი და მთარგმნელი ჰუგო ჰუპერტი თითქმის ერთნაირადაა ცნობილი როგორც თავის სამშობლოში, ისე გერმანიისა და საქართველოში, იგი 1950 წელს ჩამოვიდა ზენში. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისა, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მისი გამორული ისტორიის შესწავლასთან ერთად, ჰუპერტი თანხი წლის მანძილზე გულმოდგინედ აკვირდებოდა საბჭოთა საქართველოს მსჭეფარე ცხოვრებას, რასაც გულწრფელი სტრიქონები უძღვნა ლექსების კრებულში „მოგზაურის ქართული კვერთხი“. კრებული ორი ნაწილია: საგან შედგება: „კადით კიდემდე“ და „საზღვრებს მიღმა“. სხვა იმ უცხოელ ავტორთაგან განსხვავებით, რომლებიც საქართველოს აღწერისას ძირითადად წერილობით წყაროებს ეყრდნობიან, ჰუპერტის ლექსები უშუალოდ ნახულისა და განცდილის პოეტური აღწერებია გერმანულ ენაზე. მისი ძირითადი ღირსება ის არის, რომ იგი სწორ წარმოდგენას აძლევს უცხოელ მკითხველს თანამედროვე საქართველოს კულტურაზე და ქართველ ხალხზე. სამწუხაროდ, ეს კრებული დღემდე ქართულად არ გამოცემულია.

XX საუკუნის გამოჩენილი გერმანელი დრამატურგი, პოეტი, პროზაიკოსი და რეჟისორი ბერტოლტ ბრეჰტი საქვეყნოდაა ცნობილი. მას ეკუთვნის ხელოვნების თეორიაში შემოტანილი, დაუძინებელი და პრაქტიკულად სცენაზე განხორციელებული მოძღვრება „ეპიკური თეატრის“ შესახებ, რომელიც შემოქმედებითი თვალსაზრისით ეწინააღმდეგება დრამის არისტოტელესეულ გაგებას. ბრეჰტის მიზანი არ არის ეროვნული კოლორიტისა და ეთნოგრაფიული სიზუსტის დაცვა, მეტიც, იგი ყოველთვის მაილტვის ზოგადკაცობრიული, ზოგად-

ადამიანური იდეის გამოხატვისა და გადაწყვეტისაგან. ამიტომაცაა, რომ ბრეტის პიესებში მომხდარი ამბები ნებისმიერ ხალხსა და ქვეყანას შეიძლება მიეუსადაგოთ. ამ მხრივ განსაკუთრებით საკულისხმოა დიდი დრამატურგის პიესა „კავკასიური ცარცის წრე“. სადაც უმეტეს მოქმედ პირობა სახელები და გეოგრაფიული სახელწოდებანი ქართულია.

საქართველოს ყოფა-ცხოვრებაზე, მის ადამიანებსა და ზნე-ჩვეულებებზე მწერლის ლექსები დაწერეს იოჰანეს ბეჰერმა („სუფრული“), კუბამ („თბილისი“), ჰერმან ჰერდერი („რუსთაველი“), ევა შტრიტმატერმა („ბუშჩინი. მოგონება ყაზბეგზე“); თავიანთ ნაწარმოებებში ქართველები მთავარ მოქმედ პირობად გამოიყვანეს თანამედროვე ავსტრიელმა მწერალმა რობერტ ნოიშანმა (რომანში „ძალაუფლება“) და გერმანელმა დრამატურგმა კარლ ვოროგ ეგელმა (ტელევიზიაში „დოქტორი შლიუტერი“).

მოგონებები და საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები გამოაქვეყნეს ეგონ ერკინი კიშმა, ლუდვიგ რენმა, ილფრედ კურელამ, კუბამ, ბენო პლუდრამ, ვიუნთერ შტაინმა, ჰაინც კალოვმა, იდოლფ ენდლერმა, ელდენ ერბმა და შრაგალმა სხვამ.

ასეთია გერმანულენოვანი ქვეყნების მწერალთა და მოღვაწეთა შემოქმედების არასრული პერიოდიკისა და საქართველოზე.

ახალგაზრდა გერმანულ შემოქმედთაგან გვსურს ქართველ მკითხველს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოთხი პოეტი წარვუდგინოთ.

რაინერ კარშის სახელი ჩვენი მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი (დაიბადა 1924 წელს). იგი შესანიშნავად თარგმნის რუსული და ქართული პოეზიის ნიმუშებს (ა. ახმატოვა, ს. ესენინი, თ. მანდელშტამი, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.). გერმანულმა კრიტიკამ სამართლიანად აღნიშნა, რუსული და ქართული პოეზიის თარგმნამ რ. კარშს გაუფართოვა პოეტური ბედება და გაუფაქიხა ფორმის გრძობა. საქართველოზე დაწერილმა ნისმა ლექსმა „გზა სილნაღისაკენ“ (ლურალ „ნათე დოიხე ლიტერატურში“ დაბეჭდილი აქვს კიდევ ორი ლექსი „გაგრა შებინდებისას“ და „ბიჭვინთა“) დიდი კამათი გამოიწვია გდრ-ის სამეცნიერო აკადემიის კოლოქვიუმზე 1972 წელს. ზოგიერთის აზრით, რ. კარშს რომ კავკასია დაეხატა, სწორედ ასეთად წარმოგვედგინათ. ამ ლექსში კარგადაა აღქმულა კახეთის ბუნების მშვენიერი წიმი, თავისებურა ყოფია მოძრაობაში.

ზარა კარშს (1935) მიღებული აქვს პეტარკას, ჰაინრიხ ჰაინეს ლიტერატურული და ქალაქ პალეს რელიეფების პრემიები. მან მშობლიურ ენაზე ამბეტყველა ა. ხლოვის, ს. ესენინის, ა. ახმატოვის, მ. ცვეტაევის, ე. ბაგრატიონისა და სხვა რუს პოეტთა ლექსები. კრებული „შელოცვანი“, სადაც მოთავსებულია ლექსების ციკლი „საქართველო, ფოტოსურათები“ და „ჯვრის მონასტრის ნანგრევები“, გდრ-ის 1973 წლის საუკეთესო წიგნთა სიაში შევიდა. პოეტს მართლაც რომ ფოტოგრაფიულად გადმოუცია საქართველოში ნანახი და განცდილი (ჩვენში იმყოფებოდა 1968 წელს), ჯვრის მონასტრისა და სვეტიცხოვლის სიდიადე, კახეთის პეიზაჟი, საგურამოს სიმკურდროვე, შავი ზღვის მამზიღველობა და სხვა.

აქსელ შულცემ (1943) ამ რამდენიმე წლის წინათ ამოგზაურა ჩვენს რესპუბლიკაში და ზღვი ლექსი გამოაქვეყნა: „წინანდალი“, „თურგის ნაპირი“, „არგონავტები“, „ქართული ბაზარი“ და „ფარსიმანის სურათები“. პოეტი ცდილობს თანამემამულეებს გაუზიაროს ქართულ მიწაზე ნანახი და განცდილი, მისი ადამიანებისა და ზნე-ჩვეულებების თავისებურება, შუბლგაკსნილობა და პურადობა.

ჰანს-იორგ როთერი (1941) მთაწმინდიდან დანახულ თბილისს მოუხიბლავს და მისივეს მიუძღვნია ლექსი. პოეტი ოსტატურად აგვიწერს ისტორიული და თანამედროვე დედაქალაქის სურათს, წარსულში გადატანილ რბევას, დღევანდლობას.

თანამედროვე ევროპულ ლირიკოსთა პოეტურ ხაწარმოებთა დარად ეს ლექსებიც ვერლიბრიითაა დაწერილი. ჩვენც შევეცადეთ დაიხლოვებოთ იმ სახით მიგვეწოდებინა ქართველი მკითხველისათვის, როგორც ჟღერენ ისინი გერმანულ ენაზე.



რაინერ კირში

ვზა სიღნაღისაკენ



გერმანულიდან თარგმნა მიქტორ კახნიაშვილმა

ეს გზები მიდის ბაღის გავლით სახაფლაოსკენ,
 სადაც ქალები აგარაკის ჭაშკრებთან დგანან.
 იქ ყრუ-მუნჯებს ასწავლიან.
 ციცაბო ბორცვი ყინჩად მოჩანს, მარცხნივ გედელი
 ჩამოქცეულა; შორს საყდარია.
 ხორძაკა შუე თავზე დაგვნათის, ირგვლივ
 სიჩუმე გამეფებულა. ბუჩქებში სვლიკნი დამგრებიან,
 მიფორთხავენ კუები მზეზე. ვინც აქა კვდება,
 ადგილიც აქვს მარადიული. მაყელის ბუჩქებში
 ჭრიჭინებენ ჭრიჭინობლები. ყანგმა შეჭამა
 ვარსკვლავი რკინის. ჭირისუფალი მესერიისთვის ფულს შეაგროვებს,
 აღმართობა აღუშინის დობე მუსლამდე.
 უძჯობესია სახურავიანი, კაცის სიმაღლის.
 მა, ბაქთური შავი მარმარილო. ბრწყინავს ფოტო
 მიცვალებულის. საცოდავს პალტი მუსლამდე წვდება.
 კულულებიანი გოგონა იმზირება განცვიფრებული.
 ძალე ყველაფერი გაიბარდება. პატარა ბუჩქებში
 წითლად ელყარებენ ბროწეულის ყვავილები. ვაწრო
 ბილიკები დაქსელნიან; აი ძვარყახი, ეკლიანი ძაყთული
 საფლავს გონივრულად შემოვლებია, ქვის შავიდა,
 სკამები. ნაცარზე კვალი, ძვლები: აქ
 ცხვრებიც კვდებაან. თბმოკიდებული სილი გახვედრებს,
 საფლავი ახალია. იქვეა ახანთი, არაყი და
 თევზის ორი ჩონჩხი. ყველაფერი შორსაა
 კავკასიონიდან. ეკლესიაში ისადგურებს
 უდაბურება. გავერანებულ კედლებზე —
 უკვდავას გვირგვინი. ნახევრად წმანდანი.
 ბოლო წლის ორი გასეთი, სინათლე,
 გარეთ თონე. იმის იქით — უსახრულობა.
 ბუნება გადაშლილა. მზეზე
 ზანტი პებლები დაფრინავენ.
 თუ ნაკადულით დადრამულ ცარიელ კალაპოტს
 გაჰყვება, — უსათუოდ ველზე გაგიყვანს.

□

ზარა კირში



მეორე ნაწილი

საქართველო. ფოტოსურათები

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კანინიშვილმა

1

მცხეთის საყდარი. ასიმეტრიული; ჩუქურთმები ურთიერთისგან განსხვავებულია. სად ცხენი უნდა ნაყარდობდეს, ბალახობს ხარი; აქეთ ვახა, იქით ვარდებს. ერთი თაღი ფართოა და უფრო დაბალი, ვიდრე მეორე; ხახურაყი არც მწვანე და არც ყავისფერი. ეპისკოპოსმა ჩაიბარა ტაძარი ესე. დიდებულება! დარჩების მარად; და უბადლობა: პრქუა მან და მოპკვეთეს დიდოსტატს ხელი, რაიცა ქვაში თვალნათლად ჩანს ამოკვეთილი.

2

შინაური ცხოველები მთებში. ნაკადულებს სწრაფად ჩამორბიან მთებიდან; გროულებიან მდინარის კალაპოტში; ის გზატკეცილზე უფრო ფართოა და საფეხი კუნჭებით; ბალახი იზრდება; წყალი ვერ წუდება მას. კზაზე შიშლაზნებთან ცხოველები: პატარა, გამხდარი ძროხები, შავი ღორი; თეთრჯაგრიანი ზედ ასტება, ორ ფეხზე მიხდევს; ცხვრები — ლოდებს კყანან, სახედარი — წაბლისფერი. ან კალაპოტში იბალახებენ, ანდა გადავლენ მდინარის გაღმა. ახალ ხედს წინ ცხენი დგას ერთი, კიხერზე ვამჩნევ უამრავ ძარღვს.

3

ცხენი წყაროსთან. იდგა ფორნის წინ; ფორანზე ხშირფოთლოვანი მომცრო ხე იდო, ვირისოდენა. გლეხი წყალს სვამდა. ფაფარს იფერთხავდა ცხენი.

4

ბახეში. მთებს მეჩხერი ტყის ტყავები წამოუსხამთ; ძველი ციხესიმაგრისი თხემებზე წამოიქდარან; კეკეასიონისკენ მიიჩქარიან მთები. სოფელი ველზე გახულა, ბორცვზე — სასაფლაო. საფლავებს მოვერცხლისფრო რკინის მეხერი არტყია. ზოგი სახურავიანია; ორგან ხუფრაა გაშლილი სასაფლაოზე ადამიანის სიმალღე ტუიებია დარგული; ზედ წარწერაა: ოთხი ათასი ხე ხუთი ათასი კაცი ცხრა ათასიდან დაბრუნდა შინ. მაისის დასაწყისში სამშახებითა

და ყარდებით მოფენილა ტყე. ჭრელჭრული ხალხი
ბორცვზე სეირნობს; გამყიდველები ღიძონათსა
და შაქარყინულის ძამლაყინწყებს ჰყიდიან.

კაცს შეუძლია ბედის მოხინჯოს.

ვერანდის ჩრდილოვან ხახაში დიდძალი საზოგადოება *ვერანდებში*
ჩვენ ვხედავთ კავკასიონს. ბალახზე გღია ცხვრის ტყეებს *— მწიფი მწიფი*
მწვანოლეული და ხახვი, მწვადი და ძველი ღვინო.

მასპინძლება მღერიათ. ხმები ერთმანეთში იხლართება.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე მაინც სხვანაირად აგუგუნებს.

ძველი საგალობელნი ტუიებსაც ჩაესმით.

5

ფეხბურთი. აკაცია აყვავებულა. ქალაქი გაუღწეოილია ხურნელებით.

ქუჩები დაცარიელებულია. ღია სარკმლებიდან მესმის
რადიოთი და ტელევიზიით ფეხბურთის მატჩის გადმოცემა.

ტაქსის მძღოლებმა ერთურთს ახარეს:

თბილისელმა თოსმა ნომერმა გაიტანათ ბურთი.

მათ ძაღლი გაიტანეს.

ორი საათი წააგწკავებდა პარკში საბრალო.

6

ტანასთან მღვარი ძველი ეკლესია. ტანა გამალებით

მიუქანება კალაპოტში, რაც მიწას დაუთმია;

ქაფდება და ქეებს ეხეთქება.

მის ორივე ნაპირს ვაზი იზრდება, ხე — ხავერდოვანფოთლებიანი.

გლეხის ქალები და ცხენები

მდინარეზე გადადიან; ეს გარეთ, —

შიგნით კი:

გლეხის ქალები და ცხენები

ეკლესიის ღოდებქვეშ დაძარსულან.

7

აბრაძი. პატარა დაბა საგურამო თითქოს მაგიდაზე

წამოსკუპულა ტყიანი მთებით გარშემორტყმული.

ვერცხლისფრად შეღებულ ჭაშკართან ჰყვავის იახამანი.

ბაღში ორი წყაროა, ერთი თაბაშირის ძეგლი.

ხახლის წინ დრუნჩმითხურვილი ქალაი იცდის.

ეს ხახლი აგარაკია.

აივანზე კოხტაფოსებიანი სკამები ჭრიაღებს.

საწერ მაგიდაზე საათი წიკწიკებს.

ცაფერბლატს გარს ავღია გუღივით წითელი სავერდი.

ტახტი, საათი, შავი პალტო, ხანადირო ჩანთა,

სააგარაკო ხახლი იღია ჭავჭავაძისეულია.

1907 წელს ოხრანკელებმა განკმირესო იგი,

ამისსნეს გუშინ.

მ

მუადღმ. ზღვა იხმორება. ქვები კბილებს აკრაჭუნებენ,
როცა ტალღები უკან ბრუნდებიან. მოშორებით გემი მაცურავს.
კარგი იქნებოდა მასზე ვმდგარიყავ.
ხელს ვუქნევ. ზღვას კვალი აჩნდება.
წითელ წყალმცენარეებს აწყდება წინ.
კიბეზე ძალიან ფრთხილად უნდა იარო.
ადვილად სხლტება თევზის ფარფლზე ფეხი.



□

აქსელ ვულცე

წიგანდალი

გერმანიულიდან თარგმნა ვიქტორ კანინიანი

ფერებლივლიყა მდორე ალაზნის
ცივ წყალს ცხოველნი დასწაფებიან.
ახალთახალი ცხვრის სორცია ბლომად ქობებში,
მიწაზე ყრია დასეთქალი გამხმარი ნაჭი
და ხეთა გართხმულ მსუყე ძარღვებს ზედ დაჰფენია,
შეჩავებულა ერთმანეთში რძის, სისხლას სუნი,
დაწნულ ღობიდან შორიასლოს გამოისმის ხმა სიმღერისა,
თუთას ხის და ნუშების ძირში
მიმოდიან და ბალახს თელავენ ფეხსაცმელები,
კამითა და თხრახუშით შეკაზმული საჭმელი
სახელდახელოდ მაგიდებზეა ჩარიგებული,
კედლები ჭრელად ციალებენ,
ჩრდილები ამოდ ცასცახებენ
ფოსოლთა ფერისცვალების მიხედვით,
როს დიდრონ კაკლიდან ჩამოვარდნას ღამობენ
კაკლებს მძიმე, შავი ტოტები ძირს დაუხრიათ
და ჩვენამდე გადმოფარჩხულან,
სახლსაც თითქოს ფეხვი გაედგას,
მათთან ერთად იხრდება ლაღად,
მოდურჯო მთემა ცურვენ ზღაპრულ ღრუბელთა ჯარში,
და ღამდამობით ჩათვლებილა მინდორი ვრცელი,
ღრუბელნი ბამბის ქულასავით გაწოლიდან ზეცის ტატნობში,
კაკლები ბალახს ეხეთქებიან
და საათი—
ჩვენი ცხოვრების და არსობის უამთადმრაცხველი
გვატყობინებს გარდასულ დღეზე.

□

პანს-ორბ როთერი

თ ბ ი ლ ი ს ი



გერმანულიდან თარგმნა პირველი პანსიაშილია

არხეინად და თბილად
 ჩაწილილხარ მოებში
 საქართველოს სიამავემ!
 დილაობათ

წითელთუნუქიან ხახურაგვბადან
 ნახლი ზევით მიიზღაზნება;
 სწორედ ამ დროს,
 სხვა მიდლიონთა მსგავსად,
 ოსტატურად დაგვბულ ქვაფენილზე
 ფიბრაკებისა და შადახიებისკენ
 მაიჩქარას ხალხი;

კეთილსმოგანიბა შათი ენა,
 მზე ამოიწყერება თუ არა,
 პირველი სხაეი კავისიონს ეცემა;
 ბაზარზე ახლა
 ამ მაწაზე მოწეულა
 მწვანილეული და ხილია

გამოტანილი;
 უფრო ლამაზი ირაფერი ქინახავს
 არხად,
 ვით მოაწმინდიდან დანახული
 ქალაქი ესე.
 აქ ხომ თამარი შეფობდა ერთ
 დროს,
 რუსთაველი გი მის უძღვროდა.
 უცხოელის შეუჩვეველი თვალი
 დაბლობში მთრთოლავ შაერსაც
 ამხნევს.
 თხკუთხივ მხრები გაუშლია ქალაქს,

თითქოს უკიდუგანო იყოს,
 ცოტას თუ დირხებია
 ამდენი ქება, რამდენიც თბაღისს.
 შადაღრი არ ეთქმის, შაგრაი
 მოძხიბლაგია —
 მტრებისა და დამპყრობთ ჯანაზე.
 არახოდეს დაწყებულა თმი აქედან,
 ადაშიანები გუღლია და
 სტუმართმოყვარენი არიან.
 ნამუადლეეს, როცა შან
 შრუხდებან,
 ფუფუნებად არ ჩაითვლება, შაგრაი
 მაღალგალაგნიან ეზოებში,
 ბროწეულას ხეებქვეშ ან
 ვახით დაბურულ ფანჩატურში
 ბარაქიან სუფრას აწყობენ.
 უმრავლესობა ახალნაგებ ბანებში
 ცხოვრობს,
 არც პარკები აქვთ მოშორებით.
 შეგობრებს უყვართ ერთმანეთის
 მონახულება
 და ეს კარგი ხაბაბია
 საპურმარილოდ.
 ღამით მტკიცის მოხარკულ
 ხედაპარზე
 ნაირფერად ირეკლება ღამიონების
 შუქი
 და წარსულით ტვარამძიშე ქალაქი
 ყუჩდება, მშვიდად იძინებს.



შეატრული რედაქტორი ლ. ცუცქარიძე. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექნოლოგიური რ. იმნაიშვილი
 ვადაეცა წარმოებეს 30/VIII-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/X-79 წ. ქალაქის ზომა
 70x108¹/₁₆. სააღრ. სავამომ. თაბახი 19,35. ნაბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეგვ. № 1039
 ფასი 1 მან.


საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლიგრაფიული ვაერთიანება «განათლებს»
 კომბინატი, შარჯანიშვილის ქ. № 5.
 Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госномизда-
 та Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



კეთეა კოლვიძი. „სიკვდილი“. 1910 წ.

131

ჰანს ბრუნდიგი. „ატონური სიკვდილის წინააღმდეგ“. 1958 წ.



6.93

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურა



გიორგი შახნაზარი. „ღელა და ბავშვი“. 1947 წ.

ჰანს ბრუნდორფი. „შაშთაღმრთა“. 1947 წ.

